

K 18.841
3



პროფ. ნ. ნოლოძე-შვილი

გ ე ვ ე ნ ა ხ ე რ ბ ი ს ს ა ხ ე ლ მ ე კ ღ ვ ა ნ ე ლ ო

წ ი ბ ნ ი მ ა ო რ ა ზ

ა ე ვ ე ლ ო გ რ ა ფ ი ა

ს ა ხ ე ლ მ ე კ ღ ვ ა ნ ე ლ ო

ს ა ხ ე ლ მ ე კ ღ ვ ა ნ ე ლ ო, მ. გ. ბ ა რ ა ბ ა შ ვ ი ს ო ქ. 1 7 3 6 1 1 6 0

თ ბ ი ლ ი ს 1 9 3 9 წ.



639/11

პროფ. ს. ჩოლოყაშვილი

K18.847
3

მევენახეობის სახელმძღვანელო

წიგნი მეორე

საბჭოთა
მრეწველობის
2000

აგელოგრაფია



სახელგანი

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის სექტორი

თბილისი 1939 წ.

1178[2] 21.15.19.26.45

წინასიტყვაობა

მევენახეობის სახელმძღვანელოს გამოქვეყნება ნაგულისხმევი გვაქვს ხუთ წიგნად. პირველი წიგნი შეიცავდა მევენახეობის ზოგად ნაწილს, წინამდებარე წიგნი კი წარმოადგენს „მევენახეობის სახელმძღვანელოს“ შემდგომ ნაწილს, — მეორე წიგნს. ეს ნაწილი შეიცავს ამპელოგრაფიას, ანუ ვაზის ჯიშთმცოდნეობას და აგრეთვე უშუალოდ ამპელოგრაფიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ჩვენ ამოცანად არ დაგვისახავს მონოგრაფიული ხასიათის ამპელოგრაფიული შრომის შედგენა, ამ ცნების ფართო გაგებით. მევენახეობის ამ ნაწილს იმდენი ალღილი დაფუთმეთ, რამდენიც ჩვენის აზრით საჭიროა მევენახეობის სახელმძღვანელოსათვის. რაც შეეხება ქართულ ენაზე ამპელოგრაფიის მონოგრაფიის შედგენას, იგი მომავლის საკითხია.

ამპელოგრაფია ცალკე წიგნად გამოვეყავით, რადგან მევენახეობის ეს ნაწილი დიდ ინტერესს წარმოადგენს როგორც ვაზის ფორმების მრავალფეროვნებით, ისე პროდუქტის ღირსებასა და რაოდენობაზე მათი გავლენით.

ჩვენს მევენახეობაში ჯიშთმცოდნეობის საკითხი საკმაოდ აქტიური საკითხია, როგორც ვენახების ფართობის ზრდასთან, ისე ფილოქსერისაგან დალუპული ვენახების აღდგენასა და მევენახეობის დარაიონებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ჯიშებზე მთლიანი ამპელოგრაფიული შრომა ჯერ არ არსებობს. თუმცა მოიპოვება, ცალკეულ ჯიშებსა და ცალკეულ რაიონებზე ზოგიერთი ამპელოგრაფიული ნაშრომი, მაგრამ სამწუხაროდ უმეტეს შემთხვევაში ჯიშები აღწერილია სამეურნეო ღირსების აღწერილობად, სინონიმების ანგარიშგაუწველად და მრავალი ღირსშესანიშნავი ჯიშის გამოტოვებით.

„მევენახეობის სახელმძღვანელოს“ მეორე წიგნის გამოშვებით ჩვენ შევეცადეთ ამ ნაკლის ნაწილობრივ მაინც შევსება, ვამბობთ ნაწილობრივ, რადგან ეს შრომა, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ამპელოგრაფიას არ წარმოადგენს, თუმცა საქართველოს ვაზის ჯიშებზე მაინც საკმაო მასალას შეიცავს.

მოზანშეწონილად ვცანი მევენახეობის სახელმძღვანელოს ამ ნაწილის შედგენისათვის თანამშრომლებად მომეწვია ჩვენი ქვეყნის ის სპეციალისტ-

ბი, რომელნიც ჩვენი ჯიშების ირგვლივ მუშაობენ, სახელდობრ: ჩემი ყოფილი მოწაფენი დოც. მაქს. რამიშვილი, აგრონომები ბარჩაიფირანიშვილი და ზაქ. სიბაშვილი. პირველმა იკისრა გუბიურ საშემგრელოს და აქარის ჯიშებზე მასალის მოწოდება, მეორემ რაჭა-ლეჩხუმის ჯიშებზე და მესამემ — კახეთის ჯიშებზე. ეს მასალა მათ დააგროვეს როგორც ექსპედიციების, ისე სტაციონალური მუშაობის დროს. ტექნიკური სიძნელეების გამო იძულებული ვიყავით სურათების რიცხვი და აგრეთვე წიგნის მოცულობა შეგვემცირებია.

ს. ჩოლოყაშვილი.

15/III 1938 წ.

I. ამპელოგრაფია წარსულში

ტერმინი ამპელოგრაფია (αμπελος — ვაზი, γραφειν — აღწერა) პირველად შემოიღო გერმანელმა ბუნებისმეტყვეელმა D. Sachs-მა, მის მიერ შედგენილ და 1661 წ. ბრესლაეში გამოქვეყნებულ შრომაში „Ampelographia“. ავტორს დაწერილებით ქონდა აღწერილი ვაზის ცალკეული ორგანოები, მათი მნიშვნელობა; იგი მაშინდელ ბუნებისმეტყველთა ფილოსოფიის საფუძველზე აშუქებდა ამ საკითხს. 1807 წ. მალრიდში გამოქვეყნდა ესპანეთის განთქმული მკვლევარის Don Simon de Rojas Clemente-ს შრომა სათაურით: „Ensayo Sobre los variedades de la vid comun que vegetan en Andalucia“, რომელშიაც ავტორს თუმცა ტერმინი ამპელოგრაფია არ უხმარია, მაგრამ იძლეოდა იმ დროისათვის ყველაზე დიდ, ამომწურავ და გარკვეულ მეთოდოლოგიაზე დამყარებულ, მისალას ანდალუზიის ვაზის ჯიშების შესახებ.

ფრანგმა მკვლევარმა ოდარმა (Odart) 1841 წ. ვაზის ჯიშების შესახებ გამოაქვეყნა ფრიალ მნიშვნელოვანი ნაშრომი, სათაურით: Essai d'Ampelographie და ამ დროიდან ტერმინი „ამპელოგრაფია“ საყოველთაო ხმარებაში შემოვიდა.

ამჟამად სივენახეობის ამ ნაწილზე მეტად დიდი და მდიდარი ლიტერატურა არსებობს როგორც ფრანგულ, ისე იტალიურ, ინგლისურ (ამერიკა), ესპანურ, პორტუგალურ, გერმანულ და სხვა ენებზე.

თანამედროვე ამპელოგრაფია ორ განზრას გულისხმობს: ზოგადსა და სპეციალურს; პარველის ქვეშ იგულისხმება ოჯახ Ampelideae-ში შემავალი გვარებისა და სახეობათა შესწავლა, სპეციალური ამპელოგრაფია-კი Vitis-ის იმ ფორმებისა და ჯიშების შესწავლას გულისხმობს, რომელთაც თანამედროვე სივენახეობაში მნიშვნელობა აქვთ; ამავე დროს, გარდა ჯიშის ბოტანიკური აღწერისა (არსებული ამპელოგრაფიული მეთოდის საფუძველზე), აგრეთვე სავალდებულოდ არის მიჩნეული ჯიშის სამეურნეო ღირებულების აღნუსხვა და გამომკვლავება, რათა საკითხი დიალექტიკურ მთლიანობაში იქნას განხილული.

ვაზის ჯიშთმცოდნეობით დაინტერესებულნი იყვნენ ძველი კულტურული ერებიც — ბერძნები და რომაელები; ეს ჩანს საბერძნეთის და რომის ბუნებისმეტყველთა და აგრონომთა ნაწერებიდან, რომელთაგან ზოგმა ჩვენს დრომდისაც მოაღწია.

პირველი ამპელოგრაფიული ნაშრომი დემოკრიტეს უნდა ეკუთვნოდეს (470 წ. ახალ წელთ აღრიცხვამდე). თუ მაშინაც რამდენად მრავალრიცხოვანი იყო ვაზის ჯიშები, სჩანს იქედან, რომ დემოკრიტე თავისი დროის მკვლევარებს არწმუნებდა: „ვაზის ჯიშთა რაოდენობა უსაზღვრო არ არის და მათი ჩამოთვლა და აღწერა მას შესაძლებლად მიაჩნდა; დემოკრიტეს ნაწარმოებიდან ამჟამად, სამწუხაროდ, მარტო ცალკეული ნაფლეთები არის აღმოჩენილი და დაცული.

განთქმული ფილოსოფოსი-ბოტანიკოსი თეოფრასტე (375—297 წ. ახ. წელთაღრიცხვამდე) თავის ცნობილ ბოტანიკის პირველ წიგნში საკმაო აღგვილს უთმობს ვაზს, მაგრამ უფრო იმ გაგებით, როგორც ამჟამად ჩვენ სპეციალურ ამპელოგრაფიის ნაწილი გვესმის; მეორე წიგნში კი ავტორი ეხება ვაზის სხვლას, კულტურის პირობებს, ვენახის მოვლას, ყურძნის მოწვევის ხანას და სხვ. ამ ნაშრომში იმდენად ფართოდ და საკითხის დიდი ცოდნით არის გაშუქებული ცალკეული პრობლემები, რომ იქ წამოყენებული დებულებანი ამჟამადაც დიდ ღირებულებას წარმოადგენენ. თუმცა სპეციალური ამპელოგრაფიის შესახებ ამ ნაშრომში ბევრი მასალა არ მოიპოება, მაგრამ ნათლად ჩანს, თუ რამდენად კარგად იყვნენ გარკვეული ძველი ბერძნები ჯერ კიდევ 2300 წ. წინ მევენახეობის საკითხებში და საერთოდ ვაზის კულტურაში.

შედარებით უფრო მოგვიანებით რომის ბრწყინვალე მწერალი-აგრონომები, ფილოსოფოსები და პოეტები სხვადასხვა დროს აჯამებენ და აქვეყნებენ დიდი ღირებულების ამპელოგრაფიულ მასალას; მათ შორის აღსანიშნავია: კატონი, ვირგილიუსი, იულიუს ატიკუსი, იულიუს გრეციუსი, ვარონი, კოლუმელა, პლინიუსი და სხვა.

ეს ავტორები თავის ნაშრომებში De re rustica, Georgiques და სხვ. იმჟამად არსებულ ვაზის ჯიშებზე საკმაო მასალას იძლევიან; ირკვევა, რომ მაშინ არსებულ ვაზის ყველა ჯიშს ორ მთავარ ჯგუფად ყოფდნენ: ad edendum—საჭმელი, ესე იგი სუფრის ყურძნის ჯიშებად და ad bibendum—სასმელი, ე. ი. საღვინე ჯიშებად. კოლუმელას და პლინიუსის მოწმობით ყველაზე ღირსშესანიშნავი შრომა ამპელოგრაფიის შესახებ, სათაურით: „De vitibus et arboribus“ ეკუთვნოდა იულიუს გრეციუსს; სამწუხაროდ, ამ ღირსშესანიშნავმა შრომამ ჩვენამდის ვერ მოაღწია—ეს შრომა უკვალოდაა დაკარგული და მხოლოდ მისი ცალკეული ნაფლეთებია დარჩენილი.

ჩვენამდე მოღწეულ რომაულ ნაშრომთა შორის ყველაზე ღირსშესანიშნავია კოლუმელას (65 წ.—2 წ. ახ. წელთაღრიცხვამდე) ნაშრომი, სათაურით: De re rustica. როგორც ამ განსაკუთრებული ღირებულების კლასიკური შრომიდან ჩანს, ავტორი დიდი და ღრმა ცოდნის პიროვნება ყოფილა მევენახეობის საკითხებში; მას შესწავლილი ჰქონია ქსენოფონტეს და თეოფრასტეს ნაშრომები, ცელსიუსის, ვატონის, გრეციუსისა და სხვათა ნაწარმოებნი; იგი თავის ნაშრომში აჯამებს როგორც ხსენებულ ავტორთა

ცოდნა-გამოცდილებას, აგრეთვე განსაკუთრებული გამჭრიახობით აშუქებს საკითხებს. სხვათა შორის, კოლუმელა აღნიშნავს, რომ ჯიშები რაიონის მიხედვით სხვადასხვა სინონიმებს ატარებენ, რომ ადგილმდებარეობის მიხედვით ისინი მოდიფიკაციას განიცდიან, რომ ადგილმდებარეობის მიხედვითვე სხვადასხვა ჯიშის სხვადასხვა პროდუქციას იძლევა. კოლუმელას აგრეთვე აღნიშნული აქვს გამონაკლისის სახით ამინების ჯიშის, რომელიც თურმე ყველგან მაღალი ხარისხის პროდუქციას იძლეოდა. მის მიერ შედგენილ მე-3-მე წიგნში მოყვანილია პრაქტიკული ცნობები მაშინდელ ჯიშებსა და მათ სინონიმებზე. Collumelae-ს მიერ ჩამოთვლილი და განმარტებულია 49 ჯიშის, 4 სინონიმით. მათ დღევანდელ შესატყვისობაზე გარკვევით ვერაფერს ვიტყვით.

გარდა ამისა, კოლუმელა თავის De re rustica-ში იმდროინდელი ცოდნის მიხედვით მრავალ რჩევა დარიგებას იძლევა. უნდა გულწრფელად აღვნიშნოთ, რომ კოლუმელას ნაშრომში იმდენად ძვირფას მასალას ვხვდებით, რომ დღევანდელ მევენახეთ, მთელ რიგ საკითხებზე უკეთესი განმარტებანი არც კი გავაჩნია; მაგ. იმაზე, რაც ჩვენთვის დღეს განხორციელების პროცესშია, სახელდობრ ჯიშების დარაიონებასა და ამასთან დაკავშირებით ცალკეული რაიონებისათვის მხოლოდ სათანადოდ შეგუებული მაღალხარისხოვანი ჯიშების შერჩევაზე, კოლუმელამ 2000 წ. წინ მიგვიითთა.

აღსანიშნავია, რომ შემდგომი საუკუნეების განმავლობაში შედგენილი რომაული შრომები, (Plinius მცირე, Palladius და სხვა მწერლები), თუმცა საკმაო ცნობებს იძლევიან მევენახეობის, ვაზის ჯიშთმცოდნეობისა და მელვინეობის შესახებ, მაგრამ ყველა მათ გაცილებით ნაკლები ღირებულება აქვთ და უფრო მკრთალადაც გამოიყურებიან კოლუმელას ნაწარმოებთან შედარებით. იგივე ითქმის მათ მომდევნო IV—XI საუკუნეთა ფრანგულ, გერმანულ და სხვ. ავროპულ ნაშრომებზეც. მხოლოდ 1158 წ. არაბმა მწერალმა იბნ-ელ-აევამ (დაბადებულია სევილიაში) გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი ამპელოგრაფიული ნარკვევი, სადაც იგი აღნიშნავს ყურძნის ჯიშების ფერს, მარცვლის მოყვანილობას, ხორცის სიმკვრივეს და სხვა.

საშუალო საუკუნეების მევენახეობაზე მწერალთა შორის აღსანიშნავი არიან: იტალიელი—Crescenzi (1230—1320 წ.), ესპანელი Allando de Hererra (1513 წ.), პორტუგალიელი—R. Fernandez (1531 წ.), გერმანელი—Hildegard (1553 წ.). უფრო მოგვიანებით Agostino Galla (1499—1570 წ.), Coderini (1590 წ.) და სხ. მაგრამ ყველა ჩამოთვლილი მწერალი ამპელოგრაფიაზე შედარებით ნაკლებ მასალას იძლევა. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ანდრეას ბაცი (Andreas Bacchi) მიერ გამოქვეყნებული Histoire natur. რომელშიაც ავტორი რაიონების მიხედვით ასახელებს ვაზის ჯიშებს და მათ ავკარგიანობაზე მიგვიითითებს.

XVII საუკუნის დასაწყისში ფრანგი მწერალი Ollivier de Seres აქვეყნებს თავის Théâtre d'agricultur, რომელშიაც ისეთივე ღირებულების საინტერესო ცნობებს ვპოულობთ მევენახეობის და ვაზის ჯიშების შესახებ, როგორსაც კოლუმელას ნაშრომში; ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს სინონიმებსაც. XVII საუკუნეშივე ქვეყნდება მთელი რიგი შრომები მევენახეობის შესახებ და მათ შორის Sachs-ის ამპელოგრაფია, რომელიც უკვე ზემოდ გვქონდა მოხსენებული.

XVIII საუკუნის განმავლობაში აგრონომიული მწერლობა ყოველ ქვეყანაში რამდენიმე ათეულ მოღვაწეს ითვლის (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა). მათ ნაშრომებს შორის ყველაზე ღირსშესანიშნავია აბატ Rozier-ის შრომა¹ პროვანსის მევენახეობის შესახებ; ეს შრომა მან მარსელის აკადემიას წარუდგინა 1770 წ. ამ და მისმა შემდეგმა შრომებმა არა მარტო საფრანგეთში, არამედ სხვა ევროპულ ქვეყნებშიაც დიდი და განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. აბატი Rozier პირველი შეეცადა საფრანგეთში არსებული ვაზის ყველა ჯიშში ერთ ადგილას მოეგროვებია მათი ყოველშრივი შესწავლის მიზნით; ეს მან თუმცა კიდევ დაიწყო, მაგრამ ვერ მოათავა მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. XVIII საუკუნის მიწურულიდან ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით დიდი ინტერესით და ენტუზიაზმით კვიდებიან ამპელოგრაფიას; ამ საკითხის გააქტივებაში უდაოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის აბატ როზიეს. საფრანგეთის გარდა ასეთივე მუშაობა მიმდინარეობდა აგრეთვე ესპანეთში, გერმანიაში, იტალიაში, პორტუგალიაში და სხვა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქვეყნდება ესპანელი მკვლევარის Don Simon de Rojas Clemento y Rabio-ის ამპელოგრაფიული ნარკვევი ანდალუზიის ვაზის ჯიშების შესახებ. ამ ნაშრომმა (გამოქვეყნდა 1807 წ.) ყურადღება მიიპყრო არა მარტო თავის საშობლოში, არამედ უცხოეთშიც და გადათარგმნულ იქნა ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე. ავტორი დიდი ყურადღებით და საკითხის სრული ცოდნით ებება ვაზის თითოეულ ნაწილს: ტანს, ჭერქს, რქას, დუღგულოს, კვირტებს, პწკალებს, ფოთლებს, ყლორტებს, ყვავილებს, მტევნებს, მარცვლებს, წიპწებს, წვეწებს და სხვა. ამ მასალის შესწავლის საფუძველზე მან შეადგინა სინოპტიკური ტაბულა, რომელიც შემდეგ მკვლევართა მიერ მხოლოდ უმნიშვნელოდ იყო შეესებოდა. თავის ნაშრომში სიმონ დე კლემენტი აღნიშნავს, რომ მას საკითხის პრაქტიკული მხარე ინტერესებს; მაგრამ მიუხედავად ასეთი განცხადებისა, მის ნარკვევს იმდროინდელი მეცნიერული შრომაც ვერ შეედრებოდა. ნაშრომის ერთ-ერთ მეტად საყურადღებო ნაწილში იგი განმარტავს განსხვავებას ჯიშსა და ვარიაციას შორის; აგრეთვე ჯიშსა და სახეობას შორის

¹ Abbé Rozier. Memoire sur la meilleure maniere de faire et de gouverner les vins de Province.

და ამ ძნელ და რთულ საკითხს განსაკუთრებული გამჭვირვალობით ასახუ-
ლებს. მან პირველმა შეარყია მაშინდელ ბოტანიკოსთა ნახევრად სტო-
ლასტიკური მსოფლმხედველობა: თავის დაკვირვებათა საფუძველზე სიმონ-
დე კლემენტი იკენებდა ვეგეტატური წესით გამრავლების შედეგებს (კვანძ-
დაწვენა, რქით გამრავლება, მყნობა და სხვა) და თუმცა სელექციონერთა
მიერ ამჟამად ხმარებული და კარგად ცნობილი ტერმინი „კლონი“ მას
არ უხმარია, მაგრამ მისი განმარტებების შედეგად ეს ტერმინი თავისთავად
იგულისხმება. ამგვარად, ერთი საუკუნით უფრო ადრე მან ამ საკითხს
არა თუ ყურადღება მიაქცია, არამედ გაააქტივა კიდევ. თუმცა სიმონ
დე კლემენტი სამართლიანად ითვლება თანამედროვე ამბელოგრაფიის მამა-
მთავრად, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მისი დამსახურება უფრო ფართო
მასშტაბისაა.

სიმონ დე კლემენტი შეეცადა თავისი კვლევის შედეგად ბაზი
გაცესა მთავარ და მეორეხარისხოვან მორფოლოგიურ ნიშანთვისებათათვის,
რაც ცხადპყო მის მიერ აღწერილ 120 ჯიშზე.

ესპანელი მკვლევარის შრომამ მეტად დიდი ინტერესი გამოიწვია;
ამის შედეგად სხვა ევროპულ ქვეყნებშიაც ასეული ბოტანიკოსი და აგ-
რონომი ჩაება ვაზის ჯიშის შესწავლაში, მით უმეტეს რომ ვაზი, როგორც
თავისი მრავალი ვარიაციით, ისე საინტერესო ნიშანთვისებებით, საინტე-
რესო ობიექტია არა მარტო აგრონომ-მეცნიერთათვის, არამედ ბუნების-
მეტყველთათვისაც.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ამბელოგრაფიულ-საკით-
ხებზე მომუშავეთა შორის აღსანიშნავია ფრანგი მკვლევარი ბოსკი (Bosc),
რომელმაც შესძლო არა მარტო ფრანგული ვაზის ჯიშების საკმაოდ დი-
დი რიცხვის შესწავლა, არამედ ლუქსემბურგის (პარიზი) ბაღში მოაწყო
ვაზის სანერგე, სადაც მრავალ ჯიშს მოუყარა თავი. ეს კოლექცია შემდეგ
შეესებული იქნა და ითვლიდა 2050 ჯიშს; მაგრამ უფრო მოგვიანებით
(1869 წ.) მისი გადატანის დროს ბულონის ტყეში, იგი მეტწილად
დაიღუპა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში საფრანგეთის ლიტერატურ-
რა საგრძნობლად გამდიდრდა ამბელოგრაფიული ნაშრომებით; მათ შო-
რის აღსანიშნავია ლენუარის (Lenoir) მეცნიერების სახელმძღვანელო, რო-
მელშიაც ავტორი არ იზიარებს აზრს ჯიშის მულტიფობაზე; მის მიერ 1828 წ.
გამოქვეყნებულ შრომაში ბაზგასმითაა ნათქვამი, რომ რქით გამრავლების
დროს გარეშე ფაქტორები ისეთ გავლენას ახდენენ ჯიშზე, რომ რამდენიმე
ხნის შემდეგ იგი საბოლოოდ გადაგვარდება და ახალი ჯიში წარმოი-
შობა; მაგალითისათვის იგი მიგვითითებს კვირტის ვარიაციაზე. მისივე
შეხედულებით მყნობაც გადამწყვეტ გავლენას ახდენს ჯიშის გადაგვარე-
ვაზე.

1845 წ. გამოქვეყნდა ოდარის (Odart) შრომა, სათაურით „Ampelegraphie universelle“. ამ შრომის ავტორს ახასიათებს განსაკუთრებული ენტუზიაზმი. მართალია მის მიერ მოყვანილი მთელი რიგი დეტულებანი, შესწორებებს მოითხოვდა, მაგრამ მაინც ეს ნაშრომი დიდ ფიქვანულეობას წარმოადგენდა როგორც სიმონ დე კლემენტის ძირითადი აზრების პოპულარიზაციისათვის, ისე საკითხის მეტად ფართოდ დაყენების გამოც. თავის უნივერსალურ ამპელოგრაფიაში ოდარი შეეცადა ჯიშები მათ წარმომშობ არეების მიხედვით დაეჯგუფებია. აქედან გამომდინარე მან ჯიშები რამდენიმე მხარის ჯიშებად დაჰყო: ცენტრის, სამხრეთის და სხვა. ოდარი დიდი შეძლებული პიროვნება და დიდი მამულის პატრონი იყო; თავის ერთერთ მამულში იგი შეეცადა თავი მოეყარა ყველა არსებული ჯიშისათვის; სხვათა შორის მის კოლექციაში ქართული ვაზის ჯიშებიც მოიპოვებოდა, სახელდობრ კახური ჯიში საფერავი, მან მიიღო ყირიმიდან, ნიკიტის ბაღის დირექტორ პარტეისისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ოდარის მიერ თავისი შრომის გამოქვეყნების დროს ფრანგული ამპელოგრაფიული ლიტერატურა მეტად მდიდარი იყო და ამგვარად მის განკარგულებაში დიდი მასალა მოიპოვებოდა. ყოველ შემთხვევაში, ოდარი უნდა შეფასდეს, როგორც დიდი ენტუზიასტი და იქნებ საყვედური ეთქვას მხოლოდ გადაშეტებული პათეთიზმისათვის. ოდარის ნაშრომში გამოძახილი ჰპოვა შვერეილის¹ (Chevreul) ზრდილობიან ფორმაში გამოთქმულ სასტიკ მენციურულ კრიტიკაში, სახელდობრ ჯიშების, მათი ვარიაციებისა და ცალკეული ფორმების ჩამოყალიბების საკითხში; ამ მხრივ შვერეილს დიდი დამსახურება მიუძღვის.

იმ დროს, როდესაც საფრანგეთში ამპელოგრაფიის დარგში მოღვაწეობდა ოდარი, ავსტრიაში მოღვაწეობდა ტრუმერი (Trummer) და გერმანიაში ლამპრეტ ბაბო (Babo Lampr.).

ტრუმერის და ბაბოს მიერ გამოქვეყნებული შრომები ძირითადად განსხვავდებოდნენ ოდარის შრომისაგან. ბაბომ სახელმძღვანელოდ მიიღო ცნობილი ავსტრიელი ამპელოგრაფის — ტრუმერის მეთოდი: ჯიშთა შესწავლის დროს იგი, როგორც სიმონ დე კლემენტი, ანგარიშს უწყევდა ვაზის ყველა ნაწილს და განსაკუთრებით: 1) მარცვლის მოყვანილობას; 2) ფოთლის შებუსხვას, 3) ფოთლის ნაკეთებს და დაკბილვას. მის შრომას უფრო ბოტანიკური ხასიათი ქონდა და ჩამოყალიბებულ სისტემას ექვემდებარებოდა; ოდარი კი თავის შრომაში ყურადღებას აქცევდა ექსტრემ ფორმებს და დიდ ანგარიშს უწყევდა ვაზის კულტურის გავლენით წარმოშობილ განსხვავებებს. ბაბომ თავის მამულში გააშენა გერმანული და უცხოეთის ჯიშების დიდი რაოდენობა და ამ მასალის საფუძველზე გამოაქვეყნა თავისი შრომა, მეციგერის (Metziger) უახლოესი მონაწილეობით.

¹ Chevreul. L'ampelographie par le comte Odart 1846 წ.

მრავალრიცხოვან შრომათა შორის აღსანიშნავია ბუშარდას¹ (Bou-
chardat) მიერ წარმოებული მეთოდური ცდები ვაზის ჯიშების მოდიფიკა-
ციის ირგვლივ. 1849 წ. მან საფრანგეთის აგრონომიულ საზოგადოებას
წარუდგინა თავისი მუშაობის შედეგები, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.
ბუშარდა თავისი ექსპერიმენტების საფუძველზე შემდეგნაირად
აყალიბებს ჯიშთა მოდიფიკაციას:

1) მოუვლელად დატოვებული ჯიში განიცდის მოდიფიკაციას, რაც
იწვევს მარცლის და მტენის სიმსხოს, დამწიფების ვადის, სურნელოვ-
ნობის და სხვათა შეცვლას; მაგრამ თუ მოდიფიკაცია განცდილი ჯიში
ჩაყენებულ იქნება კარგი მოვლის პირობებში, ეს ცვლილება ისევ გაქრება;

2) ვაზის ის ჯიში, რომელიც დიდხანს რჩება მოუვლელი თავის წყე-
ბიდან უფრო იოლად წარმოშობს ახალ ჯიშს (მუტანტი ს. ჩ.);

3) გარეშე ფაქტორებს შეუძლია საგრძნობი მოდიფიკაცია გამო-
იწვიოს ჯიშში, მაგრამ მისი აზრით ეს ცვლილება სხვადასხვა ხასიათისაა
და თითოეულ შემთხვევას იგი ცალკე ასაბუთებს;

4) ერთსადაიმავე ვაზზე მოსალოდნელია ისეთი კვირტების წარმო-
შობა, რომელნიც განსხვავებული ხასიათის ყლორტსა და ნაყოფს იძლევა
(კორეინსკის კვირტის ვარიაცია და ნაწილობრივი ჰეტეროგენეზისი—ს. ჩ.).
იგი მიგვიჩინებს, რომ ასეთი მოვლენა ხანგრძლივი დროისაა და რომ
შესაძლია ასეთი ნაწილების აქრა, ცალკე გამრავლება და ამ საშუალებით
ახალი ჯიშის შექმნა. აკადემიკოსი კორეინსკი თავის ნაშრომში (Анто-
лография Крыма) 50 წ. შემდეგ იმავე დასკვნას იძლევა!... ამგვარად
ბუშარდა უნდა ჩაითვალოს პირველ ექსპერიმენტატორად, ზოგიერთი მო-
ხსენებული საკითხის დამუშავება-დაზუსტებაში. ბუშარდას ღვაწლი მიუძ-
ღვის აგრეთვე ცალკეულ ჯიშებზე მონოგრაფიების შედგენაში, მაგ.—ჯიშ
პინოზე, ტრესოზე, სამხრეთ საფრანგეთის ზოგიერთ ჯიშზე და სხვა.

მეტხრამეტე საუკუნის შუა წლების მოღვაწეთა შორის აღსანიშნავია
აგრეთვე გასპარენი (Andrien de Gasparin), რომელმაც 1843—1849 წ.წ.
გამოაქვეყნა იმ დროისათვის ღირსშესანიშნავი შრომა, სათაურით Cours
d'Agriculture, რომელშიაც მეტად თვალსაჩინო ადგილი დაუთმო მევენახეო-
ბას. გასპარენი პირველი შეეცადა არსებული ვაზის ჯიშები დაეჯგუფებია
სიტობოს მიმართ მოთხოვნილებების მიხედვით და უსაყვედურებდა ოდარს,
რომ მან ჯიშები დააჯგუფა სქოლასტიკურად, ცალკე მხარეების მიხედვით.
გასპარენმა ყველა არსებული ჯიში სიტობოს მიმართ მოთხოვნილებების მი-
ხედვით შეიდ ჯგუფად დაჭყო; ამ სახელმძღვანელოს პირველ წიგნში ჯი-
შების დაჯგუფება გასპარენის მიხედვით იყო მოყვანილი.

დაახლოებით ამავე ხანას ეკუთვნის შტოლცის შრომა—რენის ჯი-
შების ამპელოგრაფიაზე, ვიქტორ რანდიუსის—საფრანგეთის ამპელოგრა-

¹ De la dégénérescence des cépages cultivés. Bul. de la soc. nat. d'Agric.
1848 წ.

ფია“, აცერობის შრომა იტალიურ ენაზე და სხვა მრავალი, რომლებიც ამათთან შედარებით ნაკლებ ღირსშესანიშნავ შრომებად უნდა ჩაითვალოს.

მეტხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი საერთოდ უნდა ჩაითვალოს მევენახეობით გატაცების ხანად; უპირველეს ყოვლისა ამ სურათს საფრანგეთში ვხედავთ.

ევროპაში ნაცარი პირველად 1845 წ. იყო აღმოჩენილი. ვიდრე ამ სნეულების წინააღმდეგ წამლობის ხერხს აღმოაჩენდნენ და ფართოდ გამოიყენებდნენ, მევენახეობის ირგვლივ საშინელი პანიკა შეიქმნა, რაც ადვილი ასახსნელიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საფრანგეთში ვენახების მოსავლიანობამ ნაცრის გამო თითქმის სამი მეოთხედით იკლო.

ნაცრის დაძლევის შემდეგ გოგირდის ხმარებით, მოკლე ხნის განმავლობაში მევენახეობისადმი მიყრუებულმა ენტუზიაზმმა ისევ იფეთქა. აღსანიშნავია, რომ ნაცრით გამოწვეული კრიზისის დროს ჩატარდა ლიუქსემბურგის კონკლექციაში (საფრანგეთი) მყოფ 2050 ჯიშის გამოცდა ნაცრის მიმართ გამძლეობის თვალსაზრისით.

მეტხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მევენახეობაში მუშაობას იწყებს ისეთი პოპულარული და ამავე დროს ისეთი უნივერსალური პიროვნება, როგორც იყო ეიულ გიუო (Jules Guyot). მისმა ავტორიტეტმა მევენახეობის ყველა საკითხში, კარგა ხნის განმავლობაში მეტად დიდი გავლენა მოახდინა საერთოდ მევენახეობაზე და კერძოდ ამპელოგრაფიაზეც. გიუო 1858 წ. სწერდა: „არასდროს ჯიში მუსკატი ჯიშ კაბერნე დ არ იქცევა, არასდროს ჯიში კაბერნე ჯიშ პინოდ არ იქცევა, არასდროს ჯიში პინო—ჯიშ შასლა დ არ იქცევა, ეს ჭეშმარიტებაა; სცდებიან ამპელოგრაფები და მევენახენი, როდესაც ადგილობრივი პირობების ზეგავლენას აზვიადებენ და ამით ასაბუთებენ ხარისხის ავკარგიანობას; ამით ისინი შეცდომაში შედიან, რადგან ჯიშს უქვემდებარებენ ადგილობრივ გავლენას და ამგვარად ჯიშს, როგორც ასეთს, სთიშავენ“. იგი არ იზიარებს ოლივიე დე სერის დასკვნას, რომ მოსავლის ხარისხსა და რაოდენობაზე გარდამწყვეტ გავლენას ახდენს: ჰავა, ნიადაგი და ჯიში. იგი ძირითად გადამწყვეტ ფაქტორად მხოლოდ ჯიშსა სთვლის¹ და ჯიშს აწერს თითქმის მთლიანად, ლეინის ხარისხს². თუმცა გიუოს ასეთი კატეგორიული და ცალმხრივი დასკვნა შემცდარია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჯიშისადმი მისმა ასეთმა გატაცებამ და ლალადმა მევენახეობას ერთგვარად კარგი სამსახური გაუწია—მევენახენი მეტ ყურადღებას აქცევდნენ ვენახის ჯიშის შემადგენლობას და ცდილობდნენ ნარევი—ნაკლებ ღირებულების ვახუბების უფრო უკეთესი ჯიშებით შეცვლას, მით უმეტეს, რომ ევროპის მაშინდელი ვენახები ხშირად მრავალი ნარევი ჯიშისაგან შესდგებოდნენ.

¹ „La connaissance et la religion du cépage, voilà la base du progrès viticole“!

² „Le cépage est le génie du vin“!

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ფრანგ ამპელოგრაფთა წიგნ-
ბაში შედიოდნენ ისეთი გამპკრიაბი მუშაკები, როგორც იყვნენ პენრო
მარე (Henri Marés) და პელიკო (Pellicot). პირველმა 1864 წ. შედგინა
ჩინებულად დასაბუთებული და შესრულებული სამხრეთ საფრანგეთის ჯი-
შების ამპელოგრაფია, რომელიც დღესაც დიდ ინტერესს შეიცავს. მანვე
შესძლო ჯიშების საკმაოდ დიდი რაოდენობის შეგროვება, ისევე როგორც
ოდარმა, და მათი დაბინავება სამხრეთ საფრანგეთში.

ამ დროისათვის ამპელოგრაფიისადმი ინტერესი ისევე გამაზვილდა და
ცალკეულ ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ესპანეთი და სხ.)
მრავალი ნაშრომი გამოქვეყნდა. თუმცა ამპელოგრაფიაში მომუშავეთა
რიცხვი მეტად დიდი იყო, მაგრამ მათგან წარუშლელი კვალი დასტოვა
ფრანგმა ამპელოგრაფმა პიულიამ (Pulliat).

პიულია შეეცადა შესწავლა არა მარტო რომელიმე ცალკე კუთ-
ხის ჯიშები, არამედ შეეჯამებია მის განკარგულებაში მყოფი დიდძალი
ჯიშები. იგი მათ აკვირდებოდა და მრავალი წლის შრომის შედეგად, მრავალრიცხოვანი მონოგრაფიების გარდა ცალკეულ ჯიშებზე, გამოაქვეყნა
კაპიტალური შრომა „Mille variétés des vignes“.

ფილოქსერის აღმოჩენის შემდეგ (1867 წ.) ფრანგ მკვლევართა ყურად-
ღება თითქმის მთლიანად ამ საკითხმა მიიპყრო: ამერიკული ვაზებისადმი
ინტერესი გაცხოველდა, ევროპული ვაზებისადმი კი — შემცირდა. პიულია
ბოლომდის დარჩა ევროპული ვაზების ჯიშთა შესწავლის ერთგული; იგი
კარგად გრძნობდა, რომ მომავალი შეგნახობისათვის საჭირო იყო ზუსტი
მასალა როგორც ევროპული, ისე ამერიკული ვაზების შესახებ. აღსანიშნა-
ვია, რომ პიულიასათვის ამერიკული ვაზებიც არ იყო უცნობი და ინტე-
რესსმოკლებული ობიექტი; იგი ამერიკულ ვაზებზე მუშაობდა როგორც
პლანშონთან, ისე რობანთან ერთად და მათგან დამოუკიდებლადაც მისდევ-
და ამერიკული ვაზების შესწავლას.

პიულიას მსგავსი დამსახურება ამპელოგრაფიაში მიუძღვის იტალიელ
მკვლევარ როზავენდას (Rosavenda), იმ განსხვავებით, რომ როზავენდა
უფრო მეტად გადიხარა ამერიკული ვაზების შესწავლისაკენ და კერძოდ
დიდი უნარიანობა გამოიჩინა ფილოქსერასთან ბრძოლის საკითხში. მის
მიერ 1887 წ. გამოქვეყნებული შრომა — Saggio di una Ampelografia
universale — ამპელოგრაფიულ შრომათა შორის ერთერთ მნიშვნელოვან
შრომადაა მიჩნეული.

ვაზის ჯიშების სიმრავლე, მათ სინონიმიაში გაურკვევლობა და საყო-
ველთაოდ მიღებული მეთოდების უქონლობა მეტად საგრძნობი იყო. ამ
მიზეზების გამო პერმან ვიოთემ (Hermann Goethe) 1873 წ. ქ. ვენაში
მოწყობილ საერთაშორისო გამოდენაზე წამოაყენა საკითხი ინტერნაციო-
ნალური ამპელოგრაფიული კომისიის დაარსების საჭიროების შესახებ. ამ
აზრმა გამოძახილი ჰპოვა და ამის შედეგად დაარსებულ ექნა „მუდმივი“



საერთაშორისო ამპელოგრაფიული კომისია, რომელშიაც თავდაპირველად შედიოდნენ საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის, იტალიის, ჩეხეთის, ბერძნეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. საერთაშორისო ამპელოგრაფიული კომისია არსებობდა 1882 წლამდე; ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე საერთო კრება იყო მოწვეული (კოლმარში, ფლორენციაში, ენევაში, ბუდაპეშტში, გაიზენჰეიმში და სხვ.). კომისიის მიერ შედგენილი და გამოქვეყნებული იყო რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი ჰერმან გიოთეს უშუალო მონაწილეობით.

საერთაშორისო ამპელოგრაფიულმა კომისიამ იარსება 1882 წლამდე და ამის შემდეგ სხვადასხვა მიზეზების გამო მუშაობა შესწყვიტა. მევენახეთა საერთაშორისო ყრილობაზე, რომელიც 1900 წ. პარიზში შესდგა, შეეცადნენ საერთაშორისო ამპელოგრაფიული კომისიის აღდგენას, მაგრამ ამ ცდამ უშედეგოდ ჩაიარა.

მეტხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ამპელოგრაფიული ნაშრომები ასობით გამოქვეყნდა როგორც ცალკე მონოგრაფიების სახით, ისე სპეციალურ პერიოდულ ლიტერატურაში მოთავსებული შრომებისა და მევენახეობის სახელმძღვანელოების სახით. წამყვანი როლი ეკუთვნოდათ ფრანგ, ავსტრიელ, გერმანელ და იტალიელ ამპელოგრაფებს, თუმცა სხვა ქვეყნების ამპელოგრაფებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით.

XIX საუკუნეში ამპელოგრაფიით გატაცება ევროპული ვაზის ჯიშების შესწავლით არ ამოწურულა. უცხო ქვეყნების ჯიშები და მათ შორის ამერიკული ვაზის ჯიშები თანდათანობით მეტ ყურადღებას იპყრობდნენ, როგორც არაჩვეულებრივი გემოვნებით, ისე ნაცრის წინააღმდეგ გამძლეობით.

ამერიკული ვაზები თავის სამშობლოში ნაკლებად იყო შესწავლილი. მათ შესახებ მეტად გაურკვეველი და მერყევი ცნობები მოიპოვებოდა: ზოგი ირწმუნებოდა, რომ ამერიკული ვაზისგან დაყენებული ღვინო მოკლებულია ყველა ღირსებას, ზოგი კი ქება-დიდებას ასხამდა მას; მაგალითად, დიუფური 1796 წ. ირწმუნებოდა, რომ ამერიკული ვაზების ვენახს ვენახი არ ეწოდებაო, 1799 წ. კი ირწმუნებოდა, რომ ერთერთი ფრანგის მიერ მდინარე ოპიოს ნაპირზე ნაპოვნი ველური ამერიკული ვაზი მაღალი ხარისხის ღვინოს იძლევაო!...

ამერიკული ვაზებით დაინტერესების შედეგად ამერიკიდან ევროპაში ვაზის შემოტანა გახშირდა; ამერიკულ ვაზს კი თან შემოჰყვა ფილოქსერა, რომელიც აღმოჩენილი იყო საფრანგეთში ჰეროლის დეპარტამენტში 1867 წ. ამ მავნებელმა მოკლე ხანში მთელი ევროპის ვენახები შემუსრა.

ფილოქსერის შემოსევასა და მის მავნე შედეგებთან დაკავშირებით (მარტო საფრანგეთის მევენახეობის ზარალი ათ მილიარდ ოქროს ფრანკს შეადგენდა) უფრო დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკულმა ვაზის ჯიშებმა, რომელნიც, როგორც გამოირკვა, ან არ ავადდებოდნენ ფილოქსერასაგან,



ან თუ ავადღებოდნენ, მეტ გამძლეობას იჩენდნენ, ვიდრე ევროპული ვაზის ჯიშები.

პირველად ლენუარმა წამოაყენა ევროპული ვაზების კვიროების საკითხი (1828 წ.); იგი საჭიროდ სცნობდა ევროპული ვაზების მყნობას ამერიკულზე, პირველთა ლონის გასაძლიერებლად, რადგან ლუქსემბურგის კოლექციაში მყოფი ამერიკული ვაზები დიდი ღონით და განვითარებით ხასიათდებოდნენ. იტალიელი მკვლევარის-რიდოლფის აზრით, რომელიც მან 1856 წ. გამოთქვა, საჭირო იყო ევროპული ვაზების გადაყენობა ამერიკულ ვაზებზე, როგორც ნაცრის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება (?) მხოლოდ 1869 წ. მევენახეთა კონგრესზე ქ. ბონში ლალიმანმა მიუთითა ამერიკული ვაზების ფილოქსერისადმი გამძლეობაზე. ცნობილმა ფრანგმა მკვლევარმა გასტონ ბაზილმა (Gaston Basille) იმავე წელს დაადასტურა ეს აზრი და მიუთითა ვაზის იმ ამერიკულ ჯიშებზე, რომლებზეც მისაღებად მიაჩნდა ევროპულ ვაზის ჯიშის მყნობა. ამერიკელმა მკვლევარმა რილეიმ (Riley) 1870 წ. გამოაქვეყნა ცნობები ზოგიერთი ამერიკული ვაზის შესახებ, რომელნიც ფილოქსერისადმი დიდი გამძლეობისუნარიანობით ხასიათდებოდნენ.

ინსექტისიდებით ფილოქსერასთან ბრძოლა ძვირი და არასაიმედო აღმოჩნდა, სხვა მეთოდებიც ნაკლებ საიმედო აღმოჩნდნენ, ამიტომ საბოლოოდ ამჯობინეს ფილოქსერის წინააღმდეგ ამერიკული ვაზების ხმარება საძირებლად, რასაც ფართო მასშტაბით მოჰკიდეს ხელი.

მალე დარწმუნდნენ, რომ ამერიკული ვაზები ისეთი მრავალი სახეობისა, ჯიშებისა და ფორმებისაგან შესდგებოდნენ, რომ საჭირო იყო მათი ზუსტი შესწავლა და ცალკეული პირობებისათვის განსაკუთრებული ჯიშების შერჩევა. ამ საკითხის გამოარკვევამდე ფრანგი მევენახენი არაერთ მარცხს წააწყდნენ; და მხოლოდ მთელ რიგ ფრანგი მკვლევარების დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად ეს პრობლემა შესწავლილ და დაძლეულ იქნა.

ამერიკული ვაზების სახეობათა, ჯიშებისა და ბუნების შესასწავლად ამერიკაში მივიღინებული იყვნენ მთელი რიგი ფრანგი მკვლევარები, რომელნიც ადგილობრივ ეცნობოდნენ ველურად მოზარდ ამერიკულ ვაზებს; ისინი შეეცადნენ ამომწურავი მასალა შეეგროვებინათ ამ ვაზების შესახებ. ამ მასალის საფუძველზე გაიშალა ზუსტი კვლევა-ძიება ევროპის ქვეყნებში და ძირითადად კი საფრანგეთში. დიდი მუშაობის შედეგად დღეს საკმაოდ ზუსტადაა შესწავლილი ამერიკული ვაზები, მათი ბუნება და ფილოქსერისადმი მათი გამძლეობისუნარიანობა. იმ დროის მკვლევართა შორის პირველ რიგებში იდგნენ ისეთი თავდადებული მეცნიერები, როგორიც იყვნენ გასტონ ბაზილი, პლანშონი, მილარდე, ფოექსი, ვილა, რავაზი, ერევე და სხვა მრავალი.

მეოცე საუკუნეს მევენახეობა საკმაოდ მომზადებული შეხვდა: ფილოქსერის საკითხი დამუშავებული იყო და ამერიკულ ვაზებს (როგორც ვინაი) იცნობდნენ. მეოცე საუკუნეში ფრანგულ ენაზე ქვეყნდება *ჩვილასი* [1846] ვერმორელის (Viala et Vermorel) კაპიტალური 7 ტომიანი შრომა „Ampe-lographie“, რაეზის — „Les vignes américaines“, რომელშიაც ავტორი შეეცადა მოეცა უფრო ვარკვეული ამპელოგრაფიული მეთოდით ამპელო-მეტრიის შემოღებით. ამავე საუკუნეში ინგლისურ (ამერიკა-ქედრეკი), იტა-ლიურ და სხვა ენებზე გამოქვეყნდა ამპელოგრაფიული შრომები.

— : —

საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ვაზის ჯიშები დიდ ინტერესს წარმოადგენს. ყირიმი, შუაზის რესპუბლიკები, ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო მევენახეობის უძველეს ქვეყნებად არიან მიჩნეული (იქნებ კულტურული მევენახეობის კერაც აქაა საძიებელი?) და ამიტომ ამ ქვეყნებში მრავალფეროვანი, დიდი ღირებულებისა და მრავალრიცხოვანი მასალა მოიპოვება; იგი დიდ განძს წარმოადგენს როგორც ამპელოგრაფიის, ისე გენეტიკის თვალსაზრისით.

ვერობულ ლიტერატურაში ჩვენებურ მევენახეობაზე და აგრეთვე ვა-ზის ჯიშებზე ცალკეული ცნობები გამოქვეყნებული იყო XVII—XVIII სა-უკუნეებში ვერობელ მოგზაურთა მიერ; მაგ., შარდენის, პალასის, ოლი-ვიეს და სხვათა მიერ. უფრო სანდო და ორიგინალური ნაშრომების გა-მოქვეყნება იწყება მეცხრამეტე საუკუნიდან: ამ დროის პირველ შრომათა შორის ყველაზე საინტერესოა გერმანელი მკვლევარის ფრიდრიხ კოლენა-ტის ამპელოგრაფიული ნარკვევი¹ საქართველოს ჯიშების შესახებ (1846). დაახლოებით ამ დროსვე ფრანგულ ენაზე ქვეყნდება ოდარის უნივერსა-ლური ამპელოგრაფია, რომელშიაც იგი ადგილს უთმობს რამდენიმე ქარ-თული ვაზის ჯიშსაც და მათ მეტწილად თავის კორესპონდენტების ცნო-ბათა საფუძველზე ახასიათებს. წარსული საუკუნის პირველ ნახევარში სხვა რამდენადმე მნიშვნელოვანი შრომა ქართული ვაზის ამპელოგრაფიის ირგ-ვლივ არ გამოქვეყნებულა.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მთლიანი შრომა საქართვე-ლოს ვაზის ამპელოგრაფიაზე თუმცა არ გამოქვეყნებულა, მაგრამ მიინც ცალკეულ ჯიშებსა და რაიონულ ასორტიმენტზე რამდენიმე ზოგადი ხასი-ათის შრომა გამოქვეყნდა; ამ დროს ეკუთვნის ცაბელის ნაშრომი; ცაბე-ლის განკარგულებაში იყო ნიკიტის ბაღის „მალარაჩის“ მდიდარი ამპე-ლოგრაფიული კოლექცია, რომელშიც საქართველოს ჯიშებიც მოიპოე-ბოდა. გარდა ამისა, რუსულ ენაზე საქართველოს ვაზის ჯიშების შესახებ

¹ Versuch einer systematischer Anordnung der in Grusien einheimischer Reben nebst einem ökonomisch—technischen Aphänge, *Mem. Acad. Hayk.-C. Herespnyr* 1846 წ.

გამოქვეყნდა ვულიწამბაროვის, ზელენსკის, შარერის, ვიევსკისა და სხვა ნარკვევები, ქართულ ენაზე-კი—ლ. ჯორჯაძის ნარკვევი. ამავე დროს ფრანგულ ენაზე პიულია თავის ამპელოგრაფიაში ათავსებს ცნობებს საქართველოს ვაზის ჯიშების შესახებ და ეურდნობა საქართველოში მდებარეობს რებ ფრანგ ბარონ დე ლონგეილის მიერ მიწოდებულ ცნობებს; შემდეგში ჰერმან გიოთე, პორტ და რუსისა და სხვები თავის ნაშრომებში იხსენიებენ ზოგიერთ ქართულ ვაზის ჯიშს; ზოგი მათგანი ამ ჯიშების აღწერილობასაც კი იძლევა. აღსანიშნავია, რომ ამ შრომებში ჯიშთა სახელწოდება მეტად შელახულია; იგივე ითქმის აღწერაზეც; საფიქრებელია, რომ ამ მარცხის მიზეზი იყო პიულიას ამპელოგრაფიაში ჩვენებურ ჯიშებზე დაშვებული შეცდომები; ამ შრომას კი ყველა ეწაფებოდა, როგორც პირველ წყაროს.

უფრო მოგვიანებით საქართველოს ვაზის ჯიშებზე ცნობებს აქვეყნებენ აგრონომები ერ. ნაკაშიძე, პ. კანდურალოვი, არ. ფირალოვი, სტ. ტიმოფეევი და სხვები. ამ ავტორთა შრომების გამოქვეყნება ხდებოდა კავკასიის ფილოქსერის კომიტეტის ხაზით, ცალკე წიგნაკების სახით, სათაურით: Сводник сведений по виноградарству и виноделию; ამ შრომებში ვაზის ჯიშებიც იყო მოხსენებული. ამავე პერიოდს ეკუთვნის სტაროსელსკის შრომა იმერეთის ვაზის ჯიშებზე; ად. როლოვის და ივ. ვინოგრისკის შრომები სომხეთის ჯიშებზე; მიხ. ბალასის შრომა რუსეთის მეღვინეობამეცნიერებაზე, რომელშიაც ავტორი საქართველოს ვაზის ჯიშების აღწერასაც უთმობს ადგილს; მაგრამ, სამწუბაროდ, არასაიმედო მასალას იძლევა და პროფ. ხოვრენკოს „მეღვინეობა“. ამ შრომების გარდა აღსანიშნავია ცალკეული ჯიშების აღწერა თაიროვის, ქვარიანის, ავერკინის და სხვათა მიერ. რუსულ ენაზე არსებულ ამპელოგრაფიულ შრომათა შორის ყველაზე მეტ ღირებულებას წარმოადგენდა აკადემიკოს კორტინსკის მიერ შედგენილი და კარგად გამოცემული შრომა „Ампелография Крыма“, რომელშიც დათმობილი აქვს ადგილი ყირიმში გავრცელებულ ორიოდ ქართულ ჯიშს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ საქართველოს ჯიშების შესახებ არსებული მასალა დიდ და ფრთხილ მიდგომას მოითხოვს; რადგან ბევრი ჯიში, როგორც ირკვევა, აღწერილია ნაამბობის შედეგად, ავტორის დაუსწრებლად. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, მათი აღწერა ხშირად ყოველივე მეთოდის გარეშე ხდებოდა, ინდივიდუალურ მიდგომას კი, საერთოდ ისეთ საკითხებში, როგორიც ამპელოგრაფიაა, უნდა ვერიდოთ, რადგან უნებლიე შეცდომათა დაშვება ადვილი შესაძლებელია.

ძველი მასალები საქართველოს ჯიშების შესახებ არ გამოქვეყნებულა. დაუჯერებელია, რომ ძველთაგანვე ცნობილ მეცნიერებობის ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, სათანადო მემკვიდრეობა არ არსებობდეს; ამის თავიდან აცილება როგორც ჩვენი საკმაოდ მტკიცე წინაინდობა კავშირი

კულტურულ ერებთან, ისე შევენახებოძის ხვედრითი წონა საქართველოში და ჩვენში ძველადგანვე გავრცელებული მწიგნობრობა. პრუფესორი ევანგელისტური ჯავახიშვილი „საქ. ეკონომიურ ისტორიის“ II ტომში აღწერს მწიგნობრობის რუსეთის სამეცნიერო აკადემიის საახიო მუზეუმში დაცული ყოფილა თეიმურაზ ბატონიშვილის XVIII საუკუნის დამლევის ხელთნაწერი წიგნი შევენახებოძაზე. საფიქრებელია, რომ ასეთი და უფრო ძველი დროის მასალა საკმაოდ მოიპოვებოდა და იქნებ მოიპოვებოდა კიდევც...

ამჟამად ვაზის ჯიშების შესწავლის საკითხი ჩვენში ახალ კალაპოტში ჩადგა. მ. ა. ლახარევისკის მიერ დაზუსტებულია ამპელოგრაფიული მეთოდით; საკავშირო მემკენარეობის ინსტიტუტი ფართო მასშტაბით შეუდგა შუაზის ვაზის ჯიშთა შესწავლას; მალარაჩის საცდელი სადგურის ამპელოგრაფიული კოლექცია გადახალისებული და შევსებულია; ჩვენი ინიციატივით შევენახებოძის ინსტიტუტმა (თელავში) და იმ დროს მის სისტემაში შემავალმა შევენახებოძის ზოგიერთმა საცდელმა სადგურმა ადგილობრივი ჯიშების ინვენტარიზაცია ჩაატარეს და შეეცადნენ ყველა ამორიკენული ჯიშისთვის მოეყარათ თავი საამპელოგრაფიო ნაკვეთში; გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი ნარკვევები ამპელოგრაფიის ცალკეულ საკითხებზე (ბარანოვი, ტუბიკოვი, მერტიანიანი, ლახარევისკი და სხვ.); გამოიცა რაიონული ამპელოგრაფიული შრომები ბაშინჯაგინისა—აზერბაიჯანის ჯიშებზე, (დამზადებულია გამოსაქვეყნებლად მ. რამიშვილის შრომა—გურია-სამეგრელოს ჯიშებზე, არ. ფირანიშვილისა—რაქა-ლენჯუმის ჯიშებზე) თ. კვარაცხელიასი—აფხაზეთის და იმერეთის ჯიშებზე და სხვა; შემუშავდა რაიონული სტანდარტული ასორტიმენტი; დაწყებულია ახალი ჯიშების გამოყვანა ფილოქსერის გამძლე საძირებლად და სოკოვან ავადმყოფობათა ამტან ჯიშთა გამოყვანა; ხდება საწარმოო ჯიშების ვარიაციების გამოყოფა; შევენახებოძის ინსტიტუტში (თელავი) შეეცადნენ მსოფლიო მნიშვნელობის ამპელოგრაფიულ კოლექციის საძირკვლის ჩაყრას (1932—34 წ.წ.); გამოქვეყნდა პროფ. ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ II ტომი (1934 წ.), რომელიც დიდ და საინტერესო მასალას იძლევა საქართველოს ჯიშთა შემადგენლობაზე და სხ.

ამხ. ა. ი. მიქოიანის ინიციატივის თანახმად დაწყებულია დიდი მუშაობა კავშირის ამპელოგრაფიის (Ампелография СССР) გამოცემის ირგვლივ. მოხსენებული შრომა! საკავშირო კვებითი კომისარიატის ხაზით გამოქვეყნდება.

დიდ განძს, ადგილობრივ ვაზის ჯიშებს, თანდათანობით პირბადე ეხსენება და უქვევლია, რომ შედარებით მოკლე ხანში თვალწინ გადაგვეშლება მთლიანი საინტერესო სურათი.

II. ოჯახი Ampelideae

ზოგადი ახველოვება

ვაზი — *Vitis* — ოჯახ *Ampelideae*-ს ეკუთვნის. სხვადასხვა დროს ამ ოჯახს უწოდებდნენ: *Vitaceae* (Lamarck), *Sarmantaceae* (Ventenat), *Vinifereae* (Jussien), *Ampelidaceae* (Lowe), *Vitaceae* (Kindley), *Vitigineae* და სხ.

ოჯახ ამჟელიდებს XVII და XVIII საუკუნის ზოგი ბოტანიკოსი სხვა ოჯახის გვირავად სთვლიდა; XIX საუკუნეში ფილოქსერასთან დაკავშირებულ საკითხებთან ეს ოჯახი დაწვრილებით შეისწავლა ფრანგმა მეცნიერმა პროფ. Planchon-მა, რომლის კლასიფიკაციას და დახასიათებლაც ეყრდნობიან თანამედროვე ბოტანიკოსები და ამჟელიდოგრაფები.

ოჯახი *Ampelideae* ზოგადად შემდეგით ხასიათდება: ყვავილები ჰერმადროდიტული ან პოლიგამურია. ჯამი 4—5 ნაწილიანია და იშვიათად 6—7 ნაწილისაგან შედგება. გვირგვინის ფურცლების რიცხვი ოთხი-ხუთია, იშვიათად 6—7 აღწევს; ზოგ სახეობის გვირგვინის ფურცლები ვარსკვლავის მსგავსად იშლება, ზოგისა კი ქვევიდან იშლება; ამ შემთხვევაში ზედა ნაწილი შეზრდილია, შეზრდილი ფურცლები ჩაჩს წარმოადგენს და ყვავილის გაშლის დროს ზევიდან სცილდება. მტერიანები რიცხვით ოთხი-ხუთია, ზოგჯერ 6—7 და იშვიათად ამაზე მეტი. მტერიანაზე მოთავსებულია სამტვოე პარკი; ეს უკანასკნელი ბილოკულარულია და შიგნითა მხრიდან სიგრძეზე იხსნება. ბუდკოს სვეტი მეტწილად ძალიან მოკლეა, ზოგჯერ საკმაოდ სქელი, ცილინდრისებურ-კონუსისებური მოყვანილობისა და დაგვირგვინებულია პატარა დინგიით. თესლკვირტი ორ ბუდეს შეიცავს. ნაყოფი (მარცვალი) ჩენჩოიანი, წიპწიანი, ზოგჯერ მშრალია. მარცვალში წიპწის რაოდენობა 1—4 უდრის, და ეს უკანასკნელი უზღად შეიცავს ალბუმინს. წიპწა ორლებნიანია.

ამ ოჯახში შემავალი მცენარეები ხშირად ბარდისებრი ან მხვიარაა და იშვიათ შემთხვევაში სწორმდგომია. ზოგი სახეობის მიწისზედა ნაწილები მხოლოდ ერთწლიან ნაზარდისაგან შედგება, ზოგიერთს გასივებული ყლორტები და ტოტები აქვთ, მეტ წილს ყლორტები დამუხლებული აქვს; მიწისქვედა ნაწილიც ზოგიერთ სახეობას ძირხვენიისებურად გასივებული აქვს.

ფოთლები მეტად მრავალფეროვანი მოყვანილობისაა: ზოგჯერ მთლიანი, უფრო ხშირად დათენთილი, თათნაირი, თათ-დანაკეთილი და სხ. ყლორტებზე ხშირად გვხვდება მარტივი დატოტეილი პუკალები, რომელთა პირდაპირაც ფოთლებია განწყობილი; პუკალები ფოთლებს ზოგიერთ სახეობაში თანმიმდევრობით ეცვლება ყლორტებზე. ამ ოჯახის ზოგიერთ წარმომადგენელს ეკლები უვითარდება.

ამ ოჯახის გარეული წარმომადგენელი მეტწილად გაფანტულია დედა-მიწის როგორც ცხელ, ისე თბილ ზონებში.

ოჯახ Ampelideae-ს წარმომადგენელი გარეგნულად წაყვანული და ნაწილობრივ ენათესავენბიან ოჯახ Araliaceae-ს წარმომადგენელთ, როგორც საერთო ჰაბიტუსით, ისე ფოთლის აგებულებით; აგრეთვე ოჯახ Rhamnaceae-ს და შედარებით ნაკლებ ოჯახ Meliaceae-ს.

ოჯახი ამჟღადე ათ გვარს შეიცავს, სახელდობრ:

1) Ampelocissus (Planch.), 2) Pterisanthes (Blume.), 3) Clematicissus (Planch.), 4) Tetrastigma (Miguel), 5) Lancukia (Planch.), 6) Parthenocissus (Planch.), 7) Ampelopsis (Mich.), 8) Rholcissus (Planch.), 9) Cissus (Lin.), 10) Vitis (Tournef.).

როგორც აღვნიშნეთ ოჯახ ამჟღადეების წარმომადგენელი მეტწილად გაბნეული არიან ხმელეთის ტროპიკულ და თბილ არეებში. ზემოთდასახელებული გვარები შემდეგ არეებში გვხვდებიან: ამპელოცისუსის წარმომადგენელი მეტწილად აფრიკის და აზიის ტროპიკულ არეებში და მხოლოდ ზოგიერთი მისი სახეობა გვხვდება სხვა ტროპიკულ არეში. ფტერიაზანთისის წარმომადგენელი გვხვდება მეტად ცხელ არეებში (ინდოეთის არქიპელაგის კუნძულები, მალაკა, ბორნეო, ფილიპინები). კლემატაციუსისი გვხვდება მხოლოდ ავსტრალიის ტროპიკულ ნაწილში. პართენოცისუსი საერთოდ გვხვდება მთავორიანი ზომიერი ჰავის პირობებში და ბინადრობს როგორც ჰიმალაის მთის კალთებზე, ისე ჩინეთში, იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და კანადაში. ლანდუკია გარეგნულად ყველაზე მეტად წაგავს პართენოცისუსს და იმავე რაიონებშია გავრცელებული. ამპელოპსისი გვხვდება მკირე აზიაში, სპარსეთში, ცენტრალურ აზიაში, ჩინეთში, იაპონიაში და ჰიმალაის მთის კალთებზე, აგრეთვე ჩრდილო ამერიკაში. როიციუსისი გვხვდება კაპის ნახევარკუნძულზე, თითქმის მთელ ტროპიკულ აფრიკაში და სომალში. როიციუსისი გვხვდება აგრეთვე ამერიკისა და ავსტრალიის ტროპიკულ ნაწილში. ცისუსი ყველაზე მეტად გავრცელებულია მექსიკაში, სამხრეთ ზრაზილიაში და ანტილის კუნძულებზე. ვიტისის ველური წარმომადგენელი გვხვდება აზიის, ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის თბილ და ზომიერ ჰავიან არეებში. ტეტრასტიგმა გვხვდება ინდო-ჩინეთში.

მევენახეობისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ გვარ Vitis-ის რამდენიმე სახეობას, რომლებითაც თანამედროვე მევენახეობა სარგებლობს. ამჟღადეებს დანარჩენ გვარებს ამჟამად ან არაფეთიარი მნიშვნელობა არა აქვთ სოფლის მეურნეობისთვის და კერძოდ მევენახეობისთვის, ან სრულიად მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ; ამ უკანასკნელებს ეკუთვნიან ზოგიერთი სახეობა ამპელოცისუსისა და ნაწილობრივ ცისუსისა და ტეტრასტიგმას წარმომადგენელი.

გვარ ვიტისის წარმომადგენელთა შორისაც მხოლოდ ამ გვარის რამდენიმე სახეობა იძლევა რიგიან პროდუქტს.

საძირედ ხმარებულ მცენარეთათვის აუცილებელი არ არის ზარის-ხოვანი ნაყოფი, ამიტომ ფილოქსერისადმი გამძლე საძირეების შერჩევის

დროს შეეცადნენ ამპელიდეს იმ გვარების გამოყენებას, რომელნიც Vitis-ის გვარში არ შედიან, მაგრამ ფილოქსერისადმი აბსოლუტური გამძლეობით ხასიათდებიან. პირველ რიგში იმედებს ამყარებდნენ ამპელოპსისის, მათეონოციუსის და ცისუსის წარმომადგენლებზე, რადგან დასახელებულ გვარებში დაჯგუფებული ზოგიერთი მცენარე მევენახეობის კლიმატურ პირობებს უფრო მეტად ეგუება, ვიდრე სხვა გვარების წარმომადგენლები. თუმცა მათ ფილოქსერა სრულიად არ უზღვებიათ, მაგრამ საძირებლად სრულიად არ გამოადგენენ: მუცობის დროს არ უზორცდებიან ვაზს და თუ მწვანე მდგომარეობაში შეზორცდნენ, მოკლე ხანში მაინც საბოლოოდ იღუპებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ამპელიდეს ოჯახში შეშავალი გვარების მეტი წილი თანამედროვე მევენახეობისათვის გამოუყენებელია, საჭიროდ მიგვაჩნია მათი მოკლე და ზოკადი განხილვა.

Ampelocissus (Planch.) ამპელოცისუსი

ყვავილი პოლიგამური, ერთბინიანი, 4—5 წვერიანი (ჯამი, ფურცლები, მტკრიანები); ბუტკო მოკლე, კონუსისებური მოყვანილობისაა, წიპწა მოკლე, თითქმის უნიკარტო. ამ გვარში შეშავალი მცენარეები მზვარია ბუჩქს წარმომადგენენ და ყლორტებზე პწკალები აქვთ. ფოთლები მარტივი ან მთლიანი და მეტწილად თათისებრი აქვთ. ზოგიერთი სახის ნაყოფი გამოსადეგია საჭმელად. ფესვები ხშირად ძირბენისებურად აქვთ გასივებული. თავის სამშობლოში წვიმიან პერიოდში მძლავრ ნაზარდს იძლევიან, გვალვიან პერიოდში კი მიწის ზედანაწილები უბმებათ და ასეთ მდგომარეობაში რჩებიან მოშავალი წლის წვიმიან პერიოდამდე.

ამპელოცისუსი ძირითადად განსხვავდება ვიტისისაგან ყვავილზე ჩაბის უქონლობითა და წიპწის მოყვანილობით.

მორფოლოგიური ნიშან-თვისებების მიხედვით გვარ ამპელოცისუსს პლანშონი ოთხ ქვეგვარად ყოფს, სახელდობრ: Euampelocissus (აფრიკა, აზია, ამერიკა), Nothocissus (აზიის ტროპიკული ნაწილი), Kalocissus (აზიის ცხელი არე), Eremocissus (ამერიკა-სანდომინგო).

Euampelocissus-ის ყველაზე მეტად წააგავს ვაზს: ნაყოფი ამერიკულ ვაზს მიემსგავსება, ფოთოლი კი ევროპულს. ნაყოფის გამოყენება შესაძლოა, მაგრამ დაბალი ღირსებით ხასიათდება. ამ ქვეგვარს ეკუთვნის სუდანში მოზარდი გარეული ვაზები. ჩვენს პირობებში ვერ იგვარებენ, თუ არასათბურებში, რადგან სითბოს დიდ რაოდენობას მოითხოვენ. ამ ქვეგვარში 43 სახეობა შედის, მათში ყველაზე უკეთესია Ampelocissus Chantunii (Planchon): მტვეანი სიგრძით 30 სანტ. აღწევს, წონით 1—2 კილოგრამს, შაქარს და სიმკვავეს ცოტას შეიცავს, წვენი 4—5 გრ. ალკოგოლს და ბევრ სიმწკლარტეს იძლევა. საჭიროებს ტენის დიდ რაოდენობას და სითბოს. მის სამშობლოში (ინდო-ჩინეთი) იმედი აქვთ, რომ მის ნაკლებ შაქრიანობას სელექციით გამოასწორებენ.

Eromocissus-ი ერთ სახეობას შეიცავს, Kalocissus-ი 15 სახეობას, Nothocissus-ი 1 სახეობას. ამ ქვეგვარების არც ერთ წარმომადგენელს კულტურისთვის მნიშვნელობა არა აქვს.

Pterisanthes (Bl.) პტერიანთისი

ყვავილები აქვს ერთბინიანი, პოლიგამური. საყვავილე ორგანო თავისებური აგებულობისა აქვს: ზოგიერთი პწკალი გრძელდება, 70—80 სმ. აღწევს და გარკვეულ მანძილზე მობრტყო ფირფიტის მოყვანილობას იღებს, სიგანით—3—8 სმ.; ამ ფირფიტის ნაპირებზე გრძელი ღერუკიანი მტვრიანები გამოდიან, თვით ფირფიტაზე კი განწყობილია დედრობითი სქესის ან ჰერმაფროდიტული ყვავილები.

ყვავილის განაყოფიერების შემდეგ ფირფიტაზე ვითარდებიან წვრილი, ოვალური მოყვანილობის, ლორწოიანი, სქელჭერქიანი მარცვლები.

პტერიანთისი 11 სახეობას ითვლის. გვხვდება აზიის მეტად ცხელ ტროპიკულ ნაწილში და ამავე არეს კუნძულებზე მხვიარა ბუჩქების სახით. პტერიანთისის წარმომადგენლებს მევენახეობისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ.

Clematicissus (Pl.) კლემატიცისუსი

კლემატიცისუსი შეიცავს მხოლოდ ერთ სახეობას. მცენარეები მხვიარა ბუჩქნარია. მათი საშვობლოა დასავლეთ ავსტრალია. ყვავილები პოლიგამური, ერთბინიანი აქვთ. მარცვალი მშრალია; მარცვლის თითოეულ ბუდეში 1—2 მოგრძო მოყვანილობის წიპწა შეგხვდებათ. მცენარე არავითარ აგრონომულ ღირებულებას არ წარმოადგენს.

Tetrastigma (Miq.) ტეტრასტიგმა

ტეტრასტიგმა შეიცავს 38 სახეობას, რომლებიც მეტწილად გაბნეულია ინდოჩინეთის ცხელ ზონაში.

მისი ყვავილი ორბინიანი, პოლიგამურია. მამრობითი სქესის ყვავილები ერთ ბუჩქზე ბინადრობენ, დედრობითისა—მეორეზე. ყვავილი ოთხ წევრიანია. ფოთოლი სამ ან ხუთნაკვითიანი. ამ გვარში შემავალი მცენარეები მხვიარა, პწკალიან ბუჩქებს წარმოადგენენ. მათ ნაყოფს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

Landukia (Pl.) ლანდუკია

ეს გვარი მხოლოდ ერთ სახეობას შეიცავს. მხვიარა ბუჩქისმაგვარია და გავრცელებულია აზიის ტროპიკულ ზონაში. ყვავილი პოლიგამური, ერთბინიანია და ხუთი წევრისგან შესდგება. ფოთოლი სამ ნაკვითიანია. მარცვლები შავი ფერისა, მოგრძო, წვერწაგძელბული მოყვანილობისაა. ლანდუკიას მარცვლის წიპწა ძალიან წააგავს ვაზის მარცვლის წიპწას.



პართენოციხისუნი შეიცავს 7 სახეობას; მათგან ყველაზე გავრცელებულია *Parthenocissus quinquefolia* Planch.; იგი ჩვენშია ბუნებრივად გავრცელებულია აივნების დასაჩრდილავად და კედლების დასაფარავად. ჩვენში იგი „გარეული“ ვახის სახელით არის ცნობილი. ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით; მისი თათისებური ფოთოლი ხუთი ნაწილისგან შესდგება; ფოთლები შემოდგომით წითელ და მუქწითელ ფერს იღებენ. თანაცუვეილენი ქოლგის მოყვანილობისაა. ყვავილი ჰერმაფროდიტული და ზოგჯერ პსევდოჰერმაფროდიტულია, ხუთი წვერისგან შესდგება. მარცვლი წვრილი, შავი ფერის, თითქმის მრგვალი მოყვანილობისა აქვს. ნაყოფი არ იჭმება. ამ სახის სამშობლოა ჩრდილო ამერიკა, სადაც იგი დიდი რაოდენობით იზრდება კანადიდან ვიდრე ფლორიდამდე. როგორც დიდი სიციხის, ისე სიცივის—საკმაოდ ამტანი მცენარეა (-30°); უკეთ ვითარდება ალუვიურ, ღონიერ ნიადაგში; კალციუმის კარბინატს 25% იტანს.

პართენოციხისუნის ამ სახეს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დეკორატიული მებაღეობისათვის; ამ გვარში შემავალი დანარჩენი სახეობანი არავითარ აგრონომულ ღირებულებას არ წარმოადგენენ.

Ampelopsis (Mich.) ამპელოპსისი

ყვავილი ერთბინიანი, პოლივამური (გარეგნული ნიშნებით ჰერმაფროდიტული), ხუთწვერიანია. ამ გვარში შემავალი მცენარეები მხვიარეები არიან და ყველა ფოთლის პირდაპირ პწკალი უვითარდებათ. ფოთლები სხვადასხვა მოყვანილობის, მთლიანი ან სხვადასხვაგვარად დაყოფილია. მარცვლი რბილი, ლამაზად დაფერილი, ოდნავ მოტკბო-მომეავო; არც საჭმელად, არც საღვინედ არ ვარგა.

ამპელოპსისი 14 სახეს შეიცავს. მათგან ყველაზე გავრცელებულია *ampelopsis cordata*; ველურად გვხვდება კაროლინიდან შეერთებული შტატების სამხრეთ საზღვრამდე და ტეხასის დასავლეთ ნაწილამდე, ხშირად მდინარის ნაპირები მთლად დაფარულია ამ ლიანით. ეს სახე საკმაოდ ყინვაამტანია, კარგად ეხვევა აივნებს და კედლებს, იგი მეტად ხშირ და ლამაზ მწვანე კედელს ქმნის და ამის გამო დასავლეთ ევროპის და შეერთებული შტატების დეკორატიულ მებაღეობაში ფართო გამოყენება აქვს.

ამპელოპსისის გვარსვე ეკუთვნის *ampelopsis aconitifolia* Car. მისი სამშობლო ჩრდილოეთ-ჩინეთი და მონღოლეთია. ხასიათდება მეტად დეკორატიული დათენთილი ფოთლებით.

უფრო მეტი დეკორატიული მნიშვნელობა აქვს *ampelopsis serjanifolia*'ს, რომლის ფოთლები აგრეთვე დათენთილია, მაგრამ უფრო ლამაზი მოყვანილობისაა და ღეროც უფრო უხვად შეფოთილია. მტევნებზე ლამაზი, ლურჯ-მომრკვეფილო ფერის, წვრილი მარცვლები აქვს. ყლორტები



გრძელი და წვრილი ეზრდება; უწყვეტი ზღვაშები განწყობილია ფოთლის პირდაპირ. ფესვები ხორციანი, ძირბენისმაგვარი აქვს. ველურად იზრდება ჩრდილო-ჩინეთში და იაპონიაში. ამ სახესაც დეკორატიული მცენარეობაში იყენებენ.

Rhoicissus (Planch.) როიციხისი

გვარი როიციხისი შეიცავს 10 სახეს. ხასიათდება პერმაფროდიტული, ან ფსევდოპერმაფროდიტული ხუთ და იშვიათად შეიდწევრიანი კვავილებით. მცენარეთა შაბიტუსი ვარეგნულად ბუჩქს მოგვაგონებს და ძალიან წააგავს თრიმლის ბუჩქს. მით უმეტეს, რომ ფოთოლთა მოყვანილობაც თრიმლს მოგვაგონებს. მარცვალი წვრილია, 2—6 წიპწას შეიცავს. ველურად იზრდება სამხრეთ აფრიკაში, აბისინიაში და კეთილი იმედის ნახევარკუნძულზე. კულტურული ღირებულება არა აქვს.

Cissus (Lin.) ცისუსი

გვარი ცისუსი სახეთა მეტად დიდ რაოდენობას შეიცავს. თვით ეს გვარი შემდეგით ხასიათდება: ყვავილები აქვს პერმაფროდიტული, ან პოლიგამური, ოთხწევრიანი; ბუტკო მანათის მსგავსია, სადათ იშლება (იშვიათად აქვს ჩაჩი), წიპწა სამკუთხედის მაგვარია, მუცლის მხრივ ორი ჩაღრმავებული კვალი მოსჩანს. მარცვალი 1—4 წიპწას შეიცავს. ზოგიერთი სახის ნაყოფი საქმელად ვარგა.

• მცენარეები ჩირგვნარი, ან მხვიარებია; ამ უკანასკნელთ აქვთ პწკალები და განწყობილი არიან ფოთლის პირდაპირ. ნაყოფი მწკლარტე და უგემური აქვთ; ზოგიერთი სახე საქმელად გამოსაყენებელ პროდუქტს მაინც იძლევა, ღვინის დასაყენებლად კი ნაკლებ გამოსადეგია.

პლანშონი ცისუსს ჰყოფს სამ ქვე-გვარად, სახელდობრ: Eucissus — ამ ქვეგვარში 131 სახეობა შედის, Cypostemma—51 სახეობას და Cayratia—29 სახეობას ითვლის.

ოიციხისის წარმომადგენელნი ხშირად გვხვდება სათბურებში, რომელთა დასამწვენებლად ხმარობენ მას როგორც ამერიკის, ისე ევროპის დეკორატორები. ამ თვალსაზრისით მათგან ყველაზე საინტერესოა *Cissus discolor*, რომლის ფოთოლი შთლიანია, წაგრძელებული მოყვანილობისა და სხვადასხვა ფერად დაფერილი ფირფიტა აქვს; ფი მხვიარაა, მაგრამ მეტად დიდი ზრდით არ ხასიათდება. ყლორტი 3—4 კუთხიანი აქვს, ნახი აგებულობისა და ამავე დროს საქმოდ გრძელი პწკალებით ხასიათდება. პწკალები განწყობილია ფოთლის მოპირდაპირეთ, ამ სახეობის სამშობლოდ ითვლება ინდო-ჩინეთი, კამბოჯი, იავა და მათთან ახლომდებარე ტროპიკული ზონა. დეკორატულ მებაღეობის თვალსაზრისით უფრო საინტერესოა ოიციხისშივე შემავალი *Cissus gongxioides*. ამ მეტად ლამაზ და ორიგინალურ მხვიარას კულტურა ჩვენ პირობებში შესაძლოა მხოლოდ სათ-

ბურში. იგი ხასიათდება ყლორტის მობრტყო მოყვანილობით და ყლორ-
ტებიდან ფოთლისა და პწკალის პირდაპირ გამოტანილ გრძელ და ვიწრო-
სართყელის მსგავს ფესვებით, რომელნიც მიწისგან დიდი სიღრმეებიდან
ეშვებიან. ასეთი აგებულების მცენარეები ხელოვნურად შექმნილ დეკორა-
ტიული ობიექტის შთაბეჭდილებას სტოვენენ. ამ მეტად საინტერესო მხეია-
რას სამშობლოდ ითვლება ბრაზილია, პერუ, და პარაკვაი.

Cypostema-ს ქვეგვარს ეკუთვნის სახეობა *cissus voineriana*. ეს
მხეიარა ხასიათდება ლამაზი შეხედულებით და განსაკუთრებით ღონიერი
ზრდით; ამ შპრით ამპელიდეგს ოჯახში მას მეტოქე თითქმის არა ჰყავს.
ფოთლები მეტად მსხვილი აქვს (ფირფიტა აღწევს 30×35 სმ.); პწკალებიც
ასევე გრძელია (35—40 სანტ.); ღონიერ ზრდასთან ერთად ხასიათდება
სწრაფი განვითარებით და, შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში, დიდ
შენობებს მთლიანად ფარავს. ამ მხეიარას სამშობლოა ტონკინი. ჩვენში
მისი კულტურა მხოლოდ სათბურებში შეიძლება.

Vitis (Tourneuf) შიძინაი

ოჯახ ამპელიდეში შემავალ-გვართა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია
გვარი *Vitis*-ი.

ველური *Vitis*-ი ხასიათდება პოლიგამური ყვავილებით; გვხვდება
ჰერმაფროდიტულ ყვავილებიანი ფორმებიც; მამრობითი სქესის ფორმა
ხასიათდება გრძელი მტვრიანებით და განუვითარებელი ბუტკოთი; დედ-
რობითი სქესის ფორმა კი ხასიათდება კარგად განვითარებული ბუტკოთი
და მეტწილად განუვითარებელი მტვრიანებით; მხოლოდ ამ ბოლო ხანებ-
ში აღმოაჩინეს ყვავილი, რომელსაც მტვრიანები სულ არ გააჩნდა.

ყვავილები შეკრებილია ყვავილედად. ყვავილი წვრილი, მომწვანო ფე-
რისაა, ხუთწევრიანი; ყვავილებს ზემოდან გადაფარებული აქვთ ჩაჩი, რომელიც
ყვავილის მოშწიფების და გადაშლის დროს ზემოდანვე სცილდება.

ჰერმაფროდიტულ ფორმებს მტვრიანა უფრო გრძელი აქვთ, ვიდრე
ბუტკო; სამტვერე პარკი ორი პარკუქანისგან შედგება.

ბუტკო კონუსის მოყვანილობისაა, საკმაოდ გამსხვილებულია და ორ
თესლკვირტს შეიცავს. ნაყოფი მებოკარბული, წვნიანი მარცვლია, ჩენ-
ჩოიანი, შაქრის შემადგენლობით.

წიბწა წვრილი, მსხლის მოყვანილობისაა.

ფოთოლი ხუთ მთავარ ძარღვიანია: ფორმის მიხედვით სხვადასხვა
მოყვანილობითა და სიდიდით ხასიათდება. პწკალი თითქმის ყოველთვის
დატოტყილია და ფოთლის მოპირდაპირეთ მდებარეობს; ასეთივე მდებარეო-
ბა აქვთ მტვერებსაც, რომლებიც პწკალის ადგილას ვითარდებიან.

გვარი *Vitis*-ი პლანშონის კლასიფიკაციით შეიცავს 32 სახეობას,
მათ შორის: 20 სახეობა ამერიკული წარმოშობისაა, 11 აზიური და მხო-
ლოდ 1, ყველაზე მნიშვნელოვანი, *Vitis vinifera* (*vitis*—ვაზი, *vinum*—ღვინო,

facere—გაკეთება, წარმოება) გაბნეულია ევროპის, ჩრდილო აფრიკისა და დასავლეთ აზიის თბილ რაიონებში. Vitis-ის თორმეტი სახე ევროპის ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონას; ერთი გრილ რაიონს, ვაშ. გვერდში შემავალ სახეობათა დანარჩენი წარმომადგენელი კი თბილ და სუბტროპიკულ თბილ კლიმატურ პირობებში ბინადრობენ.

გვარ Vitis-ს პლანშონი ორ ქვეგვარად ჰყოფს, სახელდობრ: Muscadinia და Euvitis. გვარი Muscadinia Euvitis-ისგან ძირითადად განირჩევა მარტივი პწკალებით, ქერქით, რომელიც მერქანს ეკვრის და ნაფლეთებად არ სცილდება როგორც ნამდვილ ვაშს, გახვეებული გულით, რის გამოც დიფერაცია კვირტთან შეუმჩნეველია.

გვარი Vitis-ი შემდეგ ქვეგვარებად და სახეებად იყოფა:

ა. ძველსა და Muscadinia, Planch.

სახეობანი:

1. Vitis rotundifolia, Mich. ამერიკა, შეერთებულ შტატების სამხრ. აღმოს.;
2. Vitis munsoniana, Simps. ამერიკა, შვეიცო. შტატები, ფლორიდა.

ბ. ძველსა და Euvitis, Planch.

ამერიკული სახეობანი:

3. Vitis Labrusca, Lin. (ამერიკ. შვეიცო. შტატების ჩრდილო ნაწილი და კანადის სამხრეთ ნაწილი);
4. „ Californica, Benth (კალიფორნია);
5. „ Caribea, de Cand. (ტროპიკ. ამერიკა);
6. „ Coriacea, Shut. (ფლორიდა);
7. „ Bourgeana, Planch. (მექსიკა);
8. „ Blancoil, Munson (მექსიკა);
9. „ Candicans, Engelm. (ამერიკ. შეერთებ. შტატების სამხრეთი და ცენტრ. ნაწილი);
10. „ Lincecumii, Buckley (ამერ. შვეიცო. შტატ. სამხრეთი და ცენტრ. ნაწილი);
11. „ bicolor, Leconte (ამერიკ. შვეიცო. შტატების ცენტრი);
12. „ aestivalis, Mich. (გაერცელების იგივე არე);
13. „ cinerea, Engelm. (ამერ. შვეიცო. შტატ. ცენტრი და დასავლეთი);
14. „ cordifolia, Mich. (გაერცელების იგივე არე);
15. „ Berlandieri, Planch. (ტექსასი);
16. „ monticola, Buckley (ტექსასი);

17. *Vitis rupestris*, Scheele (ამერ. შვერთ. შტატ. სამხრ. და ცენტრ. ნაწ.);
18. „ *arizonica*, Engelm. (არიზონა და ახალი მექსიკა);
19. „ *rubra*, Michaux (ამერიკ. შვერთ. შტატების ცენტრ.);
20. „ *riparia*, Michaux (ამერიკ. შვერთ. შტატებ. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლ. ნაწილი).

აზიური სახეობანი:

1. *Vitis Coignetiae*, Pulliat (იაპონია);
2. „ *Thunbergii* Sieb. და Zuc. (იაპონია, კორეა);
3. „ *flexuosa*, Thumb. (იაპონია, კორეა);
4. „ *Amurensis*, Ruprecht (ჩინეთი, იპონია, აღმოსავლეთ ციმბირი);
5. „ *Romaneti*, Romanet du Caillaud (ჩინეთი);
6. „ *Davidii*, Carrière (ჩინეთი);
7. „ *Pagnucii*, Romanet du Cail. (ტონკინი);
8. „ *Balanseana*, Planchon (ტონკინი);
9. „ *lanata*, Boxburgh (ჩინეთი, ინდოეთი);
10. „ *pedicellata*, Lawson (ინდოეთი, ჰიმალაი);
11. „ *Retordii*, Roman. du Cail.

ევროპული სახეობანი:

1. *Vitis vinifera*, Lin. (ევროპა, ჩრდილო აფრიკა, დასავლ. აზია).

აქვე მოგვყავს *Vitis*-ის თითოეული სახის ზოგადი დახასიათება¹.

ძვემბარი Muscadinia (მუსკადინია)

***Vitis rotundifolia*, Mich.**

სინონიმები: *v. taurina*, *v. vulpina*, *v. angulata*, *v. peltata*, *v. Floridiana* და სხვა.

მწვანე ყლორტი წერტილებითაა შეფენილი. პწკალები მომცრო და მარტივი. შერქანი ზეტად მაგარი, თითქმის უღღუღგულო და ყლორტი უდიაფრაგმოა. ტოტებს, ტანსა და ზროს ძველი ქერქი ისევე ეკვრება, როგორც ჩვენ პრავალწლოვან ხეებს.

ფოთოლი გულის მოყვანილობისაა და განიერი დაკბილვით ხასიათდება; ფირფიტა ორმხრივ უბუსუსო, ოდნავ ბრქყვილა და ადვილად ტყდება. მტევანი მომრგვალო, 3—20 მარცვლიანია. მარცვლები თანდათანობით ცალ-ცალკე მწიფდება და მოწივის დროს მტევანს იოლად სცილდება და სცივია. მარცვალი წვრილი, მრგვალი მოყვანილობისაა.

წიპწა მსხვილი, აშკარად ქალაზა დანაოქებულია.

¹ L. Ravaz. Les vignes américaines. Viala P. et Vermorel V. Traité générale de viticulture, Ampelographie. ტომი I. Planchon I. E. Ampelidaeae.

მცენარე ღონიერ ბუჩქად იზრდება; ზოგი ფორმა ხეს ემსგავსება და მეტად დიდ ფართობს იკავებს.

როტუნდიფოლიას სამშობლოა ამერიკის სამხრეთი ნაწილი, სადა იზრდება: სახრეთ კაროლინა, ფლორიდა, გეორჯია, ალაბამა, მისისიპი, არკანზასი.

როტუნდიფოლია გარეგნული შეხედულებით საგრძნობლად განსხვავდება ნამდვილი ვაზისაგან; განსხვავდება აგრეთვე ანატომიური აგებულებითაც: მაშინ როდესაც ნამდვილი ვაზი ერთწლიან რქაზე ლაფნის საშუალებით იკეთებს საფეხს, რის შედეგად ერთწლიან ტოტს ქერქი ცვივა, როტუნდიფოლია საფეხ ქსოვილს ეპიდერმისის ქვეშ იფითარებს, ისევე, როგორც ცისუსი და ამპელოციუსი. ამგვარად, ზოგიერთი ნიშანთვისებით, როტუნდიფოლია უფრო მეტად ამპელოპისისა და ამპელოციუსის წააგავს, ვიდრე ნამდვილ ვაზს.

როტუნდიფოლიის დაუბრკოლებლად ზრდა-განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სამხრეთ ქვეყნებში. ეს სახეობა ევროპაში მხოლოდ უკიდურეს სამხრეთ რაიონებში იზრდება და ლალ განვითარებას მხოლოდ მეტად მყუდრო ადგილებში აღწევს.

როტუნდიფოლიას ჯიშთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სკუპერნონგი, რომლის კულტურას სამხრეთ საფრანგეთშიაც შეეცადნენ, მაგრამ არაღამაკმაყოფილებელი შედეგს მიიღეს: მოსავალს უფრო უბარაქოს იძლეოდა, ვიდრე თავის სამშობლო ამერიკაში, მტევანი მეტად თხელდებაოდა და მხოლოდ ერთეული მარცვლი შერჩებოდა ხოლმე; ამას გარდა, ყურძენი მხოლოდ ზოგიერთ წლებში ასწორებდა დაწვიფებას.

ამერიკაში სკუპერნონგი კარგათ ვითარდება ღრმა, ღონიერ ნიადაგებში; შწირ ნიადაგებში იგი სუსტად არის განვითარებულია, თუმცა მოსავალს იძლევა. ნიადაგში კირის საგრძნობ რაოდენობას ვერ იტანს და ყვითლდება; კირისადმი მისი დამოკიდებულება ისეთივეა, როგორც ლაბრუსკასი.

ტოტები მრავალი, მოკლე, მავარი აქვს და მძლავრი ზრდის ჩირგვის შთაბეჭდილებას სტოვებს. ფესვთა სისტემა საკმაოდ მძლავრი აქვს; ფესვი მოყვითალო ფერისაა. მიწისზედა ნაწილი ჯერ სუსტად ვითარდება, მერე კი თანდათან ღონიერდება და ცალკეული ტოტები სიმალით 30 მეტრამდე აღიან ხეებზე.

როტუნდიფოლიას ტოტებს ფესვები ძნელად უფითარდება და ამიტომ მისი გამრავლება შესაძლოა უშთავრესად გადაწვევით ან თესლით (წიბწით); მურობასაც კარგად ვერ ეგუება; შეზარცება ხდება, მაგრამ ნამყენის განვითარება ან არ ხდება, ან ძალიან უბარაქოდ მიმდინარეობს. ეს მოვლენა უნდა აიხსნას არა იმდენად ანატომიური აგებულებით, რამდენადაც ფიზიოლოგიური სხვაობით, რომლითაც ეს ქვეოჯახი განირჩევა.

Vitis-ის გვარის წარმომადგენელთა შორის როტუნდიფოლია ფილოქსერისგან ყველაზე ნაკლებ ზიანდება: იგი თითქმის სრულ იმუნიტეტს

იჩენს; მაგრამ ის გარემოება, რომ: 1) არ იმუნობა, 2) არ ფესვიანდება და 3) კირიან ნიადაგს ვერ იტანს, საშუალებას არ იძლევა, რომ ეს სახეობა საძირედ გამოიყენონ. ამ სახეობის საძირედ გამოსაყენებლად, დღევანდელი ხმარებული ყველა ცდა და ხერხი უნაყოფო გამოდგა. ძალიან საინტერესოდ მიგვაჩნია ა. ნეჯრულის მისწრაფება გამოიყენოს როტუნდიფოლია სხვა ვიტისთან შეჯვარებით¹, თუ გინდ ისეთი ნაჯვარიც მივიღოთ, რომელიც ფილოქსერის გამძლე იქნება. როტუნდიფოლიის სხვა თვისებები (ქარბი სითბოს მოთხოვნილება, დაუფესვიანება, სამყნობლად გამოუსადეგრობა, კირის აუტანლობა და სხვა, მაინც იმდენად მიუღებელია, რომ ასეთი ჰიბრიდი უვარჯისი საძირე იქნება. ძნელი წარმოსადგენია, რომ როტუნდიფოლიას ყველა უარყოფითი ნიშანთვისება გაითიშოს და, ახლად წარმოშობილ ჰიბრიდს მარტო ყველა დადებითი ნიშანთვისება—ფილოქსერის და სოკოს ავადმყოფობის გამძლეობა—შერჩეს. არა ვგვონია, რომ ღირდეს როტუნდიფოლიაზე ამ ხაზით მუშაობა, მით უმეტეს, რომ სხვა სახეობანი გაცილებით მეტ იმედს იძლევიან, ვიტისთან უფრო ახლო დგანან და როტუნდიფოლიაზე ნაკლები დადებითი თვისებებიც არ გააჩნიათ.

როტუნდიფოლია იძლევა მრავალ მტევანს, რომელთა როგორც განვითარება, ისე დამწიფება ერთდროულად არ ხდება; მის ნაყოფზე არც კი ითქმის მტევანით, იგი უფრო კუფხალს მოგვაგონებს, რადგან 5—6 მარცვლიანი; მარცვლი საკმაოდ მავარი, შედარებით უხეში, ნაკლებ წვნიანია; მოყვანილობით მობრტყოა. გენო თავისებური აქვს. ზოგს ეჯავრება, ზოგი მის გემოს ურიგდება. ღვინოს ნაკლები ხარისხისას იძლევა; რთველი რამდენჯერმე უნდა განეორღეს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ მტევნები და მარცვლები ერთდროულად არ მწიფდება.

გარდა ფილოქსერისაღმი გამძლეობისა, ამ სახეობას სხვა დადებითი თვისებაც ახასიათებს: სოკოვანი ავადმყოფობა (ნაცარი, ქრაჭი, შავი სიღამბლე) არც ფოთოლს, არც ყურძენს არ უნდება.

როტუნდიფოლიაზე შეტყუდით, როგორც ამერიკულ ვახთა ისეთ წარმომადგენელზე, რომელიც გვარ *vitis*-ის შორის დიდ გამძლეობას იჩენს ფილოქსერისაღმი და რომელზეც საფრანგეთში წარსულ საუკუნის 80—90 წლებში იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ შემდეგ ხელი აიღეს.

სახე როტუნდიფოლია ჯიშების საკმაო რაოდენობას ითვლის; მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია შემოდდასახელებული სკუპერნონგი. იგი 1554 წ. იპოვნეს გადასახლებულმა მოახალშენებმა მდინარე სკუპერნონგის კუნძულ რუზნოკზე. ამ ჯიშის ცალკე ძირების განსაკუთრებულ განვითარებაზე მიუთითებს ის, რომ თურმე მისი ერთი ძირი დაახლოებით ერთ ჰექტარ ფართობს მჭარავდა. სკუპერნონგის ტოტი არ ფესვიანდება; ხელოვნური წესით მისი გამრავლება შესაძლებელია მხოლოდ გადაწვევით. ხეებზე ასული დაბალი ხარისხის პროდუქტს იძლევა; გაცილებით უკეთეს

¹ Труды Института растениеводства, 1934 г.

პროდუქტს იძლევა მომწრალი ნიადაგებში, ტალავრებად აღზრდის დროს ტეხასში სკუპერნონგის ნაყოფი რიგიან სუფრის ყურძნად ითვლება. მისგან დაყენებული ღვინო, თუ სავსებით მწიფე მარცვლებისგან მზადდება, მწიფე ღვინო და რებით კარგი ხარისხის გამოდის.

Vitis Munsoniana, Simps. (მუნსონიანა)

სინონიმი v. *Floridana*.

ყლორტები მოკლე, წვრილი და შეფენილია წერტილებით. ფოთოლი მომრგვალო, მთლიანი, ფართოდ დაკბილული; ფოთლის ფირფიტა ორთავ მხრიდან ტიტველი, საკმაოდ სქელი, მუქ-მწვანე ფერისაა და წვრილია (7×7 სანტ.). მტევანი 30—40 მარცვლისაგან შედგება; მარცვალი და მტევანი წვრილი აქვს; წვენი მომყავია. მარცვალი მრგვალი მოყვანილობისა და შავი ფერისაა. წიბწა წვრილი, ოდნავ წაგრძელებული, ნაკლებ დანაოკებული. ვაზი სუსტი ზრდით ხასიათდება. მუნსონიანას სამშობლოა ფლორიდა.

ეს სახე როტუნდიფოლიისაგან განირჩევა სუსტი ზრდით, მტევნის და წიბწის მოყვანილობით. ხელოვნური წესით მისი გამრავლება ისევე ძნელია, როგორც როტუნდიფოლიასი; მოსავალს ცოტას იძლევა; სიცივეს სრულიად ვერ იტანს. მევენახეობის პრაქტიკისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

Evitis-ის ძველბარის ამერიკული სახეობანი

ძველი ქერქი ტოტებს სცილდება სარტყლის მსგავს ნაფლეთებად. რქაზე და ყლორტებზე თითოეულ კვირტთან მოიპოება დიაფრაგმა. პუკალი დატოტვილია და ყლორტზე უწყვეტად ან წყვეტილად მდებარეობს. წიბწა მსხლის მსგავსი მოყვანილობისაა. ნაყოფის გემო სპეციფიკურია.

Vitis iabrusca, Lin (ლაბრუსკა)

სინონიმები: *vitis vinifera*, v. *sylvestris americana* Pluk., v. *latifolia*, v. *canina*, v. *Blandi* და სხ.

ლაბრუსკა ევროპაში ყველა ამერიკულ ვაზზე ადრე იყო შემოტანილი. მისი შერევა ვაზის სხვა სახეებთან შეუძლებელია, რადგან იგი მკაფიოდ გამოხატული ნიშანთვისებებით ხასიათდება.

როდესაც ამერიკაში ევროპულ ვაზთა ჯიშების კულტურის შედეგად მარცხი მოუვიდათ, ლაბრუსკას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს და ამერიკელები შეეცადნენ სელექციის საშუალებით უფრო მსხვილმტევნიანი და მსხვილმარცვლიანი ჯიშები გამოეყვანათ; ამ მუშაობის შედეგად მრავალი ჯიში მიიღეს.

ლაბრუსკას სამშობლოდ ითვლება ამერიკის შვერთელი შტატების დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, სახელდობრ: დელაუარი,

მარილანი, ნიუიორკი, ვირჯინია და სხვა. იგი ველურად იზრდება ზღო-
ნარეთა ნაპირებზე და ვაკე ადგილებში, შედარებით ნესტიან პირობებში.
ეს სახეობა არ ხასიათდება მეტად მძლავრი ზრდით, ამავდროულად მინიმალური
რიგვანი განვითარებისათვის საჭიროა კირით ღარიბი, ღრმა, ღონიერი,
არამშრალი ნიადაგები.

ლაბრუსკაზე ფილოქსერა უხვად ჩნდება და დიდი რაოდენობით
ჰქმნის ნოდოსიტეტებს. იმ შემთხვევაში, თუ ლაბრუსკა ღონიერ ნიადა-
გებში იზრდება და ფესვთა სისტემა ღონივრად განვითარა, ფილოქსერის
გავლენა მისთვის დამლუბველი არ არის; იგი ფილოქსერას ეწინააღმდეგება
აგრეთვე ქვიშა ნიადაგებში. ნაკლებხელსაყრელ პირობებში ლაბრუსკა
ფილოქსერას ვერ უძლებს და იმის მიხედვით, თუ რა პირობებში და რა
სიმძლავრით ვითარდება, ფილოქსერისადმი გამძლეობასაც მხოლოდ 8—20
წლის განმავლობაში იჩენს. ამ შემთხვევაში ფილოქსერით დაავადებულ
ფესვებზე ლაბრუსკას ისეთივე იარები უჩნდება, როგორც ევროპულ ვაზს.
იმ შემთხვევაში კი, როდესაც ლაბრუსკას განვითარებისთვის ნიადაგი
ხელსაყრელი არ არის, ამ სახის ვაზი მწერისგან ისევე მალე იღუპება,
როგორც ევროპული ვაზები. ფილოქსერისადმი გამძლეობის თვალსაზრისით
კლიმატურ პირობებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, — უფრო გრილ და ზო-
მიერ ჰავაში იგი მეტ გამძლეობას იჩენს, რადგან ასეთ პირობებში ფილოქ-
სერის გამრავლება შეზღუდულია.

კლიმატური პირობებისადმი ლაბრუსკა დიდი ამტანიანობით ხასიათ-
დება: ყინვას იტანს — 30 გრად. და სიცხეს +45 გრად.

როგორც აღვნიშნეთ, ლაბრუსკას მეტად დამახასიათებელი ნიშან-
თვისებები აქვს და ამიტომ სხვა სახეობათაგან მკაფიოდ განირჩევა. ძირი-
თადად იგი მათგან განსხვავდება შემდეგით: ყლორტებზე უწყვეტი
პწკალები აქვს, ე. ი. თითოეული ფოთლის მოპირდაპირე მხარეს არის
კარგად განვითარებული და დატოტვილი პწკალი; ფოთლის ფირფიტის
ქვედა მხარე უხვად არის შებუსხვილი; მარცხალი ღორწოიანი და სპეცი-
ფიკური გემოსია; გემოს ეს თავისებურება მეგნენახეობაში ცნობილია თერ-
მინით „ჩიჯ“¹. ფესვები საკმაოდ მსხვილი და ხორტიანი აქვს.

ლაბრუსკა ანატომური აგებულებითაც განსხვავდება: ეპიდერმისის
ქვედა უჯრედები მეტად წვრილი და არა თანაბარი მოყვანილობისაა.
ბაგეები კარგადაა გამოხატული და დიდი ზომისაა. მარცვლები მხოლოდ
ზოგიერთ ჯიშს აქვს თეთრი, მეტწილად კი შავია. ლაბრუსკას ყურძნის
თავისებური გემოს გამო ევროპელებს იგი არ მოსწონთ, ამერიკაში კი მას
შეიჩვივნენ. ნაყარი არ უჩნდება, კრაქი საგრძნობ ზარალს არ აყენებს, ანტ-
რაკნოზი ძალიან ვნებს. 10% კირის შემცველი ნიადაგები ლაბრუსკა-
სათვის ზოგჯერ უკვე დამლუბველია, — ქლორიზი უჩნდება; რქა ძალიან

¹ მელას სუნი.

იოლად ფესვიანდება; ევროპულ ვაზთან კარგად იმყნობა და შეზოროვნების დიდ პროცენტსაც იძლევა.

ლაბრუსკა ხასიათდება საკმაო ღონიერი ზრდით და ახრატყვხ მდიდრუნარიანობით; საკმაოდ მსხვილ ტანს იკეთებს.

ნიხლნიქოსკა

კვირტები მოკლე, მსხვილი და კონუსის მოყვანილობისა აქვს. ახალგაზრდა ფოთლის კიდემბი მუქ-მოწითალო ფერისაა და დაფარულია ბალნის მზგავი ბუსუსით. მტერიანები გრძელია, კარგად განვითარებული; ბუტკო პატარაა და მოგრძო სეცით ხასიათდება.

რქა ძალიან გრძელი და საკმაოდ სქელია, ადრე მწიფდება. ყლორტი მწვანე-ქუტყუიანი ფერისაა და დაფარულია თეთრი ან მოყვითალო ბაშის-მაგვარი ბალნით, რომელიც უფრო დიდი რაოდენობით შესამწინეია ყლორტის წვერზე. მუხლთშორისები საშუალო სიგრძისაა; რქა შედარებით მალე ტყდება; რქა დუღულოს დიდ რაოდენობას შეიცავს. როგორც აღვნიშნეთ, პწკალები უწყუტად არიან განწყობილნი, ე. ი. ყველა ფოთლის მოპირდაპირე მხარეზე პწკალი იმყოფება. ფოთლი აქვს დიდი (25—27 სანტმ.), მოგრძო მოყვანილობის, ნაკლებასიმეტრიულია. ფოთლის ფირფიტა მთლიანი, ზოგჯერ სამნაკეთიანია; ფოთლის ყუნწის განაკეთი მომრგვალოა; ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე მუქ-მწვანე ფერისა და ოდნავ ნობრკუყვიალოა; ქვედა მხარეს ნერვაცია კარგად არის გამოხატული და ბამბის მზგავს თეთრ ან მოყვითალო ბალნით არის შეფენილი.

მტევენი საშუალო ან საშუალოზე მომცროა; მტეწილად თხელი და კონუსური მოყვანილობისაა; მტევენის ყუნწი გრძელია; მარცვლის ყუნწი მოკლე, მარცვალთან შეერთებისას გასივებულია; მარცვლი საშუალო ან საშუალოზე მომცროა, კანი უხვად არის დაფენილი ვიტინით; ჩენჩო საკმაოდ სქელია; ხორცი ღორწიანი, ნაკლებ წენიანია, ხასიათდება გარკვეული სპეციფიკური სუნით და გემოთი. მოსავალი უხვი იცის; ყურძენი ერთდროულად არ მწიფდება.

წიპწის რაოდენობა მარცვალში ორი-სამია; წიპწის სიგრძე 5—6 და სიგანე 3—4 მილიმ. აღწევს; ფერი მუქი მობრკუყვიალოა; ნისკარტი მოკლე და შედარებით წვრილია.

ლაბრუსკას ერთერთი წარმომადგენელი მალლარის სახით საკმაო რაოდენობითაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში; აქ იგი ცნობილია „აღესის“ სახელწოდებით. ეს ჯიში შეტანილია ჩვენ სტანდარტულ ასორტიმენტში (იხ. გვ. 145 და 172), მისი ნამდვილი სახელია „იზაბელა“. იზაბელას გარდა ლაბრუსკას სახეობას ეკუთვნის მთელი რიგი ჯიშები, რომელნიც ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ გავრცელებული არიან. ამ ჯიშების ყველა წარმომადგენელი ხასიათდება თავისებური სპეციფიკური სუნით, გემოთი და მარცვლის წვენის ღორწიანობით. ყურძნის ასეთ თავისებურებას ამერიკელები არ იწუნებენ, ჩვენი გემოვნებისთვის კი იგი ნაკლებ მისაღებია. ლაბრუსკას ეკუთვნის ჯიშები, Early victor, Seneca,

North America, Bebecca, Muscadine, White-fox, Ives' seedling, Concord, Cambridge, Lady, Champion და სხვა მრავალი. მათგან ჯიში Concord იყვლება მეტადაა გავრცელებული და მეტი ბოჰულარობითაც სარგებლობს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კონკორდი ხასიათდება ლალი ზრდით. მისი ფოთლის ფირფიტა მომრგვალო მოყვანილობის არის, ფართო, აბურცული, მეჭი-მწვანე ფერისა, მობრწყვილოა და ქვედა მხარედან უხედაა შეფენილი მრეში ფერის ბუსუსით. ყლორტების წვერები მოწითალო ფერისაა; ყლორტი საკმაოდ უხედაა შებუსული ღია-წითელი ფერის ბუსუსით. მტევანი მომსხო, შედარებით თხელი, ხშირად დატოტვილი. მარცვალი შავი, მსხვილი, მრგვალი, ნაკლებ მკერივი, ლორწოვანი; ხასიათდება გარკვეული სპეციფიკური სუნით და გემოთი. მწიფდება მოგვიანებით.

კონკორდი საკმაოდ უხვმოსავლიანი ჯიშია; ღამაზი, მიმზიდველი შეხედულებების მტევანი აქვს; გემო თუმცა სპეციფიკური აქვს, მაგრამ უფრო ნაკლებ გამოხატული, ვიდრე ამავე სახეობის სხვა ჯიშებს; მისი გემო ზოგს მარწყვის სუნსა და გემოს აგონებს... კონკორდის ღვინო თხელი, წითელი ფერისაა და ორიგინალური სურნელებით ხასიათდება. კონკორდი უფრო მნიშვნელოვანია, როგორც სუფრის ყურძნის ჯიში.

კონკორდს ფილოქსერისადმი გამძლეობა ნაკლები აქვს, ამიტომ საძირედ არ ვარგა; ნაცრისადმი აბსოლუტური გამძლეობით ხასიათდება; კრაქის წინააღმდეგ წამლობა არ სჭირდება; შავ სიდამპლეს და ანტრაქნოზს კი ვერ ეწინააღმდეგება. ღრმა, ღონიერ, არამშრალ და კირის ნაკლებ შემცველ ნიადაგებში ლაბრუსკას ეს წარმომადგენელი კარგად ხარობს, უხვ მოსავალს იძლევა და ღამაზთან მტევნებს ინვითარებს. მისი კულტურა შეიძლება თბილ რაიონებში რადგან ურძენი მოგვიანებით მწიფდება.

Vitis californica, Bentham (კალიფორნიკა)

სინონიმები: v. Girdiana, V. caribaeae.

ამ სახის წარმომადგენელთა საშობლოდ ორეგონა და კალიფორნია ითვლება; ამ ქვეყნებში კალიფორნიკა განსაკუთრებული ღონისა იზრდება. ხშირად ამ სახის ვაზის ძირების ზროს წრეწირი 155 სანტიმეტრს აღწევს, ე. ი. მისი დიამეტრი ნახევარ მეტრს აღწევს. ტოტებს დიდი რაოდენობით იკეთებს; ტოტები დიდი სისწრაფით ეხვევა ხეებს და მათ წვერომდის ადის. ტყე, რომლებშიც კალიფორნიკა დაუბრკოლებლივ ვითარდება, გაუფალ, უღრან ტყეს წარმოადგენს. მშრალ პირობებში კალიფორნიკას ვაზები სუსტია და დაკუტება იცის. ამ სახეობის ვაზები გვხვდება უმეტესად მდინარეების ნაპირზე და ზოგჯერ დაქაობებულ ნიადაგებზეც.

ფოთოლი მომრგვალო მოყვანილობისა აქვს და ღონიერ ნიადაგებში ფირფიტა დიდ სიმსხოს აღწევს (22 X 23 სმ.); მწიკ ნიადაგებში კი წვრილი-

ფოთოლა რჩება. ყლორტის წვერის ფოთოლი გულის მოყვანილობისაა. ფირფიტის ნაპირი თითქმის დაუკბილავია. ყლორტები წახნაგოვანი და უზღვად შეფენილია მატყლის მსგავსი ბალნით; ასეთივე ბალნით კრის შეფენილი ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარიდან მთავარი და მეორე რიგის ძარღვები.

ფოთლის ეპიდერმისის ქვეშ შესამჩნევია სამი-ოთხი დიდ უჯრედებიანი შრე, რომელნიც მოგრძო, არათანაბარი მოყვანილობისა არიან. მათ შიგადაშიგ შესამჩნევია საკმაოდ დიდი სიციარილებანი. ბაგეები სხვადასხვა სისხოსია (24—30 μ .); რქის დიფერენცია საკმაოდ განვითარებული და სქელია.

კალიფორნია იოლად ავადდება სოკოს ავადმყოფობით. ჰრაქი მას ისევე ენებს, როგორც ევროპულ ვაზს, ფილოქსერასადმი გამძლეობა უმნიშვნელო აქვს, ლაბრუსკაზე ნაკლები¹.

ფესვიანდება დიდი სიმწელით, მყნობას კი კარგად იტანს; ახასიათებს კირისადმი საშუალო გამძლეობა.

აღნიშნული უარყოფითი თვისებების გამო (დაუფესვიანებლობა, სოკოვან ავადმყოფობის მიმართ სუსტი გამძლეობა და სხვ.) ეს სახეობა საძირედ არ იხმარება.

მტევანი მოგრძო, მომცრო (10—15 სმ), ცილინდრული მოყვანილობის, თხელი, გძელყუნწიანია. მარცვალი წვრილი, მრგვალი, წვნიანი, სქელწინიანი, შავი ფერისა. მარცვალში მტეწილად ერთი წიპწია.

ყურძენი გვიან მწიფდება, პროდუქტი დაბალი ღირსებისაა. ამ მიზეზების გამო მას სამეურნეო ღირებულება არა აქვს და ამიტომ მევენახეობის პრაქტიკაში *v. californica* არც ყურძნად იხმარება, მიუხედავად იმისა, რომ ღრმა ნიადაგებში და ტენით უზრუნველყოფილ პირობებში განსაკუთრებულ ღონეს აღწევს.

Vitis caribea, de Cand. (კარიბეა)

სინონიმები: *v. Indica*, *v. tillifolia*, *v. acuminata*, *v. arachnoidea*, *v. fructicosa*, *v. humectans*, *v. cisampelos* და სხ.

კარიბეას წარმომადგენელთა სამშობლოა ამერიკის ტროპიკული და სუბტროპიკული ნაწილი: მექსიკის ცხელი რაიონი, კუბა, პორტორიკო, პანამა, გუადალუპი, იამაიკა და სხვ. ევროპაში იგი არსად არ გვარობს, თუ არ სპეციალურ სათბურებში.

ამ სახეს ჰგავს მექსიკური სახე ბლანკოიი და აზიური ლანატა.

ვაზი ხასიათდება მეტად ღვინიერი ზრდით, სქელი ტანით, მოწითალო ქერქით. რქა გრძელი იზრდება, მოწითალო ფერი აქვს და წვრილ-

¹ კალიფორნიაში ფილოქსერა აღმოაჩენილი იყო 1873 წ., რის შედეგად ეს სახე კალიფორნიის ტყეებში საგრძნობლად დაზარალდა.

კვირტიანია. მუხლთშორისები მოკლეა, პწკალი წყვეტილი, წვრილი, 2-3 ნაწილიანი. ყვავილი მეტწილად ჰერმაფროდიტულია.

ფოთოლი საკმაოდ დიდი (17×15 სანტ.) და მომრგვალოა, ფიჭვიანი ფიჭვა მთლიანია, იშვიათად სამნაკეთიანი. ფოთლის ყუნწის საკმაოდ ღრმია. ფოთლების დაკბილვა რეგულარული და განიერია, კბილანები წვეტი თავედება. ფოთლის ფირფიტის ზედამხარე მუქ-მწვანე ფერისაა, ქვედამხარე კი საკმაოდ შებუსუსულია თეთრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი გრძელია.

მტევანი წვრილი და არათანაბარია; ხასიათდება მოგრძო მოყვანილობით და მეჩხერი აგებულებით. მტევნის ყუნწი გრძელია, მარცვლისა კი მოკლე. მარცვალი წვრილი, მრგვალი, სქელკანიანი, შავი ფერისა და ლორწოიანია. წიბოა წვრილი (4×3 მ.მ.), მოკლე ნისკარტიანი, ნაკლებ განვითარებულია.

რადგან კარბება ტროპიკული ზონის ვაზია, ამიტომ ჩვენი პირობებისათვის ყოველგვარ ინტერესს მოკლებულია.

Vitis coriacea, Shuttleworth (კორიაცეა)

სინონიმები: *v. caribea*, *v. candicans*.

ამ სახეს წინად კანდიკანს უკავშირებდნენ და იგი მხოლოდ პლან-შონმა გაზოყო.

კორიაციას სამშობლოა ფლორიდა; იგი თითქმის იმავე ზონაშია გავრცელებული, რომელშიც მუნსონიანა. ეს სახეობა მევენახეობის თვალსაზრისით ინტერესს არ წარმოადგენს, რადგან მხოლოდ ტენიან ტროპიკულ ზონაში ხარობს.

ვაზი საშუალო ღონისა იზრდება, ხეებს იოლად ეხვევა და საკმაოდ ხშირ ბარდებს ქმნის.

მტევანი მოგრძო, საშუალოზე მომცრო, ნაკლებ დატოტვილი აქვს; მარცვალი მომცრო, მრგვალი, შავია, საკმაო შაქარს შეიცავს; წვენი ინტენსურად შეფერილია და რიგიანი გემო აქვს.

რადგან მევენახეობისათვის ამ სახეს მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ მის დაწვრილებით აღწერაზე არ შევჩერდებით. რავაზის აზრით კორიაცეა იგივე კარბებაა, უკეთ რომ ვსთქვათ, მისი სახესხეობაა და მისი ცალკე სახედ გამოყოფა მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

Vitis Burgaena, Planchen (ბურგინა)

ვაზის ამ სახის სამშობლოდ ორიზონა და მექსიკა ითვლება. იგი ხასიათდება ხუთ ან შვიდნაკეთიანი ფოთლებით, რომელთა სიგრძე გაცილებით სკარბობს სიგანეს. ფოთლის ყუნწის ღრუ გაშლილი, მომრგვალო



მოყვანილობისაა. ყვავილები გრძელი და კარგად განვითარებულია. ტოტები ვერტიკალური მიმართულებით იზრდება. ყლორტები და კვირტები მუხლთშორისები გრძელია, კვირტები მოგრძო, წამწვეტილ პწკალები გრძელი და წვრილია.

ზოგი ბოტანიკოსის აზრით ეს სახე ამერიკულ გადაგვარებულ ვინიფერას წარმოადგენს. ამჟამად შევენახეობის პრაქტიკისათვის მის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მეტად ცხელ ზონაში ვითარდება.

Vitis Blancoii, Munson (ბლანკონისი)

ამ სახის სამშობლოდ ითვლება სიერა მადერის მთის კალთები (აღმოსავლეთ მექსიკა).

ბასიათდება შორჩილი ზრდით; ყლორტები და რქა უხედააა შეფენილი თეთრ-მორუბო ბალნით. მუხლთშორისები მოკლეა; კვირტები მსხვილი, წამწვეტილი და კარგად განვითარებული; პწკალები—წვეტილი, წვრილი, ორ ნაწილიანია.

ფოთოლი წვრილი, წაგრძელებული, მთლიანი, საკმაოდ თხელფირფიტანია; ფოთლის ყუნწის ღრუ ღიაა. კბილანები ძალიან წვრილი და წამწვეტებული; ფოთლის ყუნწი წვრილი და მოკლეა, შებუსუსია თეთრი ბუსუსუსით.

მტევანი წვრილი, მოგრძო, საკმაოდ კუმსია; მტევნის ყუნწი მოკლე, წვრილი, მაგრამ მაგარია. მარცვალ შავი, წვრილი, მრგვალი და ლორწიანია, ჩენჩო მეტად სქელია.

მევენახეობის პრაქტიკისათვის ამ სახეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

Vitis candicans, Fagelmann (კანდიკანისი)

სინონიმები: v. mustangensis, v. taurina.

კანდიკანისი ამერიკაში ცნობილია Mustang grape-ის სახელწოდებით. საფრანგეთში იგი შემოტანილი იყო ფილოქსერის აღმოჩენის შემდეგ, მაგრამ, ამ ვაზის განსაკუთრებული ღონიერი ზრდის მიუხედავად, მისი გავრცელება შეფერხდა რქების მეტად ძნელად დაფესვიანების გამო, ვადწვენით გამრავლების დროსაც კი რქა ძნელად ფესვიანდება.

ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო და ჩრდილო დასავლეთ ტყეებში კანდიკანისი ისევე ხშირად გვხვდება, როგორც სახეობა რიბარია. ჩრდილოეთით მისი გავრცელების არეს საზღვრავს მდინარე არკანზასი; იგი გვხვდება აგრეთვე მექსიკაში და ფლორიდაში. მისი ბუნებრივი გავრცელების არე თითქმის იგივეა, რაც ბერლანდიერისა, მაგრამ კანდიკანისი უფრო მეტად არის გავრცელებული.

კანდიკანის ტანის წრეწირი თავის სამშობლოში ხშირად აღწევს 50 და ზოგ შემთხვევაში 130 სანტიმეტრსაც კი. იგი დიდ ხეებს ეპოტინება და მათ ისე მძლავრად ეხვევა, რომ ხშირად ღუპავს კიდეც. ახგურთის წიგნის ზეობის ხეების წვერებზე უზარმაზარ ქოლგებსა ჰქვნიან, მათი ტოტურები და ყლორტები ერთი ხის წვეროდან მეორეზე გადადიან. მოგზაურები ირწმუნებიან, რომ სადაც კანდიკანსი ლალად იზრდება, იქ ტყე ბნელია, ვინაიდან მზის სხივი დედამიწას ვერ აღწევს; ტუქასში თურმე ასეთი სურათი მრავალ ათას მეტრზეა. მოგზაურებს ტრიალ მინდორში ხშირად შეუქმნივიათ უზარმაზარი ხეების ვეგუფი, გამზმარი კანდიკანის მძლავრად მოხვევის გამო; ეს ხეები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს ისინი ხელოვნურად დაურგავთ ამ მძლავრი ზრდის ეახის დასაყრდნობადღო.

კანდიკანსი ხასიათდება სიმშრალის განსაკუთრებული ამტანიანობით; თავის სამშობლოში იგი გვხვდება ფერდობებზე და ვორაკის მწვერვალებზე, ისეთ გვალვამტან მცენარეთა შორის, როგორც კაკტუსებია. თუმცა მას ასეთ პირობებშიაც საკმაოდ განვითარებული ტანი აქვს და ფოთოლი იშვიათად უტყნდება, მაგრამ ზრდას დაბლობებსა და მდინარის ნაპირებზე ამჯობინებს. ამ შემთხვევაში მისი ზრდა განსაკუთრებული ღონით ხასიათდება.

კანდიკანსი კარგად ვითარდება ალუვიურ, უკირო ნიადაგებში. ეგუება აგრეთვე მძიმე, თისა და მთავე ნიადაგებსაც. იგი გვხვდება ნაკლებ კირნარ ნიადაგებზეც, მაგრამ მხოლოდ მშრალ კლიმატურ პირობებში; ამ შემთხვევაში მორჩილი ზრდა და წვრილფოთლიანობა აბასიათებს.

კანდიკანის კვირტები უხვად არის დაფენილი თეთრ-მოყვითალო ბუსუსით. 2—3 კვირტი მეტწილად ერთადაა მოთავსებული. ახალგაზრდა ფოთოლი მოწითალო ფერისაა და უხვადაა დაფარული თეთრი ბუსუსით. კოკორი კარგად განვითარებული და გრძელი ცილინდრული მოყვანილობისაა; მტერიანები გრძელია, ბუტკო კონუსის მოყვანილობისაა. ყვავილედის ყვავილთა მეტი წილი მამრობითი სქესისაა.

რქა და ყლორტი დაკუთხული, ძალიან გრძელი და საკმაოდ მსხვილი აღნაგობისაა; ნამხვრევეები შედარებით მკირერიცხოვანი; მაგრამ ღონივრად განვითარებულია და ყლორტისადმი სწორი კუთხით არიან განწყობილი. დუღგულოს რქის ორი მესამედი უკავია. დიაფრაგმა სქელი და კარგად განვითარებულია. მუხლთშორისები საშუალო სიგძისაა. პწკალი წყვეტილი, ორ-სამ მუხლიანი, სქელი და კარგად განვითარებულია.

ფოთოლი საშუალო სიგრძის, მთლიანი, გულისებრ—მომრგვალოა; ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ნაკლებ სიღრმეზეა შეჭრილი. ფოთოლი სქელია; ქვედა მხრისკენ ფირფიტა იმდენად შეზნექილია, რომ ჯამს მოგვაგონებს და წყლის სასმელადაც კი გამოდგება. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე მუქ-მწვანე და მობრტყვიანაა, ქვედა მხარე-კი იმდენად უხვად არის დაფენილი თეთრ, ბამბის მსგავს მოკლე ბანჯგვლით, რომ სრულიად თე-

თრია, რითაც ყველა სხვა სახეობისაგან განირჩევა; სწორედ ამის გამო ეწოდა მას *candicans*-ი. ფოთლის უნწი სქელი და მოკლეა, ყლორტების იგი სწორკუთხეს ქმნის.

მტევანი წვრილი, არათანაბარი და თხელია; მტევნის უნწი მოკლეა; მარცვლის უნწიც მოკლეა; მარცვალს ჩენჩო იოლად სცილდება. ხშირად, მარცვლის მოწყვეტის დროს, მარცვლის ხორცი უნწზე რჩება და მარცვალს მხოლოდ ჩენჩო სცილდება. მარცვალი მომსხოა, შავ-მოწითალო ან მოთეთრო ფერისა; მოყვანილობით მრგვალია და აგებულებით ლორწოიანი; წვეწვს ნაკლებად შეიცავს; მწლაკე გემო აქვს.

მარცვალში წიბწა მეტწილად სამია, წიბწა საკმაოდ მსხვილი (7×5 მმ.), მოგრძო და ასიმეტრული მოყვანილობისაა.

კანდიკანის ირგვლივ საკმაო მუშაობა ჩატარდა საფრანგეთში: მისი დიდი ზრდის ღონე, ფილოქსერისა და სოკოვან ავადმყოფობისადმი გამძლეობა, აგრეთვე გვალვის ამტანიანობა საკმაო პერსპექტივებს იძლეოდა, მაგრამ მისი განსაკუთრებულად ძნელო დაფესვიანება და კირის აუტანლობა უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენდა. ამ ნაკლის შესავსებად კანდიკანის მთელ რიგ სხვა ჯიშებთან შეაჯვარეს, მაგრამ შრომამ უნაყოფოდ ჩაიარა.

Vitis Linccumii, Buckley (ლინცეკუმი)

სინონიმი: *v. diversifolia*.

ლინცეკუმი ველურად იზრდება სამხრეთ მისსურსა, არკანზასსა და ლუიზიანაში.

ზოგიერთი ბოტანიკოსი მას უკავშირებს მის მსგავს ესტივალის. იგი ძალიან წააგავს აგრეთვე ბიკოლორს; ამ სამ სახეს შორის მკაფიო განსხვავება არც კა არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წიბწას, მარცვლის სისხოს, ფოთლის დანაკეთას და ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარეს.

თავის სამშობლოში ლინცეკუმი კარგად ვითარდება მდინარეების ნაპირებზე, თუმცა დიდ სიციხეს და სიმშრალესაც კარგად იტანს. იგი დიდი რაოდენობითაა გაბნეული მისსურის უღრან ტყეებში, სადაც მუხის ხეებს ხალისით ეპოტინება და ღონიერ განვითარებას აღწევს; მისი ტანის წრეწირი ზოგჯერ 80 სმ. აღწევს.

კვირტები მსხვილი, კონუსისებურ მოყვანილობისაა და დაფარულია მოწითალო ბანჯგვლით. ახალგაზრდა ფოთოლი ხუთნაკეთიანია და ლამაზ მოწითალო ფერს დიდბანს ინარჩუნებს.

ყლორტს გრძელს ანვითარებს, რქა გვიან შემოდის; იგი გლუვი და ოდნავ მობრჭყვიალოა, თანაც ოდნავ ნაცრისფერი გადაკრავს. ყლორტის



მოყვანილობა წახნაგოვანია. დიაფრაგმა ნაკლებ განვითარებულია და ნაკლები სისქით ხასიათდება ($1/2 - 1$ მ.მ.). მუხლთშორისები გრძელია, მკვეთრად გამოხატულია და მკვეთრად განვითარებულია. მსხვილი და ღონიერად განვითარებულია.

ფოთოლი ძალიან დიდია (32×35 სანტ.) და თითქმის თანაბარი სიგრძისიგანისაა, მოყვანილობით მომრგვალო, ოდნავ ასიმეტრულია; ფირფიტა მთლიანი, ჩლუნგწვერიანი, იშვიათ შემთხვევაში საშნაკეთიანია. ფოთლის ყუნწის ნაკვეთი ღრმად არის შეჭრილი. ფირფიტა სქელი და ოდნავ დანაოკებულია; მისი ზედა მხარე მუქი-მწვანე ფერისაა. ქვედა მხრიდან იგი პრიალაა და ძარღვები შებუსულია მოწითალო ბუსუსით. ფოთლის ყუნწი გრძელი და მაგარი და ყლორტისადმი სწორკუთხედად არის განწყობილი.

მტევანი საშუალო ან საშუალოზე მომცრო, მოგრძო მოყვანილობისაა. მარცვალი საშუალო ან საშუალოზე მომცროა; მტევანში მარცვლები ერთდროულად არ მწიფდება. მარცვალი შავია, მრგვალი, მაგარკანიანი; იგი უხეად არის დაფენილი ვიტინით. ხორცი ოდნავ ღორწონი და საკმაოდ ტკბილია.

მარცვალი შეიცავს საკმაოდ მსხვილ, მოგრძო, მსხლის მოყვანილობის 2-5 წიპწას.

ლინცეუმში სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ კარგი გამძლეობით ხასიათდება. ამერიკაში მან საკმაო ყურადღება მიიპყრო, როგორც სხვა ჯიშებთან შედარებით უკეთესი მოსავლიანობით, ისე პროდუქტის უკეთესი ხარისხით. ვენახში კულტურის დროს ხელოვნურად ანაყოფიერებენ, რადგან ყვავილები დედრობითი სქესისა აქვს, — გადაცაკული მტვრიანებით; მტვრიანების პარკუჭანებიც ნაკლებ განვითარებული აქვს. ამ მიზეზების გამო თანაბარი მოსავალი არ იცის — მტევანი ზოგჯერ მეტად ფაჩხატარჩება.

მიუხედავად იმისა, რომ ლინცეუმში ფილოქსერისადმი საკმაო გამძლეობით ხასიათდება, იგი საძირედ ვერ გამოდგება, რადგან ძნელად ფესვიანდება; გარდა ამისა იგი კარგი ზრდისათვის ღრმა, ღონიერ უკირო ნიადაგებს საჭიროებს და სითბოს მოყვარულიცაა.

ეს ამერიკული სახე ფართოდ გამოიყენა ფრანგმა ჰიბრიდიზატორმა ზაიბელმა მის მიერ მოხდენილ შეჯვარებათა დროს. ამ საკითხს თავის დროზე შევხებით.

ლინცეუმის ველურად მოზარდ ვაზებიდან Jaejer-მა გამოყო მთელი რიგი ფორმები, რომელნიც უკეთესი ხარისხის ყურძნით ხასიათდებიან. კულტურაში ეს ფორმები ცნობილია სხვადასხვა ნომრებით, მათში საუკეთესონი არიან: №№ 20, 32, 1, 13. Munson-მა თავის მხრივ ველური ლინცეუმის ვაზებიდან გამოყო მთელი რიგი ფორმები.

Vitis bicolor, Leconte (ბიკოლორი)



საქართველოს
ენციკლოპედია

სინონიმები: *v. coerulea*.

ბიკოლორის სამშობლო შვედეთის შტატების ჩრდილო-დასავლეთ ნაწილია; უფრო სწორად გვხვდება მიჩიგანში, ინდიანაში და ნიუიორკის შტატში, აგრეთვე ვირჯინიაში.

ვაზი მომცრო ღონით ხასიათდება, თუმცა საკმაოდ სქელ ტანს იკეთებს. ყლორტები გრძელი, საკმაოდ მსხვილი და წახნაგოვანი აქვს; დიაფრაგმა საკმაოდ განვითარებული აქვს (3 მმ.).

ფოთოლი საშუალო სისხოსი (15×17 სანტ.), მომრგვალო მოყვანილობის, წვერში წაილუნგებული და მეტწილად მთლიანია; ფოთლის ფირფიტის ზევითა ნაკეთის ნაწილი საკმაოდ განვითარებულია; ფოთლის ფირფიტა ნაკლები სისქით ხასიათდება, ზედამხარე ბაცი მწვანე ფერისაა, ქვედა კი—აფურის ფერისა. ნერვატია ფოთოლში კარგად მოჩანს. ფოთლის ყუნწი საშუალო სიდიდისაა.

მტევანი მომცრო და შეკუმშულია. მტევნის ყუნწი წვრილია და მოწითალო ფერი გადაჰკრავს; მარცვალი წვრილი, მრგვალი, შავი ფერისაა. ჩენჩო თხელი და ელასტიურია. წვენი შაქარს საკმაოდ რაოდენობით შეიცავს და საკმაოდ სასიამოვნოა. წიპწა წვრილია, თითოეულ მარცვალში ორი-სამი; წიპწის ნისკარტი მოკლე, მაგრამ კარგად გამოსახულია.

ბიკოლორი მევენახეობასათვის უმნიშვნელო სახეა; თუმცა მას ახასიათებს ფილოქსერისადმი რიგიანი გამძლეობა, მაგრამ ნაკლები დაფესვიანება და სუსტი ღონე მეორეხარისხოვან საძირედ ხდის. მისი გამრავლება არ ღირს, რადგან ძალიან ცოტა და ნაკლები ხარისხის მოსავალს იძლევა.

Vitis Aestivalis, Michaux (მსტივალისი)

სინონიმები: *v. araneosa*, *v. sinaosa*, *v. bracteata*, *v. ursina*, *v. multiflora*, *v. incisifolia*, *v. Americana*, *v. Nortoni*, *v. occidentalis* და სხ.

ესტივალისი გავრცელებულია ამერიკის შვედეთის შტატების ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში. ველურად გვხვდება პენსილვანიაში, ვირჯინიაში, კაროლინაში, მარილანდში და სხ.; გვხვდება აგრეთვე ლუიზიანაში, მექსიკაში და ფლორიდის ჩრდილო ნაწილში. ამ სახის ვაზებს თუმცა ფართო გავრცელების არე აქვთ, მაგრამ ისე მასობრივად არ გვხვდებიან, როგორც რიპარია, კანდიკანსი და სხე. ესტივალისი თანაბრად კარგად იზრდება როგორც მდინარის ნაპირებზე, ისე მშრალ გორაკებზე.

ვაზს ტანი მსხვილი აქვს და თავისი სისხოთი ზოგჯერ კანდიკანსის და კალიფორნიის ტანს მოგვაგონებს; საერთოდ კი უფრო მორჩილი ზრდით ხასიათდება. ეტანება ნათელ, გაშუქებულ ადგილებს; ყლორტები მეტწილად მიწაზე იშლება. კარგად იტანს როგორც დიდ სიცივეს, ისე

სიცხესაც. ვერ იტანს ვერც ბრეშთან და ვერც დაქობებულ ნადაგებს. ვერ
სვები ხორციანი აქვს და კომპაქტურ ნიდაგებში კარგად ვითარდება.

ვერტები წვრილია ხშირად ორი-სამი ერთად მდებარეობს და სხვა
რულია მოყვანგო ფერის ბანჯგვლით. ახალგაზრდა ფოთოლი, განსაკუთრებ
ბით მისი კიდები წითელი ან ვარდისფერია. ახალგაზრდა ყვავილადები
მუქ-მოწითალოა. ყვავილის მტვრიანები გრძელი და ვიწრო აგებულებისაა.

ყლორტები გრძელი, საშუალო სისხოსი და წაზნავოვანია. ნამხრე-
ვები ცოტა აქვს. რქა უხეშია, მალე ტყდება, გვიან შემოდის, შემოსვლი-
სას მუქ-მოწითალო ფერს იღებს. დუდგულო მერქნის ერთ-მესამედს
იკავებს და თეთრ-მოყვანგო ფერისაა. დიაფრაგმა სქელი (3 მმ.) და საკ-
მაოდ განვითარებულია. პწკალი გატოტვილია 2—3 ნაწილად კარგ გან-
ვითარებას აღწევს, საკმაოდ მსხვილია, მოწითალო ფერისაა და ბამბის
მსგავს ბალნითაა დაფარული.

ფოთოლი საშუალო ან მოზრდილი, წვერ წაჩლუნგებული, ნაკლებ
ასიმეტრულია. ფოთლის ყუნწის ამონაყვეთი საკმაოდ ღრმაა. ფირფიტა
მეტწილად მთლიანი და საკმაოდ მაგარია; ფირფიტის ზედა მხარე მუქ-
მწვანე ფერისა და გლუვია; ქვედა მხარე კი ბაცი მწვანე ფერისა და
მოპრილოა. ძარღვები კარგადაა გამოხატული და შეფენილია თეთრ-მო-
ლურჯო ბუსუსით. ფოთლის ყუნწი გრძელი, საკმაოდ მსხვილია და ყლორტ-
თან ბლაგვ კუთხესა ქმნის.

მტევანი საშუალო ან მომცროა, მოგრძო მოყვანილობისა; მტევის
ყუნწი მოკლე და სქელია. მარცვლის ყუნწი მსხვილი, კარგად განვითარე-
ბული და გრძელია; მარცვალთან შეერთების ადგილას გამსხვილებულია.
მარცვალი მომცრო, მომრგვალოა, გარეგნულად შავი ფერისა და უხვად
დაფენილია ვიტინით; ჩენზო ნაკლებ ელასტურია. ხორცი მომწვანო, საკ-
მაოდ წვნიანი, ტბილი და ოდნავ მომწკლარტოა. ყურძენი გვიან მწიფ-
დება.

მარცვალი 2—3 მომცრო, მოგრძო, თითქმის ცილინდრული მოყვა-
ნილობის წიბწას შეიცავს. წიბწა მოყვანგო, ოდნავ მომრგვალო ფერისაა;
ნისკარტი მოკლე და სქელი აქვს, ქალაზა მრგვალი, კარგად განვითარე-
ბულია და შეაფიოდ ჩანს.

ესტივალს საძირედ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მას
ფილოქსერისადმი გამძლეობა რიგიანი აქვს მხოლოდ ღრმა, ღონიერ ნია-
დაგებში, ძალიან ძნელად ფესვიანდება და კარგად ვერც მყნობის დროს
ხორცდება.

ამერიკაში ესტივალისი ზოგან პირდაპირ მწარმოებლად იხმარება;
ღვინოს რიგიანს იძლევა და კარგ საკუბაყე მასალას წარმოადგენს.

ესტივალისიდან ვეგეტაციური სელექციით მიღებულია მთელი რიგი
ფორმები, რომელნიც უკეთესი მოსავლით და ხარისხით ხასიათდებიან.

ასეთებს ეკუთვნის: Admirable, Riesenblatt, Spaunhorst და სხ. ყოველ შემთხვევაში არცერთი მათგანი უხვ მოსავალს არ იძლევა. მარცვალ მცენარეებს შორის, შავი ფერისაა და გვიან მწიფდება.

სახელწოდება

Vitis cinerea, Engelman (ცინერა)

სინონიმები: V. canescens, V. aestivalis, var. tometa, var. rufescens და სხვ.

ცინერა მილარდემ გამოყოფა ესტრიალისიდან, რომლის სახესხვაობა დაც იგი ითვლებოდა; ამერიკაში იგი ცნობილია სახელწოდებით asygrape (ნაცრის ვაზი).

ცინერა იმავე გეოგრაფიულ ზონაში ვეხვდება, რომელშიაც კორდიფოლია, ე. ი. ილინოისში, კანზასში, ტეხასში; ვაზის ეს ორი სახე ხშირად ურთიერთშორის გადახლართულია.

ცინერას ყლორტები და რქა დაკუთხულია, დაფენილია მრავალი ნაცრისფერი ბუსუსით, რომელიც რქის შემოსვლის დროს უფრო მკაფიოდ მოსჩანს; სწორედ ამიტომ ეძახიან მას თავის სამშობლოში ნაცრიან ვაზს.

ყვავილები ხუთწევრიანია. ფოთოლი გულის მკვეთრი, წაგრძელებული მოყვანილობის, მთლიანი, ზოგჯერ 1—3—5 ნაწილად განაკეთილი. ფირფიტის ქვედა მხარე დაფარულია ნაცრისფერი აბლაბუდის მსგავსი ბანჯველით. ფირფიტის ძარღვები ზემოდან ღია-მწვანე ფერისაა. ყლორტის წვერი, ახალგაზრდა ფოთლები და აგრეთვე კვირტები უხვად დაფარული მოთეთრო ბანჯველით.

მტევანი პატარა და დატოტეილია; მარცვალ მომრგვალო მოყვანილობისაა, წვრილი; ფერად შავია. მარცვალ საკმაო შაქარს შეიცავს, გემო ნეიტრალური აქვს. წიბოა წვრილი და მრგვალქალაზიანია.

ფესვები მსხვილი, ხორციანი, ნაცრისფერი.

ყვავის ყველა სახეობაზე გვიან (სამზრეთ საფრანგეთში ივნისის გასულს); ყურძენიც ძალიან გვიან მწიფდება.

ცინერა დაკუთხული ყლორტებით წააგავს ბერლანდიერის, მაგრამ სხვა ნიშანთვისებებით მისგან განსხვავდება.

კირის საგრძნობ რაოდენობას ნიადაგში სრულიად ვერ იტანს, თუმცა თავის სამშობლო ტეხასში კირიან ნიადაგებზეც იზრდება, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებით გვალვიან რაიონებში.

ცინერა ძნელად ფესვიანდება, მაგრამ ერთხელ ფესვგადგმული ღონივრად იზრდება და ნამყენს კარგად კვებავს. ფილოქსერისადმი გამძლეობა რიგიანი აქვს; სოკოვან ავადმყოფობით არ ავადდება.

მისი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია: დაკუთხული ყლორტები და რქა, ხორციანი ნაცრისფერი ფესვები, რქის ნაცრისფერად შეფერვა (ბუსუსით უხვად შეფენის გამო).

ცინერეს შეუჯვარებელი ჯიშები მევენახეობის პრაქტიკაში ისეთ
თად იზმარება, როგორც კირის აუტანლობისა, ისე ძალიან ნაკლები და-
ფესვიანების გამო.

საქართველო
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა აკადემია

Vitis cordifolia, Michaux (კორდიფოლია)

სინონიმები: *V. pullaria*, *V. vulpina*, *V. amara*, *V. genuina* და სხ.
კორდიფოლიას სამშობლოდ ითვლება პენსილვანია, ვირჯინია, კარო-
ლინა, დასავლეთი კანზასი და ფლორიდის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნა-
წილი. ამ ტერიტორიაზე გვხვდება სხვადასხვა სახესხვაობა, რომელნიც
ურთიერთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან.

კორდიფოლიას ვაზი ღონიერი ზრდით ხასიათდება. ფესვები მძლავ-
რად განვითარებული, ხორციანი და მოყვითალო ფერისაა.

ყლორტი წაზნაგოვანი, გლუვი და გრძელია. ახალგაზრდა ფოთოლი
მწვანე მოყვითალო ან ბრინჯაოს ფერისაა და კვირტიდან გამოფურჩქენის
უმაღლე იწლება.

გაზრდილი ფოთოლი მთლიანი, მოგრძო, გულისებრი მოყვანილო-
ბისაა. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ღია მწვანე ფერისა, ოდნავ
მომრჭევილია; ფირფიტის ქვედა მხარეზე ძარღვები შეპუსულია. ფოთლის
ყუნწთან მოთავსებულია კარგად განვითარებული ფოთოლაკები სიგრძით
3—5 მ.მ.; როგორც ახალგაზრდა ყლორტი, ისე ფოთლები თითქმის
გლუვია.

მტევანი ვიწრო (20—25 სანტ.) და მეტად თხელია; მარცვლები
წვრილი, მრგვალი, შავი ფერისაა და უსიამოვნო გემოთი ხასიათდება.
წიბწა მსხვილი, მრგვალქალაზიანია.

კორდიფოლია ცხელი ქვეყნის ვაზია და მისი რქა ევროპის მხოლოდ
სამხრეთ ნაწილში მწიფდება. ევროპაში იგი ეგუება თითქმის ყოველგვარ
ნიადაგს, გარდა კირიანი ნიადაგისა; ასეთი ნიადაგის პირობებში ახალ-
გაზრდა ვაზები ქლოროზით ორი წლის განმავლობაში იღუპება. თავის
სამშობლოში, როგორც ვიღაა მოწმობს, კორდიფოლიას ვაზი კირით
მდიდარ ნიადაგებშიც კარგად იზრდება. მაგრამ, როგორც მუხსონი აღნი-
შნავს, კორდიფოლია ამერიკაში უფრო მეტად მშრალ ადგილებში იზრ-
დება, სადაც წვიმა ზოგჯერ თერამეტ თვეში მხოლოდ ერთხელ მოდის.
თავის სამშობლოში კორდიფოლიას ქლოროზით დაუავადებლობას რავაზი
ხსნის იქ არსებული დიდი სიმშრალით. კორდიფოლიას ახალგაზრდა ვაზი
ევროპაში უფრო იოლად იღუპება კირიან ნიადაგებში იმ შემთხვევაში,
როდესაც ფესვები ნიადაგის ზედაფენაშია მოქცეული და წყლით ადვი-
ლად სარგებლობს.

კორდიფოლია განსაკუთრებით კარგად იგუება მშრალ, მძიმე თიხნარ
ნიადაგებს; კლდის თხელ, ზედაპირულ ფენებშიაც დაუზრკოლებლივ ვი-

თარდაბა, თუმცა ალუვიურ ნიადაგებში გაცილებით უკეთესი საფრთხი ვითარება აქვს.

კორდიფოლიას ფესვთა სისტემა მეტწილად ზეზურად იშრება. ნაკლებად საკუთრებულ გვალვიან წლებში, როდესაც ვაზის მთელი რიგი სხვა სახეობანი ფოთოლს ნაწილობრივ ჰკარგავენ, კორდიფოლია განსაკუთრებით კარგად გამოიყურება და ასეთ პირობებში ყველა დანარჩენი ვაზისაგან განიჩევა, როგორც ფოთლის ხალისიანი მწვანე ფერით, ისე ყლორტების დაუბრკოლებლივი განვითარებით.

სანამყენოს კარგად ემყნობა და კარგად კვებავს. ზოგჯერ ნამყენი შეტად ლონიერად იწყებს ზრდას, რის გამოც ყვავილობისას ყვავილს იცვენს და მტევანი თხელდება.

როგორც პირდაპირი მოსავლის მომცემი, კორდიფოლია თითქმის არაეითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, რადგან დაბალი ხარისხის პროდუქტს იძლევა; მაგრამ საკმაოდ ძვირფას საძირეს წარმოადგენს კირით ღარიბ, მეტად მშრალ და მიძვე თიხნარ ნიადაგებში. მიუხედავად ამისა, საწარმოო მიყენახეობაში ამ სახეობამ ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა, რადგან რქა ძნელად ფესვიანდება (10—15% და მხოლოდ განსაკუთრებული მოვლის პირობებში 50—60%). ამ მიზეზების გამო, როგორც აღენიშნეთ, ამ სახეობის ფორმები კულტურაში არ იხმარება, მისი ჰიბრიდები კი დიდ ღირებულებას წარმოადგენს. მათ შემდეგ განვიხილავთ

Vitis Berlandieri, Planchon (გაგლანდიერი)

სინონიმები: *V. montana*, *V. monticola*, *V. cordifolia-coriacea* და სხვ.

ბერლანდიერის სამშობლოდ ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილი ითვლება. აღსანიშნავია, რომ ბერლანდიერის გავრცელების ჩრდილოეთის საზღვარი ემთხვევა ცინერეას და კორდიფოლიას სამხრეთ საზღვარს, რის გამოც მას ზოგი მკვლევარი ცინერეას სამხრეთ ფორმად სთვლის.

ვაზის მიწისზედა ნაწილი ვეწრო ჰაბიტუსიანია, ფესვთა სისტემა კი საკმაოდ ფართო, მძლავრად განვითარებული და ხორციანია. ფესვებს ნაცრისფერი გადაკრავს. ყლორტი გზრკვეულად დაკუთხული, გრძელი და წვრილია და დაფარულია მოთეთრო ბუსუსით.

ბერლანდიერის ზრდადამთავრებული ფოთოლი სოლისებური მოყვანილობისაა, მოპრგვალა და მოკლე დაკბილვით ხასიათდება. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე შებუსულია აბლაბუდის მაგვარად, ზედა მხარეც ასევე შებუსულია, მაგრამ უფრო მოკლე ბუსუსით. ფოთოლი საშუალო სისხოსი, ორთავ მხრიდან მუქ-მწვანე ფერის, საკმაოდ პრიალა და ალაგ-ალაგ აბურცულია. აბლაგაზრდა ფოთოლი ბაცი-მწვანე, ან ბრინჯაოს ფერისაა და საკმაოდ შებუსულია. ყლორტი, განსაკუთრებით მისი წვერი,

აშკარად დაკუთხულია, მოწითალო ფერისაა და უხეადაა დაფარული
ოთხთი ბუსუსით.

მტევანი პატარა და კუმსია. მარცვალი, მრგვალი წერტილიანი
ფერის, საკმაოდ წვნიანი, ნაწილობრივ ლორწოვანია; შაქარს საკმაოდ რაოდენობით შეიცავს და ოდნავ მომკვავოა. მსხვილი წიპწა აქვს (4—5 მ.მ.).

ბერლანდიერი შეიცავს სამ სახესხეაობას, რომლებიც ურთიერთისაგან შეზუსტით განსხვავდებიან.

ბერლანდიერი კარგად ეგუება როგორც დიდ, ისე საგრძნობ სიციხესაც პროფ. ვილას გადმოცემით... „აუსტინში (ამერიკა) განსაკუთრებული გვალვა და სიციხე იყო 1886—1887 წ.წ. ამ წლებში ხორბლეულმა და ბამბამ არავითარი მოსავალი არ მოგვცა, მრავალი მცენარე დაიღუპა; დაღუპვას გადურჩნენ კაქტუსები, ღიჯი, ღვია, მარად მწვანეფოთლიანი მუხა და რამდენიმე სხვა მცენარე, მათ შორის ბერლანდიერიც, რომელსაც კირიან გორაკებზე კი არ განუცდია გვალვის დამლუპველი გავლენა“. თუ რქა კარგადაა შემოსული, იგი საგრძნობი ყინვის ამტანობითაც ხასიათდება; მუნსონის ცნობით—23—28 გრად. სიცივეს უძლებს. მაგრამ ასეთი გამძლეობა მოსალოდნელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რქა კარგადაა შემოსული; სწორედ ამიტომ ბერლანდიერის გაშენების დროს სადედედ საჭიროა მზიანი, მყუდრო და მომშრალი ადგილი შეირჩეს.

თავის სამშობლოში ბერლანდიერი პიტალო კირნარ ნიადაგებზე იზრდება. მაგრამ უფრო უკეთ აღუფიურ ნიადაგებზე ვითარდება. აღსანიშნავია, რომ კირით ღარიბ, მაგრამ სხვაგვარი მდიდარ ნიადაგებში ბერლანდიერი უკეთ იზრდება, ვიდრე კირიან ალაგას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბერლანდიერი კირიან ნიადაგებს მხოლოდ ეგუება, ისე კი მისთვის კირიანი ნიადაგები აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს და იგი კალციფილად არ ჩაითვლება. რამდენადაც უფრო კარგია ნიადაგი, იმდენად ბერლანდიერი კარგ რქას იძლევა, კირკარბ ნიადაგებში კი მისი ეს ღირსება მცირდება.

ბერლანდიერი ნამყენს კარგად იხორცებს და საძირესაც კარგად კვებავს. საძირე უფრო ვიწრო რჩება, ვიდრე სანამყენო, მაგრამ ეს გარემოება ნამყენის განვითარებას არ აფერხებს.

ბერლანდიერის უდიდეს ნაკლად ითვლება მისი ძალიან ძნელი დაფესვიანება: ერთსადაიმავე პირობებში, როდესაც რიპარის რქა იძლევა 90% დაფესვიანებას, ბერლანდიერი მხოლოდ 5—10% დაფესვიანებას იძლევა, რაც წარმოებისათვის, რასაკვირველია, ხელსაყრელი არ არის. ასეთ ცუდ დაფესვიანებას რაეაზი იმით ხსნის, რომ ბერლანდიერის რქიდან ფესვები ძალიან გვიან იწყებენ წარმოშობას, მაშინ, როდესაც ყლორტი უკვე საკმაოდ განვითარებული და გაზრდილია; ამის შედეგია რქის გამოშრობა, გახშობა და საბოლოოდ ფესვების განუვითარებლობა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთის გვალვიან ქვეყნებში წარმოშობილი

შეგარჩიანი ვაზები (ბერლანდიერიც) ასეთებს ეკუთვნის) საერთოდ ძნელია ფესვიანდებიან; უფრო ჩრდილო და ნალექებიანი რაიონის სახეობანი კი — საერთოდ უფრო რბილი რქით ხასიათდებიან და უკეთაც ფესვიანდებიან. რიპარდას და ლაბრუსკას რქა შედარებით რბილია და იოლად ფესვიანდება, რუმესტრისის რქა საშუალო სიმკვრივისაა და საშუალო დაფესვიანებით ხასიათდება. რასაკვირველია, ფორმის სპეციფიკურობის გარდა, კლიმატური პირობებიც უმნიშვნელო როლს არ თამაშობენ.

ბერლანდიერის უკეთესი დაფესვიანებისათვის მიზანშეწონილად მიაჩნიათ მისი რქის წინასწარი გაღვივება (სტრატეფიკაცია), მაგრამ ეს საშუალება შემდეგნაირად უნდა იყოს გამოყენებული: რქას სათანადო სიგრძეზე სჭრიან; მის ქვედანაწილს, რომლიდანაც ფესვები უნდა წარმოიშვას, თბილ-ნოტიო არეში ათავსებენ, რქის ზედანაწილს კი, რომლიდანაც ყლორტი უნდა განვითარდეს, — შშრალ არეში ათავსებენ; ამგვარი ოპერაციით ყლორტის გამოღვივება გვიანდება და რქის ნაადრევად გამოშრობა-გამოქაჭვას აღგილი არ ექნება. ამ საშუალებაზე რავაზმა ჯერ კიდევ 35 წლის წინად მიგვიოთია.

ბერლანდიერის დაფესვიანებულ ვაზს პირველ ხანებში მიწისზედა და ქვედა ნაწილები თანაბრად არ უვითარდება: თავდაპირველად გაცილებით მეტი სიმძლავრით ვითარდება მიწისქვედა ნაწილები — ფესვთა სისტემა; მიწისზედა ნაწილები ყლორტები კი ზრდაში ჩამორჩებიან ხოლმე. რავაზის ცდების მიხედვით ეს უთანაბრობა აბალგაზრდა მცენარეებში მეტად დიდია; მისი ცნობით ვაზის განვითარების ამ პერიოდში ფესვთა სისტემის წონა უდრიდა 18,52, ხოლო მიწის ზედა ნაწილისა კი — 4,32. ამგვარად პირველ წელიწადს ხდება ფესვთა სისტემის ლალი და მიწისზედანაწილების სუსტი განვითარება; ამის შედეგად, გარეგნობით ბერლანდიერი პირველ ხანებში მეტად სუსტად მოზარდ ვაზად გვეჩვენება. რამდენიმე წლის შემდეგ ეს მდგომარეობა იცვლება ზედა ნაწილის სასარგებლოდ.

ბერლანდიერი კარგად ეთვისება მცნობას და სავსებით კარგად ზრდის მასზე დამყნილ ვაზს; ნამყენი თანაბარი და უხვი მოსავლით ხასიათდება. ყვავილის ჩამოცვენა არ ხდება, ყურძენი თანაბრად მწიფდება.

სოკოვანი ავადმყოფობისადმი ბერლანდიერი თითქმის სრულ გამძლეობას იჩენს; მართალია მის ფოთლებზე ალაგ-ალაგ პატარა ლაქების მსგავსად გავრცელება ჭრაქი, მაგრამ ის ვაზს არასდროს საგრძნობ ზარალს არ აყენებს. ფილოქსერისადმი გამძლეობა სავსებით კარგი აქვს.

თუ რამდენად კირის ამტანია ბერლანდიერი, ჩანს იქედან, რომ კირით მეტად მდიდარი ვენახების აღსადგენად მხოლოდ ბერლანდიერი იშვარება.

აქვე მოგვყავს მოკლე ცნობა კირის რაოდენობის შესახებ იმ ნიდაგში, რომელშიც ბერლანდიერი დაუბრკოლებლივ იზრდება:



რაიონის დასახელება	კიბის % საბ- ნავ ფენაში	კიბის % ქვე- და ფენაში
ვერციუ (შამხანი)	52	64
ოძმ	65	81
აგიზი	42	69
ბონი (კოტდორი—ბურჯუნდია)	31	56
შასანი	62	67
სანტუნაი	36	60

ასეთივე სურათს ვხედავთ კონიაკსა (შარანტი) და კახეთშიც, სადაც ის დარგული იყო.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო ბერლანდიერის ღირსება, როგორც საძირე ვაზისა; ამის დასადასტურებლად საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი მასალის მოყვანა (იხ. ცხრილი 48—49 გვ).

თუმცა ეს ცნობა აღებულია სამხრეთ საფრანგეთის მევენახეობის პრაქტიკიდან, მაგრამ იგი ბერლანდიერის ღირსების მეტად კარგი მაჩვენებელია. ამ მიმართულებით მის ჰიბრიდებზე ჩვენში ჩატარებული დაკვირვებანი შედეგებით მოკლევადიანია; ჩვენს საცდელ ნაკეთებში წმინდა ბერლანდიერი არ გვეგულება; ამიტომ ნიმუშად უცხოეთის სანდო მასალა მოვიყვანეთ.

თანამედროვე მევენახეობისათვის ბერლანდიერის წარმომადგენლებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ; სწორეთ ამიტომ საფრანგეთში და ევროპის მევენახეობის სხვა ქვეყნებშიც ბერლანდიერის გამოყენებისა და მისი დაფესვიანების გაუმჯობესებისათვის დიდი მუშაობა ჩატარდა. ვეგეტატური სელექციის წესით გამოყოფილია ცალკე ფორმები, შეჯვარებით კი შექმნილია მრავალი ჰიბრიდი; ამ უკანასკნელთ თავის დროზე შევეხებით. ვეგეტატური სელექციის წესით გამოყოფილი ფორმებიდან უკეთესებად ითვლება: რესენიეს ბერლანდიერი № 2, ბერლანდიერი ლაფონტი № 9, ლენე და სხ.

Vitis monticola, Buckley (მონტიკოლა)

სინონიმები: V. texana, V. foexiana, V. calcicola.

მონტიკოლას სამშობლოდ ტეხასის აღმოსავლეთი და ცენტრალური ნაწილი ითვლება. ამ ზონაში იგი გვხვდება ფერდობებსა და მშრალ გორაკებზე, ზღვის დონედან 500 მეტრის სიმაღლეზე. აქ ზამთრის ტემპერატურა — 26 გრ., ზაფხულისა კი +42 გრ. აღწევს.

1920-1922 թվականներին Երևանում արտադրված շաքարի քանակը

Երևանի քաղաքի և նրանից մոտ 10 կմ շառի մոտակայքի	1920 թ. 05 Երես	1920 թ. 06 Երես	1920 թ. 07 Երես	1920 թ. 08 Երես	1920 թ. 09 Երես	1920 թ. 10 Երես	1920 թ. 11 Երես	1920 թ. 12 Երես	1921 թ. 01 Երես	1921 թ. 02 Երես	1921 թ. 03 Երես	1921 թ. 04 Երես	1921 թ. 05 Երես
	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն
Բրդաշենյան	4.45	2.75	3.40	3.50	6.00	12.00	11.50	7.50	9.75	11.50	9.50		
Բուխուս I ցիլ.	6.50	5.00	3.01	2.10	6.00	12.00	10.00	5.00	9.40	9.90	7.00		
Բուխուս II ցիլ.	4.50	3.30	4.20	3.50	7.20	12.00	10.00	5.00	7.00	9.75	6.00		
ցուլ	1.40	1.20	0.95	0.90	2.00	4.50	5.00	2.00	3.50	4.10	3.50		
Երևան	6.00	4.40	3.64	1.80	4.00	9.50	10.5	4.00	7.00	9.00	6.70		

1920-1922 թվականներին Երևանում արտադրված շաքարի քանակը

Երևանի քաղաքի և նրանից մոտ 10 կմ շառի մոտակայքի	1921 թ. 06 Երես	1921 թ. 07 Երես	1921 թ. 08 Երես	1921 թ. 09 Երես	1921 թ. 10 Երես	1921 թ. 11 Երես	1921 թ. 12 Երես	1922 թ. 01 Երես	1922 թ. 02 Երես	1922 թ. 03 Երես	1922 թ. 04 Երես	1922 թ. 05 Երես
	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն
Բրդաշենյան	7.00	4.40	4.50	6.00	10.00	9.00	10.00	6.00	11.00	10.50	7.00	
Բուխուս I ցիլ.	5.10	1.80	1.91	2.00	9.20	7.50	9.00	5.00	6.00	7.00	6.40	
Բուխուս II ցիլ.	4.00	1.80	2.00	3.00	7.00	4.00	10.00	5.00	6.00	9.00	7.00	
ցուլ	0.90	0.91	0.91	0.97	1.75	1.75	0.60	0.75	1.25	4.50	4.10	
Երևան	3.60	1.30	1.25	2.10	6.70	5.70	9.20	4.00	5.00	9.20	6.20	

* Ըստ Երևանի քաղաքապետարանի և նրանից մոտակայքի արտադրված շաքարի քանակի

1920-1922 թվականներին Երևանում արտադրված շաքարի քանակը

Երևանի քաղաքի և նրանից մոտ 10 կմ շառի մոտակայքի	1920 թ. 06 Երես	1920 թ. 07 Երես	1920 թ. 08 Երես	1920 թ. 09 Երես	1920 թ. 10 Երես	1920 թ. 11 Երես	1920 թ. 12 Երես	1921 թ. 01 Երես	1921 թ. 02 Երես	1921 թ. 03 Երես	1921 թ. 04 Երես	1921 թ. 05 Երես
	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն
Բրդաշենյան	9.00	12.00	10.75	11.00	10.50	10.50	10.00	7.00	10.50	10.00	15.00	16.00
Բուխուս I ցիլ.	4.50	6.00	10.00	5.00	6.00	12.00	9.00	4.00	6.00	10.00	10.00	17.00
Բուխուս II ցիլ.	6.00	7.20	10.00	6.00	10.00	14.00	9.25	4.00	6.00	10.00	10.00	19.00
ցուլ	2.00	4.00	4.00	2.50	4.00	5.75	4.00	3.00	3.00	5.75	5.75	4.00
Երևան	4.20	5.11	9.00	4.20	6.00	5.00	5.00	2.00	4.00	6.50	4.00	7.75

1920-1922 թվականներին Երևանում արտադրված շաքարի քանակը

Երևանի քաղաքի և նրանից մոտ 10 կմ շառի մոտակայքի	1922 թ. 06 Երես	1922 թ. 07 Երես	1922 թ. 08 Երես	1922 թ. 09 Երես	1922 թ. 10 Երես	1922 թ. 11 Երես	1922 թ. 12 Երես	1923 թ. 01 Երես	1923 թ. 02 Երես	1923 թ. 03 Երես	1923 թ. 04 Երես	1923 թ. 05 Երես
	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն	պոպոն
Բրդաշենյան	7.00	10.50	14.00	11.00	17.00	14.00	10.00	9.00	8.00	10.00	6.00	10.00
Բուխուս I ցիլ.	7.00	5.00	10.00	6.00	10.00	15.00	9.00	6.00	6.00	9.00	6.00	11.75
Բուխուս II ցիլ.	6.00	6.75	10.00	7.00	10.00	10.00	9.75	6.00	8.50	10.00	6.00	11.00
ցուլ	0.60	4.75	5.00	0.60	6.00	6.15	3.75	0.75	4.50	6.00	2.75	5.50
Երևան	6.00	6.40	8.10	6.00	7.00	9.75	3.00	6.00	5.00	7.00	2.75	6.75

Երևանի քաղաքի և նրանից մոտակայքի արտադրված շաքարի քանակը 1920-1922 թվականներին



მონტიკოლას ყლორტები მიწაზე იფენება და ხეებს თითქმის არასდროს არ ეპოტინება. ვაზი ხასიათდება სუსტი და ზრდით მორჩილი ყლორტების განვითარებით. გვალვას თითქმის ისევე კარგად ეძინება, როგორც ბერლანდიერი.

ყლორტი და რქა დატოტვილია მოკლედ და მომწვანო-იისფერი იერი გადაკრავს. ყლორტის განივი განაკვეთი წახნაგოვანი მოხაზულობისაა. ზრდადამთავრებული ფოთოლი მომცრო და მომრგვალო მოყვანილობისაა. ფირფიტის კიდე დაკბილულია წვეტიანი კბილებით; ფირფიტა გლუვია, ღია-მწვანე ფერისა და მეტად მობრწყვიალოა. ძარღვები წითელი ფერისა აქვს. ფოთოლს მეტად განვითარებული აქვს მესრისებრი ქსოვილი. ფირფიტა მაგარია და იოლად ტყდება. წვრილი ბაგეები, შებრუნებული მოყვანილობით ხასიათდება. ახალგაზრდა ფოთოლი ძალიან ბრწყვიალა და ოდნავ შებუსულია. ყლორტის წვერი მოწითალოა და დაფარულია აბლაბუდის მსგავსი მოთეთრო ბუსუსით. მტევანი პატარაა; მარცვლები წვრილია, მრგვალი, შავი ფერისა.

მონტიკოლა ცხელი და მშრალი ქვეყნის ვაზია, ამიტომ შუა ევროპაში რქა შემოსულას ვერ ასწრებს.

თავის სამშობლოში იგი კირით მდიდარ ნიადაგებზე იზრდება; ეს თვისება ევროპაშიც მკაფიოდ გამოიჩინა: მისი კერისამიტანიანობა, რავაზის ცდების მიხედვით, ბერლანდიერზე ნაკლები არ არის. ამ თავისებურების გამო იგი საკმაოდ საინტერესო საძირეს წარმოადგენს, მაგრამ ბევრი სხვა უარყოფითი მხარე ახასიათებს: 1) სუსტი ზრდის გამო, დამყნის ვაზს საკმაოდ ვერ ასაზრდოებს; 2) მყნობის უნარიანობა ნაკლები აქვს; 3) ფესვების წარმოქმნა ძალიან უძნელდება და ამ მხრივ ბერლანდიერს მხოლოდ ოდნავ სჯობს; 4) ფილოქსერასადმი გამძლეობა დიდი არა აქვს; თუმცა მრავალრიცხოვანი და მსხვილი ტუბეროზიტეტები არ უზნდება, მაგრამ ისინი ბერქანში საკმაოდ ღრმად იჭრებიან. სოკოვან ავადმყოფობისადმი მონტიკოლა საკმაო გამძლეობას იჩენს.

ამგვარად მონტიკოლას თუმცა ზოგიერთი დადებითი თვისება (გვალვისა და კირის ატანა, სოკოვანავადმყოფობათა გამძლეობა) ახასიათებს, მაგრამ ამავე დროს უარყოფითი მხარეებიც აქვს: სუსტი დაფესვიანება, სუსტი ზრდა, ნამყნის არადამაკმაყოფილებელი კვება და ფილოქსერასადმი შედარებით ნაკლები გამძლეობა. ყველა ამის გამო მონტიკოლას ვაზი მევენახეობის პრაქტიკაში ნაკლებად იხმარება. ვეგეტატური სელექციის შედეგად გამოყოფილია მონტიკოლას რამდენიმე ფორმა, მაგრამ ფართო გავრცელებით არც ერთი მათგანი არ სარგებლობს.

Vitis rupestris, Scheele (რუპესტრინი).

სინონიმები: *V. populifoliis*.

რუპესტრისი ველურად გვხვდება კოლუმბიაში, პენსილვანიაში, მისურში და ტექსაში. ამ ვაზის გავრცელების არე საერთოდ მშრალი და ცხელი პირობებით ხასიათდება.



რუპესტრისი ფორმების მეტად დიდ რაოდენობას შეიცავს. მარტო Jajer-მა გამოყო 100 ფორმაზე მეტი. რუპესტრისი ძირითადად ბარ მთებზეა გავრცელებული. პირველ ჯგუფს ეკუთვნის წვრილფოთლიანი, დაბალი ჩირგვის მსგავსი, გამოფორჩქნისას ფოთოლდაკეცილი, წვეტკბილებიანი ფორმები, მეორეს კი — მოზრდილფოთლიანი, შედარებით ლალად მოზარდი, ნაკლებ დატოტვილი და მსხვილზროიანი ფორმები. ჩრდილოში და ტყეში რუპესტრისი თითქმის არასდროს არ გვხვდება — მისი სამყაროა პრერია და ლია მზის გული. ასეთ ადგილებზე რუპესტრისი თავმოხელებულია და თავის სამშობლოში უდიდეს მასივებს ფარავს. ზაფხულობით, მხურვალე მზის სხივების ზეგავლენით, პრერიები მთლიანად გადახმება ხოლმე და ამ დროიდან ჩანს მხოლოდ რუპესტრისი თავისი მწვანე მობრწყვიალო ფოთლებით; ვიალას გადმოცემით, პრერიების თვალუწვდენ მასივზე იგი ქმნის ერთადერთი ცოცხალი მცენარის შთაბეჭდილებას.

ნიადაგის ზედაპირი, რომელზეც თავის სამშობლოში გვხვდება გარეული რუპესტრისი, მოშავო ფერისაა, ჰუმუსის დიდ რაოდენობას შეიცავს და თიხნარია; 25 — 40 სანტმ. სიღრმეზე კი ხრეში იწყება.

რუპესტრისის მოწითალო ფერისა და საკმაოდ მსხვილი ყლორტები აქვს. პწკალები წყვეტილია; პწკალს მობრწყვიალო იერი გადაკრავს. ყლორტის განივი განაკვეთი მრგვალი ან ელემსური მოხაზულობისაა.

ფოთოლს მეტი სიგანე ახასიათებს, ვიდრე სიგრძე; ფოთოლი თირკმელის მოყვანილობისაა; ძარღვების განწყობა ვიწროა და ისინი ფოთლის ფირფიტაში მახვილ კუთხეს ქმნიან. ფოთოლი ძალიან მობრწყვიალო, მწვანე ლითონისებრი, გლუვი და ძალიან სქელია, რადგან მესრისებური ქსოვილი მეტად განვითარებული აქვს. ფოთოლი იოლად ტყდება. ახალგაზრდა ფოთოლი გლუვი და ძალიან ბრწყვიალია. ყლორტების წვერი მწვანე-მოყვითალო ფერისაა და ოდნავ შებუსუსულია.

რუპესტრისი ხასიათდება მეტად პატარა და შედარებით თხელი მტევნით. მარცვალი წვრილი, მრგვალი, შავი ფერის, ძალიან შეფერილია, ლორწოიანი ხორციით. წიპწა წვრილი და ძალიან მოკლე ნისკარტიანია. ფესვები ოდნავ ხორციანი, მოწითალო ფერისაა და უფრო ვერტიკალურად ვითარდება.

თითოეული კვირტიდან რამდენიმე ყლორტი ამოდის; ყლორტები ვერტიკალური მიმართულებით იზრდებიან და ამიტომ ბუჩქის შთაბეჭდილებას სტოვებენ.

თავისი აგებულებით და ჰაბიტუსით რუპესტრისი მშრალი და ცხელი ადგილების ვაზია; მწირ ნიადაგებში და აგრეთვე კლდეებზეც დაუბრკოლებლივ ვითარდება. როგორც გამოირკვა, ასეთ პირობებში იგი საძირედ არ ვარგა, რადგან ნამყენს საკმაოდ ვერ კვებავს. ლონიერ ნიადაგებში კი ისეთი თავისმოხელება იცის, რომ მასზე დამყნობი ვაზი, მეტად ლონიერი ზრდის გამო, ყვავილობის დროს საგრძნობლად ზარალობს — ყვავილი სცივია.




ფილოქსერასადმი დიდ გამძლეობას იჩენს; მიწის ზედანაწილები სოკოვანი ავადმყოფობით არ ზიანდება. ერთგვარ ზიანს მხოლოდ მწიქნოზი აყენებს. ფესვი ადვილად ავადდება ფესვის სიღამპლით.

ხასიათდება კარგი დამყნობის უნარით. დაფესვიანება რიგიანი აქვს; ზოგი ფორმა კირის საგრძნობ რაოდენობას ვერ იტანს, ზოგი კი 18—25% უძლებს.

რუპესტრისზე ყოველმხრივი ხანგრძლივი დაკვირვება ხდებოდა. ამყამად ჩვენთვის უდავოა, რომ მის ზოგიერთ ფორმას, როგორც საძირეს, მთელ რიგ დადებით მხარეებთან ერთად, საკმაო უარყოფითი მხარეებიც აქვს. ამასთან დაკავშირებით, მევენახეობაში იზმარება რუპესტრისის ზოგიერთი ფორმა, რომელიც კირის მიმართ მეტი გამძლეობით ხასიათდება. თანამედროვე მევენახეობისათვის, სხვა სახეებთან შეჯვარებით მიღებულ მის პიპრიდებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. მათ შემდეგ განვიხილავთ.

ვეგეტური სელექციის წესით შერჩეულ რუპესტრისის ფორმათა შორის ყველაზე მეტად ცნობილია და მეტი გავრცელების არე უკავია რუპესტრის დიულოს ანუ რუპესტრის მონტიკოლას და რუპესტრის მარტენს.

რუპესტრის დიულო (rupestris du Lct) ხასიათდება ფოთლის მთლიანი ფირფიტით, ვიწრო წაწვეტებული კბილანებით; ფოთოლი ორივე მხრიდან ტიტველია, ნერვაცია დასაწყისში მოწითალო ფერისაა; საერთოდ ფოთოლი მობრწყვიალოა, განსაკუთრებით ფირფიტის ზედამხარე. აბალგაზრდა ფოთოლი მომწვანო ფერისა და მეტად ბრწყვიალია. ყლორტის წვერი ოდნავ შებუსუსულია აბლაბუდისმაგვარი ბუსუსით. მცენარე მამრობითი სქესისაა; იშვიათად თანაყვავილებში შეხედებით ჰერმადროდიტული და დედობრივი სქესის ყვავილებსაც.



სურ. 1. რუპესტრის დიულო.

რუპესტრის დიულო კირის უფრო მეტი ამტანიანობით ხასიათდება, ვიდრე რუპესტრისის სხვა ფორმები; მშრალ პირობებში ქლოროზის ნიშ-

ნებს არ იზენს, თუ კირის რაოდენობა 25 — 30%, არ აღემატება. კულტურის აზრით რუპესტრის დიულო წარმოადგენს მონტიკოლას ბუნებრივ ნაჯვარს; ამ მოსაზრებას ბევრი მკვლევარი არ ეთანხმება, რადგან მისი სხვა ნიშანთვისებით ეს ფორმა წმინდა რუპესტრის წარმოადგენს.

მისი რქა ადვილად ფესვიანდება და ფესვთა მძლავრ სისტემას ივითარებს. ფილოქსერასადმი ფესვის გამძლეობა თვალსაჩინოა, სანამყენოს რიგიანათ უზორცდება. ვეგეტაცია მოგვიანებით უთავდება და ამიტომ მისი რქა კარგად შემოდის მხოლოდ მევენახეობის სამხრეთ რაიონებში; თუ რქა კარგად არა აქვს შემოსული, სანამყენოსაც საკმაოდ არ უზორცდება. ღონიერ ნიადაგებში მეტად ლალად იზრდება; ამ შემთხვევაში მასზე დამყნული ვაზები ხასიათდება ყვავილის ცვენით. ნაკლებ მარცვლიანი მტევნებით და აგრეთვე ყურძნის შედარებით მოგვიანო დამწიფებით.

რუპესტრის დიულო იმერეთის ვენახებში ძველად ფართოდ იყო გამოყენებული საძირედ; იმერეთის პირობებისთვის ეს ფორმა ნაკლებ გამოსადევია და ამიტომ, ამჟამად, იმერეთში ახალი ვენახების გაშენების დროს მას იშვიათად იყენებენ.

რუპესტრის მარტენი (*rupestris* Martin). ფოთლის ფირფიტა განიერი, მთლიანი, მომრგვალო კბილანებიანია; ფერად მუქ-მწვანე და ბრწყვიალაა. ყლორტები გლუვი, მოიისფროა. მცენარე მამრობითი სქესისაა; იშვიათად, თანაყვავილებში გვხვდება ორივე სქესიანი და ღედრობითი სქესის ყვავილებიც. ღონიერი და ლალი ზრდით ხასიათდება. რუპესტრისის ეს ფორმა ნაკლები კირისამტანიანობით ხასიათდება. კირის 7% უკვე ქლორიზს იწვევს. სანამყენოსაც ისე იოლად არ უზორცდება, მაგრამ თუ ნამყენის შეზორცება მოხდა, ზრდა-განვითარება და სანამყენოს კვება უკვე კარგად მიმდინარეობს. კირით ღარიბ თიხნარ და ქვიშნარ-თიხნარ ნიადაგებში, არა მეტად მწირ პირობებში, ეს ფორმა კარგ შედეგებს იძლევა; ასეთ პირობებში მისი საძირედ გამოყენება დაუბრკოლებლად შეიძლება.

Vitis Arizonica, Engelmann (ბა0%რ60კა)

სინონიმები: *V. arizonensis*, *V. californica* და სხ.

არიზონიკას სამშობლოა ტექსასი, ახალი მექსიკა და მდინარე არიზონის ნაპირები. იგი ხასიათდება: საკმაოდ შებუსუსლი, მოწითალო, წვრილი წახნავოვანი ყლორტებით, მოგრძო სოლის მსგავსი ფოთლებით და განივრად დახერხილი ფოთლის ფირფიტის კიდევებით. ფირფიტის ზედა მხარე ოდნავ შებუსუსლია, ქვედა მხარე დაფარულია აბლაბუდას მსგავსი თეთრი ბუსუსით. ძარღვები ღიაიისფერია.

ახალგაზრდა ფოთოლი შებუსუსლი და ღია მომწვანო ფერისაა და კვირტიდან გაფურჩქენის უმაღ მთლიანად იშლება. ახალგაზრდა ყლორტების წვერი დაფარულია ბუმბულის მსგავსი ბუსუსით და ვარდისფერია.

მტევანი პატარა (8 სანტ.) და თხელია; მარცვლი მრგვალი, წვრილი, შავი ფერის, უხე-წვნიანი და კარგგემოიანი. წიბწა მოგრძო აქვს, ქალაზა მომრგვალო. მსხვილ ზროს არ იკეთებს. ფესვები ხორციანი, მოყვითალოა; არაზონიკა ცხელი ქვეყნების ვაზია, ცივ და ტენიან პირობებში არ შემოდის და ვაზი მალე იღუპება. რქა რიგიანად ფესვიანდება, მყნობას კარგად ეგუება; მაგრამ მას საკმაო უარყოფითი მხარეებიცა აქვს: ფილოქსერისადმი და სოკოვანავადმყოფობათადმი ნაკლები გამძლეობით ხასიათდება, ჭრაჭი დიდ ზიანს აყენებს, რაც საძირე ვაზისათვის დიდ და აუნაზღაურებელ ნაკლად ითვლება. კირს ნაკლებად იტანს (15 — 18°/o); აგრეთვე ნიადაგებისადმი საკმაო მოთხოვნილებისაა და მეტწილად სუსტად განვითარებული რჩება, რის შედეგად ნამყენს კარგად ვერ კვებავს. ზრდა-განვითარებისათვის დიდძალ სითბოს მოითხოვს. ზემოხსენებული მიზეზების გამო არაზონიკა, როგორც საძირე, არ იხმარება პირდაპირ მწარმოებლად; გამოუსადეგარია, რადგან მეტად წვრილი მტევანისა და მარცვლის გამო უბარაქო, ნაკლები ღალიან მოსავალს იძლევა.

Vitis rubra, Mischaux (რუბრა)

სინონიმები: *V. monosperma*, *V. palmata*.

რუბრა ნაპოვნია მისისიპისა და მისი შენაკადების ნაპირებზე, მდიდარ ალუვიურ ნიადაგში.

მეტად მორჩილი ზრდით ხასიათდება. ყლორტები წვრილი და ნაკლებ განვითარებული აქვს. ნამხრევეები მოწითალოა, წვრილ-წვრილი ნამხრევი ცოტა ამოაქვს. შემოსული რქა მწვანე-მოყვითალო ფერისაა. ღიაფრაგმა სქელი, მეტად განვითარებულია (3 მმ.). მუხლთშორისები მოკლეა; პწკალი წყვეტილი, ორნაწილიანი, კარგად განვითარებული, წითელ-მობრჭყვიანაა. ყლორტის განივი განაკვეთი წახნაგოვანია. ფოთოლი 3—5 ნაკვითიანი, მომცრო და მოგრძოა; განიერი და წვეტიანი დაკბილვა აქვს, ფირფიტა თხელი, ზედა მხრიდან გლუვი, მუქი მწვანე ფერისაა, ქვედა მხარე კი გლუვი და ოდნავ მობრჭყვიანაა. მტევანი მოგრძო და შეღბრებით მსხვილია. მარცვლი წვრილი, მომრგვალო, შავი ფერისა, მობრჭყვიანო და სქელჩენიანია. წიბწა მსხვილი და მომრგვალოა; მარცვლი 2 — 3 წიბწას შეიცავს. ყურძენი გვიან მწიფდება.

გამოფურჩქნა, დაყვავილება და დამწიფება საგრძნობლად უგვიანდება. ნიადაგში კირის ნაკლები რაოდენობაც ქლორიზს უჩენს; სუსტი ზრდის გამო ნამყენს ვერ კვებავს. ამ მიზეზების გამო რუბრა მევენახეობის პრაქტიკაში არ იხმარება.

Vitis riparia, Mischaut (რიპარია)

სინონიმები: *V. vulpina*, *V. incisa*, *V. odoratissima*, *V. palmata*, *V. virginiana*, *V. acrifolia*, *V. concolor* და სხ.

რიპარია ორ სახესხეობას შეიცავს: 1) გლუვს და 2) შებუსუსლს. თითოეული მათგანი რამდენიმე ფორმას შეიცავს.

ამერიკული ვაზის არცერთ სახეს ისეთი ფართო გავრცელება არ უკავია, როგორც რიპარიას: იგი გვხვდება მდინარე მისისიპრის მდინარე ოპიომდის, კენტუკიში, ილინოისში, მისურში, არკანზასში, მონტანაში, დაკოტაში და სხვ. რიპარიას ცალკეული ვაზები სხვა ადგილებშიც გვხვდება.

ლალ ზრდა-განვითარებას რიპარია აღწევს მდინარეთა ნაპირებზე, ღრმა-ლონიერ, კირით ღარიბ ალუვიულ ნიადაგებში. რიპარიას ლალი ზრდა-განვითარებისათვის საჭიროა საკმაო სისველე, მაგრამ გადამეტებული ტენი და ნიადაგის ზედა ფენაში წყლის არსებობა მისთვის დამლუბველია; შებუსუსლი ფორმები მაინც უკეთ ეგუება ჰარბ ტენიანობას.

რიპარიას ზრო და ტანი მეტად დიდ სისქეს არ აღწევს (15 სანტიმეტრზე მეტ დიამეტრიანი არ უპოვნიათ). იგი კარგად იტანს დაბალ ტემპერატურას (-30 გრ.), მაგრამ ხანდახან გაზაფხულის მოგვიანო ყინვებით ზიანდება, რადგან კვირტები ძალიან ადრე ეფურჩქნება.

ღრმა, ღონიერ, კარგად დაწრეტილ ნიადაგებში, ამავე დროს არამწრაალ პირობებში, რიპარია განსაკუთრებული ღონით იზრდება; ასეთ პირობებში, თუ ზაფხული ხანგრძლივია, ზოგიერთი ყლორტი ერთი ვეგეტაციის პერიოდში ათ მეტრს და მეტსაც აღწევს.

რიპარია ხასიათდება: ღონიერი ზრდით, მაგრამ არა სისქეზე; წვრილი, მოგრძო, ოდნავ შებუსუსლი კვირტებით; ფართო, უფრო გრძელი, ვიდრე განიერი ფოთლებით; ფირფიტის წვეტიანი დაკბილვით. ძარღვები ფოთლის ქვედა მხრიდან ოდნავ შებუსუსლია, ზედა მხრიდან კი გლუვია; ფირფიტა სოლისებრი მოყვანილობისაა, ზოგჯერ აბურცული და ორივე მხრიდან ხალისიანი მწვანე ფერი აქვს. რქა წვრილია. ყლორტის განივი განაკვეთი მრგვალი ან ელიპსური.

აბალგაზრდა ფოთოლი ნათელი მწვანე ფერისაა და კარგა ხანს დაკეცილი რჩება. ყლორტების წვერი ბაციმწვანე ფერისაა; ნუტაციას მკაფიოდ განიციდის და ყლორტების წვერი ნამდვილ კაუჭებს მოგვაგონებს.

მტევანი პატარა (10-15 სანტ.), ოდნავ კუმსია, მარცვალი მრგვალი, წვრილი, შავი ფერისაა და ძალიან ადრე შემოდის; გემოთი ტკბილმომწკლარტაა. წიპწა წვრილია.

ფესვები წვრილი, მაგარი, მრავალრიცხოვანი, მოყვითალო ფერისაა და ნიადაგში ზეზეურად იშლებიან.

რქა ძალიან იოლად ფესვიანდება, მყნობას საკმაოდ კარგად ეგუება. სოკოვან ავადმყოფობისადმი კარგი გამძლეობით ხასიათდება. ფილოქსერასადმი პრაქტიკულად საფესვით გამძლეა; აბალგაზრდა ფესვებს თუმცა ხოლოსიტეტები უზნდება, მაგრამ ტუმბროსიტეტები იშვიათი აღმოსაჩენი და ზეზეურია. ტენიან არეში ზაფხულის გასულს ყლორტების წვერს, ნაცარი უზნდება, მაგრამ საგრძნობ ზარალს ვერ აყენებს.

კარგად შერჩეულ, კირით ღარიბ (არა უმეტეს 15%) ნიადაგებში ნამყენს კარგად ზრდის. მასზე დამყნელი ვაზის ჯიშები ხასიათდება უფროდ-ნის უფრო ადრეული მომწიფებით, მეტი შაქრიანობით, რქის კანკაღი უფრო სვლით.

მევენახეობის აღდგენაში რიპარიას ზოგიერთმა ფორმამ გადამწყვეტი როლი ითამაშა; ამჟამადაც, ზოგიერთ რაიონში, იგი წარმატებით იხმარება როგორც საძირე ვაზი. არსებულ ფორმათა რიცხვი რამდენიმე ათეულს უდრის; გლუვ სახესხვაობათაგან ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს რიპარია დიდი ფოთლიანი გლუვი, რიპარია პორტალის და რიპარია გაიზენჰაიმი № 1, შებუსულ სახესხვაობათაგან კი რიპარია სკრიბნერი.

დიდფოთლიანი გლუვი რიპარია (*Riparia grand glabra*). ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდით. ფოთოლი ფართო და სამწკვივანია; ამონაკვეთები ზეზეური აქვს. ფოთლის ფირფიტა მუქმწვანე ფერის, მოელვარეა, ნერვაცია ზემოდან დასაწყისში მოწითალო ფერისაა, ქვემოდან კი შებუსულია. ფოთლის ფირფიტა მოყვანილობით უფრო გრძელია, ვიდრე განიერი და სოლისშთაბეჭდილებას სტოვებს. ფირფიტის კიდეთა კბილანები ვიწრო და წამწვეტებულია. ახალგაზრდა განუვითარებელი ფოთოლი ბაციმწვანე ფერისაა და ფირფიტა კარგა ხნის განმავლობაში დაკეცილი, გადაუშლელი რჩება. ყვავილების მეტი წილი ჰერმადროდიტულია. მტკვანი წვრილი და თხელია; მარცვალი, მრგვალი ან მობრტყო მოყვანილობისა, წვრილი, შავი ფერისაა. გემოთი ბლანტია. წიბწა ძალიან წვრილია. ფესვები წვრილი და მავარი, მავთულისებრი.

რქა იოლად ფესვიანდება. ფილოქსერასადმი გამძლეობა სავესებით საკმაო აქვს. კირის დიდ რაოდენობას ვერ იტანს და თუ კირი 12% სჭარბობს, ქლორიზი იოლად უჩნდება. სანამყენოს კარგად კვებავს, თუ შესაფერის, ე. ი. ღრმა, ღონიერ, კირით ღარიბ ნიადაგებში არამშრალ პირობებში იზრდება.


რიპარია პორტალისი (*Riparia Portalis*, სინონ. *R. gloire de Montpellier*).

რიპარიას სხვა ფორმებთან შედარებით ეს ფორმა უფრო მძლავრად და ლაღად იზრდება. ზემოდ აღწერილ ფორმისაგან ფოთლის უფრო ბაცი ფერით და არამოელვარო იერით განირჩევა; ფოთოლი მოყვანილობით შედარებით ნაკლებ წაგრძელებულია. მცენარე მამრობითი სქესისაა.

რქა ზინებულად ფესვიანდება, სანამყენოს კარგად იზორცებს, კირის ამტანიანობა მეტი აქვს, ვიდრე რიპარიას სხვა ფორმებს (15%); ფილოქსერასადმი ფესვის გამძლეობა თითქოს ნაკლები აქვს, ვიდრე დიდფოთლიან გლუვ ფორმას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სავესებით საკმარისი აქვს. ფესვი ოდნავ ზორციანია.

ფრანგი მევენახენი საძირედ, რიპარიას სხვა ფორმებთან შედარებით, ამ ფორმას ამჯობინებენ, მაგრამ ეს ფორმაც გამოსადეგია მხოლოდ

ღრმა, ღონიერ, არამშრალ ნიადაგებში. ღრმა ალუვიურ ნიადაგებში, თუ
 კირის რაოდენობა 15% არ სჭარბობს და ნიადაგში ტენი საკმარისია,
 ამ საძირეზე დაყენილი ვაზი ხასიათდება ნაადრევი და თანაბარწიწვანე
 ანობით, ყურძენის 8 — 10 დღით უფრო ადრე დამწიფებით.



სურ. 2. რიპარია პორტალისი.

რიპარია ვაინენჰაიმი № 1 (R. Geisenheim № 1). როგორც ირკვევა,
 კულტურაში ამ ფორმის სამი კლონი გვხვდება. ეს კლონები ურთიერთი-
 საგან ფოთლის ნერვაციის მეტნაკლები შებუსვით და მელანოზასადმი მეტ-
 ნაკლები გამძლეობით განსხვავდებიან. ეს ფორმა ხასიათდება ფოთლის
 ფირფიტის საკმაო სისქით და მთავარი ძარღვების ამობურცვით; ფოთლის
 ძარღვები ქვედა მხრიდან უხვად არის შებუსული ხაოსმავარი ბუსუსით.
 ვაზი ღონიერი იზრდება. გვხვდება ორ სქესიანი ყვავილები, მაგრამ მამ-
 რობითი სქესის ყვავილები სჭარბობენ.

რიპარია ვაინენჰაიმი ვეგეტაციას უფრო ადრე ათავებს, რქა დრო-
 ულად შემოდის, მომძიმო ნიადაგებსაც ეგუება, მაგრამ მძიმე ნიადა-
 გებში, აგრეთვე მშრალ პირობებში და კირის 15% -ზე მეტი შემადგენლო-
 ბის დროს — გამოუსადეგარია. გერმანიაში, როგორც ირკვევა, ამ საძირემ
 უკეთესი შედეგი მოიტანა, ვიდრე რიპარიას სხვა ფორმებმა, რაც ამ
 ფორმისთვის ნაკლები ჭიბბოს საჭიროებით უნდა აიხსნას.

რიპარია სკრიბნერი (R. Scribner). რიპარიას შებუსევილ-ულორტებიანი ფორმები ნაკლები ღირებულებიანია. მათ შორის სკრიბნერის რიპარია მინც უფრო უკეთესია. იგი ხასიათდება ბაც-მწვანე ფერის, მოგრძო, დიდი ფოთლებით, რომელთა ფირფიტაც აბურცულია; ულორტი უხვად შეშუპული ხაოსმავარი ბუსუსით. ვაზი მამრობითი სქესისაა. შემოსული რქა მოიხსროა. ივითარებს მძლავრ ფესვთა სისტემას; ვაზიც საკმაო ღონით ვითარდება. იგი საძირედ გამოსადეგია ქვიშნართიხა ნიადაგებში 12% კი-რის შემცველობით, ოღონდ არაგვალვიან პირობებში.

აქვე ვათავსებ ხმელეთზე ოჯახ Ampelideae-ს განლაგების რუკას (იხ. რუკა გვ. 59 სურ. 3).

აკადემიკოსი Ravaz-ი ამერიკელი წარმოშობის Euvitis-ის ვაზის სახეობებს ამპელოგრაფიული თვალსაზრისით შემდეგნაირად აჯგუფებს:

A. ხახეობანი, რომელთა ულორტზე პწკალები წყვეტილი განწყობით ხასიათდება:

I. ულორტის განივი განაკვეთი მრგვალი ან ელიპსურია—

ა) ფოთოლი სოლისებრი მოყვანილობისაა:

1. *Vitis riparia*, Mich.

სახესხეობანი	{	ულორტი გლუვი
		" ბეწვიანი
		" ხაოიანი
		" ოღნავ შებუსული

ბ) ფოთოლი თირკმელისებრი მოყვანილობისაა:

2. *Vitis rupestris*, Scheel.

გამოურკვეველი ფორმები.

3. *Vitis Treleasii*.

II. ულორტი წახანგოვანია:

ა) ფოთლის ფირფიტა შეკვეცილია, ქვედა მხარე პრიალაა:

4. *Vitis aestivalis*, Mich.

5. *Vitis Lincecumii*, Buckl.

6. *Vitis bicolor*, Leconte.

ბ) ფოთლის ფირფიტის მოყვანილობა სოლისებრია, წითელბუსუ-სიანი:

7. *Vitis coriacea*, Schut.

თეთრბუსუსიანი:

8. *Vitis arizonica*, Engelm.

გ) ფოთლის ფირფიტა მოყვანილობით მრგვალი და შებუმბულულია:



9. *Vitis californica*, Benth.

დ) ფოთოლი მრგვალი გლუვი, მობრკეცილია:

10. *Vitis monticola*, Buckley.

ე) ფოთლის ფირფიტა გულსებრ მოყვანილობისა:

11. *Vitis cordifolia*, Michaux.

ვ) ფოთლის ფირფიტა თათნაკეთიანია:

12. *Vitis rubra*, Michaux.



საქართველოს
აკადემიის
ბიბლიოთეკა

III. ულორტი დაკუთხული:

ა) ფოთლის ფირფიტა უამისებურად მოხრეკული და მრგვალია:

13. *Vitis candicans*, Engelm.

ბ) ფოთლის ფირფიტა სოლისებრი მოყვანილობისაა:

14. *Vitis Berlandieri*, Planch.

სახესვაობანი { ულორტი შებუსულდა ბუმბუსისებური ბანჯგვლით.
 { ბუსუსი ქინძისთაეის მოყვანილობისაა.
 { ულორტი მარტივი და შებუსულია.

გ) ფოთლის ფირფიტა სხვადასხვა მოყვანილობისაა და გადაბრილია:

15. *Vitis cinerea*, Engelm.

Б. სახეობანი, რომელთა პეკალები ულორტზე უწყვეტი განწყობით ხანიათდება:

16. *Vitis labrusca*, Linné.


სახესვაობანი { ა) ბუსუსები ქინძისთაეის მოყვანილობისაა.
 { ბ) სადაბუსუსიანი.

ამერიკული წარმოშობის *Vitis*-ის სახეები ფოთლის და რქის მიხედვით
სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

А. ულორტზე პეკალების განწყობა წყვეტილია — ყოველი ორი ფოთ-
ლის პირდაპირ პეკალი მდებარეობს, შემდეგი ფოთლის პირდაპირ პეკალი
იღარ არის და ასე თანამიმდევრობით.

- | | | |
|---------------------------------|-------------------------------|--|
| I. ულორტი ელიპსური ან მრგვალია. | ა ₁ / ₁ | ფირფიტა სოლისებრი |
| | | ბ ₁ / ₁ " თირკმელისებრი |
| | | ც ₁ / ₁ " მოხრილი, გულისებრი. |
| II. ულორტი წახნაგოვანი. | ა ₂ / ₂ | ფირფიტა შეკვეცილი მოყვანილობისაა |
| | | ბ ₂ / ₂ " სოლისებრი " |
| | | ც ₂ / ₂ " მრგვალი " |
| | | დ ₂ / ₂ " გულისებრი " |
| | | ე ₂ / ₂ " თათნაკეთიანი, სოლისებრია. |
| III. ულორტი დაკუთხულია. | ა ₃ / ₃ | ფოთლი მრგვალი, მოხრეკული |
| | | ბ ₃ / ₃ " სოლისებრი |
| | | ც ₃ / ₃ " სხვადასხვა მოყვანილობისაა და მოხრილია. |

Б. ულორტზე პეკალების განწყობა (განწყობა) უწყვეტია (ყოველი ფოთლის პირდაპირ იმყოფება პეკალი).



სურ. 4. Euvitis-ის სქემატურად დაღოფა ამელოტრაფიული ნიშანთვისებების მიხედვით.

აზიური სახეობანი

Vitis Coignetiae, Pul. (კოიგნეცია)

სინონიმები: V. rugosa, V. gigantea და სხვ.

ვაზის აზიურ სახეობათა შორის კოიგნეცია ისეთივე მძლავრი ღონით ხასიათდება, როგორც ამერიკულ სახეობათა შორის კალიფორნიკა და კანდიკანსი.

კოიგნეცია ველურად გვხვდება შუა და ჩრდილო-იაპონიაში—შთის კალთებზე, კორეაში, სახალინზე; იგი თითქმის ისეთივე ყინვის ამტანია, როგორც ლობრუსკა.

ვაზის ამ სახის ლალი ზრდა-განვითარებისათვის საჭიროა საკმაო ტენი, ზომიერი ჰავა და ღრმა და ნოყიერი ნიადაგები. ცხელ რაიონებში ფოთლები უწყვილდება, ებრუება და ვაზი ნაგალა განვითარებისა რჩება.

ხასიათდება ძალიან გრძელი ყლორტებით; წვეტილი, მომცრო, ორ ნაწილოვანი პწკალებით; ძალიან დიდი ფოთლით (25×30); ამ ზომის ფოთოლი არც ერთ აზიურ ვიტს-ს არ აქვს; ფირფიტა მთლიანი, ასიმეტრული, თხელი და აბურცული; ფირფიტის ზედა მხარე მუქ-მწვანე ფერისაა, ქვედა კი მწვანე-მოთეთრო; დაკბილვა წვეტიანი, საკმაოდ კარვად გასა-



ჩრევი; ფოთლის ყუნწი გრძელი, წვრილი და შებუმბულული. მტევანი საკმაოდ მსხვილი და მოგრძობა; მარცვლი მრგვალი, საშუალო სისხისი, შავი ფერისაა; ხორცი კარგად შეფერილია; წვენი ტკბილი-მწკრივით გემოსია; ყურძენი ადრე მწიფდება.

ამ სახის წარმომადგენლებზე საკმაო იმედებს ამყარებდნენ, რადგან შედარებით დიდი ყინვის ამტანიანობით და ყურძნის ადრე დამწიფებით ხასიათდება. ამის გამო მის კულტურას ნორმანდიაშიც კი მიყვებს ხელი, მაგრამ მიღებული პროდუქტი იმდენად დაბალი ხარისხის გამოდგა, რომ მისი გამრავლება შეწყვიტეს. დეკორატიულ მებაღეობაში ამ სახის ფორმებს წარმატებით იყენებენ. რკა ძნელად ფესვიანდება.

კოიგენცია ფილოქსერას სრულებით ვერ იტანს, ამიტომ, როგორც საძირე არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.

Vitis Thumbergii, Sieb. et Zuck. (თუმბერგია)

სინონიმები: *V. picifolia*, *V. titanea*, *V. labrusca*, *V. mollis* და სხვა.

თუმბერგიის ფორმები ველურად იზრდება იაპონიაში, კორეაში, ნაწილობრივ ჩინეთში და კუნძულ ფორმოზაზე.

მისი დამახასიათებელი ნიშნებია: ვაზი დაბალი და ჩირვვის მაგვარია; მწკალები ზოგიერთ ყლორტზე წყვეტილი, ზოგიერთზე უწყვეტია. ფოთოლი პატარა, განიერი, სამნაკეთიანია. ფოთლის ფერფიტა მუქ-მწვანე ფერისაა, ქვედა მხარე თეთრ-მომწვანოა და ადრე შემოდგომით წითლდება. ყვავილი ორსქესიანია. ყოველ ყლორტზე მტევნები დიდი რაოდენობით გვხვდება; მტევანი ძალიან წვრილი და დატოტვილია. მარცვლი წვრილი, მრგვალი, შავი ფერისაა; ჩენჩო სქელია. ყურძენი გვიან მწიფდება; წვენი მკაფე-მომწკარტო გემოსია. წიპწა წვრილია და თითოეულ მარცვალში თითქმის ყოველთვის 4 ცალი გვხვდება. ფილოქსერასადმი გამძლეობა არ ახასიათებს.

თუმბერგიის არცერთი ფორმა მევენახეობისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.

Vitis flexusa, Thumb. (ფლექსოზა)

სინონიმები: *V. indica*, *V. parvifolia*, *V. purani*, *V. Wallichii* და სხვა.

ფლექსოზა ფოთლების მოყვანილობით ძალიან წიაგავს რიპარის და აგრეთვე კორდიფოლიასაც. მისი მრავალრიცხოვანი ფორმები გაბნეულია იაპონიაში, კორეაში, ჰიმალაის ფერდობებზე და კოჭინქიშიაც. ამ სახეს მხოლოდ ბოტანიკური ინტერესი აქვს, რადგან არც ნაყოფი უკარგა და არც საძირედაა გამოსადეგი — ფილოქსერა ღუპავს. ხასიათდება გრძელი განვითარებული მწკალებით, წვრილი, მთლიანი ფოთლებით და წვრილი ცილინდრული მტევნებით. მარცვლი წვრილი, მრგვალი, შავი ფერისაა. ძალიან ცოტა წვეს შეიცავს.

Vitis amurensis, Rupr. (ამურკანეზი)



სინონიმები: *V. vulpina*, *V. Tisserandii* და სხვა.

ამურენზისის ვაზები გაუვალ ბარდებს ქმნის უსურვის, ამურისა და მანჯურიის ზოგიერთ რაიონში. გვხვდება აგრეთვე აღმოსავლეთ მონღოლეთში, სახალინზე, ჩრდილო-იაპონიაში და ჩრდილოეთ ჩინეთში.

ვაზი საკმაოდ ღონივრად იზრდება და კარგი ახოხვის უნარიანობით ხასიათდება. ყლორტები გრძელი, წვრილი, ოდნავ თეთრად შებუსუსულია; მუხლთშორისები გრძელი, დიაფრაგმა თხელი, მერქანი მკვრივი აქვს. პყვალა წყვეტილი, წვრილი, ორ-სამ ნაწილიანია. ფოთლები საკმაოდ მსხვილი, მომრგვალო, 3—5 ნაკვთიანი; ფირფიტა სქელი, ამურკული, მუქ-მწვანე ფერისაა, ქვედა მხარე კი მწვანე-მოთეთრო ფერისაა; შემოდგომით მოწითალო ფერს იღებს. მტევანი წვრილი, მოგრძო და დატოტვილია; მარცვალი წვრილი, მრგვალი, შავი ფერის, მოტკბო-მომეავო გემოსია (ყურძენში შაქრის რაოდენობა გროვდება, რაიონის მიხედვით, 12—23% და საერთო შევიანობა 16—25%^{0/00}-ამდე), მარცვალი 2—4 წიპწას შეიცავს; წიპწა წვრილი, სამკუთხედის მსგავსი, მეტად მოკლე ნისკარტიანია.

ამურენზისის საკმაო ყურადღება მიაქციეს; ფიქრობდნენ ამ სახესთან შეჯვარებით დიდი ყინვის ამტანი ჰიბრიდების მიღებას. ეს მისწრაფება ჯერ-ჯერობით ამომწურავად არ გამართლდა არც ჩვენში და არც საზღვარგარე. 1933 წ. ი. ვ. მიჩურინმა შემომჩვილა: „კოზლოვის ყინვებმა ამ ვაზების ჰიბრიდებს გაცილებით მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე ლაბრუსკას ჰიბრიდებს“-ო. ფილოქსერისადმი გამძლეობა არ ახასიათებს, სოკოვან ავადმყოფობითაც ნაწილობრივ ზიანდება.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამურენზისის ბუნებრივი გავრცელების (ჩრდილოეთი ზონა) პირობებში არ გვხვდება არც ფილოქსერა და არც ჩვენთან შემოტანილი სოკოვანი ავადმყოფობანი, ჩვენთვის ცხადი იქნება ამ ვაზის ნაყოფის დიდი ღირებულება ისეთ რაიონებში, როგორცაა უსურვის მხარე, ამურის ნაპირები და სახალინი: ამ ჩრდილოეთ მხარეში ხილი იშვიათი „ხილია“.

როგორც ირკვევა, ამურენზისის ზოგიერთი ფორმა შედარებით საკმაოდ მსხვილმტევნიან და მსხვილმარცვლიან ნაყოფს იძლევა და თითქმის გემოთიკ უკეთესია, ვიდრე წვრილმარცვალა ფორმები. ამ მხარის სელექციონერები, უპირველია, ყველა ღონისძიებას იხმარენ იმისათვის, რომ ამურენზისის ველურ ფორმებიდან შეარჩიონ და კულტურაში შეიტანონ სათანადო ღირებულების ფორმა. ნიკოლსკუსურის საცდელი სადგური ამ მუშაობას უკვე შეუდგა.



სინონიმი: Spinovitis Davidii.

რომანეტის ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდით, გრძელი ღონიერი ყლორტებით, სქელი, განვითარებული დიფერაგმით და უხვად შეფენილი მოთეთრო ბუსუსით; ამ ფერს ვაზი ყვავილობის შენდევ იღებს. ფოთლები საშუალო სისხოსი, გრძელი, მთლიანი და გულის მოყვანილობისაა; ფირფიტა სქელი, აბურცულია, ქვედა მხრიდან დაფარულია მოწითალო ფერის ბანჯგვლით; ფოთლის ყუნწი მოკლე, წვრილი და წითლად შეფერილია; მტევანი — საშუალო, მოგრძო, დატოტეილია. მარცვალი — მობრტყო, მომცრო, შავ-მომბრტყვიანო ფერისაა. ხორცი შეფერილი, წვნიანი, მოტკბო-მომკვავოა. წიბწა წვრილი, მრგვალი, მოპრტყვიანო, მოკლე ნისკარტიანია.

რომანეტი ველურად ბინადრობს ჩინეთში, მთის კალთებზე, ზღვის დონიდან 1300—1400 მეტ. სიმაღლეზე. ვაზს საკმაოდ ლაზათიანი შეხედულება აქვს.

მევენახეობის პრაქტიკისათვის ამ სახეობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ფილოქსერას ვერ უძლებს და უბარაქო, ნაკლები ხარისხის მოსავალს იძლევა.

Vitis Davidii, Corrière (ქალიანი ვაზი)

სინონიმები: Spinovitis Davidii, V. morandi და სხვა.

ვაზის ეს სახე მკაფიოდ განირჩევა ვაზის ყველა დანარჩენი სახეობისაგან უხვი ეკლებით, რომლებითაც შეხორკლილია ყლორტები და რქა; მისი ყლორტის ჰაბიტუსი მაყვლის ბარდის ყლორტს წააგავს. ამ ეკლიანობის გამო სინონიმური სახელწოდებაც მიიღო Spinovitis.

სპინოვიტისი გვხვდება რომანეტის გავრცელების არეში და თავის სამშობლოში ისევე ღონიერად იზრდება, როგორც რომანეტი.

სპინოვიტისი ხასიათდება: მოკლე ეკლით შეხორკლილი რქით, მოკლემუხლთშორისებით, წყვეტილი, წვრილი პწკალებით და მოწითალო შებუსუსით. ფოთლის ფირფიტა მრგვალი მოყვანილობის, ძალიან დაკბილული და სქელია, ზედა მხარე — ღია-მწვანე ფერისაა, ქვედა კი ბაცი-მწვანეა. მტევანი წვრილი, წვრილმარცვალია. შავი ფერის, საკმაოდ წვნიანია.

მევენახეობის პრაქტიკისათვის ამ სახეობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

Vitis Pagnucii, Raman. (პაგნუსია)

სინონიმი: V. Iruktana.

პაგნუსია ხასიათდება მორჩილი ზრდით, წვრილი რქით, მოკლე მუხლთშორისებით, წვრილი წყვეტილი პწკალებით. ყვავილეთი უხვადაა

შეფენილი მოთეთრო ბუსუსით. ფოთოლი მომცრო, მოგრძო, სქელფირფიტოვანი და მწვანე მობრწყვიალო ფერისაა. ყლორტის ქვედა ნაწილში ფოთოლი მთლიანია, ზემო ნაწილში კი სამნაკეთიანი; ამონაკეთებელი კეობი ტად ღრმად არის შეჭრილი ფირფიტაში; ყლორტის წვერებში მხოლოდ სეპული ფოთლები თათნაკეთიანია. ფოთლის ყუნწი პატარა და წვრილია, მტევანი წვრილი, მოგრძო, შეემარცვლიანია; მარცვალი წვრილი, მრგვალი, ნაკლებწვნიანია.

მევენახეობის პრაქტიკისათვის პავნუციის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

Vitis rotundifolia, Raman. (ამბროსი)

სინონიმი: *V. Carrierei*.

რეტორდის სამშობლო ტონკინის მიდამოებია. ხასიათდება გრძელი დაკუთხული მუხლშორისებით, მთლიანი, მოგრძო, წვრილი, გულის მოყვანილობის შებუსუსული ფოთლებით და წვრილი წვეტილი პწკალებით. ამ სახეობას პრაქტიკული მევენახეობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

Vitis balanseana, Planch. (ბალანსეანა)

ბალანსეანა ხასიათდება ღონიერი ზრდით, სქელი ტანით; ქერქი განიერ სარტყლებად სცილდება. რქა გრძელი, სქელი, ვერტიკალურად მოზარდია. პწკალი წვეტილი, ძალიან სქელი, გრძელი, ორ-სამ ნაწილიანია. ფოთლის ფირფიტა მომცრო, გულის მოყვანილობის, მთლიანი, ოდნავ დახერხილი, მუქი მწვანე ფერისაა და ორივე მხარეს მობრწყვიალოა. ფოთლის ყუნწი გრძელი, წვრილი, ოდნავ შებუსუსულია. მტევანი მოგრძო, თხელი, წვრილმარცვალაა. მარცვალი შავი ფერისაა და 2-4 წიპწას შეიცავს; მარცვალი ნაკლებ წვნიანია. წიპწის ნისკარტი საკმაოდ განვითარებულია, ქალაზა გრძელი აქვს.

საწარმოო მევენახეობისათვის ბალანსეანას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

Vitis lanata, Rotburgh (ლანატა)

სინონიმები: *V. succisa*, *V. hyenana* და სხვ.

ლანატა ხასიათდება განსაკუთრებით ღონიერი ზრდით და გონკონგის ტყეებში გაუვალ ბარდებს ჰქმნის. რქა გრძელი, სქელი, ვერტიკალურად მოზარდია; წითლად შებუსუსულია და რქის დამწიფების დროს მობრწყვიალო ფერს იღებს. ფოთოლი საშუალო სიმსხოსი, მთლიანი, გულის მოყვანილობის, ასიმეტრულია; ფოთლის ფირფიტა სქელი, მუქი მწვანე ფერისა, წვეტიანად დაკბილულია. ფირფიტის ქვედა მხარე უხვადაა შებუსუსული მოწითალო ბუსუსით. ფოთლის ყუნწი მოკლე, სქელი

და წითლად შებუსუსულია. მტევანი წვრილი, მოგრძო და თხელია. მარცვალი მომცრო, მრგვალი, მკერივი, წითელი ფერის, —სტელკანიანია; უხვად შეიცავს წვენს.

ლანატა აზიის ტროპიკული ნაწილების ვაზია (ინდოეთი, ინდონეზია). შევენახეობისათვის გამოუსადეგარია.

Vitis pedicellata, Lawson (პედიცელატა)

პედიცელატა ნაპოვნია ჰიმალაის მთების კალთებზე. მომცრო ბარდის მსგავსად იზრდება, ფოთლები მომცრო, უხვად შებუსუსული აქვს; მოყვანილობით გულის მსგავსია, უნწის ნაკეთი ღიაა; მტევანი და მარცვალი მეტად წვრილი აქვს.

შევენახეობისათვის არაეითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.

Vitis vinifera, Linné, (ვინიფერა)

სინონიმები: *V. vinifera sylvestris*, *V. sylvestris*, *V. labrusca*, *V. diversifolia*, *V. virgiliana*, *V. vinifera sativa*, *V. lacinosa* და სხვ.

Vitis vinifera-ს კულტურული, გაგარეულებული და ველური ფორმები იმდენად მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი ნიშანთვისებით ხასიათდებიან, რომ მოკლე მიმოხილვაში ამ საკითხის ამოწურვა შეუძლებელი ხდება. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ევროპის მრავალ ქვეყანაში და ჩვენშიაც ველურად მოზარდი ვინიფერას ვაზის მთელა რიგი ფორმები უკვე დაიღუპნენ ფილოქსერასაგან ან სოკოვან ავადმყოფობისაგან და ამჟამად უკვე ძნელდება მისი გენეზისის სწორად წარმოდგენა. ველურ ფორმას (კრიკინა) ბოტანიკოსები ცალკე სახედ სთვლიან და ტყის ვაზს, ანუ *Vitis sylvestris* უწოდებენ.

ტყის ველური ვაზი—კრიკინა გვხვდება როგორც დასავლეთ აზიაში, ისე ამიერკავკასიაში, შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე. ველურად არსებული ტყის *Vitis*-ის ყველა ფორმა, რომლიდანაც შეიქმნა კულტურული ვაზი *Vitis sativa*¹ წარმოიშვა, ორ მთავარ ჯგუფად შეიძლება ჩამოვყალიბოთ: აღმოსავლეთის და დასავლეთის ჯგუფად. აღმოსავლეთის ჯგუფი ხასიათდება უფრო მომსხო მტევნით და მარცვლით; გლუვი, ოდნავ მობრწყვიალო ფოთლებით². დასავლეთის ჯგუფი ხასიათ-

¹ ზოგი ბოტანიკოსი *Vitis vinifera*-ს ორ ქვესახეობად მყოფს, სახელდობრ: კრიკინა (*Vitis sylvestris*) და კულტურული, ანუ ხელთნაშენი (*Vitis sativa*); მხოლოდ უმცირესობის ახრით, აგრეთვე ცალკე ქვესახეობად უნდა გამოიყოს უწიამწი ყურძენი (*Vitis aepyrena*).

² ბოტანიკოსმა F. Kolenati-მ, რომელიც საქართველოში მოგზაურობდა წარსული საუკუნის პირველ ნახევარში, 1846 წ. გამოკვეყნებულ თავის შრომაში ქართული კრიკინა ვაზები (*V. sylvestris*) ორ მთავარ ჯგუფად დაყო შებუსუსის ხასიათის მიხედვით; ერთს უწოდა *V. vinifera anetophylla* და მეორეს *V. vinifera trichophylla*; მისი აზრით ა. კ. ყველა ვაზის ჯიშები ამ ორი ფორმიდან წარმოიშვნენ.

დება უფრო წვრილი მტევნით და მარცვლით; უფრო მეტად დანაკვეთილი და შებუსუსული ფოთლებით¹. თითოეულ ჯგუფში მრავალი ჯიში შედის.
Vitis vinifera-ს მრავალრიცხოვანი ჯიშები ურთიერთისაგან განსხვავდებიან: ყლორტების შებუსუსით და ფერით; ფოთლის სიდიდით, მოყვანილობით, შებუსუსით, ფერით, ნაკეთების რაოდენობით, სიღრმით და სხვ.; მტევნის სისხოთი, მოყვანილობით, აგებულებით; მარცვლის სისხოთი, მოყვანილობით, ფერით, ხორციით, გემოთი და სხვა. ამ სახეობის ღირსშესანიშნავ ჯიშებს და აგრეთვე იმ ჯიშებს, რომელნიც ახლო მომავალში ჩვენი მეურნეობისათვის გამოადგებიან, შემდეგ გავეცნობით.

— : —

Vitis-ის სახეობის მოკლეთ განხილვის შემდეგ, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ მათი მორფოლოგიური დაჯგუფება, და რადგან მევენახეობისთვის ინტერესს მხოლოდ *Euvitis*-ის ქვეგვარი წარმოადგენს, ამიტომ მას შევვებებით.

Euvitis-ის სახეობებს ფრანგი მკვლევარი პროფ. Foex-ი შემდეგნაირად აჯგუფებს:

- | | | |
|--|---|-------------------------------|
| 1. ჯგუფი <i>labruscidae</i> , სახეობანი | } | <i>V. californica</i> , Benn. |
| | | <i>V. caribea</i> , de Cand. |
| | | <i>V. coriacea</i> , Schut. |
| | | <i>V. candicans</i> , Eng. |
| ჯგუფი <i>aestivalis</i> , სახეობანი
(ამერიკული წარმოშობისა) | } | <i>V. Lincecumii</i> , Buckl. |
| | | <i>V. bicolor</i> , Lecom. |
| | | <i>V. aestivalis</i> , Mich. |

¹ მწერელი ბოტანიკოსი—ამპელოგრაფი ანდრასოვსკი (Andrasovsky) ეფრო შორს წაეიდა და კვლევის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სახეობა *V. vinifera* არსებობდა ზუსტი სახეობისაგან შედგება, სახელდობრ: *V. mediteraneae* Andras; მან ამ სახეობას მიაკუთვნა ფორმები, რომელთა ყლორტების წვეროების და ფოთლის ქვედა მხარე უხვადაა შებუსუსული გრძელი, რბილი, წაწოლილი ბუსუსით; ეს სახეობა მას ხმელთაშუა-ზღვის ვახუბის წარმოშობად ფორმად მიაჩნია. ოთხ დანარჩენ სახეობას აკუთვნებს გლეგელოიდებიან, ან და, მოკლე, გაბნეულ, ხემდგომ ხაოსებურ ბუსუსებს. ერთი ამ სახეობათაგანი, სახელდობრ *V. allemanica* Andras., მას მიაჩნია შუა ევროპის ვახის ფორმების წარმოშობად; ამ სახეობაში შემავალ ფორმებს იგი ახასიათებს როგორც წვრილ, კუმს, ცილინდრული მოყვანილობის მტევნიანებს. სამ დანარჩენ სახეობას: *V. Byzantica* Andr., *V. deliciosa* Andras. და *V. antiquorum* Andras. იგი აკუთვნებს დასავლეთ აზიას და ამ სახეობებში შემავალ ფორმებს. ამ ჯიშებს ახასიათებს მტევნის სიმსხო, მარცვლის ხორციანობა, მარცვლის სხვადასხვა ფერი, მოყვანილობა და გემო (მუსკატისებრი).

საუბრებელია, რომ დღეს არსებული ფორმების თავდაპირველი მოდგმები ამ სახეობათაგან წარმოიშვნენ, მაგრამ გადაჭრით ამის მტკიცება ამჟამად არ შეიძლება, რადგან ფრთხილ განმეოლობაში, წინააღმდეგობრივი ფორმების შეჯვარების შედეგად წარმოიშვა მრავალი რთული ნაჯვარი; ამ მეტად მოავალფეროვან მასალაში არსებული ანალიზური მეთოდით გარკვევა კი შეუძლებელია.

- | | | |
|---|---|--|
| 3. ჯგუფი cinerascetes, სახეობანი | { | V. cinerea, Eng.
V. cordifolia, Mich.
V. Berlandieri, Plan. |
| 4. ჯგუფი rupestris, სახეობანი | { | V. monticola, Buckl.
V. rupestris, Scheele
V. arizonica, Engelm. |
| 5. ჯგუფი riparia, სახეობანი | { | V. riparia, Mich.
V. rubra, Mich. |
| 6. ჯგუფი ladruscae, სახეობა | { | V. labrusca, Lin. |
| 7. ჯგუფი labruscoideae, სახეობანი (აზიური წარმოშობისა). | { | V. coignetciae, Pulliat
V. Romaneti, Rom.
V. Thumbergi, Sieb. etz.
V. lanata, Bux.
V. pedicellata, Laus. |

8. ჯგუფი, რომელთა კლასიფიკაციაა ჯერ არ ჩატარებულა—აზიური წარმოშობის დანარჩენი სახეობანი.

9. ჯგუფი viniferae—სახეობა vitis vinifera, Lin.

ზემომოყვანილი დაჯგუფების სიზუსტე ამეამად ექვს არ იწვევს.

III. სპეციალური ამკვლევარული ჯიშები და მისი მნიშვნელობა.

მევენახეობის დიდმა ოსტატმა, ფრანგმა მკვლევარმა Olivier de Serres-მა უკვე 1600 წელს ბზვასშით აღნიშნა, რომ „კლიმატი, ნიადაგი და ჯიში მევენახეობის საძირკველია“. დღესაც ეს დებულება მეტად მნიშვნელოვანია, ოღონდ ამ ფორმულას საჭიროა დაემატოს აგროტექნიკაც, რაც, რასაკვირველია მევენახეობაში მეტად დიდ როლს თამაშობს. მართალია ჯიშს უდიდესი გავლენა აქვს მევენახეობის პროდუქტის ხარისხსა და რაოდენობაზე,—შეიძლება ჯიშს ზოგჯერ წამყვანი როლიც კი მიეკუთვნოს,—მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს გავლენა გადამწყვეტი არ არის, რადგან თუ ჰაეა, ნიადაგი, აგროტექნიკა და სხვა პირობები ჯიშისთვის ხელშემწყობი არ არის, მარტო „ჯიში“, როგორც ასეთი, ვერ უზრუნველყოფს ვერც პროდუქტის ხარისხს და ვერც მოსავლის რაოდენობას.

ვენახის ადგილმდებარეობა, ვახის წლოვანება, წარსული წლის ამინდიც და სხვა მრავალი ფაქტორი აგრეთვე გარკვეულ დიდს ასეაშს პროდუქტის ხარისხს და რაოდენობას. საკმარისია გავიხსენოთ, რომ განსაკუთრებით

და შამბანის განთქმული პინო უშინაარსო მძიმე ღვინოს იძლევა ყოველმა გაშენებული რეინის განთქმული რისლინგის ჯიში რეინის რისლინგს სრულე-ბით აღარ გაეს და ა. შ. ამგვარად, რამდენადაც მევენახეობის რაიონის პირობები ნაკლებ ანალოგიური იქნება შედარებით იმ რაიონებთან, რომელშიაც ჯიში ივითარებს მაღალი ღირსების თვისებას, იმდენად მიღებული პროდუქტი განსხვავებული ხარისხის იქნება. ყველა ეს ცხადყოფს ფაქტორთა კომპლექსის მნიშვნელობას.

დაკვირვებული და შეგნებული მევენახის უდიდეს და ურთულეს ამოცანას შეადგენს ადგილობრივი ბუნებრივი პირობების მიხედვით იმ ჯიშის შერჩევა, რომელიც მაქსიმალურად ეფექტური იქნება. აგრონომ-მევენახემ უნდა შეისწავლოს და ზუსტად შეაფასოს ბუნების ადგილობრივი თავისებურება; მხოლოდ ამის შედეგად ჩატარებული მიზანშეწონილი მოქმედება მოგვცემს სათანადო ეფექტს.

ამგვარად, ჯიშის მეტად დიდი მნიშვნელობა უდაოა; მაგრამ მართო ჯიში საკითხს სრულიადაც არ წყვეტს. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ ზოგიერთი ჯიში მთელ რიგ ფორმებს შეიცავს, ხოლო ცალკეული ფორმა კი გავლენას ახდენს როგორც პროდუქტის ხარისხზე, ისე რაოდენობაზე. ცნობილია, რომ კაბერნე ფრანკი და კაბერნე სოვი-ნიონი სხვადასხვა ხარისხის ღვინოს იძლევიან; აგრეთვე კახური დიდი და პატარა საფერავი, ისე როგორც ფრანგული პინო შაჰი და პინო მენიე, სხვადასხვა ხარისხის პროდუქტს იძლევა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენში დამყნადი ვაზი იზმარება, ხოლო საძირე, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ნაწილობრივ გავლენას ახდენს ჯიშის პროდუქტის ავტორგონობაზე (დამწიფების დრო, შაქრიანობის რაოდენობა, მტყენის სიკუმსე და სხ.), ცხადი იქნება, თუ რამდენად დიდი სიფრთხილეა საჭირო ჯიშთა და მათ საძირეთა შერჩევისას მით უმეტეს, რომ ერთხელ გაშენებულმა ვენახმა მაქსიმალურად ეკონომიური ეფექტი 35—45 წლის განმავლობაში უნდა მოგვცეს და გვემსახუროს.

მევენახეობის პრაქტიკაში ვაზს უძველეს დროიდან ვეგეტატური წესით (რქით, გადაწვევით, ნამყნით და სხვა) ამრავლებდნენ. გამრავლებების ამ წესთან დაკავშირებით ვაზის ჯიში ერთ გარკვეულ და ჩამოყალიბებულ კლონს უნდა წარმოადგენდეს და ამის შედეგად, ჯიშ რქაწითელის, საფერავის, მწვანის, ციკქის ან სხვათა სახელწოდების გვეშ, სრულიად გარკვეული ბიოტიპი უნდა იგულისხმებოდეს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბუნებაში უცვლელი და მუდმივი არაფერია, უნდა დავასკვნათ, რომ ვეგეტატური წესით გამრავლებული და კულტურაში მყოფი ინდივიდებიც დროთა განმავლობაში ცვლილებას, გადასხვაფერებას განიცდიან. კარგადაა ცნობილი შემთხვევები, როდესაც წარმოიშობიან ხოლმე მუტანტები ან და კვირტის ვარიაციები. ასეთი ინდივიდებისგან გასამრავლებლად აღებული ვეგეტატური ნაწილები, თავისთავად ცხადია, „ჯი-

შის* სხვაობას წარმოადგენს. ვარიაციების და კლონების სხვაობა მევენ-
ხეობაში საკმაოდ ცნობილია; ასეთი სხვაობა თუმცა არც ისე ხშირია,
როგორც თესლით გამრავლების დროს, მაგრამ მაინც კულტურის სფერო-
ცესში, რაც საუკუნეების განმავლობაში სწარმოებს, ჯიშის ცალკეული ინ-
დივიდუებისაგან თანდათანობით ხდება ახალი ფორმების წარმოშობა. იმ
შემთხვევაში, როდესაც ახლად წარმოშობილი ფორმა გარეგნული ნიშან-
თვისებებით გარკვეულად განსხვავდება ვაზის ჯიშისაგან, მისი შემჩნევა და
ცალკე გამოყოფა იოლი საქმეა. მევენახეობაში მრავალი ასეთი ვარიაცია
გვხვდება; მაგალითად: ძველი დროიდან გაშენებული სუფრის ყურძნის
ჯიში შასლა რამდენიმე ათეულ ვარიაციას ითვლის და თითოეული მათ-
განი უკვე ცალკე სახელწოდებას ატარებს. ასეთივე მრავალი ვარიაციით
ხასიათდება ჯიში პინო, გამე, ტრამინერი და სხვ. მაგრამ როდესაც ვა-
რგნულ ნიშანთვისებაში მკვეთრი განსხვავება არა სჩანს, მაშინ ერთი ჯი-
შის განსხვავებული ფორმები ხშირად შეუმჩნეველი რჩებიან, და მათი გამრავ-
ლება ხდება, როგორც ერთი ჩამოყალიბებული ცნობილი ჯიშისა; ამის
შედეგად კი, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ჯიში კლონების (clan) ნარევეს
წარმოადგენს. ზემოხსენებულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ „ჯიში“
კლონს არნიშნავს, ჯიში უფრო ფართო მცნებაა და მრავალრიცხოვან კლო-
ნებს შეიცავს; თუმცა შეიძლება, რომ ჯიში მშროლად ერთი კლონისაგან
შედგებოდეს; მით უმეტეს, თუ იგი ახლად გამოყვანილია.

ჯიშის შეცვლა და ამის შედეგად კულტურაში ჯიშის სახელწოდების
ქვეშ მრავალი კლონის არსებობა თავისთავად აყენებს ვაზის ვეგეტატური
სელექციის აუცილებელი საპირობების საკითხს; და რამდენადაც ეს საქმი-
ანობა მეტი სიზუსტით და შეგნებით ჩატარდება, იმდენად მეტ დადებით
შედეგებს შივილებთ. ამ საკითხს შემდეგ კიდევ დავუბრუნდებით და უფრო
დაწვრილებით შევხებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ვაზს წიპწით ამრავლებენ, ახლად მიღ-
ებულ მცენარეებში ჯიშური თვისებანი ძნელი აღმოსაჩენია; მათში ძირი-
თადად სახეობის (species) დამახასიათებელი ნიშანთვისებანი სჩანს; ეს
გარემოება ადვილი ასახსნელიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ
ვაზი ქსენოგამი მცენარეა. სწორედ ამიტომ, საწარმოო ვენახის გაშენე-
ბისას, როდესაც ნაგლისხმევია გარკვეული ჯიშით ვენახის გაშენება, წიპ-
წით გამრავლებას არასდროს არ მიმართავენ ხოლმე.

ინდივიდუალური ვეგეტატური სელექციის შედეგად მიღებული ვაზის
კლონი, გამრავლებული და ვენახში ჩარგული, თავდაპირველად ხასიათდება
ყველა თანაბარი როგორც გარეგნული, ისე შინაგანი ნიშანთვისებით; მაგრამ ამ
შემთხვევაშიც პროდუქტის რაოდენობასა და ხარისხზე სხვადასხვა ფაქტო-
რები გარკვეულ გავლენას ახდენენ. ამ ფაქტორთა შორის ყველაზე მნი-
შვნელოვანია ჰავა, ნიადაგი, ვაზის აღზრდა და აგრეთვე მთელი რიგი
სხვა პირობები, მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია ადამიანის ზემოქმედება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჯიშის სამეურნეო ღირსება არ წარმოადგენს უცვლელ, სტაბილურ მოვლენას, ვინდ იგი კლონი იყოს. გარემო პირობების გავლენის შედეგად ჯიში, როგორც ბიოლოგიური ერთეული განიცდის გარკვეულ მერყეობას, რაც სამეურნეო თვალსაზრისით შეიძლება დადებითად ან და უარყოფითად იქნას მიჩნეული. სწორედ ამიტომ, ჯიშის შესწავლის დროს, საჭიროა არა მარტო მისი მორფოლოგიური ნიშნების ცხადყოფა, არამედ იმ გარეშე პირობების გამოშვლავლება, რომელნიც გარკვეულად მოქმედებენ მისი პროდუქტის ხარისხსა, რაოდენობასა და საერთოდ სამეურნეო ღირსებაზე.

კლიმატი. კლიმატური პირობების გავლენა მევენახეობაზე განხილული იყო ამ შრომის პირველ წიგნში, ამიტომ ამ საკითხს აქ მოკლედ შევხებით.

ავტორიტეტული ფრანგი მეკლევარების დასკვნით, ჯიშის პროდუქტის ხარისხზე კლიმატური პირობები უფრო მეტ გავლენას ახდენენ, ვიდრე ნიადაგის პირობები.

უმაღლესი ხარისხის პროდუქტის მისაღებად ცალკე ვაზის ჯიშისათვის, სხვა ფაქტორების გარდა, საჭიროა გარკვეული კლიმატური პირობები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვაზის ჯიში კაბერნე განსაკუთრებით მაღალი ხარისხის პროდუქტს იძლევა მედოკის რაიონში, ჯიში პინო—კოტდორის რაიონში, ჯიში რისლინგი—რეინის მარჯვენა ნაპირის ფერდობზე, ჯიში ფურმინტი—ტოკაის მიდამოებში, ჯიში სადერავი—ქინძმარაულში და სხვა. იგივე ჯიშები, მოვლის ისეთსავე პირობებსა და ისეთსავე ნიადაგებზე აღზრდილნი, მაგრამ ოდნავ სხვა კლიმატური პირობების გავლენის ქვეშ მყოფნი, სულ სხვა ხასიათის და ღირსების პროდუქტს მოგვცემენ; ამ პროდუქტს (ღვინოს) ხშირად ჩამოთვლილი რაიონების დასახელებული ჯიშის ღვინოებთან არაფერი საერთო არა აქვთ.

კლიმატური პირობების ქვეშ იგულისხმება არა მარტო სითბოს და ნალექების რაოდენობა, არამედ ყველა დანარჩენი კლიმატური ელემენტიც, მაგ.—დღის ხანგრძლივობა თითოეულ ვეგეტატურ ფაზაში, მორჩუბლულობა, ნალექების და სითბოს არა მარტო რაოდენობა, არამედ განაწილება ვაზის განვითარების ცალკეულ ფაზაზე, ნაშინობა, ღამის სიგრილე, ქარების მიმართულება, სიხშირე და სიმძლავრე და სხვა, გარეგნულად იქნებ ნაკლებ შესამჩნევი, მაგრამ ისეთი ფაქტორი, რომელსაც ვაზის პროდუქტის ხარისხზე ხშირად გადამწყვეტი გავლენა აქვს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებით მაღალი ხარისხის სუფრის ღვინოს იძლევა მხოლოდ ისეთი რაიონები, რომლებიც გადამეტებული სიციხეებით და ჰაერის ზედმეტი სიმშრალით არ ხასიათდებიან. დადებითი ორგანოლექტიკურად შესამჩნევი ელემენტები (მათი ჭიმოური ბუნება ჯერ საკმაოდ შესწავლილი არ არის), მაქსიმალურად ვითარდება მხოლოდ ისეთ კლიმატურ პირობებში, როდესაც ყურძნის მოწვევა თანდათანობით მიმდინ-

ნარეობს და ადგილი არ აქვს ერთბაშად დასიცხვას და ამის შედეგად უფროდნის სწრაფად დამწიფებას. მაღალი ხარისხის მაგარი და ტკბილი ღვინოების მისაღებად კი საჭიროა მაღალი ტემპერატურა, თავის-თავს დასაყრდენად, სხვა საჭირო კლიმატურ პირობებთან ერთად. ასეთ კლიმატურ პირობებში თუშკა მაგარი ღვინო მაღალი ხარისხისა დგება, მაგრამ სუფრის ღვინო კი ბლანტი, მძიმე, უხალისო და ხშირად ნაკლებ პარმონული გამოდის.

თვით ერთსადაიმავე რაიონში, ერთსადაიმავე ნაკვეთზე, წელიწადის კლიმატური პირობების მიხედვით ხშირად ცალკეული ბიოლოგიური ფაზა ან მეტად ნაადრევად, ან მეტად ნაგვიანებად მიმდინარეობს. ამის შესახებ მეტად მდიდარი და ზუსტი მასალა მოიპოვება საფრანგეთის მევენახეობის ცალკეულ რაიონებში; მაგ.—1690 წლიდან 1870 წლამდე, ე. ი. 180 წლის განმავლობაში ბურგუნდიის ცნობილ ვოლნეის რაიონში ერთ წელიწადს, სახელდობრ 1770 წ., უფროდნი იმდენად ადრე დამწიფდა, რომ რთველი 28 აგვისტოს ჩატარდა, ხოლო 1815 წელს კი უფროდნი ისე გვიან დამწიფდა, რომ რთველი 25 ოქტომბერს ჩატარდა; იურას დეპარტამენტის სალენის ვენახებში 1540 წლიდან 1870 წლამდე სულ ადრეულა რთველი 1540 წლის 6 სექტემბერს ჩატარდა, სულ გვიანი კი—1816 წლის 10 ნოემბერს. მონაელიეში სულ ადრეულა რთველი 1893 წლის 20 აგვისტოს იყო, სულ გვიანი კი—1830 წლის 1 ოქტომბერს. ამგვარად, წლის კლიმატური პირობების მიხედვით უფროდნის მომწიფება ზოგჯერ ორი და მეტი თვითაც განსხვავდება და თუ ერთსადაიმავე რაიონში ერთსადაიმავე ჯიშზე და ნაკვეთზე წლის კლიმატური პირობები ასეთ გავლენას ახდენენ უფროდნის დამწიფებაზე, ადვილად წარმოსადგენია, რომ იგი თვით პროდუქტის ღირსებაზეც მეტად დიდ გავლენას მოახდენს. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ზოგიერთი წლის ღვინო განსაკუთრებული ხარისხით ხასიათდება და ღირებულებაც მეტი აქვს.

თავისთავად ცხადია, რომ კლიმატური ელემენტები არა მარტო უფროდნის მოწიფვის ვადებზე ახდენენ გავლენას, არამედ დანარჩენ ბიოლოგიურ ფაზებზეც; მაგ. ბურგუნდიაში ვაზის ბიოლოგიური ფაზები ორ სხვადასხვა წელიწადში შემდეგ ვადებში მიმდინარეობდა:

	კვირტის გამოფურ-ჩქევა	ყვავილობა	უფროდნის დამწიფება
I წელი	29 აპრილს	18 ივნისს	8 ოქტომბერს
II წელი	16 მაისს	18 ივნისს	8 სექტემბერს

წლის ამინდის მიხედვით, მარცვლებში შაქრის დაგროვება და შევიანობა შეიძლება საგრძნობლად განსხვავდებოდეს. მაგალითისათვის მოგვყავს Matieu-ს მიერ ჩატარებული ანალიზების ცხრილი; ანალიზი ბურგუნდიაში გააკეთეს:



ჯიშების დასახელება	შაქრიანობა ლიტრზე %		მეყვინობა %/ა-ში	
	I წელს	II წელს	I წელს	II წელს
პინო შავი	145—194	168—248	5,70—7,90	4,5—6,60
გამე მრგვალი	125—190	160—232	7,60—8,40	4,60—8,30
პინო თეთრი	148—182	164—238	5,40—8,00	3,90—6,30
შარდონი	174—187	182—227	7,20—10,20	5,00—5,40
ალგოტი	129—182	144—217	6,40—9,00	5,70—7,20

ამგვარად ვაზის ჯიშის, ყურძნის დამწიფების და სხვა ვეგეტატური ფაზების ვადები დამოკიდებულია, როგორც აგროტექნიკაზე (სხელის დრო, დამუშავების ვადები, ვაზის ფორმა და სხვ.), ისე ეკოლოგიურ ფაქტორებზე; მათ შორის კი კლიმატური პირობები მეტად საგრძნობ როლს თამაშობენ; მაგრამ თუ ვაზს ხელოვნურ პირობებში (სათბურში) ვზრდით და თითოეული ჯიშისათვის საკურო ოპტიმალურ ეკოლოგიურ პირობებს შევქმნით, ირკვევა, რომ პაულის II პერიოდის მოწვევის ჯიშებისათვის საკუროა ჯიშის მიხედვით: კვირტის გაღვიძებიდან—ყურძნის დამწიფებამდე დაახლოებით 144—166 დღე, ე. ი. დაახლოებით ხუთი თვე.

Viala-ს და Pechoutré-ს ცდების მიხედვით II პერიოდის ჯიშ Buckland-ის მოწვევას დასჭირდა 144 დღე და ამ დროის განმავლობაში 2469 გრ. სითბო, ვაზის ჯიშ Fuster-ს—148 დღე და 2572 გრ. სითბო და ჯიშ Frankenthal-ს—166 დღე და 3035 გრ. სითბო.

თუ საერთოდ ვაზისათვის რა მნიშვნელობა აქვს ზღვის დონედან სიმაღლეს, ნაკვეთის მდებარეობას, მდინარეების სიახლოეს და სხ., ეს აღნიშნული იყო ამ შრომის პირველ წიგნში, ამიტომ აქ მათზე არ შევჩერდებით; ოღონდ საკუროა აღნიშნოთ, რომ ზამთრის სიცხეებისადმი გამძლეობის მხრივ ჯიშები ურთიერთისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან.

რაზღენდაც რქა უკეთ მოასრებს მომწიფებას (შემოსვლას), იმდენად მის უკეთესი ყინვაამტანიანობა ექნება; მაგრამ მიუხედავად ამისა, სავსებით შემოსული რქაც სხედასხვავებარ ყინვაამტანიანობას იჩენს ჯიშის მიხედვით; მაგ. კახურ საწარმოო ჯიშებში ყველაზე მგრძობიარე ჯიშის საფერავია და 14 გრდ. ზევალენით იგი უკვე ნაწილობრივ ზიანდება; სავსებით შემოსული რქაწითელი უკეთეს გამძლეობას იჩენს. ამ ორი ჯიშის გამძლეობის უნარიანობა დაახლოებით 4 გრდ. განსხვავდება. საერთოდ, ევროპული ვაზის თითქმის ყველა ჯიშისათვის 20 გრდ. უკვე ნაწილობრივ დამლუბვე-

¹ ნაანტარიშვია ვოგორდის წყადაზე.

ლია, ხოლო 20—25 გრ. ზევალენით კი მათ მიწისზედა ნაწილი იქონებდათ. ასეთ პირობებში სავალდებულო ხდება ზამთრობით ვაზის მიწაში დაფლვა. ამ საკითხს დაწვრილებით ამ შრომის მეოთხე წიგნში შევხვებით, აქ კი საკუროდ მიგვაჩნია აღენიშნოთ, რომ ამერიკული სახეობანი, სამხრეთ ქვეყნებში წარმოშობილინი კი, ყინვებისადმი უფრო მეტი გამძლეობით ხასიათდებიან, ვიდრე *vinifera*-ს ჯიშები; მაგალითად: *Rupesiris*, *Berlandieri*, *Candicans* უვნებლად იტანენ—25 გრ., ხოლო *Labrusca* კი—30—35 გრ. ლაბრუსკას ბევრი ჰიბრიდი ასეთივე დიდი ყინვისამტანიანობით ხასიათდება, რაც კარგად სჩანს როგორც ამერიკის, ისე რუსეთის ხანგრძლივი პრაქტიკიდან; მაგ. ივ. ვლ. მიჩურინის ჰიბრიდების ნაწილი მიღებულია ევროპული ვაზის ლაბრუსკასთან შეჯვარების შედეგად.

ნიადაგის გავლენა ჯიშზე. ნიადაგიც მეტად დიდ გავლენას ახდენს ვაზის ჯიშის განვითარებაზე და აგრეთვე პროდუქტის ხარისხსა და რაოდენობაზე. ფრანგი მკვლევარები ნიადაგის გავლენას შედარებით უფრო ნაკლებ მნიშვნელობას აკუთვნიებენ, ვიდრე ჯიშისა და კლიმატის გავლენას, ვინაიდან ვაზი ნიადაგისადმი საკმაოდ ფართო შეგუების უნარით ხასიათდება; მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამჟამად საძირედ ჩვენში იხმარება ამერიკული ვაზის სახეობანი და ჰიბრიდები; ეს ვაზები კი ნიადაგის მიმართ უფრო მეტად მომთხოვნეი არიან, უკეთ რომ ვთქვათ, უფრო ეიწრო ადაპტაციის უნარით ხასიათდებიან.

იმ კლიმატურ პირობებში, სადაც შესაძლებელია მევენახეობა, ევროპული ვაზი (*vinifera*) ყოველგვარ ნიადაგში გვხვდება, გამონაკლისს მხოლოდ ჭაობი და მლაშე ნიადაგები შეადგენენ; მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ვაზი თითქმის ყოველგვარ ნიადაგს გუება, სხვადასხვა ნიადაგებიდან მიღებული ღვინის ხარისხი ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება; მაგალითად, კირნარ ნიადაგებზე ჯიშ პინოსაგან მიღებული ღვინო ძირითადად განსხვავდება სილა, ან მძიმე თიხნარ ნიადაგებზე მიღებულ პინოს ღვინისაგან, თუგინდ დანარჩენი პირობები ერთნაირი იყოს. იგივე ითქმის ყველა ჩვენ ღირსშესანიშნავ ღვინის ჯიშებზეც.

ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ ისეთი ნიადაგი, რომლის შემადგენლობაშიც ქვები საკმაო რაოდენობითაა, უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტს იძლევა, ვიდრე იმავე ხასიათის, მაგრამ უქვო ნიადაგი. თიხნარი, მძიმე, ტენიანი ნიადაგი ყოველთვის უფრო დაბალი ხარისხის პროდუქტს იძლევა; კირნარ ნიადაგზე უფრო მაგარი ღვინო დგება; ქვიშნარზე უფრო მშატე ღვინო დგება; თიხნარ-ქვიშიანი ნიადაგი ღვინოს სირბილეს მატებს; ჭუშუსით შდიდარი ნიადაგი ცილით მდიდარ ღვინოს იძლევა და ა. შ. ნიშუშის სახით ქვემოდ ვთავსებთ მსოფლიოში სახელგანთქმული ვენახების ნიადაგების ანალიზს, რომელიც შესრულებულია ცნობილი ფრანგი აგროქიმიკოსის Müntz-ის მიერ.

გ.ო.უ.ლი.ო.ვი სახელმწიფო საკვანახო ნიადაგების ანალიზი
(Müntz-ის მინადვით)



	1000 ნაწილ გამშრალ მიწაში			1000 ნაწილ ბუნებრივად მშრალ მიწაში						
	წერტილი მიწა	ქ ე ა		ახოტი	ფოსფორის მცენაე	კალიუმი	კ ი რ ი		რკინა	
		ჭიშკა	კირჭა				წერტილი	ქუკირი		
მონტრანე	770	15	215	1,08	1,55	3,50	160,20	215,0	17,80	
ქვიცი-შამბერტენი	368	3	314	0,77	1,54	2,49	87,08	314,0	24,30	
ბონი	471	0	529	0,55	1,27	1,27	111,60	529,0	12,90	
ბოვოლე	528	472	0	0,30	0,46	1,42	ნი35ები	0	12,70	
შამანი—აი	873	62	65	0,60	1,02	2,36	225,00	65,0	12,90	
მედიკი—შატო-ლატ	284	716	0	0,22	0,28	0,49	1,80	0	5,29	
„ შატო-ლაფიტი	266	734	0	0,50	0,39	0,71	2,40	—	10,24	
„ შატო-იქემი	773	227	0	0,31	0,34	1,09	35,56	0	12,51	
ბანიული	283	717	0	0,25	0,33	1,34	0,01	0	8,63	

საკვიროა აღინიშნოს, რომ ევროპული ვაზის ჯიშები არათუ კარგად ეგულებიან კირიან ნიადაგებს, არამედ ჯიშების მთელი რიგი, განსაკუთრებით თეთრი ჯიშების უმრავლესობა, მაღალ ხარისხის პროდუქტს ძირითადად კირით მდიდარ ნიადაგებზე იძლევა. მთელი რიგი ევროპული ჯიშები იტანენ 70—75% კირის რაოდენობას ნიადაგში, დანარჩენი ჯიშები, მცირე გამოჩაყლისის გარდა, 45—50% კირს მაინც იტანენ.

მას შემდეგ, რაც ხმარებაში შემოვიდა ამერიკული ვაზი საძირის სახით, მდგომარეობა შეიცვალა—ამერიკული ვაზის სახეთა უმეტესობა ნიადაგში კირის დიდ რაოდენობას ვერ იტანს და ქლორიზით ავადდება. დასავლეთ ევროპაში დაგროვილი დიდი მასალის და ნაწილობრივ ჩვენში ჩატარებული დაკვირვების მიხედვით, ვაზის სხვადასხვა სახე და შეყვანების პრაქტიკაში გაკრეკლებული ჰიბრიდები ხასიათდებიან კირის მაქსიმალური რაოდენობის შემდეგი ამტანიანობით:

- Vinifera 60—75%
- Berlandieri (№ 2) 70%
- Monticola 70%
- Vinifera X Berlandieri № 55 65%
- Vinifera X Rupestris 30—45%
- Riparia X Berland. (№№ 420 A, B, 5, 8) 35—55%
- Rupest. X Berland. (№№ 219, 110, 90) 30—45%
- Riparia X Rupestris (№№ 3309, 3306, 101-14) 22—28%

Rupestris du Lot	25%
" Martin	6%
Riparia	15%
Labrusca	3 → 26%



ამერიკული ვაზების ამ თავისებურების გამო, თავისთავად ცხადია, საძირის ხმარების დროს კირის რაოდენობას ნიადაგში აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს. ამ თავისებურების გარდა არ უნდა დავივიწყოთ ის მოთხოვნილება ნიადაგისადმი, რომელსაც ამერიკული ვაზის ესათვის სახე უყენებს ნიადაგის ფიზიკურ თვისებებს და ქიმიურ შემადგენლობას; ამერიკული ვაზის სახეთა გაცნობის დროს ეს თუმც მოვიხსენიეთ, მაგრამ შემდეგ კიდევ შევეხებით.

ჯიში და სნეულებათა გამძლეობა. ცალკეულ სნეულებისადმი გამძლეობა ახასიათებს არა მარტო ცალკე ჯიშებს, არამედ ხშირად მთელ სახესაც; ამ შრივ მეტად საინტერესოა ცალკე სახეობის მიერ ფილოქსერისა და მთელ რიგ სოკოვან დაავადებისადმი გამძლეობა. როდესაც ფილოქსერისადმი გამძლეობას ვაშობთ, ვგულისხმობთ არა აბსოლუტურ, არამედ პრაქტიკულ გამძლეობას, ე. ი. ისეთს, როდესაც ფილოქსერა თუმცა ვაზზე ცხოვრობს, ნაწილობრივ ვნებს კიდევ, მაგრამ ვაზი არ იღუპება და მხოლოდ მისი ზრდა სუსტდება ნაწილობრივ.

ამეხმად ჩვენთვის ცხადია, რომ ზოგი ამერიკული ვაზის სახის ფილოქსერისადმი პრაქტიკული გამძლეობა ბუნებრივი სელექციის შედეგია: უნდა ვიფიქროთ, რომ იმ რაიონში, სადაც ფილოქსერა მოქმედებდა, საუკუნეთა განმავლობაში ვაზის სახეებიდან და ჯიშებიდან ვადარჩა მხოლოდ ის ფორმები, რომელნიც ხასიათდებოდნენ საფევი ქსოვილის მალე წიროშობით, მერქნის სიმკვრივით და საერთოდ ფილოქსერისგამძლე ვაზებისთვის საჭირო თვისებებით. ვაზის ის სახეობანი და ჯიშები, რომელნიც ფილოქსერის გავლენის გარეშე იზრდებოდნენ,—ასეთებს კი ეკუთვნის ყველა აზიური და ევროპული სახე და ამერიკულ სახეთაგან კალიფორნიკა (ეს უკანასკნელი თუმცა ამერიკულია, მაგრამ უფილოქსერო რაიონში იზრდებოდა),—ფილოქსერის გავლენით მალე იღუპებიან. უძველია, რომ ეამთა მსვლელობაში ამ სახეობათაგანაც გამოირჩევა ფილოქსერის გამძლე ცალკე ფორმები, მაგრამ ბუნებრივი მსვლელობით ამისათვის მეტწილად ხანგრძლივი დროა საჭირო. ზოგიერთი ამერიკული სახე თუმცა შედარებით სუსტი გამძლეობით ხასიათდება, მაგრამ ფილოქსერით აღვილად არ იღუპება; ასეთებს ეკუთვნის, მაგალითად, ლაბრუსკა; თუ ეს სახე ღრმა, ღონიერ, სილიან, ტენიან ნიადაგებში იზრდება, ასეთ პირობებში იგი მეტად ღონიერად ვითარდება და ფესვთა მძლავრ სისტემას იკეთებს. ამ პირობებში ფილოქსერის გამრავლება იზრდება და თან, მეტად ღონიერად განვითარებულ ვაზის ფესვთა სისტემას მწერი აღვილად ვერ ღუპავს. საკმარისია ლაბრუსკა მოხვდეს მომშრალ, ფიცი ნია-



დაგებში, რომ მისი ზრდა-განვითარება შემცირდეს; მეორეს — ლაბრუსა, ფილოქსერის გამრავლება ასეთ პირობებში დაუბრკოლებლად მოხდება; ქველა ამის შედეგად კი, ლაბრუსა ფილოქსერის მსხვერპლი გახდება. ვნახავთ დაკავშირებით შეიძლება შემდეგი პრაქტიკული დასკვნა გამოვიტყუოთ: იმ პირობებში, რომლებიც ხელშემწყობნი არიან ფილოქსერის მასობრივი გამრავლებისათვის, ასეთი კი იქნება თბილი, მომზრალო, თიხნარი ნიადაგები. — საჭიროა საძირედ ფილოქსერისადმი უფრო მეტად გამძლე ვაზები ავიღოთ. ისეთ ბუნებრივ პირობებში კი, რომლებიც ფილოქსერის გამრავლებისათვის ნაკლებ ხელსაყრელი არიან (მეტად ცხელი კლიმატი და ასეთ კლიმატში მიმე თიხა ნიადაგები, ან მეტად წერილკვიარციანი, ქვიშაიწებიდან შემდგარი ნიადაგები, ტენიანი ნიადაგები და სხ.), საძირედ შეიძლება ვიხმაროთ ისეთი ვაზები, რომლებიც ფილოქსერის შედარებით ნაკლები ამტანიანობით ხასიათდებიან.

ამგვარად, ამერიკული სახეობანი ფილოქსერის მიმართ სხვადასხვა გამძლეობის უნარით ხასიათდებიან; ადგილობრივი პირობების ან უკეთ რომ ვთქვათ ეკოლოგიური ფაქტორების მიხედვით, ვაზის ფილოქსერასადმი გამძლეობა იცვლება. პროფ. მილარდე პირველი შეეცადა ფილოქსერასადმი შედარებითი გამძლეობის აღნუსხვას; იგი ფიქრობდა ცალკე სახეთა და ჰიბრიდების ფილოქსერის მიმართ გამძლეობის უნარის ცხადყოფას და ამის შედეგად მათ შეფასებას, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეკოლოგიური ფაქტორების მიხედვით ვაზის ცალკეული სახეობანი მეტ ან ნაკლებ გამძლეობას იჩენენ და ამიტომ მილარდეს ნუსხა აბსოლუტურ ცნებას არ გამოსაბავს. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ეკოლოგიური პირობების ზეგავლენით ვაზის ფილოქსერასადმი გამძლეობა იცვლება. მაინც მილარდეს ნუსხა ერთგვარ დაახლოებით დასაყრდენს იძლევა. ვაზები მან ოცბალიანი ნიშნით შეაფასა; იმ სახეობებს, რომელთაც ფილოქსერასრულიად არ უჩნდებათ — ოცი ბალი მიაკუთვნა, იმ სახეობებს, რომელთაც ფილოქსერა მასობრივად უჩნდებათ და მალე იღუპებიან 0 მიაკუთვნა. საჭიროდ მიგვაჩნია მილარდეს კლასიფიკაციის აქვე მოთავსება:

ფილოქსერისადმი გამძლეობის კლასიფიკაცია მილარდეს მიხედვით.

ვაზის სახეობათა დასახელება	გამძლეობა	ვაზის სახეობათა დასახელება	გამძლეობა
<i>Vitis rotundifolia</i>	20	<i>Vitis rupestris</i>	19
„ <i>labrusca</i>	5	„ <i>monticola</i>	17
„ <i>californica</i>	4	„ <i>arizonica</i>	17
„ <i>candicans</i>	14	„ <i>riparia</i>	18
„ <i>Linsecumii</i>	16	„ <i>coigneticæ</i>	2
„ <i>acstivalis</i>	17	„ <i>amurensis</i>	2
„ <i>Berlandieri</i>	18	„ <i>Thumbergii</i>	2
„ <i>cordifolia</i>	19	„ <i>vinifera</i>	0
„ <i>cinerea</i>	18		

ამერიკული ვაზის ფორმებს, რომელთაც მილარდემ 17 ბაზონგ მერა
შიაკუთენა, ფილოქსერის ზეგავლენით დალუპვა არ მოეღიო და ამით პრაქტიკული
ტიკული გამძლეობის უნარიანობა შეიძლება საკმაოდ მივიჩნიოთ. ამ ფორმებში,
რომელთაც 16-ზე ნაკლები ბალი აქვთ, შერჩევის დროს მეტ სიღრმეში
თხილეს მოითხოვენ: რამდენადაც ფილოქსერასათვის გამრავლების უკეთესი
პირობები იქნება, ხოლო ვაზის მძლავრი განვითარებისათვის კი ნაკლებ
ბელსაყრელი პირობები, იმდენად მწერი ამ შემთხვევაში მეტ ზარალს
მიაყენებს ვაზს და შეიძლება იგი ისე დასუსტდეს, რომ სანამყენო
ველარ გამოკვებოს. ის ფორმები, რომლებიც ფილოქსერასადმი სუსტი
გამძლეობით ხასიათდებიან და, მაშასადამე, მცირე ბალი აქვთ მიკუთნებული,
შედარებით მალე იღუპებიან, რადგან ფილოქსერა სწრაფად იწვევს
მათი ფესვების მასობრივ განადგურებას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ
თუ ამერიკული ვაზი მისთვის არასათანადო ნიადაგის პირობებში მო-
ჰყვა, იგი კარგად ვერ განვითარდება, შეიძლება დაკნინდეს კიდევ, თუნდაც
ფილოქსერამ ზიანიც არ მიაყენოს. ფილოქსერასთან დაკავშირებულ საკითხებს,
სახელმძღვანელოს სხვა სათანადო ადგილებში კიდევ განვიხილავთ.

ვაზის ცალკეული სახეობანი და ჯიშები ხასიათდებიან აგრეთვე სოკოვან
დაავადებათა წინააღმდეგ მეტნაკლები გამძლეობით. საერთოდ უნდა აღინიშნოს,
რომ ამერიკული ვაზის ფორმები უფრო მეტი გამძლეობით ხასიათდებიან,
ვიღრე ევროპული ფორმები; მაგ. ამერიკული ვაზები ნაცრით ნაკლებ
აავადდებიან, ზოგი კი აბსოლუტურ გამძლეობასაც იჩენს (ლაბრუსკა).
ევროპულ ვაზის ჯიშთა შორის ზოგი მეტად მგრძობიარეა, მაგ. მუსკატები,
შასლები, კაბერნე, მწვანე, რქაწითელი, ბუდეშური; ზოგი კი
გაცილებით მეტ გამძლეობას იჩენს, მაგ. გრენაში, არამონი, ზოგიერთი
პინო, საფერავი, გორულა და სხვა.

პრაქტიკად მი გამძლეობა მეტად სხვადასხვაგვარია როგორც ამერიკულ,
ისე ევროპულ ვაზთა შორის; ამერიკული ვაზების მეტი წილი კარგ
გამძლეობას იჩენს (რიპარია, რუბესტრის, ბერლანდიერი, კორდიფოლია),
ზოგს უყვადდება მტევანი, ფოთოლი კი საკმაოდ საღი რჩება (ლაბრუსკა).
ევროპული ჯიშები თუმცა სრულ გამძლეობას ვერ იჩენენ, მაგრამ ზოგი
ჯიში უფრო ადვილად ავადდება და დიდ ზიანს განიცდის (გრენაში, პინო,
შასლა, რქაწითელი, ბუერვაზი და სხვა). ზოგი კი უფრო მეტ გამძლეობას
იჩენს და შედარებით ნაკლებ ზიანდება (კლერეტი, უნი თეთრი, საფერავი
ფაჩხა, ცოლიკატური, დანაზარული და სხვა). ასეთსავე ცვალებად სურათს
ვხვდებით შავი და თეთრი სიდაშლის, ფესვების სიდაშლისა და სხვა
სოკოების მიმართაც.

მოუხედავად ავადმყოფობათა გამძლეობის მთელი რიგი თეორიებისა
(ცალკე ორგანოთა ჭიმიზში, ანატომური აგებულება, მორფოლოგიური თავისებურებანი,
ფენოლოგიური სხვაობანი და სხვა), მაინც დღესაც ამ საკითხებში
საკმაოდ გარკვეულნი არა ვართ. უეჭველია მხოლოდ ის გარემოება,

რომ სოკოსათვის ხელსაყრელი პირობების ჯამი იწვევს ვაზის მტრ-
ნაკლებ დაზიანებას. ამ საკითხს შემდეგ კიდევ დავუბრუნდებით. ვაზის
მავნებელი მწერები (ყურძნის ჭია, კვირტის ჭია და სხ.) ვაზის სხეულს
ჯიშს აგრეთვე არათანაბრად აზიანებს.

აგროტექნიკური ოპერაციების გავლენა. ცალკეულ აგ-
როტექნიკურ ღონისძიების შედეგად ვაზის ღონე სუსტდება ან ძლიერდება,
ვეგეტაცია გრძელდება ან მოკლდება, ცალკეული ტოტის, რქის ან
ყლორტის განვითარება ძლიერდება ან სუსტდება, მოსავლის რაოდენობა
დიდდება ან მცირდება და სხ. ამგვარად, იმის მიხედვით, თუ რა დროს
რა აგროტექნიკური ღონისძიება ტარდება და რამდენად ღრმად იწვევს
იგი ვაზის ცხოვრებაში ცვლილებას, შეიცვლება მოსავლის რაოდენობა
და პროდუქტის ხარისხი. ამავე ოპერაციებითვე შესაძლებელი ხდება კლი-
მატური პირობების და ნიადაგის ზეგავლენის შესუსტება ან ამ ფაქტორთა
უკეთ გამოყენება. ასეთ გადამწყვეტი ხასიათის აგროტექნიკურ ოპერაციებს
ეკუთვნის: ვაზის სხელა, ვაფურჩქენა, რწყვა, ნიადაგის სხედასხვა სიღრმეზე
დამუშავება, ვაზისათვის ამათუფმ ფორმის და სიმაღლის შიკვმა, ვენახის
გაპარტივება და სხ.

აგროტექნიკის ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო იგი
სხედასხვაგვარობით უნდა ხასიათდებოდეს იმის მიხედვით, თუ წარმოება
რა მიმართულებებისაა, ვენახი რომელ რაიონშია, როგორი ამინდია, რა
ჯიშისაგან შედგება ვენახი, რა ხნოვანებისაა ვაზი და სხ.

აგროტექნიკის ზეგავლენით შემკვიდრებითი ჯიშური თვისებანი
ბევრი მკვლევარის აზრით ცვლილებას არ განიცდიან, მაგრამ მიუხედავად
ამისა, სხედასხვა აგროტექნიკური ღონისძიების ზეგავლენით შესაძლო
ხდება საკმაოდ ღრმა ბიოლოგიურ ცვლილებათა გამოწვევა, მაგ.: მტევნის
გადიდება, მარცვლების დამსხვილება, მარცვლის ფერის ნაწილობრივი შე-
ცვლა, მარცვლის მოყვანილობის ერთგვარად შეცვლა, ფოთლის დამსხვი-
ლება, გასქელება და სხ. უბრალო აგროტექნიკური ზეგავლენით ეს მოვ-
ლენა დროებითი ხასიათის იქნება და, ასეთი აგროტექნიკური ზეგავლე-
ნის შეწყვეტიდან ხშირად რამდენიმე ხნის შემდეგ, გამოწვეული ცვლი-
ლებანი დაიკარგება. აგროტექნიკური ზეგავლენა მევენახეობის უდიდეს
ფაქტორად ითვლება, მისი კუთრი წონა მეტად დიდია; სწორედ ამიტომ
ამ შრომის შესამე წიგნი აგროტექნიკის საკითხების განხილვას შეიცავს.

მიუხედავად იმისა, რომ აგროტექნიკით შესაძლოა ჯიშის თავისე-
ბურებათა საგრძნობლად შეცვლა, მაღალი ხარისხის და ამავე დროს გარ-
კვეული ტიპის პროდუქტის მისაღებად ჯიში მეტად მნიშვნელოვან როლს თა-
მაშობს და ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება ვენახში არაერთი, არა-
მედ რამდენიმე ჯიშის ჩარგვა; ასე, მაგალითად, სოტერნის განთქმული ღვი-
ნის მისაღებად ვენახში სამ ჯიშს რგავენ შემდეგი პროპორციით:



ჯიში სემილიონი	80%
„ სოვინიონი	15%
„ მიუსკადელი	5%

მელოკის საუკეთესო ვენახებში, ორ ან სამ ჯიშსა რგავენ; ამგვარ-
ნებენ ორი ჯიშის დარგვას, შემდეგი პროპორციით:

ჯიში კაბერნე სოვინიანი	80%
„ „ ფრანკი	20%

ერმიტაჟის საუკეთესო წითელი ღვინის ზერებში ორი ჯიში გვხვდება:
სირა 95%
ვიანიე 5%

ჩვენშიაც, ძველად, განთქმულ კახურ ვენახებში ჯიშ რქაწითელის ნარგავებში ადგილს უთმობდნენ ჯიშ კახურ მწვანეს, რომლის რაოდენობა ზოგან მეოთხედს არ აღემატებოდა.

ხსენებული ჯიშები, დაკრეფილი ერთდროულად, პროცენტული რაოდენობის დაცვით, ერთად დაწურული და ერთად ნადული, ზოგ კომპეტენტურ მეღვინის აზრით უკეთეს პროდუქტს იძლევიან და ღვინოც მეტი მთლიანობით ხასიათდება, ვიდრე მაშინ, როდესაც ამ ღვინოების შეკუპა-ეებას ახდენენ სარდაფში, გარკვეული ტიპის ღვინის მისაღებად.

თუ ხსენებული მიზნებით ვენახში რამდენიმე ჯიშის კულტურას მის-
დევნ თითოეულ ჯიშს ცალკე ნაკვეთში რგავენ და მხოლოდ მოწეულ ყურძენს ურევენ გარკვეული პროპორციით. ჯიშების არევა ერთ რიგში, თუნდ გარკვეული პროპორციითაც, დასაშვებია არ არის¹: ცალკეული ჯიში ხასიათდება თავისებური ღვინით, ამის მიზეზებით მოსალოდნელია ერთის დაჩაგვრა და დაჩრდილება მეორის ზეგავლენით; სოკოვან ავადმყოფობათა წინააღმდეგ ჯიშთა სხვადასხვაგვარი გამძლეობის გამო აქაც მთელი რიგი უხერხულობანი იბადება. დასახელებულ მიზეზთა გამო ცალკეულ ჯიშს ცალკეული ნაკვეთი ან ცალკეული კუთხე უნდა მიეკუთვნოს. ამჟამად მეტ-წილ რაიონებში ამგვარინებენ ყურძენის მაგივრად ღვინის შეკუპაეებას, რადგან ეს სამუშაო უფრო მარტივია.

IV. ვაზის ჯიშის დახასიათების მეთოდი.

ვაზის ჯიშები ისე მრავალრიცხოვანია და, ამავე დროს, პირველი შეხედვით მათ შორის ხშირად იმდენი რამ არის საერთო, რომ ჯიშთა ზუსტი შესწავლისათვის საჭირო შეიქნა საკუთარი მეთოდის გამომუშავება, რომელსაც ამჟამად ვაზის ჯიშის მეთოდი ეწოდება.

¹ გამოწავლის დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სწარმოებს ფუნქციონალურ დედობრივი ყვეილის ჯიშის კულტურა; მათ გასაწავლიერებლად მათ მხოლოდ რგავენ ისეთი ჯიშის ვაზებს, რომლებიც გამანაცოფიერებელის როლს შეასრულებს.



მევენახენი დიდი ხანია ცდილობდნენ ამპელოგრაფიული მეთოდის დაზუსტებას; საჭირო იყო ჯიშთა შესწავლის და აღწერის დროს ისეთნაირი მიდგომა, რომ შესაძლო ყოფილიყო ჯიშთა შორის არსებულ განსხვავებათა ფიქსაცია. ვაზის შემთხვევაში ეს საკითხი კიდევ უფრო რთულდება, რადგან ნიშანთვისებათა მთელი რიგი (მარცვლის სიმსხო, შტეცენის სიმსხო, ფოთლის სიდიდე და სხ.) ფლუქტუაციას განიცდის. ამპელოგრაფიული მეთოდის შექმნაში დიდი დამსახურება მიუძღვის ესპანელ მკვლევარს სიმონ და როქსას. როქსას მიერ ხმარებული მეთოდი ნაწილობრივ დაზუსტებული იყო სხვა მკვლევარების მიერ; მათ შორის უდიდესი ღვაწლი მიუძღვის აკადემიკოს Ravaz-ს. თანამედროვე ამპელოგრაფიული მეთოდი მეტწილად რავაზის დაზუსტებულ მეთოდს ემყარება.

ჯიშის აღწერის და დახასიათების დროს დაუშვებელია მართო ერთ რომელიმე ნიშანთვისებაზე დაყრდნობა; საკითხის სიზუსტისა და შეცდომების თავიდან ასაცილებლად აუცილებლად საჭიროა ვაზის ყველა ცალკე ნაწილის ნიშანთვისებათა შესწავლა-აღნუსხვა; მხოლოდ ასეთი მიდგომით, ე. ი. ყველა ნიშანთვისების გამომქვეყნების შედეგად, შეიძლება ჯიშის შედარებით ზუსტი დახასიათება და შეცდომათა თავიდან აცილება.

როგორც აღვნიშნეთ, ვაზის ნიშანთვისებათა მთელი რიგი ფლუქტუაციას განიცდის. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, როგორც მ. ლაზარეცკი სამართლიანად აღნიშნავს, ზუსტი შესწავლისთვის საჭიროა არა რომელიმე საშუალო „ტიპიური“ მოვლენის გამოჩნება (ასეთი კვლევა მეტად სუბიექტურია და ამის გამო შეცდომები ხშირი მოსალოდნელია), არამედ თვით ფლუქტუაციის შესწავლა-აღნუსხვა; მაგ. ფოთლის ამონაკვეთის სიღრმის გამოსაკვლევად უზგობესია ფიქსირებულ იქნას როგორც ნაკლები სიღრმის, ისე საშუალო და ღრმა ამონაკვეთები; ამგვარად ჩვენ განკარგულებაში იქნება მცირე, საშუალო და ღრმა ამონაკვეთების სურათი ე. ი. ფლუქტუაციის გამმა. შემთხვევითი და იშვიათი გადახრები შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ.

საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ ვაზის ცალკე ნაწილები, მათი ამპელოგრაფიული ღირებულების თვალსაზრისით. მხედველობაში ვიღებთ გარეგნულ მაკროსკოპულ მორფოლოგიურ ნიშანთვისებებს, მით უმეტეს, რომ, როგორც მრავალი დაკვირვებიდან სჩანს, ანატომური სურათი ამპელოგრაფიული თვალსაზრისით ყოველთვის ამომწურავ ღირებულების დასაყრდენ მასალას არ იძლევა და, გარდა ამისა ასეთი კვლევა უფრო რთულია.

ფ ე ს მ ე ბ ი

ვაზის ჯიშების განსხვავებათა შესწავლის თვალსაზრისით ფესვები საკმაო ღირებულების მასალას არ იძლევა, სახეობათა გასარჩევად კი, მით უმეტეს მათ თავისებურებათა გამოაშკარავებისთვის, ფესვები კარგ სურათს იძლევა.

ვაზის სხვადასხვა სახეობის ფესვები ხასიათდებიან სხვადასხვაგვარი ხორციანობით, ფერით, მიმართულებით ნიადაგში ზრდის დროს და სხ. რამდენადაც ფესვი ხორციანია, იმდენად იგი მეტი გვალვის ამტანია (კოტონია) და რამდენად წვრილია, იმდენად მეტი სისოვლის და მსუბუქი ნიადაგის მომთხოვნია (რიპარია). მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სახეობის ფესვთა სისტემა გარკვეული ფერით ხასიათდება (რიპარიასი—მოყვითალოა, რუპესტრისის—მოწითალოა, ბერლანდიერისა — ნაცრისფერი და სხ.), მაინც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნიადაგის ფერის ზეგავლენით შეიძლება მკვლევარს შეცდომა მოუვიდეს და ამიტომ ამ ნიშანთვისებაზე დაყრდნობა სიფრთხილეს მოითხოვს. იგივე ითქმის ფესვთა სისტემის მიმართულებაზე; მაგ., თუმცა რიპარიას ფესვი ზეზეურად გართხმული (პორიზონტალური) მიმართულებით ხასიათდება, რუპესტრისი კი—გარკვეული ვერტიკალური მიმართულებით, მაგრამ ნიადაგის ფიზიკური თვისებებისა და ფესვების ირგვლივ მყოფი ფაქტორების ზეგავლენით (ნიადაგის დამუშავება, სისოვლე, გვალვიანობა, საკვები მასალის ადგილმდებარეობა და სხ.), ფესვთა მიმართულება ცალკეულ შემთხვევაში საგრძნობლად იცვლება; ამიტომ ამ მიზეზთა გამო, ჯიშთა შესწავლის დროს ფესვთა სისტემას ნაკლები ყურადღება ექცევა.

ტ ა ნ ი

ზოგჯერ ვაზის ტანი საკმაოდ დამახასიათებელ სურათს იძლევა, რადგან სხვადასხვა ჯიშის ტანი სხვადასხვა სისხოთი ხასიათდება; მაგრამ თუ შეხედველობაში მივიღებთ, რომ ვაზის წლოვანება და კვების პირობები დიდ გავლენას ახდენენ ამ ნიშანთვისებაზე, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ტანის სისხოს აღნიშვნა, როგორც დამახასიათებელი ნიშანთვისებისა, მნიშვნელოვან და გარკვეული ღირებულების სურათს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემს, თუ ვაზები ერთხნოვანია და ერთ პირობებში არიან გაზრდილი. ზოგჯერ ვაზის ტანზე შემხმარ ქერქსაც აქცევენ ხოლმე ყურადღებას, განსაკუთრებით ქერქის აცვენის ხასიათს და ნაფლეთების სისხოს; მაგრამ როგორც Ravaz-ი სამართლიანად აღნიშნავს, თუ გავიხსენებთ რომ ეს ნაწილი მკვდარია, რომ საერთოდ ძველი ქერქის აცვენის ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ღონის ნიადაგში იზრდებოდა ვაზი, თავისთავად ცხადი ვახდება, რომ იგი საეკვო ღირებულების ნიშანთვისებას წარმოადგენს, ამიტომ ვაზის ეს ნაწილი ამპელოგრაფიული რკვევის დროს უმჯობესია უყურადღებოდ იქნას დატოვებული.

შ ლ რ ა ტ ი

ზრდის ხანაში ყლორტებს ახასიათებთ საკმაოდ გარკვეული ნიშანთვისებები; ასეთებს ეკუთვნის: შებუსვა, მოყვანილობა, მიმართულება და სხ.

შებუსვა. ყლორტები შეიძლება იყოს ტიტველი და შებუსუსული. შებუსუსა შეიძლება სხედასხვაგვარი იყოს როგორც რაოდენობით, ისე ხასიათით; შებუსუსა შეიძლება იყოს მთლიანი, სხედასხვა ინტენსივობით, აგრეთვე ყლორტის სხედასხვა ნაწილი შეიძლება ბუსუსის სხედასხვა რაოდენობით დაიფაროს. თუმცა ბუსუსი წარმოშობილია ეპიდერმისისაგან, მაგრამ მისი აგებულება სხედასხვა ხასიათისაა: ზოგჯერ იგი სცილდება ეპიდერმისს და იოლად სცევივა, ზოგჯერ კი პატარა ეკლებს ან ხაოსმაგვარია და ეპიდერმისზე მკვიდრად მიმაგრებული რჩება. შებუსუსის რაოდენობა, ადგილი და ხასიათი ცალკეული ჯიშის დახასიათებისას ხშირად კარგ მასალას იძლევა.

უფრო მეტი ღირებულების მასალას იძლევა ახალგაზრდა ყლორტის წვერო.

ყლორტის წვერის ფოთოლი ვეგეტაციის დასაწყისში დამახასიათებელ სურათს იძლევა, შემდეგ პერიოდში კი — კარგავს თავის სპეციფიკურ ხასიათს; ამიტომ ამპელოგრაფიული კვლევისათვის იგი გაზაფხულობით უნდა გამოვიყენოთ.

საერთოდ ეს ნაწილი (ყლორტის წვერო) ხასიათდება სხედასხვაგვარი შებუსუსით, ფერით, ფოთლების გაშლის ყაიღით, თანაფოთლების განვითარებით. შეიძლება შებუსუსული იყოს ყლორტის მთელი წვერი, ან მხოლოდ ფოთლების ფირფიტა ორთავე, ან ერთი მხარიდან, ან მხოლოდ ძარღვები, ან მხოლოდ ფოთლის ყუნწი და სხ. ზოგი ჯიშის ეს ნაწილი სრულიად შეუბუსუსებია. ბუსუსის რაოდენობა და ხასიათიც სხედასხვაგვარია და ყველა ეს კარგ დამახასიათებელ სურათს იძლევა. შებუსუსის ინტენსივობის გამოხატვა ციფრებითაც შეიძლება.

ახალგაზრდა ყლორტების წვერის ფოთლების ფერი, აგრეთვე შეტად დამახასიათებელია (წითელი, შვინდისფერი, ბრინჯაოს ფერი, მოყვითალო და სხ.). ფოთოლთა ფერის გამოსარკვევად Dr. Moog¹-ი გვირჩევს კრიუგერის ფერადი ტაბულით ვისარგებლოთ. ზოგჯერ შეფერილია მხოლოდ ფოთლის, ცალკე ნაწილები, ზოგჯერ ფოთლის კიდევები, ან ფირფიტის ზედა მხარის ძარღვები და სხე.

ფოთლების გაშლის ყაიდაც სხედასხვა ჯიშს სხედასხვაგვარი აქვს: ზოგი ჯიშის ფოთოლი გამოფურჩქნის შემდეგ დიდხანს რჩება დაკეცილი და მხოლოდ კარგად გაზრდის შემდეგ იშლება. თანაფოთლები ამ აღრუულ პერიოდში კარგად ემჩნევა; მათი სიდიდე და განვითარების უნარი სხედასხვა ჯიშს სხედასხვაგვარი აქვს.

ზრდად აღმოვაჩინებელი ფოთლის შესაფასებლად წვერიდან მოყოლებულ მე-4—5 მუხლთშორისის ქვემოთ მდებარე ფოთოლს იღებენ; ყურადღებას აქცევენ მის შეფერვას, აგრეთვე შებუსუსს და სხვა იმ ნიშან-თვისებებს, რომელნიც, შეაფიოდ სჩანან.

¹ Dr. H. Moog, Beiträge Zur Ampelographie 1930 წ. Geisenheim.

ყლორტის მოყვანილობა. ყლორტის მოყვანილობა კონსტანტ ნიშანთვისებად ითვლება და ამიტომ ფრიად დამახასიათებელია; ახალგაზრდა ყლორტზე იგი უფრო მკაფიოდ სჩანს. არჩევენ:

ეროვნული
ნიშანებისა

1. სადა ყლორტებს,
2. წახნაგოვან ყლორტებს,
3. დაკუთხულ ყლორტებს,

დაკუთხვა ხშირად იმდენად მკაფიოა, რომ ზერელე დათვალიერებითაც იოლად შესამჩნევია.

მიმართულება. ვაზის ბევრი ჯიში ხასიათდება ყლორტების ვერტიკალური მიმართულებით ზრდით (რქაწითელი), ბევრი კი—ჰორიზონტალურად მიმართული ყლორტებით. ღორიერ ნიადაგებში შეიძლება მათ ცვალებადობა განიცადონ, ამიტომ ამ ნიშანთვისებისადმი საჭიროა ფრთხილი მიდგომა.

ღიაფრაგმა. სახეთა შორის განსხვავებათა შესწავლისათვის ღიაფრაგმა საკმაოდ დასაყრდენ მასალას იძლევა (სისქე, სიმკვრივე, მიმართულება და სხ.), მაგრამ ყველა ეს ნიშანთვისება ყლორტებზე ნაკლებად მოსჩანს; საჭიროა ყლორტის შემოსვლა, ე. ი. გახევება (გარქავება); მხოლოდ ამ პერიოდში შეიძლება დაეყრდნოთ ღიაფრაგმას.

ყლორტის ფერი. თუმცა ვაზის ბევრი ჯიში ყლორტის სხვადასხვანაირი შეფერვით ხასიათდება, მაგრამ ზრდის პროცესში მათ ფერი ეცვლება; ზრდის პროცესშივე ხდება ჯიშებისთვის დამახასიათებელი წერტილებისა და ლაქების, ფერისა და მოყვანილობის შეცვლა; ამიტომ ამ ნიშანთვისებით სარგებლობა სიფრთხილით უნდა ხდებოდეს.

ყლორტის სისხო. ვაზის ზოგი ჯიში ხასიათდება წერილი ყლორტებით, ზოგი ძალიან მსხვილით და მათ შუა მთელი გარდამავალი საფეხურები გვხვდება. თუ მზედველობაში, მივიღებთ რომ ნიადაგის ნაყოფიერება საგრძნობ გაელენას ახდენს ყლორტის სისქეზე, ცხადი იქნება, რომ ამ ნიშანთვისებას ფრთხილად უნდა მოვეყვიდეთ. უტყუარ მასალას მივიღებთ იმ შემთხვევაში როდესაც დასახასიათებელი ჯიშები თანაბარ პირობებში იზრდება.

რ ძ ა

რქა იმდენად დამახასიათებელ ნიშანთვისებებს იძლევა, რომ ბევრი პრაქტიკოსი მრავალ ჯიშს რქითა სცნობს; მაგრამ განმასხვავებელი ნიშნები შედარებით ისე უმნიშვნელოა, რომ მათი აღწერა თითქმის შეუძლებელი ხდება. კარგად დახელოვნებული თვალი რქის ფერით, მუხლთშორისების სიგრძით, კვირტების შებუსვით, მათი სიმსხოთი და სხ. უტყუარ ნიშანთვისებას აღმოაჩენს ხოლმე, მაგრამ ეს „უტყუარი“ ნიშანთვისებანი რაიონის მიხედვით საკმაოდ იცვლება; ამიტომ ჯიშების გარჩევა რქებით შედარებით იოლია რაიონული მეცენახეობის მასშტაბით. ქართლში ნახარდი

რქაწითლის რქის ფერი მეტად განსხვავდება კახეთში ნაზარდი რქაწითლის რქის ფერისაგან (სითბოს რაოდენობა, განათების ინტენსივობა და სხ. — სანათანადო გავლენას ახდენს); ამიტომ ვაზის ამ ნაწილის ნიშანთვისებაში რაიონისათვის ხშირად სპეციფიკურია. ამ მოსაზრების გამო რქის აღწერა დახასიათება სიფრთხილით უნდა ხდებოდეს.

ფოთოლი

ამპელოგრაფიული კვლევისათვის ფოთოლი მეტად საინტერესო ობიექტი და ბევრი კონსტანტი ნიშანთვისების მატარებელი ორგანოა. ფოთლის შესწავლას ზოგი ამპელოგრაფი ამჯობინებს ყლორტის სამ სხვადასხვა ადგილას: ა) ყლორტის წვერზე ზრდადამთავრებულ ახალგაზრდა ფოთოლზე, ბ) ზრდა მოთავებულ ყლორტის შეაწელის ფოთოლზე და გ) ყლორტის ქვედა ფოთლებზე. თითოეული მათგანი თუმცა საკმაოდ დამახასიათებელ სურათს იძლევა (რადგან ყოველგვარი ხასიათის ფოთლებს შეიცავს), მაგრამ სჯობს ყლორტის მე-9—12 ფოთოლზე შეჩერება.

ზრდადამთავრებული ფოთოლი. ამპელოგრაფიული თვალსაზრისით ზრდადამთავრებული ფოთოლი წარმოადგენს განსაკუთრებული ღირებულების ნიშანთვისებათა მატარებელ ორგანოს. ზრდადამთავრებული ფოთოლი ხასიათდება მკაფიოდ გამოხატული ნიშანთვისებების ისეთი დიდი რაოდენობით, რომ მიუხედავად ჯიშთა სიმრავლისა, მათი საშუალებით შესაძლო ხდება ვაზის ჯიშის ცნობა და, ყოველ შემთხვევაში, ჯიშთა ურთიერთშორის გარჩევა.

ყველა ფოთოლზე დამყარება არ შეიძლება, ვინაიდან ჯიშის დამახასიათებელი კონსტანტური ნიშანთვისება რაევანის საბოლოო გამორკვევით ახასიათებს ყლორტის ძირიდან მე-9—12 მუხლთშორისზე არსებულ ფოთლებს, ე. ი. იმ ფოთლებს, რომელთა განვითარება ვაზზე ხდება ლალი ზრდის ხანაში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ როგორც ახალგაზრდა (1—4 წლ.), ისე გადაბერებული ვაზების ფოთლები, ვინდ მე-9—12 კვირტიდან აღებული, დამახასიათებელ სურათს არ მოგვცემს; ასეთი ასაკის ვაზს არ ახასიათებს ჯიშის ჩამოყალიბებული ნიშანთვისებანი.

ფოთლის ყუნწი. ფოთლის ყუნწი ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვან ამპელოგრაფიულ მაჩვენებლებს იძლევა, სახელდობრ: ფირფიტასთან ახლოს მათი გარდვიგარდმო განაჭერის მოყვანილობა, შეფერვა, შებუსვა, ყლორტისადმი მდებარეობა და სხ. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ სახეობათა დახასიათებისათვის ფოთლის ყუნწი უფრო მეტი ღირებულების მაჩვენებლებს იძლევა, ვიდრე ჯიშის დახასიათებისათვის. ამ ორგანოს შესწავლა-აღწერის დროს ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ფოთლის ყუნწს სხვადასხვა ასაკში ეცვლება როგორც ფერი, ისე შებუსვა.

ფოთლის ფირფიტა. ვაზის ცალკე ჯიშების ფოთლის ფირფიტა ურთიერთისაგან საგრძნობლად განირჩევა, სახელდობრ: მოყვანილო-

ბით, ასიმეტრულობით, სიგრძით, სიგანით, სიდიდით, ფერით, სისქით, შებუსებით, მთლიანობით ან ამონაკვებებით და, ამასთან დაკავშირებით კი, ამონაკვებების რაოდენობით, მოყვანილობით და სიღრმის, სიხშირის, ღრუს სიღრმით და მოყვანილობით, ფოთლის ფირფიტაში მთავარი ძარღვების მიმართულებით, მათი ფერით და შებუსებით, ფოთლის კიდეების დაკბილევით, კბილანების მოყვანილობით და სხ. მოკლედ შევებებით თითოეულ მათგანს.


ფოთლის მოყვანილობა. ვაზის ყველა არსებული ჯიშის და სახეების ფოთლის ფირფიტის მოყვანილობა დაკავშირებულია ფირფიტაში არსებული ხუთი მთავარი ძარღვის სიგრძესთან და მიმართულებასთან. ამასთან დაკავშირებით, თუ ფოთლის ფირფიტის გვერდით ძარღვები შუა ძარღვზე გრძელია, ფოთოლი თირკმლისებრ მოყვანილობას იღებს (რუბესტრისი); თუ შუა და გვერდითი ძარღვები თითქმის თანაბარი სიგრძისაა, ფირფიტა მომრგვალო მოყვანილობას იღებს (ბეგრი ევროპული ჯიში); თუ შუა ძარღვი გვერდით ძარღვებზე გრძელია, ხოლო ამ უკანასკნელებში კი ქვედა ძარღვები ზედაზე უფრო გრძელია, — ფოთლის ფირფიტა გულის მსგავსია (კორდიფოლია); თუ გვერდითი მთავარი ძარღვები თანაბარი სიგრძისაა და მხოლოდ შუა ძარღვია მათზე გრძელი, ფოთოლი სოლისებრ მოყვანილობას იღებს (რიპარია); თუ ფირფიტის ქვემო ორი ძარღვი უფრო მოკლეა, ვიდრე ორი ზემოთა, ხოლო შუა ძარღვის სიგრძეც დიდი არ არის, ფოთლის ფირფიტა შეკვეცილი მოყვანილობისაა (ესტივალისი). ამგვარად, ვაზის ყველა ფორმის ფირფიტა ხუთნაირი მოყვანილობის შეიძლება იყოს. Vinifera-ს წარმომადგენელთა ფოთლის ფირფიტა ძირითადად მომრგვალო მოყვანილობისაა.

ფოთლის მეტი ან ნაკლები დანაკვეთა, აგრეთვე სიფართე, ფოთლის ფირფიტის ხსენებულ ხუთნაირ მოყვანილობაზე არავითარ გავლენას არ ახდენს.

ერთსადამივე ვაზზე ზოგჯერ გვხვდება სხვადასხვა მოყვანილობის ფოთლის ფირფიტა, მაგრამ მე-9—12 მუხლთშორისის ფოთლის ფირფიტის მოყვანილობა ჯიშისათვის საკმაოდ კონსტანტურია.

ასიმეტრულობა. ყველა ვაზის ფოთოლი ასიმეტრულია, მხოლოდ ასიმეტრია მეტი ან ნაკლები რაოდენობითაა გამოხატული. ეს მოვლენა დამოკიდებულია განვითარებული ნაშხრის მდებარეობაზე. რავაში ამჯობინებს ნიშანთვისებათა გამოსარკვევად ფოთლის უფრო განვითარებულ მხარეზე დაყრდნობას, ლაზარევსკი კი ფოთლის ორივე მხარეს თანაბარ ღირებულებას აკუთვნებს და ორივეს შესწავლას ამჯობინებს. ჩვენის აზრით ლაზარევსკის მიდგომა უფრო სწორია, რადგან როგორც აღვნიშნეთ, ასიმეტრულობა დამოკიდებულია ნაშხარზე და მისი მეტ-ნაკლები განვითარება კი ცვალებადია.

ფოთლის სიგრძისა და სიგანის შეფარდება ჯიშისთვის კარგ დამახასიათებელ მასალას იძლევა. ამ შეფარდების გამოსაკვლევად, თანახმად რაეაზის მეთოდისა, ზუსტად იზომება ფოთლის სიგრძე და სიგანე ბული ფირფიტის შუა ძარღვის წვერის ბოლო კბილანიდან, ფოთლის ყუნწის მიმართულებით. ყუნწის ნაკეთის სულ ბოლო კბილაკის მოთავებამდე (იხ. სურ. 5).



სურ. 5.


ვაზის ფოთლის სიგრძივი და მთავარი ძარღვების აზომვა.

ფოთლის სიფართოე. ჯიშის მიხედვით ფოთლის ფირფიტის ფართობი სხვადასხვაა, მაგრამ მაინც მის ზრდა-განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ნიადაგი, სიმშრალე, დამუშავების პირობები, ე. ი. ვაზის

ლონე. მაგრამ რადგან ვაზის ღონესთან ერთად იზრდება მუხლთშორისებიც, ამიტომ რაეზი დიდ ფოთლად ისეთ ფოთოლსა სთვლის, რომლის ფირფიტა მუხლთშორისის სიგრძის $1\frac{1}{2}$ აღწევს; საშუალოს იგი უსთოდებს ისეთ ფოთლის ფირფიტას, რომლის ზომაც მუხლთშორისის სიგრძეს უდრის და წერილს კი ისეთს, როდესაც ფოთლის ფირფიტა მუხლთშორისზე მომცროა. როგორც ფოთოლი, ისე მუხლთ შორისი, X—XII მუხლთშორისისა იგულისხმება.

ფოთლის ნაკვეთი შეიძლება სხვადასხვაგვარი მოყვანილობისა იყოს; მისი მოყვანილობა ძირითადად დამოკიდებულია ამონაკვეთის მოხაზულობაზე და კბილაკებზე, რომელნიც მის კიდევებზე გვხვდება.

ფოთლის დანაკვეთა მრავალგვარია, მაგრამ ძირითადად გვხვდება: ა) მთლიანი (უნაკეთო), ბ) სამნაკვეთიანი და გ) ხუთნაკვეთიანი ფოთოლი. ამონაკვეთების სიღრმე ჯიშის მიხედვით ვაზის ფოთოლს სხვადასხვაგვარი აქვს; არჩევენ ძალიან ღრმა ამონაკვეთს, როდესაც ამონაკვეთის სიგრძე ფირფიტის ზომის სამ მეოთხედს აღწევს; ღრმას, როდესაც ამონაკვეთის სიღრმე ფირფიტის მეოთხედიდან ნახევრამდე აღწევს; ზეზეურს, როდესაც ნაკვეთის სიღრმე მეოთხედზე ნაკლებია, მაგრამ მაინც აშკარად შესამჩნევია. ამონაკვეთთა მოყვანილობა მრავალგვარია და თითოეულ ჯიშს ამ ნაკვეთთა საკმაოდ დამახასიათებელი მოყვანილობა გააჩნია.




სურ. 6

კბილანების ფუძის და სიმაღლის აზომვა მათი შეფარდების გამოსარკვევად.

ყუნწის ღრუ ანუ ყუნწის ამონაკვეთი. ვაზის ფოთლის ფირფიტის ყუნწის ამონაკვეთი მრავალგვარი მოყვანილობისაა: ზოგჯერ ამონაკვეთის ღრუ სრულიად ღიაა, ზოგჯერ მეტნაკლებად დაფარულია; დაფარულია ის იმ შემთხვევაში, როდესაც ყუნწთან მდებარე ფირფიტის ნაკვეთები მეტად განვითარებულია; განვითარების შედეგად ნაკვეთები ერთმანეთს ფარავს და ღრუ დახურულია. საერთოდ ყუნწის ამონაკვეთის მოყვანილობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ფოთლის მთავარი ხუთი ძარღვი რა მიმართულებით იქსელება ფირფიტაში და მათთან დაკავშირებით ყუნწთან მდებარე ნაკვეთების 1, 2, 3 და 4 წყების ძარღვებიც რა მიმართულებითაა განწყობილი ფირფიტაში. ამგვარად ყუნწის ღრუს მოყვანილობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთავარი და მეორადი

ძარღვების მიმართულეებს, ვინაიდან ამ მიმართულების შედეგად მიღებულ კუთხეთა სიდიდე მაჩვენებელია, თუ რამდენად ღია ან დახურულია ფოთლის ღრუ. ყუნწის ღრუს მოყვანილობა ვაზის ჯიშის მიხედვით დამახასიათებელ ნიშანთვისებად ითვლება.

დაკბილვა. ვაზის ჯიშის მიხედვით ფოთლის ფირფიტის კიდე მეტნაკლებად არის დაკბილული. კბილანები ზოგ ჯიშს წამწვეტებელი, ზოგს კი მომრგვალო მოყვანილობისა აქვს. კბილანების მხარეები (გვერდები) ხშირად ასიმეტრულია.



სურ. 7.

ვაზის ფოთლის ნერვაციის კუთხეების აზომვა Ravaz-ის მიხედვით.

დიდფოთლიან ჯიშებში კბილანები უფრო მკაფიოდ მოსჩანს, ვიდრე წვრილფოთლიან ჯიშებში; ამიტომ ნიშანთვისებათა შესწავლისათვის ამჯობინებენ კბილანას ფუძის და სიმალის შეფარდებათა გამომვლადენებას (იხ. სურ. 6). ამის მიხედვით, რაეაზი, როგორც წამწვეტებულ, ისე მომრგვალებულ კბილანებს ხუთ წყებად ყოფს:



ძალიან ვიწრო კბილანები, როდესაც შეფარდება უდრის ≥ 1 ,	
ვიწრო	$\geq 0,75$
განიერი	$\geq 0,50$
ძალიან განიერი	$\geq 0,25$
თითქმის უმნიშვნელო	$\geq 0,15$ ნაკლები

რადგან კბილანების სიმსხო და მოყვანილობა ფირფიტაზე სხვადასხვაგვარია, ამიტომ კბილაკების შესწავლის დროს მთავარი ძარღვის გასწვრივ წარმოშობილ კბილანს იღებენ.

ფოთლის ნერვატია. ვაზის ფოთლის ფირფიტაში ხუთი მთავარი ძარღვია, რომელნიც უშუალოდ ფოთლის ყუნწიდანვე იშლებიან ფირფიტაში; მათში ერთი შუაძარღვია, ფირფიტის თითოეულ ნახევარში კი თითო წყვილი პირველადი ძარღვი მოიპოება. თითოეული მთავარი ძარღვიდან გამოდის 1 წყების ანუ მეორადი ძარღვები, მათგან გამოდის II წყების ძარღვები, ამ უკანასკნელთაგან III წყების და ასე თანმიმდევრობით; შედეგად, ფოთლის ფირფიტა მთლიანად დაქსელილია ძარღვებით. ვაზის თითოეული ჯიშის ფოთლის ფირფიტაში მთავარი ძარღვების მიმართულება საკმაოდ კონსტანტურია; სწორედ ამიტომ ამპელოგრაფები მათ მიმართულებას დიდ ყურადღებას აქცევენ. ამ თავისებურების აღნუსხვისათვის, ჯიშთა ნიშანთვისებების შესწავლის მიზნით, რავაზის მიერ შემოღებულია მთავარ ძარღვთა შორის წარმოშობილ კუთხეების ზომა. ამ საშუალებას ამპელოგრაფები ხშირად მიმართავენ ხოლმე და ჯიშისათვის კარგ დამახასიათებელ დისაყრდნობ მასალას იღებენ.

ამპელოგრაფიის პრაქტიკაში მიღებულია სამი კუთხის ზომა: 1) შუა და მის მახლობლად მდებარე მეორე ძარღვის შუა წარმოშობილ კუთხისა; მას ეწოდება კუთხე α , 2) მეორე და მასზე მდებარე I წყების ძარღვის შუა წარმოშობილ კუთხისა; მას ეწოდება კუთხე β ; 3) მეორე პირველადი ძარღვის და მის ზემოდ უშუალოდ მდებარე მეორადი წყების ძარღვებშუა მყოფ კუთხისა; მას ეწოდება კუთხე (იხ. სურ. 7). ხსენებული კუთხეების ზომა, ზოგი ჯიშისათვის საკმაოდ დამახასიათებელ სურათს იძლევა. რავაზის მიერ ხმარებული მეთოდი გერმანელმა მეკლევარმა Seeliger¹-მა და აგრეთვე მიხ. ლაზარესკიმ² უფრო გაშალეს. რადგან ეს საკითხები ვიწრო ამპელოგრაფიული ხასიათისაა, ამიტომ აქ მათზე არ შევიჩრდებით.

მთავარი ძარღვების შედარებითი სიგრძე ჯიშის დასახასიათებლად ხშირად კარგ სურათს იძლევა; მაგ. რუბესტრის გვერდითი ძარღ-

¹ Vererb. und Kreuzungsversuch mit der Weinrebe, Zeitschrift f. Induct Abstammungslehre № 25, 1925 წ.
² М. Лазаревский. Методика ампелограф. исследований. 1936 წ. ტფილისი.

ვები უფრო გრძელია, ვიდრე შუა ძარღვები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამაზე დამოკიდებულია ფოთლის მოყვანილობა.

ძარღვების სისხო და ფირფიტაში მათი მდებარეობა (ფურცლებზე ზეურად) ზოგი ჯიშისათვის დამახასიათებელია, მაგრამ ამ ნიშანთვისებაზე დაყრდნობა სიფრთხილეს მოითხოვს და თუ განსაკუთრებული თავისებურებით არ არის აღბეჭდილი, — მათზე შეჩერება არ ღირს. მათი ფერი მეტწილად ისეთივეა, როგორც ფოთლის ყუნწისა და ყლორტისა, და ზრდის სხვადასხვა ხანაში მეტწილად მათსავით განიცდის ფერის ცვალებადობას.

ფოთლის ფერი. დე როქსა თავის განსაკუთრებული ღირებულების ანდალუზიის ჯიშთა ამბელოგრაფიაში აღნიშნავს, რომ ფოთლის ფერით შესაძლოა თითოეული ჯიშის ცნობა, იმდენად დამახასიათებელია იგი ჯიშისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მართლაც თითოეული ჯიშის ფოთლი დამახასიათებელ ფერს ატარებს, მაინც მისი აღწერა, როგორც ნიშანთვისებისა, შეუძლებელია, რადგან ნიუანსები ისეთი უმნიშვნელოა და იმდენი გარდამავალი საფეხური აქვს, რომ მისი გამოთქმა ან აღნუსხვა ადამიანის შესაძლებლობას აღემატება.

ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვაზის კვების პირობები და ადგილმდებარეობა გავლენას ახდენენ ფოთლის ფირფიტის ფერზე; მაგ. ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებზე ღონივრად მოზარდი ვაზების ფოთლები უფრო მუქი მწვანე ფერით ხასიათდებიან, მზის გულზე, კირნარ ნიადაგებზე ვაზების ფოთლის ფირფიტა უფრო ბაცი ფერით ხასიათდება და სხ. ყოველ შემთხვევაში ფირფიტის ფერზე დაყრდნობა შეიძლება მაშინ, როდესაც ვაზის სხვადასხვა ჯიშში თანაბარი მოვლის, კლიმატურ და ნიადაგის პირობებში იზრდება.

მიუხედავად ამ სიმწიფეებისა და არსებული ცვალებადობისა, მაინც ფირფიტის ფერი ხშირად ფრიად დამახასიათებელ სურათს იძლევა ჯიშთა გამოსაცნობად და ამიტომ ის შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გამოვიყენოთ. მაგ., შემოდგომის დასაწყისს ზოგ წითელ ჯიშს ფოთოლი უყვითლდება, ზოგს წითლად ეღებება; წითელი ფერის ინტენსივობაც სხვადასხვაგვარია: კახური საფრეავის ფოთოლი მუქ წითელ ფერს იღებს, ტენტურიეს ფოთოლი მუქ წითელ, თითქმის მოშაო ფერს იღებს და სხ.; ზოგ ჯიშს ყურძნის გადამწიფებისას უწითლდება ფოთოლი, ზოგს გვიან შემოდგომაზე. გარდა ამისა, მრავალი ვაზის ჯიშის ფოთლის ფირფიტა ხასიათდება პრიალით (რუპესტრისის ჯიშები), ელვარებით (ბერლანდიერის ჯიშები და სხ.). მშრალ პირობებში ეს უკანასკნელი თავისებურება უფრო მეტად გამოსკვივის, ვიდრე ნესტიან პირობებში.

ფოთლის ფირფიტის ფერზე ზოგჯერ გავლენას ახდენს ცვილის შრე (ესტივალის ფირფიტის ქვედა მხარე), უხვი შებუსვა (კანდიკანის ფირფიტის ქვედა მხარე) და სხ.

შებუსვა. ჯიშის მიხედვით ფოთლის ფირფიტა ან გლუვია, ე. ო. ტიტველია (შებუსუსია), ან შებუსულია. შებუსვა შესაძინევია ჯიშის მიხედვით ფოთლის ყუნწზე, ძარღვებზე, ფირფიტის ორთავე შარეს მხარეზე. ბუსუსის რაოდენობა, ფერი და ხასიათი ჯიშის მიხედვით დიდად მერყეობს: ზოგჯერ ფოთლის ფირფიტა იმდენად შებუსულია, რომ ფოთლის ეპიდერმისი არც კი სჩანს. ბუსუსი სხვადასხვა ფერისაა, მეტწილად კი გვხვდება თეთრი, მოწითალო და რუხი ფერისა. ბუსუსი შეიძლება იყოს ხაოსებრივი, ბამბის ძაფის მკვარი, აბლაბუდის ქსოვილის მსგავსი და სხ. ზოგჯერ შებუსვის რაოდენობას ციფრებით გამოხატავენ: სიტიტველეს 0-ით აღნიშნავენ, 5-კი აკუთვნებენ ისეთ შებუსვას, როდესაც ბუსუსიანობის მიხედვით ფოთლის პარენქიმა აღარ სჩანს, 1—4 აკუთვნებენ დანარჩენ მეტ ან ნაკლებ შებუსულობას.

ფოთლის ფირფიტის ზედაპირი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: სადა, დანაოქებული, აბურცული და სხ. ზოგიერთი ჯიშისათვის დამახასიათებელია ფოთლის ფირფიტის ასეთი ზედაპირის არსებობა.

ამგვარად ვაზის ფოთოლი მეტად თვალსაჩინო ამპელოგრაფიული ნიშანთვისების მატარებელია და ჯიშთა აღწერა-შესწავლის დროს ვაზის ამ ორგანოს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს; ოღონდ აუცილებლად საჭიროა სიფრთხილე და სიზუსტე.

ვაზის ფოთლის ნიშანთვისებათა უკეთესი დახასიათების მიზნით აკად. რაევზმა შემოიღო ამპელომეტრია, რომლის ქვეშაც ნიშანთვისებათა რიცხვობრივი გამოხატვა ივლისხმება; ასე მაგალითად: 136, 48, 45; — 0,89, 0,75, 0,23; 0,75; 0; 0,90; რაც ნიშნავს: ძარღვთა შუა კუთხეების ზომა უდრის: $\alpha=136$, $\beta=48$ და $\gamma=45$ გრ.; ძარღვთა შეფარდებითი ზომა შეადგენს 0,89, 0,75, 0,23; კბილაკების ფუძის და სიმაღლის შეფარდების ზომა უდრის 0,75; შებუსვა—0; ფირფიტის სიგრძე-სიგანის შეფარდება—0,90.

პყკალები. პყკალების მოყვანილობა, განვითარება და განწყობა უფრო სახეთა დამახასიათებელი ნიშანია, ვიდრე ჯიშებისა; მაგ. როტუნდიფოლიას ფორმებს მარტივი პყკალები აქვთ, ლაბრუსკას ფორმები ყლორტზე უწყვეტი პყკალების განწყობით ხასიათდება; აღსანიშნავია, რომ ბევრი ევროპული ჯიში ხასიათდება პყკალების განსაკუთრებული განვითარებით—სიგრძით, რთული დატოტვით და სხ.

ყვავილი. ამპელოგრაფიული თვალსაზრისით ვაზის ყვავილის აგებულებას ამ ბოლო ხანებში უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს. ამგვარ კვლევას საფუძველი რათაიმ¹ ჩაუყარა. სოსნოვსკის და მირიზანოვს² გამო-

¹ Ratay, C. Die Geschlechtsverhältnisse der Reben. Wien, 1888 წ.

² Материалы к изучению строения цветка виногр. лозы. Труды прикладн. ботан. генет. и селекции XVIII 4 в. 1927/28 წ.

ՅԱՆՆ ԺԱՅՄՈՒԹՅԱՆ ԼՃՅԱՆ ԽՈՒՐԱԾՈՒ



ՆԱԽԱՐԱՐՈՒՄ
ՆՈՒՆԱԿԱՆՈՒՄ


Յգնակցին իրականացրած հետազոտության ջանքերը կետանիւթով	Խառն շահույթ (1926 Մ.)	Ֆինանսական շահույթ (1927 Մ.)	Կոնցրետ շահույթ (1928 Մ.)	Կլանկոն շահույթ (1929 Մ.)	Ջանքերի արդյունքների ընդհանուր գնահատական
Ֆինանսական ջանքեր	Վերականգնողական	Ֆինանսական և կոնցրետ շահույթ	Ֆինանսական	Ֆինանսական արդյունքներ	Ֆինանսական շահույթից ֆինանսական շահույթ +
—	—	—	կետանիւթ	կետանիւթի արդյունքներ	Ֆինանսական շահույթից ֆինանսական շահույթ +
Կոնցրետական ջանքեր	Վերականգնողական	Ֆինանսական և կոնցրետական շահույթ	Կոնցրետական	Կոնցրետական	Ֆինանսական շահույթից ֆինանսական շահույթ +
—	—	—	—	—	Կոնցրետական շահույթից ֆինանսական շահույթ +
Վերականգնողական ջանքեր	Կոնցրետական	Ֆինանսական և կոնցրետական շահույթ	Վերականգնողական	Կոնցրետական շահույթ	Ֆինանսական շահույթից ֆինանսական շահույթ +
—	—	Ֆինանսական և կոնցրետական շահույթ	—	Վերականգնողական արդյունքներ	Կոնցրետական շահույթից ֆինանսական շահույթ +
—	—	—	—	—	Վերականգնողական շահույթից ֆինանսական շահույթ +

Ֆինանսական շահույթ

Կոնցրետական շահույթ

1) Կոնցրետական շահույթ
2) Կոնցրետական շահույթ

VITIS



¹ Саркисян, В. Материалы по морфологии виноградного цветка 1933 წ.

ამგვარად ვაზის ყვავილების შესწავლა ამპელოგრაფიული მეთოდით
რისით მეტად მნიშვნელოვანია; მაგრამ ეს შესწავლა უნდა მოხდეს მთა-
ვარ ყლორტებზე მასობრივი ყვავილობის დროს, რადგან როგორც ჩვენს
ისე სხვა მკვლევართა დაკვირვებიდან სჩანს, რომ ნამხარზე დაგვიანებით
წარმოშობილი ყვავილადები ხშირად ჯიშისათვის დამახასიათებელ ყვავი-
ლებს არ იძლევა. აქვე ვათავსებთ ჩვენს მიერ შედგენილ ვაზის ჯიშების
ყვავილების სქემას (იხ. ცხრილი 94 გვ.).

მტევანი. მტევნის მოყვანილობა, აგებულება და სიმსხო ძვირფას
ამპელოგრაფიულ ნიშანთვისებას წარმოადგენს. მტევნით ჯიშები ურთი-
ერთისაგან იოლი გასარჩევია; მაგ. რქაწითელი—ბუღეშურისაგან, ციკქა
—კრახუნასგან და სხ. მაგრამ თუ მკვლევარის წინ რამდენიმე ასეული
და მეტი ჯიშია, მარტო მტევანზე დამყარებამ შეიძლება საგრძნობი შე-
ცდომები გამოიწვიოს; სწორედ ამიტომ ჯიშთა ამპელოგრაფიული შეს-
წავლის დროს მტევანს ენიჭება არა გადამწყვეტი, არამედ ერთერთი მნიშ-
ვნელოვანი ადგილი, მით უმეტეს, რომ ადგილმდებარეობა, ვაზის კვება,
ნიადაგის ნაყოფიერება, განაყოფიერების პირობები, ვენახის მოვლა-პატ-
რონობა და ბევრი სხვა პირობა გავლენას ახდენს როგორც მტევნის სი-
სხოზე, ისე მარცვლის დაფერვაზე და სხ. ამგვარად, მტევანი იძლევა კარგ
დამახასიათებელ, მაგრამ არა გადამწყვეტ ამპელოგრაფიულ სურათს.

მტევნის უნწი უკავშირდება ყლორტს. მტევნის უნწის სიგრძე და
აგრეთვე გახვევების უნარიანობა ხშირად დამახასიათებელია ჯიშისათ-
ვის. უნწზე შესამჩნევია მუხლი, რომელიც წარმოადგენს ატროფირე-
ბული პწკალის მეორე ტოტს.

მტევანი შედგება კლერტისაგან; იგი მეტ-ნაკლები დატოტვით ხასიათ-
დება. უმარცვლო კლერტის ცალკეულ განტოტვას ბურძლი ეწოდება; მტევ-
ნის ცალკეულ მარცვლიან ტოტს კუჭხალი ეწოდება; კუჭხალი ზოგჯერ შედ-
ება კიწებისაგან, კიწზე თავმოყრილია მარცვლის ღერულები; თითოეულ
ღერუკაზე ვითარდება ცალკეული მარცვალი. მარცვლის ღერუკას სიგრძე
და მოყვანილობა ჯიშის მიხედვით სხვადასხვაგვარია. ღერუკა მარცვლის
მიმაგრების ადგილთან ხშირად აბურცულია; ამ ბურცს, მარცვლის ბალიში
ეწოდება. მტევნის დასაწყისში კუჭხლები უფრო მსხვილია, ვიდრე
მტევნის ბოლოში. ასეთი აგებულებით ხასიათდება ვაზის თითქმის ყველა
ჯიშის მტევანი; ოღონდ მტევნები ურთიერთისაგან განსხვავდებიან რო-
გორც კუჭხლების სისხოთი, ისე სიკუმსით და სიმეჩხრით. ეს თავისე-
ბურება თუმცა გადამწყვეტ დასაყრდნობ მასალას ყოველთვის არ იძ-
ლევა, რადგან იმისდამიხედვით, თუ ყვავილედის დაყვავილება რა პი-
რობებში მოხდა, — მტევანს მსხვილი (რამდენიმე კიწიანი) ან წვრილი კუჭ-
ხალი (ერთ კიწიანი) განუვითარდება. მაინც აღსანიშნავია, რომ ზოგი ჯიშში
მეჩხერი აგებულებით ხასიათდება (თხელმტევნიანი), ზოგი კი შეკუმშულია
(კუმსმტევნიანი); სიკუმსე ზოგჯერ იმდენად დიდია, რომ მარცვლები ერთ-

მანეთს ეკვრის, რის შედეგად მათ ეკარგებათ დამახასიათებელი ჯიშური მოყვანილობა. კულტურაში ცნობილია ჯიშები, რომელთა ზედა კუწხალეები მეტად ვითარდებიან, რის გამოც რთული მტევნის შთანბეკდილებები კუწხალეები (მაგ. მხარგრძელი, ქიშმიში და სხ.). ასეთ კუწხალეებზე მტევანს დატოტვილი მტევანი ეწოდება. ზოგი ჯიშის მტევნის ყუნწის მუხლიდან მეორე მტევანი ვითარდება და ამის შედეგად ერთ ყუნწზე თითქოს ორი მუწევანი ჩნდება,—მათ ფრთიანი მტევანი ეწოდებათ. თუ მტევანი ზემოდასახელებული თავისებურებით არ ხასიათდება, მას სადა მტევანი ეწოდება.

მტევნის მოყვანილობა ბევრგვარია; მათ შორის ძარითადია ცილინდრული, კონუსისებრი, ცილინდრული-კონუსისებრი, კვერცხისებრი და სხ.

მტევნის ყუნწის სიგრძე ცალკეული ჯიშისათვის საკმაოდ დამახასიათებელია: ზოგი ჯიში ხასიათდება მეტად მოკლე მტევნის ყუნწით, ზოგი კი საკმაოდ გძელი ყუნწით და ზოგჯერ მტევნის ყუნწის სიგრძე თვით მტევნის სიგრძეს აღწევს. ყუნწის სიგრძედ იგულისხმება მანძილი ყლორტზე მიმაგრებიდან მტევნის დატოტვამდე, და არა მტევნის მუხლზე ზოგჯერ განვითარებულ კუწხალამდე. ამპელოგრაფიული თვალსაზრისით უმნიშვნელო არ არის როგორც მტევნის ყუნწის სიმაგრე, ისე მარცვლის ყუნწის (მარცვლის ღერუკა) კავშირი მარცვალთან. სამეურნეო ღირებულების თვალსაზრისითაც ეს ნიშანთვისება უმნიშვნელო არ არის, რადგან ზოგი ჯიში (ალბილო, ნოა და სხ.) ხასიათდება დამწიფების უმაღლესი დაცვენით, რაც ჭარბად ადგილებში მოსავალს დიდად ამცირებს.

მარცვალი. თუმცა მარცვალი საკმაოდ დამახასიათებელია ჯიშისათვის, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ვაზის ზრდა-განვითარების მიხედვით,—რაც დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე, კულტურის წესებზე და სხ.,—მარცვლის სიმსხო დიდ მერყეობას განიცდის. თუმცა ნაკლებად, მაგრამ მაინც იცვლება აგრეთვე მარცვლის ფერი და მოყვანილობაც. მშრალ ადგილებში, გვალვიან პირობებში—მარცვალი წლიოკდება; ხარბად ნასხლავ ვაზსაც მარცვალი უწვრილდება; ნაკლებშიან არეში ფერი კლებულობს და სხ. თითოეული ჯიშის მარცვალი მისთვის დამახასიათებელ სისხოს მხოლოდ ჯიშისთვის ოპტიმალურ პირობებში აღწევს. ვაზის არსებული ჯიშები მარცვლის სისხოს მიხედვით 4 ჯგუფად იყოფა: ძალიან მსხვილ, მომსხო, საშუალო და წვრილმარცვალია ჯიშებად. მარცვლის სისხოს გამოსარკვევად საჭიროა შტანგენციოკულით მათი ზუსტი გაზომვა. მარცვლის სისხოს კლასიფიკაციისთვის რაგაზი შემდეგ ზომებს ემყარება:

წვრილი მარცვალი: როდესაც მარცვლის დიამეტრი საშუალო \leq 10 მილიმ.	
საშუალო	\leq 15 მილიმ.
მომსხო	\leq 20 მილიმ.
ძალიან მსხვილი	20 მილიმ.

აღემატება.



მარცვლის სისხოს გამოსარკვევად უნდა ავიღოთ ჯიშისათვის დამა-
ხასიათებელი სიდიდის მარცვლები, რიცხვით არა ნაკლებ 25 ცვლებს.

მომწიფებული მარცვლის მოყვანილობა შეიძლება იყოს მარცვლის
როდესაც სიგანე სქარბობს სიგრძეს, მრგვალი, როდესაც სიგრძე და სი-
განე თანაბარია, მოგრძო როდესაც სიგრძე სქარბობს სიგანეს $1\frac{1}{2}$ -მდე,
გრძელი, როდესაც სიგრძე $1\frac{1}{2}$ —2-ჯერ მეტია, ვიდრე სიგანე და ძალიან
გრძელი, როდესაც სიგრძე 2-ჯერ უფრო მეტია სიგანეზე. გარდა ამისა,
მოგრძო მარცვალი შეიძლება იყოს კვერცხის მსგავსი; მოკაუჭებელი, წა-
წყეტებულბოლოიანი, რგვალბოლოიანი და სხ. ზოგიერთი ჯიშის მარცვლის
ბოლოზე მეტად გარკვეულად მოსჩანს წერტილი; იგი წარმოადგენს დინ-
გის შემხმარ ადგილს და მას მარცვლის ქიმი ეწოდება.

ფიზიოლოგიურ სიმწიფეში შესული მარცვალი იღებს ჯიშისათვის
დამახასიათებელ ფერს: ქარვის ფერს, მომწვანოს, ნაცრის ფერს, წითელს,
შავს და სხ. ზოგი თეთრი ჯიშის კანი გამჭვირვალეა და წიწებიც კი
სჩანს, ზოგისა მეტად უხვადაა დაფარული ვიტანით, რის შედეგათ მარ-
ცვლის კანი არა სჩანს. ადგილმდებარეობის მიხედვით და აგრეთვე მტევ-
ნის მდებარეობის მიხედვით, მარცვლის ფერი ცვალებადობას განიცდის.
იგი აგრეთვე მზის გავლენითაც იცვლება: ზოგი ჯიშის მარცვალს კორ-
ფლი ეკიდება, ზოგისა ალისფრად ილანძება და სხ. თეთრი, მწვანე და
ნაცრისფერი ჯიშების წვენი უფერულია, წითლისა და შავისა კი ზოგჯერ
დაფერილია, თუმცა მეტ შემთხვევაში წვენი აქაც უფერულია. ფერის ზუ-
სტი გამორკვევისათვის გერმანელი ამპელოგრაფი H. MOOG-ი შემდეგ საშუ-
ალებზე მიგვითითებს: მწიფე მარცვალი ფრთხილად უნდა მოვაშოროთ
ფეხსაჯდომიდან და ოდნავი ხელის დაჭერით გამოდენილი წვენი თე-
თრი ფერის საშრობ ქაღალდზე დავაწვეთოთ; ასეთი ოპერაცია ოთხჯერ
უნდა განმეორდეს¹. შემშრალი ნალეენთი ჯიშისათვის დამახასიათებელ
ფერს მოგვცემს. რადგან ზორცხეფერილი ჯიშების მარცვლების საღებავი
პიგმენტი შეხების დროს იოლად გადადის წვენში, ამიტომ ასეთი გამორ-
კვევა კარგ დამახასიათებელ სურათს იძლევა. ფერის უფრო ზუსტი აღ-
ნუსხვისათვის შეიძლება გამოვიყენოთ Krüger-ის მიერ შედგენილი ფერადე-
ბის საზომი ტაბულები.

გარდა ზემოხსენებულისა, მარცვალი ხასიათდება: მეტნაკლები წვნი-
ანობით, ხორციანობით, ლორწოიანობით, კანის სისქით, ელასტიობით,
სურნელოვნებით, სხვადასხვა გემოთი და სხ. ვენახის ადგილმდებარე-
ობა და აგროტექნიკა აქაც გარკვეულ დაღს ასევე მარცვლის მთელ რიგ
თვისებებს, მაგრამ ზოგი ჯიშის თავისებურება მაინც მეტად დამახასი-
ათებელია და მათ მით უმეტეს მეტ ანგარიში უნდა გაეწიოთ, ვინაიდან
ჯიშის სამეურნეო ღირებულების შეფასებისათვის მარცვლის სპეციფიკას
მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

¹) Loc. cit.

კარგ ამბელოგრაფიულ ნიშანთვისებებს გვაჩვენებს, მარცხლის, ფერი-
ოლოგიური სიმწიფის დროს, წიპწის შესწავლა (მოყვანილობა, სისხო,
ფერი, რაოდენობა); მისი სისხოს და რაოდენობის გამოყვანა (მეტოდ)
მნიშვნელოვანია ჯიშის შესაფასებლად სამეურნეო თვალსაზრისითაც.

აქვე ვათავსებთ ამბელოგრაფიული აღწერისთვის აკადემიკოს Ra-
vaz-ის სკოლის მიერ ხმარებულ ფურცელს:

ჯიშის სახელი, სინონიმები, კულტურის არე.

1. ახალგაზრდა ყლორტის წვერი — { ფერი
შებუსვა

2. ზრდამოუთავებელი ახალგაზრდა ფოთლის { ფერი
შებუსვა

3. სრულსაკიანი ფოთოლი (9—12 მუხლთშორისიდან).

მთავარი ძარღვების კუთხეთა მონაცემები: α ... β ... γ ...

ნაკვეთების რაოდენობა: სიღრმე:

ყუნწის ამონაკვეთის მოყვანილობა:

კბილაკების მოყვანილობა:

მთავარი ძარღვების სიგრძე: 1... 1¹... 1²...

მთავარი ძარღვების შეფარდება:...

შებუსვა ფოთლის ფირფიტის ზედა მხარეზე:... ქვედა მხარეზე

ფირფიტის ზედაპირი:...

* ფერი:...

ფოთლის საერთო მოყვანილობა...

4. ყლორტი: მოყვანილობა... ფერი:... შებუსვა:...

5. რქა: მოყვანილობა... მუხლთშორისები... ფერი... კვირტები:...

6. მტევანი: მტევნის ყუნწი... რაოდენობა ერთ ყლორტზე... სიგრძე...

აგებულება... მოყვანილობა...

7. მარცვალი: სიმსხო... ფერი... მოყვანილობა... გემო... სუნი...
ლერჯასთან მიმავლება...

8. წიპწა: რაოდენობა... ფერი... სიგრძე... სისხო... ნისკარტი... ქა-
ლაზა... რაფი...

9. ყურძნის შემადგენლობა (შაჭარი, მკაევიანობა).

10. სამეურნეო ღირსება და ვარგისიანობა.

ჯიშის სამეურნეო ღირებულება

ნიშანთვისებათა აღწერებით ჯიშის ამბელოგრაფიული შესწავლა არ
ამოიწურება. აუცილებლად საჭიროა სამეურნეო ღირებულების გამოიშ-
ვლანებაც.

სამეურნეო ღირებულების ნიშნებს ეკუთვნის: მოსავლიანობა, ავად-
მყოფობათა მიმართ გამძლეობისუნარიანობა, სამეურნეო ვარგისიანობა,



აღზრდა-მოვლის პირობების მიმართ მოთხოვნილება, ბუნებრივ პირობებში-
სადმი შეგუების უნარი და სხ. რამდენადაც უკეთესი და ზუსტი დამახასიათებელი მასალა იქნება დავარაოვლი ჯიშის სამეურნეო ღირებულებების გან-
გვივ, თავისთავად ცხადია, უფრო იოლი იქნება ჯიშის სათანადო შე-
ფასება.

ჯიშის მსხმოიარობის უნარის გამოსარკვევად საჭიროა აღრიცხვა მტევნის რაოდენობისა თითოეულ რქაზე და მტევნის წონის გამორკვევა. ამისათვის იღებენ 10 რიგიანად განვითარებულ ვაზს და სთვლიან მათზე სხვლით ნავარაუდევ კვირტებიდან განვითარებულ რქას (არა შავი ნაწილიდან ამოყრილებს), შემდეგ სთვლიან ამავე რქებზე მტევნებს და ამ უკანასკნელ რიცხვს ყოფენ პირველზე; ამის შედეგად მიღებულ რიცხვს ეწოდება მოსავლიანობის კოეფიციენტი; ეს რიცხვი არაა გამომბატეელი მოსავლიანობისა, არამედ ჯიშის მსხმოიარობის მაჩვენებელია და ამ მხრივ რიგიანი დამახასიათებელი ნიშანია. მოსავლიანობის კოეფიციენტის გამორკვევის გარდა საჭიროა მტევნის საშუალო წონის გამორკვევა, რისთვისაც გამოსარკვევ ვენახის სხვადასხვა ადგილიდან იღებენ არანაკლებ 100 ტიპიურ, ჯიშისთვის დამახასიათებელ მტევანს და მათ სწონიან; მიღებული რიცხვი იყოფა აწონილ მტევნების რიცხვზე; ამის შედეგად მიღებული ციფრი გამობატავს მტევნის საშუალო წონას.

თუ მოსავლიანობის კოეფიციენტს გადავამრავლებთ ერთი მტევნის საშუალო წონაზე და შემდეგ კი ვაზზე არსებულ მოსავლიან რქების საშუალო რაოდენობაზე, — მივიღებთ ერთი ვაზის მოსავლიანობას, ხოლო ამ უკანასკნელის გამომრავლებით ერთ ჰექტარზე მოთავსებულ ვაზების რაოდენობაზე შეგვეძლება ერთი ჰექტარის მოსავლის დაახლოებითი წონის გამორკვევა. ამგვარად ერთი ჰექტარი ვენახის მოსავლის დაახლოებითი გამომრკვევა შეიძლება შემდეგი ფორმულით: $X = K \cdot P \cdot O \cdot N$, სადაც K არის მოსავლიანობის კოეფიციენტი, P — ტიპიური მტევნის საშუალო წონა, O — აღებულ ვაზებზე არსებულ მოსავლიან რქების რაოდენობა და N — ვაზების რიცხვი ჰექტარზე.

გამორკვევის დროს ტიპიური ვაზების და ტიპიური მტევნების რაც უფრო მეტი რაოდენობა იქნება აღებული ასაწონად (150—250 ცალი), მით უფრო ზუსტ ჯამს მივიღებთ. როგორც ახალგაზრდა, ისე ხნიერი ვაზი ამ მხრით ტიპიურ სურათს არ იძლევა; ამიტომ მათი გამოკვლევა ჯიშის მოსავლიანობის დასახასიათებლად, ნაკლებად სანდო შედეგებს მოგვცემს.

სამეურნეო თვალსაზრისით, სწეულები და მავნებლები — სადმი ჯიშის გამძლეობის უნარიანობა ფრიალ მნიშვნელოვანია. მართალია, ევროპული ვაზის ჯიშები არ ხასიათდება სოკოს მიერ ავადმყოფობის წინააღმდეგ სრული გამძლეობის უნარიანობით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ჯიში უფრო იოლად ავადდება, ზოგი კი შედარებით მეტ გამძლეობას იჩენს. იგივე ითქმის მავნებლებზეც; მაგ.,

ზოგი ჯიში უფრო მეტად ზიანდება ყურძნის ქვისაგან. ჯიშის ამ რაობისებურებას აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს: რაც შეიძლება ზუსტად უნდა აღინიშნოს დაავადების რაოდენობა, ხასიათი, სიმწირე, შესწავლის ეფექტი და სხ.

სამეურნეო ვარგისიანობა გულისხმობს იმის გამოკვევას, თუ რაგვარი წარმოებისათვის არის გამოსადეგი ჯიში—ხილად, ქიშიში-შად, ლენის ან კონიაკის დასამზადებლად, ბადაგად, თუ უაღკოპოლო წვენად. თუ ლენოდ—რა გვარი ტიპის ლენოს იძლევა, ე. ი. ხარისხოვანს თუ მასობრივ სუფრის ლენოს ან მაგარს, ლიჭორისებრს, შამპანურის დასამზადებელს და სხ.; რა რაოდენობის წვენს იძლევა; რა წინასწარ დამუშავებას მოითხოვს წვენი და სხ. თუ ხილად,—რაგვარ ყურძენს იძლევა—ადგილობრივ სახმარს თუ სატრანსპორტოს, რაწილი შენახვის-უნარიანია, ადრეულია თუ საგვიანო, საბაზრო ხარისხის % და სხ. ყველა საკითხის გამოსარკვევად საჭიროა როგორც შესწავლილი პროდუქტის დაქაონიება და ამის შედეგად შეფასება, ისევე არსებული გამოცდილების შესწავლა. ახალი რაიონისათვის, ნაკლებცნობილ ჯიშზე, საჭირო ხდება სათანადო კვლევითი მუშაობის ჩატარება.

ვაზის აღზრდა-მოვლის პირობები ჯიშის მიხედვით სხვადასხვაგვარია და ამიტომ ჯიშის შესწავლის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ვაზის ინდივიდუალურ მოთხოვნილებას: ზოგი ჯიში მოითხოვს გრძელ სხელას, ზოგი მოკლეს; ზოგი მაღალ შტამბს, ზოგი დაბალს, ზოგი ზაფხულის დამატებით ოპერაციებს და სხ. მართალია, არსებული ბუნებრივი პირობების მიხედვით მოვლის პირობებიც იცვლება, მაგრამ არარაციონალური მოვლით ჯიშის ინდივიდუალური თავისებურება არ უნდა მიიჩქმალოს, თუ გვინდა მაქსიმუმი ეკონომიური ეფექტის მიღება.

ბუნებრივი ფაქტორები. კლიმატური პირობები და ნიადაგი, როგორც თავის დროზე ხაზგასმით აღვნიშნეთ (იხ. პირველი წიგნი), თვალსაჩინო დაღს ასვამს ვაზის პროდუქტის ავკარგიანობას, რაც ჯიშის მიხედვით საკმაოდ მერყეობს. უკეთესი სამეურნეო ეფექტის მისაღებად საჭიროა შესწავლილ იქნას თუ რა ბუნებრივი ფაქტორების ზეგავლენით ივითარებს ვაზის ჯიში მაქსიმალურ დადებით თვისებებს და რა პირობებში იძლევა მაქსიმალურ ეკონომიურ ეფექტს. მხოლოდ ამ პირობების შეძლებისდაგვარად ზუსტი შესწავლა გვაძლევს ჯიშის სათანადოდ გამოყენების საშუალებას. მაგ. ზოგი ჯიში დამახასიათებელ ხარისხოვან პროდუქტს იძლევა მხოლოდ კირნარ ნიადაგებზე, ზოგი მხოლოდ ფიქალიან ნიადაგებზე და სხ. უხვი სითბო ზოგ ჯიშზე უარყოფითად მოქმედებს, ზოგისათვის ზომიერი სითბო საკმაო არ არის და სხ. კლიმატური პირობების გამოკვევასთან ერთად დავიწყებული არ უნდა იყოს ფენოლოგიური დაკვირვებანი, რადგან ვაზის ცალკეული ბიოლოგიური ფაზის გამომქლავება მეტად თვალსაჩინო მასალას იძლევა; მაგ. კვირტის გამოღვიძების

დრო, ყვავილობის დრო და პირობები, ყურძნისა და რქის მომწიფების დრო და პირობები და სხ.

ვაზის ჯიშის სამეურნეო ღირებულების ყოველმხრივი შესწავლა სათვის ხანგრძლივი დროა საჭირო. რამდენადაც რაიონში წყვედრიანაშვილის სამეურნეო ღირებულების შეფასება შედარებით იოლია, იმდენად პასუხსავებ საქმედ უნდა ჩაითვალოს რაიონისათვის ახალი ჯიშის შერჩევა, მით უმეტეს თუ ჯიშზე საკმაო მასალა არ მოიპოვება და თუ არც მკვლევარს გააჩნია ანალოგიები. რაც შეეხება წიპწის ან მუტაციის გზით ახლად გამოყვანილ ჯიშს, ფართო სამეურნეო მიზნებით მათი გამოყენება დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ყოველმხრივ წინასწარ შესწავლამდე. წინასწარი გამოცდის გარეშე ჩატარებული, წინდაუხედავი, სამწუხარო, მაგალითები ბევრი მოგვეპოვება.

ე) ალაზნის ველზე ფერ- დობებიდან — დაეკებაზე	1. ხარისხოვანი თეთრი და წითელი ღვინოების წარმოება	1. რქაწითელი 2. საფერავი	



მეცნიერების საწარმო- ადმინისტრატული რაიონების დასახელება	სპეციალიზაცია	ძირითადი ჯიშები	დამატებითი ჯიშები
<p>3) ვაკე ნაწილი</p>	<p>1. თეორი და წითელი ხარისხოვანი და მასობრივი სუფრის ღვინოების წარმოება</p>	<p>1. რქაწითელი 2. საფერავი</p>	
<p>4. ყვარელის რაიონი</p> <p>ა) შთის კალთების ფერდობები და მისი მისახდერე ვაკე ზოლი.</p> <p>ბ) ქვედა ვაკე ზოლი შაქრიანიდან—ახალ გავაზამდე</p>	<p>1. ხარისხოვანი ვერძოვანი და კახური ტიპის თეთრი და წითელი ღვინოების წარმოება.</p> <p>1. მასობრივი ღვინოების და საკონიაკო მასალის წარმოება</p>	<p>1. რქაწითელი 2. საფერავი</p> <p>1. რქაწითელი 2. საფერავი</p>	
<p>5. ლაგოდეხის რაიონი</p> <p>ა) შემაღლებული არა-ქარბწულიანი ადგილები</p>	<p>1. მასობრივი თეთრი და წითელი ღვინოების წარმოება</p>	<p>1. რქაწითელი 2. საფერავი</p>	
<p>6. ხაგარეჯოს რაიონი</p> <p>ა) რკინიგზისკენ მიმართული შთის ფერდობების ქვედა ზოლი (რკინიგზის ღიანდაგამდე) კაკბეთიდან—პატარძელამდე.</p> <p>ბ) რკინიგზის ქვემოთ სართიკალითურთ.</p>	<p>1. ხარისხოვანი წითელი და თეთრი ღვინოების წარმოება, ნაწილობრივ მაგარი და ტკბილი ღვინოების მასალის დამზადება.</p> <p>2. სუფრის ყურძნის წარმოება</p> <p>1. მასობრივი, ძირითადად თეთრი ღვინოების, ყურძნის წვენი და საკონიაკო მასალის წარმოება</p>	<p>1. საფერავი 2. რქაწითელი 3. მწვანე</p> <p>1. შასლა ოქროსფერი, ვარდისფერი და მუსკატისებრი 2. თაერიზი</p> <p>1. საფერავი 2. რქაწითელი 3. შასლა</p>	
<p>გ) ზაშვი</p>	<p>1. სუფრის ღვინოების და ნაწილობრივ სუფრის ყურძნის წარმოება</p>	<p>1. რქაწითელი 2. საფერავი</p>	<p>1. შასლა 2. თაერიზი</p>



მეცნიერების საწარმო- ადმიანისტრატული რაიონ- ების დასაბუღება	სპეციალიზაცია	ძირითადი უჩივები	დამატებითი უჩივები უჩივები
---	---------------	------------------	----------------------------------

II. ქ ა რ თ ლ ი

1. თბილისის გარეუბანი

ა) თბილისის მიდამოები, დიღომის ჰედეა ტერასის ფერდობები, წაყვისის და სოლანდულის ფერდობები, ნავთლული და გლდანი

1. სუფრის ყურძნის წარმოება (თბილისის მოსამარაგებლად)

1. ხალილი
2. მადლენ-ანჟვენი
3. შასლა
4. ასკიარი
5. თაგრიზი
6. სენსო
7. ბაირთული
8. მუსკატი ჰამბურგული

1. მუსკატი ალფ-სანდ-რთული
2. მუსკატი უნგრული
3. ნამრანგი
4. ჭიშინი თეთრი
5. გლდანურა
6. ოქაწითელი

ბ) სამგორის სარწყავი (საპროექტო) რაიონი

მასობრივი ღვინოების, სუფრის ყურძნის და ყურძნის წველის წარმოება

1. რქაწითელი
2. შასლა
3. თაგრიზი
4. ჩაუში

გ) არაგვის ხეობა (მცხეთიდან წინამძღვრიანთ კარამდე)

1. ზარისხეობანი თეთრი და წითელი ღვინოების წარმოება

1. რქაწითელი
2. საფერავი

დ) ქსნის ხეობის მარცხენა მხარე მუხრანიდან—თბილისივრთ

1. თეთრი სუფრის ღვინოების და შამპანური მასალის წარმოება

1. ალიგოტე
2. გორულა მწვანე
3. პინო

2. კახის რაიონი

ა) ქსნის ხეობის მარჯვენა მხარე. ალაიანიდან—ლამისვანივრთ

1. თეთრი სუფრის ღვინოების, შამპანური მასალის და სუფრის ყურძნის წარმოება

1. ალიგოტე
2. გორულა მწვანე

1. კასპურა
2. ჩინური
3. საბატონო

ბ) ღვებურის ხეობა კასპიდან—საკორინთლო-თურთ

1. მუბოქი თეთრი ღვინოების და შამპანური მასალის წარმოება

1. ალიგოტე
2. გორულა მწვანე

1. ჩინური
2. საბატონო

გ) იჭამის ხეობა და მონახლერე საფელების მუდრო ფერდობები (ჩოჩეთი, მეტეხი, ხოვლე და სხ.)

1. თეთრი სუფრის და ნაწილობრივ წითელი ღვინოების წარმოება

1. ალიგოტე
2. გორულა მწვანე
3. თაგვირი

2. სუფრის ყურძნის წარმოება (ყურძენი შენახვის უნარით ხასიათდება)

1. შასლა
2. მუბა მწვანე
3. ჩინური



მევენახეობის საწარმო- ლდინისტოატული რაიონ- ების დასახელება	სპეციალიზაცია	ძირითადი ჯიშები	დამატებითი ჯიშები
<p>დ) კავთისხევის სოფლის საბჭო</p> <p>3. გორის რაიონი</p>	<p>1. თეთრი სუფრის ლენიოების და ნაწი- ლობრივ სუფრის ყურძნის წარმოვა</p>	<p>1. ალიგოტე 2. შასლა 3. პინო</p>	
<p>ა) ატენის ბუბა</p>	<p>1. შამპანური მას- ალის და ხარისხო- ვანი თეთრი სუფრის ლენიოების წარმოე- ბა</p>	<p>1. ჩინური 2. ბუდეშერი 3. ალიგოტე 4. პინო</p>	
<p>ბ) კვერნაკის ფერდობი</p>	<p>1. სუფრის ღვინის და შამპანური მასალის წარმოება</p> <p>2. სუფრის ყურძ- ნის წარმოება (კ. გო- რის მოსამარაგენ- ლად)</p>	<p>1. ალიგოტე 2. პინო 3. გორულა მწვანე</p> <p>1. შასლა ოქროს- ფერი, ვარდისფერი და მუსკატისებრი</p>	
<p>გ) ტინისბიდის ფერდო- ბები</p>	<p>1. მსუბუქი თეთრი სუფრის ღვინოების წარმოება</p>	<p>1. ალიგოტე 2. გორულა მწვანე</p>	
<p>დ) მეჯვრისხევის სოფ. საბჭო</p>	<p>1. მსუბუქი თეთრი სუფრის ღვინოების წარმოება</p>	<p>1. ალიგოტე 2. გორულა მწვანე 3. ბუდეშერი</p>	
<p>4. ხაშურის რაიონი</p> <p>მუდრო ადგილები</p>	<p>1. სუფრის ღვინის წარმოება</p> <p>სუფრის ყურძნის წარმოება (სტალი- ნისის და ადგილო- ბრივი სურათების მოსამარაგებლად)</p>	<p>1. ალიგოტე 2. ბუდეშერი 3. ჭვიშური</p> <p>1. შასლა ოქროს- ფერი, ვარდისფერი და მუსკატისებრი</p>	
<p>5. სამხრეთ-ოხეთის</p> <p>ატონიშვილის ოლქი</p> <p>ლიაბვისკენ მიმართული მთის კალთების ქვედა ფერ- დობები და მათი მოსახ- ლეზე ზოლი (ძებვიდან — სტალინის რაიონამდე)</p>	<p>1. თეთრი მსუბუ- ქი სუფრის ღვინო- ების და ნაწილობრივ შამპანური მასალის წარმოება</p>	<p>1. ალიგოტე 2. გორულა მწვანე</p>	



მეცნიერების საწარმო- ადმინისტრაციული რაიონების დასახელება	სპეციალიზაცია	ძირითადი ჯიშები	დამატებითი ჯიშები
<p>6. ბორჩალოს რაიონი</p> <p>ა) ყულარ-გეორაზის რაიონი</p>	<p>სუფრის ყურძნის წარმოება (სტალინის მოსამარაგებლად)</p> <p>1. სუფრის ყურძნის წარმოება</p>	<p>1. შასლა ოქროსფერი, ვარდისფერი და მუსკატისებრი 2. ძუნამწვანე</p>	
<p>ბ) სანდარ-მარნეულის რაიონი</p>	<p>2. მაგარი ღვინოების, ბადაგის და ნაწილობრივ მასობრივი ღვინოების წარმოება</p> <p>1. ხარისბოვანი სუფრის ღვინის და ნაწილობრივ სუფრის ყურძნის წარმოება</p>	<p>1. მუსკატი აღმქსანდრიული 2. მუსკატი ჰამბურგული 3. ჩაუში 4. თაფრიზი 5. შასლა ოქროსფერი, ვარდისფერი და მუსკატისებრი</p> <p>1. რქაწითელი 2. საფერავი</p>	<p>1. არამონი</p>
<p>გ) შაუშიანის სოფ. საბჭო</p>	<p>1. სუფრის ღვინის წარმოება</p> <p>2. სუფრის ყურძნის წარმოება</p>	<p>1. რქაწითელი 2. საფერავი 3. ჩაუში</p> <p>1. რქაწითელი 2. საფერავი 3. სარისაჩაზი (ბურგაზი)</p> <p>1. მუსკატი აღმქსანდრიული 2. შასლა ოქროსფერი, ვარდისფერი და მუსკატისებრი</p>	
<p>7. ლიუქსემბურგის რაიონი</p> <p>ა) ლიუქსემბურგის მიდამოები</p>	<p>1. მხატვ სუფრის ღვინოების და საკონიაკო მასალის წარმოება</p>	<p>1. რქაწითელი 2. როლბერი (ბურგაზი) 3. თაფკვერი 4. საფერავი 5. იუნია ივთრი</p>	



მეცნიერების საწარმო- ადმინისტრატული რაიონ- ების დასახელება	სპეციალიზაცია	ძირითადი უკუშები	დამატებითი უკუშები ენციკლოპედია
ბ) ბოლნისხაინი და ბოლნის-კაპანაკი	1. შიატე სუფრის ლვინოების და საკო- ნიაკო მასალის წარ- მოება	1. რქაწითელი 2. თევჯვრი 3. როლბერი (ბუ- ერვაზი)	1. საფერავი
8. მანგლის-ალბულაღის რაიონი			
ა) ასურეთი, კოდი და სხ.	1. მასობრივი სუ- ფრის ლვინის წარ- მოება 2. სუფრის ყურძ- ნის წარმოება	1. რქაწითელი 2. შალ-ტრაუბენი (ასურეთული შავი) 1. შასლა ოქროს- ფერი, ვარდისფერი და მუსკატისებრი 2. მუსკატი ჰამ- ბურგული	1. საფერავი
9. ყ ა რ ა ი ა	1. სუფრის ყურძ- ნის წარმოება 2. მასობრივი ლვი- ნების წარმოება	1. შასლა ოქროს- ფერი, ვარდისფერი და მუსკატისებრი 2. თაფრიზი 3. ჩაუშა 1. საფერავი 2. რქაწითელი 3. არამონი	
III. დასავლეთი საქარ- თველო:			
ზემო-იმერეთი			
1. ორჯონიკიძის რაიონი			
ა) ძირულის და ჩხერიშე- ლას ხეობა.	1. შამანური მას- ალის და ზარისზო- ვანი თეთრი ლვინის წარმოება.	1. ციციკა 2. პინო 3. შარდონე 4. ალიგატე	1. ცოლიკოფ- რი 2. თეთრი კა- პისტონი
2. ჭიათურის რაიონი:			
ა) საბურის ქალაქი და გორაკები (საბურე, სბე- ტორი, ჩიხა, ორგული, არ- ჯვითი, სავანე და სხ.).	1. სუფრის ლვინის და ყურძნის წვეწის წარმოება 2. შამანური მას- ალის წარმოება	1. ქვიშხური 2. თბილური 3. შამანურის სა- ფერი 1. ალიგატე	
ბ) ყვრილასკენ მიმარ- თული ფერდობები	1. მუბუჭი თეთრი ლვინოების და ნაწი- ლობრივ შამანური მასალის წარმოება	1. ციციკა 2. ალიგატე 3. ცოლიკაური 4. ქვიშხური	



მეცნიერების საწარმო- ადმინისტრაციული რაიონ- ების დასახელება	სპეციალიზაცია	ძირითადი ჯიშები	დამატებითი ჯიშები
<p>3. შუა-იმერეთი</p>			
<p>1. ზესტაფონის რაიონი</p>			
<p>ა) ყვირილას და ჩოლა- ბურის ბეობა</p>	<p>1. ხარისხოვანი თე- თრი სუფრის ღვინ- ოების წარმოება</p>	<p>1. ცოლიკაური 2. ციცკა</p>	<p>1. კრახუნა 2. თქანური- საფერე 3. კუნბა</p>
<p>2. ჩხარის რაიონი</p>	<p>2. შამპანური მასა- ლის წარმოება</p>	<p>1. ციცკა 2. პინო</p>	
<p>ა) ჩალაბურის მარჯვენა ნაპირი და ძირულის ხეო- ბა (თერჯოლა, ღვანკითი, სიმონეთი, ოფეთი, ჩხარი, აღისუბანი, ტფლეფა, ხოფ- რეთი, სახანო და სხვ.)</p>	<p>1. ხარისხოვანი თეთრი ღვინოების წარმოება</p>	<p>1. ცოლიკაური 2. ციცკა</p>	<p>1. დონდღლა- ბი 2. კრახუნა</p>
<p>3. ქუთაისის რაიონი</p>			
<p>ა) ოფურჩხეთი, ზუნეში, მაღლაკი, გვგუთი, ქვიტი- რი, გუმბრი, წყალტუბო, ცხენკური და სხ.</p>	<p>1. მსუბუქი თეთ- რი ღვინოების წარ- მოება</p>	<p>1. ცოლიკაური 2. ალიგოტე</p>	<p>1. დონდღლა- ბი 2. მგალობ- ლიშვილი</p>
	<p>2. სუფრის ყურძ- ნის წარმოება (ქ. ქუ- თაისის და წყალტუ- ბოს მოსამარაგებ- ლად)</p>	<p>1. შახლა ოქროს- ფერი და ვარდისფე- რი 2. ჩაუში</p>	
<p>4. ხაღდათის რაიონი</p>			
<p>ა) შიოს ქვედა კალთები (კიკნაველეთი, ზეკარი, ზე- ვანი, ხანი და სხ.).</p>	<p>1. ხარისხოვანი მსუბუქი სუფრის თე- თრი ღვინოების და შამპანური მასალის წარმოება</p>	<p>1. ციცკა 2. ალიგოტე 3. პინო 4. ცოლიკაური</p>	
<p>ბ) ფერდობები: ხაღდა- თი, ფერსათი, ოთკითი, ზუინდაზი, გორა, წითელ- ცივი, ოფნა, დიში, ვარციხე და სხ.</p>	<p>1. ხარისხოვანი თე- თრი სუფრის ღვინო- ების წარმოება.</p>	<p>1. ცოლიკაური 2. ციცკა</p>	<p>1. მგალობ- ლიშვილი</p>
	<p>2. შამპანური მა- სალის წარმოება.</p>	<p>1. ციცკა 2. პინო</p>	



საქართველოს
მინისტროს
განკარგობის
სამსახური

მეცნიერების საწარმო- ადმინისტრაციული რაიონ- ების დასახელება	სპეციალიზაცია	ძირითადი ჯიშები	
<p>5. ვანის რაიონი:</p> <p>ვანი, ისრითი, საპაიჭო, თნჯობეთი, სალომინაო, დედალი შვილები, ტობანიერი და სხ.</p>	<p>1. თეთრი სფეროს ლენინების წარმოება</p>	<p>1. ცოლიკაური 2. სამჭაკა</p>	<p>1. ნაკაშიძის ჯანი (არამონი)</p>
<p>6. ხონის და ხაშტრედის რაიონები</p>	<p>1. მასობრივი ლენინების და ნაწილობრივ სფეროს ყუბონის წარმოება</p>	<p>1. ცოლიკაური 2. სამჭაკა 3. მწვანე (იმერული) 4. ჩაუში 5. შასლა ოქროსფერი მუსკატისებრი</p>	
<p>6. ოკრიბის რაიონი</p> <p>კურსები, ნაბოსლდევი, ორაბირი, გელათი, ქოლვევი, ხრესილი და სხ.</p>	<p>1. მსუბუქი მასობრივი თეთრი ლენინების წარმოება</p>	<p>1. ცოლიკაური 2. შაური</p>	<p>1. ოცხანური საფერე</p>
IV. რაჭა-ლეჩხუმი			
1. ამბროლაურის რაიონი			
<p>ა) კრებალოს ნიკორაიონი (კრებალო, ზვანკარა, I და II ტოპა, სადმელი, ზედა და ქვედა ქვიშარი, ლიარა, ჩორჯა, ძორაგოელი)</p>	<p>1. შალაბარისხოვანი წითელი, ნახევრად ტკბილი ლენინების წარმოება</p>	<p>1. ალექსანდრეული 2. მუჯურეთული</p>	<p>1. კაისტონი</p>
<p>ბ) ამბროლაურის ნიკორაიონი</p>	<p>1. ხარისხოვანი თეთრი და წითელი სუარის ლენინების წარმოება</p>	<p>1. წულეკიძის თეთრა 2. ალექსანდრეული 3. თბილური</p>	<p>1. ხოტურა</p>
2. ზემო რაჭა			
<p>ქვემო თნის რაიონი, რიონის ნაპირები წყიდან—ლარამდე</p>	<p>1. თეთრი ლენინების წარმოება</p>	<p>1. მცეფიანი (რაჭული) 2. კაისტონი თეთრი 3. ალიგოტე</p>	
დ ე ხ ზ შ ი			
ა) ლაჯანურის ხეობა			
	<p>1. ძირითადად წითელი ლენინების წარმოება</p>	<p>1. ალექსანდრეული 2. თჯალენი 3. მუჯურეთული</p>	<p>1. ცხვედიანის თეთრი 2. ცოლიკაური</p>



საქართველოს
რესპუბლიკის
ქვეყნული
ბიბლიოთეკა

მეცნიერების საწარმო- ადმინისტრატული რაიონ- ების დასახელება	სპეციალიზაცია	ძირითადი ჯიშები	
ბ) ზუბი-ოყურეში (ცხე- ნისწყალის ზეობა)	1. ხარისხოვანი სუფრის ღვინოების წარმოება	1. უსახელოური 2. წულუკიძის თეთრი 3. ალექსანდრეუ- ლი	1. ცხვედიანის თეთრი
გ) ალაშან-ტეის მიკ- რორაიონი	1. თეთრი და წი- თელი ხარისხოვანი სუფრის ღვინოების წარმოება	1. ალექსანდრეუ- ლი 2. ცოლიკაური 3. კაისტონი თეთრი	
V. ს ა მ ე გ რ ე ლ ი			
1. წალენჯიხის რაიონი			
ა) ზეობების ფერდობები	1. ხარისხოვანი სუფრის ღვინოების და საკონიაკო მასა- ლის წარმოება	1. ცოლიკაური 2. ჭვინტოური 3. ჩვინტოში 4. თჯალეში	1. იხაბელა
2. ზუგდიდის რაიონი			
ა) ზეობების ფერდობები (კულიშკარი, უბაშონა, ალა- ვერდის კარი, ჭკადუაში, კორცხელი და სხ.)	1. სუფრის ღვი- ნოების და საკონია- კო მასალის წარმოე- ბა	1. ცოლიკაური 2. ჭვინტოური 3. თჯალეში	1. იხაბელა
3. ჩხოროწყუს რაიონი			
ა) ფერდობები ჩხორო- წყუდან—აზოთითურთ	1. ხარისხოვანი ღვინოების და საკო- ნიაკო მასალის წარ- მოება	1. ცოლიკაური 2. თჯალეში 3. ჭვინტოური	
4. ცხაკაიას რაიონი			
ა) ძველი სენაკიდან უშა- ფათამდე, აბაშის და ტეზუ- რის ზეობის ფერდობები	1. სუფრის ღვი- ნოების და საკონია- კო მასალის წარმოე- ბა	1. ცოლიკაური 2. თჯალეში 3. ჭვინტოური 4. ჩვინტოური	1. იხაბელა
5. გვიგეშორის რაიონი			
გვიგეშორიდან—საღბი- ნითურთ, ძირითადად კარ- ბონატან ფერდობებზე.	1. სუფრის ღვინის და საკონიაკო მასა- ლის წარმოება	1. თჯალეში 2. ცოლიკაური 3. ჭვინტოური	1. იხაბელა



მეცნიერების საწარმო- ადმინისტრატული რაიონ- ების დასახელება	სპეციალიზაცია	ძირითადი ჯიშები	დამატებითი ჯიშები
VI. ვ უ რ ი ა			
1. ჩოხატაურის რაიონი			
<p>ა) კარბონატური ფერ- დობები საქამიასერიდან ხიდისთავამდე (საქამიასე- რი, კონხარი, ნოლა, ბურ- ნათი, ფარცხნა, ბუკისციხე, ხიდისთავი, ამაღლება)</p>	<p>1. მსუბუქი სფერ- ის ლეინობების და ნაწილობრივ შამპა- ნური მასალის წარ- მოება</p>	<p>1. ჩავერი 2. ცოლიკაური 3. ჯანი</p>	<p>1. მტევანდი- დი 2. კაშური 3. სხილათ- უბანი</p>
2. მახარაძის რაიონი			
<p>ა) კარბონატური ფერ- დობები ასკანიდან—შემოქ- მედამდე (ასკანა, ბაბვი, ბალ- დადი, ვაკიჯვარი, შემოქ- მედი)</p> <p>ბ) კარბონატური ფერ- დობებზე მჭრიადან შრო- მამდე (მერია, ზედუბანა, ვა- კე, შრომა და სხ.)</p>	<p>1. მსუბუქი სფერ- ის ლეინობების და ნაწილობრივ შამპა- ნური მასალის წარ- მოება</p> <p>1. მასობრივი შრ- ატე სფერის ლეინო- ბის წარმოება</p>	<p>1. ჩავერი 2. ცოლიკაური 3. ხაკაშიძის ჯანი</p> <p>1. ნაკაშიძის ჯანი 2. ჩავერი</p>	<p>1. მტევანდი- დი</p>
VII. აჭარის ახსრ			
1. ქობულეთის რაიონი			
<p>ზუცუბანიდან—კვირიკემ- დე</p> <p>კარბონატური ფერდობე- ბის ცალკე ნაკვეთებზე (პუ- ცუბანი, ჭვემო და ზემო სა- ნება, კვირიკე, მუხაესტატე და გურიის მოსახლერე ხო- ლი)</p>	<p>1. სფერის ფერძ- ნის, ყურძნის წვენის და სფერის ლეინის წარმოება</p>	<p>1. კლარჯულა 2. ჩაუში 3. იხაბელა 4. ტააიშურა 5. ბათუმურა 6. ცოლიკაური</p>	
2. ქედის რაიონი			
<p>ზენდიდიდან—ვაიომდე (ზენდიდი, ქედა, სიხა- ლიძე, ალიკოლი, ვაიო)</p>	<p>1. სფერის ლეინის და ყურძნის წვენის წარმოება</p>	<p>1. ჩავერი 2. ცოლიკაური 3. ნოფათური</p>	
	<p>2. სფერის ფერძ- ნის წარმოება</p>	<p>1. მისკეთა 2. ჩაუში 3. კლარჯულა</p>	



მეცნიერების საწარმო- ადმინისტრაციული რაიონების დასახელება	სპეციალიზაცია	ძირითადი ჯიშები	დეკლარაციის ნომერი
<p>3. ხულოს რაიონი</p> <p>ფურტიოდან—ტალამდე და ტალიდან—საალთამდე (ფურტიო, ტალა, ალამ, ლვანო, სხალთა და სხ.)</p>	<p>1. სუფრის ყურძნის წარმოება და ნაწილობრივ სუფრის ღვინის წარმოება</p>	<p>1. ჩაუში 2. ლევანურა 3. ცხენის ძუძუ 4. იზაბელა 5. ბროლა</p>	<p>1. ჯავახეთურა</p>
<p>VIII. აფხაზეთის ახსრ</p> <p>1. გუდაუთის რაიონი</p> <p>ბზიბიდან—გუმისტამდე (ახანდარი, აბგარხეკ, ფსირცხა, ლიზნი, დუოიფში და სხ.)</p>	<p>1. სუფრის ღვინის, საკონიაკო მასალის და ნაწილობრივ სუფრის ყურძნის წარმოება</p>	<p>1. კაჭიჭი 2. ავსარხეკა 3. ცოლიკაური 4. მალეხია 5. მასლა ოქროსფერი, ვარდისფერი და მუსკატისებოი</p>	
<p>2. გაგრის რაიონი</p> <p>გაგრის მიდამოები</p>	<p>1. სუფრის ყურძნის წარმოება</p>	<p>1. მასლა ოქროსფერი, ვარდისფერი და მუსკატისებოი 2. მუსკატი ალექსანდრიული 3. ჩაუში</p>	
<p>3. ხოლმის რაიონი</p> <p>მთის კალთების ზოლი (მერტული, ნაა, გულრიპში და სხ.)</p>	<p>1. სუფრის ყურძნის წარმოება 2. სუფრის ღვინის წარმოება.</p>	<p>1. მასლა ოქროსფერი, ვარდისფერი და მუსკატისებოი 2. მუსკატი ალექსანდრიული 3. იზაბელა 1. მალეხია 2. ცოლიკაური 3. ოქაწითელი. 4. კაბეონე</p>	



საკავშირო კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ 1938 წ. 10—23 მარტს მოსკოვში მოწვეულ იყო მევენახეობის და მურყინობის საკავშირო თათბირი, რომელსაც მოხსენდა ტექნიკურ (გადამსამუშაველ) ვაზის ჯიშთა ასორტიმენტის პროექტი III ხუთწლეულისათვის. თათბირის მიერ დაზუსტებული და მოწონებული ვაზის ჯიშთა ასორტიმენტის პროექტი გადაგზავნილი იყო რესპუბლიკურ სახკომსაბუკოებში და მხარეებში საბოლოოდ დასამტკიცებლად. ქვემოთ ვათავსებთ III ხუთწლეულის განმავლობაში საქართველოსათვის მიღებულ ტექნიკურ ვაზის ჯიშთა ასორტიმენტის პროექტს, მაკრორაიონების მიხედვით:

რაიონების დასახელება	მევენახეობის მიმართულება	ჯიშთა დასახელება	გასაშენებელი ფართობი ჰექტარებში		
კახეთი	ხარისხოვანი სუფრის ღვინოების წარმოება	რქაწითელი	3950		
		საფერავი	2600		
		მწვანე	1000		
		კაბერნე	100		
კახეთი	მაგარი და სადესერტო ღვინოების წარმოება	რქაწითელი	200		
		ხიზვი	200		
		საფერავი	200		
		კონიაკის წარმოება	ფოლ-ბლანში (ფოლთეთრი)	50	
კახეთი	კონიაკის წარმოება	რქაწითელი	100		
		ადგილობრივი ჯიშები	100		
		ქართლი და ხაშურის ოსეთის ავტ. ოლქი	საბჭოთა შამპანურის წარმოება	ალიგატე	850
				პინო-ფრანი	250
შარდონე	165				
სუფრის ღვინის წარმოება	გორჯულა მწვანე			600	
ქართლი და ხაშურის ოსეთის ავტ. ოლქი	სუფრის ღვინის წარმოება	ჩინუი	400		
		საფერავი	200		
		ადგილობრივი ჯიშები	180		
		ქართლი და ლიქსეშურა	სუფრის ღვინოების და ვურძინის წველის წარმოება	რქაწითელი	1050
საფერავი	340				
ბუგრვახი (სარისახანი)	350				
ქართლი და ლიქსეშურა	საკონიაკო მასალის წარმოება			ბაიანი (რუნდვეისი)	50
		ფოლ-ბლანში	50		
		რქაწითელი	50		
		ადგილობრივი ჯიშები	50		



რეგიონების დასახელება	მცვენახეობის მიმართულება	ჯიშთა დასახელება	გასამუშებელი ქართული ლ. II სტატისტიკური
ივერეთი	საბჭოთა შამანურის წარმოება	პინო ფრანი შარდონე ალიგოტე ტიტა	750 425 130 800
	სუფრის ღვინოების და საკონიაკო მასალის წარმოება	ტიტა კრაზუნა ცოლიკაური ოცხანური საფერე ადგილობრივი ჯიშები	500 200 2800 100 100
	მაგარი ღვინოების წარმოება	კრაზუნა	200
	ყურძნის წვენის წარმოება	ტიტა ცოლიკაური	100 100
რაჭა-ლეჩხუმი	ნახევრად ტკბილი ღვინოების წარმოება	ალექსანდრეული მუჯურეთული	300 50
	სუფრის ღვინოების წარმოება	უსახელოური წულუკიძის თეთრა მცვივანა, მწვანე რაკული, თჯალეში	250 100 150
სამეგრელო	სუფრის ღვინის და საკონიაკო მასალის წარმოება	ცოლიკაური თჯალეში	1200 450
გურია	სუფრის ღვინოების წარმოება	ცოლიკაური ჩხავერი	550 150
აფხაზეთის ახსრ	სუფრის ღვინის წარმოება	ცოლიკაური აფასარზე კაჭიჭი	850 150 300
აჭარის ახსრ	სუფრის ღვინის წარმოება	ჩხავერი ცოლიკაური	50 100
ქართლში, გარეკახეთში, ბორჩალო-ყვარაიაში და აფხაზეთში	სუფრის ღვინის წარმოება	—	950



ვაზის რამდენიმე ათასი ჯიშიდან ჩვენ შევხვებით ძირითადად, საბჭოთა კავშირის სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილ ჯიშებს. ვათავსებთ მათ ზოგად აღწერას. აღწერას ადგილი ეთმობა ჯიშის ხედვრითი წონის მიხედვით: მნიშვნელოვან ჯიშებს მეტი ადგილი ეთმობა, ნაკლებ მნიშვნელოვანთ—ნაკლები. მასალა განლაგებულია ერთგვარი სისტემით: ჯერ მოხსენებული არიან თეთრი სუფრის ყურძნის ჯიშები, მათი დამწიფების ვადების თანმიმდევრობით, შემდეგ წითელი სუფრის ყურძნის ჯიშები, ყურძნის დამწიფების ვადების თანმიმდევრობით; ასეთივე თანმიმდევრობითი წესით მოხსენებულია თეთრი ღვინის ჯიშები, შემდეგ წითელი ღვინის ჯიშები, კიშმიშის ჯიშები და სხ. ბოლოს ვათავსებთ იმ ჯიშების ზოგად აღწერას, რომლებიც თუმცა საბჭოთა კავშირის ასორტიმენტში შეტანილი არ არიან, მაგრამ მევენახეობის დარგისათვის, რაიონის მიხედვით, საკმაო ღირებულებას წარმოადგენენ და შესაძლოა შემდეგში, სტანდარტულ ნუსხის დაზუსტებისას, შეტანილ იქნან სტანდარტში. ცნობებს არ ვიძლევიტ სტანდარტულ ნუსხაში შეტანილ რამდენიმე ჯიშის შესახებ, რომლებსაც ჩვენ პირადად არ ვიცნობთ და არც მათი აღწერილობის სანდო წყაროები არსებობენ. ვამჯობინებთ არ შევხებოდით აგრეთვე იმ ჯიშებს, რომელნიც უკანასკნელ დროს არიან გამოყვანილი და რომელთა სამეურნეო ღირებულება ჩვენთვის ჯერ საეჭვოა.

ვერობულ ჯიშების აღწერას საფუძვლად დაედო ჩვენს მიერ წლების განმავლობაში შეგროვილი მასალა როგორც ჩვენში, ისე საბჭოთა კავშირის მევენახეობის სხვა რაიონებში და უცხოეთში (საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი); ვისარგებლე აგრეთვე კლასიკური ამპელოგრაფიული შრომებით ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე¹.

ქართული ჯიშები ცალკე გამოვყავი და მათი ხედვრითი წონის მიხედვით აღწერილობასაც სხვადასხვა მოცულობა მივაკუთვნე.

ყურძნის დამწიფების ვადები შევადარდეთ პროფ. Pullat'-ს დაჯგუფებას: აღრულებათ იგულისხმებიან ჯიშები, რომელნიც ჯიშ შასლაზე აღრე მწიფდებიან (ივლისი—აგვისტო), I პერიოდის ჯიშებათ იგულისხმებიან ჯიშ შასლას დამწიფების ხანა (თბილ ზომიერ კლიმატურ პირობებში—სექტემბრის პირველი ნახევარი), შემდეგი II, III, და IV პერიოდის ჯიშებათ იგულისხმებიან ისეთნი, რომელნიც მწიფდებიან შასლაზე მოგვიანებით და ეს მოგვიანებაა: I—ტერცალი, პერიოდის მიხედვით, 15—15 დღით განასაზღვრება.

¹ P. Viala et a. Vermorel, Ampelographie I—VII ტომი. H. Goethe, Ampelologie. Wörterbuch. Акад. Коржинский, Ампеლოграфия Крыма და სხ.



ხ ა ლ ი ლ ი

სინონიმი: ალა-გერმეზ.

ვაზი ხასიათდება მორჩილი ზრდით, მორჩილი ყლორტებით და საშუალო სიგრძის მუხლათშორისებით. ახალგაზრდა ფოთოლი ოდნავ შებუსუსულია და მოწითალო ფერი გადაკრავს. ზრდადასრულებული ფოთოლი მომრგვალოა, წვრილი, მეტწილად ხუთნაკეთიანი; ფოთლის ყუნწის ღრუ ვიწრო და ღიაა. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე მუქ-მწვანე ფერისაა, ქვედა კი — ოდნავ შებუსუსულია, პწკალები საკმაოდ განვითარებული აქვს.

მტევანი საშუალო სისხოსი და საშუალო სიკუმისია, მოყვანილობით მოგრძო, კონუსისებურია. მტევნის ყუნწი მწვანეა და კლერტიკ მომწვანო ფერისაა. მარცვალი მომწვანო-ქარვისფერია, მომცრო, ოდნავ მოგრძო, ან კვერცხისებრი; სუსტად არის დაფენილი ვიტინით და მარცვლის კანს იოლად შორდება. მტევანში მარცვალი თანაბრად არ ვითარდება — ზოგი წვრილი რჩება. მარცვლის კანი თხელია, საკმაოდ ნაზი, მომწვანო ფერისა და შზის მხარეს ზოგჯერ შეკორფილია. მარცვალი საკმაოდ ხორციანი და ტკბილია, შეიცავს ორ-სამ წიპწას.

ხალილი თეთრი სუფრის ყურძნის ჯიშია და როგორც ირკვევა არსებულ ჯიშთა შორის ყველაზე ადრე მწიფდება. ასეთი ადრეულა დამწიფების უნარის მიუხედავად, იგი ნაკლებადაა გაერცვლებული და ძირითადად შოლოდ ნახეჩევანის (სომხეთი) ვენახებში გვხვდება. უმჯავალია ეს ჯიში საპატიო ადგილს დაიკავებს, როგორც მეტად ადრეულა ჯიში.

ტრანსპორტის უნარიანობა და უხვი მოსავლიანობა ხალილს არ ახასიათებს; ადგილობრივი მოხმარებისათვის საკმაოდ საინტერესოა ჯიშს წარმოადგენს. მალარაჩის საამპელოგრაფიო კოლექციაში, ვ. სუშკოვის და მ. ლაზარეცკის ცნობებით, ხალილი ყველა დანარჩენ ჯიშზე ადრე — ივლისის მეორე ნახევარში მწიფდება. ეგუება როგორც გრძელ, ისე მოკლე სხვლას. მომშრალა ზრეშიან ნიადაგებში უკეთ ხეირობს.

ჩ ი ლ ა კ ი

სინონიმი: აბ-ჩილაკი, დარაი.

ჯიშ ჩილაკის საშუალოდ უზბეკეთი ითვლება; იგი ძირითადად შუა-აზიის რესპუბლიკებში გვხვდება.

მტევანი მომცროა, ცილინდრული მოყვანილობისა; მტევნის ბოლო ზოგჯერ გაგანიერებულია. მტევნის ყუნწი და აგრეთვე კუფხლების ყუნწი მეტად მოკლეა, რის გამოც კუმსი მტევნის შთაბეჭდილებას სტოვებს. მარცვალი მოგრძოა ოვალური მოყვანილობის, სიგრძე უდრის 2 სანტ. და დიამეტრი 1,4 სანტ., თხელკანიანი, მაგრამ შედარებით მკვრივია; ყურძენი სრული სიმწიფის დროს წყლიანი და საკმაოდ ტკბილია.

ჩილაკი მეტად ადრეულა ჯიშად ითვლება; სამშობლოში იგი ივლისის შუა რიცხვებში მწიფდება. დიდი მოსავლიანობით არ ხასიათდება; არ ხასიათდება აგრეთვე არც მტევნების სილამაზით და განსაკუთრებული მწიფე ღალი ღირსების გემოთი, მაგრამ მეტად ადრეულად დამწიფების გამო ინტერესმოკლებული არ არის.

ჩ ა რ ა ჯ ი

უზბეკეთის ადრეულა სუფრის ყურძნის ჯიშთა შორის საკმაო ინტერესს წარმოადგენს ჯიში ჩარაზი. იგი აგვისტოს პირველ ნახევარში მწიფდება და ხასიათდება როგორც მტევნის სილამაზით, ისე მაღალი ხარისხის გემოთი და რიგიანი მოსავლით.

მტევანი მომრგვალო მოყვანილობისაა, ხშირად უფორმოა, სიგრძით აღწევს 25 სანტ., სიგანით 18 სანტ. და წონით კი 1 კილოგრამამდე. მტევანი საკმაოდ მეჩხერი აგებულებისაა. მარცვლი ლურჯ-შავი ფერისაა, მომრგვალო ან ოვალური მოყვანილობის, სისხოთი 22—28 მილიმეტრს აღწევს. კანი მაგარი აქვს და უხედაა დაფენილი ვიტინით. ხორცი მკვრივია, მაგრამ წვნიანი, ტკბილი და გემრიელი. E

მრგვალმარცვლიან ჩარაზის გარდა გვხვდება გრძელმარცვლა ჩარაზი, რომელიც პირველისაგან ძირითადად მხოლოდ მოგრძო და უფრო მომცრო მარცვლებით განსხვავდება. უკეთ ვეუება გრძელ სხელას. მოსავალს უხვს იძლევა, თუ ხელოვნური განაყოფიერებით ხელი შეუწყვეს, რადგან ყვავილები დედრობითი სქესისა აქვს.

აღკიულა მადლენი (Precore de Madeleine)

სინონიმი: Lignan blanc, Madeleine, Magdalinentraube, Madeleine blanche, Uva Lyglicatica, Seidentraube, Jovanen, Augustaner და სხ.

მადლენი ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით, მომსხვილო გაფშეკილი ყლორტებით და საშუალო სიგრძის მუხლთშორისებით. ახალგაზრდა ყლორტი მომწვანო ფერისაა და ოდნავ მოწითალო ბუსუსითაა დაფარული. ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალო მოყვანილობისა და სამ—ან ხუთნაკეთიანია; ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე მუქ-მწვანე ფერისაა, აბურცული და ტიტველია, ქვედა მხარე კი დაფარულია ოდნავი აბლაბუდას მსგავსი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ღრე ღიაა. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია არათანაბრად წაწვეტებული სამკუთხიანი კბილანებით.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონისებურია, საშუალო სისხოსი და ზოგჯერ საკმაოდ კუმსი. მარცვლი მომრგვალო, ოვალური მოყვანილობისაა, სიგრძით 16—18 მილიმეტრამდე. კანი ყვითელ-მომწვანო ფერისაა და სრული სიმწიფის დროს საკმაოდ გამჭვირვალეა. ხორცი საკ-

მაოდ წვნიანია, ტკბილი, ოდნავ მუსკატის გემოსი და ძალიან სასიამოვნო-მარცვალი შეიცავს 1—2 წერტილ წიბჭას.

მადელენი საფრანგეთში თესლიდან იყო გამოყვანილი წარსული საუკუნის პირველ ნახევარში. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან ადრე შეიქმნება, შედარებით ნაკლებ გავრცელებულია, რადგან მარცვლის თხელკანიანობის გამო მოწეული მარცვალი წვიმების ზეგავლენით იოლად სკდება და ლბება; გარდა ამისა, კანის სითხელის გამო, შორეულ ტრანსპორტს ვერ იტანს; ადგილობრივი მოხმარების სუფრის უროძნად და აგრეთვე ახლო მდებარე ბაზრის დასაკმაყოფილებლად მადელენი ძვირფას ადრეულა სუფრის უროძნის ჯიშად ითვლება. ჯვარედინგანაყოფიერება უხდება—უფრო უკეთ შეკრულ მტევანს იძლევა.

მადელენი ეგუება გრძელ სხელას და კარგ შედეგებს იძლევა შპალერად აღზრდის დროს. მოსავლიანობა რიგიანი აქვს; მტევნების წონა ვაზზე 1½—2 კილოგრამს აღწევს და მსხმოირობას ადრე იწყებს.

მევენახეობის ჩრდილო რაიონებში მთელ ვეგეტატურ პერიოდს მადელენი ანდომებს დაახლოებით 148 დღეს და კარგად ასწრებს როგორც უროძნის დაშფიფებას, ისე რქის შემოსვლას. კულტურაში უფრო ფართოდაა ცნობილი მადელენის ორი ფორმა: მადელენ ანჟევინი (Madeleine Angevine) და მადელენ მეფისა (Madeleine royale). ეს უკანასკნელი განირჩევა მტევნის უფრო გრძელი ყუნწით და შედარებით მომცრო მტევნებით, დედრობითი ყვავილების სიუხვით, აგრეთვე უფრო მოგრძო და მომცრო მარცვლებით. გაცილებით ნაკლები გავრცელება აქვთ მოგვიანებით წარმოშობილ მადელენის ფორმებს, როგორიცაა სალომონის მადელენი (Madeleine Salomon) და სელინის მადელენი (Madeleine Céline). სალომონის მადელენი ხასიათდება უფრო მკვრივი კანით და მარცვალი უფრო ძნელად ლბება; სელინის და მეფის მადელენის მტევნები უფრო თანაბრად განვითარებული მარცვლებით ხასიათდებიან, რადგან ამ ფორმებს ნაკლებ დეფექტური ყვავილები აქვთ.

აღრეულ მალინგრი (Précoce de Malingre)

სინონიმი: Blanc précoce de Malingre, Précoc blanc, Early Malin-gre და სხვა.

ადრეულა მალინგრის ვაზი ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით; მის რქაზე შესამჩნევია მუქი ფერის ზოლები და შავი წერტილები; მუხლთშორისები მოკლე აქვს. ყლორტის წვერი მომწვანო ფერისაა და ოდნავ შებუსუსულია. ზრდადამთავრებული ფოთლის ფირფიტა თხელია და საკმაოდ ღრმად და ნაკვეთილი. ფირფიტის ფერი მოპრიილოა. ფირფიტის კიდეები დაკბილულია საკმაოდ მსხვილი, ქვემოთკენ გადახრილი კბილანებით.

მტევანი საშუალო სისხოსია, დატოტვილი და საკმაოდ მეტხერი; მოყვანილობით უფრო განიერია, ვიდრე სიგრძეს შეეფერება. მტევნის ყუნწი ოდნავ დამეჭეპებულია. მარცვალი მოგრძო მოყვანილობის, ყურწის წვენი ფერისა და საკმაოდ სქელკანიანია. წვენი ტკბილია, რძინავ-ლავ-ლავ წიონი და თაფლისმაგვარი გემოსი.

აღრეულა მალინგრი ძალიან ადრე მწიფდება, თითქმის მადელენთან ერთად. მოსავალი საკმაოდ უხვი იცის; ეგუება როგორც გრძელ, ისე მოკლე სხელას. ტრანსპორტის უნარიანობით არ ხასიათდება; გამოსადეგია ადგილობრივი მოხმარების სუფრის ყურძნად. სოკოვან ავადმყოფობები-სადმი (ხაცარი, ჭრაქი, ანტრაქნოზი) შედარებით რიგიან გამძლეობას იჩენს. საძირედ კარგად ეგუება ბურვედრ რუპესტრისს და არამონ რეპესტრისს. ნესტიან პირობებში და ტენიან ნიადაგებში მარცვალი ადვილად ღებება.

აღრეულა მალინგრი თეალიდან მიიღო მალინგრიმ საფრანგეთში, წარსული საუკუნის პირველ ნახევარში.

მ ხ ა ნ დ ა რ ი

სინონიმი: დიზმარი, სარი-ეზანდარი.

ვაზი ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით, შედარებით მოკლე მუხლთშორისებით და კვირტებთან მოწითალო ფერით. ახალგაზრდა ფოთოლი ოდნავ შებუსულია, ხალისიანი მწვანე ფერისაა; ნაწრევეები შებუსული აქვს. ფოთოლი მომრგვალო მოყვანილობისა, საკმაოდ ფართოა და ზუთი საკმაოდ ღრმა ნაკვთი აქვს. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე გლუვი და მობრქვილია, ქვედა მხარე კი შებუსულია. ფოთლის ძარღვები ნათელ მწვანე ფერისაა და დაფარულია მოთეთრო ბუსუსით. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია მსხვილი მოგრძო კბილანებით. ფოთლის ყუნწის ღრუ ყოველთვის ღიაა; ღიაა აგრეთვე ფირფიტის ქვედა ნაკვთებიც, ზედა ნაკვთები კი მეტწილად დახურულია მეზობლად მდებარე ნაკვთებით. პწკალები გრძელი და საკმაოდ განვითარებული აქვს, პწკალის ერთერთი მხარე ზოგჯერ კუფხლით მთავრდება.

მტევანი საშუალო სისხოსია. კონუსისებრი მოყვანილობის და საკმაოდ მეტხერი. მარცვალი საშუალო სისხოსია, ოდნავ ოვალური, მოყვითალო ფერის; მზის მხარე ზოგჯერ შეკორფილია. არსებობს ფორმა მომწვანო ფერის მარცვლით. მარცვალი საკმაოდ სქელკანიანია, ზორცი მკვრივი, ნაკლებმწვანია; წიპწების რიცხვი ორს არ აღემატება.

ეზანდარი გაბნეულია სომხეთის ვენახებში; მასობრივად კი მას არსად არ ამრავლებენ. ხასიათდება ყურძნის განსაკუთრებით აღრეულა და მწიფებით და ნაწილობრივ ტრანსპორტის უნარიანობით, მაგრამ ნაკლები მოსავლიანობის გამო მასობრივად არსად არ ამენებენ.



სუფრის ურძნის ჯიშთა შორის შასლა ყველაზე პოპულარულია და ფართო გავრცელებით სარგებლობს ევროპის თითქმის ყველა სუფრის ურძნის კულტურის რაიონში. აღრეულად დამწიფება, კარგი მოსავლიანობა და ურძნის ყოველმხრივი კარგი ღირსება—აი ის მიზეზები, რომელნიც სუფრის ურძნის ჯიშთა შორის შასლას მეტად საპატიო ადგილს აკუთვნებს. შასლა შეიცავს როგორც ვიკეტატური სელექციით, ისე დაათესვით და შემდეგ სელექციით მიღებულ ფორმების მეტად დიდ რაოდენობას.

ოქროსფარი შასლა (Chasselas Doré)

სინონიმი: Chasselas de Fontainebleau, Chas. de Thomery, Chas. de Montauban, Chas. Angevin, Chas. de Tenériffe, Fendent blanc, Rosmarinentraube, Gutedel, Edelweiss, Queen Victoria, Marzemina და სხვა.

ვაზი ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით. ახალგაზრდა ყლორტი და ფოთოლი გლუვი აქვს; ყლორტის წვერი და ახლად გადაშლილი ფოთოლი ოდნავ მობრწყვიალო პირისფერ ოქროსფერისაა. რქა საშუალო ღონისაა და შემოსვლის დროს ჩაღის ფერს იღებს. მუხლთშორისები საკმაოდ გრძელი და გლუვი აქვს; პწკალები გრძელი, ღონივრად განვითარებული ორად ვატოტივლია. ფოთოლი საშუალო ან მომცრო, მომრგვალო, ხუთნაკვთიანია; ნაკვთები ღრმად არ იჭრება ფოთოლში; ყუნწის ღრუ თითქმის დახურულია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ღია მწვანე ფერისაა, ქვედა მხარე ოდნავ შებუსუსულია; ფირფიტის კიდეები დაკბილულია განიერი და მომრგვალო კბილანებით.

მტევანი საშუალო სისხოსი, მოგრძო, იშვიათად დატოტილი და საშუალო სიკუმისაა. გვხვდება მწიხერი მტევანიც, რაც ვაზის ხნოვანობაზე და დაყვავილების შედეგებზეა დამოკიდებული. მტევნის ყუნწი საკმაოდ გრძელი, ნახევრად გახევებულია. მარცვალი მრგვალი მოყვანილობის, საშუალო სისხოსი, საკმაოდ თხელკანიანი და ელასტიური, სრული სიმწიფის დროს მზის მხარეზე ზოგჯერ ჰორფლი ეკიდება. კარგად დამწიფებული მტევნები ღამაზ ოქროს ფერს იღებს. ხორცი ტკბილი, წვნიანი, სადა, მაგრამ მეტად სასიამოვნო გემოსია. მარცვალი შეიცავს 2—3 მოწერილო მუქ წიპწას.

ზოგი ამპელოგრაფის აზრით შასლას სამშობლოდ აზია უნდა ვიგულისხმოთ, ზოგის აზრით კი იგი ძველი დროიდანვე ცნობილი ფრანგული ჯიშია. ევროპის ვენახებში მის კულტურას უკვე რამოდენიმე საუკუნეა რაც მისდევინ. აზიურ ჯიშთა აღწერა-შესწავლის დროს არცერთ მკვლევარს არ გამოუმტლანებია შასლას აბორიგენული ფორმების არსებობა. საფიქ-

რებელია, რომ იგი ევროპაში გადატანილი იყო აზიიდან და ხანგრძლივი კულტურის მეოხებით ღრმა მოდიფიკაცია განიცადა. ჯიშ შასლას ყოველმხრივი მაღალი ღირსებების გამო, იგი შეტანილია საბჭოთა კავშირის ნაწილში რაიონო სტანდარტულ ასორტიმენტში და მას მიკუთვნებულ აწეს შეტად ფართო და საპატიო ადგილი.

შასლა ეგუება თითქმის ყოველგვარ პირობებს, სადაც კი ვაზის ზრდა შეიძლება, მაგრამ განსაკუთრებული მაღალი ხარისხის პროდუქტს იძლევა მსუბუქ, ოდნავ ხრეშიან, კირით ზომიერად მდიდარ ნიადაგებში.

ვაზი მოგვიანებით იწყებს გამოფურჩქენას; ვეგეტაციის პერიოდი შედარებით მოკლე აქვს; თანაბარ და უხვ მოსავალს იძლევა. მის საძირედ ხმარობენ შედარებით სუსტი განვითარების ვაზებს; როგორც ირკვევა იგი კარგად ეგუება იმ საძირეებს, რომლებშიაც რიპარია დომინანტობს. ეგუება თითქმის ყველაგვარ ფორმას, მაგრამ უკეთ დაფერილ და განსაკუთრებული სილამაზის მტენებს იძლევა კორდონის ფორმებზე და აგრეთვე ჯამისმსგავს ფორმებზე. მწიფდება შედარებით ადრე (სექტემბრის დასაწყისი თბილისის პირობებში). ტრანსპორტს კარგად იტანს და ყურძენს საკმაოდ კარგი შენახვის უნარი აქვს.

თუმცა შასლა ძვირფას სუფრის ყურძენად ითვლება, მაგრამ მევენახეობის ზოგიერთ ჩრდილო რაიონში (ავსტრია, შვეიცარია, გერმანია) მისგან ღვინოსაც ამზადებენ; მაგრამ შასლას ღვინო მაღალი ღირსებით არ ხასიათდება, პასტერიზებული ყურძენის წვეწის დასამზადებლად კი საესებით გამოსადეგია.

ჯიშ შასლას მეტად დიდ პოპულარობასთან დაკავშირებით, ცნობილმა ფრანგმა ამპელოგრაფმა პიულ დამ, როგორც თავის დროზე აღწინაშეთ, ვაზის ყველა ჯიშის მომწიფების ხანა შასლას მომწიფების ხანას დაუკავშირა.

კულტურაში გავრცელებულია თეთრი შასლას მთელი რიგი ვარიანტები; მათ შორის უფრო ცნობილია: ოხრახუშის ფოთლიანი შასლა (Chasselás Ciutat), რომელიც ხასიათდება ოხრახუშის ფოთლისმაგვარად დანაკეთილი ფოთლებით და შედარებით მცირე მოსავლით. მსხვილმარცვალა-ყვავილმცვივანა შასლა (Chasselas gros coulard), რომელიც ხასიათდება უფრო მსხვილი და ლამაზიმტენით, ვიდრე თეთრი შასლა, მაგრამ უბარაქო მოსავლით, რადგან დეფექტური ყვავილები აქვს. დიუჰამელის შასლა (Chasselas Duhamel), რომელიც წააგავს მსხვილმარცვალა შასლას და ცოტა უკეთეს მოსავალს იძლევა, რადგან დეფექტური ყვავილების რაოდენობა ყვავილადებში ნაკლებია; კურტილიეს შასლა (Chasselas de Courtillier ანუ Admirable de Courtillier), რომელიც ხასიათდება განსაკუთრებით ლამაზი და გემრიელი ყურძნით, აგრეთვე რიგიანი მოსავლით, მაგრამ 10-15 დღით უფრო გვიან მწიფდება, ვიდრე თეთრი შასლა; რონსარდის შასლა (Chasse-

las de Ronsard), რომელიც ხასიათდება განსაკუთრებული სილამაზის მტკვ-
ნებით, მაგრამ შედარებით ნაკლები მოსავლიანობით და ყურძნის 10-15
დღით უფრო გვიან დამწიფებით, ვიდრე თეთრი შასლა. 202-15-11

თეთრი შასლა საქართველოში ნაკლებადაა გავრცელებული; იმ და-
კვირვებების მიხედვით, რომელნიც მოგვეპოვება, შეიძლება დავასკვნათ, რომ
იგი თავის მაღალი ღირსების თვისებებს ჩვენშიაც იჩენს და სუფრის ყურ-
ძენთა შორის ზომიერად თბილ რაიონებში მან საპატიო ადგილი უნდა
დაიკავოს.

შასლა შარდისფერი (Chasselas rose)

სინონიმი: Chasselas gris, Chasselas rose du P^d, Chasselas de Fa-
loux და სხ.

შასლას ეს ვარიაცია ხასიათდება საშუალო ზრდით. ახალგაზრდა ფო-
თოლი და ყლორტის წვერა ოდნავ მოწითალო ფერისაა, ყვავილედი კი
მწვანეა. რქა მორჩილი ზრდისაა და შენოსვლის დროს მომუჭო ფერს
იღებს. მუხლთშორისები მოკლეაქვეს; პწკალები სქელი, შედარებით მოკლე
აქვეს. ფოთოლი მომრგვალოა, საშუალო სიდიდის, საკმაოდ სქელი, სამნა-
კეთიანი; ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე გლუვია და შემოდგომის პირას
მოყვითალო ფერს იღებს; ქვედა მხარე კი შებუსუსულია; ფირფიტის კიდეე-
ბი დაკბილულია გრძელი კბილანებით.

მტევანი საშუალო სისხოსი, მოგრძო, საკმაოდ კუმსი აქვეს; მტევნის
ყუნწი გრძელი და წვრილია. მარცვალი მრგვალია, საშუალო სისხოსი, სა-
კმაოდ მკვრივი აგებულებისა. ჩენჩო თხელი და ელასტურია; მარცვლის
წვენი ტკბილია და მეტად სასიამოვნო გემოთი ხასიათდება. სრული სიმ-
წიფის დროს მტევანი ღია-წითლად იღებება.

ვარდისფერ შასლების ფორმათა შორის ფალუს ვარდისფერი შას-
ლა საუკეთესო წარმომადგენელად ითვლება. მორჩილი ზრდის გამო ამ ფორ-
მის მოკლე სხელა ესაჭიროება. ეს ვარიაციაც ხასიათდება რიგიანი მოსავ-
ლიანობით და მწიფდება თეთრ შასლასთან ერთდროულად.

შასლა მუსკატისმზრი (Chasselas musqué)

სინონიმი: Chasselas blanc musqué, chasselas musqué de Baron
Salamon და სხ.

ვახი ხასიათდება საშუალო ღონით; რქა გრძელი და საშუალო სის-
ხოსი უფითარდება და შემოსვლის დროს ღია ყვითელ ფერს იღებს. მუხლთ-
შორისები საშუალო სიგრძისა ან მოკლეა. პწკალები ძალიან გრძელი და
დატოტვილია. ფოთოლი მომრგვალოა, ხუთნაკეთიანი. ფოთლის ყუნწის
ღრუ დახურული ან თითქმის დახურულია. ფოთლის ფირფიტის კიდეები
დაკბილულია განიერი მოზღუნგო კბილანებით; ფერი—ოდნავ მოყვითალო.
ფოთლის ყუნწი გრძელი და გლუვია.

მტევანი საშუალო სისხოსია, საკმაოდ მეჩხერი და იშვიათად დატოტვილი. მტევნის ყუნწი გრძელია და საკმაოდ მსხვილი. მარცვლის ყუნწი მოკლეა და წვრილი. მარცვალი მრგვალია და საშუალო სისხოსია; თხელია, ელასტური. ხორცი წვნიანია, ტკბილი, ამკარად მუსკატის სი, მაგრამ ხასიათდება განსაკუთრებული სინაზით. სრული სიმწიფის დროს ყურძენი ღია ქარვის ფერს იღებს.

შასლა მუსკატისებრი გამოყვანილია თესლიდან. ეს ჯიში არ ხასიათდება ბარაქიანი მოსავლიანობით, მაგრამ ნაყოფის განსაკუთრებული ღირსების გამო შეტანილია საკავშირო სტანდარტულ ასორტიმენტში. კულტურაში ცნობილია ამ ვარიაციის სხვადასხვა ფორმა; მაგ., შასლა მუსკატისებრი ნანტიდან; იგი 10—15 დღით გვიან მწიფდება; ქრისტეს მუსკატი და სხვა. ყველა ამ ვარიაციებში შასლა მუსკატისებრს უპირატესობა ენიჭება როგორც მოსავლიანობით, ისე აღრე მომწიფების უნარიანობით.

ჩ ა უ შ ი

სინონიმი: Tsausi, Tchaouch, Pansé de Constantinople, Tchavouch usermu, Chaoula და სხ.

ვაში ხასიათდება მეტად ღონიერი ზრდით და გრძელი მუხლთშორისებით. ახალგაზრდა განუვითარებელი ფოთოლი მრგვალი მოყვანილობისაა და უხვად არის დაფენილი თეთრი ბუსუსით, კიდევები კი მოწითალო ფერისა აქვს. ყლორტი გრძელი და სქელია; შემოსული რქა ოდნავ მოწითალოა, ზოგჯერ კაკლას ფერს იღებს. მუხლთშორისები ძალიან გრძელი აქვს, მერქანი მკვრივია; რქაში დუღგულო შედარებით ნაკლები რაოდენობით მოიპოვება. პშკალი მორჩილი განვითარებისა და წვრილია. ზრდადამთავრებული ფოთოლი ძალიან დიდია, ხუთნაკვთიანი; ქვედა მხარე უხვადაა შებუსუსული თეთრი ბუსუსით; ფოთლის ფირფიტის კიდევები დაკბილულია მოგრძო წაწვეტებული კბილანებით.

მტევანი მეტწილად მესამე მუხლთშორისთან არის მოთავსებული. იგი საკმაოდ მსხვილია, ზოგჯერ კი ძალიან მსხვილი და დატოტვილია. მტევნის ყუნწი გრძელია და გახვეებული; მარცვლის ყუნწი მოკლეა. მარცვალი მსხვილი, ან ძალიან მსხვილია (22—28 მილიმ.), კვერცხის მოყვანილობისაა, თუმცა მტევანში ზოგჯერ გვხვდება მომრგვალო და მობრტყო მარცვლებიც. მარცვლის კანი სქელია და სრული სიმწიფის დროს თეთრ-მომწვანო ფერს იღებს. ხორცი მკვრივია, ეგმოთი ტკბილი, ოდნავ მუსკატისებრი და მეტად სასიამოვნო. წიბწების რაოდენობა ორ-სამს არ აღემატება და მარცვლის სისხოსთან შედარებით წვრილია. ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდის დასაწყისს და პირველი პერიოდის მოთავსებისას.

ვეროპის მევენახეობაში ჩაუში შეტანილი იყო თურქეთიდან და შედარებით მოკლე ხანში საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, რაც აიხსნება

უხვი მოსავლიანობით, მტევნების და მარცვლების მეტად დიდი სისხოთი და ყურძნის გემოს მაღალი ღირსებით. ლონიერ ზრდასთან დაკავშირებით ჩაუშის ვაზებს აძლევენ ფართო ფორმებს და საკმაოდ დიდ მანძილზე განსაკუთრებით კარგად ევლება თიხნარ ნიადაგებს, კირის ცოტაოდენი შემადგენლობით. მეტად ცხელ რაიონებში და აგრეთვე მევენახეობის ჩრდილოეთ რაიონებში მტევანი უთხელდება და პართენოკარპულ წვრილ-მარცვლიან მტევნებს იძლევა, რაც ანორმალურ დაყვავილებას უნდა მიეწეროს. თბილ მოშვარალო რაიონებში ჩაუში იძლევა განსაკუთრებული ხარისხის ყურძენს; ასეთ პირობებში ვაზზე მტევნის დატოვება ხანგრძლივად შეიძლება. ეკერ ლენის მიხედვით სტამბოლის მიდამოებში გვიან შემოდგომაზე ჩაუშის მტევნებს ახვევენ ქალაღში და ამგვარად იანერამდე ვაზზე სტოვებენ. უამინდობა დაყვავილების დროს მეტად უარყოფითად მოქმედებს ჩაუშის მტევნის განვითარებაზე; ასეთ პირობებში იგი თხელდება და მარცვალი უწლიოკდება.

ჩაუში შეიცავს რამდენიმე ვარიაციას; თეთრი ჩაუშის გარდა მნიშვნელობას მოკლებული არ არის აგრეთვე ვარდისფერი ჩაუში და მუსკატისებრი ჩაუში (Miscet Tchavouch).

ვარდისფერი ჩაუში ხასიათდება მეტად დანაკეთილი და მსხვილი ფოთლებით. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე შებუსულია, ქვედა მხარეც შებუსულია თეთრი ბუსუსით, მაგრამ იმდენად უხვად, რომ თეთრ ფერს იღებს. მტევანი არათანაბარი მოყვანილობისაა. მარცვლის სისხო და მოყვანილობა თეთრ ჩაუშს მიუგავს, მაგრამ ნაკლები შაქრიანობით ხასიათდება. სრული სიმწიფის დროს მარცვალი ლამაზ ბაც ვარდისფერს იღებს. ეს ვარიაცია ხასიათდება ნაკლები მოსავლით და მისი გავრცელების არე მეტად მცირეა.

მუსკატისებრი ჩაუშის ფოთოლი მეტად დანაკეთილია. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია გრძელი წაწვეტებული კბილანებით; ფოთოლი ღრმა, ხუთნაკეთიანია. მტევნის სისხო თითქმის ორჯერ ნაკლებია, ვიდრე თეთრი ჩაუშისა. მარცვალი მრგვალი, მსხვილი, მოყვითალო ფერისაა და 10—15 დღია ადრე მწიფდება, ვიდრე ჩაუში; დამწიფებისას წვენი ხასიათდება სასიამოვნო მუსკატისებრი გემოთი, შედარებით მცირე და არათანაბარი მოსავლიანობის გამო ეს ვარიაციაც ნაკლებ გავრცელებულია.

ჩაუშის დიდი ნაკლია—ყვავილედში დედრობითი სქესის ყვავილების დიდი რაოდენობა; ამიტომ ყვავილობის დროს სასურველია მათი დამტვერვა. შასლას მტვერი ითვლება ჩაუშის კარგ გამანაყოფიერებლად.

საბას მარშალიტი (Perle de Csaba)

დასავლეთ ევროპის სუფრის ყურძნის კულტურის რაიონებში ამ უკანასკნელ წლებში საკმაოდ გავრცელდა ადრეულა დამწიფების უნარიანი

ჯიში—საბას მარგალიტი. იგი წარმოიშვა შასლას და მუსკატის შეჯვარებით.

ეს ჯიში ხასიათდება ღონიერი ზრდით, საკმაოდ მსხვილი, დაზავებული მტევნებით და მომრგვალო მარცვლებით. ყურძენი სრულყოფილია, დროს ბაცი მოყვითალო ფერისაა; მარცვლის ხორცი საკმაოდ მკვრივი, მაგრამ წვნიანია, კანი კი ელასტიური; ტრანსპორტს კარგად იტანს. დამწიფებულ ყურძენს ნაზი მუსკატისებრი გემო აქვს, რაც მშრალ პირობებში უფრო მკაფიოდ ემჩნევა. ყურძენი მწიფდება პირველი პერიოდის დასაწყისში და ხშირად შასლაზე აღრე. კარგად ეგუება გრძელ სხვლას, კედლებზე შპალერისებრ კულტურას და ტალავრებსაც, მაგრამ მოკლე სხვლის დროს უფრო მომსბო მტევანს და მარცვალს ივითარებს, საკმაოდ უხვი მოსავალი იცის.

საბჭოთა კავშირის მევენახეობის რაიონებში საბას მარგალატის კულტურა სამხრეთ უკრაინაში გვხვდება.

მუსკატის მუსკატი (Muscat de Hongrie)

სინონიმი: Muscat rond de Hongrie, Muscat de Jesus, Muscat fleur d'orange, Muscat de Rivesaltes, Wanilientraube და სხ.

ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდა-განვითარებით, მოწითალო ფერის მობრჭყვიალო რქით და საშუალო სიგრძის მუხლშორისებით. ახლად გამოფურჩქვნილი ყლორტი მოწითალოა და ბროწეულის ფერი იერი გადაკრავს. ფოთოლი მომრგვალოა, ნაკლებ დანაკვეთილი; ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ტიტველია, ქვედა მხარე კი შებუსუსლია მაგარი ბუსუსით. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია მსხვილი წაწვეტიებული კბილანებით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ვიწროა და დახურული.

მტევანი საშუალო სისხოსია, კონუსისებრი მოყვანილობისა და საკმაოდ კუმსია. მტევანის ყუნწი გრძელია. მარცვალი ყვითელ-მომწივანო, მოსბო-მომრგვალოა. მარცვლის კანი სქელია და ნაკლებ ელასტიური. მარცვლის ხორცი საკმაოდ მკვრივია, მაგრამ მეტად წვნიანი, ტკბილი და მუსკატის მძაფრი გემოთი ხასიათდება. ყურძენი მოიწევა პირველი პერიოდის გასულს.

უნგრეთის მუსკატი ითვლება ძვირფას სუფრის ყურძნის ჯიშად. რიგხალტის ცნობილი ლიქიორის ღვინო ამ ჯიშიდან მზადდება. საკმაოდ უხვმოსავლიანია. უკეთ ეგუება მოკლე სხვლას. დამწიფების დროს თუ წვიმიანი ამინდი დადგა, მარცვალი იოლად სკდება და ლპობას იწყებს, რის გამოც ამ მალალხარისხოვანი ყურძნის ჯიშის კულტურა ისეთ რაიონებში შეიძლება, სადაც ყურძნის დამწიფების დროს უხვე წვიმები არ იცის.

მუსკატი

პესენინე უზბეკური ჯიშია; ყოველშემთხვევაში ამ ჯიშის კულტურას უზბეკეთში უხსოვარი დროიდან მისდევნ.

ვაზი ღონიერი ზრდით ხასიათდება. ფოთოლი გლუვია, უმუხუსა, ოღნავ მობრტყვიანო, სამნაკეთიანი. მტევანი კონუსისებრი, საკმაოდ გრძელი და მეჩხერი. მტევნის სიგრძე მერყეობს 25—35 სანტიმ. ფარგლებში: სივრცით კი მტევნის ზევითა მხარე 16—18 სანტიმ. აღწევს. ნ. შაპროვს ალნიშნავს, რომ მას უნახავს ჭუსეინეს მტევანი, რომლის სიგრძე 70 სანტიმ. და წონა 8 კილოგრამს¹ აღწევდა... ჭუსეინე რამდენიმე ვარიაციას შეიცავს; ისანი ძირითადად მარცვლის მოყვანილობით განსხვავდებიან, სახელდობრ: ბოლომომრგვალებულ გრძელმარცვლიანი ჭუსეინე (ჭუსეინე ლიუნდა), მოკაუჭებულმარცვლიანი ჭუსეინე (ჭუსეინე გელენ ბარმაკ)², ბოლოწაწვეტილმარცვლიანი ჭუსეინე (ჭუსეინე ბეგეზი) და შეზნექილმარცვლიანი ჭუსეინე (ჭუსეინე მურჩიმონ)³. მარცვლის კანი საკმაოდ სქელია, სრული სიმწიფის დროს ყვითელ-მომწვანო ფერს იღებს, შხისკენ მიქცეული მხარე კი მოალისფრო იერისაა. როგორც კუფხლის, ისე მარცვლის ყუნწი საკმაოდ გრძელი და მოყვითალოა. მარცვალი სიგრძით 28—31 მილიმეტრს აღწევს, თუმცა იგივე შავროვი იხსენიებს მის მიერ ნახულ ჭუსეინეს მარცვლებს, რომელთა სიგრძე 55 მილიმ. აღწევდა!.. მარცვალი შეიცავს 2—3 წიპწას, ხშირად წიპწები ნაკლებ განვითარებულია. გემო უბრალო, ტკბილი, სასიამოვნო აქვს. ტრანსპორტს კარგად იტანს. მოითხოვს გრძელ სხვლას და საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა. უზბეკეთში ყურძენი მწიფდება პირველი პერიოდის გასულს და მეორე პერიოდის დასაწყისს.

ჭუსეინე სამართლიანად ითვლება პირველხარისხოვან სუფრის ყურძენის ჯიშად: ყურძენის გემო, გარეგნული შეხედულება, ტრანსპორტის უნარიანობა, რიგიანი მოსავალი—აი ყველა ის, რითაც ჭუსეინე ხასიათდება; ნიადაგის მხრივაც ნაკლებ მოთხოვნია, ოღონდ გვალვიან და ურწყავ პირობებში ბარაქთან მტევნებს და მარცვლებს ვერ ივითარებს. ასტრახანის რაიონის ჯიშში „ტოლსტოკორი“, როგორც ირკვევა ჭუსეინეს ერთერთ ვარიაციათაგანია. ასევე სომხეთში ცნობილი „იკაპტუკი“ და დაღესტანის „შახუზუმი“ ჭუსეინეს ვარიაციებს უნდა წარმოადგენდნენ.

მალვაზიბ (Malvoisi rouge)

სინონიმი: Früher Veltliner, Rothe Babotraube, Rother Malvasier, Morillon rouge, Rother früher Veltliner და სხ.

ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდით, გრძელი ყლორტებით; რქა და მწიფების დროს მუქ მოწითალო ფერს იღებს და უხვად იფარება შავი წერტილებით. ფოთოლი დიდი, საკმაოდ განიერი, თხელი, ხუთნაკეთიანი. ფოთლის ფირფიტის კედლები დაკბილულია მსხვილი, ჩლუნგი, არათანაბ-

¹ Н. Н. Шапоров, Материалы по изучению помологии Туркест. края, II Виноград. и Виноделие ССР, 1912 წ.

² გელენ ბარმაკ—ქალისთითი.

³ მურჩიმონ—კინტველისებრი.

რი კბილანებით. ახალგაზრდა ფოთოლი და ყლორტის წვერი ღია-მწვანე ფერისაა, ოდნავ მოწითალო იერით და ნაზი შებუსხვით.

მტევანი საკმაოდ მსხვილი, საკმაოდ კუმსი, მეტწილად ტრილინდრო-
ლი მოყვანილობისაა; მტევნის უნწი სქელია, მომწვანო ფერისაა და და-
ფენილია შავი წინწკლებით. მარცვალი საშუალო სისხოსია, მრგვალი, ღია
მოწითალო ფერის და შეფენილია შავი წინწკლებით. მარცვლის კანი სა-
კმაოდ სქელი, მაგრამ გამჭვირვალეა. მარცვლის ხორცი ოდნავ ლორწოი-
ანი, მაგრამ ტკბილი და გემრიელია. ყურძენი პირველ პერიოდში მწი-
ფდება.

მალეზიის ყურძენი გამოსადეგია როგორც ღვინის, ისე პასტერ-იზე-
ბული წვენის დასამზადებლად; მაგრამ მას უფრო მეტი მნიშვნელობა ეძ-
ლევა როგორც სუფრის ყურძენს, რადგან იგი ხასიათდება შედარებით
აღრეულა და მწიფებით, მტევნის სილამაზით და საკმაო სასიამოვნო გე-
მოთი.

ს ა ხ ი ბ ი

სახიბი ხასიათდება მოგრძო მოყვანილობის საკმაოდ მეჩხერი მტევ-
ნით. მარცვალი ლამაზია, ვარდისფერი, მოყვანილობით ოვალური; სიგრ-
ძით 25 მმ. და სიგანით 20 მმ. აღწევს. კანი თხელი და ელასტურია. ხორ-
ცი წვნიანია, ტკბილი და გემრიელი. მწიფდება აგვისტოს ბოლოს ან
სექტემბრის დამდეგს. სახიბის ყურძენი ტრანსპორტს ვერ იტანს და ადგი-
ლობრივ მოსახმარ ჯიშს წარმოადგენს. ეს ჯიში უზბეკური უნდა იყოს.

მეოცე პერიოდის სუფრის ურძენის ჯიშები

ნიმრანგი (ნიმრანივი)

ნიმრანგი ითვლება უზბეკეთის საუკეთესო სუფრის ყურძენის ჯიშად.
ვაზი ღონიერი ზრდისაა. ფოთოლი ორივე მხრიდან ტიტველია, თით-
ქმის მთლიანი, მობრწყვილო. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მეტწილად
მახვილი მოხაზულობისა, ღიაა. ფოთლის ფირფიტა ამრუნებულა და ლამ-
ბაჟს წააგავს, რაც ნიმრანგის მეტად დამახასიათებელი ნიშანთვისებია; ეს
თავისებურება ქვედა ფოთლებზე უფრო მკაფიოდაა გამოხატული. ფირფი-
ტის კიდეები სამკუთხედისებრი და მკაფიოდ წაწვეტებულია. მისი მტევანი
კონუსისებრი მოყვანილობისაა, სიგრძით 30 სანტ. და სიგანით მტევნის
ზემო ნაწილში 12—18 სანტ. აღწევს. მტევანი საკმაოდ მეჩხერი და ზოგ-
ჯერ კუმსია; მარცვალი ოვალური ან კვერცხისებრი, ბოლო რგვალ-გაგა-
ნიერებული მოყვანილობისაა. სიგრძით აღწევს 27—28 მილიმ., სიგანით
25,5 მილიმ. მარცვლის კანი საკმაოდ სქელია, მაგრამ რბილი, ნაზი და
ელასტურია. მარცვლები სიმწიფის დაწყებისას მომწვანო ფერისაა, შემ-
დეგ მოწითალო ოქროს ფერს იღებს და მოთეთრო ლაქები აქვს. ხშირად

მარცვალს ღია წითელი ფერის ზოლები გადასდევს; როდესაც მტევანი უშუალოდ მზის სხივების გავლენის ქვეშაა, მზის მხარე აღისფრად იღებება და მეტად წარმტაცი სილიმანისა ხდება. როგორც მტევნის, ისე მარცვალს უნწი გრძელია. მარცვლი ღერუკაზე საკმაოდ მაგრად არის მიმაგრებული.

ნიმრანგის ყურძენი სამშობლოში სექტემბრის შუა რიცხვებში მწიფდება. ზამთრის განმავლობაში კარგად ინახება, ტრანსპორტს კარგად ეგუება.

ვაშის ზრდა-განვითარება ღონიერია; კარგად ეგუება გრძელ სხვლას და სამშობლოში განსაკუთრებული მაღალი ხარისხის სუფრის ყურძენს იძლევა ტალავრებზე, საიდანაც უზე მოსავალს იღებენ.

ნიმრანგს ტაპური ფუნქციონალურად დედრობით სქესიანი ყვავილები აქვს; ამის გამო, ბარაქიანი მტევნის მისაღებად, ხელოვნურ განაყოფიერებას საჭიროებს, რაც ამ ძვიოფასი ჯიშის დიდ ნაკლად ითვლება.

ტ ა ი შ ი

ტაჯიკურ სუფრის ყურძენის ჯიშთა შორის ტაიფი მეტად ძვირფას ჯიშად ითვლება. მისი კულტურა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე ჩარჯუის რაიონში და მერვის ოახისში.

ტაიფის მტევანი მეტად ცვალებადი მოყვანილობისაა; გვხვება კონუსისებრი, ცილინდრული, გაშლილი მტევნები, მეჩერი და მოკუმას აგებულებისა. მტევანი სიგრძით 28 სანტ. აღწევს, სიგანით 12—18 სანტ. მარცვლი მოგრძო-ოვალური მოყვანილობისაა და შებრტყელებულ ბოლიანია. სრული სიმწიფის დროს მოყვითალო-რძის ფერს იღებს; მზის მხარე კი ვარდისფრად ან ნაცისფრად აილანძება ხოლმე. ამგვარად ტაიფის მტევანი განსაკუთრებული დეკორატიული გარეგნობისაა, მით უმეტეს რომ მარცვლი მსხვილი აქვს და ხშირად მისი სიგრძე 28—30 მილიმ. და სიგანე 20 მილიმ. აღწევს. მარცვლის კანი საკმაოდ სქელია, ნაკლებ ელასტიურია, მარცვლის ხორცი ძალიან ტკბილი და მეტად გემრიელია. სამშობლოში მწიფდება სექტემბრის შუა რიცხვებში. ტრანსპორტს ძალიან კარგად იტანს და საზამთროდაც კარგად ინახება. გრძელ სხვლას უკეთ ეგუება. მოსავალს ზომიერს იძლევა.

ს უ ლ თ ა ნ ი ნ ა

სინონიმი: ხაჯი-ახრაი, Sultanih, Sultani, Tchekirbeksitz, Gouforago და სხვა.

სულთანინა ითვლება სუფრის და ქიშმის ყურძენის ჯიშად, აგრეთვე რიგიანი ბარბსხის ღვინოსაც იძლევა.

მტევანი ხასიათდება გრძელი მოყვანილობით და საშუალო მეჩერი აგებულობისაა; მარცვლი სისხოთი ხშირად მომკროა, მოყვანილობით მოგრძო, სიგრძით მხოლოდ იშვიათად აღწევს 20 მილიმ. და სიგანით 10

მილიმ. მარცვლის კანი თხელი და ელასტურია; ხორცი წვნიანია, ტკბილი, მეტად გემრიელი. მარცვალში წიპწა ნაკლებადაა შესამჩნევი და მეტწილად განუფითარებელი რჩება. ყურძენი მწიფდება სექტემბრის პირველ ნახევარში. სრული სიმწიფის დროს მარცვალი თეთრმოყვითალო ფერს იღებს მზის მხარე კი ეკორფლება. ბარაქიანში მოსავალმა და ზამთრობით შენახვის უნარიანობამ აღმოსავლეთ ქვეყნების ამ მეტად საინტერესო ჯიშს ფართო არე მოუბოვა: მის კულტურას ფართო მასშტაბით მისდევენ უზბეკეთში, ირანში, თურქეთში, კალიფორნიაში, სამხრეთ აფრიკაში და სხვ. ეს ჯიში აღმოსავლურია; მისი სამშობლო იქნებ ირანი იყოს.

სულთანინა ითვლება საუკეთესო საქიშმიში ჯიშად და კალიფორნიაში ძირითადად ამ მიზნით იხმარება. მოითხოვს გრძელ სივლას, მოფიცხონიადაცებს; ავადმყოფობათა მიმართ საკმაო გამძლეობით ხასიათდება. ყლორტის წვეროების წაწყვეტა ესაქიროება.

უზბეკეთში არსებული და ვიალას ამპელოგრაფიაში აღწერილი სულთანინები თუმცა ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაგრამ საფიჭრებელია, რომ სხვადასხვა ეკოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით მათ მოდიფიკაცია განიცადეს, რის შედეგად იმდენად შეიცვალენ, რომ მათი იდენტივობა დაირღვა; დასაშვებია ავრთეფე, რომ უზბეკეთში გავრცელება ჰპოვა სულთანინის ერთერთმა ვარიანტმა.

მ ს ხ ა ლ ი

სინონიმი: დალბან.

ვაზი საკმაოდ ლალი ზრდით ხასიათდება და ზოგჯერ მეტად დიდ განვითარებას აღწევს. ახალგაზრდა ყლორტი დაკუთხული მოყვანილობისა და ოდნავ მობრტყაია. ყლორტების წვერები და ახალგაზრდა ფოთოლი ოდნავ მობრტყვიანია, მოწითალო ფერისაა. რქა საშუალო სიგრძისაა; მუხლშორისები საშუალო სიგრძისაა. ფოთოლი მომხზო, წაგრძელებული მოყვანილობისაა და ხშირად შეკუმშულია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე გლუვია, ქვედა კი შებუსუსოა მოკლე ბუსუსით. ფოთლის ფირფიტაზე ხუთი არაღრმა ნაკვთია. ფოთლის ყუნწის ღრუ დახურული ან ოდნავ ღიაა.

მტევანი გრძელია, საკმაოდ შეჩხერი, გრძელყუნწიანი. მარცვალი მრგვალია, მსხვილი, მწვანი-მოთეთრო ფერის და მეტად უხვადაა დაფენილი ვიტინით. სრული დამწიფების დროს მზის მხარე ოდნავ მოწითალო ფერს იღებს. კანი სქელი და საკმაოდ ელასტურია; ხორცი წვნიანი და ნაკლებ მკვრივია, ჩვეულებრივი ტკბილი გემო აქვს. არა აქვს არც თავისებური დამახასიათებელი სიმეფე, არც სურნელება. ყურძენი სექტემბრის შუა რიცხვებში მწიფდება.

მსხლის კულტურას მისდევენ სომხეთში, მაგრამ მას მასობრივად არ ამრავლებენ. ლამაზი აგებულებისა და უხვი მოსავლის გამო რიგიან სოფლის ყურძენის ჯიშად ითვლება.



ქაბა-ქურგანი უზბეკური სუფრის ყურძნის ჯიშია. ამ ჯიშის ყურძნის ნი ხასიათდება მოგრძო კონუსისებრი მოყვანილობის მტევნებითა და სიგრძე 26 სანტ. და სიგანე 12 სანტ. აღწევს. მტევანი კუმის აგებულების შთაბეჭდილებას სტოვებს, თუმცა მარცვლები თავისუფლად მოთავსებული მტევანში.

მარცვლი მოყვანილობით ოვალურია, წვერში უფრო ვიწრო, ვიდრე თავში, სიგრძით 30 მმ აღწევს, სიგანით კი 20 მმ კანი შედარებით სქელია; სრული სიმწიფის დროს ვარდისფერი და ზოგჯერ იისფერია; ხორცი საკმაოდ მკვრივია, მაგრამ წვნიანი და ტკბილი. უზბეკეთში მწიფდება სექტემბრის პირველ ნახევარში. ტრანსპორტს ეგუება, მაგრამ დიდი ხნით არ ინახება.

ა ბ - შ ა ა ნ ი (შახის თეთრი ყურძენი)

სინონიმი: შაანი.

აბ-შაანი გავრცელებულია აღმოსავლეთ აზერბაიჯანში, ძირითადად კი აფშერონის ნახევარკუნძულზე. ვაზი ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით, საშუალო სიგრძის მუხლშორისებით და ლაღად განვითარებული ყლორტებით. ფოთოლი ზუთნაკეთიანია; ფოთლის ყუნწის ამონაკეთი სრულიად დაფარულია; ფოთლის ფორფიტის ორივე მხარე გლუვია. ფოთლის კიდეები დაკბილულია წვრილი, წვეტიანი კბილანებით. ყვავილედში დედრობითი სქესის ყვავილებიც გვხვდება.

მტევანი მეჩხერი აგებულებისა და საკმაოდ დატოტვილია. მარცვლი ოვალური ფორმისაა, საშუალო სისხოსი; სრული სიმწიფის დროს ყვითელქარვისფერია და ზოგჯერ ოდნავი ლაქები უვითარდებათ. კანი სქელია, ნაკლებ ელასტური, ხორცი შედარებით ნაკლებ წვნიანია, მეტად ტკბილი და ნაკლებ მჟავიანობით ხასიათდება. წიპწა საკმაოდ მსხვილია, მარცვალში 1—3 ცალი. აზერბაიჯანში ყურძენი მწიფდება სექტემბრის პირველ ნახევარში. საკმაოდ მოსავლიანი ჯიშია; აფშერონის მწივ პირობებში ჰექტარზე ხშირად 40—45 ცენტნერ ყურძენს იძლევა. უკეთ ეგუება მოკლე სხვლას და ფიცხ ნიადაგებს; განაყოფიერების დროს ხელის შეწყობას საჭიროებს, რადგან დედრობითი სქესის ყვავილებიანი ჯიშია.

თაზრიზი

სინონიმი: შირაბული, განჯური, ელიზავეტპოლის თეთრი, შახის ყურძენი, შირაზის ყურძენი, შირაზული.

შირაზულის ანუ თაერიზის ვაზი ხასიათდება საკმაოდ ლალი ზრდით და საკმაოდ გრძელი, ოდნავ შებრტყელებული ყლორტებით; შემოსული რქა მუქი, მომიხაკისფერია და მოგრძო მუხლშორისებითანია. ზრდადამთავ-

რებული ფოთოლი სამ და ზოგჯერ ხუთნაკეთიანია, დანაკეთე შედარე
პით ზენურია. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია საკმაოდ გან-
ვითარებული კბილანებათ. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე მწვენიე ცუდი
მუქი-მწვანე ფერისაა, ქვედა მხარე უფრო ღია მწვანე ფერისაა; მარცხენი
ოდნავ შებუსული აქვს. ფოთლის ყუნწის ღრუ ნახევრად ღიაა.

მტევანი საკმაოდ მსხვილია, საკმაოდ კუმსი და კონისისებრი მოყვა-
ნილობისაა, სიგრძით 20 სანტ. და სიგანით 12—14 სანტ. აღწევს. მტევე-
ნის ყუნწი საკმაოდ გრძელია და მწვანე ფერისაა. მარცვალი მწვანე-მო-
ყვითალო ფერისაა, სრული სიმწიფის დროს ქარვის ფერს იღებს, შვის
მხარე კი ექორფლება. მარცვალი დაფენილია ვიტინის თხელი შრით და
ზოგჯერ კანზე შავი, წვრილი წერტილები უფითარდება. მოყვანილობით
მარცვალი მოგრძო-კვერცხისებრია და წვერი ოდნავ შებრტყლებული
აქვს; მარცვლის სიგრძე 24 მმ-ამდე აღწევს, სიგანე კი 18 მილიმეტრამდე.
კანი საკმაოდ სქელია და მკვრივი, მაგრამ მეტად ელასტურია. ხორცი უფე-
რულია, წვნიანი და ტკბილი და ოდნავი სასიამო სიმეკვიანობით ხასიათ-
დება. წიბწების რაოდენობა მარცვალში 3 არ აღემატება; წიბწა შედა-
რებით წვრილია. კიროვობადის მიდამოებში თავრიზის ყურძენი სექტემ-
ბრის მეორე ნახევრის დასაწყისს მწიფდება.

თავრიზი ხასიათდება საკმაოდ უხვი, მაგრამ არაყოველწლიურად
თანაბარი მოსავლიანობით; საჭიროებს გრძელ სხვლას. ნაცრისადმი საკმაოდ
მგრძობიარე ჯიშია. ეს ჯიში სამართლიანად ითვლება სუფრის ყურძნის
ძვირფას ჯიშად და ხასიათდება ყველა იმ თავისებურებით, რითაც უნდა
ხასიათდებოდეს პირველხარისხოვანი სუფრის ყურძნის ჯიში, მით უმე-
ტეს, რომ ჩენწო და წიბწები იოლად შორდება მარცვლის ხორცს, ტრან-
სპორტს; ჩინებულად იტანს და დიდი შენახვისუნარიანობითაც ხასიათ-
დება (მაქსამდე); თუ თავრიზის ყურძენი რიგიან პირობებში ინახება, მარ-
ცვალი დაუჩუტავი და დაუღპობელი რჩება.

თავრიზი მრავალ ვარიაციას ითვლის; ისინი ურთიერთისაგან განირ-
ჩევიან მარცვლის სისხოთი, მოყვანილობით, მტევნის სიკუმსით და სხ.

ტოლსტოკორი

ასტრახანის ვენახებში ჯიში ტოლსტოკორი ერთ საუკეთესო ჯიშად
ითვლება. მისი მტევანი საკმაოდ გრძელი და მეჩხერია, წონით ზოგჯერ
ერთ კილოგრამამდე აღწევს. მარცვალი მსხვილი, მოგრძო-ოვალური ფორ-
მისა, სრული სიმწიფის დროს მოყვითალოა. ხორცი წვნიანია, ოდნავ მო-
მევეო. კანი სქელი, ნაკლებ ელასტური. ეს ჯიში ასტრახანში მწიფდება
სექტემბრის შუა რიცხვებში. შენახვის და ტრანსპორტის უნარი საკმაო
აქვს. ღვინოს უშინაარსოს იძლევა; ხოლო როგორც სუფრის ყურძენს, აღ-
ვილობრივი მევენახენი დიდად აფასებენ.

ყვავილები დედრობით სქესიანი აქვს, ფოთოლი შეუბუსაწია, ღრმა ნაკეთებიანი.

როგორც ირკვევა, ტოლსტოკორი უზბეკურ ჯიშს პუსტივინაში ერთი ვარიაციაა, ყოველშემთხვევაში აღმოსავლური ჯიშია.

შ ა ჩ ა ბ ა შ ი

სინონიმი: აჩაბაში, ტაიფი, ხაჩაბაში.

ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდით, საკმაოდ სქელი, მაგრამ არა ძალიან სქელი რქით და ნამზრევების დიდი რაოდენობით; სრული სიმწიფის დროს რქა ღია მოწითალო ფერისაა და საშუალო სიგრძის მუხლ-შორისები აქვს. ახალგაზრდა განუვითარებელი ფოთლები და ყლორტის წვერი მობრკვეილო, გლუვი და ოდნავ წითლად შეღებილია. მწკალები სქელი, მოკლე, მწვანე ფერის და ნაკლებ განვითარებული აქვს; ფოთოლი მსხვილია, მომრგვალო, საკმაოდ სქელი, მუქ-მწვანე ფერის; მთავარი ძარღვები როგორც ზედა, ისე ქვედა მხარიდან ოდნავ შესამჩნევი თხელი ბუსუსით არის დაფარული. ფოთოლი ხუთნაკეთიანია. ზედა ნაკეთები ქვედაზე უფრო ღრმაა. ყუნწის ამონაკეთი დახურულია; ფოთლის ფირფიტის კიდე დაკბილულია მსხვილი, მომრგვალო კბილანებით.

მტევანი საშუალო სისხოსია, საკმაოდ კუმსი, ცილინდრული მოყვანილობისაა, თუმცა მტევნის ბოლო უფრო ვიწროა. მტევნის ყუნწი მოკლეა და სქელი. მარცვალი თითქმის მრგვალი მოყვანილობისაა; მარცვლის შუაში შესამჩნევია ღარი, რის გამოც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ორი მარცვალი შეერთებულიყოს. მარცვლის ასეთი თავისებურების გამო ამ ჯიშს ხაჩაბაში, ე. ი. ორთავიანი ეწოდება. სრული სიმწიფის დროს ღია-მწვანე ფერისაა, მზის მხარე კი ოდნავ უწითლდება. მარცვლის კანი სქელია და მკვრივი, რბოლობი კი ხორციანი და საკმაოდ მკოივია; გემოთი საკმაოდ სასიამოვნოა, თუმცა უხეშია. ყურძენი მწიფდება სექტემბრის მიწურულს.

ჰაჩაბაში ხასიათდება საშუალო მოსავლიანობით. ეს ჯიშში გვხვდება სომხეთის მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში, მაგრამ მასობრივად მის კულტურას არსად არ მისდევნ. ყურძენი რიგიანად იტანს ექსპორტს, შესაძაბადაც ვარგა. ვაზზე დატოვებული ყურძენი ხანგრძლივად უცვლელი რჩება; შემოდგომის ყინვებისაგან დასაცავად მას აფარებენ კილოფებს და სხვა მასალას. ჰაჩაბაში მოითხოვს გრძელ სხვლას. საკმაოდ გამძლეა სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ და ამ მხრივაც საინტერესოა ჯიშს წარმოადგენს.

სომხეთის ზოგიერთ რაიონში აჩაბაშს უწოდებენ ტაიფის, მაგრამ ამ ჯიშისგან იგი საგრძნობლად განსხვავდება.



სინონიმი: კატა-კურგანი.

მასკა უზბეკეთში მეტად გავრცელებული ჯიშია და იქაურ მცენარეულ ნიადაგში საპატიო ადგილი უკავია. მტევანი მომრგვალო მოყვანილობისაა; მისი სიგრძე 30 სანტიმეტრამდე აღწევს, სიგანე კი — 24 სანტიმეტრამდე. მტევნის ყუნწივ და აგრეთვე კუფბლის ყუნწებიც მეტად სქელი და კარგად განვითარებულია. მტევანი მეჩხერი აგებულებისაა. მარცვალი მრგვალია და მეტად მსხვილი. შავროვის გადმოცემით¹ მარცვალი დიამეტრით 4 და მეტ სანტიმეტრს აღწევს. ამ ჯიშის ასეთი სისხოს მარცვლები ჩვენ არ შეგვხვებდრია, მაგრამ ისეთი მარცვლები, რომელთა სიგრძე-სიგანე 30 მილიმეტრს აღწევს, ხშირად გვხვდება. მარცვლის ასეთი სისხოს და მოყვანილობის გამო მოსკოვის და ლენინგრადის ბაზარზე ამ ჯიშს „ბომბას“ (ყუმბარა) უწოდებენ. მარცვლის კანი საკმაოდ მკვრივია, სრული სიმწიფის დროს მოყვითალო ფერისაა, მზის მხარე კი ოდნავ ვარდისფრად იღებება. ზოგიერთ მტევანში გვხვდება ღია ვარდისფერი მარცვლები. რბილობი საშუალო სიმკვრივისაა, ხორციანი და გემრიელი; წიბწა წვრილია და ცოტაა. მასკა ჩინებულად იტანს ტრანსპორტს; მისი მარცვალი შორეულ ადგილებში გადატანის დროსაც კი არ იბეჭება და აბლად მოწყვეტილი მტევნის შთაბეჭდილებას სტოვებს. უზბეკეთში მასკას ყურძენი მწიფდება სექტემბრის მეორე ნახევარში. იგი ითვლება მაღალ ხარისხოვან საექსპორტო ყურძნის ჯიშად; მისგან დამზადებული ქიშმიშიც რივიანი ხარისხის გამოდის.

მასკას წარმატებითი კულტურისათვის საჭიროა საკმაოდ ღონიერი ნიადაგები და სითბოს დიდი რაოდენობა; თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მსხვილი მტევნებისათვის წყლის საკმაო რაოდენობაც საჭიროა. მასკას დედრობითი სქესის ყვავილები აქვს, რაც დიდ ნაკლად ითვლება.

ბ გ ა ლ ა ი

დალესტინის სუფრის ყურძნის ჯიშთა შორის კარგად არის ცნობილი და დარუბანდის მევენახეობის რაიონში საკმაოდ გავრცელებულია ჯიში აგადი.

აგადი ძალიან წააგავს ჯიშ მასკას; საფიქრებელია, რომ აგადი იგივე მასკაა, რომელმაც ადგილობრივი ბუნებრივი პირობების ზეგავლენით საკმაოდ ღრმა მოდიფიკაცია განიცადა. აგადის მტევანი უფრო მომცროა, ვიდრე მასკასი. მარცვალი სისხოთი და მოყვანილობით თუმცა მასკას წააგავს, მაგრამ უფრო მომცროა, გემოთიც უფრო უხეში და ნაკლებ-

¹ Н. Н. Шапов, Материалы по изучению помологии Туркестанского края.

წვნიანია, ტრანსპორტის ატანის უნარი კი ძალიან კარგი აქვს. ხსენებულ ნაკლთა მიუხედავად, ავადი ითვლება კარგ, სუფრის ყურძნის ტრანსპორტისუნარიან ჯიშად. მწიფდება სექტემბრის მეორე ნახევარში და დაღესტნიდან დიდი რაოდენობით იგზავნება ჩრდილოეთის ნაწილებზე. საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა.

პ უ ხ ლ ი ა კ ო ვ ს კ ი

ამ სახელწოდებით დონის მევენახეობის რაიონებში გავრცელებულია ევროპული ჯიში Weisse Gaisdutte, რომელიც ყაზახ პუბლიაკოვს შემოუტანია.

ყლორტის წვერი და განუვითარებელი ფოთოლი ღია მწვანე ფერისაა, მოწითალო იერით, რაც უფრო მკაფიოდ სჩანს ფოთლის კიდეების კბილანებზე. შემოსული რქა ღია-მოყვითალო ფერისაა. მუხლმორიები მოკლეა. ფოთოლი მომრგვალო, ბაც-მწვანე ფერისაა; ფოთლის ფირფიტა სქელი და ოდნავ ამურცულია; ფირფიტის ზედა მხარე გლუვია ან მხოლოდ ძარღვები აქვს ოდნავ შებუსული, ქვედა მხრიდან კი თვით ფირფიტა ოდნავ შებუსულია აბლაბუდის მაგვარი ბუსუსით; ძარღვები შებუსულია საკმაოდ მრავალრიცხოვანი უხეში ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი, ისევე, როგორც ფოთლის ფირფიტის ზევითა ამონაკეთები, დახურულია, ფირფიტის ქვევითა ამონაკეთები კი ან ღიაა, ან დახურული.

მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრი მოყვანილობისაა და ზემოთა კუთხალი ხშირად საკმაოდ განვითარებას აღწევს, რის შედეგად ზოგჯერ ტყუბი მტევნის შთაბეჭდილებას სტოვებს. მტევანი სიგრძით 20 სანტ. აღწევს, სიგანით კი 8 სანტ. მტევანი საკმაოდ კუმისი აგებულებისაა და $\frac{1}{3}$ კილოგრამამდე იწონის. მარცვალი ოვალური მოყვანილობისაა. მარცვლის ბოლო უფრო განიერია, ვიდრე თავი; მარცვალი სიგრძით 23 მილიმ. და სიგანით 18 მილიმ. აღწევს. სრული სიმწიფის დროს მომწვანო ქარვისფერს იღებს. კანი დაფენილია ვიტინის დიდი რაოდენობით. მარცვალი საკმაოდ წვნიანი და სასიამოვნო გემოსია, ოდნავ სპეციფიკური იერით. მწიფდება სექტემბრის ბოლო რიცხვებში.

საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა (100—300 ცენტნერს ჰექტარზე) იმისდაამხედვეთ, თუ რა პირობებში ვითარდება ამ ჯიშის კულტურა და რამდენად კარგად მოხდა განაყოფიერება, ვინაიდან ამ ჯიშის ყვავილები დედრობითი სქესისაა და სხვა ჯიშის მტვერით მისი განაყოფიერება აუცილებელია. ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ საკმაოდ გამძლეობას იჩენს.

დონის მევენახეობის რაიონის ჯიშთა შორის პუბლიაკოვსკი საუკეთესო სუფრის ყურძნის ჯიშად ითვლება; იგი კარგად იტანს ტრანსპორტს, კარგად ინახება, დიდმოსავლ. ანია და ყურძენიცი კარგი ე.ე. ისია. ამასთან ერთად, ამ ჯიშისაგან დამზადებული უალკოჰოლო ყურძნის წვენი მაღალი

ღირსებისა, ღვინო კი საშუალო ხარისხისა დგება. ჯიშ პუბლიკაციის
ყველიების თავისებურების გამო მის კულტურას სხვა ჯიშებთან შერეული
აწა-მოებენ სხვითგანაყოფიერების გასაადვილებლად.

საქართველო
საბჭოთა კავშირი

მისამე პეკინოდის ხუზრის უზრძის ჯიშები

ბაიკუთული (Dattier de Beyrouth)

სინონიმი: Tsarigradsko grosde (ბულგ.), კარაბურნუ (მოლდავია).

ჯიშ ბაიკუთულის კულტურას ვხედებით ალაგ-ალაგ უკრაინაში და
მოლდავიაში. იგი აქ შემოტანილი იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან,
სადაც ეს ჯიში დიდი პოპულარობით სარგებლობს და ცნობილია სახელ-
წოდებით „კარაბურნუ“ ოსმალთა შორის და „Tsarigradsko grosde“
ბულგარულთა შორის. საფრანგეთში ეს ჯიში შეტანილი იყო ბაიკუთიდან.
რადგან ამ ჯიშის ყურძნის მარცვლები მოყვანილობით, ფერით და სი-
სხოთი ძალიან წაგავს კარგად განვითარებულ ინდის-ხურმის ნაყოფს,
ამიტომ მას dattier de Beyrouth უწოდეს.

ვაზი ხასიათდება ლალი განვითარებით და გრძელი ყლორტებით.
ასაღვარდა ფოთოლი სქელი, გლუვი, სამნაკეთიანია; კბილანები წაწვე-
ტებული, მოვარდისფერია. ყლორტი ნამხრევებს ნაკლები რაოდენობით
იკეთებს; შემოსულის დროს ღია მომიხაკოფერო და წახნაგოვანია. მუხლთ-
შორისები საშუალო სიგრძისაა; დუღუღლო დიდ რაოდენობით უვითარ-
დება. ფოთოლი დიდა, ხუთნაკეთიანი, მომრგვალო, სქელი და ოდნავ
მომრკვეილო. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ნაკლები სიღრმისაა და ღი-
რის მსგავსია. ფოთლის ყუნწი გრძელი და მსხვილია.

მტევანი გრძელია, ზოგჯერ ძალიან მსხვილი, ხშირად საკმაოდ მეჩ-
ხერი და კონუსისებური მოყვანილობის. მტევნის წონა ზოგჯერ 2 კილოგრამს
აღემატება. მტევნის ყუნწი გრძელია, სქელი, მწვანეფერისა და საკმაოდ
ნაზი; მარცვლის ყუნწიც გრძელია, წვრილი, მწვანე და საკმაოდ ნაზი.
მარცვალი მსხვილი ან ძალიან მსხვილია, მოყვანილობით ინდის ხურმის
ნაყოფს მოგვაგონებს; საშუალო მარცვალი სიგრძით 20, სიგანით 25 მი-
ლიმ. აღწევს; მსხვილი მარცვალი კი სიგრძით 35 და სიგანით 30 მილიმ.
აღწევს. ძალიან მსხვილი მარცვალი კი სიგრძით 40 მილიმეტრს აღწევს.
მარცვლის ხორცი საკმაოდ მკვრივია; კანი შედარებით თხელი, მომწვანო
ფერისა, სრული სიმწიფის დროს კი ოქროსფერად იღებება; შვის მხარეს
მყოფი მტევანი ღიაზე აღისდერს იღებს. რბილობი თუმცა მკვრივია, მა-
გრამ მეტად წენიანი, მეტად გემრიელი და სასიამოვნოა. წიპწა წვრილია,
მომრგვალო და მარცვალში 2—3-ზე მეტი იშვიათად გვხვდება.

ბაიკუთულის კულტურა განსაკუთრებით კარგ შედეგებს იძლევა
კორდონად და ტალავრებად აღზრდის დროს. ნაცარი ნაკლებ აზარალებს,
კრაქი კი იოლად უჩნდება. ეს ჯიშინ განსაკუთრებული ღირებულებისაა

და სუფრის ყურძნის ჯიშთა შორის მას ცოტა მეტოვე უავს. ცნობილი ფრანგი ამპელოგრაფები მას უნაკლო სუფრის ყურძნის ჯიშად სთვლიან; მაგრამ ამ ჯიშის ყველა ღირსების გამოსამჟღავნებლად საჭიროა ცნობილი ზომიერი კლიმატი, თბილი მზიანი ამინდი ყურძნის მოწვევის დროს, რაც კახეთის პირობებში სექტემბრის ბოლო რიცხვებში იცის. ჩრდილ, დახშულ, ტენიან პირობებში ბაიროთულის ყურძენი იოლად ღებება.

უხე მოსავალს იძლევა, ტრანსპორტს კარგად იტანს; რამდენად ძვირფას სუფრის ყურძენს წარმოადგენს, იმდენად ნაკლები ღირებულების ღვინოს იძლევა.

მუსკატი ალექსანდრიული (Muscat D'Alexandrie)

სინონიმი: Malaga, Muscat d'Espagne, Moscatel Romano, Moscatel gordo blanco, White Muscat of Alexandria და სხ.

ახალგაზრდა ყლორტის წვერი საკმაოდ შებუსუსული და ოდნავ მოწითალოა. შემოსული რქა ღია აფურის ფერია და მომრქველია. მუხლ-შორისები მოკლე აქვს. ზრდადამთავრებული ფოთოლი საკმაოდ დიდი, მომრგვალო მოყვანილობისა, 3—5 ნაკვეთიანია და ნაკვეთები საკმაოდ დრმადია შეჭრილი ფოთოლში. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე გლუვია, ქვედა მხარე კი შებუსუსულია საკმაოდ უხეში ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვთები მეტწილად ღია და ფუქეთან ვიწრო მოყვანილობისაა. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია სხვადასხვა სიდიდის წვეტიანი კბილანებით.

მტევანი გრძელია; სიგრძით აღწევს 22 სანტ., სიგანით კი — 12 სანტ. მტევნის მოყვანილობა ცილიანდრულ-კონუსისებრია, აგებულიებით საკმაოდ ან მეტად მეჩხერია. მარცვალი მწვანე-მოყვითალო ფერისაა და ვიტინით ოდნავ დაფენილია; მოყვანილობით მომრგვალო ან ელიპსოიდური; სიგრძით აღწევს 24 მილიმ. და სიგანით — 22—23 მილიმ. მარცვლის კანი სქელია; რბილობი წვნიანია, უფერული და მეტად ნაზი; გემოთი მკაფიოდ მუსკატისებრია. წიპწა მეტწილად 2 ცალია. მწიფდება მესამე პერიოდის დამდეგს.

ალექსანდრიული მუსკატი უძველეს დროიდანაა ცნობილი. მის კულტურას ფართოდ მისდევდნენ ესპანეთში, იტალიაში და სამხრეთ საფრანგეთში. ზოგი ავტორის აზრით ამ ჯიშის საშობლო ჩრდილოეთ აფრიკაა; ალექსანდრიის მიდამოებში მას დღესაც დიდი რაოდენობით აშენებენ. ამ ჯიშის ყურძნის დავიდანებით დამწიფების გამო მისი კულტურის წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროა თბილი მზიანი ალაგები. მშრალ და მწირ ნიადაგებში ამ ჯიშის განვითარება ფერხდება; უკეთ ეგუება მოკლე სხვლას, მით უმეტეს, რომ გრძელი სხვლის დროს ყუავილობისას მტევანი მეტად უთხელდება. სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ნაკლები გამძლეობა ახასიათებს.



ალექსანდრიული მუსკატი ძვირფას საგვიანო ჯიშად ითვლება, ტონ-სპორტს ძალიან კარგად იტანს, ზამთრის განმავლობაში ძალიან კარგად ინახება. გარეგნული შეხედულება და აგრეთვე გემო სავსებით ემსაქმება ლებს სუფრის ყურძნისადმი მოთხოვნისთვის. ესპანეთში, სახელდობრ ანდალუზიაში, და აგრეთვე კალიფორნიაში, ალექსანდრიული მუსკატიდან მზადდება მაღალი ხარისხის ქიშმიში, რომელიც მსოფლიო ბაზარზე მაღლას სახელითაა ცნობილი.

საქართველოს პირობებში ალექსანდრიული მუსკატის წარმატებითი კულტურა შესაძლებელია მხოლოდ უფრო თბილ და არატენიან რაიონებში. ალექსანდრიული მუსკატის ყვავილი, ან უკეთ რომ ვთქვათ ბუტკო, ანორმალური აგებულებისაა, რის გამო მტევანი უთხელდება; ყვავილენი კი იმდენად მრავალი ყვავილისაგან შედგება, რომ 10—12% ყვავილთა განაყოფიერების შედეგადაც მტევანი რიგინი აგებულებისა გამოდის და გადამეტებული სიმეჩხრე არ ეტკობა.

რიშ-ბაბა

სინონიმი: დერბენდი, ალვანი, იცაპტუკი, ხუსეინი, ბუზუ-ბუდუკი, Бокьяный.

ვაზი ხასიათდება მეტად ღონიერი ზრდით, გრძელი მუხლშორისებით და გრძელი ყლორტებით. ფოთოლი დიდი, ხუთნაკვითიანია, ნახევრად დახურული ფოთლის ყუნწის ამონაკვეთით. ფოთოლი მუქ-მწვანე ფერისაა, ორივე მხრიდან გლუვია და ძარღვები გარკვევით მოსჩანს. ფოთლის ფიოფიტის კიდებები დაკბილულია წვეტიანი კბილანებით.

მტევანი მსხვილია, კონუსისებრი მოყვანილობის, საკმაოდ მეჩხერი, ზოგჯერ კუმისი. მტევნის ყუნწი მსხვილია და მომწვანო ფერისაა. მარცვლი გრძელ-ოვალური მოყვანილობისაა, მსხვილი; სრული სიმწიფის დროს ვარდისფერია და ოდნავ შეფენილია ვიტინით. მარცვლის რბილობი ნაკლები წვნიანობით და ნაკლები სიტკბოთი ხასიათდება. კანი ხორცს იოლად შორდება. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის დამდეგს და საკმაოდ მოსავლიან ჯიშად ითვლება.

ამ ჯიშის მსხვილი მტევნები და ღამაზი მსხვილი მარცვლები საკმაოდ ღაზათს აძლევს მას; გეოთი კი იგი ნაკლები ღირებულებისაა. რიშ-ბაბას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ყურძნის წნილის და მარინადების დასამზადებლად.

რიშ-ბაბა ფართოდ არის გავრცელებული დარუბანდის რაიონში (დაღესტანი), გვხვდება აგრეთვე სომხეთში, აფშერონის ნახევარკუნძულზე და ასტრახანის მეცენახეობაში, სადაც Бокьяный-ს სახელწოდებითაა ცნობილი.



შაბაში ყირიმული ჯიშია. იგი ხასიათდება ფოთლის ფიორტის მქონე შუალო სიფართოვით; ფოთოლი ზოგჯერ მთლიანად ან აქა-იქ დაწვეტილია. ფირფიტის ორთავე მხარე გლუვია, მხოლოდ ძარღვები აქვს ოდნავ შებუხული. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მეტ შემთხვევაში დაბურულია.

მტევანი საშუალო სისხოსი, ცილინდრულ-კონუსისებრი მოყვანილობის და საკმაოდ კუმსია. მარცვლი მწვანე-მოყვითალო ფერისაა, მოყვანილობით ოვალურია და საკმაოდ მსხვილია. მარცვლის კანი სქელია-მარცვლის ხორცი მკვრივია, ნაკლებ წვნიანი, შედარებით უხეში, უბრალო ტკბილი გემოსი. მწიფდება ოქტომბრის მეორე ნახევარში. საკმაოდ დიდ და თანაბარ მოსავალს იძლევა. უკეთ ეგუება მოკლე სხვლას.

შაბაში ითვლება მეტად კარგ შენახვისუნარიან სუფრის ყურძნის ჯიშად და ტრანსპორტსაც ძალიან კარგად იტანს. ირწმუნებიან, რომ ფრთხილად და რიგიან პირობებში შენახული შაბაშის მტევნები ახალ მოსვლამდის სძლებს (?). ყოველ შემთხვევაში ზაფხულის დამდეგამდე კარგად ინახება და შენახვის პერიოდში უკეთეს გემოს იღებს. შაბაში მეტად საინტერესოა ჯიშია ასეთი შენახვის უნარიანობის გამო, ოღონდ მისი კულტურა მხოლოდ თბილ პირობებში შეიძლება.

პირველი პერიოდის წითელი ხუზრის უზრძნის ჯიშები

პორტუგალიზირი (Portugieser)

სინონიმი: Oportorebe, Rana modra, Früher blauer Portugieser, Mureto, Blaue Feslauraupe, Garidelia monophyrena და სხ.

პორტუგალიზერის ვაზი ღონიერი ზრდით ხასიათდება; რქა მეტად მკვრივი და ოდნავ წახნაგოვანია. ახალგაზრდა ყლორტის წვერები ყვითელ-მოწვანო, მობრწყვიალო, ოდნავ შებუხული აქვს. ფოთოლი დიდი, თხელი, მეტწილად მთლიანი ან ოდნავ დანაკეთილია; ფოთლის კიდეები დაკბილულია მსხვილი, არათანაბარი, წაწვეტებული კბილანებით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი სრულიად დაბურული აქვს.

მტევანი საშუალო სისხოსია, ზოგჯერ მოსხო, საკმაოდ კუმსი; მტევნის ყუნწი მოკლეა და ხეგდება. მარცვლებს ყუნწი მეტად წვრილი აქვს; მარცვლი მომრგვალოა, საშუალო სისხოსი, შავ-მოლურჯო ფერისა და შეფენილია ვიტინით, მარცვლის კანი თხელია; მარცვლის ხორცი წვნიანია, ტკბილი, საკმაოდ სასიამოვნო. მწიფდება ნაიდრეგად—ნასლას მოწვევის პერიოდში.

შავი ფერის ადრეულა ვაზის ჯიშთა შორის პორტუგალიზერი ერთერთ რიგიან ჯიშად ითვლება. იგი ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთის მევენახეობის ბევრ რაიონში; გამოსადგება სუფრის ყურძნად და აგ-

რეთვე წითელი ღვინოების დასაყენებლად, თუმცა აღსანიშნავია, რომ მა-
ღალი ხარისხის ღვინოს არ იძლევა. რქა არ ხასიათდება ყინვის ამტანე-
ლობით, ამიტომ ჩრდილოეთის მევენახეობის რაიონებში ამჟღავნებენ ვე-
ზის დროულად დაფლას მიწაში. ვაზი ეგუება როგორც გრძელ, ისე მო-
კლე სხვლას. საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა.

სენსო (Cinsaut)

სინონიმი: Piquepoul, Bourdais Prunelias, Gros Marocin, Picardan
noir, Espagnen, Papadou, Salerne, Cinsanet, Marroquin (Deracina?!),
Mavro kara და სხვ.

ვაზი ხასიათდება საშუალო ღონით, აფშეკილი ყლორტებით, წვრილი
რქით, საკმაოდ გრძელი მუხლშორისებით. შემოსული რქა მოწითალო-
იისფერია. ზრდადასრულებული ფოთოლი საშუალო სიდიდის, საკმაოდ გა-
ნიერი, ხუთნაკეთიანია. ფოთლის ფირფიტა ღია-მწვანე ფერის, ოდნავ
მობრჭყვიალო და საკმაოდ სქელია. ფირფიტის ქვედა მხარე ბაცი მწვანე
ფერისაა და შეზუსტულია. ფოთლის ფირფიტის კვილანები კარგად გახე-
თარებულნი და მოგრძობა. ფოთლის ყუნწის ამონაცვეთი ღრმა-მომრგვალო
მოყვანილობისა და ღიაა.

მტევანი ცილიანდრულ-კონუსისებრია, საკმაოდ მსხვილი და ხშირად
მზრიანი. მტევნის ყუნწი გრძელი და წვრილია, ხელის შეხებით ვაზს იო-
ლად წყდება. მარცვლი მომსხო, კვრცხისებრი, ზოგჯერ მოგრძობა. შავი
ან შუქი იისფერია. მარცვლის ზორცი წვნიანი, მეტად ტკბილი, მომკრი-
ვია და სპეციფიკური სასიამოვნო გემო აქვს.

სენსო ითვლება მაღალხარისხიან და უხვმოსავლიან სუფრის ყურძ-
ნის ჯიშად და საკმაოდ თანაბარ მოსავალს იძლევა; იგი საკმაოდ გრძო-
ბიერია კრაჭისადმი და საკმაოდ გამძლეობას იჩენს ნაცრისადმი. სენსოს
კულტურა გავრცელებულია სამხრეთ საფრანგეთში, საიდანაც იგი დიდი
ოპოდენობით იგზავნება ჩრდილოეთის მახრების დასაქმყოფილებლად.
საბჭოთა კავშირში სენსოს კულტურას ყველაზე მეტად უკრაინაში მისდე-
ვენ და კარგ შედეგებსაც აღწევენ.

მეოცე პერიოდის წითელი სუფრის ყურძნის ჯიშები

მამბურგის მუსკატი (Muscat de Hambourg)

სინონიმი: Muscat Hambourg, Muscat d'Hambourg, Black muscat
of Alexandria, Red muscat of Alexandria, Muscat Alberdient's და სხ.

მამბურგის მუსკატის ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდით, სქელი
ტანით და პირამიდალურად აღმართული ყლორტებით. ყლორტზე ნაზრე-
ვები ნაკლებად უვითარდება. შემოუსვლელ ყლორტზე შესამჩნევია მოშავო
წერტილები, რომელთა რიცხვი ზოგჯერ მეტად დიდია. შემოსულ რქას

გრძელი მუხლშორისები აქვს და გლუვია. ფოთოლი საშუალო ზოგისაა, მომრგვალო მოყვანილობის და საკმაოდ სქელფირფიტისანი; ნაკლებ და-
ნაკეთილია და ამონაკვეთები მეტწილად დიხურული აქვს. ფოთლის ფერს
წის ამონაკვეთის ფუძე ფართო და ღიაა. ფოთლის ფირფიტის კედლები
დაპირულად წვეტიანი კბილანებით. ფოთლის ყურწი გრძელი და მსხვილია,
საკმაოდ უხვადაა შეფენილი ბუსუსით.

მტევანი ცილინდრული მოყვანილობისაა, ყოველთვის საკმაოდ მეზხე-
რია. მარცვლის ყურწი საკმაოდ გრძელი და კლერტზე მაგრად მიმაგრე-
ბულია. მტევნის ყურწი სქელი, მწვანე და საშუალო სიგრძისაა. მარცვლი
მსხვილი, ან მომსხო, მომრგვალო, ზოგჯერ ელიპსური მოყვანილობისაა,
სიგრძით 21—24 მმ. აღწევს. კანი სქელი, მაგრამ მეტად ელასტურია.
რბილობი მკროვია, მაგრამ მეტად წვნიანი, ჩენჩოს იოლად არ შორდება.
მარცვლის კანი უხვადაა შეფენილი ვიტინით. წიბწა საკმაოდ მსხვილია. ამ
ჯიშის ყურძენი ხასიათდება მუსკატის განსაკუთრებით ნაზი გემოთი და
სუფრის ყურძნის საუკეთესო ჯიშად ითვლება, რაც აიხსნება როგორც
მტევნის და მარცვლის სილამაზით, ისე ყურძნის მეტად სასიამოვნო გემოთი.

ჰამბურგის მუსკატი ეკუთვნის სუფრის ყურძნის ძველ ჯიშთა წყებას;
დღესაც მის მოშენებას ფართოდ მისდევენ მევენახეობის თბილ რაიონ-
ებში; იგი აგრეთვე საუკეთესო ჯიშადაა იშინეული სათბურში ვაზის კულ-
ტურის დროს. ჰამბურგის მუსკატს მოკლე სხვა ესაჭიროება. მტე-
ვანი განსაკუთრებული სილამაზის და უფრო ნაზი გემოსი გამოდის რო-
დესაც ფოთლის ჩრდილში იმყოფება; ამიტომ ამ ჯიშის შეფურჩქვნისას ეს
გარემოება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. სოკოვან ავადმყოფო-
ბათაღმი (ნაცაოი, კრაქი) რიგინ ვამძლეობას იჩენს.

იზაბელა (Isabelle)

სინონიმი: ადესა, Woodward, Raisin du Cap, Raisin fraise, Sanbon-
ton, Pagn's Early და სხ.

იზაბელა ეკუთვნის ამერიკულ სახეობა ლაბრუსკას და მევენახეობის
ზოგიერთ რაიონში ფართო მოქალაქეობრივი უფლება დაიმკვიდრა ყურ-
ძნის თავისებური გემოს გამო. ეს თავისებური გემო, ზოგიერთის დას-
კვნით, მარწყვის გემოს მოგვაგონებს, ზოგის დასკვნით კი ბალდინჯოს გე-
მოს წააგავს. ამ თავისებური გემოს ყურძენს ბევრი მოყვარული უყვას; ამი-
ტომ იგი შეტანილია სუფრის ყურძნის ჯიშთა წყებაში.

ვაზი ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდა-განვითარებით; რქა შე-
მოსვლის დროს მოწითალო ფერს იღებს; მუხლთშორისები გრძელია და
პწკალები ულორტზე უწყვეტადაა განწყობილი. ფოთოლი დიდი, მომ-
რგვალო მოყვანილობის, მთლიანი ან სამნაკვეთიანი, იშვიათად ხუთნა-
კეთიანი; ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე უხვადაა დაფარული თეთრი

ბუსუსით; ფოთლის კიდებები დაკბილულია მსხვილი, საკმაოდ განიერი წვეტიანი კბილანებით; ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მეტწილად ღიაა, თუმცა ვიწრო ნაკვთიანი ფოთლებიც გვხვდება.

მტევანი მომცრო, ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსური ფორმისა და საკმაოდ შეჩხერია. მარცვალი შავია, მომრგვალო, ზოგჯერ ოვალური და სიგრძით აღწევს 18 მილამ-მდე. კანი სქელი და მკვრივი აქვს; მარცვლის ხორცი მეტად ლორწოიანია და გარკვეული სპეციფური გემოთი ხასიათდება. ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდის მიწურულს; საკმაოდ უზე მოსავალს იძლევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გრძლად იხვლება.

იზაბელა რამდენიმე ვარიაციას ითვლის; ისინი ურთიერთისაგან მარცვლის სისხოთი და მოყვანილობით განსხვავდებიან.

ამერიკული ვაზის ეს ჯიში ხასიათდება ნაცრისადმი აბსოლუტური და ჰრაქისადმი პრაქტიკული გამძლეობის უნარით. ბლგროტი და ანტრაქნოზი კი აზიანებს; ფილოქსერის მიმართ ნაკლები გამძლეობით (5—6 ბალი) ხასიათდება.

დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ გურია-სამეგრელო-აჭარაში და აფხაზეთში, იზაბელა გასული საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისს შემოიტანეს. ამჟამად იგი საკმაოდ გავრცელებული ჯიშია და ცნობილია „ადესის“ სახელწოდებით. ხენებულ რაიონებში დიდი ტენიანობის განო, რაც იწვევს სოკოვან ავადმყოფობათა მასობრივად გავრცელებას, ამ ჯიშმა, როგორც სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლე, მეტად დიდი ყურადღება მიიპყრო. მას მალლარად ზრდიან და საღვინედ იყენებენ. იზაბელას ლვინო დაბალი ხარისხისაა და სპეციფიკური სუნით, გემოთი და ნაკლები ალკოჰოლის შემცველობით ხასიათდება. ამ ბოლო დროს იზაბელას წვენიდან დაიწყეს ლიქიორის ტიპის ლვინის დამზადება, რაც გაცილებით უკეთეს შედეგს იძლევა.

კრასნოსტოპი (Красностоп)

ვაზი ხასიათდება ზომიერი ზრდით, მოყვითალო ფერის რქით და მომცრო სიგრძის მუხლშორისებით; ფოთლი მოგრძო მოყვანილობისაა და საკმაოდ ღრმად არის დანაკეტილი; ფოთლის ფირფიტის კიდებზე წვრილი კბილანებია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღრმა და მეტწილად დახურულია.

მტევანი საშუალო სისხოსაა, ცილინდრულ-კონისისებრი მოყვანილობის, ოდნავ დატოტვილი; აგებულებით საკმაოდ კუმისა; მტევნის ყუნწი საშუალოთ სიგრძისაა, მოწითალო იისფერია, რაც ამ ჯიშის მეტად დამახასიათებელია. მარცვალი მომცროა, მრგვალი, შავი ფერის და უზეადაა შეფენილი ვიტინით; მარცვლის კანი თხელი, მაგრამ მკვრივია; მარცვლის

ხორცი საკმაოდ მკვრივია, მაგრამ წვნიანია და კარგი გემოთი ხასიათდება. მარცვალი 1—2 წიბწას შეიცავს.

ეს ჯიში საშუალო მოსავალს იძლევა და საკმაო გამძლეობისაა. იგი სოკოვან ავადმყოფობისადმი. თუმცა იგი სუფრის ყურძნის ჯიშთა ნუსხაშია შეტანილი, მაგრამ მისგან რიგიანი წითელი ღვინოც დგება.

ცნობილი ამპელოგრაფის ჰენრიხ გიოთეს მიხედვით, ეს ჯიში პორტუგალიზების ვარიაცია უნდა იყოს. კრასნოსტოპი გავრცელებულია დონის მეფენახეობის რაიონებში; ეს სახელწოდებაც იქაური—ადგილობრივია.

მესამე პერიოდის წითელი სუფრის ყურძნის ჯიშები

შ ა ვ ი ა ს მ ა

სინონიმი: მოლდავური შავი.

ვაში ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით, სქელი რქით და გრძელი მუალშორისებით. რქა შემოსვლის დროს წითელ-მოწაბლსფერი და პრიალაა. ფოთოლი საშუალო სისხოსია, მომრგვალო, 3—5 ნაკეთიანი; ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე მუკ-მწვანე ფერისა, ბრქვევიალა და გლუვია, ქვედა მხარე კი ღია-მწვანე ფერისაა და აგოეთვე გლუვია; ნაკეთები ღრმა არ არის; ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია ვიწრო და გრძელი წაწვეტებული კბილანებით.

მტევანი საკმაოდ მსხვილი, ცილინდრულ-კონუსისებრი მოყვანილობის და საკმაოდ კუმსია. მტევნის ყუნწი საკმაოდ გრძელი და გახევებულია. მარცვლის ყუნწი გრძელი და საკმაოდ სქელია. სრული სიმწიფის დროს მარცვალი შავი ფერისაა და ოდნავ შეფენილია ვიტინით; მარცვლი მსხვილია (აღწევს 23 მილიმ. სიგანით და 25 მილ. სიგრძით); მარცვლის კანი სქელი და მკვრივია. მარცვლის ხორცი მკვრივი და უხეშია, მაგრამ საკმაოდ წვნიანია; გემოთი ტკბილი და ოდნავ მომეაეოა. ყირიმში ყურძენი მესამე პერიოდში მწიფდება.

ასმა ძველი ყირიმული ჯიში უნდა იყოს. ყინვებს კარგად ეგუება, უხვ მოსავალს იძლევა; უკეთეს შედეგებს იძლევა მოკლე სხელის დროს. ამ ჯიშის ყურძენს მეტად მაღალი ღირსების გემო არა აქვს, მაგრამ ძალიან კარგად იტანს ტრანსპორტს და მისი გადაზიდვა შორ მანძილზე სიძნელეს არ წარმოადგენს. უმთავრესად ამ თვისების გამო, იგი შეტანილია სტანდარტული ასორტიმენტის ნუსხაში.


თეთრი ღვინის ჯიშები

პირველი პერიოდის ჯიშები

ალიგოტე (Allgoté)

სინონიმი: Allgotey, Plant de Trois, Blanc de Troyes, Vert blanc, gris et blanc, Plant gris და სხვ.

ალიგოტეს ვაზი ხასიათდება საშუალო ღონის ზრდით; ყვითელი, ზოგჯერ ოდნავ მოწითალო ფერის რქით, საშუალო სიგრძის მუხრანისებრი ბით. ფოთლი მომრგვალო მოყვანილობისაა, ნაკლებად დაწვეთილი და საშუალო სიდიდისაა. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე გლუვია, ქვედა



სურ. 8. ალიგოტე.

მხარე კი შებუსუსულია თხლად, აბლაბუდის ქსელის მაგვარად. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მეტწილად ვიწრო და ღია ან ოდნავ დახურულია. ფოთლის ფირფიტის კიდევები დაკბილულია შოგრძო, სამკუთხედისმაგვარი კბილანებით. ძარღვები მოწითალო ფერისაა.

მტევანი მომცროა, ცილინდრულ კონუსისებრი მოყვანილობის, ზოგჯერ დატოტვილია და საკმაო სიკუმსით ხასიათდება. მარცვლი მრგვალია, მომცრო, მწვანე-მოყვითალო ფერისა; მზის მხარე ზოგჯერ შექრობილია. კანი თხელი აქვს და შეფენილია ვიტინის მცირე რარდენობით. მარცვლის ხორცი წვნიანი და ნაზია; შეიცავს 2—3 წიპწას. მწიფდება პირველი პერიოდის მიწურულს.

ალიგოტე ფრანგული ვაზის ჯიშია და საკმაოდ გავრცელებულია ბურგუნდიაში და ნაწილობრივ შამპანში. ხასიათდება ძალიან უხვი მოსავლით. ეგეუბა როგორც გრძელ, ისე მოკლე სხვლას, მაგრამ მწირ ნიადაგებში ამჯობინებენ მოკლე სხვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაზი მეტად სუსტდება. საფრანგეთში ალიგოტე იძლევა მეორე ხარისხოვან, მსუბუქ, თეთრ სუფრის ღვინოს, — ჩვენში კი, ზოგიერთ რაიონში, — მაღალი ხარისხის სუფრის ღვინოს და აგრეთვე შამპანურის მასალას. ქართლში ამ საღვინე ჯიშს მეტოქე არა ყავს და როგორც მოსავლიანობის, ისე ხარისხის მიხედვით დამაკმაყოფილებელ პროდუქტს იძლევა. ალიგოტემ ანაბის და ნოვოროსიის რაიონებშიაც გაიმართლა იმედები და განსაკუთრებით უხვ მოსავალთან ერთად კარგი ხარისხის პროდუქტი მოგვცა.

ალიგოტეს მოშენება მიზანშეწონილია მხოლოდ ზომიერ კლიმატურ პირობებში; ცხელ და მშრალ რაიონებში კი ბლანტ, მძიმე, უშინაარსო ღვინოს იძლევა. ნაცრისადმი დამაკმაყოფილებელი გამძლეობით ხასიათდება, ქრაქისადმი კი უფრო მგრძნობიარეა. გაზაფხულობით ადრე იფურჩქნება და, იმ რაიონებში, სადაც მერყევი ტემპერატურა იცის, ახალგაზრდა ყლორტები ხშირად იყინება.

შარდონე (Chardonnay)

სინონიმი: Auvernat blanc, Auxerois blanc, Beaunols, Blanc de Champagne, Burgundi feher, Chablis, Chardenay, Klevner, Epinette, Gentil blanc, Morillon blanc, Rulender, Melon Blanc, Pineau blanc chardonnay, Weiss Edler და სხ.

ვაზი ხასიათდება მომცრო ზრდა-განვითარებით. შემოსული რქა ოდნავ მოწითალოა; მუხლშორისები თითქმის საშუალო სიგრძისაა; ახალგაზრდა ყლორტების წვეროები ოდნავ შებუსუსლია თეთრ-მონაცრისფრო ბუსუსით და მოწითალო იერი გადაკრავს. ფოთოლი საშუალო სისხისი ან მომცრო, მოყვანილობით უფრო გრძელია, ვიდრე განიერი, მეტწილად მთლიანია, იშვიათ შემთხვევაში 3—5 ნაკვთიანია; ნაკვთები ღრმა არ არის. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე გლუვი და ოდნავ მობრჭყვიალოა, ქვედა მხარე კი ბაცი და თხლად შებუსუსლია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ყოველთვის ღიაა და ფუძე მომრგვალოა. ძარღვები მომწვანო ფერისაა და შეფენილია თხელი ბუსუსით.



სურ. 9. შარდონე.

მარცვლები აქვს, მტევნის ყუნწი მწვანეა, მარცვლის ყუნწი მოკლე და საკმაოდ მსხვილია. მარცვალი სრული სიმწიფის დროს მოყვითალო ფერი-

საა, მზის მხარე ატკრეცილი აქვს; მარცვალზე შესამჩნევია ოთხი მოწითალო ფერის ჯვარის მსგავსად მდებარე წინწყლები; მოყვანილობით მრგვალია, მომცრო სისხოთი (14—15 მილიმ.); მარცვლის კანი თხელი, მკაფიო რამ საკმაოდ მკვრივია; მარცვლის ხორცი ნაზი და წვნიანია; მკვრივია ტკბილი და სასიამოვნოა. მარცვალი 1—3 წიპწას შეიცავს. ყურძენი მწიფდება პირველი პერიოდის მიწურულს. ხასიათდება საშუალო და ზოგჯერ მცირე მოსავლითაც. იოლად ავადდება ნაცრით, კრაქს კი შედარებით კარგად უძლებს.

შარდონეს სამშობლოა ბურგუნდია; მას ხშირად თეთრ პინოს უწოდებენ, რომელსაც თუცმა მიემსგავსება, მაგრამ არც ამ ჯიშის ვარიანტია და არც პინოების ჯგუფს ეკუთვნის.

საფრანგეთის ზოგიერთ რაიონში შარდონე იძლევა უმაღლესი ხარისხის თეთრ ღვინოს. განთქმული ბურგუნდიის და შამპანის ღვინოები მეტწილად შარდონეს ყურძნიდან მზადდება; რიგიან პროდუქტს იძლევა შარდონე ჩრდილო კავკასიაშიც. ჩვენში ჩატარებულმა ცდებმა ზოგან გაამართლა იმედები და ცალკეულ მიკრორაიონებში იგი სავსებით ხარისხოვან პროდუქტს იძლევა (ვაკევი).

შარდონეს და ალიგოტეს სამშობლო, როგორც აღვნიშნეთ, ბურგუნდიაა. სამშობლოში ფერდობებზე პირველი იძლევა განსაკუთრებული მაღალი ხარისხის პროდუქტს, მეორე კი შედარებით დაბალს, უკეთეს შემთხვევაში კი საშუალო პროდუქტს. ქართლში კი ალიგოტე იძლევა მაღალი ხარისხის პროდუქტს; შარდონე იმავე ქართლში თითქოს ნაკლებ ამართლებს იმედებს.

შარდონე ეგუება როგორც გრძელ, ისე მოკლე სხვლას. საკმაოდ ყინვისამტანი ჯიშია. უკეთესი ხარისხის პროდუქტს იძლევა კირნარ ნიანდაგებზე. შამპანური წარმოებისთვის შარდონე მეტად ძვირფასი ვაზის ჯიშია.

კულტურაში ცნობილია შარდონეს მუსკატისგემოიანი ვარიანტი, რომელიც ნაკლებად არის გავრცელებული.

სილვანერი (Sylvaner)

სინონიმი: Grünedel, Frankenriesling, Schönfeiner, Weisser Augustiner, Weisser Oesterreicher, Grüner Sylvaner, Gentil vert, Gros riesling, Zierlandler და სხვ.

სილვანერის ვაზი საშუალოზე სუსტი ღონისაა. შემოსული რქა ღია-რუხი ფერისაა, შავი წინწყლებით და მოკლე მუხლშორისებით. ფოთოლი საშუალო სისხოსი, მრგვალი მოყვანილობის, სამნაკეთიანია; ნაკეთები ღრმა არ არის. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ვიწრო და ზეზეურია. ფოთლის ფირფიტა გლუვი და ოდნავ მობრკვევიალია. ფოთლის ფირფიტის



კიდები დაკბილულია მოკლე, ჩლუნგი, არათანაბარი კბილანებით. ფოთ-
ლის ფირფიტის ძარღვები შებუსუსლია მოკლე ბუსუსით.

მტევანი მომცრო, მოკლე, საკმაოდ კუმსი აგებულებისაა. მტევანს
ყუნწი მოკლე და მსხვილია. მარცვლი მრგვალი, მწვანე, მოყვითალო,
ოღნავ შექორფილი და შეწერტილებიანია. მარცვლის ჩენჩო საკმაოდ
სქელი და მკვრივია. მარცვლის ხორცი წვნიანი და საკმაოდ ლორწოიანია.
ყურძენი მწიფდება პირველი პერიოდის მიწურულს.

სილვანერის სამშობლოდ ტრანსილვანია ითვლება, მაგრამ ამჟამად
ეს ჯიში უფრო მეტად გავრცელებულია გრილ და ზომიერ ჰაეიან მევენ-
ახეობის რაიონებში. საერთოდ იმრაიონებში, სადაც ვაზისათვის სითბოს
ოპტიმალური რაოდენობა არ მოიპოება, სილვანერი იძლევა შედარებით
უხვ, თანაბარ მოსავალს; იგი ეფუძება აგრეთვე როგორც მწიწრ ნიადაგებს,
ისე მონესტო კლიმატსაც და იძლევა საკმაოდ რივიან, თეთრ, სუფრის
ღვინოს. იტანს როგორც გრძელ, ისე მოკლე სხვლას.

სილვანერი რამდენიმე ვარიაციას ითვლის, მაგრამ სხვა ვარიაციებს
ნაკლები ღირებულება აქვთ. კლონური შერჩევის შედეგად G. Frölich-მა
გამოჰყო სილვანერის კლონები, რომელნიც თანაბარი უხვი მოსავლითა
და შაქრის მეტი შემადგენლობით ხასიათდებიან.

მეორე პერიოდის ჯიშები

სემილონი (Sémillon)

სინონიმი: Gros Sémillon, Sémillon muscat, Sémillon roux, Chevrier,
Malaga, Semillon crucillant და სხვ.

სემილონის ვაზი ხასიათდება საკმაოდ ლალი ზრდით, წითელ-მორფ-
ხო რქით, საკმაოდ გრძელი მუხლშორისებით, მკვრივი მერქნით, კარგად
განვითარებული პწკალებით. ახალგაზრდა ყლორტის წვერი უხვადაა შე-
ბუსუსული და ღია მწვანე ფერისაა; გაზრდილი ფოთოლი საკმაოდ მსხვილი
და მომრგვალოა. ფოთლის ფირფიტა მთლიანი, ზოგჯერ კი დანაკვეთილია.
ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი განიერი, მომრგვალო მოყვანილობისა და
მეტწილად ღიაა. ფოთლის ფირფიტის კიდები დაკბილულია წვრილი წა-
წვეტილებული კბილანებით. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე გლუვი და
ოდნავ აბურცულია, ქვედა მხარე კი ოდნავ შებუსუსული.

მტევანი მოგრძო, კონუსისებრი მოყვანილობის და საკმაოდ კუმსია.
მარცვლი ჩრდილში ღია ქარვის ფერისა, მზუზე კი მოვარდისფროა. მარ-
ცვლი მრგვალი და მომსბოა (16—19 მილიმ.); კანი თხელი და ნაზია.
მარცვლის ხორცი ნაზი, წვნიანი, ტკბილი, ოდნავ მუსკატისებრი, სასი-
ამოვნო გემოსია. მარცვლი შეიცავს 1—4, უფრო ხშირად 2—3 წვრილ
წაპწას. მწიფდება მეორე პერიოდში.

სემილონის საშობლო საფრანგეთია; იგი იძლევა ლიქორისებურ, თეთრ, სოტრენის ცნობილ ლეინოებს. იგი ხასიათდება საკმაოდ უხვი მოსავლით, ეგუება მშრალ და მწირ ნიადაგებს, უკეთეს შედეგებს კვირპარბ ნიადაგებში იძლევა. თხელი კანის გამო ზოგიერთ წლებში შემოდგომით სოტრენში სემილონის მომწიფებულ ყურძენზე მასობრივად მრავლდება კეთილთვისებიანი სიდამპლე (Botrytis cinerea); ასეთ წლებში სემილონისაგან მზადდება განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ლიქორის ლეინო; იგი ცნობილია სოტრენის სახელწოდებით. სემილონის ნარგავებში გარკვეული რაოდენობით ურევენ ჯიშებს: მიუსკადელს და სოვინიონს და ყურძნის ასეთი კუბაჟით აღწევენ მეტად მაღალი ღირსების პროდუქტის მიღებას.

სემილონი თუმცა საღვინე ჯიშად ითვლება, მაგრამ სუფრის ყურძნადაც სავსებით გამოსადეგია: მარცვლის გემო, სისხო და მტევნის სილამაზე სავსებით ეგუება სუფრის ყურძნის მოთხოვნილებას, ოღონდ შორი ტრანსპორტისათვის გამოსადეგი არ არის. სემილონის კვირტები აღრე იფურჩქნება და ამიტომ გაზაფხულის ნაგვიანები ყინვა ზოგჯერ მოხავალს აზიანებს.

სემილონი ტკბილი მაღალი ხარისხის უალკოჰოლო ყურძნის წვენის დასამზადებლადაც გამოდგება.

კულტურაში ცნობილი სემილონის რამდენიმე ვარიაცია, მათ შორის პატარა სემილონად წოდებული ვარიაცია; ამ უკანასკნელის მტევანი და მარცვალი უფრო მომცროა, წვენიც ნაკლებ ექსტრაქტულია, ვიდრე მსხვილმარცვალი სემილონისა; სხვა ვარიაციებს კი არ ამრავლებენ და ისინი შემთხვევით შეპყვებიან ზოლზე ნარგავებს.


რისლინგი (Riesling)

სინონიმი: Riesler, Gewürztraube, Rheingauer, Hochheimer, Kleinriesling, Gentil aromatique, Rheinriesling და სხვ.

რისლინგის ვაზი ხასიათდება ზომიერი ზრდით; შემოსული რქა ღია-მინჯაკისფერია, შეფენილია შავი წერტილებით, საკმაოდ მკვრივია და მოკლე მხულშორისები აქვს; კვირტები უხვადაა დაფარული მოთეთრო ბაღნით. ფოთოლი მომცრო, მრგვალი, საკმაოდ დანაქვითილია. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია მსხვილი და განიერი კბილანებით; ფოთლის ფირფიტა საკმაოდ სქელი და უხეშია. ახალგაზდა ყლორტის წვერი ყვითელ-მომწვანო ფერისაა და ოდნავ წითელი იერი დაჰკრავს. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მეტ წილად ქუქურუტანიანი და დახურულია. ფოთლის ყუნწი—ფოთლის ფირფიტაზე მოკლეა. ძარღვები მსხვილი და მომწვანო ფერისაა.

მტევანი მომცროა, კუმისი, ცილინდრული მოყვანილობის და ზოგჯერ დატოტვილია. მტევნის ყუნწი მოკლე, სქელი და გახევებულია. მარცვლის ყუნწი (ღერუკა) მოკლე და სქელია, ბალიში დამეჭვებულა. მარცვალი მომცრო, მრგვალი მოყვანილობის, ღია მოყვითალო ფერის, გამჭვირვა-

ლეა და შეფენილია შავი წერტილებით. გადამწივების დროს მიბაკის
 შესაგეს მოწითალო ფერს იღებს. მარცვლის კანი საკმაოდ სქელი და ელასტი-
 ტურია; მარცვლის ხორცი წვნიანი, არომატული და ოდნავ მომეყვანა. მწიფ-
 დება მეორე პერიოდის მიწურულს.



სურ. 10. რისლინგი.

რისლინგის სამშობლოდ რეინის ნაპირები ითვლება; მას თავის სამ-
 შობლოში ისევე, როგორც ჯიშ სემილონს თავის სამშობლოში, შემოდ-

გამობით, მოწეულ ყურძენზე, ზოგჯერ მასობრივად უჩნდება კეთილთვისე-
ბიანი სიღამპლე, რის შედეგად განსაკუთრებით მალალი ხარისხის ღვინო
დგება. ეს სოკო მარცვლის კანს ხრწნის; ამის შედეგად ტკბილნი იქცე-
ვადან ამ ჯიშისთვის დამახასიათებელი სურნელება. კანის გახრწნასთან
დაკავშირებით მარცვლიდან ორთქლდება წყალი და ხდება მარცვლის შე-
მადგენლობის კონცენტრაცია; როგორც მთელი რიგი მკვლევარების შრო-
მებიდან ჩანს, წარმოშობილი ენზიმების ზეგავლენით შეკვინობა კლებუ-
ლობს. ამიტომ ასეთი მარცვლებიდან დაყენებული ღვინო ხასიათდება გან-
საკუთრებული სინაზით, სურნელოვნებით, სიტკბოთი და სხეულითაც.
იმ შემთხვევაში როდესაც *Botrytis cinerea* ნაადრევად ჩნდება, მტევანს
მწვანე ყუნწი ულპება და ჯერ კიდევ მკვანე ყურძენი ვახსა სცვივა. ამ
შემთხვევაში კეთილსიღამპლიანი თვისება მავნესიღამპლიან თვისებად იქ-
ცევა ხოლმე და ამ მოვლენას მწვანე სიღამპლე (*Grünfäule*) ეწოდება.
კეთილთვისებიანი სიღამპლე რისლინგს მასობრივად რეინის ნაპირებზე
უჩნდება, ისიც არა ყველა რაიონში და არა ყოველწლიურად. იგი თავს
იხელებს იმ წლებში, როდესაც ყურძნის სრული სიმწიფის დროს თბილი
და ოდნავ ნოტიო ამინდები დგება. საბჭოთა კავშირში კეთილთვისებიანი
სიღამპლის მასობრივი გავრცელება არ ხდება.

საქართველოს პირობებში რისლინგის კულტურის ირგვლივ ჩატარე-
ბულმა ცდებმა იმედიბი არ გაამართლა: არსად რეინის ნაპირების მსგავსი რის-
ლინგის ღვინო არ დადგა. უკეთ იგვარა რისლინგმა ჩრდილო კავკასიაში,
ნაწილობრივ უკრაინაში (აბრაუ, ანაპა, კაზანცკაია); იქაური რისლინგის
ღვინო დამსახურებული სახელით სარგებლობს, მაგრამ რეინის რისლინგის
კარგი წლების ღვინოს ძალიან ჩამოუყარდება.

რისლინგი საკმაოდ მოსაელოიანი ვაზია, ყინვებს კარგად ეგუება, აგ-
რეთვე სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ნაწილობრივი გამძლეობის უნა-
რიანობითაც ხასიათდება. ეგუება როგორც გრძელ, ისე მოკლე სხელას.

რისლინგი ჩრდილო მევენახეობის რაიონების ჯიშია და თუმცა ასეთ
რაიონში მისი ღვინოები ზოგჯერ გადამეტებული შეკვინობით ხასიათდება,
მაგრამ თავის სინაზეს და სურნელებას არ კარგავს.

რისლინგი რამდენსამე ვარიაციათა ითვლის; მათში ლირსშესანიშნავია
თეთრი რისლინგი, რომელიც ზემოდ აღვწერეთ და შეგვარების შედეგად
მიღებული ბასტარდი *Rieslingbouquet*. როგორც ირკვევა, რისლინგი მრავალ
კლონს შეიცავს; ამ ბოლო ხანებში ფართო მასშტაბით აწარმოებენ
დადებითი კლონების გამოჩვენას.

ბ ა ი ა ნ - შ ი რ შ ი

სინონიმი: რუნდვაის (*Rundweiss*), ბანანც, ახ-შირაი.

ვაზი ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით, მსხვილი ყლორტებით,
საშუალო სიგრძის მუხლშორისებით. შემოდგომის პირზე ყლორტი მუქ-მო-

ნაკრისფრო ხდება. ფოთოლი ხუთნაკეთიანია; ფოთლის ფირფიტის კიდე-
ბი დაკბილულია მსხვილი კბილანებით. ფოთლის ფირფიტის ზედაპირი
მუქ-მწვანე ფერისა და გლუვია, ქვედა მხარე კი—ბაცია; ფოთლის მუწის
ამონაკეთი ღრმა არ არის და მეტწილად ღიაა. მტევანი საკმაოდ მსხვი-
ლია, სიგრძით აღწევს 18—24 სანტ. და სიგანით 10—14 სანტ. მოყვანი-
ლობით ცილინდრულ-კონუსისებრი, იშვიათად კი კონუსისებრია, აგებუ-
ლებით საკმაოდ კუმსია. მტევნის ყუნწი საკმაოდ გრძელია (7—8 სანტ.).
მარცვალი მრგვალი, საშუალო სისხოსი, მწვანე-მოყვითალო ფერისაა; მარცვ-
ლის კანზე სიმწიფის დროს ემჩნევა მუქი ფერის წერტილები. მარცვლის
ხორცი წვნიანი და უბრალო გემოსია; მარცვალი მეტწილად შეიცავს 2
კარგად განვითარებულ და მომსხვილო წიპწას.

ბაიან-შირეი ითვლება კიროვობადის მეღვინეობის რაიონის მთავარ
ჯიშად. პროფ. ბაიანჯაგიანის დასკვნით ამ ჯიშის სამშობლო სოფ.
ბაიანია. აქედან იგი გერმანელმა კოლონისტებმა გაიტანეს ყოფ. განჯის მი-
დამოების ზერებში, სადაც მას დაარქვეს „Rundweiss“-ი, რაც ნიშნავს
„მრგვალ თეთრს“. ამ ჯიშმა მოკლე ხანში მეტად დიდი გავრცელება
პპოვა კიროვობადის რაიონის მევენახეობაში. ეს უნდა მიეწეროს ამ ჯიშის
განსაკუთრებულ უხვ მოსავლიანობას და სოკოვან ავადმყოფობისადმი, შედა-
რებით კარგ გამძლეობას. ბაიანი იძლევა რიგიან მსუბუქ სუფრის ღვინოს,
რომელიც საკუბაეოდაც გამოდგება. ბაიანის კარგად მოვლილი და გაპა-
ტივებული ვენახი ხშირად იძლევა ერთ ჰექტარზე 200—300 ცენტნერ
და მეტ ყურძენს. თუმცა ბაიანის ღვინო მზატე და ნაკლებ დამახასიათებელია,
მაგრამ დაძველების ხანაში ნახ, საკმაოდ სასიამოვნო ბუკეტს ივითარებს.
ბაიან-შირეი ბუერგაზს წააგავს, თუმცა მისგან განსხვავდება მარცვ-
ლის სისხოთი და აგებულებით; საფიქრებელია, რომ ეს ორი ჯიში ერთი
მოდგმისაა.

თეთრი მუსკატი (Muscat Blanc)

სინონიმი: Muscat de Frontignan, Muscat de Lunel (ფრ.), Muscatel
de Douro, Uva de Gheiro (პორტ.), Beia dinca (უნგრ.), Moscatel Morisco
(ესპ.), Moscato bianco (იტალ.), Muscateller gelber (გერმ.) და სხ.

მუსკატი ხასიათდება მომრგვალო, საშუალო სიფართის საკმაოდ და-
ნაკეთილი ფოთლებით, ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ოდნავ ტალ-
ღისებრივი და გლუვია, ქვედა მხარე კი ოდნავ შებუსუსულია; ოდნავ შებუ-
სულია აგრეთვე ძარღვები. ფირფიტის ზედა ამონაკეთები გაცილებით
ღრმაა, ვიდრე ქვედა ამონაკეთები. ფოთლის ყუნწის ამონაკეთის ვიწრო
ფუძე აქვს და ზოგჯერ ღია, მეტწილად კი დახურულია.

მტევანი ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრი მოყვანილო-
ბისაა და სიგრძით 13—17 სანტ., სიგანით 7—10 სანტ. აღწევს; საკმაოდ
კუმსი, მოკლე მაგარყუნწიანია. მარცვალი მოყვითალო ფერის, მრგვალი

მოყვანილობის, საშუალო სისხოსი, ან მომსხოა (16—18 მილიმ.) მარცვლის-
კანი თხელი და ელასტურია, მარცვლი წენიანი და აშკარად მუსკატი-
სებრი გემოსია. ყურძენი მეორე პერიოდის მიწურულს მწიფდება. ^{სამხრეთის}
თეთრი მუსკატი უძველეს ჯიშთა წყებას ეკუთვნის და ^{სამხრეთის}
ქვეყნების ვენახებში ძველთაგანვე საპატიო ადგილი უკავია. ირკვევა, რომ
ძველი რომაელები მას Aplanae-ს უწოდებდნენ და მისი კულტურა გავრ-
ცელებული ყოფილა.

ზომიერ და თბილ რაიონებში მუსკატის ვაზი ხშირად ზარალობს—
გამოფურჩქვნა ნაადრევად იცის, რის გამოც გაზაფხულის ნაგვიანები ყინ-
ვა ხშირად ვნებს. ეს ჯიში ხასიათდება აგრეთვე ზამთრის ყინვის ნაკლე-
ბი ამტანიანობით.

თუმცა მუსკატი სუფრის ღვინოდაც იხმარება, მაგრამ ეს ჯიში ძი-
რითადად ტკბილი ლიქიორისებრი ღვინოების დასაყენებლად გამოიყენება.
სამხრეთ რაიონებში, თბილ ფერდობებზე, მუსკატის ყურძენს ვადამწი-
ფების საშუალებას აძლევენ; ყურძენი ვაზზე ჩამოიღება, რის შედეგად აღ-
წევნ შაქრის რაოდენობის გადიდებას 35—45%—მდე; ასეთი ყურძნიდან
დამზადებული მუსკატის ლიქიორის ღვინოები კი განსაკუთრებით მაღალი
ხარისხისა გამოდის. ასეთ ძვირფას პროდუქტს იღებენ სამხრეთ ყირიმში,
ფრონტინიანში (სამხ. საურანგეთი) და მევენახეობის სხვა სამხრეთ რაიონ-
ებში. უკანასკნელ დროს სხვა წესებს ხზარობენ ლიქიორისებრი მუსკატის
ღვინოების დასაყენებლად, რის შედეგათ დანაკარგი თუმცა ნაკლებია,
მაგრამ ხარისხიც ილახება.

თეთრი მუსკატი საკმაოდ მოსაგელიანი ჯიშია, თუმცა დანამიწების შე-
დეგად მოზავალი მეტად მცირდება. ეგუება როგორც მოკლე, ისე გრძელ
სხელას, უმჯობესია მოკლე სხელა. განსაკუთრებულ ნაზ და სასიამოვნო
ბუკეტს ივიარებს ბრეშიან ნიადაგებზე.

თეთრი მუსკატი მთელ რიგ ვარიაციებს ითვლის; მათგან საკმაოდ ღი-
რებულებისაა ვარდისფერი მუსკატი, რომელიც თეთრისაგან ძირითადად
მოწითალო იისფერი მარცვლებით განსხვავდება. ამ ვარიაციის კულტურაც
შესაძლოა თეთრი მუსკატის რაიონებში.

ხ ა რ ჯ ი

სინონიმი: ხარჯუ, კატვი-აჩ, პიშიკ-ქც, კანაჩენი.

ხარჯი სომხეთის ჯიშია და ყველაზე მეტი გავრცელება სომხეთის
მევენახეობაში აქვს. მევენახეობის ამ დიდი რაიონის ნარგავების მეტი წი-
ლი ხარჯისაგან შედგება.

ხარჯი ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით. ახალგაზრდა ყლორტი
მორუხო ფერისაა, აქვს საკმაოდ გრძელი მუხლშორისები და ოდნავ შებუ-
სულია. ფოთოლი მომცრო, საკმაოდ სქელი, მუქ-მწვანე ფერისაა; ძარღ-
ვები მუქი იისფერია. ფოთლის ფირფიტა მოყვანილობით მომრგვალოა,

ხუნთნაკეთიანია და ნაკვეთები საკმაოდ ღრმად შექრილია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე გლუვი და ტიტველია, ქვედა მხარე კი — შებუსხული მოკლე ბუსუსით. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია მომსხვილო წაწვეტებული კბილანებით. ფოთლის უნწის ამონაკვეთი მომრგვალოა და ყოველთვის ღიაა.

მტევანი მოკლე, საკმაოდ კუმსი, მეტწილად კონუსისებრი მოყვანილობისაა, თუმცა ხშირად საკმაოდ ბრტყელია. მტევნის უნწი გახევებული და მკვრივია. მარცვალი მრგვალი, მომცრო, მწვანე-მოყვითალო ფერისაა და მზის მხარე ხშირად შექორფილი აქვს. მარცვლის კანი თხელია და საკმაოდ ელასტურია; კანს ემჩნევა წვრილი, მორუხო წერტილები; მათ შორის ერთი წერტილი უფრო დიდია. მარცვალი წვნიანი, ტკბილი და საკმაოდ სასიამოვნოა. მარცვალი ხშირად 4—5 წიბწას შეიცავს. მწიფდება სექტემბრის მიწურულს.

ხარჯი უხვ მოსავლიანი ჯიშია; ჰექტარზე იძლევა 100—150 ცენტნერ ყურძენს. ყურძენი ხასიათდება მეტად დიდი შაქრიანობით, რის შედეგად მისგან ძალიან მაგარი ლეინო დგება (15—17 გრდ.); ამასთან ლეინო ნაკლები მჟავიანობით ხასიათდება, რის გამოც იგი ბლანტი და მძიმეა. ხარჯი თუმცა საღვინე ჯიშია, მაგრამ სუფრის ყურძნადაც სავსებით გამოსადეგია; სომხეთში ამ ჯიშს თართოდ ხმარობენ კიდეც სუფრის ყურძნად, მაგრამ კანის სითხელის გამო ტრანსპორტს ვერ იტანს და ადგილობრივ მოხმარების სუფრის ყურძნის ჯიშად ითვლება. ხარჯის ლეინისგან მზადდება ერვენის ცნობილი კონიაკი და აგრეთვე იმიტირებული მაგარი ლეინოები (ბერესი, პორტვეინი და სხ.).

მხსამი პერიოში თეთრი ღვინის ჯიშები

ვერდელიო (Verdelho de Madeira)

სინონიმი: Verdelho branco, Verdelho de Madère.

ვერდელიოს ვაზი საკმაოდ ღონიერი ზრდით ხასიათდება. შემოსული რქა მოწითალოა, კვირტებთან კი მუქ-მოწითალო ფერს იღებს. რქის მუხლ-შორისები საშუალო ან მოგრძოა. ახლადგაფურჩქნული ყლორტი იისფრად და შებუსხული. ფოთლები საშუალო სისხოსია, მომრგვალოა და ნაკლებად დანაკვეთილია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე თხლად შეფენილია ბუსუსით. ფოთლის უნწის ამონაკვეთი ღიაა და ფუძე მომრგვალო ან ვიწრო აქვს.

მტევანი საშუალო, მეტწილად ცილინდრულ-კონუსისებრი მოყვანილობისაა და ხშირად დატოტვილია. მტევანი აგებულებით საკმაოდ მეჩხერია. ზოგჯერ მტევნის ქვემო ნაწილი კუმსია, ზედა კი მეჩხერი. მარცვალი მოყვითალო ფერის, ოვალური მოყვანილობისაა, სიგრძით 15—18 მილიმ. და სიგანით 12—15 მილიმ. აღწევს; მარცვლის კანი საკმაოდ სქე-



ქართული
ენციკლოპედია

ლია; ხორცი ნაზი და წვნიანია. ყურძენი მწიფდება მესამე პერიოდის დასაწყისს.

ვერდელიო პორტუგალური ჯიშია. მადერის განთქმულ მავარე ტყეებს პის ღვინოები ამ ჯიშიდან მზადდება. საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა და ყურძენი შემოდგომობით ულპობლად რჩება, რის გამოც ყურძნის ნაწილობრივი დანამინება ხდება. ყურძნის შედარებით გვიანი დამწიფების გამო ეს ჯიში გამოსადეგია მხოლოდ მევენახეობის თბილ რაიონებში.

სერსიალი (Sercial)

სინონიმი: Serceal, Arintho, Cerceal branco, Esgana, Esganinho, Esganoso.

სერსიალის ვაზი საკმაოდ ღონიერი ზრდა-განვითარებით ხასიათდება. შემოსული რქა მთელ სიგრძეზე თანაბარად მოწითალოა. ახლად გაფურჩქენილი ყლორტი შებუხული აქვს და განუვითარებელი ფოთლები ოდნავ მოწითალოა. ფოთოლი მსხვილი, მომრგვალო, მთლიანი ან ნაკლებ დანაკეთილია; ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ნუქ-მწვანე ფერისაა და ტიტველია, ქვედა მხარე კი—უხედაა შეფენილი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი დახურულია.

მტევანი საშუალო სისხოსი, კონუსისებრი ან ცილინდრულ-კონუსისებრია, ხშირად დატოტვილია. ფოთლის ყუნწი საკმაოდ გრძელი აქვს და 6—8 სანტ. აღწევს. მარცვალი მწვანე ან მწვანე-მოყვითალოა, მოყვანილობით ოვალურია, სიგრძით 16—18 მილიმ. და სიგანით 14—16 მილიმ. აღწევს; კანი საკმაოდ სქელი და მკვრივია; ხორცი ნაზი და წვნიანია.

სერსიალის სამშობლოც პორტუგალია. ეს ჯიში იძლევა საკმაოდ უხვ მოსავალს, მაგრამ უფრო გვიან მწიფდება, ვიდრე ვერდელიო და, გარდა ამისა, წვიმიან შემოდგომაზე იოლად ლებება. ამ ჯიშის მოსაშენებლად საჭიროა თბილი და მშრალი ამინდი შემოდგომის პირად. უკეთ ეგუება მოკლე სხვლას. ყინვის ნაკლები ამტანიანობით ხასიათდება. ძირითადად გამოსადეგია მაგარი ღვინოების დასამზადებლად და მადერაზე, ვერდელიოსთან ერთად, ცნობილ მადერის ღვინოებს იძლევა. სამხრეთ ყირიმში და უზბეკეთში კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს.

წითელი ღვინის ჯიშები

პირველი პერიოდის წითელი ღვინის ჯიშები

კ ი ნ ი

პინო შრავალ ფორმას ითვლის; ეს ფორმები ურთიერთისაგან განსხვავდებიან როგორც მორფოლოგიურად, ისე ბიოლოგიურად, და პროდუქტის ხარისხითაც. ვაზის ეს ჯიში ერთი უძველესთაგანია; Columella თითქოს მას ასახელებს, მაგრამ დოკუმენტალური უტყუარი ცნობები ამ ჯიშ-



ზე მხოლოდ XIII საუკუნიდან მომდინარეობს. ნაწილობრივ ამით უნდა აიხსნას მისი მრავალფეროვნება. ფრანგი ამპელოგრაფები პინოში შემა- ვალ ფორმებს ოთხ გჯუფად ჰყოფენ:

1. პინო შავი.
 2. პინოს ვარიაციები, რომელნიც ფერით განსხვავდებიან: თეთრი პინო, იისფერი პინო, ნაცრისფერი პინო და სხ.
 3. პინოს ფორმები, ვეგეტატური სელექციის შედეგად გამოყოფილი: ოქროსფერი, ჰერველონისა და სხ.
 4. პინო ადრეულები: მადელენ შავი, ადრეულა პინო, შავი ადრეულა პინო და სხე.
- პინოს ფორმათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია შავი პინო, ანუ პინო ფრანი.

შაში პინო (Pinot noir)

სინონიმი: Pinot fin, Franc pineau, Noir fin, Noirien, Morillon noir Pinot d'Ay, d'Hervilon, Piant medallé, Petit Bourignon, Servagnier და სხე. (საფრ.), Blauer Clävner, Rulanda, Schwarzen Asmanshauser, Sch warzer Burgunder, Süssedel, და სხ. (გერმანია), Pignolo, Pignoliga და სხ. (იტალ.).

შავი პინოს ვაზი ხასიათდება მორჩილი ზრდით, მუქი მონაცრისფრო ნაკლები სისქის რქით. შემოსული რქა შავწერტილიანია. ყლორტების წვეროები შებუსუსლია მონაცრისფრო ბუსუსით. ზრდადამთავრებული ფო- თოლი საშუალო სიდიდის, მომრგვალო მოყვანილობის, სამ ან ხუთნაკე- თიანია; ამონაკეთები ზეზურია. ფოთლის ფირფიტა მუქ მწვანე ფერისა, საკმაოდ სქელი, ქვედა მხრიდან შეფენილია თხელი ბუსუსით. კბილანები უთანასწორო, მოკლე ნაკლებ წაწვეტებულია. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის თანატოლია. ახალგაზრდა ყლორტის წვეროები შებუსუსლია.

მტევანი პატარა ან მომცრო, კონუსისებრი, საკმაოდ კუმსია. მტევნის ყუნწი მოკლე, სქელი, მოწითალო ფერისაა და ხეცდება. მარცვლის ღერუ- კა მოკლე, მაგრამ საკმაოდ მსხვილია. მარცვალი წვრილი, მომრგვალოა, სრული სიმწიფის დროს ლურჯ-მოშავო ფერისაა. მარცვლის კანი თხელია და უხვადაა შეფენილი მონაცრისფრო ვიტინით. ხორცი წვნიანი, უფერუ- ლი, სასიამოვნო-ტკბილია. ყურძენი მწიფდება პირველ პერიოდში.

შავი პინო მაღალხარისხოვან ღვინოს იძლევა. ამ ჯიშისაგან მზადდება ბურგუნდიის განთქმული წითელი ღვინოები, რომელნიც საკმაო სხეულთ, შეფერვით, სიმაგრით და ენერგიით ხასიათდებიან. შამპანში ამ ჯიშისა- გან მზადდება საუკეთესო ხარისხის შამპანური ღვინოები¹. პინო ნაკლებ

¹ შამპანურის დამზადების შემთხვევაში პინოს ყურძენს ნაკლებად წნებენ, რის გამო თითქმის უფერო წვენს იღებენ, რომელიც შემდეგში სრულიად თეთრდება. სამი წნებვის შემდეგ წითელ ანარჩენს წითელ ღვინოდ აყენებენ.



მოსავლინ, მაგრამ ხარისხოვან ჯიშად ითვლება და თავის ღირსებებს რე-
თარებს ფერდობებზე, არამშრალ პირობებში, თბილ, კირის საკმაოდ შემ-
ცველ არალარიბ ნიადაგებში. გრძელი, მაგრამ ზომიერი სხეულ, უხედა-
შავი ნაწილიდან განვითარებული ყლორტები მოსავალს არ იძლევა მის
საძირედ წარმატებით იმპარება რიპარია-რუპესტრისის და რიპარია-
ბერლანდიერის ჰიბრიდები. გაზაფხულობით კვირტი ხაადრევედ იფურჩქ-
ნება და, ამასთან დაკავშირებით, ზოგიერთ რაიონში გაზაფხულობით ზიან-
დება.

როგორც აღვნიშნეთ, ბურგუნდიაში და შამპანში შავი პინო განსა-
კუთრებით მაღალი ხარისხის პროდუქტს იძლევა, მაგრამ მძიმე, თიხნარ,
კირით ღარიბ მშრალ და ცხელ რაიონებში იგი სრულიად არ ამართ-
ლებს იმედებს.

შავი პინოს კლონებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მორილონი
(Morillon), აი (D'Ay), ჰერველონი D'Hervelon), ეოფრუა (Geoffroy).

მორილონი ხასიათდება საშუალო ღონის ზრდით, აპოტინებული
ყლორტებით, მოკლე მუხლთშორისებით და მოკლე პწკალებით. ახალგაზრდა
ყლორტის ფოთლების კიდურები გამოფურჩქენის დროს მოწითალოა. ფო-
თოლი მომცროა, თითქმის მთლიანია, ამონაკვთები ზეზეურია; ქვედა
მხრიდან ფირფიტა ძალიან ნაკლებ შებუსულია. მტევანი წვრილი, მოკლე,
პირამიდალური მოყვანილობის, მეტ შემთხვევაში მხრიანია. მტევნის ყუნ-
წი მოკლეა. მარცვალი მოწვრილო, მომრგვალოა, შავ-მოლურჯო ფერისა.
კანი თხელია და ადვილად ლბება. ეს ვარიაცია შამპანში ძლიერ გავრცე-
ლებულია.

აი ნაკლები ღონით, მაგრამ საკმაო მოსავლიანობით ხასიათდება.
მუხლთშორისები უფრო გრძელი აქვს, ვიდრე მორილონს. ფოთოლი წვრი-
ლი, მთლიანი და ქვედა მხრიდან შებუსულია. ყვავილცვენა ახასიათებს.
ყურძენი უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე მორილონი და ნაკლებ ლბება.

აი განსაკუთრებულ მაღალი ხარისხის ღვინოს იძლევა.

ჰერველონი ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით და აფშეკი-
ლი ყლორტებით. ახალგაზრდა ყლორტის წვეროები მწვანეა. ფოთლის
ფირფიტის სივანე სიგრძეს სჭარბობს. ფოთოლი ქვედა მხრიდან გლუვია.
მოსავალს საკმაოდ ღზეს იძლევა. ჰერველონი მორილონზე მოგვიანებით
მწიფდება და მტევნის ყუნწი დიდხნის განმავლობაში მწვანე რჩება. ყურ-
ძენი იოლად ლბება. უხემოსავლიან წლებში მარცვალი მოწითალოა და
3—4 წიპწას შეიცავს.

ეოფრუა ნაკლები ღონისაა, მაგრამ საკმაოდ მოსავლიანია. მტევა-
ნი შეკრული, სადა აქვს, მხარი არ უფითარდება, მორილონზე მოგვიანე-
ბით მწიფდება. უხვი გამოსავალი აქვს, მაგრამ ღვინო შედარებით ნაკ-
ლები ღირსებისა დგება.

პინოს მრავალ ვარიანტათა შორის აღსანიშნავია ნაცრისფერი პინო (Pinot Gris), პინო მენიე (Pinot Meunier, Farineux), თეთრი პინო (Pinot Blanc), მისი სინონიმ. პინო შარდონე (Pinot blanc char-donay).

სიხეველი




12. ნაცრის ფერი პინო.

ნაცრისფერი პინო ხასიათდება კუკუიან-მონაცრისფრო, წვრილი, მოკლე მტევნებით. იგი უფრო უხვ მოსავალს იძლევა, ვიდრე შავი პინო და კარგად ეგუება თიხნარ-კირნარ ნაღებებს. მისგან მზადდება როგორც

შამპანური ღვინო (მევენახეობის ჩრდილო რაიონებში), ისე მალაღაზრს ხოვანი ლიჭიორის ღვინოები (მევენახეობის სამხრეთ რაიონებში).

პინო მენიე შავი პინოსაგან განირჩევა ახალგაზრდა ყლორების წვეროების უხვი თეთრი შებუსვით; ახალგაზრდა ფოთლებს კვირის განმავლობაში მოთეთრო ელფერი აქვთ ასეთივე შებუსვის გამო. ფოთოლი და ყლორტ მონაცრისფროა. მტევანი კუმსი და მომცროა. მოსავალს უფრო უხვს იძლევა, ვიდრე შავი პინო. გაზაფხულის ყინვებისადმი იმდენად მგრძობიარე არ არის რაც უხვ შებუსვას უნდა მიეწეროს. კარგად შეფერილ და კარგი ხარისხის ღვინოს იძლევა, მაგრამ არა ისე ნაზს, როგორც შავი პინო.



სურ. 13. თეთრი პინო.

თეთრი პინო (Pinot Blanc, Pinot blanc Chardonay) წარმოადგენს შავი პინოს ვარიაციას. ხშირად მას შარდონესაც უწოდებენ, მაგრამ ეს ვარიაცია აშკარად შავი პინოს ვარიაციაა, პინოების ჯგუფს

ეკუთვნის და შარდენესაგან საგრძნობლად განსხვავდება. ვაზი ყველაფერით წააგავს შავ პინოს; სუსტი ზრდა და მცირე მოსავლიანობა ამასვე ახასიათებს. საკმაოდ მაღალი ხარისხის ღვინოებს იძლევა, მაგრამ შამპანურის წარმოებისთვის შავ პინოს ამჯობინებენ.

საქართველოში მაღალხარისხოვანი შამპანური ყაიდის ღვინოს წარმოებასთან დაკავშირებით საფრანგეთიდან შემოტანილია რამდენიმე ასიათასი დამყნობილი შავი პინოს ვაზი. მისი კულტურა ნავთლისხმევი კირნარ ნიადაგებში, ძირითადად ორჯონიკიძის რაიონში.

შაში შაში (Gamay noir)

სინონიმი: Gamay Beaujolais, Petit Gamai, Gamay Picard, Gamay Nicolas, Petit Bourginon, Bourginon noir, Gamay rond, Gamai fin, Grand Liverdun, Blauer gamet და სხვ.

ვაზი ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით, ღია მიხაკის ფერის და ზოგჯერ მონაცრო ფერის რქით, რომელზეც მუქი ლაქები და წერტილები ემჩნევა. ფოთოლი საკმაოდ დიდი აქვს; საკმაოდ სქელი, ტყავისმაგვარი. ფოთლის ფირფიტა ღრმად დანაკვეთილია; ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია მსხვილი ოდნავ წვეტიანი კბილანებით.

მტევანი საშუალო ან მომსხოა, მოკლე, პირამიდალური მოყვანილობისა და მეტ შემთხვევაში კუმსია. მტევანის ყუნწი ძალიან მოკლე, სქელი და გახევებულია; კლერტი მწვანეა. მარცვალი თითქმის საშუალო სისხოსი, მომრგვალო, მუქ-მოლურჯოა და შეფენილია მრავალი ვიტინით. მარცვლის კანი თხელია; მარცვალი წვნიანი, ტკბილი და საკმაოდ სასიამოვნოა.

გამე მრავალ ვარიაციას ითვლის, მაგრამ ყველაზე მეტად შავი გამე გვხვდება.

ეს ჯიში ხასიათდება საკმაოდ უხვი და თანაბარი მოსავლით ღრმა ღონიერ ნიადაგებში; ამ შემთხვევაში იძლევა უბრალო მასობრივი ხასიათის სუფრის წითელ ღვინოს. მწირ, ხრეშიან, გრანიტიან ნიადაგებში კი მცირე მოსავალს, მაგრამ მეტად მაღალი ხარისხის ღვინოს იძლევა. გამე შეიძლება ჩაითვალოს, რიგიანი მასობრივი პროდუქტის მომცემ ჯიშად მევენახეობის ჩრდილოეთ რაიონებისათვის, მით უმეტეს, რომ ვიშნეტაციას დროზე ასრულებს და ყინვის ამტანიანობით ხასიათდება. ეკუთბა როგორც მოკლე, ისე გრძელ სხვლას.

პირველ პერიოდის წითელი ღვინის ჯიშებს ეკუთვნის აგრეთვე პორტუგალიზერი (იხ. გვ. 170).

მეოცე პერიოდის წითელი ღვინის ჯიშები

კაბეაჲ სოვენიონი (Cabernet Sauvignon)

სინონიმი: Petit cabernet, Vidure, Petite vidure, Carbonet, Marchoupet და სხ.

ვაზი ხასიათდება საშუალო ღონით, მაგრამ საკმაოდ სწრაფი განვითარებით. შემოსული რქა საკმაოდ სქელი, მოწითალო და აშკარად ზოლია-



სურ. 14 კაბეჩნე სოვიწლიანი.

ნია. მუხლშორისები საშუალო სიგრძისაა და მუხლები უფრო მუჭულ შედეგ-
ბილია. ახლად გაფურჩქნილი ყლორტი შებუსუსულია და ნახმოწითალო ფე-
რისაა. ფოთოლი საშუალო სიდიდისაა, მომრგვალოა, ტალღისებრი ზედა
პირი აქვს და ხუთნაკეთიანია; ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე მუჭ-მწვა-
ნეა და ტიტველი. ქვედა მხარე კი შეფენილია თხელი აბლაბუდისმაგვარი
ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მეტ შემთხვევაში კიდევებთან და-
ხურული და ყუნწთან ღია მომრგვალოა. ფოთლის ფირფიტის კიდეები
დაკბილულია მომსხვილო, არათანაბარი მოყვანილობის კბილანებით.

მტევანი საშუალო სისხოსი ან მომცრო ცილინდრულ-კონუსისებრი
მოყვანილობისაა და ხშირად დატოტვილია; მტევანი აგებულია ზოგ-
ჯერ სავაოდ მენჩერია; მეტშემთხვევაში კი საშუალო სიკუმისაა. მტევნის
ყუნწი გრძელია (6—7 სანტ.) და მხოლოდ ნაწილობრივ ხევდება. მარცხ-
ლის ღერუკა მწვანეა. მარცვალი მრგვალი ან მომრგვალოა, მომცროა (12—
14 მილიმ.) და თხლად შეფენილია ვიტინით; მარცხლის კანი სქელი და
მკვრივია; ზორკი წვნიანი და ფუფრულია; ხასიათდება თავისებური გემო-
თი. ყურძენი მწიფდება მცირე პერიოდში.

კაბერნე სოვინიონი ფრანგული ჯიშია. ამ ჯიშიდან მის სამშობლო-
ში (ეირონდა) მხადდება ბორდოს ლეინოები, რომელთაც მსოფლიოში
სუფრის წითელ ლეინოთა შორის ჯერ მეტოქე არ ჰყავთ (შატო-ლაფიტი
შატო მარგო და სხ.). საფრანგეთის გარდა კაბერნეს ვაზები შევენახეობის
სხვა ქვეყნებშიაც გვხვდება. საუკეთესო ხარისხის პროდუქტს იძლევა თიხ-
ნარ-ხრეშიან ნიადაგებზე, თბილი ზომიერი კლიმატის არა გადაშეტებულ
შშრალ პირობებში. კირნარ და კირით ჰარბ ნიადაგებზე, აგრეთვე ცხელ
რაიონებში კი მისგან ნაკლები ღირსების ლეინო დგება.

კაბერნე მოითხოვს გრძელ სხვლას, რადგან ქვედა კვირტები მეტ შემ-
თხვევაში უნაყოფო ყლორტს იძლევა. მოსავალს დიდს არ იძლევა, მაგ-
რამ სავაოდ თანაბარი მსხმოიარობით ხასიათდება. კაბერნე ხასიათდება
პრაქტისადმი სავაო გამძლეობით და ყურძენიც დიდ გამძლეობას იჩენს
ლბობისადმი.

კაბერნე ფრანკი (Cabernet franc)

სინონიმი: Cabernet gris, Grosse vidure, Gros cabernet, Véronais
და სხვ.

კაბერნე ფრანკი ხასიათდება ღონიერი ზრდით. შემოსული რქა სქე-
ლია და წითელ-მოყვითალოა. ახლად გაფურჩქნილი ყლორტი შებუსუსულია
ღია მორუხო ბუსუსით. ახალგაზრდა ფოთლის კიდეები და ქვედა მხარე
მოიხსტროა; ფოთოლი საშუალო სისხოსია, ღრმად დანაკეთილია და რალ-
ლისებრივე ზედაპირი აქვს. ფოთლის ფირფიტის ზედაპირი მუჭ-მწვანე
ფერისა და ტიტველია, ქვედა მხარე კი შებუსუსულია თხელი აბლაბუდისებრი

ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი შეტწილად ღიაა და ამონაკეთის მოყვანილობა მრავალფუძანია.

ეროვნული
ზიზლიწიქა



სურ. 15. კაბერნე ფრანკი.

მტევანი მომცრო ან საშუალო სისხოსია, ცილინდრულ-კონუსისებრი მოყვანილობისაა და ზოგჯერ დატოტვილია; აგებულებით საკმაოდ კუმ-

სია; მტევნის ყუნწი საშუალო სიგრძისაა (4—5 სანტ.). მარცვლი ზედი, მრგვალი ან მომრგვალოა, ზოგჯერ 14—16 მილიმ. აღწევს და უზღავდაა შეფენილი ვიტინით; მარცვლის კანი სქელი და მკვრივია; ხორცი მკვრივი და წვნიანია და თავისებური გემოთი ხასიათდება. ყურძენი მწიფდება ცოტა უფრო მოგვიანებით, ვიდრე კაბერნე სოვინიონი.

კაბერნე ფრანკი ძალიან წააგავს კაბერნე სოვინიონს და მისგან ძირითადად განსხვავდება უფრო ღონიერი ზრდით, ნაწილობრივ იმ მორფოლოგიურა თავისებურებით, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ და, ყურძნის 7—10 დღით უფრო გვიან დამწიფებით. კაბერნე ფრანკი კარგად ეგუება კირნარ, ხრეშით მდიდარ ნიადაგებს და ასეთ პირობებში მეტად მაღალი ღირსებისა გამოადის. მისი ღვინო უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე კაბერნე სოვინიონის, მაგრამ შეფერვით და ბუკეტით უფრო ნაკლები ხარისხისაა.

მევენახეობაში ცნობილია კაბერნეს სხვა ვარიაციებიც, მაგრამ მათ შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვთ. კაბერნეს ვარიაციათა შორის პირველ ადგილს აკუთვნებენ კაბერნე სოვინიონს, მეორეს—კაბერნე ფრანკს, დანარჩენებს კი მესამე ადგილს აკუთვნებენ.

კაბერნეს არც ერთი ვარიაცია დიდი მოსავლიანობით არ ხასიათდება. იგი მაღალხარისხოვან წითელი სუფრის ღვინის ჯიშია და მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა შენდებოდეს მევენახეობის იმ რაიონებში, სადაც შესაძლოა ამ ჯიშისაგან მაღალი ღირსების ღვინის მიღება.

საბჭოთა კავშირის მევენახეობის ზოგიერთ რაიონში კაბერნემ საკმაო ყურადღება დაიმსახურა, სახელდობრ ანაპის რაიონში, სამხრეთ ყირიშში და სამხრეთ უკრაინაში. კახეთში ზოგიერთი წლის „თელიანის“ ზერის კაბერნე მეტად მაღალი ხარისხის პროდუქტს იძლევა, რომელიც ღირსებით არ ჩამოუვარდება ამავე ჯიშიდან დაყენებულ ბორდოს საუკეთესო ღვინოებს.

ჟარბ-შირში

სინონიმი: შირეი, მატრასა.

ჟარბ-შირეი აზერბაიჯანული ჯიშია; მატრასის ცნობილი წითელი ღვინოები ამ ჯიშისაგან მზადდება. იგი ითვლება აზერბაიჯანის საუკეთესო წითელი ღვინის ჯიშად. დიდი რაოდენობითაა გავრცელებული შემახის მევენახეობის რაიონებში, ნაწილობრივ კი გეოქაის და კიროვობადის რაიონში.

ვაზი ხასიათდება საშუალო ზრდა-განვითარებით, საშუალო სისხოს ღია რუხი ფერის რქით, საშუალო სიგრძის მუხლშორისებით. ფოთლის ფორფიტა საკმაოდ დიდი და ხუთნაკეთიანია. ფორფიტის ზედაპირი მუქმწვანე ფერისაა და ოდნავ აბურცულია, ქვედა მხარე კი ღია მწვანეა, ტიტველია და მხოლოდ ძარღვები აქვს ოდნავ შებუსუსლი. ფოთლის ყუნწის

ამონაკვეთი დახურული ან ნახევრად დახურულია; ამონაკვეთის ფუძე ოვალური მოყვანილობისაა.

მტევანი კონუსისებრი მოყვანილობის, დატოტვილი და სპილენძისებრი კუმისისაა; სიგრძით 15—18 სანტ. და სიგანით 12—14 სანტ. ცვალი მრგვალი, შავი, საშუალო სისხოსია (14—16 მილიმ.) და უბად არის დაფენილი ვიტინით. ხორცი ოდნავ ლორწოიანი და ოდნავ მოწითალოა. გემოთი ტკბილია და თავისებურებით ხასიათდება. საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა; უკეთ ევლება გრძელ სხვლას; სოკოვან ავადმყოფობისაღმი ნაკლები გამძლეობით ხასიათდება.

ყარა-შირეი იძლევა მაღალი ხარისხის, კარგად დაფერილ, საკმაოდ ნაზ სუფრის წითელ ღვინოს შედარებით მწირ ურწყავ ნიადაგებში; სარწყავ ვენახებში კი, თუმცა უხვ მოსავალს იძლევა, მაგრამ ძვირფასი სპეციფიკური ჯიშური თავისებურება ეკარგება.

სერეკსიბ (Cepekcuax)

სინონიმი: Negra-rara, Cepekcuax, Pacmpena, Zottler, Pexavorpodux, Бабаска და სხ.

ეს ჯიში გამოსადეგია მასობრივ წითელი ღვინოების წარმოებისათვის. საკმაოდ გავრცელებულია მოლდავიაში და ნაწილობრივ უკრაინაში. ითვლის რამდენიმე ვარიაციას, რომელთა შორის შავი სერეკსია უკეთეს ვარიაციად ითვლება.

სერეკსიას მტევანი მეჩხერი აგებულების, გრძელი და დატოტვილია; მარცვალი მომცრო, მრგვალია და შავ-მომუქო ფერისაა. წვენი უფერული აქვს. საკმაო გამძლეობას იჩენს კრაქისადმი. უხვ მაგრამ არა თანაბარ მოსავალს იძლევა.

მესამე კვირის წითელი ღვინოს ჯიშები

მურვედი (Mourveder).

სინონიმი: Mourvèdre, Catalan, Nègré, Eiranglechien, Bénada, Espar (საფრ.), Mataro (იტალ.), Tinto, Tinta, Tintillo de Luxar (ესპ.).

ვაზი ხასიათდება ღონიერი და ლალი ზრდით, ახალგაზრდა გაფუჩქვნილი ყლორტი და ფოთლები უხვად შებუხებულია თეთრი ბუსუსით. რქა საკმაოდ მსხვილია. მუხლშორისები საშუალო სიგრძისაა. ფოთლი საშუალო სისხოსი, მომრგვალო, ნაკლებ დანაკვეთილი და ხშირად მთლიანია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე მუქ-მწვანე და ტიტველია, ქვედა მხარე კი უხვადაა შებუხებული თეთრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მეტწილად ღიაა; ფოთლის ყუნწის ფუძე მომრგვალო და იშვიათ შემთხვევაში ვიწროა; ძარღვები მწვანეა.

მტევანი საშუალო სისხოსია, მოყვანილობით კონუსისებრი ან კონ-
ლინდრულ-კონუსისებრია და ხშირად დატოტვილია; აგებულებით მეტად
კუმსია. ფოთლის ყუნწი მოკლეა და მწვანე. მარცვლის ყუნწი მწვანეა,
საკმაოდ მსხვილია, სიგრძით 5—6 მილიმ. აღწევს. მარცვალზე მწვანეა,
ყვანილობით მრგვალი, ხშირად 17—20 მილიმ. აღწევს. მარცვლის კანი
სქელია და უხვად არის შეფენილი ვიტინით; მარცვალი წვნიანი და უფე-
რულია, გემოთი უბრალოა.

მურვედი ესპანური ჯიში უნდა იყოს. ფართოდაა გავრცელებული სამ-
ხრეთ საფრანგეთის და ჩრდილო ესპანეთის მევენახეობის რაიონებში. საბ-
ჭოთა კავშირის მევენახეობის თბილ რაიონებში მურვედის კულტურას მის-
დევენ, მაგრამ არა ფართო მასშტაბით.

მურვედი ხასიათდება უხვი და თანაბარი მოსავლით. ვახის გამო-
ფურჩქვნა დაგვიანებით ხდება და ამის გამო გაზაფხულის ნაგვიანები ყინ-
ვების არ ეშინია. მოკლე სხვლას მოითხოვს. სოკოვან ავადმყოფობისადმი
ნაკლებ გამძლეა.

მურვედის ღვინო კარგ საკუბაეო მასალად ითვლება, კარგად ეკუება
თითქმის ყოველგვარ ნიადაგს.

მურვედის ყურძნიდან შეიძლება მივიღოთ როგორც თეთრი ღვინო,
ისე ყურძნის შეჭკნობის შედეგად რიგიანი ტკბილი ღვინო.

მორასტელი (Morrastel)

სინონიმი: Mourastel, Monastel, Plant de Ledenon (საფრ.), Muristellu
(სარდინია), Monastrel (კერმ.), Morostel, Torrentes, Caica, Monastelle
(ესპან.).

მორასტელი ბევრით წააგავს მურვედს, ოღონდ ხასიათდება ფოთლის
ყუნწის დახურული ამონაკვეთით, მეჩხერი მტევნებით და შედარებით მომ-
ცრო მარცვლებით. მორასტელის კულტურა საბჭოთა კავშირში ნაკლებად
არის გავრცელებული. საფრანგეთში და ესპანეთში კი თითქმის ისეთივე
რაოდენობით და იმავე რაიონებში გვხვდება, როგორც მურვედი.

მორასტელის ღვინო უფრო მუქი ფერისაა, მეტი სიმაკრიოთ ხასიათ-
დება, ვიდრე მურვედის ღვინო, მაგრამ მოსავალი და გამოსავალიც მორას-
ტელის ყურძნის შედარებით უფრო ნაკლები აქვს, ვიდრე მურვედისას.

კ ა ხ ე ბ ი

ამ სახელწოდებით სომხეთში გავრცელებულია წითელი ყურძნის ჯი-
ში, რომელსაც თუშცა „კახეტი“ ეწოდება, მაგრამ კახეთში ფართოდ გავრ-
ცელებულ არც ერთ ყურძნის ჯიშს არ წააგავს. საფიქრებელია, რომ აღ-
გილობრივი პირობების ზეგავლენით ამ ჯიშმა საგრძნობი მოდიფიკაცია
განიცადა. იგი მხოლოდ ნაწილობრივ წააგავს კახური საფერავის ერთ-ერთ
ვარიანტს; უმკველია, შემდეგი გამოკვლევები ამ საკითხს მეტ ნათელს
მოჰქვენს.

კახეტი ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით. ახლად გამოფერ-
ჩენილი ყლორტი შებუსუსულია მოკლე ბუსუსით. მუხლშორისები საშუალო
სიგრძისაა და სრული შემოსვლის დროს რუხ-მოწითალოა. ფოთოლი
საშუალო სისხოსი, მომრგვალო მოყვანილობის, საკმაოდ სქელია. ფოთლის
ფირფიტის ქვედა მხარე შებუსუსულია მოკლე ბუსუსით. ფოთლის ყუნწის
ამონაკვეთი ღიაა და ფუძე მომრგვალოა.

მტევანი მოგრძო, მომცრო, დატოტვილი, მეწერი აგებულებისაა.
მტევნის ყუნწი მოკლე და წერილია. მარცვალი, მომრგვალო ან რგვალი,
საშუალო სისხოსი, თითქმის შავია და მოპრკუყვილო. მარცვლის კანი საკ-
მაოდ მკვრივია. მარცვლის ხორცი წვნიანი და უფერულია.

ეს ჯიში ხასიათდება უხვი და თანაბარი მოსავლიანობით. იძლევა,
საკმაოდ დაფერილ წითელ ღვინოს და გამოსადეგია როგორც საკუბაყედ,
ისე მაგარი ღვინოების დასაყენებლად.

ქიშიშის შურძნის ჯიშები

ა ს კ ა რ ი

ვაში ხასიათდება საშუალო ღონის ზრდა-განვითარებით. ახალგაზრდა
ყლორტი წახნავოვანია. შემოსული რქა მკვრივი, მომიხაკისფრო და საშუა-
ლო სიგრძის მუხლშორისებიანია. ახალგაზრდა ფოთოლი მოპრკუყვილოა
და ფოთლის ფირფიტის კიდე ოდნავ მოწითალოა, ზედა მხრიდან ოდნავ
შებუსუსლი. პწკალები მომცრო, მოწითალო-მომიხაკისფრო და ნაკლებ
განვითარებულია. ზრდადასრულებული ფოთლის ფირფიტის სიგანე ფოთ-
ლის სიგრძეს სჭარბობს. ფოთოლი შედარებით წვრილი და ხშირად შეიღ-
ნაკეთიანია. ნაკვებები ზოგჯერ ღრმად იჭრება ფოთლის ფირფიტაში.
ფოთლის ფირფიტის კიდე დაკბილულია წვრილი და ჩლუნვი კბილანებით.
ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღიაა. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ტი-
ტველია, ქვედა მხარე კი უხვად შეფენილია მოთეთრო ბუსუსით.

მტევანი საშუალო სისხოსი და საშუალო სიკუმისაა, მოყვანილობით
კონუსისებრია, ზოგჯერ ოდნავ დატოტვილია; მტევნის ყუნწი წვრილი და
ნაზი აგებულებისაა. მარცვალი მოგრძო მოყვანილობის, ღია-მომწვანოა,
ლამაზი და მომცროა; მარცვლის კანი უხვად შეფენილია ვიტინით, თხე-
ლია, მაგრამ საკმაოდ მაგარია. მარცვლის ხორცი მეტად წვნიანი, ტკბი-
ლი და სასიამოვნოა. სურძენი მწიფდება პირველი პერიოდის დასაწყისს.
მარცვალი ერთ-ორ ნაკლებად განვითარებულ წიბწას შეიცავს, ზოგჯერ
მხოლოდ წიბწის ჩანასახები გვხვდება. სრული სიმწიფის დროს მარცვალი
იოლად სცივია კლერტს.

ასკარი უხვმოსავლიანი ჯიშია. იგი გვხვდება სომხეთში და ნაწი-
ლობრივ აზერბაიჯანში. ადგილობრივი მოხმარების სუფრის ყურძნის კარგ
ჯიშად ითვლება; კარგია აგრეთვე ქიშიშის დასამზადებლად. ასკარის ქიშ-
შიში ჩალისფერი, მეტად ლამაზი და გემრიელია. თუ შემოდგომით წვიმები

დაუდგა, ყურძენი იოლად ლებდა. ნაცარი საკმაოდ აზიანებს. როგორც მოკლე, ისე გრძელ სხვლას, მაგრამ მოსავლის სიუხვის ჯობენია ამ ჯიშის მოკლედ სხვლა, მეტი რქის დატოვებით. ბებში ასკარის კულტურა უარყოფით შედეგებს იძლევა.

პროფ. როლოვის ცნობით ნახეჩევანის რაიონში გვხვდება ასკარის ვარიაცია, რომელიც უფრო მსხვილი მარცვლით ხასიათდება; ყველა დანარჩენი ნიშანთვისებით კი ზემოხსენებულ ჯიშს ემთავსება.

მარმარი (მარმარილოს ძიშშიში)

სინონიმი: თეთრი ქიშშიში.

ვაზი ხასიათდება საშუალო ან მომცრო ზრდა-განვითარებით, მორუხო რქით, ნაკლებად მკვრივი მერქნით და მოკლე მუხლშორისებით. ახალგაზრდა ფოთლის ფირფიტა მეტწილად ზოლიანია. მწვანე ზოლი თეთრი ზოლით იცვლება. ზრდადასრულებული ფოთოლი მომრგვალოა, ხშირად მთლიანი ან ნაკლებ დანაკვთილია. ძარღვები მსხვილი, ღია-მწვანე ფერისა და ოდნავ შებუსუსულია. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია მსხვილო, წაწვეტებული კბილანებით. ფირფიტის ორთავე მხარე ტიტველია და ზოგჯერ მოთეთრო ზოლები აქვს. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღიაა, ფირფიტაში ღრმად შეჭრილია და ვიწროა.

მტევანი საშუალო სისხოსი, კონუსისებრი მოყვანილობის და ზოგჯერ საკმაოდ კუმში აგებულებისაა. კლერტი ღია-მწვანეა, მტევნის ყუნწი მოკლე, წვრილი, ღია-მწვანეა და შეფენილია მორუხო წერტილებით. მარცვალი წვრილი ოდნავ ოვალური, მოთეთროა და თეთრ მარმარილოს მოგვაგონებს, კანი თხელი, საკმაოდ სქელი და თეთრია. მარცვლის ზორცი წვნიანი და ტკბილია. წიპწების მაგიერ 2—3 წვრილი ჩანასახი აქვს. ყურძენი მწიფდება პირველ პერიოდში და უხვ მოსავალს არ იძლევა.

მარმარი გვხვდება სომხეთის მევენახეობის ზოგიერთ რაიონში, მასობრივად მის კულტურას არსად არ მისდევნ. ამ ჯიშისაგან მზადდება მაღალი ხარისხის ღია ნამჯისფერი ქიშშიში. სილამაზის მხრივ მის მეტოქე არ ეყოლებოდა, რომ უფრო მომსხო მარცვალი ქონდეს და უფრო უხვი მოსავლიანობით ხასიათდებოდეს. თავისთავად ცხადია, რომ ამ ჯიშის საქიშმიშედ მოყვანა, როგორც სხვა ქიშშიშებისაც, შეიძლება მხოლოდ მშრალ და თბილ შემოდგომიან რაიონებში.

მარმარის ფოთლები ზოგჯერ კრელია და ფირფიტა დაზოლილია თეთრი და მწვანე ზოლებით.

პვითელი ძიშშიში

ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდა-განვითარებით, მეტად გრძელი რქით, რომელიც შემოსვლის დროს მუქ-მოყავისფერო ხდება. მუხლშორისები საკმაოდ გრძელია და ხშირად 15 სანტიმეტრს აღემატება. მერ-

ქანი მკვრივია. ფოთოლი დიდი, მომრგვალო და თითქმის მთლიანია; ზოგჯერ ხუთნაკვთიანია, მაგრამ ნაკვთები შედარებით ზეზეურია. ფოთლის ფირფიტა ღია-მწვანეა და ორივე მხრივ ტიტველია; ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია მსხვილი, გრძელი, წაწვეტებული, ოდნავ დახრილი კბილანებით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი საკმაოდ ღრმად შექრილი და თითქმის ყოველთვის დახურულია. ღია-მწვანე პწკალები გრძელი, სქელი, კარგად განვითარებულია და სიგრძით 30 სანტ. აღწევს.

მტევანი გრძელია, ხშირად 40 სანტიმეტრს და მეტსაც აღწევს; მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსისებრია და საშუალო სიკუმსისაა. ზოგჯერ ზევითა კუფხლები იმდენად ვითარდება, რომ რთული მტევნის შთაბეჭდილებას სტოვებს. მტევნის ყუნწი სქელი, ღია-მწვანეა, ზოგჯერ მოყვითალოა. მარცვლის ლერუკა წვრილი, მოკლე, ღია-მომწვანოა და კოერტზე ისე მაგრადაა მიმაგრებული, რომ მოწყვეტისას მარცვლიანად შორდება. მარცვალი სრული სიმწიფის დროს ღია-მოყვითალოა მოთეთრო იერით, მოყვანილობით ოდნავ მოგრძოა, სისხოთი კი მომცროა. მარცვლის კანი სქელა, საკმაოდ ელასტურია და მზის მხარე შექორფილი აქვს. მარცვლის ხორცი წვნიანი, ნაზი, მეტად ტკბილია. მარცვალში წიპწის 2-3 ჩანასახია. ყურძენი მწიფდება პირველ პერიოდის გასულს.

ყვითელი ქიშმიში უხვი მოსაეულით ხასიათდება; საჭიროებს გრძელ, მაგრამ არახარბ სხვლას; კარგად ეგუება ტალავრად ზრდას. ამ ჯიშისაგან საკმაოდ დიდი რაოდენობით მზადდება ქიშმიში. გამოსადეგია აგრეთვე სუფრის ყურძნადაც. ტალავრად აღზრდილი თუშცა უფრო მოგვიანებით მწიფდება, მაგრამ უკეთესი და დეკორატიული მტევნები უვითარდება.

წითელი კიშმიში

ვაზი საკმაოდ ღრმისაა, ივითარებს გრძელ ყლორტებს, რომელნიც შემოსვლის დროს მორუბოა, ხშირად მეტი ზოლებით. მუხლშორისები სიგრძით 16-18 სანტიმ. აღწევენ. ახალგაზრდა ფოთოლი მომრგვალოა, ორივე მხრიდან შებუსულაა ნაზი ბუსუსით, მწვანე-მოვარდისფროა და გამოფურჩქენის უმაღლე იშლება. ზრდადსრულებული ფოთოლი მომრგვალოა, საკმაოდ დიდი და არათანაბრად დანაკვთილია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღრმადაა შექრილი, მეტწილად დახურულია და ფუძე ვიწრო მოყვანილობისაა. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია მსხვილი კბილანებით. ფოთოლი გლუვია.

მტევანი მსხვილი, გრძელი, დატოტვილი, ცილინდრულ-კონუსისებრი მოყვანილობისა და საშუალო სიდიდისაა მტევნის ყუნწი, მოკლე და სქელია, მომწვანო იერისა. მარცვლის ლერუკა მოკლე და წვრილია, მაგრადაა მიმაგრებული მარცვალზე. მარცვალი მომცრო ან წვრილი, კვერცხის-მაგვარი მოყვანილობის და მოწითალოა, ოღონდ ეს სიწითლე არათანაბარია. მარცვლის კანი თხელი და საკმაოდ ელასტურია, შეფენილია ვიტ-

ნით, რომელიც მას ლაზათს მატებს. მარცვლის ხორცი წვნიანი, ფერული და მეტად ტკბილია. მარცვალი შეიცავს წიპწის მხოლოდ 2-3 ნაწილს. ყურძენი მწიფდება პირველ პერიოდში.

საქონლის
202

წითელი ქიშმიში უფრო ნაკლებმოსავლიანია, ვიდრე ყვითელი ქიშმიში; ამიტომ ამ ჯიშის გამრავლებას შედარებით ნაკლებ მისდევენ. ამ ჯიშისაგან დამზადებული ქიშმიში მუქია; ასეთ ქიშმიშს ნაკლები საბაზრო ღირებულება აქვს.

ბ უ ა კ ი

სინონიმი: აბაკი, საბზანური.

ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდით, სქელი, აფშეკილი, ყვითელ-მორუხო რქით და საშუალო სიგრძის მუხლშორისებით. ფოთოლი დიდი, ხუთნაკეთიანი და ორივე მხრიდან გლუვია. ფოთლის ფირფიტის ამონაკეთები ზეზეურია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი მომრგვალო და ღიაა.

მტევანი საშუალო სისხოსია, კონუსისებრი მოყვანილობის, ხშირად მხრიაანი და კუმსი აგებულებისაა. მტევნის ყუნწი გრძელი და მაგარია. მარცვალი მრგვალი, საშუალო სისხოსი, ბაც-მომწვანოა. კანი თხელი და წვრილია და დაფარულია მოშავო წერტილებით. მარცვლის ხორცი წვნიანი, ტკბილი, ნაკლებგანვითარებული წიპწებით. მწიფდება პირველ პერიოდში.

ბუაკი საკმაოდ უხვმოსავლიანი ჯიშია. გავრცელებულია შუა აზიის რესპუბლიკებში და ძირითადად ქიშმიშის დასამზადებლად იხმარება. მაგარ, მაგრამ უხასიათო ღვინოს იძლევა.

ქიშმიშის დასამზადებლად იხმარება მთელი რიგი სხვა ჯიშები; მაგ. ალექსანდრიული მუსკატი (ესპანეთი, კალიფორნია), სულტანინი, ყარა-ქიშმიში და სხ.

ბ ა დ ა ზ ი ს ჯ ი შ მ ა ზ ი

მ ა ს ა რ ზ ა

სინონიმი: მასარგა.

ვაზი ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით, სქელი რქით და საშუალო ზომის მუხლშორისებით. ფოთოლი ნორმალურია, საშუალო სიფართისა და ხუთნაკეთიანია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე გლუვი და ტიტველია, ქვედა მხარე კი შებუსუსულია. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია წვრილი, არა თანაბარი, წაწვეტებული კბილანებით.

მტევანი საშუალო სისხოსია, მხრიანი და საკმაოდ კუმსია. მტევნის ყუნწი გრძელი და წვრილია. მარცვალი მსხვილი, მრგვალი, სრული სიმწიფის დროს თეთრ-მოყვითალოა და შეფერილია ვიტინით. მარცვლის ხორცი საკმაოდ მკვრივი და მეტად ტკბილია. მარცვლის კანი სქელია და საკმაოდ ელასტიურია. ყურძენი მწიფდება პირველ პერიოდში.

გასარგა უზემოსავლიანი ჯიშია. იგი ხასიათდება დიდძალი შაქრის დაკროვებით და წვენიან ნეიტრალური გემოთი, რის გამოც მისგან მაღალი ხარისხის ბადაგი მზადდება. ამ ჯიშის კულტურას შუა აზიის რესპუბლიკებში მისდევენ.

შარა-უზუში (შარა-ძიშიში)

ამ ჯიშის მტევანი კონუსისებრი მოყვანილობისაა, სიგრძით აღწევს 18 სანტ. და სიგანით 13 სანტ. მარცვალი ოვალური მოყვანილობისა, საკმაოდ მსხვილი და შავია. მარცვლის კანი შედარებით თხელი და საკმაოდ ელასტურია. მარცვალი წვნიანი, მეტად ტკბილი, ოდნავ მკვრივია; შეიცავს წიბოების მხოლოდ 2—3 ნასახს. ყურძენი მწიფდება პირველი პერიოდის დასაწყისს. ამ ჯიშისგანაც მაღალი ხარისხის ბადაგი მზადდება; გამოსადევია აგრეთვე ქიშხის დასამზადებლად და ადგილობრივი მოხმარების სუფრის ყურძნად. მის კულტურას შუა აზიის რესპუბლიკებში მისდევენ.

ბ ა გ ო ბ ი

მტევანი ტიპური კონუსისებრი მოყვანილობისაა, სიგრძით 18 სანტიმეტრს და სიგანით ზედა ნაწილში 10—11 სანტ. აღწევს. აგებულებით მებნური ან საშუალოდ მებნურია. მარცვალი მრგვალი, საკმაოდ მსხვილი (20 მმ.), მუქ-შავია და უზვადაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის კანი სქელი და საკმაოდ მკვრივია. მარცვლის ხორცი წვნიანი და მეტად ტკბილია. მწიფდება მეორე პერიოდის გასულს, ზოგჯერ მესამე პერიოდში.

ტაგობი ითვლება ბადაგის საუკეთესო ჯიშად, უზე მოსაგებს იძლევა და საკმაოდ შენახვისუნარიანობით ხასიათდება. ამ ჯიშის კულტურა ფართოდაა გავრცელებული ხოჯენტის (უზბეკეთი) რაიონში.

შარანის წმინის ჯიშები

კოკურ-თეთრი

კოკურის ვაზი ღონიერი ზრდა-განვითარებით და ხანგრძლივობით ხასიათდება. რქა საშუალო სისხოსი, ყვითელ-მორუხია. ფოთლის ფირფიტა ხუთნაკვეთიანია და ამონაკვეთები ღრმად არის შექრილი ფირფიტაში. ფირფიტის ზედა მხარე მუქ-მწვანეა, მობრწყვიალო და გლუვია; ქვედა მხარე კი უზვადაა შეფენილი მოთეთრო ბუსუსით. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია მსხვილი, არათანაბრად წვეტიანი კბილანებით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი საკმაოდ ღრმა და მეტ შემთხვევაში დახურულია.

მტევანი საშუალო სისხოსი, ცილინდრულ-კონუსისებრი ან კონუსისებრი მოყვანილობისაა, ზოგჯერ დატოტვილია, აგებულებით საკმაოდ კუმისა. მწირ ნიადაგებში კი საშუალო სიკუმისისაა. მტევნის ყუნწი შუამდე გახევებულია. მარცვალი ყვითელ-მომწვანო ან მწვანეა, ოვალური

მოყვანილობისაა და წვერი ოდნავ წაწვეტებული აქვს; სიგრძით 20—22 მილიმ. და სიგანით 18—20 მილიმ. აღწევს; მარცვლის კანი საკმაოდ თხელია, მაგრამ მკვრივია; ხორცი წვნიანია და უბრალო გემოსია. მარცვლი 2—3 წიპწას შეიცავს. ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდის განსულს.

კოკურის კულტურას ყირიმში მისდევენ. იგი იძლევა საკმაოდ უხვ, მაგრამ არათანაბარ მოსავალს—იცის ყვავილის ცვენა, სოკოვან ავადმყოფობათა და ყინვების წინააღმდეგ ნაკლები გამძლეობით ხასიათდება. ამ ჯიშებიდან რიგიანი თეთრი სუფრის ღვინო მზადდება; გამოსადეგია აგრეთვე სუფრის ყურძნად, მით უმეტეს, რომ ხანგრძლივი შენახვის უნარიანობით ხასიათდება. კოკური ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო, უაღკაპოლო ყურძნის წვენის მომცემ ჯიშად.

თეთრი კლარეტი (Clairette blanche)

სინონიმი: Вивсянка (დონზე), Clairette, Blanquette (საფრ.), Granolata (იტალ.)

ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდა-განვითარებით და ხანგრძლივობით. შემოსული რქა მოწითალოა, მუხლებთან მორუხო იისფერს იღებს; მუხლშორისები მოკლე აქვს; ახლად გამოფურჩქვნილი ყლორტი უხვად შებუსუსულია მოთეთრო ბუსუსით. ფოთლის ფირფიტა საშუალო სიფართისაა, მომრგვალოა და საკმაოდ ღრმად დანაკვთილია 3—5 ნაკვთით. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ტიტველია, ქვედა მხარე კი თეთრ-მონაცრისფერია, რაც მოკლე და უხვ ბუსუსს უნდა მიეწეროს. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია წვეტეანი კბილანებით. ძარღვები ზშირად შეფერილია ფოთლის ყუნწის მახლობლად. ფოთლის ყუნწის ამონაკვთი დაბურულია.

მტევანი საშუალო სისხოსი ან მომცროა, ცილინდრულ-კონუსისებრი მოყვანილობისაა; ხშირად ზევითა კუფხალი მხრად უფითარდება; აგებულებით კუმსია. მტევნის ყუნწი შედარებით მოკლე და გახვევებულია. მარცვალი ყვითელ-მომწვანოა, საშუალო სისხოსი და ოვალური მოყვანილობისაა; მარცვლის კანი თხელი და ნაკლებ მკვრივია; მარცვლის ხორცი წვნიანი და უბრალო გემოსია. მარცვალი შეიცავს 2—3 წიპწას. ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდის გასულს.

კლარეტი ხასიათდება უხვი და თანაბარი მოსავლით. ვაზი განსაკუთრებული ხანგრძლივობით ხასიათდება თუ მეტად მწივ პირობებში არ მოხვდა. ძლიერ ღონიერ მიწებში მეტად ლაღად ვითარდება და შედეგად ყვავილი ცვივა. იგუება როგორც გრძელ, ისე მოკლე სხვლას. კვირტები გვიან ილვიძებენ; გაზაფხულის ნაკვიანები ყინვები მათ იშვიათად აზიანებს; აგრეთვე ზამთრის ყინვების საკმაოდ ამტანიანია. ნაცარს და ფილოქსერას უკეთ უძლებს, ვიდრე სხვა ევროპული ჯიშები, მაგრამ კრაქისადმი

მეტად მგრძობიარე ჯიშია. კლარეტისგან მზადდება თეთრი რიგინი სუფრის ღვინო, გამოსადეგია აგრეთვე მეორეხარისხოვან შამპანურის მასალად და სუფრის ყურძნად. იგი მიჩნეულია ერთ-ერთ საუკეთესო კაპოლო ყურძნის წვენიის ჯიშად.

პლავაი (Plavai)

სინონიმი: Poma plavaia, Poma balae, Плавая, Плакунь.

ვაზი ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით და უხვი მოსავლიანობით. ზრდადასრულებული ფოთოლი მახვილი, სქელი, მომრგვალო და მუქ-მწვანეა. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე უხედაა შებუსული; ფოთლის კიდეები დაკბილულია მსხვილი, ჩლუნგი, არა თანაბარი სისხოს კბილანებით; ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღრმა და მეტწილად დაბურულია.

მტევანი საკმაოდ მსხვილი, გრძელი, ცილინდრული მოყვანილობის და საკმაოდ კუშია; მტევნის ყუნწი მოკლე და სქელია. მარცვალი მრგვალი ან მომრგვალოა, ყვითელ-მომწვანო და საშუალო სისხოსია, ოდნავ შეფენილია ვიტინით. მარცვლის ხორცი წვნიანი და საკმაოდ ტკბილია. მარცვლის კანი საკმაოდ სქელი და მკვრივია. მარცვალი შეიცავს 2—3 წიბქას. პლავაი მოლდავეური ჯიშია. ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდში. ხასიათდება თანაბარი მოსავლით. პლავაის ღვინო ნაკლებ ალკოჰოლიანი და ექსტრაქტივ ღარიბია, უაღვსოვლო წვენი კი საკმაოდ მაღალხარისხოვანს იძლევა. პლავაის ვაზი საკმაოდ გამძლეობას იჩენს სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ. ყურძენი შემოდგომაზე არ ღებება და ამიტომ სუფრის ყურძნადაც გამოსადეგია.

სტანდარტულ ნუსხაში ჯერ შემუშავდნენ, მაგრამ სინტა-რასო უცხოეთის ზოგინათი ვაზის ჯიშები

სუფრის ურძნის ჯიშები

რ. ს. ა. კ. ი.

სინონიმი: Rasakia, Resaki, Rhosaki, Rosaki d' Anatolie, Vigne de Karabournou.

როზაკის სამშობლოდ მცირე აზია ითვლება. იგი ფართოდ არის გავრცელებული თურქეთის ევროპულ ნაწილში, საბერძნეთში, არქიპელაგის კუნძულებზე, პალესტინაში და ქვემო ეგვიპტეში. სმირნის განთქმული ქიშმინში როზაკისაგან მზადდება. ამავე დროს იგი მაღალხარისხოვან სუფრის ყურძნის ჯიშად ითვლება.

ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდა-განვითარებით. შემოსული რქალია-მოყვითალოა. მერქანი მკვრივია. ახლად გამოფურჩქნილი ყლორტი ღია-მწვანე და უბუსუსოა. ზრდადასრულებული ფოთოლი ოდნავ წაგრძელებულია, ხუთნაკვითიანია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე მუქ-მწვანეა, ქვედა მხარე კი ღია-მწვანე. ძარღვები კარგად განვითარებულია და მწვანეა. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღია და ფუქემომრგვალოა.

მტევანი მეტად მსხვილი, კონუსისებრი მოყვანილობისაა, აგებული ბოთ საშუალო სიკუმისა და რქის ბაზის მახლობლად მდებარეობს. მტევანს ყუნწი სქელი და გახვეებულია, მარცვლის ყუნწი სქელი, გრძელი და მომწვანოა. მარცვალი მსხვილი, არათანაბარი ზომის, ელიპსური მოყვანილობისა და თეთრ-მოოქროსფეროა. მარცვლის კანი სქელი და ელასტიურია, უხვად შეფენილია ვიტინით. მარცვალი ხორციანი, წვნიანი, ტკბილი და მეტად სასიამოვნოა. წიპწა ნაკლები სისხოსია და მარცვალში მეტწილად 2—3 მოიპოება.

როზაკი ჩინებულად ეგუება ტალავრად ზრდას. კვირტების გამოფურჩქნა მოგვიანებით ხდება (10—12 დღით უფრო გვიან, ვიდრე მასლასი). სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ საკმაო გამძლეობას იჩენს. მოსავალს უხვს და თანაბარს იძლევა, მაგრამ მისი ზრდა-განვითარებისთვის საჭიროა თბილი რაიონები და საკმაოდ მდიდარი ნიადაგები, ყურძენი მწიფდება მესამე პერიოდში. ტრანსპორტს კარგად იტანს და ზამთრის დამდეგამდის კარგად ინახება. როზაკს იმდენად ბევრი დადებითი მხარე აქვს, რომ შექველია საბჭოთა კავშირის სამხრეთ მევენახეობის რაიონებში ეს ბარაქიანი, ლამაზი და მეტად გემრიელი ყურძნის ჯიში ფართო გასაქანს პპოვებს.

ბ ი კ ა ნ ი (Bicane)

სინონიმი: მანათიანი (იმერ.), Panse jaune, Grosse perle du Iura, Raisin des dames, Raisin de Notre-Dame, Chasselas Napoléon და სხვ.

ბიკანი გვხვდება ევროპის მევენახეობის თითქმის ყველა თბილ რაიონში, მაგრამ მასობრივად მას არსად არ ამრავლებენ. საქართველოში, კერძოდ იმერეთში, ბიკანის ცალკე ვახუბი ვაზნეულია ვენახებში და ცნობილია „მანათიანის“ სახელით, რაშიაც დავრწმუნდით იმერეთში კვლევისათი ექსკურსიების ჩატარების დროს.

ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდით; რქა ღონიერი, ყვითელ-მოწითალოა, მერქანი მკვრივი, შედარებით ნაკლებ დუღგულოიანია; ახლად გამოფურჩქნილი ყლორტი ღია მწვანეა, მობრწყვიალო და უბუხუსოა. ზრდადამთავრებული ფოთოლი საკმაოდ ფართო და ხუთნაკვთიანია; ფოთლის ყუნწის ამონაკვთი დახურულია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ხალასი მწვანეა, ქვედა კი თხლადაა შეფენილი ბუხუსით.

მტევანი მოკბრი, კონუსისებრი, მეტად მეჩხერია; იშვიათად კუმში მტევანიც გვხვდება. მარცვალ-მსხვილი ან მომსბო ელიპსური ან კვრცხის მოყვანილობისაა, ღია-ქარვისფერია და ლაზათიანად შეფენილია ვიტინით. კანი საკმაოდ სქელია. მარცვლის ხორცი საკმაოდ მკვრივი, საკმაოდ ტკბილი და ოდნავ უბეზია.

ბიკანის ყურძენი და ცალკე მარცვლებიც განსაკუთრებით ლამაზი შეხედულებებისაა, მზის მხარე ყვითლდება და ზოგჯერ ალისფერი იერი

გადაჰკრავს. ეს ჯიში შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო მაღალი ხარისხის სუფრის ყურძნის ჯიშად, რომ გემოთი უხეში არ იყოს და თანაბარი მოსავლით და მტევნების მეტი ბარაქიანობით ხასიათდებოდეს. თესლკვირტის დეფექტური აგებულების გამო ყვავილების დიდი რაოდენობა არ ნაყოფიერდება, ცდება, რის შედეგად იგი მცირე მოსავალს იძლევა. უმკველია, სელმკვირის გზით შეიძლება ამ შედარებით მაღალხარისხიან სუფრის ყურძნის ჯიშის გამოსწორება.

ბიკანი მოითხოვს გრძელ სხვლას, ღია მდებარეობას, ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდში.

პალესტინური (Raisin de la Palestine)

სინონიმი: Terre Promise, Eparsé, Uva di Ierusalem, Maraviglia, Syrian, Olivette jaune à petits grains, Neheleschol და სხვ.

პალესტინურის ფოთოლი მოგრძობა, ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღიაა, ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია მსხვილი წაწვეტებული კბილანებით.

ვაზის ეს ჯიში ხასიათდება განსაკუთრებით მსხვილი მტევნებით, რომელთა სიგრძე ზოგჯერ 75 სანტ., სიგანე კი მტევნის განიერ ნაწილში 18 სანტ. აღწევს; მტევანი საშუალო, მეჩხერი აგებულებისაა; მტევნის ყუნწი მეტად გრძელი და მსხვილია; ცალკე კუფხლების ყუნწიც საკმაოდ გრძელია. მარცვალი ოვალური მოყვანილობის, საშუალო სისხოსი და ღია-ოქროსფერია. ყურძენი ტკბილი, უბრალო გემოსია. მარცვლის კანი საკმაოდ სქელი და მკვრივია. მარცვალი 2—3 საშუალო ზომის წიპწას შეიცავს. ყურძენი მწიფდება მესამე პერიოდში.

ვაზის არც ერთ ჯიშს ასეთი სიგრძის მტევანი არ უფითარდება, მაგრამ მტევნის ასეთი განვითარება ხდება თბილ რაიონებში, საკმაოდ ღონიერ, არა მშრალ ნიადაგებში. ეს ჯიში არ ხასიათდება მუდმივი თანაბარი მოსავლიანობით. საჭიროებს გრძელ სხვლას და შპალერებზე ან ტალავრებზე ზრდას. თუმცა პალესტინური სუფრის ყურძნის ჯიშად ითვლება, მაგრამ კარგი თვისებებით არ ხასიათდება: გემო მეტად უბრალო აქვს, არც ტრანსპორტის და არც შენახვის უნარიანობა არ გააჩნია. საინტერესოა როგორც მეტად მსხვილი და ბარაქიანი მტევნების მომცემი ჯიში.

თეთრი ოლივეტი (Olivette blanche).

სინონიმი: Olivette de Montpellier, Olivette de Vendémian.

ეს ჯიში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული სამხრეთ საფრანგეთში და ჩრდილოეთ იტალიაში, საიდანაც მისი ყურძენი გვიან შემოდგომაზე ჩრდილოეთ ბაზარზე იგზავნება; ამ მხრივ იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს; ტრანსპორტს ჩინებულად იტანს მარცვლის დაუ-

ქნობლად, ხანგრძლივად და ძალიან კარგად ინახება, ამავე დროს მტევანი მეტად ლამაზი და ბარაქიანი აქვს.

ოლივეტის ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდით, საკმაოდ მკვრივი მუქ-მოყვითალო რქით, ფოთოლი საკმაოდ მსხვილი და ხურობილია, ორივე მხრიდან უბუსუსოა; ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მეტწილად ღიაა და ფუძემომრგვალოა. მტევანი კონუსისებრი, მოსხვილო, ზოგჯერ დატოტვილი, საშუალოდ მეჩხერი. მტევნის და მარცვლის ყუნწები საკმაოდ გრძელი და სქელია. მარცვალი მომსხო ან მსხვილია, მოყვანილობით ძალიან წააგავს ზეთის ხილის მსხვილ ნაყოფს. მარცვალი მეტად მაგარადაა მიმაგრებული მარცვლის ყუნწთან. მარცვლის კანი სქელი და ელასტურაა. ყურძენი სრული სიმწიფის დროს ყვითელ მოთეთროა, მისი მხარე კი ლამაზ ქარვის ფერს იღებს. მარცვლის ხორცი მკვრივი, ცოტა უხეში, მაგრამ წვნიანია. ყურძენი წწიფდება მესამე პერიოდის დასაწყისს.

ოლივეტის კულტურისათვის საჭიროა ღრმა, ღონიერი, არა მშრალი ნიადაგები და თბილი გაშლილი ადგილი. კარგად ეგუება გრძელ სხვლას და შპალერულ აღზრდას. სოკოვან ავადმყოფობისადმი საკმაო გამძლეობას იჩენს. ოლივეტი, როგორც სატრანსპორტო ყურძენის ჯიშე, დიდ ღირებულებას წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ საკმაოდ მოსავლიანი ჯიშეა.

კულტურაში ცნობილია აგრეთვე შავი ოლივეტი (*Oliveite noire*), რომელიც აგრეთვე კარგი ტრანსპორტის ამტანიანობით ხასიათდება, მაგრამ შედარებით ნაკლები შენახვის უნარიანობა აქვს. მარცვალი გრძელი ან მოგრძო, არათანაბარი სიგრძისაა, ფერად მუქ-შავია და უხვადაა შეფენილი ვიტინით. გაცილებით ნაკლებად არის გავრცელებული ვარდისფერი ოლივეტი.

ოჰანეზი (Ohanez)

სინონიმი: Casta de Ohanez Uva de embargo, Alicante და სხ.

ოჰანეზი ესპანური ჯიშეა. იგი გვჩვენება თითქმის მთელ ესპანეთში, მაგრამ განსაკუთრებით დიდი ფართობები უკავია ვალენსიიდან მალაგამდე და განსაკუთრებით ალმერის რაიონში; მართო ამ პატარა ქალაქიდან ოჰანეზის ყურძენი ყოველწლიურად იგზავნება საზღვარ-გარეთის ბაზრებზე 20 მილიონ კილოგრამზე მეტი. ასეთი ფართო გავრცელება და ფართო ექსპორტი იმით აიხსნება, რომ ამ ჯიშის ყურძენი ხასიათდება სააზრო ღირებულების ყველა მაჩვენებლით. ტრანსპორტს ჩინებულად იტანს, ყურძენი არ ლეება, მკვრივი შესახედავად ლამაზი, გემოთი ცოტა უხეში, მაგრამ სასიამოვნოა. შენახვის უნარი მეტად დიდი აქვს. მაისის გასვლამდე გვხვდება ევროპის ბაზრებზე ოჰანეზის ჩინებულად შენახული მტევნები.

ვაზი ხასიათდება მეტად ღონიერი ზრდა-განვითარებით და მას ესპანეთში მხოლოდ ხეივნებად ზრდიან. ხნიერი ვაზის ტანი განსაკუთრე-

ბულ სისხოს აღწევს. ახლად გამოფურჩქნილი ყლორტი ტიტველია და ფოთლის კიდებები მოვარდისფროა. ზრდადასრულებული ფოთოლი ხუთნაკვეთიანი და საკმაოდ ფართოა. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღია-ფოთლის ფირფიტის ორივე მხარე გლუვია; ფოთლის ფირფიტის დაკბილულია ორგვარი მოწვეტო კბილანებით.

მტევანი მომცრო და დატოტვილია; მტევნის ყუნწი გრძელი, გაბეგბული და ძალიან მაგარია. მარცვალი მომსხო, ზეთისხილის მაგაჳი, მწვანე-მოყვითალოა, მზის მხარეს კი ოქროსფერია. მარცვლის ხორცი საკმაოდ მკვრივი და წვნიანია; მარცვლის კანი სქელი, მეტად ელასტიური და მაგარია. ხორცი ჩენჩოს იოლად არ შორდება. მარცვალი შეიცავს 1—4 წიპწას. ყურძენი მწიფდება მეოთხე პერიოდში.

ოჰანეზი მოითხოვს გრძელ სხვლას და ყლორტის წვერების წაწყვეტას. ესპანეთში სავალდებულოდ მიაჩნიათ ამ ჯიშის რწყვა. დაყვავილების დროს საჭირო ხდება ხელოვნური განაყოფიერება, მტკრიანები ნაკლებ განვითარებული და ყვავილები ძირითადად დედრობითი სქესისაა. ხელოვნური განაყოფიერების შედეგად უხვ მოსავალს იძლევა. ამ ოპერაციის ჩატარებულად კი მტევანი სუსტად ვითარდება, მარცვლებიც არა თანაბრად განვითარებულია და მოსავალიც უბარაქოა.

განსაკუთრებით გვიანი დამწიფების გამო ოჰანეზის წარმატებითი კულტურა შეიძლება მევენახეობის სამხრეთ რაიონებში, სადაც ხანგრძლივი თბილი და ნაკლებწვიმიანი შემოდგომა იცის.

ანჟელინო (Angelino)

სინონიმი: Angelino, Uva de Ragol, Casta de Ragol, Datillillo, Lama-da culo de Horza.

ბევრი ანჟელინოგრაფის აზრით ანჟელინო ესპანური ჯიშია. ყოველ შემთხვევაში ამ ჯიშს საკმაო გავრცელება აქვს სიერა-ნევადის მევენახეობის რაიონში. იგი ითვლება ერთ ერთ ულამაზეს სუფრის ჯიშად; იგი წარმატება როგორც მტევნის და მარცვლის სისხოთი, ისე მათი მოყვანილობით და ფერით. ეს ჯიში ნაკლებად არის გავრცელებული, რადგან, მიუხედავად მარცვლის კანის სისქისა და მკვრივი ხორცისა, ტენიან შემოდგომაზე ძალიან იოლად ლებება.

ანჟელინოს ვაზი ხასიათდება გრძელი, სქელი, ღია-მოწითალო რქებით. ახლად გამოფურჩქნილი ყლორტი ტიტველი და მობრჭყვიალო-მოვარდისფროა, ფოთოლი ხუთნაკვეთიანი და საკმაოდ ფართოა; ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი დაბურულია; ფოთლის ფირფიტის ზედაპირი ტალღისებრივია, მუქ-მწვანე, ფირფიტის ქვედა მხარე კი ღია-მწვანეა.

მტევანი ვითარდება რქის ფუძიდან დაშორებით. მტევანი მსხვილი ცილინდრულ-კონუსისებრი მოყვანილობისაა და გრძელ ყუნწიანია. მარ-

ცვალი მსხვილი, ზოგჯერ ძალიან მსხვილი და კვერცხისმაგვარია. მარცვლის კანი სქელი და მოპრკყვიანია და შეტად უზვადაა შეფენილი ვიტინით. ფერით მოწითალო-ალისფერია და ერთსა და იმავე მტევანში სხვადასხვა სიწითლის მარცვალი. მარცვლის ხორცი მკვრივი და ნაკლებწვნიანია, მაგრამ საკმაოდ გემრიელია. ყურძენი მწიფდება მესამე პერიოდში.

ანეელის კულტურისათვის საჭიროა თბილი, მშრალი და ხანგრძლივი შემოდგომა. უზე მოსავალს იძლევა. გრძელ სხვლას მოითხოვს.

თეთრი კორნიშონი (Cornichon blanc)

სინონიმი: Eicheltraube, Galleta, Dattolo, Doights de Douzelle, Biscutella, Corniola და სხ.

კორნიშონის კულტურა გვხვდება სამხრეთ ევროპის მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში, მაგრამ იგი შედარებით ფართოდ გავრცელებულია იტალიაში. ეს ჯიშიც სუფრის ყურძნის ჯიშად ითვლება და ხასიათდება მარცვლის მეტად ლამაზი და ორიგინალური მოყვანილობით.

ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდით, მოკლე, სქელი, აფშეკილი, ღია-მოყავისფრო, საშუალო სისხოს რქით. ახლად გამოფურჩქნილი ყლორტი ტიტველია, მომწვანოა და ფოთლის კიდეები წაბლის ფერია. ზრდადასრულებული ფოთოლი მომცრო სიფართის, ტალღისებრი და ხუნთვითიანია, ამონაკეთები საკმაოდ ღრმაა. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ღიაა და ფუძემომრგვალოა, მტევანი საშუალო ან მომსხო, კონუსისებრი მოყვანილობისაა და აგებულებით ზოგჯერ საკმაოდ მჩხერია. მტევნის და მარცვლის ყუნწი საკმაოდ გრძელია. მარცვალი საკმაოდ მსხვილი გრძელი და მოკაუქებულია, მარცვლის კანი სქელი, ღია-ქარვის ფერია და უზვადაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის ხორცი საკმაოდ მკვრივი, ტკბილი, ცოტა უხეში და უბრალო გემოსია.

კორნიშონის კულტურისათვის საჭიროა საკმაოდ ღრმა, ღონიერი ნიადაგები და თბილი გაზლილი ადგილი. კარგად ეგუება გრძელ სხვლას და უკეთეს შედეგებს იძლევა შპალერებად აღზრდის დროს. ყურძენი მწიფდება მესამე პერიოდის მიწურულს. ტრანპორტს რიგიანად იტანს, შენახვის უნარიანობაც რაგიანი აქვს. სოკოვან ავადმყოფობათაგან ყველაზე მეტად ნაცარი ვენებს. რადგან ეს ჯიში ასე დაგვიანებით მწიფდება, ამიტომ მისი გავრცელების არე შეზღუდულია.

თეთრი კორნიშონის გარდა კულტურაში ცნობილია იისფერი კორნიშონი (Cornichon violette), რომლის მტევნის და მარცვლის მოყვანილობა ძალიან წააგავს თეთრ კორნიშონს, მარცვალი კი მუქი-იისფერია. ამ ჯიშის მტევნის დატოვება ვაზზე სამხრეთის მშრალ რაიონებში შეიძლება იანვრამდე, რისთვისაც მტევნებს პერგამენტისებრ პარკუქანებს

აცვამენ და, თუ ყურძნის უკეთესი შენახვა სურთ, ვაზებს კილოფებს ან
ბრეზენტებს ახურავენ.

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ჯიზის ურაჰეი (Raisin de poche)

სინონიმი: Raisin de la poche, Rosen-rother, Gedrängter და სხ.

ეს ჯიში ხასიათდება მეჩხერი, მოგრძო, უთანაბრო მოყვანილობის მტევნით. მარცვალი მომსხო, მოგრძო, ზოგჯერ შემრტყელებული და მუქ-მოწითალოა. მარცვლის ზორცი მეტად მაგარია, იოლად არ იკეცილებს და სიმკვრივეთ თვალშესულ ქლიავს მოგვაგონებს. მწიფდება ძალიან გვიან, მეოთხე პერიოდის მიწურულს. მარცვალი გემოთი უხეში და ნაკლებ სასიამოვნოა, შენახვის პროცესში კი თანდათან რბილდება და რიგიან გემოს იღებს. ტრანსპორტს ჩინებულად იტანს, იოლად ინახება, მწიფებისა და მარინადებისთვის ძვირფას პროდუქტს წარმოადგენს. უხვ მოსავალს არ იძლევა. ეგუება გრძელ ხვვლას, ამ ჯიშის კულტურა შესაძლოა მევენახეობის განსაკუთრებით თბილ რაიონებში. ეს ჯიში საერთოდ ნაკლები გავრცელებით სარგებლობს, ტრანსპორტამტანი ჯიშების შესაქმნელად ეს ჯიში უმნიშვნელო არ უნდა იყოს.

შავი ჰამბურგული (Black Hamburg)

სინონიმი: Frankenthal, Blauer Trollinger, Edel-Wernatch, Gross Wernatsch, Fleischtraube, Black Tripoli, Kishmish Ali, Victoria Hamburg და სხ.

ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდით, ღია მორუხო რქით, მეტად ფართო, შიშვალეო ფოთლებით. ფოთლის ფორფიტის კიდებები დაკბილულია მსხვილი, ვანიერი და გადახრილი კბილანებით. ახლად გამოფრჩხნილი ყლორტი ღია-მწვანე და ოდნავ შებუსულია. მტევანი პირამიდული მოყვანილობის, საკმაოდ მეჩხერი და ძალიან მსხვილია და ხშირად 1—2 კილოგრამს იწონის. მარცვლები ძალიან მსხვილია, მათი დიამეტრი ხშირად 38 მილიმ. აღწევს. მოყვანილობით მრგვალი, იშვიათ შემთხვევაში ოდნავ ელიპსურია. მარცვალი მუქ-მოლურჯოა და უხედაა შეფენილი ვიტანით. მარცვლის ზორცი ტკბილი, ოდნავ ლორწოიანი და საკმაოდ სასიამოვნო გემოსია. მარცვლის კანი სქელი, მაგრამ რბილია.

ვაზის ეს ჯიში ითვლება სათბურის საუკეთესო ჯიშად. სათბურებში ღაღად იზრდება და განსაკუთრებით დიდ მოსავალს და მსხვილ, მეტად ლამაზ მტევნებს იძლევა. ამ ჯიშის განვითარების და მსხმოიარობის დასახასიათებლად საკმარისია ავლნიშნოთ, რომ კუმბერლანდის სათბურში ვინძორთან (ინგლისი) ამ ვაზის ერთი ძირი ფარავს ზოგად სათბურს, რომლის სიგრძე 40 მეტრს და სიგანე 6,5 მეტრს უდრის. ამ ვაზმა ერთ წელში მოიხსა 2000 მტევანი, საერთო წონით 750 კილოგრამი. თუ რაღაცნად მსხვილი მტევანი უფროა რდება მას ზოგჯერ, ჩანს იქიდან, რომ ბელფა-

სტის გამოფენაზე წარმოდგენილი იყოს ამ ჯიშის მტევანი, რომელიც 10¹/₂ კილოგრამს იწონიდა. ლიტერატურაში აღნიშნულია ცალკე მტევნები, რომელთა მარცვლის წრეწირი 11 სანტიმეტრს უდრის¹. ზოგი ამპელოგრაფის აზრით შავი ჰამბურგულის სამშობლოა ტიროლო. ამ ჯიშის წარმატებითი კულტურა შეიძლება სათბურებში; იქ სადაც ვაზის კულტურას სათბურში ავითარებენ, ამ ჯიშს საპატიო ადგილს უთმობენ.

ღვინის ჯიშები

ბასტარდო (Bastardo)

ბასტარდო პორტუგალიური ჯიშია და „პორტოს“ ცნობილ ღვინოების შემადგენლობაში საკმაო რაოდენობით შედის. ვაზი ხასიათდება მორჩილი ზრდით, მომცრო, კუმის, ცილინდრული მოყვანილობის მტევნებით. მარცვალი საშუალო სისხისი, ოვალური მოყვანილობის და მოშავოა. მარცვლის ხორცი მკვრივი და მეტად ტკბილია. მარცვლის კანი საკმაოდ სქელია. ყურძენი მოაწვევა პირველი პერიოდის გასულს. ვაზი საკმაო გამძლეობას იჩენს სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ. კარგად ეგუება გრძელ სხვლას. მშრალ პირობებში ყურძენი იოლად უქქება, ყვაილობის დროს ნესტიან პირობებში კი მტევანი მეტად თხელდება. ლიქიორის და მაგარი ღვინოებისა წარმოებისათვის იგი ერთ-ერთ საუკეთესო ჯიშად ითვლება, მაგრამ ნაკლებ მოსაგლიანობის გამო მასი გავრცელება შეზღუდულია.

ტრამინერი (Traminer)

სინონიმი: Rother Clävner, Fränkisch, Gentil-Duret, Auvernas rouge, Savanin rose, Mala dinka, Dreipfenigholz და სხ.

ტრამინერის ვაზი ხასიათდება მორჩილი ან საშუალო ზრდა-განვითარებით. შემოსული რქა მეტა-მიხაკის ფერია. ახლად გამოფურჩნილი ყლორტი უხედაა შებუსუსლი მოთეთრო ბუსუსით. ფოთოლი მომცრო, მომრგვალო, 3—5 ნაკვითანია; ამონაკვთები ზეზეურია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე მეტ-მწვანეა, აბურცული და ტიტველია, ქვედა მხარე კი მწვანე-მონაცრისფროა და ბუსუსით თბლად შეფენილია. ფოთლის ყუნწის ამონაკვთი მეტწილად დახურულია. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია წვერილი მომრგვალო კბილანებით.

მტევანი მომცრო ან წვერილი, კონუსისებრი ან ცილინდრულ-კონუსისებრი მოყვანილობისაა, აგებულით საკმაოდ კუმსია. მტევნის ყუნწი მოკლეა. სრული სიმწიფის დროს მარცვალი ღია მოწითალოა. მოყვანი-

¹ R. Goethe, Handbuch der Tafeltraubenkultur.

ლობით მომრგვალოა, მომცრო და ზოგჯერ თითქმის საშუალო სისხოს აღწევს. მარცვლის ხორცი წვნიანი, ტკბილი და საკმაოდ ნაზია. მარცვლის კანი საკმაოდ სქელია. ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდში. ტრამინერი საკმაოდ გავრცელებული ჯიშია შუა ევროპაში და ერთ-ერთ საუკეთესო ღვინის ჯიშად ითვლება; მისგან მზადდება როგორც მაღალი ხარისხის ნაკლები სიმკვების შემცველი სუფრის ღვინოები, აგრეთვე სადესერტო ღვინოებიც; ამ შემთხვევაში ტრამინერის ყურძენს ვაშზე აქნობენ და დაჰკნობის დროს ყურძენი არ ლბება. ტრამინერი მოსავლიან ჯიშად არ ითვლება, რადგან წვრილი მტევანი აქვს. კარგად ეგუება გრძელ სხვლას.

ფურმინტი (Furmint)

სინონიმი: Tokay, Sziget, Bihari boros, Zapfner, Edlerweisser, Ungarische, Mosla vina, Mosler, Szegszöllo, Sziget და სხ.

ფურმინტი ითვლება ლიქიორის ღვინოების ერთ-ერთ საუკეთესო ჯიშად; ცნობილი ტოკაის ლიქიორის ღვინოები ძირითადად ამ ჯიშისაგან მზადდება.

ფურმინტის ვაზი ხასიათდება საშუალო ღონის ზრდა-განვითარებით. შემოსული რქა ყვითელ-მონაცრისფროა და დაზოლილია მუქი ზოლებით. ახლადგამოფურჩქნილი ყლორტი უხვადაა შებუსული თეთრი ბუსუსით, ფოთლის კიდევები კი მოვარდისფროა. ფოთოლი საკმაოდ დიდი, მომრგვალო მოყვანილობის და ზომიერად დანაკვითია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ღია-მწვანე და ოდნავ მოპრკუციალოა, ქვედა მხარე კი მწვანე-მონაცრისფროა და უხვადაა შეფენილი თხელი ბუსუსით; ძარღვებიც შებუსულია ქვედა მხრიდან, ოღონდ მსხვილი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი საკმაოდ განიერია და მეტწილად დახურულია, ფოთლის ფირფიტის კიდევები დაკბილულია წვეტიანი, არათანაბარი სისხოს კბილანებით.

მტევანი საშუალო სისხოსი, თითქმის ცილინდრული მოყვანილობისა და საკმაოდ მეჩხერია. მტევნის ყუნწი მოკლეა. მარცვლი მოყვითალო, თითქმის ელემსური ან მომრგვალო და საშუალო სისხოსია. მარცვლის კანი თხელი და საკმაოდ ელასტურია. მარცვლის ხორცი წვნიანი და ტკბილია, გემოთი მეტად სასიამოვნოა. ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდში.

ფურმინტის ყურძენი იოლად ქნება და შემკენარ ყურძნიდან მაღალი ხარისხის ლიქიორის ღვინო მზადდება. ეს ჯიში უხვი მოსავლით არ ხასიათდება. უკეთ ეგუება მოკლე სხვლას; მაღალი ხარისხის პროდუქტს იძლევა მომშრალო, ფერდობ, ვულკანურ ნიადაგებში. ფურმინტი რამდენიმე ვარიაციას შეიცავს; ისინი ურთიერთისაგან მტევნების მეტნაკლები სიმეჩხრით და ფოთლის დანაკვითით განსხვავდებიან.

ტამბინაშ (Trebiano)



საქართველოს
ენციკლოპედია

სინონიმი: Ugni blanc, Uva castellona, Uva romana, Uva passola Campolese და სხ.

ტრებიანოს ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდა-განვითარებით და ხანგრძლივობით. შემოსული რქა წითელ-მიხაკისფერია, მერქანი საკმაოდ მკვრივი და გრძელ მუხლშორისებანია. ახლადგამოფერჩქნილი ყლორტი უხვადაა შეფენილი მოთეთრო ბუსუსით. ფოთოლი საშუალო სიფართის, ოდნავ წაგრძელებული და ზუთნაკეთიანია; ამონაკეთები საკმაოდ ღრმაა. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე მუქ-მწვანეა, ქვედა მხარე კი შებუსუსულია მოკორფლისფერო ბუსუსით. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია წვეტიანი, არათანაბარი, სამკუთხიანი კბილანებით. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი მეტწილად დახურულია; ამონაკეთის ფუძე ვიწროა.

მტევანი საკმაოდ მსხვილი და ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობისაა, ხშირად მხრიანია. მტევნის ყუნწი საკმაოდ გრძელი, სქელი და ყურძნის სიმწიფის დროს გახევებულია. მარცვლი მწვანე-მოყვითალო, საკმაოდ გამჭკირვალე და მომსხოა. მარცვლის კანი თხელი, საკმაოდ ელასტიურია და მიხაკისვერი წერტილებითაა შეფენილი. მარცვლის ხორცი წვნიანი, ტკბილი და ნაზია. მწიფდება შესაშუ პერიოდის დასაწყისს.

ტრებიანოს სამშობლოდ იტალია (ტოსკანა) ითვლება; იგი მეტად გავრცელებული ჯიშია და იტალიის და საფრანგეთის მევენახეობის ზოგ რაიონში ძირითად საწარმოო ჯიშად ითვლება. ტრებიანო უხვ მოსავალს იძლევა და წვენის გამოსავალიც დიდი აქვს. ხასიათდება სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ კარგი გამძლეობით. ამ უკანასკნელ ხანებში საფრანგეთში კონიაკის დასაყენებლად ტრებიანო იხმარება, ნაცვლად ფოლბლანშისა, რომლის კულტურაზე ხელი აიღეს ხსენებული ჯიშის ადგილი ღობის გამო. ტრებიანო ითვლება კარგ სუფრის ღვინის ჯიშად, აგრეთვე კარგ სუფრის ყურძნის ჯიშად და მალალი ხარისხის კონიაკის მომცემად; ამიტომ მას აკუთვნებენ უნივერსული გამოყენების ვაზის ჯიშთა წყებას.

არამონი (Aramon)

სინონიმი: Ugni noir, Plant riche, Arramon, Uni negré და სხ.

არამონის ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდით, მოყვითალო ყლორტებით, საკმაოდ გრძელი მუხლშორისებით. ფოთოლი საკმაოდ ფართო, ნაკლებდანაკეთილი, მეტწილად მთლიანი და მომრგვალოა. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ტიტველია, ქვედა მხარე კი უხვადაა შებუსუსული საკმაოდ მაგარი ბუსუსით. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია მომწვეტო კბილანებით, ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ვიწროა და მეტწილად დახურულია.

მტევანი მსხვილი, კონუსური ან ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობისაა, ხშირად მხარს ივითარებს; აგებულებით საშუალო სიკუმისა, ზოგჯერ კუმისა. მტევნის ყუნწი საკმაოდ გრძელი და მსხვილია, მარცვლები თითქმის შავი, მრგვალი და მსხვილი ან მომსხოა. მტევანში მრგვალებულია მოწითალო მარცვლებიც. კანი თხელია, ნაკლებ ელასტური და ვიტინით შეფენილი. მარცვლის ხორცი წვნიანია და უფერული, გემოთი უბრალო. მიწოდება მესამე პერიოდში. კარგად ეგუება მოკლე სხელას.

არამონი ესპანური ჯიში უნდა იყოს, თუმცა სამხრეთ საფრანგეთში უფრო მეტადაა გავრცელებული და მევენახეობის ამ უდიდესი რაიონის ძირითად ჯიშად ითვლება. ამ რაიონის წითელი მწატი ღვინოები მეტწილად არამონისაგან მზადდება.

არამონი ხასიათდება განსაკუთრებით უხვი მოსავლიანობით; კარგად მოვლილ ვენახებში, არამონი პირობებში არამონი იძლევა ჰექტარზე 400 და მეტ ცენტნერ ყურძენს, მაგრამ ნაკლებ-ალკოჰოლიან და მცირე პიგმენტთან ღვინოს; ასეთ პირობებში ღვინოს სიმაგრე 8—9 გრ. უდრის. ფერდობებზე გაშენებული არამონი ნაკლებ მოსავალს (75—120 ჰექტოლიტრ ღვინოს ჰექტარზე), მაგრამ კარგად დაფერილ და საშუალო სიმაგრის რიგიან სუფუის ღვინოს იძლევა.

არამონი ხასიათდება ბუნებრივი ფაქტორებისადმი განსაკუთრებით იოლი შეგუების უნარით, სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ რიგიანი გამძლეობით და უხვი, თანაბარი მოსავლიანობით. ამ ბოლო წლებში არამონი ვრცელდება გურიაში „ნაკაშიძის ჯანის“ სახელწოდებით, რაშიც დავრწმუნდით სტუდ. მელ. გადახაბაძის მიერ ჩამოტანილი ნიმუშების შესწავლის შედეგათ. ჩვენში მასობრივი ღვინოების დასამზადებლად, ჩვენის აზრით, არამონი დიდ და გადამწყვეტ როლს ითამაშებს.

კარინანი (Carignane)

სინონიმი; Bois dur, Mataro Bois de fer, Roussillon, Tinto, Carinena, Blauer Coignant და სხ.

კარინანიც ესპანური ჯიში უნდა იყოს. მას ფართოდ ამრავლებენ სამხრეთ საფრანგეთში, სადაც არამონთან ერთად ფართოდ გასაქანი ჰპოვა.

ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდა-განვითარებით, წითელ-მიხაკისფერი აფშეკილი რქებით, საშუალო სიგრძის მუხლმორისებით და შეუბუსავი კვირტებით. ახლად გამოუფრჩენილი ყლორტი უხვადაა შეფენილი მოთეთრო ბუსუსით, რომელსაც წითელი იერი გადაკრავს. ფოთოლი ტალღისებრი, აბურცულია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ტიტველია, ქვედა მხარე კი შებუსულია თხელი ბუსუსით. ფოთლის ფირფიტა ფართო, მომრგვალო მოყვანილობისა და 3—5 ნაკეთიანია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი თითქმის ყოველთვის დახურულია. ფოთლის ფირფიტის კიდევები დაკბილულია არათანაბარი სისხოს კბილანებით.

მტევანი საშუალო სისხოსი, განიერი, ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობისაა და ხშირად მხრიანია; აგებულებით კუმსია. მტევნის ყუნწი მოკლე და საკმაოდ სქელია. მარცვლი შავი, საშუალო სისხოსი და რდნავ ოვალურია. მარცვლის კანი საკმაოდ სქელი, მკვრივია და მტევნიდან ღია ვიტინით. მარცვლის ხორცი წვნიანი, ტკბილი, უფერული და გემოთი უბრალოა. ყურძენი მწიფდება მესამე პერიოდში.

კარინიანიც ითვლება უხვმოსავლიან ჯიშად და ხშირად ჰექტარზე 200 ჰექტოლიტრ ღვინოს იძლევა. ამ შემთხვევაში ღვინო თხელი და ნაკლებ ალკოჰოლიანია. შედარებით მწირ ნიადაგებზე კარინიანი ნაკლებმოსავლიანია, მაგრამ კარგად დაფერილ, საშუალო სიმკვრივის და საკმაოდ გემრიელ წითელ ღვინოს იძლევა. კარინიანი უფრო ნაკლებმოსავლიან ჯიშად ითვლება ვიდრე არამონი, მაგრამ უკეთესი ხარისხის ღვინოს მომცემია, რის გამოც, არამონის ღვინოს გაუმჯობესებას მიზნით, არამონის და კარინიანის ღვინოებს ხშირად აკუპაეებენ.

კარინიანი საჭიროებს მოკლე სხელას. მოსავალს იძლევა დარგვიდან მეორე—მესამე წელს. სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ საკმაოდ მგრძობიარეა.

ბანტურნი (Teinturier male)

სინონიმი: Nérout, Bourginon noir, Nigrier, Teint, Mauré, Uva tinta, Bluttraube, Färber და სხ.

ვაში ხასიათდება სუსტი ზრდა-განვითარებით, წვრილი, მოკლე, მოწითალო რქით, მკვრივი მერქნით, მოკლე მუხლშორისებით. ახლად გამოფურჩქნელი ყლორტი შებუხებულია და იისფერი იერი გადაჰკრავს. ფოთოლი წვრილი, წაგრძელებული, ხუთნაკვთიანია, ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი დახურულია და ფირფიტის კიდეები დაკბილულია წვრილი, ზეზეური კბილანებით.

მტევანი წვრილი ან მომცრო, ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობის, ზოგჯერ მხრიანია და აგებულებით საკმაოდ კუმსია. მტევნის ყუნწი მოკლე და წვრილია. ფოთლის ყუნწი თუმცა არ ხევდება, მაგრამ მაგარია. კლერტი მოწითალოა. მარცვლი მუქი შავია, უხვადაა შეფენილი ვიტინით, მოყვანილობით მრგვალი და სისხოთი მომცროა. მარცვლის ხორცი მუქ-წითლად არის შეღებილი; გემოთი ტკბილი, მაგრამ მომწკლარტოა. მარცვლის კანი სქელი და მაგარია. მარცვლი შეიცავს 2—3 წიპწას; ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდის დასაწყისში.

ტენტურიე შემფერავ ჯიშად ითვლება და მისი წვენი ფერნაკლული წითელი ღვინოების გამოსაკეთებლად იხმარება; წვენი იმდენად დაფერილია, რომ ცოტა რაოდენობით მიმატებითაც კი ნაკლებბიგმენტოვანი წითელ ღვინოებს საკმაოდ ინტენსურ ფერს აძლევს. ტენტურიეს ამ ვარიანტის „მაბალ ტენტურიეს“ უწოდებენ; იგი თუმცა ნაკლები მოსავლიანობით ხასი-

ათდება, მაგრამ მისი წვენი უფრო დაფერილია, ვიდრე ამავე ჯიშის სხვა ვარიაციებისა. კულტურაში გვხვდება აგრეთვე ვარიაცია, სახელწოდებით „დედალი ტენტურიე“ (Teinturier femelle), რომელიც უფრო ღიაწითელი ზრდით და უფრო უხვი მოსავლით განირჩევა, მაგრამ ნაკლებ პიგმენტს შეიცავს. ამ ვარიაციას ხუთმაგ მღებავს უწოდებენ, ე. ი. მას უნარი აქვს თავის მოცულობასთან შედარებით ხუთჯერ მეტი რაოდენობის ღვინო შეღებოს; Teinturier mal-ს კი ათმაგ მღებავს უწოდებენ.

ტენტურიეს მეტწილად აშენებდნენ სამხრეთ საფრანგეთში და ორლეანში, რადგან მევენახეობის ამ რაიონებში გავრცელებულია დიდმოსავლიანი და ნაკლებპიგმენტისანი წითელი ჯიშების კულტურა, რომელთა შესაღებად ტენტურიე იხმარებოდა. გასული საუკუნიდან ამ მღებავი ჯიშების კულტურა შემცირდა, რადგან ფრანგმა მკვლევარმა ბუშემ (Bouchet) ტენტურიეს შეჯვარებით არამონთან (რომელსაც Petit Bouchet ეწოდება), ალიკანთან, ტერესთან და სხვა დიდმოსავლიან ჯიშებთან, მიიღო ჰაბრიდები, რომელნიც უხვი მოსავლიანობითა და ინტენსური პიგმენტისანობით ხასიათდება.

ქიშინის ჯიშები

კორინთული თეთრი (Corinte blanc)

სინონიმი: Passerata bianca, Passera, Weisse corinthe და სხ.

კორინთულის ყლორტები შებუსულია მოთეთრო ბუსუსით; ფოთლის დაცვენის შემდეგ რქა მიხაკისუერ-მონაცრისფრო იერს იღებს. ახალგაზრდა ყლორტი გამოფერჩქნის შემდეგ მოთეთროა და უხვადაა შებუსული თეთრი ბუსუსით. ზრდადასრულებული ფოთოლი საშუალო სიფართის, მომრგვალო, საკმაოდ სქელი და ღრმად დანაკეთილია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ტიტველია, ქვედა მხარე კი უხვადაა შებუსული. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მომრგვალო და ღიაა. ფოთლის ფირფიტის კიდეები დაკბილულია არათანაბარი სისხოს, წაწვეტებულ სამკუთხიანი კბილანებით. ფოთლის ძარღვები მწვანეა.

მტევანი მომცრო, ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობისაა, აგებულებით საკმაოდ კუმსი და ხშირად მხრიანია. მარცვალი მწვანე-მოყვითალო, მრგვალი და წვრილია. მარცვლის კანი თხელი და საკმაოდ ნაზია. მარცვლის ხორცი წვნიანი, მეტად ტკბილი და უბრალო გემოსია. მარცვალი წიბწებს არ შეიცავს. მტევანში გვხვდება საშუალო სისხოსი ან მომსხო მარცვლებიც, რომელთა კანი საკმაოდ სქელია; ასეთი მარცვლები შეიცავენ კარგად განვითარებულ წიბწას; ეს მარცვლები გემოთი უფრო მომეგვოა წვრილი უწიბწო მარცვლები პართენოკარპული წარმოშობისა არიან, წიბწინი კი — განაყოფიერების შედეგია. ყურძენი მწიფდება პირველ პერიოდში და საკმაოდ მოსავლიან ჯიშად ითვლება. საკაროებს მოკლე სხელას. კორინთული მიეკუთვნება ოპლივატურ პართენიკარპულ ჯიშთა ჯგუფს.

კორინთულის სამშობლოდ საბერძნეთის არქიპელაგი ითვლება (კრძლები ზანტი, კეფალონია და სხ.). ამ ჯიშიდან მზადდება ქრწმწი, რომელიც საბერძნეთიდან მეტად დიდი რაოდენობით იგზავნება უცხო ქვეყნებში. კორინთულის გაშენებას და ამ ჯიშის კიშმიშის ექსპორტს საბერძნეთის მთავრობა დიდად უწყობს ხელს. თუ რა მნიშვნელობა აქვს საბერძნეთის მეურნეობისთვის კორინთულს იქიდანაც სჩანს, რომ პიროსში (საბერძნეთი) დაარსებულია „კორინთულის კვლევიითი ინსტიტუტი“. ეს ჯიშში გამოსადეგია აგრეთვე როგორც სუფრის ყურძენი, მით უმეტეს, რომ საკმაოდ დეკორატიული შეხედულების მტევნები აქვს. კულტურაში ცნობილია ამ ჯიშის რამდენიმე ვარიაცია: შავი, წითელი და ვარდისფერი კორინთული; ეს ორი უკანასკნელი ვარიაცია ნაკლები ღირებულობისაა და ნაკლებადაც ვაჭრელებულია.

ზოგი ამპელოგრაფის აზრით შავი კორინთული არის ცალკე ჯიში და არა თეთრი კორინთულის ვარიაცია, რადგან იგი უფრო მსხვილფოთლიანია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე ნაკლებ შებუსულია და მტევანიც უფრო მომსხოა; ზოგი ამპელოგრაფი კი მას თეთრი კორინთულის კვირტის მუტანტებათა სთვლის.

გარდა ზემოხსენებულ ჯიშებისა, ამ ბოლო დროის უცხოეთის ლიტერატურაში ხოტბას ასხამენ მთელ რიგ ახლად შექმნილ სუფრის ყურძნის ჯიშებს, მაგ. Pirovano-ს მიერ გამოყვანილ ბასტარდებს №№ 15, 1, 17, 31, 69), ელისაბეტის ყურძენს, ვენახების ხელმწიფეს, ოტონელის მუსკატს, მათიეს ბასტარდებს და სხ. რადგან ამ ჯიშების შესახებ გამოცდილება არ მოგვეპოვება და ამავე დროს ახალ ჯიშებზე კერძო მესაკუთრეთა რეკლამა ხშირად არ მართლდება ხოლმე, ამიტომ მათ არ ვეხებით.

საქართველოს ვაზის ჯიშები ✓

საქართველოს მევენახეობის წარსული და ვაზის ჯიშთა შემადგენლობა შორეულ ისტორიულ ბურუსშია გახვეული. თუ შეხედვლობაში მივიღებთ, რომ მრავალი მკვლევარის მიერ საქართველოს ტერიტორია მევენახეობის სხვა მთავარ რაიონებზე ნაკლებ არ ითვლება კულტურული მევენახეობის სამშობლოდ, თავისთავად ცხადი გახდება, რომ საქართველოს ვაზის ჯიშები უძველესი წარმოშობის უნდა იყვნენ. რა ჯიშები იყო საქართველოში შორეულ წარსულში, რითი ხასიათდებოდნენ ისინი, რა ღირებულება ჰქონდათ მათ, — ამაზე ჩვენში თითქმის არავითარი ცნობა არ არის დაცული. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ კოლხეთის ღვინოები განსაკუთრებული ხოტბით არის მოხსენებული უძველეს ბერძნულ წყაროებში¹. უნდა ვიფიქროთ, რომ იქ კარგი ღვინო მზადდებოდა, ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუებული და კარგი ვაზის ჯიშისაგან.

¹ Гад, Извест. древн. греческих писателей о Кавказе.

საქართველოს ვაზის ჯიშების წარსულზე ამ ორი წლის წინად ფრედ მნიშვნელოვანი და ფართო ნარკვევი გამოაქვეყნა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა¹. მსკოვანი მეცნიერი შეეცადა აოსებული მასალების მიხედვით, ლინგვისტურ-ფილოლოგიური და სხვა მეთოდების საფუძველზე, წაეფლათ მთელი ფინა ქართული ვაზის ჯიშების რაობისა, რაოდენობისა და ხმოვანებისათვის. მან ცხადყო, რომ ჩვენში დღესაც არსებული ზოგიერთი ვაზის ჯიში (ხიხვი, რქაწითელი და სხვა) არა ერთ საუკუნეს ითვლის. მევენახეობის არსებულ წყაროებში დაცულია 420 ჯიშის სახელწოდება; ოღონდ რამდენი მათგანია ადგილობრივი, რამდენი მოდის სინონიმზე—ყველა ამაზე საკმაო ამომწურავი მასალა არ მოგვეპოება. ჩენი ინიციატივით და საერთო ხელმძღვანელობით საქაფშრო მევენახეობის ინსტიტუტის წიერ 1933 წელს ჩატარებულ იყო საქართველოს ვაზის ჯიშების რაიონობრივი ინვენტარიზაცია, არსებული ჯიშების ცხადყოფისა და ამპელოგრაფიულ ნაკვეთში დასაცავად მათი შემდეგი შესწავლისათვის საჭირო მასალის შეგროვება. ასეთივე კვლევა ჩატარებული იყო 1935 წელს საქ. სას. -სამ. ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის ხაზით აჭარაში (დოც. რამიშვილი). ყველა ამის შედეგად მოგროვილია 265 ვაზის ჯიში; ჩვენს მიერ გამოუკვლეველი დარჩა მხოლოდ აფხაზეთი. შეგროვილ 265 ჯიშს რომ შოაკლდეს თუნდ 20%, როგორც არაადგილობრივი ჯიში, ან და სინონიმის აღრევის გამო შეცდომით შეტანილი, მაინც აღრიცხულ ვაზის ჯიშთა რიცხვი სადღესთდაც ორასს იტემატება, ვამბობთ სადღესთდაც, რადგან ყოველ ექვ გარეშეა, რომ მე-19 საუკ. მეორე ნახევიდან, ე. ი. სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრიდან დღევანდლამდე, ვაზის მრავალი ჯიში უკვალოდ დაილუბა-დაიკარგა. მიუხედავად ამისა, მაინც არ გვკონია, რომ ცალკეულ წყაროებში გაბნეული ვაზის ჯიშთა ნუსხა დამოუკიდებელ ვაზის ჯიშის სახელს წარმოადგენდეს. შეიძლება უდაოდ მივილოთ, რომ ზოგი ჯიში საქართველოში სხვა რაიონიდან ან უცხოეთიდანაა შემოტანილი და გადახათლულია ადგილობრივად; მაგ. ბიკანი-მანეთიანი (იმერ.), არამონი-ნაკაშიძის ჯანი (გურია), გორული მწვანე-თბილური (რაქა), ალბილიო კასტელანო—წულუკიძის თეთრა (რაქა) და სხვა. მიუხედავად ამისა, ისიც უდაოა, რომ ვაზის მრავალი ჯიში საქართველოს მიწაწყლის პირმშოა, ზოგი მათგანი დღესაც მხოლოდ საქართველოში გვხვდება, ზოგი საქართველოდან გადატანილია სხვა ქვეყნებში და იქაც სრული მოქალაქობრივი უფლება აქვთ მოპოებული (თაევერი, საფერავი და სხვ.), ზოგი კი ჩვენში უცხოეთიდან არის შემოტანილი და ადგილობრივი სახელით მონათლული (ფრანგულა, ქიწნურა, მანეთიანი და სხვა). ჩვენს მიზანს არ შეიძენს იმ საკითხის განილვა და გადაქრა, თუ ვაზის რომელ ჯიშებს ქონდა გავრცელების ფართო არე საქართველოში. ასეთი შრომა პროფ. ივ. ჯავახიშვილის მეოხებით² და ჩვენის წვლილით³ ქართველ მკითხველს მოეპოება; მხოლოდ დასახელებული შრომის მსგავსმა შემდეგმა შრომებმა შეიძლება საკითხი საკმაოდ ამოსწორონ.

მიუხედავად საქართველოს ვაზის ჯიშთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობისა (შედარებით საქართველოს ტერიტორიასთან), აღსანიშნავია, რომ

¹ „საქ. ეკონომიური ისტორია“, წიგნი მეორე, 1935 წ.

² Ibid.

³ პროფ. ს. ჩოლოყაშვილი. მასალები საქართველოს XII—XIV საუკუნის ვაზის ჯიშების საკითხისათვის—მთაა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. 1908 წ. „ტფილკა და შრომა“-ს გამოცემა.

ცალკე რაიონებში ჯიშების შედარებით მცირე რაოდენობას ეკავათ ფართო გაფრცვლლების არე; ამგვარად, ჩვენს წინაპრებს თუმცა „დაკანონებული“ სტანდარტული ასორტიმენტი არ ქონდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამდღევარი საქაინობა მაინც შეუსრულებიათ. ამის ნათელ სურათს შევხვდებით ღრეს კადვე არსებულ ძველ ვენახებში ვხედავთ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მევენახეობის რაიონებში გვხვდება ვაზის შედარებით უფრო ვიწრო საწარმოო ასორტიმენტი (შიდა კახეთი, შუა ინერეთი), ვიდრე არამკაფიოდ ჩამოყალიბებულ მევენახეობის რაიონებში (ქართლი, ფურია-სამეგრელო). საქართველოს სხვადასხვა რაიონში არსებული ზოგი ვაზის ჯიშის უეჭველია ერთსა და იმავე მოდგმას ეკუთვნიან და კუთხური სახელწოდება მიიღეს. დროთა მანძილზე აღბად საქაო მოდიფიკაცია განიცადეს; ამჟამად მათი იდენტიულობის ცხადყოფა თუმცა ძნელია, მაგრამ შესაძლოა. ამ საპატიო ამოცანის გადაწყვეტა ჩვენს მევენახეობაში მომუშავე კვლევითი დაწესებულებების ვალდებულებაა, მით უმეტეს, რომ მათ განკარგულებაში ამპოლოგრაფულ ნარგავთა კოლექცია უკვე მოიპოვება. სადღეისოთ ამ საკითხზე საქაო მასალა არ მოგვეპოვება.

საქართველოს ჯიშთა განხილვას დავუკავშირებთ ცალკე რაიონებს, მნიშვნელოვან ჯიშებს მეტ ადგილს მივაკუთხებთ, ნაკლებ მნიშვნელოვანთ ნაკლებს, ზოგ უმნიშვნელოს კი სრულებით არ შევხვებით. თანმიმდევრობა დაკული იქნება ჯიშის მნიშვნელობის მიხედვითვე ცალკე რაიონებთან დაკავშირებით.

კ ა ხ ე თ ი

თეთრი ღვინის ჯიშები

ჩქაწითელი

სინონიმი: კახურა (რაქა), Blauhölzer, Zweiabasen (ბორპალოელი გერმანელი კოლონისტები), Rka-Tziteli (Viala et Verm, Ampelogr.), Rha-zitelo Guilon, Cep. Orient).

თეთრყურძნიან კახური ვაზების ჯიშთა შორის რქაწითელი ყველაზე მეტად გაფრცვლებულია და ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს. იგი წარმოადგენს შიდა და გარე-კახეთის ძირითად საწარმოო ჯიშს და ამ რაიონებში მის ნარგავთა რაოდენობა ვენახების საერთო ფართობის 65—70%-მდე აღწევს. რქაწითელი საინგოლოში უფრო მეტადაა გაფრცვლებული და იქ 45%-მდე აღწევს. გარდა ზემოხსენებული რაიონებისა, ამ ვაზის ჯიშს ნაწილობრივ ვხვდებით საქართველოს სხვა მხარეებშიც (არაგვის და ქსნ-ს ხეობა, რაქ; და სხვ.), აგრეთვე აღმოსავლეთ აზერბაიჯანში და საბჭოთა კავშირის ზოგიერთ სხვა რაიონშიც, მაგრამ მეტად მცირე რაოდენობით.

ქაუზე დაყენებულ რქაწითელის ყურძნის წვენიდან კახეთში მზადდება ტიპური, ხარისხოვანი, თეარი სუფრის ღვინო, ცნობილი თეთრი კახურის სახელწოდებით. ევროპული წესით დაყენებული რქაწითელის ღვინო ფრიალ პარონული, იმავე დროს სხეულიანი ღვება და მალახარისხოვანი სუფრის ღვინოების წყებას მიეკუთვნება. უფრო თბილ რაიონებში შესაძლებელი ხდება ამ ჯიშის ხარისხოვანი მავარი ტიპის ღვინის დაყენება (კარდანახი); ღვინის სპირტიც (კონიაკი) რქაწითელიდან

შეტად მაღალი ხარისხისა დგება. გარდა ღვინოებისა კახეთში რქაწითლი-დან ამზადებენ ყურონის წვენს, ბადავს; მას ხმარობენ საკმელად და შესა-ნახადაც. რქაწითლის ყურონის ტრანსპორტს ვერ იტანს. ხაჭაპლისა და კახის რაიონებში რქაწითლის ვაზები ხეებზეა ამჯობილი; მათ გვიან-ბაშდის სტოვებზე მოუკრეფავად; ამიტომ ადგილობრივ ბაზარზე მთელი შემოდგომის მანძილზე გვხვდება რქაწითელის ახლადმოკრეფილი ყურონები; იგი ამ სახით კარგად იხაზება პირველი თოვლის მოსვლამდის, თოვლის შემდეგ კი მთლიანად კრეფენ, ვინაიდან ყურონის ძრება და გამოუსადე-გარი ხდება. რქაწითელი კარგათ იტანს გვიან მოკრეფას და სასუფრეთ ასეთს ბევრი მომხმარებელი უპირატესობას აძლევს.



სურ. 16. რქაწითელი.

ამგვარად რქაწითელი შეიძლება მივაკუთვნოთ ვაზის უნივერსალურ ჯიშთა წყებას, მაგრამ მაღალი ხარისხის და ამავე დროს ტიპურ პრო-დუქტს იძლევა მხოლოდ კახეთის პირობებში; სწორედ ამით უნდა აიხს-ნას მისი ვაკუცელების არის შედარებით შეზღუდულობა.

ცხელი ჰაერის პირობებში რქაწითელის ვაზმა გადაგვარება იცის. ნაწილობრივ ამით უნდა აიხსნას, რომ მონველიეს (სამარ. საფრანგეთი) კოლექციაში დაცული რქაწითელის ვაზები მეტად ბეჩავად გამოიყურებიან.

ლონიერ ნიადაგებზე, საჭიროა ნალექებით უზრუნველყოფილ ნიადაგში რქაწითელი უბე ნოსავალს იძლევა; მოსავლის რაოდენობა ჰექტარზე ზოგჯერ 120—150 ცენტრს აღწევს. კახეთის ურწყავ პირობებში, მაგრამ რიგინად დამუშავებულ და მოვლილ ვენახებში რქაწითელი საშუალოდ 80—100 ცენტრ. მაღალხარისხოვან ყურძენს იძლევა. აბეჩხარ, დაყამირებულ მიწებში რქაწითელი უბარაქო მოსავალს იძლევა, მაგრამ ასეთ პირობებში მისი ყურძენი განსაკუთრებული სილამაზით და გემოთი ხასიათდება: მტევანი თხელია, მარცვალი კი აღისფერი, ნაზი, სურნელოვანია.

სხვა ჯიშებთან შედარებით რქაწითელი ფილოქსერის ამტან ვაზის ჯიშად ითვლება, ნაცარი და კრაქი კი საკმაოდ ვნებს; რქაწითელის ვაზის დროული შეწამელა სავალდებულოა. სიციფებს და გვალვებს უფრო უკეთ იტანს, ვიდრე კახეთში გავრცელებული ვაზის ბევრი სხვა ჯიში.

დამახასიათებელი ნიშნები:

ზრდა: საკმაოდ ღონიერი, პირამიდული მიმართულებისა და ლაღი.

ფოთოლი საერთო მონახულობით მომრგვალებული და ოდნავ დანაცვითელია. ფირფიტის ზემო ამონაკვეთი მახვილ-ფუძიანია, ხშირად ლირისებრი მოყვანილობისა, ზოგჯერ დაახლოებული გვერდებითა და ვიწრო ჭუჭრუტანით. ქვედა ამონაკვეთი სუსტად მოჩანს და ხშირად ჩაჭრილკუთხისებრია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი თაღისებრია, მომრგვალებული ფუძით, იშვიათად კი ლირისებრი მახვილი მონახულობის ფუძით. ნაკვეთბის ბოლო კბილაკები სამკუთხედიანებრი, სწორგვერდებიანი და ოდნავ წაწვეტილებულ-წვერობებიანია; გვერდითი კბილაკები კი ოდნავ ხერხისებრი, აგრეთვე სწორგვერდებიანი წაწვეტილებულ-წვერობებიანია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე სადაა, ოდნავ ბადისებრ ნაოქებიანია და შებუსუსულია ანლაბუდისებრი ბუსუსით. ფირფიტის მთავარი ძარღვები შიშველია და მომწვანო. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძის თანატოლია.

ყვავილი ორსქესიანია, ძირითადად ზეთ მტვრიანია, იშვიათად გვხვდება აგრეთვე ექვსი და შვიდი მტვრიანა.

მტევანი ფორმით ცილინდრისებრია, მეტწილად საკმაოდ კუმისი და იშვიათად ძლიერ კუმისი. უბეი მოსავლიანობისას მტევანს მეტად უკეთარდება ზევითა კუთხლები; ამ შემთხვევაში იგი რთული მტევნის-შთაბეჭდილებას სტოვებს. მტევნის სიგრძე 18—20 სანტიმ. უდრია, ხშირად უფრო გრძელიცაა, სიგანე კი 8—10 სანტიმ. აღწევს. მტევნის ყუნწი 4—5 სანტიმ. სიგრძისაა, ნაწილობრივ ხევდება და მომხაკსოფროა. შემოუსვლელი იშვიათად რჩება.

მარცვალი ფორმით ოდნავ ოვალურია, შუაზე განიერი, ბოლომორგვალეხული, სიმეტრული, საშუალო სისხოსია; მხვილი მარცვალი სიგრძით აღწევს 18—19 მილიმ., სიგანით კი 16—18 მილიმ. მარცვლის კანი თხელია, ხორცს ცუდად სცილდება, მომწვანოა, ხშირად ყვითელ ღერსაც იღებს; აბეჩხარ პირობებში და ხირხატ ნიადაგებში სრული სიმწიფის

1 1925—26 წ.წ. Montpellier-ის აგრონომიულ ინსტიტუტის კოლექციაში ყველა ფლორტი და ფოთოლი დაავადებული იყო; დაავადება გარეკანი ნიშნებით ვირუსული ხასიათისა იყო—რქაწითელი ძლივს და ვიცანი..



დროს მარცვლი ალისფერ იერს იღებს. მარცვლის კანი მცირე ფიფქითაა შეფენილი. ხორცი წვნიანია. ყურძენი მწიფდება II პერიოდში. მარცვალში მეტწილად 1—2, იშვიათად 3—4 ცალი წიქნაა; ძალიან იშვიათად ვხვდებით 5 ცალსაც.

მარცვლის ყურწი სიგრძით 4—6 მილიმ., იშვიათად 7 მილიმ. აღწევს. იგი მომწვანოა. ბალიში მომრგვალო, დამტეკტეკბულია; მარცვალთან მიმაგრება საშუალოა.

რქა ნაკლებ ზოლიანია; მუხლშორისები საშუალო სიგრძისაა, წაბლისფერ-მოწითალოა, მუხლებთან ოდნავ უფრო მუქია.

რქაწითელი ეკუთვნის კახეთის უძველეს ჯიშთა წყებას; ამას ადასტურებს როგორც პროფესორ ივ. ჯავახიშვილის¹ შრომა, ისე ჩენი და ნ. ჩახნაშვილის² გამოკვლევა. თუ მხედველობაში მივიღებთ რქაწითელის მთელ რიგ ღირსებებს, ცხადი ვახდება, თუ რატომ შეინარჩუნა ეს ჯიში კახელმა სოფლის მეურნემ მრავალი საუკუნის განმავლობაში.

რქაწითელი მოითხოვს გრძელ სხელას. სამოსავლო რქაზე სტოვებენ 8—12 კვირტს; ყურძენი მე-4—5 კვირტიდან გამოაქვს; გარდა კახური ფორმისა, კარგად ევლება გეოსო ფორმისაც.

რქაწითელზე არსებობს შეხედულება, თითქოს რამდენიმე ვარიაციას შეიცავდეს; ისინი თითქოს ურთიერთისაგან განსხვავდებიან როგორც ფოთლის, ისე მტევნის აგებულებით. ქიზიყში არჩევენ „წითელ“ და „მწვანე“ რქაწითელს; პირველის მარცვალი სრული სიმწიფის დროს მოალისფროა, მეორესი კი—მომწვანოა. ველისციხის მიდამოებში არჩევენ „დედალ“ და „მამალ“ რქაწითელს; ისინი მარცვლის სისხოთი განირჩევიან. რქაწითლის ეს ვახები ცალკე კლონებს წარმოადგენენ თუ ეს თავისებურება მოდიფიკაციის შედეგია,—ეს ჯერ კიდევ გამოსარკვევია. კლონური სელექციის შედეგად, უძველია, მოხერხდება ამ საკითხის დაზუსტება.

რქაწითელის ყურძენში გადამწიფების დროს სიმკვავე საგრძნობლად კლებულობს; ამ ნაკლებობით ხასიათდება ტიპური კახური წესით (ქაქაზე) დაყენებული ღვინოები. ევროპული წესით დაყენებულ, დროზე მოკრეფილ ყურძნიდან კი ხანგრძლივი შენახვისუნაროანი ღვინო დგება; ამ ღვინოს მაღალი ღირსებები მე-4—6 წლიდან ვითარდება; იგი ათეული წლების განმავლობაში ბოთლებში ინახება და დაძველების პროცესში უფროდაუფრო უკეთესდება.

მწვანე (კახური)

მწვანე ძირითადად გავრცელებულია თელავის რაიონში ახმეტის მიმართულებით; მისი რაოდენობა ამ ადგილებში 30—35% აღწევს. თელავიდან სამხრ. აღმოსავლეთით მწვანეს ნარგავები ძალიან მცირდება და ქიზიყში მინიმალური რაოდენობით გვხვდება. მდინარე ალაზნის მარცხენა მხარის ვენახებში მწვანე თითქმის არ გვხვდება, გარდა სოფელ

¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, II წიგნი, 1985 წ.

² ს. ჩოლოყაშვილი და ნ. ჩახნაშვილი. მასალები ქართული ვახის შესწავლისათვის საქ. ექსპ. აგრონ. ინსტიტ. შოამბე № 3, 1929 წ.

სანიორესი, სადაც საკუთარ ძირებზე გაშენებულია მწვანის წმინდა ხარ-
გავიც; უნდა აღინიშნოს, რომ ამ რაიონში მწვანე გაცილებით უკეთეს
მოსავალს იძლევა, ვიდრე გურჯაანის რაიონში.

კლიმატური პირობებისადმი დამოკიდებულების მიხედვით მწვანე
ითვლება მეტად ნახ ჯიშად; იგი ვერ იტანს ჰაერის მკვეთარ რყევას, უმთავ-
რესად ყვავილობის და დამწიფების დროს. გვალვის ზეგავლენით მისი
მოსავალი ძლიერ მცირდება და ხარისხიც უარესდება. თბილ ზომიერ პი-
რობებში და არა მეტად მშრალ რაიონებში იგი კარგ მოსავალს და კარგი
ხარისხის ღვინოს იძლევა. კარგად შერჩეულ პირობებში ხარისხის მიხედ-
ვით, მწვანეს ღვინოებს პირველი ადგილი უკავიათ ადგილობრივი ვაზის
დანარჩენ ჯიშთა შორის. ასეთ პირობებში მისგან დაყენებული სუფრის
ღვინო სინაზით და სასიამოვნო არომატით ხასიათდება. მისი მოსავალი
ჰექტარზე 70—90 ცენტნერს აღწევს. ნაცრის ძლიერ სუსტი ამტანიანო-
ბით ხასიათდება და ამიტომ გოგირდით დროული და ხშირი წამლობა
ესაჭიროება. ფილოქსერისადმი გამძლეობის მხრივ იგი ადგილობრივ სტან-
დარტულ ჯიშთა შორის ყველაზე უკეთ გამძლედ ითვლება.

მწვანე ხასიათდება შორილი ზრდით.


ფოთოლი მომრგვალებული და ოთხ ღრმა ამონაკვითიანია; ზედა და
ქვედა ამონაკვეთი მახვილ-ფუძიანია; ეს ამონაკვითები შემდეგ ელიპსურად
იშლებიან და მორგვალეულ ჭუჭრუტანებს ჰქვნიან. კიდურები განვითა-
რებულია და ამონაკვეთს ზოგჯერ მთლიანად ჰფარავენ; ამონაკვთებში
ზოგჯერ ერთკბილაკიანი ფუძე გვხვდება. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი
დაფარულია კიდურებით და ზოგჯერ მთლად დახურულია. ნაკვთის ბოლო
კბილაკები ხშირად მახვილკუთხოვანია, იშვიათად სწორკუთხოვანი. გვხვდე-
ბა წაწვეტებულ-წვეროებიანი ფორმებიც. ნაკვთის გვერდითი კბილაკები
ოდნავ ხერხისებრი და წაწვეტებულ წვეროებიანია. ფოთლის ფირფიტა
ბრტყელია, ზოგჯერ გვერდებდახრილი და დანაკვეთილი, ქვედა მხრიდან
შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით. მთავარი ძარღვები შიშველია და
მწვანე.

ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძის თანატოლი, შიშველი და
მოწითალო-ღვინისფერია.

ყვავილი ორსქესიანი, ძირითადად ხუთმტერიანია, იშვიათად გვხვდე-
ბა ექვსი მტერიანაც.

მტევნის ფორმა კონუსისებრია, ფრთებიანია, აგებულებით თხელი,
იშვიათად ოდნავ შეკრულია. მტევნის სიგრძე 15—18 სანტიმეტრს, სიგანე
კი 10—13 სანტიმეტრს აღწევს. მტევნის ყუნწის სიგრძე 4—5 სანტიმეტრს
აღწევს; იგი მეტწილად შემოუსვლედი, მწვანე ფერისაა; იშვიათად გაბე-
ვებულია და ამ შემთხვევაში მორუხია.

მარცვალი ფორმით ოვალურია, შუაზე განიერი, ბოლომორგვალე-
ბული. სიმეტრული, საშუალო სიდიდისაა; მისი სიგრძე უდრის 15—17



სურ. 17. მწვანე (კახური).

მილიმ., სიგანე კი—14—15 მილიმეტრს. კანი თხელი და მწვანეა, ვხვდები
დაფენილი ვიტინით. ხორცი წვნიანია. უროძენი მწიფდება II პერიოდის
დასაწყისს. პერიოდული
მედიცინა

მარცვლი მეტწილად 1—2 წიბწას შეიცავს, იშვიათად 3—4-ს. მარ-
ცვლის ღერუკა სიგრძით 5—7 მილიმეტრს აღწევს, მწვანეა. ბალიში გა-
ნიერ-კონუსისებრი და დამკვეჭებულია. მარცვლი ღერუკაზე მიმაგრებუ-
ლია სუსტად.

რქა ოდნავ დაზოლილი, საშუალო მუხლშორისებით; იგი მოყვითალო
მომიზაისფროა, მუხლებთან კი უფრო მუქია.

მწვანეში ვხვდებით მთელ რიგ ვარიაციებს; მათ შორის აღსანიშნა-
ვია მქკნარა. ამ ვარიაციას ახასიათებს უფრო ვიწრო და მოგრძო
მტევანი, მარცვლის წვრილი წიბწები და უფრო მომცრო ფოთლები, სიმ-
წიფის დროს უროძენი ჭკნება; ალბად აქედან წარმოსდგება მისი სახელიც.

ყვითელი მწვანე — ხასიათდება სრული სიმწიფის დროს მარცვ-
ლების სიყვითლით და შედარებით ნაკლები ფიფქით, მოსავალი მცირე
იქნის.

მწვრილმარცვლა მწვანეს მტევანი წვრილი მარცვლებისაგან
შედგება. მათი სისხო არ აღემატება აკაკის ნაყოფის სიდიდეს. დანარ-
ჩენი ნიშნებით მწვანესაგან არ განსხვავდება.

ვიდრე ვენახებს სოკოვანი ავადმყოფობანი მოედებოდა, კახეთის
საგარძნო ნაწილში მწვანე გავრცელებული ჯიში ყოფილა; მას არეულად
რგავდნენ რქაწითელთან ერთად შეფარდებით—1:3; ასეთი ნარევი ვაზის
მოსავლიდან თეთრ ღვინოებს ამზადებდნენ. უროძნის ასეთი კუპაჯის შე-
დგვად იღებდნენ უფრო ნათელი ფერის, ნაზ და სურნელოვან ღვინოს.
სოკოვან ავადმყოფობათა მასობრივად გაჩენის შემდეგ მწვანე, სამწუხა-
როდ, ნაკლებად შენდება.

ხ ი ხ ვ ი

სინონიმი: ჯანანურა.

ხიხვი, შგავსად მწვანისა, უფრო გავრცელებულია თელავიდან ახმე-
ტის მიმართულებით, მაგრამ ამ რაიონშიც ხიხვის ნარგავები მხოლოდ
ძველ ვენახებში გვხვდება. აღნიშნულ რაიონში ხიხვს ვენახების საერთო
ფართობის დაახლოებით 10—12% უკავია. კახეთის დანარჩენ რაიონებში
კი ხიხვი ძლიერ მცირე რაოდენობით გვხვდება. ამ რამდენიმე წლის წინ
კარდანახის საბჭოთა მეურნეობაში გააშენეს ხიხვის ცალკე ნაკვეთი.

ხიხვი ითვლება ვაზის მეტად მგრძობიარე ჯიშად; ვერ იტანს ჰავის
მკვეთარ რყევას, უმოაფრესად კი ყვავილობის დროს; თუ ამ პერიოდში
ცუდი ამინდები დაუდგა, მარცვლები ნაკლებად განვითარდება. გარდა
ამისა, იგი ითვლება გვალვის ნაკლებ ამტან ჯიშად. გვალვის პირობებში
მცირე მოსავალს და შედარებით ცუდი ხარისხის ღვინოს იძლევა. კახეთის



სურ. 18. ზიბვი.

უფრო ზომიერ პირობებში ხიხვი გაცილებით მეტ მოსავალს და კარგი ხარისხის სუფრის ღვინოს იძლევა. თბილ რაიონებში (კარდანახში) ვაზის ამ ჯიშისაგან მზადდება მაღალხარისხოვანი, ოქროსფერი, შემამარტებელი ტკბილი და ლიქიორის ტიპის ღვინოები.

ხიხვი ხასიათდება მორჩილი ზრდით.

ფოთლის საერთო მოხაზულობა მომრგვალოა; ფოთოლი ოდნავ დანაკეთილია. ამონაკეთები ზეზურია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ღია, ზოგჯერ ღირისებრია, ფუძე მახვილი მოხაზულობისაა. ნაკეთის ბოლო კბილაკები სამკუთხოვანი, გამობერილ გვერდებიანი, ოდნავ წაწვეტებულ-წვეროვებანია. ფოთლის ფერფიტა ოდნავ გვერდებდახრილი და ნაოქებიანია. ქვედა მხრიდან შებუსუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით. მთავარი ძარღვები ფუძესთან ოდნავ შებუსუსულია მუქ-ჩალისფერი ბუსუსით.

ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძის თანატოლია. იშვიათად უფრო მოკლეა, შაშველი და მუქ-ჩალისფერია.

ყვავილი ორსქესიანია, 5—6 მტკრიანათი.

მტკეანი მოყვანილობით ცილიანდრულ-კონუსურია, აგებულიებით თხელი და ზოგჯერ ფრთიანია; სიგრძე 15—16 სანტიმეტრს, სიგანე — 10—12 სანტიმეტრს აღწევს. მტკენის ყუნწი 5—6 სანტიმეტრს უდრის; იგი მტწილად შემოუსვლელი რჩება, მწვანეა, ზოგჯერ ხეცდება და მიხაკისფერს იძენს.

მარცვალი მომრგვალებული, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებული, სიმეტრული და საშუალო სიმსხოსია; სიგრძე აღწევს 17—18 მილიმ., სიგანე—16—17 მილიმეტრს; კანი თხელია და ადვილად იხევა; მომწვანო ფერისაა, დაფარულია ფიფქის მცირე რაოდენობით. ხორცი წვნიანია. ურძენი მწიფდება I პერიოდის გასულს. მარცვალში მტწილად ორი წიპწია, იშვიათად 1—3 ცალი.

მარცვლის ღერუკის სიგრძე 4—7 მილიმეტრს უდრის; იგი მწვანე ფერისაა, ბალიში დამეჭეჭებული, განიერ-კონუსურია. ღერუკაზე მარცვალი საშუალოდ არის მიმაგრებული.

რქა დაზოლილი, საშუალო მუხლმორისებრიანია, ნათელი რუხი ფერისაა და მუხლებთან უფრო მუქადაა შეფერილი.


შედარებით მცირე მოსავლიანობისა და ნაცრით იოლი დაავადების გამო ხიხვი ნაკლებ მრავლდება, თუმცა უმაღლესი ხარისხის ღვინოს მომცემ ჯიშად უნდა ჩაითვალოს. პროფ. ი. ჯავახიშვილის ლინგვისტური გამოკვლევის მიხედვით ხიხვი უნდა მიეკუთვნოს საქართველოს უძველეს ჯიშთა წყებას.

მ მ მ მ მ მ მ

მცვეანი გავრცელებულია ძირითადად ყვარელში და ყვარლის რაიონში; ამ რაიონში მას უკავია ფართობის დაახლოებით 25—30% კახე-

თის მევენახეობის სხვა რაიონებში კი იგი ძლიერ მცირე რაოდენობით გვხვდება.

მცვივანი ხასიათდება საშუალო ზრდით. ფოთოლს საერთოდ მოყვანილობის მონახულობა აქვს, დანაკვეთილია ოთხი ამონაკვეთით. ზედა ამონაკვეთი შეჭრილია კუთხის მსგავსად; იშვიათად — ღირისებრი მოყვანილობის და შეერთებულ-კიდურებიანია; ქვედა ამონაკვეთი ნაკლებადაა განვითარებული. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღირისებრი მოყვანილობისაა. მახვილფუძიანი, ზოგჯერ თაღისებრი. ნაკეთის ბოლო კბილაკები სამ-



სურ. 19. მცვივანი (კახური).

კუთხოვანი, მომრგვალებულ გვერდებიანი და ასეთივე წვეროებიანია. გვერდითი კბილაკები ზერხისებრი, ოდნავ გამობერილ-გვერდებიანი და წაწვეტებულია. ფოთლის ფირფიტა წვრილ-ბუშტოვანია, ქვედა მხარიდან შებუსუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით. მთავარი ძარღვები შიშველი და მწვანეა.

ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძის თანატოლია, იშვიათად უფრო გრძელიც; იგი შიშველია, მუქი ჩალისფერი.

ყვავილი ორსქესიანია.

მტენის ფორმა ცილინდრისებრია, აგებულია შერეული მტენის სიგრძე უდრის 14—15 სანტიმეტრს და სიგანე—8—9 სანტიმეტრს. მტენის ყუნწის სიგრძე 3—4 სანტიმეტრს უდრის; იგი მწვანეა.

მარცვლი მომრგვალებული, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებული, სიმეტრული, საშუალო სისხისა; სიგრძით 16—17 მილიმეტრს უდრის, სიგანით 15—16 მილიმეტრს; კანი თხელია, ადვილად იხვევა, მწვანე ფერისაა, უხვადაა შეფენილი ვიტინით. ხორცი წვნიანია. მწიფდება II პერიოდის დასაწყისს. მარცვალში წიპწების რიცხვი მეტწილად 2 ცალია, იშვიათად 1—3 ცალი. მარცვლის ღერუკის სიგრძე 5—7 მილიმეტრს უდრის; ღერუკა მწვანეა და სადა; ბალიში ვიწრო კონუსისებრია; მარცვალი ღერუკასთან ძლიერ სუსტადაა მიმაგრებული.

რქა ოდნავ დახრილი, მოკლე მუხლშორისებრიანია, მოყავისფროა.

მცვივანას ახასიათებს უხეი მოსავალი, ღვინო კი მისგან დაბალი ხარისხისა დგება; ამის გამო მის ღვინოებს რქაწითელთან შერევით აყენებენ. ვადამწიფების დროს ვაზის ამ ჯიშმა მარცვლის ცვენა იცის და მისი სახელიც აქედან წარმოსდგება. მცვივანი ხასიათდება ნაცრის მიმართ კარგი გამძლეობით და უმკველია ამ მიზეზით უნდა აიხსნას მისი ასეთი გავრცელება ყვარლის ვენახებში.

მცვივანი შეიძლება მიეკუთვნოს მოსავლიან, მზატე, თეთრი მასობრივი ხასიათის საღვინე ჯიშს. მოსალოდნელია, რომ მცვივანის წვენი პასტორიზებული ყურძნის წვენის დასამზადებლად გამოდგეს.

ვაშრა - ვაში

სინონიმი: ბუერა (ქიზიყი), სარისაჩაზი (შულავერი), როლბერი (ბორჩალოელი გერმანელი კოლონისტები).

ბუერა-ვაზი გავრცელებულია ნარევი ნარგავების სახით შიდა და გარე-კახეთის საწარმოო ვენახებში. კახეთის გარდა იგი გვხვდება საინგილოში, შაჰმიანში და ბორჩალოს გერმანულ კოლონიებში; ამ ორ უკანასკნელ ადგილას ბუერა-ვაზს ფართო საწარმოო ხასიათი აქვს.

ბუერა-ვაზი ხასიათდება ღონიერი და ლალი ზრდით.

ფოთოლი საერთო მობაზულობით ოდნავ მოგრძოა, იშვიათად დანაკვითლია. ფოთლის ზედა ამონაკვეთი ოდნავ შესამჩნევი ნაპრალისებრია. ქვედა ამონაკვეთი უფრო ნაკლებადაა შესამჩნევი. ყუნწის ამონაკვეთი ღირისებრია, მომრგვალებული ან მახვილი მობაზულობის ფუძით; იშვიათად თლისებრად მომრგვალებული ან ბრტყელ-ფუძიანია. ნაკვთის ბოლო კბილანები სამკუთხოვანი, გამობერილ-გვერდებიანი და მახვილ-წვერობიანია. ფოთლის ფირფიტა დიდი, ბრტყელი, სადა ფორმისა და შიშველია.

მთავარი ძარღვები შიშველი, ფუძესთან ზოგ შემთხვევაში მოწითალო ლენინის ფერს იღებენ, მეტწილად კი მკრთალი მწვანე ფერისა არიან, ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძის თანატოლია, იშვიათად უფრო გრძელია, შიშველია და მოწითალო ლენინის ფერი აქვს. ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით ცილინდრულია, ხშირად კონუსურიც გვხვდება. აგებულებით შეკრულია, ზოგჯერ კი ოდნავ შეკრული. სიგრძით 19—20 სანტიმეტრს უდრის, სიგანით 14—15 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწი 5—6 სანტიმეტრს უდრის, გახევებული და მომიხაკისფერია, შემოუსვლელი იშვიათად რჩება და მაშინ მწვანეა. მარცვლი ფორმით ოდნავ ოვალურია, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებული და სიმეტრულია. მარცვლის სიგრძე 19—20 მილიმეტრს აღწევს, სიგანე 18—19 მილიმეტრს. კანი ყვითელია. მარცვლის კანი უხედაა დაფენილი ვიტინით, ნაზია და ადვილად იხევა. მარცვლის ხორცი წვნიანია. ყურძენი II პერიოდის მიწურულს მწიფდება, წიბები მარცვალში მეტწილად 3—2 ცალია, იშვიათად 4—5 ცალი.

მარცვლის ღერუკა სიგრძით 5—8 მილიმეტრს აღწევს, მწვანეა და სადა ფორმისაა. ბალიში განიერ-კონუსისებურია. მარცვლის მიმაგრება ღერუკაზე საშუალოა.

რქა უზოლო, საშუალო ან მოგრძო მუხლშორისებრიანი და მორუნთა; მუხლები ოდნავ უფრო მუქია.

ლონიერ და სარწყავ ნიადაგებში ბუერა-ვაზი ხასიათდება ლალი და ლონიერი ზრდით, უხვი მოსავლით და მასობრივ ღვინოებს იძლევა; ასეთ პირობებში, ყურძნის სრული სიმწიფის დროს, წვენი შესამჩნევად კლებულობს მტევანობა და ღვინო უხასიათო და უხალისო დგება. მტევანი მსხვილი და შეკრული იცის. ნესტიან შემოდგომაზე ვაზზე ყურძენი იოლად ლპება, რაც უფრო შესამჩნევად აუარესებს მის ხარისხს. სარწყავ პირობებში დიდ მოსავალთან ერთად შედარებითა მცირე შაქრიან ყურძენს იძლევა სხვა ადგილობრივ სტანდარტულ ჯიშთან შედარებით; მშრალ პირობებში კი, თუმცა მცირე მოსავალს იძლევა, სამაგიეროდ მეტი შაქრიანობით ხასიათდება; მაგრამ მისი ღვინო ასეთ პირობებშიც უხასიათო დგება, რის გამოც ძირითადად საკუბაეო მასალად იყენებენ. ყურძენი სასიამოვნო საკმეღია, სიმწიფის დროს ლამაზიც არის—მტევანი მზის მხარეს ლახათიან ალისფერს იღებს. კახეთში ამ ვაზის ჯიშს მრავალგვარი სამეურნეო გამოყენება აქვს; მის ყურძენს რაოდენობის მომატების მიზნით ურევვენ რქაწითლის ყურძენს; იზმარება საკმეღად, ტრანსპორტს კი ვერ იტანს; მისგან აკეთებენ ჩამიჩს და ხმარობენ საჩურჩხლედ. ლუქსემბურგის რაიონში გერმანელმა კოლონისტებმა ბუერა-ვაზი კახეთიდან შეიტანეს; დიდმოსავლიანობის გამო ამ ჯიშის ვენახებს იქ ფართოდ აშენებენ.

ბუერა-ვაზი ნაცრით შესამჩნევად ზიანდება, უმთავრესად ნესტიან წლებში.



ბუდეშური გავრცელებულია კახეთის საწარმოო ვენახებში ნარეული ვაზების სახით, ძირითადად კი გურჯაანის რაიონში გვხვდება. გარდა ამისა, ბუდეშური გავრცელებულია ქართლში, სადაც წმინდა ნარგავების სახითაც გვხვდება. ვაზის ეს ჯიში გაცილებით მეტად იყო გავრცელებული ძველ ვენახებში შემდეგ კი შემცირდა; ეს უნდა მივაწეროთ ფილოქსერიით დაზიანებას, რომლისადმიც ბუდეშური მეტად მგრძობიარეა.

ბუდეშურის ვაზი საშუალო ღონისაა, მოწვრილო რქა აქვს. ფოთოლი მომრგვალებულია, იშვიათად ოდნავ მოგრძოა, ფირფიტა საშუალოდაა დანაკეთილი სამი ან ოთხი ამონაკვეთით. ზემო ამონაკვეთის მოყვანილობა მომრგვალებულ-ფუძიანია და ხასიათდება მკაფიო ლირისებრი მოყვანილობით. ქვედა ამონაკვეთის ფუძე მახვილი მოხაზულობისაა, იშვიათად ლირისებრია და დაახლოებულ-კიდურებიანია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღრმა, მომრგვალებულ ფუძიანია, იშვიათად ლირისებრია. ნაკეთის ბოლო კბილაკები სამკუთხოვანი, გამობერილ-გვერდებიანი და მომრგვალებულ წვეროებიანია. კიდურის გვერდითი კბილაკები ხერხისებრ წაწვეტებულ-წვეროებიანია. ფოთლის ფირფიტა სადა, ზედა მხრიდან შიშველი, ახრილგვერდებიანია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე აბლაბუდისებრი ქსოვილითაა დაფენილი; მთავარი ძარღვები შიშველია და ფუძესთან მომუქოა.

ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძეზე ოდნავ მოკლეა, იშვიათად მისი თანატოლია; ყუნწი შიშველია და მომუქო.


ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით კონუსისებრია, აგებულია საშუალოდ შეკრული; გვხვდება თხელი მტევანიც. მტევნის სიგრძე 16—17 სანტიმეტრს უდრის, სიგანე—10—12 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწი 4—5 სანტიმეტრის სიგრძისაა, შემოუსვლელი—მწვანეა. მარცვალი ფორმით ოდნავ მოგრძო, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებულია, სიმეტრული, საშუალო სისხოსია; მარცვლის სიგრძე 17—18 მილიმეტრს აღწევს, სიგანე—13—15 მილიმეტრს. მარცვლის კანი საკმაოდ ელასტურია, მაგარი, მწვანე ფერისაა და შეფენილია ვიტინის საკმაოდ დიდი რაოდენობით. ხორცი წვნიანია. ყურძენი მწიფდება I პერიოდის მიწურულს. მარცვალი მეტწილად 1—2 წიბწას შეიცავს, იშვიათად 3 ცალს.

მარცვლის ღერუკა სიგრძით 8—9 მილიმეტრს აღწევს, მწვანეა. ბალიში ვიწრო კონუსისებრი მოყვანილობისაა და დამეჭიკებულია. მარცვალი ღერუკასთან საშუალოდაა მიმაგრებული.

რქა ოდნავ ზოლიანი, საშუალო მუხლშორისებიანია, მოყვითალო-მომიწვანო, მუხლებთან უფრო მუქია.

ღონიერ და ნესტიან ნიადაგებში ბუდეშური უხვ მოსაებალს და საკმაოდ შაქრიან და ტკბილ ყურძენს იძლევა. სრული სიმწიფის დროს მისა



სურ. 20. ბუნებრივი.

მეფიანობა შესამჩნევად კლებულობს, რის გამოც მისი ღვინო ნაკლები ხა-
ლისიანობით ხასიათდება. ბუდეშური საადრეო ჯიშად ითვლება. მისი სა-
მეურნეო გამოყენება შემდეგია: საკმაო მოსავლის დროს ურეცენი მწველით
ლის ყურძენს, მცირე მოსავლის შემთხვევაში კი უმთავრესად საჭმელად
იყენებენ. როგორც საადრეო და ამავე დროს შაქრით მდიდარი ყურძნის
ჯიში ბუდეშური შეიძლება საკმაოდ გავრცელდეს სუფრის ყურძნად გამო-
ყენების მიზნით. მაგრამ მხოლოდ ადგილობრივი ბაზრების მოსამარაგებ-
ლად, რადგან ტრანსპორტს ვერ იტანს და შენახვის უნარიანობაც ნაკლები
აქვს. ნაცარს ნაკლებად იტანს.

ო ბ ა შ ლ უ რ ი

ობაყლური გავრცელებულია ქიზიყში; მისი ნარგავები ძველად უფრო
მეტეი ყოფილა; მისი შემცირების მიზეზი ალბად ფილოქსერის მოქმედება
აყო. ქიზიყში ობაყლურს კარგმოსავლიანი და მალაღზარისხოვანი ღვინის
მომცემ ვაზის ჯიშად თვლიან. ობაყლურის კარგად მომწიფებული ყურძენი
ხასიათდება შესკატისებრი არომატით. საფიქრებელია, რომ უფრო თბილ
პირობებში შესაძლებელი იქნება ამ ყურძნის ჯიშიდან მაგარი და სადგ-
სერტო ტიპის მალაღზარისხოვანი ღვინოების დამზადება. გურჯაანის რა-
იონში ობაყლური შესამჩნევად ზიანდება ნაცრისაგან, ქიზიყის მშრალ პი-
რობებში კი უფრო ამტანია.

ობაყლურის ფოთოლი საერთო მოხაზულობით მომრგვალოა და
ღრმად არის დანაკეთილი 4 ამონაკვეთით. ზემო ამონაკვეთის ფუძე მახ-
ვილი მოხაზულობისაა, კიდურები ქმნიან კვერცხისებრ ან სამკუთხიან
ხერცლს და იშვიათად ელიპსისებრ კუჭრუტანას. ფოთლის ყუნწის ამონაკ-
ვეთი ხშირად ფუძემომრგვალებულია და ნაკვეთების კიდურები ოდნავ ეხე-
ბიან ერთმანეთს; კიდურებზე მეტწილად 1—2 დეზი ვითარდება; ნაკვეთის
ბოლო და გვერდითი კბილაკები სამკუთხოვანი, ცალგვერდგამობერილი და
წაწვეტებულწვეროვანია. ფოთლის ფირფიტა გვერდებაბრილი და ნაოკე-
ბიანია, ქვედა მხრიდან ხშირად წვერილბუშტოვანია და შებუსულია აბლა-
ბუდისებრი ბუსუსით. მთავარი ძარღვი მწვანეა და შებუსულია აბლაბუ-
დისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძის თანატო-
ლია, იშვიათად უფრო მოკლეა, შიშველია და მოწითალო.

ყვავილი ორსქესიანია; მტვრიანები გრძელია, ბუტკოზე ერთი მესა-
მედით უფრო გრძელი.

მტევანი ფორმით ცილინდრულ-კონუსურია, აგებულია კუნძიან.
მტევნის სიგრძე 18—20 სანტიმეტრს უდრის, სიგანე-კი 14—15 სან-
ტიმეტრს. მტევნის ყუნწის სიგრძე 5—6 სანტიმეტრს უდრის, შემოუსვლე-
ლი—მწვანეა. მარცვლი ფორმით მომრგვალებულია, შუაზე განიერი, ბო-
ლომომრგვალებული, სიმეტრული, საშუალო სიდიდისა. მარცვლის სიგრძე
17—18 მილიმეტრს უდრის, სიგანე კი—16—17 მილიმეტრს. კანი მავა-

რია, ხორცს კარგად ცილდება, სიმწიფის დროს ყვეთელია და უხვადაა შეფენილი ვიტინით. ხორცი წვნიანია. ყურძენი მწიფდება II პერიოდში. მარცვალში წიპწა მეტწილად ორი-სამი, იშვიათად 1—4 ცალია.

მარცვლის ღერუკა სიგრძით 6—8 მილიმეტრს აღწევს, მწვანეა და დამტკიცებულია; ბალიში განიერ-კონუსურია. მარცვალი ღერუკაზე მიმაგრებულია საშუალოდ.

რქა სადა, მოკლე მუხლ-მორისებია, ფერით მოყვითალო-მორუხია და მუხლებთან უფრო მუქია.

წ ო ბ ე ნ უ რ ი

წობენური ძლიერ მცირე რაოდენობით გვხვდება როგორც შიდა, ისე გარე-კახეთში; ამ ჯიშის ვაზები იმდენად შემცირებულია, რომ სახელწოდებაც კი იშვიათადაა დაცული. მოსავლიანობით და აგრეთვე ყურძნისა და ღვინის ხარისხით წობენური საყურადღებო ჯიშია; ასეთსავე შეფასებას აძლევენ მას მოხუცი მეურნენი, რომელთაც ამ ჯიშიდან ღვინო დაუყენებიათ. წობენურის ნარგავთა ასეთი შემცირება შეცდომაა და, გარკვეულ პირობებში, კახურ სტანდარტულ ჯიშებთან ერთად იგი გავრცელების ღირსია. ზოგადი შეფასების მიხედვით ნაცრის საშუალო ამტანი უნდა იყოს.

წობენურის ფოთოლი საერთო მოხაზულობით ოდნავ მოგრძოა, სამნაკეთიანია; ამონაკეთები საშუალო სიღრმისაა. ზედა ამონაკეთის ფუძე ხშირად ვიწროა, კვერცხისებრ-მომრგვალებული; ზოგჯერ ფუძესთან კბილაკი გვხვდება. ქვედა ამონაკეთი ოდნავ ემჩნევა. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი თალისებრი მოხაზულობისაა, მრგვალოფუძიანი და ხშირად დეზებიანია. ნაკეთის ბოლო და გვერდითი კბილაკები სწორკუთხოვანი და გამოპერილ-გვერდებიანია. ფოთლის ფირფიტა გვერდებახრილი, ნაკებიანია და ქვედა მხრიდან შებუსუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით. მთავარი ძარღვები ფუძესთან შოლისფერია, შებუსუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძის თანატოლი და ზოგჯერ უფრო მოკლეა, შიშველია და მოწითალო ღვინის ფერისაა.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევნის მოყვანილობა ცილინდრისებრი და ოდნავ შეკრულია, ზოგჯერ კუმსია, სიგრძე უდრის 19—20 სანტიმეტრს და სიგანე—8—10 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწის სიგრძე 2—3 სანტიმეტრს უდრის; შემოუსვლელები—მწვანე, ზოგჯერ კი მოვარდისფერია. მარცვალი ფორმით მომრგვალებულია, შუაზე განიერი, ბოლო მომრგვალებული, სიმეტრული, საშუალო სიმსხოსია, სიგრძე და სიგანე 14—15 მილიმეტრს უდრის. მარცვლის კანი თხელია, მწვანეა, ადვილად იხვევა, უხვადაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის ხორცი წვნიანია. ყურძენი II პერიოდში მწიფდება. წიპწები მარცვალში მეტწილად 1—2, იშვიათად 3 ცალია.

მარცვლის ღერუკა 4—5 მილიმეტრს აღწევს და დამეჭვებულთა იგი მწვანეა. ბალიში ვიწრო კონუსისებრია; მარცვალი ღერუკასთან საშუალოზე ნაკლებად არის მიმაგრებული.

რქა უზოლოა, საშუალო მუხლშორისებრიანი და მორუბო; მუხლზე-თან უფრო მუქია.

დედათ-პურძინი

დედათ-ყურძენი გვხვდება საწარმოო ვენახებში შერეული, ერთეული ძარების სახით, ძირითადად ყვარლის რაიონში. ადგილობრივ მცხოვრებთა შეფასებით და საერთო ნიშნებით იგი ეკუთვნის თეთრ ხარისხოვან სუფრის ღვინის ჯიშს. სასიამოვნო არომატთან ყურძენს იძლევა.

ვაზი ხასიათდება საშუალო ზრდით და ასეთივე საშუალო მოსავლიანობით; ფილოქსერით დაზიანებას ვერ იტანს; ნაცრის გამძლეობა საშუალო აქვს.

ფოთოლი მოხაზულობით მომრგვალებულია, იშვიათად მოგრძო, ოთხნაკეთიანია, იშვიათად ექვსნაკეთიანიც. ამონაკეთები საშუალოზე მეტი სიღრმისაა. ზედა ამონაკეთი ბრტყელფუძიანია, მოყვანილობით კვერციანსებრია, იშვიათად დახურული და მკირე ჭუჭრუტანიანია. ქვედა ამონაკეთი ისეთივე ფორმისაა, როგორც ზედა, მხოლოდ ფუძე ზოგჯერ მომრგვალებული აქვს. ყუნწის ამონაკეთი თაღისებრი მომრგვალებულ ან ბრტყელ ფუძიანია. ფუძე შემოფარგლულია ძარღვებით. ნაკეთის ბოლო კბილაკები სამკუთხოვანი და გვერდებგამობერილია; ნაკეთის გვერდითი კბილაკები ხერხისებრი, ცალმხრივ გამობერილგვერდიანი და ოდნავ წვეროვებ მოხრილია. ფოთლის ფირფიტა ბრტყელია, ქვედა მხრიდან შებუსუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით, ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე გრძელია; იგი შიშველია და მოწითალო ღვინის ფერისაა.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით ცილინდრულია, იშვიათად ცილინდრულ-კონუსურია, აგებულიებით საშუალოდ შეკრულია. მტევნის სიგრძე 20—23 სანტიმეტრს უდრის, სიგანე 8—10 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწი 1—2 სანტიმეტრის სიგრძისაა, შემოუსვლელი—მწვანეა. მარცვალი მერყევი ფორმის, მეტწილად მომრგვალებულ-ოვალურია, შუაზე განიერი, ბოლო მომრგვალებული, სიმეტრულია; მარცვლის სიგრძე 16—18 მილიმეტრს უდრის, სიგანე—15—17 მილიმეტრს. კანი მავარია, მოთეთროა, უხეიდაა შეფენილი ვიტინით. ზორცი წვნიანია. მარცვალში მეტწილად 1 წიბწაა, იშვიათად ორი. ყურძენი მწიფდება II პერიოდის დასაწყისში.

მარცვლის ღერუკა სიგრძით 5—7 მილიმეტრია, მწვანეა. ბალიში ვიწრო კონუსისებრი და დამეჭვებულთა. მარცვალი ღერუკასთან მიმაგრებულია საშუალოდ.

რქა ოდნავ დაზოლილია და შებუსულია მცირე აბლაბუდისებრი ბუსუსით, რომელიც ადვილად სცილდება. რქა საშუალო სიგრძის მუხლმორისებრიანია და მონალისფერია.

ერკონუსული
ნივლიანობა

მირზაანის თეთრი

მირზაანის თეთრი გვხვდება ქიზიყში, სახელდობრ ბოდბისხევეში და მირზაანში; ენაიდან მისი ნამდვილი სახელწოდება ვერ გავიგეთ, გადმოცემით კი ეს ჯიში მირზაანიდან გავრცელებულა, ამისათვის „მირზაანის თეთრი“ ვუწოდეთ. მოსავლიანობის მხრივ ადგილობრივ ჯიშთა შორის ამ ჯიშს პირველი ადგილი უკავია. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი 3-ს უდრის, თითოეულ ჰექტარზე მოსალოდნელია მისგან 200—250 ცენტნერის და მეტი მოსავლის მიღება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქიზიყის დაბლობ და ლონიერ ადგილებში, ე. ი. იმ მიდამოებში, სადაც ასეთ მოსავლიანობასთან ერთად მისი დაშეიფებაც უზრუნველყოფილი იქნება, ვაზის ეს ჯიში სათანადო გავრცელებას ჰპოვებს. როგორც ყურანის ხარისხიდან სჩანს, ეს ჯიში საშუალო ხარისხის სუფრის ღვინოების ვაზის ჯიშის წყებას ეკუთვნის. ქიზიყის პირობების მიხედვით ნაცრის კარგი ამტანობა ეტყობა. მილდიუს წინააღმდეგ უფრო მეტ გამძლეობას იჩენს, ვიდრე რქაწითელი.

მირზაანულის ვაზი ლონიერი ზრდით ხასიათდება. ფოთოლი მომრგვალებულია. ამონაკვთები მეტწილად საშუალო სიღრმისაა, იშვიათად ზეზეური, ოთხნაკვთიანია. ზედა ამონაკვთის მოყვანილობა განიერ ელიპსურია, ქუკრუტანიანი, მომრგვალებულ-ფუძიანია. ქვედა ამონაკვთი მახვილფუძიანია, მეტწილად დახტურული ან ღირისებრი მოყვანილობისაა. ყუნწის ამონაკვთი თალისებურია, ბრტყელფუძიანი, იშვიათად დახტურული. ნაკვთის კბილაკები სამკუთხოვანია, სადა გვერდებიანი წვერწაწვეტებულნი, იშვიათად წვერმომრგვალებულნი. ნაკვთის გვერდითი კბილაკები ოდნავ ხერხისებრი და წვერწაწვეტებულნი. ფოთლის ფირფიტა გვერდებ-აბრილია, სადაა, ქვედა მხრიდან შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსებით. მთავარი ძარღვი შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით და მწვანეა. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე ოდნავ მოკლეა, იშვიათად თანაბარი სიგრძისაა, შიშველი და მწვანეა.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით ცილინდრულ-კონუსურია, აგებულებით საშუალოდ შეკრული, მხრებიანია. მტევნის სიგრძე 23—25 სანტიმეტრს უდრის, სიგანე — 13—15 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწი სიგრძით 5—6 სანტიმეტრია, შემოუსვლეელი — მწვანეა. მარცვალი მომრგვალებული, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებული, სიმეტრულია; სიგრძე-სიგანე 20—22 მილიმეტრს უდრის; კანი მაგარია, მწვანეა და უხვადაა დაფენილი ვიტინით. ხორცი წვნიანია. მარცვალში მეტწილად 4—3 წიპწაა, იშვიათად 2. მარცვლის

ღერუკა სიგრძით 4—6 მილიმეტრია, მწვანეა. ბალიში განიერკონუსური და დამეჭეპებულია. მარცვალი ღერუკაზე მიმაგრებულია საშუალოდ.

რქა უზოლო, საშუალო მუხლშორისებიანი, მოვარდისფერი-ბრინჯაო-ბურთა, მუხლებთან მოწითალო-მოყავისფერია.

ძ ი ს ი

ქისი გვხვდება მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს საწარმოო ვენახებში ნარეგების სახით და იშვიათად წმინდა ნარგაებადაც, მაგრამ მხოლოდ პატარა ნაკვეთებად. ვაზის ეს ჯიში საშუალო მოსავლიანობით ხასიათდება; ადგილობრივი მოსახლეობის შეფასებით იგი თეთრ, ხარისხოვან ღვინის ვაზის ჯიშად ითვლება. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ჯიშმა სათანადო ადგილებში კულტურის შედეგად, საწარმოო მნიშვნელობაც მიიღოს. ნაცრის ამტანობა ქისის ნაკლები აქვს.

ქისის ვაზი ხასიათდება საშუალო ზრდით. ფოთოლი მომრგვალოა იშვიათად მოგანივროა, ორამონაკეთიანია და ამონაკეთები საშუალოზე ნაკლებია. ზედა ამონაკეთი მახვილფუძიანია, ერთკბილაკიანია. ამონაკეთის მოყვანილობა ხშირად ნაპრალისებრი და იშვიათად ლირისებრია. ქვედა ამონაკეთი მეტწილად ოდნავაა შესამწვნივე, მახვილ-ფუძიანია. ყუნწის ამონაკეთი ბრტყელფუძიანია, თალისებრი მოყვანილობისაა, ნაკეთის ბოლო კბილაკები სამკუთხოვანი და სწორკვერდებიანია, წვერებზეაწვეტებულია. ფოთლის ფირფიტა გვერდებახრილი, სადა ზედაპირიანია, ქვევიდან შებუსუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით. მთავარი ძარღვები შიშველია და მომწვანო. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე გრძელია, შიშველი და მოვარდისფერია.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით ცილინდრულ-კონუსურია, იშვიათად ცილინდრულია, აგებულებით თხელი, მზრებიანია. მტევნის სიგრძე 18—20 სანტიმეტრს უდრის, სიგანე—10—11 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწი 2—3 სანტიმეტრის სიგრძისაა, გახევებული, მორუხო ფერისაა, ზოგჯერ შემოუსვლედი რჩება და ამ შემთხვევაში მწვანეა. მარცვალი მომრგვალებულია, შუაზე განიერია, ბოლომომრგვალებული, სიმეტრულია; მარცვლის სიგრძე 16—18 მილიმეტრს უდრის, სიგანე 15—17 მილიმეტრს. მარცვლის კანი თხელია, მომწვანოა, ვიტინით ნაკლებად დაფენილია. ხორცი წვნიანია. მწიფდება II პერიოდში. მარცვალში წიბა მეტწილად 1 ცალია, იშვიათად 2.

მარცვლის ღერუკა 5—7 მილიმეტრის სიგრძისაა, მწვანეა და დამეჭეპებულია; ბალიში ვიწრო კონუსურია; მარცვალი ღერუკაზე მკვიდრად და მიმაგრებულია.

რქა უზოლო, საშუალო მუხლშორისებიანია; მოყვითალოა, მოყვანილობით ოდნავ მობრტყო, თითქმის ოთხკუთხეა.



საფენა იმავე რაიონში და ისევე გავრცელებულია, როგორც ქისი; იგი საკმაოდ გვხვდება ნაფარულში (თელავის რაიონი). აღნიშნული მისახლეობა ვაზის ამ ჯიშის ღვინოს კარგ ხარისხიანად თელის. მოსავლიანობა საშუალო აქვს. ნაცრით შესამჩნევად ზიანდება.

საფენას ვაზი საშუალო ღონისაა. ფოთოლი მომრგვალებული, იშვიათად მოგანივრია, ოთხამონაკეთიანია; ამონაკეთების სიღრმე საშუალოზე ნაკლებია. ზემო ამონაკეთი მახვილფუძიანია, მოყვანილობით მეტწილად დახურული, კვერცხისებრ ჭურჭრუტანიანია, იშვიათად დახურულია. ქვედა ამონაკეთის ფუძე მომრგვალებულია, იშვიათად მახვილია. ამონაკეთის მოყვანილობა მეტწილად ლირისებრი, დაახლოვებულ-გვერდებიანია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი თლისებრ განიერ-ფუძიანია, იშვიათად ლირისებრი ფუძე მორგვალებულია. ფოთლის ფირფიტა ბრტყელია, ზოგჯერ გვერდებახრილი, სადა, შიშველი, ქვედა მხრიდან იშვიათად წვერილბუსუსიანი. ნაკეთის ბოლოკბილაკები სამკუთხოვანია, გვერდებგამობერილი; ოდნავ წვერებწაწვეტებული. ნაკეთის გვერდითი კბილაკები ხერხისებრი ცალმხრივ გამობერილია, იშვიათად სამკუთხოვანი და სადა გვერდებიანი, ოდნავ წვეროწაწვეტებულია. მთავარი ძარღვები ოდნავ შებუსუსულია ჯაგრისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი მთავარა ძარღვის სიგრძის თანატოლი, შიშველი, მკრთალი ვარდისფერია.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით ცილინდრული და აგებულია თხელია. მტევნის შემოუსვლელი ყუნწი მწვანეა. მარცვალი ფორმით ოდნავ მოგრძობა, შუაზე განიერი, ბოლო მომრგვალებული, სიმეტრული, იშვიათად ასიმეტრულია. მარცვლის სიგრძე 18—20 მილიმეტრს უდრის, სიგანე 15—16 მილიმეტრს. კანი მკრივი, ყვითელია, უხვადაა შეფენილი ვიტინით. ხორცი წვნიანია. მარცვალში წიბწა მეტწილად 1 ცალია, იშვიათად 2—3 ცალი. მარცვლის ღერუკა 4—6 მილიმეტრის სიგრძისაა, მწვანეა; ბალიში ვიწრო, კონუსური დამეჭეტებულია. მარცვალი ღერუკასთან მიმაგრებულია საშუალოდ.

რქა უზოლო, მოკლე მუხლშორისებიანი და მოყვითალოა.

კუმსი თეთრი

კუმსი თეთრი გავრცელებული იყო ძირითადად გურჯაანის რაიონში, ნაწილობრივ კახეთის დანარჩენ რაიონებშიც. ფილოქსერის გავრცელებამდე ძველ ვენახებში იგი საკმაო რაოდენობით გვხვდებოდა და ზოგჯერ წმინდა ნარგავის სახითაც იყო გაშენებული. მისი გავრცელება გამოწვეული იყო ამ ჯიშისათვის დამახასიათებელი დიდმოსავლიანობით; სა-

მაგვირავი იგი დაბალი ხარისხის თეთრ ღვინოს იძლევა. ამჟამად ვენაში
ბის აღდგენის დროს, კუმსი აღარ ვრცელდება. ნაცრის ამტანობა კარგი
აქვს.

მტევანი ფორმით ცილინდრულ-კონუსურია; აგებულებით მსგავსაა სი-
სია, იშვიათად ნაკლებ შეკრულია. მტევნის სიგრძე 15—17 სანტიმეტრს
უდრის, სიგანე 10—11 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწი 5—6 სანტიმეტრს
უდრის; შემოსულები—მწვანეა, იშვიათად კი მოწითალო-ღვინისფერს
იღებს. მარცვალი მომრგვალებულია, შუაზე განიერი, ბოლო მომრგვალე-
ბული. მარცვლის სიგრძე 16—18 მილიმეტრს და სიგანე 15—17 მილი-
მეტრს უდრის. კანი მკვრივია, უხვადაა დაფენილი ვიტინით, ყვითელია.
მარცვლის ხორცი წვნიანია. მარცვალში მტვწილად 2, ბშვიათად 1—3
წიპწია. მარცვლის ღერუკა სიგრძით 5—7 მილიმეტრს უდრის და მწვა-
ნეა. ბალიში განიერ კონუსური, დამეჭებებულია. მარცვალი ღერუკაზე მი-
მაგრებულია საშუალოდ. ყურძენი II პერიოდის დასაწყისს მწიფდება.

რქა დაზოლილი, საშუალო მუხლშორისებრიანი და მოყვითალო-მომი-
ხაკისფერია. მუხლები უფრო მუქია.

ძალდი-არჭამა

ძალდი-არჭამა გვხვდება კ-ხეთის თითქმის ყველა საწარმოო ვენაში
შერეული, ერთეული ძირების სახით. ვაზის ეს ჯიში მოკლებულია თით-
ქმის ყოველგვარ დადებითი სამეურნეო ღირსებას: იძლევა უარომატო,
დაბალშაქრიან და ნაკლებმეაფიან ყურძენს; უნდა ვიფიქროთ, რომ ამ
ჯიშს ზემოხსენებული სახელწოდება მიეკუთვნა უარყოფითი ღირსების გა-
მოსახვის მიზნით. ძალდი-არჭამა იძლევა მსხვილმარცვლიან ყურძენს და
ოდნავ მკვრივ კონსისტენციის ხორცს. საფიქრებელია, რომ ამ თვისების
გამო შეიძლება მან გამოყენება ჰპოვოს საკონსერვო წარმოებაში. მოსაფ-
ლიანობა საშუალო, ნაცრის ამტანობა კი კარგი აქვს.

მტევანი უფრო მო, ხშირად ცილინდრულ-კონუსურია, მარებიანია.
აგებულებით საშუალოდ შეკრული, ხშირად მეჩხერია. მტევნის სიგრძე
17—18 სანტიმეტრს აღწევს, სიგანე 13—15 სანტიმეტრს; მარების სიგ-
რძე 7—9 სანტიმეტრს აღწევს. მტევნის ყუნწი სიგრძით 6—7 სანტიმე-
ტრია, შემოსული—მოწითალო-მორუხია. მარცვალი მომრგვალებულია,
შუაზე განიერი, ბოლო ბრტყელი ან ოდნავ შეზნექილი, სიმეტრულია. მარ-
ცვლის სიგრძე 19—21 მილიმეტრს უდრის, სიგანე—18—20 მილიმეტრს.
მარცვლის კანი მკვრივია, უხვადაა დაფენილი ვიტინით და ღია ვარდის-
ფერია. ხორცი საკმაოდ წვნიანია. წიპწა მარცვალში მტვწილად 2—3
ცალია, იშვიათად 1—4 ცალი.

მარცვლის ღერუკა სიგრძით 6—8 მილიმეტრია, მწვანეა. ბალიში გა-
ნიერ-კონუსურია, დამეჭებებულია. მარცვალი ღერუკასთან მიმაგრებულია
საშუალოდ. ყურძენი III პერიოდის დასაწყისს მწიფდება.



ბეჭენაური ძლიერ მცირე რაოდენობით გვხვდება ცალკე მარცხენა სი-
ხით სილნალის რაიონის საწარმოო ვენახებში; მისი სამეურნეო მნიშვნე-
ლება შეუსწავლელია; წინასწარი დაკვირვების მიხედვით ეს ჯიში თითქოს
მოკლებული უნდა იყოს დადებით სამეურნეო თვისებებს.

მტევანი ფორმით ცილინდრულ-კონუსური და საშუალოდ შეკრულია;
მტევნის სიგრძე 18—20 სანტიმეტრს უდრის, სიგანე—13—15 სანტიმეტრს;
მტევნის ყუნწის სიგრძე კი—3—4 სანტიმეტრს უდრის და გახევეებისა მო-
რუხია. მარცვალი მომრგვალებულია შუაზე განიერი, ბოლომომრგვალე-
ბული, იშვიათად ბოლოშედრეკალი, სიმეტრული. კანი მაგარია და ყვი-
თელი. კანი ხშირ-შავწინწკლებიანია. მარცვლის კანი ვიტინით ოდნავ შე-
ფენილია. ხორცი ნაკლებწვნიანია და საკმაოდ მკვრივია. წიპწა მარცვალ-
ში მეტწილად 2 ცალია, იშვიათად 1 ცალია.

მარცვლის ღერუკა სიგრძით 4—6 მილიმეტრია და მწვანეა. ბალიში
ვიწრო კონუსური, დამეჭეპებულია. მარცვალი ღერუკასთან საშუალოდაა
მიმაგრებული. ყურძენი II პერიოდში მწიფდება.

უ რ ი ა უ რ ა ძ ე ნ ი

ურია ყურძენი გვხვდება მდინარე ალაზნის მარცხენა მხარის ვენა-
ხებში, როგორც შერეული ნარგავების სახით, ავრეთვე წმინდა ნარგავე-
ბადაც. ადგილობრივი მოსახლეობის დაკვირვების მიხედვით იგი ნაცრის
და მილდიუს კარგად ამტანი ჯიშია. ზრდა ღონიერი აქვს, მოსავალს
საშუალოზე მეტს იძლევა. ყურძენი მწიფდება უფრო მოგვიანებით, ვიდრე
დანარჩენ ადგილობრივ ვახის ჯიშები; ამის გამო მისი ღვინო დაბალი
ხარისხისა გამოდის.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით ცილინდრული, ძლიერ კუმსია. მტევნის სიგრძე
17—19 სანტიმეტრს აღწევს, სიგანე 7—9 სანტიმეტრს; მტევნის ყუნწის
სიგრძე 1—2 სანტიმეტრია, შემოუსვლელი—მწვანეა. მარცვალი მომრგვა-
ლებული, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებული, ოდნავ ასიმეტრული, სა-
შუალო სიდიდისაა. სიგრძე 15—17 მილიმეტრს უდრის, სიგანე 14—16
მილიმეტრს. კანი თხელი, მწვანეა, უხვადაა შეფენილი ვიტინით. ხორცი
წვნიანია. მარცვალში წიპწა მეტწილად 2—3 ცალია, იშვიათად 1 ცალი.

მარცვლის ღერუკას სიგრძე 4—6 მილიმეტრს უდრის; იგი მწვანეა.
ბალიში ვიწრო, კონუსურია, დამეჭეპებულია. მარცვალი ღერუკასთან
საშუალოდაა მიმაგრებული.



კურკიანა გვხვდება ყვარლის საწარმოო ენახებში, მხოლოდ მარცხენა ვაზის სახით და ძლიერ მცირე რაოდენობით. ამ ჯიშის სამეურნეო ღირებულება ძირითადად შეუსწავლელია; ზოგადი შეფასების მიხედვით კი იგი დაბალი სამეურნეო ღირსების ჯიშად უნდა ჩაითვალოს. მისი მარცვალი ბევრ წიპწას შეიცავს, წვენი კი მცირეა. მოსავლიანობაც საშუალოზე ნაკლები.

მტევანი ფორმით ცილინდრულიდან—კონუსურამდე, აგებულიებით მუხხერია; მტევნის სიგრძე 14—16 სანტიმეტრს უდრის, სიგანე კი 8—10 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწის სიგრძე—5—6 სანტიმეტრია; იგი მომწვანოა. მარცვალი მომრგვალებული, ზოგჯერ მოგანიერო და შუაზე განიერო, ბოლო შეკუცულია; მარცვლის სიგრძე 14—16 მილიმეტრს უდრის, სიგანე 15—17 მილიმეტრს. მარცვლის კანი მაგარია, მწვანეა და უხვად შეფენილია ვიტინით. წიპწა მარცვალში მეტწილად 3—4 ცალია, იშვიათად 5—6 ცალია. მარცვლის ღერუკას სიგრძე 4—5 მილიმეტრია, მწვანეა. ბალიში ძლიერ დამეჭეპებული, განიერ-კონუსურია. მარცვალი ღერუკაზე მიმაგრებულია მკიდროდ.

ბ. კაბუკი წითელი ღვინის ჯიშები

ს ა ზ მ რ ა შ ი

კახეთის სახელგანთქმული წითელი ღვინო კახურ ჯიშ საფერავისაგან მზადდება. ძირითადად ეს ჯიში გავრცელებულია გურჯაანის, თელავის, ყვარლის და სიღნაღის რაიონებში; გარე-კახეთში მისი ნარგავები შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. საფერავის ვაზებს მთელი კახეთის ენახების ფართობის 18—20% უკავია, მიღებულია ზომები მე-III ხუთწლეულისთვის ამ ჯიშის ენახების 33%-ამდე ასაყვანად. ვაზის ამ ჯიშის საწარმოო მნიშვნელობის ნარგავები, გარდა კახეთისა, გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეებშიაც, აგრეთვე ყირიმში, აზერბაიჯანში და მცირე რაოდენობით საბჭოთა კავშირის მევენახეობის სხვა რაიონებშიც.

საფერავი უჭირფასეს წითელი ღვინის ჯიშად ითვლება და მისგან დამზადებული ღვინოები სახელგანთქმულია საქართველოს გარეთაც. ქინძ-მარეულის (ყვარელი), ახოების (კარდანაზი), ახაშენის, ფაფრისხევის (ჩუმლაყი), თელიანის (წინანდალი) და სხ. საფერავის ღვინო საუკეთესო ნიმუშშია ამ ჯიშის ღვინის განსაკუთრებული ღირსებისა.

საფერავი იძლევა სხეულიან მუქ-წითელ ღვინოს, რომელიც „ხავერდოვნებით“ ხასიათდება. საფერავის ღვინო იხმარება საკუბაყედაც ნაკლებ-შეფერილი და ნაკლებსხეულიანი წითელი ღვინოების გასაუმჯობესებლად. გარდა სფურის ღვინისა, მისგან ამზადებენ მაგარ ღვინოებსაც.



სურ. 21. საფრეზი.

არამშრალ და ღონიერ ნიადაგებში საფერავი იძლევა ვარდნას-
ვალს, რომლის რაოდენობა ერთ ჰექტარზე 80—100 ცენტნერს აღწევს.
გვალვის დროს მისი მოსავლიანობა ძალიან მცირდება; საერთოდ საფერავი
ძლიერ მგრძობიარე ჯიშია როგორც სიმშრალისა, ისე სიცხეებისა.
სწორედ ამ მიზეზის გამო შედარებით ნაკლები რაოდენობით არის გა-
შენებული. ნაცრის ამტანიანობა გაცილებით უკეთესი აქვს, ვიდრე ვაზის
სხვა ადგილობრივ სტანდარტულ ჯიშებს. ფილოქსერით ძალიან მალე
იღუპება.

საფერავის ვაზი შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

ზრდა საკმაოდ ღონიერი აქვს, ყლორტები ნაკლებ აწოწილია.

ზრდამოთავებული ფოთოლის ფირფიტა მომრგვალებულია, ნაკლებ-
დნაკეთილია და ორი ამონაკვეთი უფრო გამოხატულია. ზემოამონაკვეთი
ნაპრალისებრია, ხშირად ლირისებრიც; მომრგვალებული ფუძე აქვს, იშვი-
ათად ერთი კბილაკიც. ქვემო ამონაკვეთი ოდნავ შესამჩნეყია და ზოგჯერ
ნაპრალისებრია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მეტწილად ლირისებრია,
იშვიათად თაღისებრია, ფუძემომრგვალებულია. ნაკვეთის ბოლო კბილაკი
სამკუთხოვანი, ოდნავ გამობერილი გვერდებით, ოდნავ წვერწაწვეტბუ-
ლია. ფოთლის ფირფიტა ბრტყელი, ნაოჭებიანია. ქვედა მხარე შებუსუსულია
წვრილი ბუსუსით. მთავარი ძარღვები ოდნავ შებუსუსულია და მწვანეა.
ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძეზე მოკლეა, შიშველია და მწვა-
ნეა. შემოდგომით ფოთოლი იღებს მუქ-წითელ ზოგჯერ მოწავო ფერს.

ყვავილი ორსქესიანია, 5 მტვრიანიანია, იშვიათად 6 მტვრიანიანიც
გვხვდება.

მტევნის ფორმა კონუსურია, მეტწილად თხელი, იშვიათად ოდ-
ნავ შეკრული. საშუალო მტევნის სიგრძე 15—16 სანტიმეტრს უდრის,
სიგანე კი—ზედა ნაწილში 10—12 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწი 3—4 სან-
ტიმეტრის სიგრძისაა, გახევებული მომიხაკისფროა, შემოუსვდელი კი
მწვანეა. მარცვალი ოვალური მოყვანილობის, შუაზე განიერი, ბოლომომ-
რგვალებული, სიმეტრული, საშუალო სისხოსია; სიგრძე აღწევს 18—20
მილიმეტრს, სიგანე—17—18 მილიმეტრს. მარცვლის კანი თხელია, ადვი-
ლად იხვევა, მუქი შავი ფერისაა, უხვადაა დაფენილი ვიტინით. ხორცი
წვნიანი და წითლად შეღებილია. ყურძენი მწიფდება II პერიოდში. მარც-
ვალში წიპწა მეტწილად 1—2 ცალია, იშვიათად გვხვდება 3 ცალი.

მარცვლის ღერუკა 5—8 მილიმეტრის სიგრძისაა, მწვანეა; ბალიში
დამქვევებულია, წითელია, მოყვანილობით განიერ-კონუსურია. მარცვალი
ღერუკასთან მიმაგრებულია შედარებით ნაკლები სიმკვიდროვით.

რქა ოდნავ დაზოლილი, საშუალო ნუბლშორისებრიანი, მოწითალო-
მომიხაკისფროა, მუხლები უფრო ნუქია,

საფერავის ვაზი ეგუება როგორც გრძელ, ისე მოკლე სხელას. საკმე-
ლად ნაკლებ გამოსადეგია, საკუთრივ საღვინე ჯიშად ითვლება და ამ

მხრივ კახეთის პირობებში მას მეტოქე არა ჰყავს. ცხელ და მშრალ კერ-
მატს საფერავი ისე ვერ იტანს, როგორც რქაწითელი. ზამთრის ყინვე-
ლისგანაც იოლად ზიანდება.

მარცხენა
მარცხენა

საფერავის ახალი ლვინოები ძალიან წიაგავს დაღმატურ (დაღმატურის
კის აღმოსავლეთი სანაპირო) ახალ კარგ წითელ ლვინოებს, დაძველებული
კი ბურჯუნდის სახელგანთქმული ლვინოების ხასიათისაა.

საფერავში ვხვდებით სხვათაგან ვარიაციებს, სახელდობრ: ყვარლის
რაიონში „მამალ საფერავს“, რომელიც ხასიათდება ძლიერი ზრდით, ბეგ-
რი ყვავილით, ოღონდ ძლიერ მცირე მოსავლიანობით და მარცვალში
მცირე რაოდენობის წიბწით. ორსქესიანია. ვარდა ზემოხსენებულ ვარი-
აციისა, საკავშირო მიეწინაბეობის ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთზე და აგ-
რეთვე სოფ. შაშიანში აღმოჩენილია სხვა ვარიაცია, რომელსაც ახასია-
თებს არაჩვეულებრივი სიდიდის ყვავილედი. თითოეულ ყვავილედზე ყვა-
ვილთა რიცხვი 12—15 ათას ცალამდე აღწევს. ამ სახის ვარიაციისაც სა-
ბოლოოდ მცირე მოსავლიანობა ახასიათებს, რადგან ყვავილობის დროს
ყვავილედი შეტად თხელდება. ეს ვარიაცია ყვავილობას იწყებს ერთი კვი-
რის მოგვიანებით, ვიდრე ჩვეულებრივი საფერავი. მარცვალში წვრილი
წიბწები უვითარდება. ორსქესიანია. ზოგიერთი კახელი მიეწინაბის აზრით
„დიდფოთლიანი“ და „პატარაფოთლიანი“ ვარიაციებიც არსებობს; აგ-
რეთვე ასახელებენ „წვრილმარცვალა“ საფერავის ვარიაციას. რამდენად
დამოუკიდებელ ფორმას წარმოადგენენ ესენი, ამის შესახებ ჯერ საკმაო
მასალა არ მოგვეპოვება.

ს ი მ ო ნ ა ს ე უ ლ ი

ჯიში სიმონასეული გავრცელებულია სიღნაღის რაიონში, თუმცა ნა-
წილობრივ გურჯაანის რაიონშიც გვხვდება. ვაზის ეს ჯიში სიღნაღის რაი-
ონში საწარმოო ფენახებში გვხვდება როგორც შერეულად, ისე ნაწილობ-
რივ წმინდა ნარგავებდაც, მაგრამ პატარა ნაკვეთები უკავია. გურჯაანის
რაიონში თუმცა სიმონასეულს „თავკვერს“ უწოდებენ, მაგრამ თავკვერთან
ამ ჯიშს საერთო თითქმის არაფერი აქვს. ამ სახელწოდებით გადანათვლა
იმიტომ უნდა აიხსნას, რომ სიმონასეულს კახურ თავკვერსავით ბოლოშე-
დრეკილი მარცვალი აქვს.

სიმონასეული ვაზი ძლიერი ზრდითა და უხვი მოსავლით ხასიათდება.
მისი ლვინო მეტად მდიდარია საღებავი პიგმენტით და უფრო ინტენსური
შეფერვით ხასიათდება, ვიდრე საფერავის ლვინო. კახური წესით დაყენ-
ებული სიმონასეულის ლვინო მეტად მდიდარია ტანიდებით, რაც ნაწილობ-
რივ აუარესებს მის ხარისხს, მაგრამ ევროპულ წესით მოვლილ-მომზადე-
ბული სიმონასეულის ლვინო მაღალი ხარისხისა დგება და ერთგვარი თავი-
სებური ხავერდოვნებით ხასიათდება¹.

¹ აგრ. სიბაშვილის მიერ მომზადებული და დეგუსტაციის დროს წარმოდგენილი
სიმონასეულის ლვინო მაღალი ნიშნით შეფასდა.

ფოთოლი მოხაზულობით მოგრძო, იშვიათად მომრგვალებულია; ოთხამონაკეთიანია; ამონაკეთების სიგრძე საშუალოზე მეტია. ზედა ამონაკეთი ფუძეკებილია და ღირისებრია, იშვიათად ფუძემომრგვალებულია. ქვედა ამონაკეთი მახვილ-ფუძიანი, ღირისებრი ან იშვიათად ფუძემომრგვალებულია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი მახვილფუძიანი, კვერცხისებრია ან ფუძემომრგვალებული, ღირისებრია. ნაკეთის ზოლო კბილაკი ვიწრო სამკუთხედისებრი, წვერებწაწვეტებულია. ნაკეთის გვერდითი კბილაკები სამკუთხოვანი, ოდნავ გვერდებგამობერილი, წვერობწაწვეტებულია. ფოთლის ფირფიტა ბრტყელი, სადა, ქვედა მხრიდან შიშველია. მთავარი ძარღვები შიშველი, მოწითალო ღვინისფერია.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით ცილინდრული, აგებულია ძლიერ კუმსი, იშვიათად საშუალოდ შეკრულია. მტევნის სიგრძე 20—22 სანტიმეტრს უდრის, სიგანე—5—6 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწი სიგრძით 2—3 სანტიმეტრია, გახეებისას მომწვანოა. მარცვალი მომრგვალებული, შუაზე განიერი, ბოლო შედრეკილი, სიმეტრული, იშვიათად ასიმეტრულია. მარცვლის სიგრძე-სიგანე 14—16 მილიმეტრს უდრის. კანი თხელი, შავია, უხვად და დაფენილი ვიტინით. მარცვლის ხორცი წვნიანი და შეღებილია. წიბწა მარცვალში უფრო ხშირად 2—3 ცალია, იშვიათად 4 ცალი.

მარცვლის ღერუკა სიგრძით 7—9 მილიმეტრს უდრის, სადა, ვიწრო, კონუსისებრია და მწვანე. მარცვალი ღერუკაზე საშუალოდაა მიმაგრებული. ყურძენი II პერიოდში მწიფდება.

რქა უზოლო, საშუალო მუხლმორისებრიანი, მოწითალოა.

თ ა ვ კ ვ მ რ ი (კახური)

კახური თავკვერი ფილოქსერის შემოსევამდე უფრო მეტად იყო გავრცელებული კახეთის საწარმოო ვენახებში, ვიდრე ამჟამად. ეს ჯიში გვხვდება უმთავრესად გურჯაანის რაიონში. თავკვერის მოსავლიანობა საშუალოზე მეტია. ყურძენი ადრე მწიფდება და სასურველ შაქრიანობას აღწევს, რის გამოც იგი საკმელი ყურძნის ვაზის ჯიშად ითვლება. ღვინოს ნაკლებ ხასიათიანს და ნაკლებ პარმონულს იძლევა. ადგილობრივ მოსახმარ სუფრის ყურძნად კი საკმაო ღირებულების ჯიშია. ყურძნის ადრე დაწყობისასთან ერთად საკმაოდ ღამაშ მტევნებს ივითარებს, გემრიელი და ადრეულაცაა. ნაცრისდამი ნაკლები გამძლეობით ხასიათდება.

ფოთოლი მომრგვალებული, იშვიათად—ოდნავ მოგანიეროა ოთხამონაკეთიანია, იშვიათად ორამონაკეთიანი. ამონაკეთები საშუალო სიღრმისაა. ზედა და ქვედა ამონაკეთები ფუძემომრგვალებული, მოყვანილობით კვერცხისებრია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთის ფუძე მომრგვალებული, გარდიგარდმო ვლამსური, იშვიათად ღირისებრია. ნაკეთების ზოლო კბილაკი სამკუთხოვანი, სწორგვერდებიანი, იშვიათად გვერდებგამობერილი,



წვერობაზე წვეტიანულია. ფოთლის ფირფიტა გვერდებამოხრულია, გვერდის მხარეები შეზუსტულია აბლაბუდისებრი ბუსუსით. მთავარი ძარღვები შიშველია, მწვანეა, ფუძესთან ოდნავ მოწითალო-ღვინისფერისაა. ყუნწი მთავარ ძარღვზე ოდნავ მოკლეა, ხშირად ყუნწის სიგრძის თანატოლი, შიშველი, ზოლებიანი, ოდნავ მოწითალო-ღვინისფერისაა.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევნის ფორმა: ცილინდრულია; აგებულია მრავალი კუმის, მხრებიანია. მტევნის სიგრძე 14—16 სანტიმეტრს უდრის, სიგანე 12—14 სანტიმეტრს. მტევნის ყუნწის სიგანე—3—4 სანტიმეტრს უდრის, მტევნის შემოსვლისას მომწვანოა. მარცვლის ფორმა მოგანივრო, ბოლოშეღრეკილი, შეუბე განიერი, სიმეტრულია; მისი სიგრძე 14—16 მილიმეტრს უდრის და სიგანე—15—17 მილიმეტრს. მარცვლის კანი მაგარი, შავი. ყურძენი I პერიოდის გასულს მწიფდება. წიპწა მარცვალში მეტწილად 4—3 ცალია, იშვიათად 2 ცალი. მარცვლის ლურჯა სიგრძით 6—9 მილიმეტრია, მწვანეა, ბალიში დამეჭმელებული, განიერ-კონუსურია. მარცვლი ღერუკაზე საშუალოა და მიმავრებულია.

რქა მუქ-ზოლიანი, საშუალო მუხლშორისებია, მოყვითალო-მომიხაკისფრო, მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი.

დიდმარცვალა თავგვირი

დიდმარცვალა თავგვირი გვხვდება საწარმოო ენახებში ძლიერ მკიდრე რაოდენობით. ვახის ეს ჯიშის ხასიათდება ღონიერი ზრდით, საშუალოზე მეტი მოსავლით, ყურძნის ცუდი ხარისხით; ამიტომ ღვინოდ ცალკე კი არ აყენებენ, არამედ საფერავის ყურძენში ურევენ; იგი შეიძლება სუფრის ყურძნის ჯიშს მიეკუთვნოს, რადგან მსხვილმტევნიანი და მსხვილმარცვლიანია და საქმელად ვარგა. ნაცრისადმი ძლიერ ნაკლები გამძლეობა აქვს.

ფოთოლი მოხაზულობით მოგანივროა, ოთხამონაკეთიანია, იშვიათად მომრგვალებულია. ამონაკეთები საშუალო სიღრმისაა. ნაკეთები 5 ცალი აქვს. ვხვდებით ოდნავ შესამჩნევი მეორადი ნაკეთების განვითარებას. ზედა და ქვედა ამონაკეთები ღია, ლანცეტისმაგვარი; იშვიათად დახურული, მახვილ ოვალურ-კუკრუტანიანია, ფუძემომრგვალებულია, ფოთლის ყუნწის ამონაკეთი მახვილფუძიანი, თალისებრი მოყვანილობისაა. ნაკეთის ბოლო კბილაკი საეკუთხოვანი, სწორ ან ოდნავ მორგვალებულგვერდებიანია, წვერი ოდნავ წაწვეტილებული, იშვიათად მოგანივრო, გვერდებმომრგვალებულია. ნაკეთის გვერდითი კბილაკები ბერხისებრი, ოდნავ გვერდებმომრგვალებულია. ფოთლის ფირფიტა გვერდებამოხრული, იშვიათად ირეგულარულად მოხრულია, წვრილბუშტოვანი, ნაკლებიანია. ფირფიტა ქვედა მხრიდან შეზუსტულია აბლაბუდისებრი ბუსუსით. მთავარი ძარღვები შეზუსტულია ოდნავ შესამჩნევი ჯაგრისებრი ბუსუსით, ფუძესთან მოყვითალო ღვინის-

ფერია, დანარჩენ ადგილას კი შეფერვა ოდნავ შესამჩნევია. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე გრძელია, შებუსულია თბელი ჯაგრისებრი ბუსუსით. ფუძესთან კი—აბლაბუდისებრ-წეროლი ბუსუსით; მოწითალო-ლურჯი ყვავილი ორსქესიანია;

მტევანი ფორმით კონუსური, ხშირად კონუსურ-ცილინდრული, მბრებიანია; აგებულებით საშუალოდ კუშია. მტევნის სიგრძე 19—21 სანტიმეტრს უდრის, სიგანე 12—14 სანტიმეტრს; მტევნის მბრების სიგრძე 7—9 სანტიმეტრს აღწევს. მტევნის ყუნწის სიგრძე 4—5 სანტიმეტრს უდრის, შემოსული—მოკვითალოა. მარცვლი ფორმით ოვალური, იშვიათად მოგრძო, შუაზე განიერი, ხშირად ბოლო მხარეს უფრო განიერი და ბოლომომრგვალებულია. მარცვლის სიგრძე 17—18 მილიმეტრს უდრის, სიგანე—16—17 მილიმეტრს. მარცვლის კანი მაგარია, შავია, უხვადაა შეფენილი გიტინით. მარცვლის ხორცი წვნიანია. წიბწა მარცვალში მეტწილად 2—3 ცალია, იშვიათად 4 ცალია. მარცვლის ღერუკა სიგრძით 6—9 მილიმეტრს უდრის, მწვანეა. ბალიში დამეჭმეებელია, ვიწრო კონუსურია. მარცვლი ღერუკასთან საშუალოდ მიმაგრებულია.

რქა საშუალოდ მუხლშორისებინა, მოწითალო-მორუხოა; მუხლებთან იმავე შეფერვისაა და ოდნავ შესამჩნევად დაზოლილია მონაცრისფრო ფიფქით.

საშხარაშისხარი თაგვერი

საფარავისებრი თავკვერის გავრცელება, ზრდა, მოსავლიანობა, ყურძნის ხარისხი, გამოყენება და ნაცრის ზმტანობა ისეთივეა, როგორც ღიღ-მარცვალა თავკვერისა.

ფოთლოი მოხაზულობით მოგანიერო, იშვიათად მომრგვალებულია, ორამონაკეთიანია. ამონაკეთების სიღრმე საშუალოა. ზედა ამონაკეთი მოყვანილობით ნაბრალისებრია, ხშირად ოდნავ შესამჩნევია; იშვიათად ღირისებრი მოხაზულობის გვერდებდაბლოებული, პატარა ქუქრუტანიანია. ქვედა ამონაკეთი ბრტყელია და ხშირად ფუძემომრგვალებულია, ღირისებრია. ნაკეთის ბოლო კბილაკი სამკლუთოვანი, ხშირად წვეროვებმომრგვალებულია. ნაკეთის გვერდითი კბილაკები ხერხისებრი, ცალმხრივ გამობერილი, ოდნავ წვერწაწვეტებულია. ფოთლის ფირფიტა ბრტყელი, სადა, შიშველი და ყუნწის ამონაკეთთან ზოგჯერ შებუსულია ჯაგრისებრი ბუსუსით. ამ ჯიშისთვის დამახასიათებელია ფოთლის ყუნწის და ფირფიტის სწორი ხაზით განლაგება. მთავარი ძარღვები ჯაგრისებრი ბუსუსითაა დაფენილი, ზოგჯერ შიშველიცაა. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე გრძელია, ზოგჯერ თანაბარი სიგრძისაა.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით ცილინდრულ-კონუსური, მბრებიანია. აგებულებით მჭებრი, ზოგჯერ მეტად მჭებრია. მტევნის სიგრძე 26—28 სანტიმეტრს

უდრის, სიგანე—8—10 სანტიმეტრს, მტევნის მხრების სიგრძე—8 სანტიმეტრს აღწევს. მტევნის ყუნწი სიგრძით 7—10 სანტიმეტრია; შემოუსვლეელი—მომწვანოა. მარცვლი მომრგვალებული, ზოგჯერ ^{რქა} ^{რქა} ^{რქა} ხშირად შუაზე განიერი, ბოლო მომრგვალებულია; გვხვდება მტევნის მოყვანილობისაც. მარცვლის სიგრძე 15—17 მილიმეტრს უდრის, სიგანე 13—15 მილიმეტრს. მარცვლის კანი მაგარი, შავია, საშუალოდაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის ხორცი წვნიანია. წიპწა მარცვალში შეტწილად 2 ცალია, იშვიათად 1—3 ცალი. მარცვლის ღერუკა სიგრძით 10—15 მილიმეტრს უდრის, მწვანეა. ბალიში დამეჭეპებული, ვიწრო კონუსურია. მარცვლი ღერუკაზე საშუალოდ მიმაგრებულია.

რქა დაზოლილი, საშუალო მუხლშორისებია, მორუხია.

მ მ ლ რ ი ა

ს ი ნ ო ნ ი მ ი: „აქლემის თვალა“, ჟღია. მელრია გვხვდება კახეთის ყველა რაიონში და საინგილოში; საინგილოში იგი „აქლემის თვალას“ სახელითაა ცნობილი. ჟღრია გვხვდება შერეულად საწარმოო ვენახებში ერთეული ძირების სახით; მას სპეციალურად არ ამრავლებენ. მრავლდება მხოლოდ შემთხვევით, გასამრავლებელი მასალის აღების დროს, რადგან მისი რქა კაცის თვალს იზიდავს კარგი ზრდა განვითარებათ.

მელრია ხასიათდება ღონიერი ზრდით და კარგი მოსავლიანობით; მის მტევანში მარცვლი თანაბრად მწიფდება, სრული დამწიფების დროს კი მარცვლები არათანაბრად იღებება: გვხვდება სრულიად შავი, ამავე დროს მომწვანო და მათ შორის ყველა გარდამავალი ფერის მარცვლები. უნდა ვიფიქროთ, რომ სახელწოდება „ჟღრია“ იმიტომ მიუღია, რომ მტევანი ჭრელია. ჟღრიას ყურძნის ხარისხი ძლიერ ცუდია და არაერთგვაროვანი სპეციალური დანიშნულება არა აქვს. ნაცრისადმი ძლიერ კარგი ამტანობა ახასიათებს.

მტევანი ფორმით კონუსური, მხრებიანია; აგებულიებით საშუალოდ შეკრული, ხშირად ძლიერ კუმისა. მტევნის სიგრძე 17—19 სანტიმეტრია, სიგანე 11—13 სანტიმეტრია. მტევნის ყუნწის სიგრძე 4—5 სანტიმეტრია. შემოუსვლეელი ყუნწი მწვანეა. მარცვლი მომრგვალებული, ოდნავ ბოლო შედრეკილი, შუაზე განიერი, ოდნავ ასიმეტრულია. მარცვლის სიგრძე და სიგანე 14—16 მილიმ. უდრის. მარცვლის კანი საშუალო სიმაგრისაა და სხვადასხვა ფერია; დამახასიათებელია შავი ფერი. მარცვლი უზეადაა დაფენილი ვიტინით. ხორცი წვნიანია. ყურძენი II პერიოდის გასულს მწიფდება. წიპწა მარცვალში შეტწილად 2—3 ცალია, იშვიათად 1—4 ცალი. მარცვლის ღერუკა სიგრძით 4—6 მილიმეტრია, მწვანეა. ბალიში დამეჭეპებულია, მოყვანილობით განიერ-კონუსურია; მარცვლის ღერუკასთან მიმაგრება საშუალოა.

რქა საშუალო ნუბლშორისებინია, მორუბოა; მუხლებთან ოდნავ უფრო მუქია. ყურძენი II პერიოდში მწიფდება.

ინტერესს მოკლებული არ არის სოფ. ფშაველში (თელავის რაიონი) ბაგრატ ჭავჭავაძის ეზოში სამი ვაზისგან შემდგარი თალავარი. მიხსენებული თალავარის სიგანე 6 მეტრია, სიგრძე 14 მეტრი. ხნით ვაზები 80 წელს აღემატებიან. პირველი ვაზის შტამბის სიმაღლე 1,2 მეტრს უდრის; შტამბის დასაწყისის ირგვლისობა 96 სანტ. აღწევს, შტამბის ბოლოსი კი 77 სანტ.; მეორე ვაზის შტამბის სიმაღლე 1,12 მეტრია; შტამბის დასაწყისის ირგვლისობა 84 სანტ. აღწევს, შტამბის ბოლოსი — 72 სანტ.; მესამე ვაზის შტამბის სიმაღლე 1,6 მეტრია; შტამბის დასაწყისის ირგვლისობა 1 მეტრს აღწევს, შტამბის ბოლოსი კი — 66 სანტ. ამ თალავარის წლიური მოსავალი 6 ცენტნერს აღემატება, მაგ. 1933 წ. შვიდნახევარი ცენტნერი ყურძენი მოკრეფილა. ღვინო თხელი, ნაკლებხასიათიანი დგება. თალავარი ყოველწლიურად ისხვლება, დატოვებულ რქებზე ოთხ კვირტს უნარჩუნებენ. თალავარის ახლოს ჩამოადის რუ და ვაზები წყლით უზრუნველყოფილია¹.

საშობაკში ვაზხა

საფერავი ფაჩხა გვხვდება მცირე რაოდენობით თელავისა და გურჯაანის რაიონებში, საწარმოო ვენახებში შერეული ერთეული ძირების სახით. ვაზის ამ ჯიშის სამეურნეო თვისებები ნაკლებადაა შესწავლილი, პირადი შეფასებით კი არაბარისხოვან ვაზის ჯიშს უნდა ეკუთვნოდეს. ფაჩხას ყურძენს საფერავის ყურძენს ურგვენ.

მტევანი ფორმით ცილინდრულ-კონუსური, იშვიათად კონუსური, მსრებიანია, საშუალო კუმსი ან იშვიათად მეჩხერია. მტევნის სიგრძე 18—20 სანტიმეტრია, სიგანე 11—13 სანტიმეტრია. მტევნის ყუნწი სიგრძით 3—4 სანტიმეტრია; ვახევებისას მოწითალო-მორუბოა. მარცვალი ფორმით ოვალური, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებული, სიმეტრულია. მარცვლის სიგრძე 12—14 მილიმეტრია, სიგანე 11—13 მილიმეტრი. მარცვლის კანი მავარია, შავია და ვიტინით ოდნავ დაფენილია. მარცვლის ხორცი წვნიანია. წიპწები მარცვალში მეტწილად 3—4 ცალია, იშვიათად 1—2 ცალი.

მარცვლის ღერუკა სიგრძით 5—7 მილიმეტრია, მწვანეა. ბალიში დამტევეპებული და კონუსურია. მარცვალი ღერუკასთან საშუალოდაა მიმაგრებული. ყურძენი II პერიოდის დასაწყისს მწიფდება.

რქა ზოლიანი, საშუალო ნუბლშორისებინია. მოწითალო-მომიხაკისფრო; მუხლებს შეუერვა ივიფა. ნაცრისადმი საკმაო გამძლე ჯიშია.

¹ ამ საინტერესო ვაზის შესახებ მასალის მოწოდებისათვის დიდად დავაჯალა ავტ. ნ. დალაქი შვილმა. ამ ვაზებს თმაცა ელიათ სთვლიან, მაგრამ ელიასგან საგრძობლად განსხვავდება და თავვერის ერთ-ერთი ვარიანია უნდა იყოს.



შავი კუმსი ძლიერ მცირე რაოდენობით გვხვდება საწარმოო ნაწარმებში. ხეში შერეული ერთეული ძირების სახით. სამეურნეო თვისებები ნაკლებადაა შესწავლილი. მოსავლიანობა საშუალო აქვს, მის ყურძენს საფრავის ყურძენს უმატებენ. ნაცრის ძალიან ნაკლებამტანი ჯიშია.

მტევანი ფორმით ცილინდრული, ძლიერ კუმსი, ხშირად საშუალოდ შეკრულია. მტევნის სიგრძე 13—15 სანტიმეტრია, სიგანე—7—9 სანტიმეტრი. მტევნის ყუნწი 3—4 სანტიმეტრია, შემოუსვლელო—მწვანეა. მარცვლი ფორმით მომრგვალებული, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებული, სინეტრულია. მარცვლის სიგრძე 14—16 მილიმეტრს უდრის, სიგანე იმავე ზომისაა. მარცვლის კანი მაგარი, შავი, ოდნავ ფიფქიანია. მარცვლის ხორცი წვნიანია. მარცვალში მეტწილად 2—3 წიპწაა, იშვიათად 1—4 ცალი. მარცვლის ღერუკა სიგრძით 5—10 მილიმეტრის, მწვანეა. ბალიში დამკეცებული და განიერ-კონუსურია. მარცვლი ღერუკასთან საშუალოდ მიმაგრებულია.

რქა საშუალო მუხლშორისებიანი, ნათელი წითელი ფერისაა და დაზოლილია მეტ-წითლად.

შავ-თხილა

შავ-თხილა ძლიერ მცირე რაოდენობით გვხვდება; ვხვდებით მას უმთავრესად ყვარლის რაიონში, მისი სამეურნეო თვისებები შეუსწავლელია, ზოგადი შეფასებით კი დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს.

მტევნის ფორმა კონუსური, საშუალოდ შეკრული, მზრებიანი; მზრების სიგრძე მტევნის ნახევარს აღწევს, მტევნის სიგრძე 12—14 სანტიმეტრია, სიგანე—7—9 სანტიმეტრი. მტევნის ყუნწი 2—3 სანტიმეტრია, შემოუსვლელო—მწვანეა. მარცვლი მომრგვალებული, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებული, სინეტრული, საშუალო სისხოსია; მარცვლის სიგრძე-სიგანე 13—15 მილიმეტრია; მარცვლის კანი მაგარი, შავია, უხვადაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის ხორცი წვნიანია. მარცვალში მეტწილად 2—3, იშვიათად 1—4 ცალი წიპწაა. მარცვლის ღერუკა სიგრძით 7—8 მილიმეტრს უდრის, მწვანეა, ბალიში დამკეცებულია და განიერ-კონუსურია. მარცვლი ღერუკასთან საკმაოდ მჭიდროდაა მიმაგრებული.

რქა საშუალო მუხლშორისებიანი, წითელ-მოყვითალო; მუხლები იმავე ფერისაა და დაზოლილია მეტ-წითლად.

3. სუფრის ხუტუნის ჯიშები

თ ი თ ა

ამ ჯიშის ნარგავები მეტად მცირე რაოდენობითაა გვხვდება. თითო კახეთში იმდენად შემცირებულია, რომ თითქმის მოსპობილია და მხოლოდ ერთეული ძირებილა გადარჩენილა ყვარლისა და სიღნაღის რაიონებში.

თითას განადგურების მიზეზად უნდა ვიგუღვოთ განჯური ყურძნის — თავ-
რაზულის გავრცელება, რომელმაც კახეთში საკმაოდ მოიკიდა ფეხი, რო-
გორც სასუფრე ყურძენში. გარდა ამისა, ფილოქსერის მოქმედებას შედეგად,
თითა სულ მოკლე ხნის განმავლობაში იღუპება. თითის ითვისება
ლამაზ, გემრიელ სუფრის ყურძნის ჯიშად, მაგრამ შენახვის და ტრანს-
პორტის უნარი არა აქვს, მოგვიანებით მწიფდება და მხოლოდ ადგილობ-
რივ მოსახმარად გამოიღება.

თითას ვაზი ღონიერი ზრდა-განვითარებით ხასიათდება. ფოთლი
მოყვანილობით ოდნავ მოგრძოა, გვხვდება მომრგვალებულიც. ფირფიტა
ოთხმონაკეთიანია, გვხვდება ექვსმონაკეთიანიც; ამონაკეთები ძალიან
ღრმა არ არის. ზედა ამონაკეთი მახვილფუძიანი, ელიპსურ-ჰუტურუტა-
ნიანია, იშვიათად ვიწრო ელიპსურია. ქვედა ამონაკეთი მახვილფუძიანი,
ხერელისებრი, იშვიათად ვიწრო ელიპსურია. ფოთლის ყუნწის ამონაკე-
თი რგვალ-ფუძიანია, კიდურებისა კი ელიპსურ მოხაზულობას ჰქმნიან.
ნაკეთის ბოლო და გვერდის კბილაკები სწორკუთხოვანი, გვერდებ-
გამობერილი, წვერობმომრგვალებულია. ფოთლის ფირფიტა ბრტყელი,
ოდნავ დანაოქებულია, ქვედა მხრიდან შეზუსტულია აბლაბუდისებრი ბუ-
სუსით. მთავარი ძარღვები ოდნავ შეზუსტულია აბლაბუდისებრი ბუსუსით,
მწვანეა. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მოკლეა, შიშველია.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით კონუსურია, აგებულია საშუალოდ შეკრულია,
გვხვდება მეჩხერი მტევანიც. მტევნის სიგრძე 17—20 სანტიმეტრია, სი-
ვანე—10—12 სანტიმეტრია. მტევნის ყუნწი სიგრძით 4—5 სანტიმეტრია,
შემოუსვლედი—მწვანეა. მარცვლი მოგრძოა, შუაზე განიერია, ბოლო კი
ოდნავ წაწვეტებულია, ოდნავ ასიმეტრულია, იშვიათად სიმეტრულიცაა.
მარცვლის სიგრძე 19—20 მილიმეტრია, სივანე—13—14 მილიმეტრია. მარ-
ცვლის კანი საკმაოდ მგარია, მოყვითალოა და უხედაა შეფენილი ვიტინით.
მარცვლის ხორცი ოდნავ მკვრივია. ყურძენი II პერიოდის მიწუ-
რულს მწიფდება. მარცვალში მეტწილად 2—3 წიბწაა, იშვიათად 1.

მარცვლის ღერუკა სიგრძით 5—7 მილიმეტრია, მწვანეა, სადაა; ბა-
ლიში ვიწრო კონუსურია. მარცვლის მიმავრება ღერუკასთან საშუალოა.
რტა უზოლო, საშუალო მუბლშორისებრიანი, ღია მოყავისფროა; მუბ-
ლები უფრო მუქია.

მ ძ რ მ უ ლ ა

ოქროვულა ძლიერ მკირე რაოდენობით გვხვდება გურჯაანისა და
თელავის რაიონების საწარმოო ვენახებში. ვაზის ამ ჯიშის სამეურნეო
თვისებები ძლიერ ნაკლებად არის შესწავლილი. ზოგადი შეფასების მი-
ხედვით ოქროვულა საშუალო-მოსავლიანი და საშუალო ხარისხის ჯიშია.
ძირითადად საყურძნე ვაზის ჯიშად უნდა ჩაითვალოს. სრული სიმწიფის

დროს მისი მარცვლები ყვითლდება; ამიტომ შეურქმევიათ მისთვის ზემო-
ხსენებული სახელი.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საერთო მოხაზულობით მარცვლებს
ბული, ნაკლებდანაკეთილი, ორამონაკეთიანი, იშვიათად ოთხამონაკეთიანი
ნია. ფირფიტის ზედა ამონაკეთი დახურული და ვიწროა, დაკლანილი
მოხაზულობისაა. ნაკეთის კბილაკები ხერხისებრი, ოდნავ გვერდებამობე-
რილი წვერობეწაწვეტებული ან ოდნავ მოხრილია. ფოთლის ფირფიტა
დანაოპებული და გლუვია. მთავარი ძარღვები ფუძესთან შიშველია, მო-
წითალო ღვინისფერია. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე გრძელია, იშვია-
თად მისი თანატოლი, შიშველია და შეფერილია მოწითალო ღვინისფერად.
ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით ცილინდრულ-კონუსური, იშვიათად ცილინდრულ-
ლია; მტევნის სიგრძე 16—18 სანტიმეტრია, სიგანე—7—9 სანტიმეტრი.
მტევანი ფაჩბატა ან ოდნავ შეკრულია. მტევნის ყუნწის სიგრძე 3—4 სანტი-
მეტრია, შემოუსვლელი—მწვანეა. მარცვალი ფორმით ოვალური, შუაზე
განიერი, ბოლომომრგვალებული, ასიმეტრულია, იშვიათად სიმეტრულია,
საშუალო სიდიდისაა; მისი სიგრძე 18—20 მილიმეტრია, სიგანე—16—18 მი-
ლიმეტრი; მარცვლის კანი მაგარი, ყვითელი, მცირე-ფიფქვიანია. მარცვლის
ხორცი მკვრივია; წიპწის მეტწილად 2—3 ცალს შეიცავს, იშვიათად
4 ცალს.

მარცვლის ღერუკას სიგრძე 6—8 მილიმეტრია, ფერად მწვანეა. ბა-
ლიში დამტევეებული, განიერი, კონუსურია. მარცვალი ღერუკასთან სა-
შუალოდაა მიმაგრებული. ყურძენი II პერიოდში მწიფდება.

რქა საშუალო მუხლშორისებია, მორუხო-მოწითალოა; მუხლები
იმავე ფერისაა და უზოლოა.

თეთრი ხარისთვალა

თეთრი ხარისთვალა მცირე რაოდენობით გვხვდება კახეთის თით-
ქმის ყველა რაიონის ვენახებში ნარევად, ერთეული ძირების სახით. იგი
ხასიათდება ცვალებადი მოსავლიანობით: ზოგჯერ უხვ მოსავალს იძლევა,
ზოგჯერ კი მთლად უმოსავლო რჩება. ეს დამოკიდებულია ამ ჯიშის ყვა-
ვილის აგებულებაზე: იგი დედრობითი სქესისაა და მისი განაყოფიერება
მთლიანად სხვა ვაზის ნაყოფიერ მტვერზეა დამოკიდებული. მოსავალი
თუმცა ზოგჯერ დიდი იცის, მაგრამ იძლევა დაბალი ღირსების ყურძენს.
საერთო შეფასებით ხარისთვალა მიეკუთვნება დაბალხარისხოვან ვაზის ჯი-
შებს. მის დადებით მხარეს წარმოადგენს მიმზიდველი, მსხვილი მტევნები
და მარცვლები. ყურძენი ნაკლებშაჭიანია, ნესტიანი შემოდგომის დროს
ხარისთვალას ყურძენი ისე სწრაფად ღებება ვაზზე, რომ მოსავალი თითქ-
მის ნახევრდება. ნაცრისადმი სუსტი გამძლეობა აქვს.

ზრდადამთავრებელი ფოთოლი მოხაზულობით მომრგვალებული, რწ-
ვითად მოვანიეროა, ოთხამონაკეთიანია. ამონაკეთები საშუალოზე ღრბია.
ზედა და ქვედა ამონაკეთი ფუძემომრგვალებულია, ღია, ჩაქრისფერ-
სებრია; ამონაკეთები ხშირად დაფარულია კიდურებით, იჭრითად კი
მთლად დახურულია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი მახვილფუძიანი, მოყვა-
ნილობით თაღისებრიდან — ლირისებრამდგა, ზოგჯერ დახურულია; ამო-
ნაკეთში გვხვდება ერთი ან ორი დეზი. ნაკეთის ბოლო კბილაკი სამკუთ-
ხოვანი, სწორგვერდებიანი, ბლაგწვეროვანია, იშვიათად გვხვდება გვერ-
დებმომრგვალებული. ნაკეთის გვერდითი კბილაკები ხერხისებრი, ოდნავ
გვერდებმომრგვალებული, წვეროვანწვეტებულია. ფოთლის ფირფიტა დახ-
რილი, იშვიათად ამოხრილია, მსხვილნაოკებიანი, ზოგჯერ წვრილბუშტო-
ვანი, შიშველია. მთავარი ძარღვები შიშველია, მაგრამ დატოტვის აღგი-
ლას ხშირად ჯაგრისებურადაა შეზუსტული. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარ-
ღზე ოდნავ გრძელია, მოწითალო ღვინისფერია.

ყვავილი დედრობითი სქესისაა.

მტევანი ფორმით ცილინდრულია, აგებულია კუმსია, ხშირად უფორ-
მა, ძლიერ გათხლებული. მტევნის სიგრძე 19—24 სანტიმეტრია, სიგანე
8—10 სანტიმ. მტევნის ყუნწის სიგრძე 2—3 სანტ. უდრის; შემოსული-მომწევა-
ნია. მარცვლი ფორმით ოვალური, შუაზე განიერი ბოლომომრგვალებული,
სიმეტრულია. მარცვლის სიგრძე 18—20 მილიმეტრია, სიგანე — 16—18 მილი-
მეტრი. შესამჩნევია განუფითარებელი მარცვლებიც. მარცვლის კანი მაგა-
რი, ფერად ყვითელი, უხედაა დაფენილი ვიტინით. მარცვლის ბორცი
წვნიანია. ყურძენი II პერიოდის გასულს მწიფდება. წიპწა მარცვალში
მეტწილად 1—2 ცალია, იშვიათად 3 ცალი. მარცვლის ღერუკას სი-
გრძე 4—5 მილიმეტრია, მწვანეა, ბალიში დამეჭიკებულია, მოყვანილო-
ბით განიერ-კონუსური; ღერუკაზე მარცვალი სუსტადაა მიმაგრებული.

რქა დახოლილი, საშუალო მუხლშორისებიანი, მოწითალო-მოიზიზ-
კისფროა, მუხლებთან კი უფრო მუქია.

თეთრი თაგვანი

თეთრი თავკვერი გვხვდება კახეთის ყველა რაიონში და აგრეთვე
ზაქათალის ვენახებში ნარევად, ერთეული ძირების სახით. ვაზის ეს ჯიში
უნდა ჩიათვალოს დადებით სამეურნეო ღირსებებს მოკლებულ ჯიშად,
მით უმეტეს, რომ დედრობითსქესიანი ყვავილები აქვს. მოსავალს ძლიერ
მცირეს იძლევა, ამავე დროს ყურძენი ნაკლებმაჭრიანია. ვაზი ძლიერ ლო-
ნიერი ზრდით ხასიათდება, ივითარებს ჩინებულ ნაზარდს; ამის გამო ვა-
ზის მუშაკი საკვირტე მისალის აღებისას ტყვილდება; ამის შედეგად ვაზი
მეტწილად მრავლდება. ნაცარს საშუალოდ იტანს.

მტევანი ფორმით ცილინდრული, აგებულია მეზხერი, მზრებიანია.
მისთვის დამახასიათებელია პართენოკარპული მარცვლების მნიშვნელოვანი

როოდენობით განვითარება. მტევნის სიგრძე 13—15 სანტიმეტრია, სიგანე 6—8 სანტიმეტრი. მტევნის ყუნწი სიგრძით 4—5 სანტიმეტრია. შე-
მოუსვლელი—მწვანეა. მარცვლი მომრგვალებული, შუაზე განიერი, მომრგვალებული, ხშირად ოდნავ შედრეკილი, სიმეტრული, საშუალო სი-
სხოსია. მარცვლის სიგრძე 17—19 მილიმეტრია, სიგანე 16—18 მილი-
მეტრი. კანი თხელი, თეთრია, ვიტინით უხვადაა შეფენილი. ხორცი წვნიანია. წიპწები მარცვალში ხშირად 1—2 ცალია, იშვიათად 3 ცალი. მარ-
ცვლის ღერუკის სიგრძე 6—8 მილიმეტრია, ფერად მწვანეა, და დამკვე-
ჭებულია. ბალიში ვიწრო-კონუსურია. მარცვლი ღერუკასთან საშუალო-
დაა მიმაგრებული.

რქა უზოლო, საშუალო მუხლწირობისიანი, მოყვითალო-მორუხია; მუხლებიც ისეთივე ფერისაა.

ჩ ი ტ ის თ ვ ა ლ ა

ჩიტისთვალა გვხვდება კახეთის ძველ ვენახებში. ამჟამად იგი თითქმის მთლად განადგურებულია და დამახასიათებელი ვაზის ძირები ძნელი სა-
პოვნელია. ვაზის ეს ჯიში ხასიათდება საშუალოზე ნაკლები მოსავლიანობით და პატარა მარცვლებით. სწორეთ ამის გამო მიუღია სახელწოდება „ჩიტისთვალა“. ყურძენი პირველ პერიოდში მწიფდება, სასიამოვნო საშემლად ითვლება და სუფრის ყურძნად იხმარება.

ზრდამოთავებული ფოთოლი ოთხამონაკეთიანია, იშვიათად ექვსამონაკეთიანი. ამონაკეთები ღრმაა; ვხვდებით მეორად ნაკეთებსაც; ძლიერ იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ჩიტისთვალას ცხრანაკეთიანი ფოთოლიც. ზედა ამონაკეთი დახურული, ბრტყელფუძიანი, ხშირად ერთკბილაკიანია. ქვედა ამონაკეთი ფუძემომრგვალებული, ღიაა, გვერდები გამო-
სავალთან შევიწროებული, იშვიათად ლანცეტისებრია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ფუძემომრგვალებულია, მოყვანილობით თალისებრი, ან ღირისებრია, გვხვდება დახურულიც, ოვალური ქუქურუტანით. ნაკეთის ბოლო კბილაკი სამკუთხოვანი, სადა გვერდებიანი, წვეროებწაწვეტებულია. ნაკეთის გვერდითი კბილაკები ხერხისებრი, ოდნავ გვერდებმომრგვალებულია, წვეროებწაწვეტებულია. ფოთლის ფირფიტა ბრტყელი, ნაოკებიანი, ქვედა მხრიდან შებუსულია წვრილი ბუსუსით. მთავარი ძარღვი შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით და მწვანეა. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძეზე მოკლეა, ოდნავ შებუსული და ღია ვარდისფერია.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევნის ფორმა ცილინდრულია; მტევანი საშუალოდ შეკრულია. მარცვლი ფორმით მომრგვალებული, წვრილი, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებული, სიმეტრულია. მარცვლის კანი თხელი, ყვითელია, ფიფქით საშუალოდაა შეფენილი. მარცვლის ხორცი წვნიანია.



ბუნა უსტრენი გვხვდება თელავის რაიონის საწარმოო ვენახებში ნარე-
ვად, ერთეული ძირების სახით. მისი სამეურნეო თვისებები ბრძობადობა
შეუსწავლელია. ზოგადი შეფასებით კი ნაკლები სამეურნეო ღირსების
მქონე ვაზის ჯიშს უნდა მიეკუთვნოს. ზრდა ვაზს ძლიერ ღონიერი აქვს,
მოსავლიანობა საშუალოზე დაბალი.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით ცილინდრულ-კონუსურია, აგებულიებით საშუა-
ლოდ კუმსია. მტევნის სიგრძე 20—22 სანტიმეტრია, სიგანე—9—11 სან-
ტიმეტრი. მტევნის ყუნწი სიგრძით 3—4 სანტიმეტრია, შემოუსვლელი—
მწვანეა. მარცვლი ფორმით მომრგვალებულია, იშვიათად ოვალური,
შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებულია, საშუალო სიდიდისა ან მომსბოა,
სიგრძე 18—20 მილიმეტრია, სიგანე 17—19 მილიმეტრი. კანი მაგარი,
მწვანე, უხვადაა დაფენილი ვიტინით. მარცვლის ხორცი წვინანია. თესლე-
ბი მეტწილად 1—2 ცალი, იშვიათად 3—4 ცალია. მარცვლის ღერუკა
სიგრძით 5—7 მილიმეტრია, მწვანე, ოდნავ დამეჭვებულა. ბალიში
განიერ-კონუსურია. მარცვლი ღერუკასთან საშუალოდაა მიმაგრებული.
უსტრენი მწიფდება II პერიოდში.

რქა უზოლო, საშუალო მუხლშორისებიანი, მორუბო მოწითალოა;
მუხლებიც ამ ფერისაა.

ტყის ვაზი

ტყის ვაზი გვხვდება სიღნაღის რაიონში, ხეივანად, ცალკეული ვაზე-
ბის სახით. იგი ვაზის მუშაკმა ტყეში იპოვნა. ამის გამოც „ტყის ვაზის“
სახელი დაარქვეს. ვაზის ეს ჯიში მკაფიოდ განირჩევა ადგილობრივი ჯი-
შებისაგან მეტად გრძელი მტევნებით; მათი სიგრძე 45—50 სანტიმეტრს
აღწევს. ზრდა და მოსავლიანობა საშუალო აქვს, უსტრენი გამოსადეგია
უმთავრესად სათვალოდ და სუფრისათვის.

ტყის ვაზის ზრდამოთავებული ფოთოლი ოდნავ მოგრძო და ოთხ-
ამონაკეთიანია. ამონაკეთები საშუალო სიღრმისაა. ზედა ამონაკეთი მო-
ყვანილობით მახვილფუძიანია, დახურული, ოვალურ-ქუქრუტანიანია, იშვია-
თად ღია და გამოსავალთან შევიწროებულია. ქვედა ამონაკეთი ისეთივე
მოხაზულობისაა, როგორც ზედა ამონაკეთი, მაგრამ უფრო მომცროა, ლან-
ცუტისებრია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი მოყვანილობით მახვილფუძი-
ანია, გარდამავალია, ისრისებრ-თალისებრიდან ღირისებრამდე. ნაკეთის
ბოლო კბილაკი სამკუთხოვანი, წაგრძელებული, სწორგვერდებიანი, წვე-
როებწაწვეტებულია. ნაკეთის გვერდითი კბილაკები ხერხისებრი, ზოგჯერ
მომრგვალებულგვერდებიანი, წვეროებწაწვეტებულია. ფოთლის ფირფიტა
მეტწილად ამობრილია, იშვიათად ბრტყელია, მეტწილად სადაა, იშვიათად

ნაკვებიანია. ქვედა მხრიდან შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით. გვხვდება თითქმის შიშველიც. მთავარი ძარღვები შებუსულია ჯაგარისებრი ბუსუსით. ფუძესთან მოვარდისფერია. ფოთლის ყუნწი მთავარად მარცხენა სიგრძის თანატოლია, იშვიათად უფრო მოკლეა; ფუძესთან ემყვება მცირე მოვარდისფრო ბუსუსიანობა.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევნის ფორმა ცილინდრულ-კონუსური, მზრებიანია; მზრები ისე შორდება ერთიმეორისაგან, როგორც ცალკე მტევნები. მტევანი აგებულია ერთი თხელია, სიგრძით 40—50 სანტიმეტრს უდრის, სიგანით—10—12 სანტიმეტრს. ზედა კუფხლების სიგრძე 18 სანტიმეტრამდე აღწევს. მტევნის ყუნწის სიგრძე 3—4 სანტიმეტრია; შემოუსვლეელი—მწვანეა. მარცვალ ფორმით ოვალურია, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებული, სიმეტრულია. მარცვლის სიგრძე 18—20 მილიმეტრს უდრის, სიგანე—18—19 მილიმეტრს. მარცვლის კანი თხელია, მწვანეა, ოდნავ დაფენილია ვიტინით. მარცვლის ხორცი წვნიანია. ყურძენი მწიფდება II პერიოდში. მარცვალი შეიცავს 1—2 ცალ წიპწას.

მარცვლის ღერუკა 7—8 მილიმეტრია, მწვანეა და დამეჭვებული; ბალიში განიერ-კონუსურია. ღერუკა მარცვალთან საშუალოდაა მიმაგრებული.

ჩქა უზოლო, საშუალო მუხლშორისებიანი, მოწითალო-მომიხაკისფერია.

ცხენის ძუძუ

ცხენის ძუძუ გვხვდება ერთეული ძირების სახით შიდა და გარეკახეთში. ამ ჯიშის ნარგავები მეტად შემციობებულია; დარჩენილი ძირებიც ისე სუსტად იზრდებიან, რომ თუ არ დაიმყენენ, რამდენიმე წლის შემდეგ ეს ჯიში მთლად მოისპობა, რადგან ფილოქსერისაგან მეტად დაძაბუნებულია. ადგილობრივ მცხოვრებთა შეფასებით ცხენის ძუძუ კარგ საჭმელ ყურძენს იძლევა, შენახვის უნარიც უნდა ჰქონდეს. ნაცარს საშუალოდ უძლებს.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით კონუსურია, აგებულია ერთი თხელია, სიგრძე 16—18 სანტიმეტრია, სიგანე 8—10. სანტიმეტრი. მტევნის ყუნწი 2—3 სანტიმეტრია, შემოუსვლეელი—მწვანეა. მარცვალი ოვალური და მოგრძოა, შუაზე ნაკლებად გამოხედილია, უფრო რკოსმაგვარია, ბოლომომრგვალებული, სიმეტრულია. მარცვლის სიგრძე 20—22 მილიმეტრია, სიგანე—15—17 მილიმეტრი. მარცვლის კანი მკაფიოა, მწვანეა და უხედაა შეფენილი ფიფქით. მარცვალი წვნიანია. მარცვალში მეტწილად 2—3 წიპწაა, იშვიათად 1.

მარცვლის ღერუკა 5—8 მილიმეტრია, მწვანეა და სადა აგებულ-
ბისაა; ბალიში ვიწრო-კონუსური. ღერუკა მარცვალზე საშუალოდაა
მიმაგრებული. ყურძენი მწიფდება II პერიოდის დასაწყისს. მარცვლის
მომიხაკისფროა
რქა უზოლო, საშუალო მუხლშორისებრიანი, მომიხაკისფროა.

მხარგრძელი თითრი

მხარგრძელი თეთრი მთელ კახეთში გვხვდება ერთეულ ძირებად,
საწარმოო ვენახებში, ნარევის სახით. ამ ჯიშის სამეურნეო ღირებულება
ნაკლებად შესწავლილია; ზოგადი დაკვირვებით კი სუფრის ყურძნის ჯგუფს
უნდა მიეკუთვნოს, როგორც სათვალოდ, აგრეთვე ყურძნად მოსახმა-
რად. მოსავალი საშუალოზე ნაკლები იცის. ნაცრის ნაკლები ამტანობით
ხასიათდება.

ფოთოლი მომრგვალებული, იშვიათად ოდნავ მოგრძოა, ოთხამო-
ნაკვეთიანია, დანაკვეთის სიღრმე საშუალოზე მეტია. ზედა და ქვედა ამო-
ნაკვეთები მახვილფუძიანი, მოყვანილობით კვერცხისებრი, იშვიათად ლი-
რისებრია, კიდურების გვერდები დაახლოებული აქვს. ფოთლის ყუნწის
ამონაკვეთი მოყვანილობით კვადრატულ-ფუძიანია, თალისებრი, იშვია-
თად ლირისებრია. ნაკვეთების ბოლოკბილაკები სამკუთხოვანი, სწორგვერ-
დებიანი, წვეროწყვეტებულია. ნაკვეთის გვერდითი კბილაკები გვერდებ-
გამობერილი, ოდნავ წვეროწყვეტებულია. ფოთლის ფირფიტა გვერდებ-
ამოხრილი, ქვედა მხრიდან ბადისებრია და შებუსულია აბლაბუდისებრი
წვრილი ბუსუსით. მთავარი ძარღვები შიშველი, ფუძესთან ოდნავ მოწი-
თალო-ღვინისფერია. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძის თანა-
ტოლია, იშვიათად უფრო გრძელია, შებუსულია წვრილი მუქ-მოწითალო
მომიხაკისფრო ბუსუსით.

ყვავილი დედრობითი სქესისაა.

მტევანი, ფორმით ცილინდრულ-კონუსური, განვითარებულ-მხრებიან-
ია, აგებულებით თხელი, ზოგჯერ მეტად მეჩხერია. მტევნის სიგრძე
25—30 სანტიმეტრია, სიგანე კი 7—8 სანტიმეტრი. მტევნის ყუნწის სიგრძე
7—9 სანტიმეტრია, გახვევებისას მოწითალო-მომიხაკისფროა. მარცვლის
ფორმა ოვალური, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებული, საშუალო
სისხმოსია, სიგრძე 16—18 მილიმეტრია, სიგანე 14—16 მილიმეტრი. მარ-
ცვლის კანი მავარი, მწვანეა, უხვადაა დაფენილი ვიტინით. მარცვლის
ხორცი წვნიანია. მარცვალში მეტწილად 3—4 წიპწაა, იშვიათად 2 ცა-
ლია. მარცვლის ღერუკა სიგრძით 6—9 მილიმეტრია, მწვანეა, დამეჭებე-
ბულია; ბალიში განიერ-კონუსურია. მარცვალი ღერუკაზე საშუალოდაა
მიმაგრებული. ყურძენი მწიფდება II პერიოდში.

რქა უზოლო, ოდნავ გრძელ მუხლშორისებრიანი, მოწითალოა.



შავი ბუდეშური გურჯაანის რაიონში გვხვდება ძირითადად ნეფელისა და აგრეთვე ერთეული ძირების სახით. იგი სუფრის ყურძნის ჯიშად ითვლება და რადგან შენახვის უნარიანობითაც ხასიათდება, ამიტომ ადგილობრივი მცხოვრებლები მის გავრცელებას საკმაო ინტერესით ეპყრობიან, მაგრამ დასარგავი მასალის სიშვირის გამო ნაკლებ მრავლდება. მოსავლიანობა საშუალო იცის. ყურძენი ადრე მწიფდება, უხვად შეიცავს შაქარს და მკვებელობასთან კარგადაა შეხამებული. ნაცრის ამტანიანობა მცირე აქვს.

ბუდეშურის ვაზი ღონივრად იზრდება. ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალებული, იშვიათად ოდნავ მოგანიეროა. ამონაკვეთები საშუალო სიღრმისა აქვს, ხშირად უფრო ნაკლებიც; ზოგჯერ ფირფიტა ცალმხრივ დანაკვეთილია. ამონაკვეთი მეტწილად ორია, იშვიათად ოთხი, ძლიერ იშვიათად გვხვდება აგრეთვე ერთ ან სამამონაკვეთიანი ფოთოლიც. ზემო ამონაკვეთი ფუძემომრგვალებული, ზოგჯერ ერთკბილაკიანი, კვერცხისებრი, იშვიათად ლირისებრია. ქვედა ამონაკვეთი: ფუძემომრგვალებული, ლირისებრი, იშვიათად კვერცხისებრია, ერთ კბილაკიანია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ფუძემომრგვალებული, ხშირად ბრტყელი, თალისებრია, იშვიათად კვერცხისებრი და ფუძემახვილი ან მომრგვალებულია. ნაკეთის ბოლო კბილაკი სამკუთხოვანი, წვერებმომრგვალებული ან წაწვეტებულია, იშვიათად ვიწრო ხერხისებრი და წვერობმომხრილია. ნაკეთის გვერდითი კბილაკები ხერხისებრი, ცალმხრივ-გამობერილი, იშვიათად ორმხრივ-გამობერილი, წვერობწაწვეტებულია. ფოთლის ფირფიტა ხშირად მოხრილია. ქვედა მხრიდან შებუსულია აბლაბუდის მსგავს, ზოგჯერ უხვი ბუსუსით. მთავარი ძარღვები შებუსულია მცირე აბლაბუდისებრი ბუსუსით, მწვანეა, ფუძესთან მოწითალო ღვინისფერია. ფოთლეს ყუნწი მთავარი ძარღვის სიგრძის თანატოლია, იშვიათად ოდნავ მოკლეა, შიშველია, ზოგჯერ ოდნავ შებუსულია, მექ-წითელი ღვინისფერია.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ფორმით ცილინდრულ-კონუსური, მხრებიანია. აგებულებით ოდნავ შეკრული, ზოგჯერ მეჩხერია. მტევნის სიგრძე 16—18 სანტიმეტრია, სიგანე—8—10 სანტიმეტრი. მტევნის ყუნწი სიგრძით 5—7 სანტიმეტრს აღწევს, მწვანეა. მარცვლი ფორმით მოგრძო, ხშირად ოვალური, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებულია. მარცვლის სიგრძე 18—20 მილიმეტრია, სიგანე—14—16 მილიმეტრი. ნაზი, შავი კანი, უხვად არის დაფენილი ვიტინით. ხორცი წვნიანია. წიბწა მარცვალში მეტწილად 2 ცალია, იშვიათად 1—3 ცალი. მარცვლის ღერუკა სიგრძით 7—9 მილიმეტრია, მწვანეა და სადა. ბალიში ვიწრო კონუსურია, ღერუკა მარცვალთან საკმაოდ მკიდროდაა მიმაგრებული.

რქა ზოლიანი, საშუალო მუხლშორისებრიანი, მოწითალო-მომიხაკისფერია.



შავი ხარისხვალას გავრცელება და სამეურნეო ღირებულება, ისეთივეა, როგორც თეთრისა.

ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალებულია, იშვიათად ოდნავ განიერი, ორამონაკეთიანი. ამონაკეთები საშუალოზე ნაკლები სიღრმისაა. ზედა ამონაკეთი მომრგვალებული ან მახვილფუძიანი, დახურული, პატარა ქუქრუტანიანია. ქვედა ამონაკეთი ოდნავ შესამჩნევი, ნაპრალი-სებრია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ფუძემომრგვალებული, თლისებრი, ხშირად ღირისებრია, იშვიათად ელიპსურია. ნაკეთის ბოლო კბილაკები სამკუთხოვანი, სწორგვერდებიანი, წვეროვებწაწვეტებულია. ნაკეთის გვერდითი კბილაკები ხერხისებრ-ცალმხრივ გამოზერილი, წვეროვებწაწვეტებულია. ფოთლის ფირფიტა ბრტყელი, იშვიათად გვერდებამოზერილი, სადაა, ქვედა მხრიდან ზოგჯერ ნაკეტიანი, შიშველია. მთავარი ძარღვები შიშველი და მომწვანოა. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე ოდნავ მოკლეა, მოწითალო ღვინისფერია.

ყვავილი დედრობითი სქესისაა.

მტევანი ფორმით კონუსურია, აგებულით კუმსია, ხშირად ძალიან თხელი და სულ რამდენიმე მარცვლიანია. მტევნის სიგრძე 20—22 სანტიმეტრია, სიგანე 8—10 სანტიმეტრი. მარცვალი ფორმით ოვალური, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებული, სიმეტრულია; მსხვილი მარცვლის სიგრძე 22—24 მილიმეტრია, სიგანე—21—23 მილიმეტრია. მაგარი, შავი კანი, უხვადაა დაფენილი ვიტანით. ხორცი წვნიანია. ყურძენი II პერიოდის გასულს მწიფდება. წიბწა მარცვალში მეტწილად 3 ცალია, იშვიათად 2—4 ცალი; მარცვლის ღერუკა სიგრძით 6—10 მილიმეტრია, მწვანეა, ბალიში დამეჭეჭებულია, ვიწრო-კონუსურია. მარცვალი ღერუკაზე მჭიდროდ არ არის მიმაგრებული.

რქა მსხვილი, ოდნავ დაზოლილი, საშუალო მუხლშორისებიანი, მოწითალოა.

ბ ა კ მ ა შ უ რ ა

ქაკმაშურა ძლიერ მცირე რაოდენობით გვხვდება სიღნაღის რაიონის საწარმოო ვენახებში; იგი ვენახში შერეულია ერთეული ძირების სახით. ამ ჯიშის ნორმალური ვაზები იმდენად ცოტაა, რომ სათანადო ნიმუშების აღებაც კი მეტად ძნელია. ადგილობრივ მოსახლეთა შეფასებით ქაკმაშურა სხვა დანარჩენ ადგილობრივ ვაზებთან შედარებით საგვიანო ჯიშად ითვლება; ამის გამო მიუციათ მისთვის ზემოხსენებული სახელწოდება, რაც მეტი მკვდიანობის გამოზატველია. ჩვენი პირადი შეფასებით ამ ჯიშის ყურძენი იმდენად დასაწუნი არ უნდა იყოს და არც ისე გვიან უნდა მწიფდებოდეს. ზოგადად იგი ადგილობრივ მოსახლარ გვიანა ყურძნის

ჯიშის ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს. საშუალო მოსავლიანობა აქსიალურ ნაძრის ამტანობა კარგი აქვს.

მტევანი ფორმით ცილინდრულია, აგებულებით ოდნავ მკვრივი მტევნის სიგრძე 20—22 სანტიმეტრია, სიგანე—6—8 სანტიმეტრი. მტევნის ყუნწი სიგრძით 2—3 სანტიმეტრია, შემოუსვლეელი—მწვანეა. მარცვლი ფორმით ოვალური, შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებულია, იშვიათად შედრეკილი ან წაწვეტებულია, სიმეტრულია, იშვიათად ასიმეტრულია. მარცვლის სიგრძე 18—20 მილიმეტრს უდრის, სიგანე—14—16 მილიმეტრს. თხელი შავი კანი ვიტინით ნაკლებად შეფენილია. ხორცი წვნიანი, ვარდისფერია. წიპწა მარცვალში მეტწილად 3—4 ცალია, იშვიათად 1—2 ცალი.

რქა უხოლო, საშუალო მუხლშორისებიანი, მოწითალო-მორუხია.

ძარბაზის ვაზის ჯიშები

ქართლის ადგილობრივ ვაზის ჯიშთა რიცხვი საკმაოდ დიდია. ზოგი ძალიან ნაკლები სამეურნეო ღირებულებისაა და მათ არ შეეხებით; ზოგიერთ ჯიშს საკმაო გავრცელება აქვს, მათ შორის არიან შედარებით ნაკლები ღირებულების, აგრეთვე მოიპოვებიან საყურადღებო ჯიშებიც, უფრო კი სუფრის ყურძნად გამოსადგენი.

საქართველოს მევენახეობის რაიონებში ვაზის ჯიშებს არსად არა ქვთ იმდენად არეული სახელწოდებანი, როგორც ქართლში: ერთსადაიმთხვე ჯიშს ერთ სოფელში ერთი სახელწოდება აქვს, მეორეში—მეორე; ასეთი შემთხვევები მეტად ხშირია; მაგ. ჯიშ კასპურა თეთრს ერთ სოფელში უწოდებენ „თეთრ ვაზს“, მეორეში „კასპურას“, მესამეში „ჩინურას“ და სხ. ნაკლები შეცდომების დაშვების მიზნით, ვამჯობინეთ ჯიშისთვის ის სახელწოდება მიგვეკუთვნებია, რომელსაც იგი ატარებს იმ სოფელსა ან იმ რაიონში, სადაც უფრო მასობრივად არის გავრცელებული. იქნებ ეს გზა სწორიც არ იყოს, მაგრამ ჯერჯერობით სხვა ვერაფერი მოვახერხეთ, მით უმეტეს, რომ აქ იმდენად სინონიმებთან არა გვაქვს საქმე, რამდენადაც ნაკლებ გარკვეულობასთან.

ა. ძარბაზის თეთრკანიანი ვაზის ჯიშები

მორაულა მწვანე

სინონიმი: მწვანე გორულა, გორულა, გორული, მწვანე (ქართლი); ქვიშხური (იმერ.); ტფილურა, სურამულა, სადმელური მწვანე (რაჭა).

ვაზი საკმაოდ ღონიერი ზრდით ხასიათდება. ზრდადამთავრებული ფოთოლი ოვალური მოყვანილობისაა, ხუთნაკეთიანია, ამონაკეთები ხშირად ღრმად არ არიან ჩაჭრილნი. ზევითა ამონაკეთი ზოგჯერ საკმაოდ ღრმაა. ამონაკეთი მოყვანილობით მომრგვალოა, ფუძე მომრგვალოა,

მეტწილად დახურულია. ქვედა ამონაკეთი ფუჭემახვილი მოხაზულობისაა. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ან ღიაა და მომრგვალო მოხაზულობისაა, ან დახურულია და მომრგვალო ქუქრუტანიანია; ფოთლის ყუნწი ან გან



სურ. 22. გორულა შწვანე.

ვითარებულია ორი დეზი. ნაკეთის წვერის კბილაკი წაწვეტებულ-სამკეთის-
ვანია, გვერდელა კბილაკები ხერხისმაგვარი, ერთმხრივ ამობურცულია.
ფოთლის ფირფიტის ზედაპირი სადა და გლუვია, თუმცა ქვედა ფოთლებში
ხშირად დანაოკებელია; ფირფიტის ქვედა მხარე შეფენილია აბლაბუდი-
სებრი ბუსუსით.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსური ან კონუსურია, აგე-
ბულებით საკმაოდ კუმსია. საშუალო მტევნის სიგრძე 17 სმ. აღწევს, მეტად
მსხვილი მტევნებისა კი—21 სმ მტევნის ყუნწი გახევეებულია; მარცვლის
ყუნწის სიგრძე 0,8 სანტ. აღწევს. მარცვლი ღერუკასთან მტკიცედაა
დაკავშირებული. ღერუკას ბალიში მოყვანილობით განიერ-კონუსურია და
დამეკეკებულია. მარცვლი საშუალო სისხოსია (16—17 მმ.), მსხვილი მარ-
ცვლი 19 მმ. აღწევს, მოყვანილობით მრგვალი, ზოგჯერ ოდნავ შებრ-
ტყელებულია მარცვლის კანი საკმაოდ სქელი, უბეში, ფერად მწვანეა,
სრული სიმწიფის დროს ყვითელ-მომწვანოა. მარცვლის რბილობი საკმაოდ
მკვრივი და ხორციანია. მარცვლი შეიცავს 1—3, მეტწილად კი 2 წიპწას.

ყურძენი ქართლის პირობებში ოქტომბრის გასულს მწიფდება.

გორგულა მწვანე ყველაზე მეტად გავრცელებულია ქართლში. თუმცა
მოსავალს რიგიანა იძლევა, მაგრამ წვენის გამოსავალი ცოტა აქვს, ღვინოს
საშუალო-სხეულიანს იძლევა. კარგ პირობებში აღზრდილი ვაზებიდან
მალაზხარისზოგანა, საკმაოდ სხეულიანი, თეთრი ღვინო დგება და დაძე-
ვებისას სასიამოვნო ბუკეტს ივითარებს.

ვაზი ზამთრის ყინვებისადმი და ნაცრისადმი საკმაოდ გამძლეა; ქრა-
ქი კი შედარებით იოლად აზიანებს.

გორგულა მწვანე რამდენიმე ვარიაციას ითვლის. ამიტომ აუცილებ-
ლად საჭიროა ამ ჯიშის ფარგლებში კლონური სილექციის წარმოება, მით
უმეტეს, რომ ზოგი ვარიაცია წვრილმარცვლიანობით, ზოგი კი ყვავილის
ცვენით ხასიათდება.

მ მ ა ვ ა

სინონიმი: შაბა (გარდათენი).

ვაზი საშუალო ღონისაა. ზრდადამთავრებული ფოთოლი მეტწილად
მომრგვალო, ზოგჯერ ოვალური, სამნაკეთიანია. ზემოაქვეთი ზეზუფურია,
ფუძე კვერცხისმაგვარია. ქვედა ამონაკეთი იმდენად ზეზუფურია, რომ ვერც
კი შეამჩნევთ. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ზოგჯერ დახურული ან ოდნავ
ღიაა, ფუძე მომრგვალო მოყვანილობისაა, იშვიათად ვიწროა. ნაკეთის
წვერის კბილაკი წაწვეტებულია, იშვიათად გვერდებგამობერილია. კბილა-
კებში გვხვდება როგორც ბოლოწვეტიანი, ისე მომრგვალო მოყვანილო-
ბის გვერდელა; უფრო ხშირად კი გვხვდება გვერდებგამობერილი და
წვერწაწვეტებული. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე სადაა და კიდები

ქვევითკენ მოხრილია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე შებუსუსულია საქ-
მაოდ უხვი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი წითლადაა შეფერილი.

ყვავილი ორსქესიანი.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, აგებულია მრგვალი
ალო სიკუმსისაა. საშუალო მტევნის სიგრძე 14—16 სმ. უდრის, მსხვილი
მტევნები 21 სმ. აღწევენ. მტევნის ყუნწი მწვანეა და ზოგჯერ ფუძესთან
ხევდება. მარცვალი ლერუკასთან სუსტადაა მიმაგრებული. მარცვალი მო-
ყვანილობით მრგვალია, საშუალო სისხოსია, ზომით 15,3 მმ. აღწევს,
მეტად მსხვილი მარცვალი 17,6 მმ. აღწევს. მარცვლის კანი თხელია,
ადვილად იხევა, ფერად ყვითელ-მომწვანოა. მარცვლის ზორცი წვნიანია
და უხვი გამოსავალი აქვს. მარცვალი შეიცავს 1—4 წიბწას, მეტწილად
კი 2 წიბწას; ყურძენი ქართლის პირობებში ოქტომბრის მეორე ნახევარში
მწიფდება.

ქყაბა ქართლის ვენახებში საქმაოდ გავრცელებული ჯიშია. შედარე-
ბით უხვი და თანაბარი მოსავალი იცის (80—100 ცენტ. ჰექტ.), წვენი
კარგი გამოსავლიანობა აქვს, კრაქით ნაკლებად ზიანდება და სხ. მთელ
რიგ სამეურნეო ღირსებათა გამო იგი თანდათანობით მეტად ვრცელდება,
ღვინოს კი თხელს და უხასიათოს იძლევა. გამოსადეგია როგორც მასო-
ბრივი თეთრი ღვინოების დასამზადებლად, ისე საქუბაჟო მასალადაც.

ნ ი ნ უ რ ი

სინონიმი: კასპური, კასპური თეთრი.

ქართლის ვენახებში საქმაოდ გავრცელებულია თეთრყურძნიანი ჯი-
ში ჩინური; ამ ჯიშის ვაზები უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება ატენის
ხეობაში, კასპის მიდამოებში და ქსნის ხეობაში.

ჩინურის ვაზი საქმაოდ ლონიერი, პირამიდალური მიმართულების
ზრდით ხასიათდება.

ფოთლის ფირფიტა მოხაზულობით თითქმის მრგვალია, სიგრძით
უდრის 16—17,05 სმ., სიგანით კი 16—18 სანტიმეტრს; მოყვანილობით
ფოთოლი ღარისებრია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ტიტველია, ქვე-
და მხარე კი შებუსუსულია აბურძგნული ბუსუსით. ფოთოლი საწნაკეთი-
ანია, იშვიათად გვხვდება 5 ნაკვთიანიც; ამონაკვთები ზეზეურია, განსაკუთ-
რებით ქვედა. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღიაა, მრგვალი თალისებრი
მოყვანილობის, იშვიათად კვერცხისებრია. ამონაკვეთში გვხვდება საქმაოდ
განვითარებული ღეზი. ყუნწის ამონაკვეთთან მდებარე ფოთლის ფირფი-
ტის ნაწილები ზოგჯერ ერთმანეთს ეხებიან და ერთიმეორეზე გადადიან.
ფოთლის ფირფიტის კიდე დაკბილულია მოკლე და განიერი ორი სიდი-
დის კბილაკებით; კბილაკების წვეროები მომრგვალო მოყვანილობისაა.

¹ ჩინურის შესახებ ზოგიერთი მასალის მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვახ-
სენებთ ნ. დ. ჩახნაშვილს.

ნორჩი ყლორტის წვერო და პირველი ფოთლები შებუსუსლია, ამ უკანასკნელთა პერიფერია კი ოდნავ მობრჭყვიალოა. პირველი ფოთლების ძარღვებში შორის მანძილს მოწითალო იერი გადაჰკრავს. ყლორტის მუცელზე ბუსვა თანდათან კლებულობს ძირისაკენ.

მტევნები ვითარდებათ მე-4—5 მუხლიდან; თითო ყლორტზე ვითარდება თითო მტევანი, იშვიათად ორი.

მტევნები მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსური, ზოგჯერ ფრთა უფითარდება; აგებულებით საშუალო სიკუმსისაა, ზოგჯერ საკმაოდ კუმსიკაა. მტევანი სიგრძით 20 სანტიმეტრამდე და სიგანით 9—11 სანტიმეტრამდე. მტევანი ითვლის 75—140 მარცვლამდე.

მტევნის ყუნწი ნახევრადგახეხილია, უმეტესად ღია მომწვანო-მოყვითალოა.

მარცვალი მომსხო, მომრგვალო, ოდნავ ოვალური მოყვანილობისაა; მარცვლის ბოლო მრგვალი-სიმეტრულია. მსხვილი მარცვლის სიგრძე 20 მმ. აღწევს, სიგანე კი—18 მმ. მარცვალი მომწვანო-მოყვითალო ფერისაა, კარგად დამწიფებული ღია ქარვისფერს იღებს და მზის მხარეს მუქ-რუხი ლაქები უფითარდება. მარცვლის კანზე შესამჩნევია ამ ჯიშისთვის დამახასიათებელი მუქ-წითელი ფერის პატარა წინწკლები. მარცვალი ხორციანი და საკმაოდ წვნიანია. მარცვლის კანი ლაზათიანადაა შეფენილი ვიტინით. კანი ადვილად სცილდება ხორცს. ყურძენი საკმაოდ გემრიელია, თუმცა ოდნავ უხეშია. მარცვლის ღერუკას სიგრძე 4—5 მმ. მარცვალი ღერუკასთან საკმაოდ მჭიდროდაა მიმაგრებული. მარცვლის ბალიში მარცვალთან მიმაგრების ადგილას განიერ-კონუსური მოყვანილობისაა, მწვანეა და უხვადაა დაფენილი მწვანე მეჭეჭებით.

მარცვალი შეიცავს 4 წიპწამდე, უფრო ხშირად 2—3 წიპწას. წიპწა ღია რუხი ფერისაა; ქალაქა მრგვალი, ზოგჯერ ოდნავ ოვალურია.

რქა მუქი მოწიბაკისფერია და დაზოლილია უფრო მუქი ბრტყელი ზოლებით, მუხლებთან ზოლებიც და თვით რქაც უფრო მუქდება.

ყორძენი მწიფდება II პერიოდის მიწურულს.

ქართული ვაზის ჯიშთა შორის ჩინური ხასიათდება ფილოქსერისადმი თითქოს ყველაზე მეტი გამძლეობით: ფილოქსერით განადგურებულ ვენახებში ჩინური საკმაოდ საღად გამოიყურება, თუმცა ეს ჯიშიც საბოლოოდ ვერ უმკლავდება ფილოქსერას დამლუბველ გავლენას. სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ქართლის პირობებში ჩინური საკმაოდ გამძლეობით ხასიათდება, განსაკუთრებით ნაცრისადმი.

ჩინური ნაკლებ შინაარსიან თეთრ სუფრის ღვინოებს იძლევა. ეს ჯიშში შეიძლება მივაკუთვნოთ სუფრის ყურძენის ჯგუფს; ამის საწინდარია მტევნის სიღამაზე, მარცვლის აგებულება და გემო, აგრეთვე შენახვის და ტრანსპორტისუნარიანობა.



სინონიმი: თეთრი ვაზი, კასპური.

ვაზი საკმაოდ ლალი ზრდით და ვერტიკალური პაბიტუსით იზრდება. შემოსული რქა ჩალისფერია. ზრდამოთავებულ ფოთოლი ოვალური მოყვანილობის, მეტწილად სამნაკეთიანია; ზედა ამონაკეთები საკმაოდ განვითარებულია, ქვედა კი ზეწურია. ყუნწის ამონაკეთი მეტწილად თალისებრია, ხშირად დახურულიცაა. კბილანები სამკუთხედისებრი, ბოლო-მომრგვალებულია. ფოთლის ფირფიტა ორივე მხრით გლუვია, მხოლოდ ქვედა მხრის ნერვებში ოდნავ შებუხებულია.

მტევანი საშუალო სიდიდის, მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, ხშირად კონუსურიცაა, აგებულებით საშუალო სიკუმისაა. დიდი მტევნის სიგრძე 19 სმ. აღწევს, საშუალოსი კი—14 სმ. მტევნის ყუნწი თეთრ-მოყვითალოა, კლერტიკ ასეთი ფერისაა, ზევდება მხოლოდ რქასთან შეერთების ადგილას. მარცვლის ღერუკა ბალიშითურთ 6,5—8,7 მმ. უდრის.

მარცვალი საშუალო სისხოსი (16—17 მმ.) და მომრგვალო მოყვანილობისაა. ჩენჩო საკმაოდ მაგარი, ყვითელ-მომწვანოა, ხორცს ადვილად სცილდება. მარცვლის ფერი მწვანე-მოთეთროა, შეფერილია ვიტინით. მარცვალი მეტწილად ორ წიბწას შეიცავს, იშვიათად 1—4 ცალს. ქართლში ყურძენი მოიწევა სექტემბრის მიწურულს.

კასპური თეთრი გაბნეულია ქართლის საწარმოო ვენახებში (კასპი, ათენი და სხ.). ამ ჯიშისაგან ლენოს ამზადებენ სხვა ჯიშებთან შერევით. როგორც ლენის ჯიში, დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგრამ როგორც სუფრის ყურძენი, ყურადღების ღირსია: მტევნის გარეგნული შეხედულებით, აგებულებითა და ყურძნის გემოთი კასპური თეთრი რიგიანი სუფრის ყურძნის ჯიშთა წყებას უახლოვდება.

გ ლ დ ა ნ უ რ ა

სინონიმი: გორულა.


გლდანურას ვაზები გვხვდება ხეივნის სახით და გლდანის ვენახებში იგი საკმაო რაოდენობით არის მოშენებული.

ზრდამოთავებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და სამნაკეთიანია; ამონაკეთები ღრმად არ იჭრებიან ფოთოლში. ყუნწის ამონაკეთი მეტ შემთხვევაში ელიპსური მოყვანილობისაა და კიდურები ერთმანეთს უახლოვდებიან; გვხვდება დახურული ამონაკეთიც. კბილანები სამკუთხედისებრი, წვეროწიწვეტიებულია. ფოთლის ფირფიტა სადაა, ქვედა მხრიდან დაფენილია აბლაბუდისებრი ბუსუსით.

მტევანი საშუალო სიდიდისაა; მისი სიგრძე მეტ შემთხვევაში 12—13 სმ. უდრის, დიდი მტევნის სიგრძე კი 17 სმ-ს აღწევს; მტევანი აგებულებით საშუალო სიმეჩხისა ან მოკუმსოა. მტევნის ყუნწი იშვია-

თად ხევედგა და ზოწითალოა. მარცვლის ღერუკა მომწვანია, მალწიშორ
თურთ მისი სიგრძე 4 მმ-ს აღწევს. ღერუკა მარცვალთან მკიდროდია მი-
მაგრებული.

საქართველოს
ზოოლოგიური



სურ. 23. გლდანურა.

მარცვლი მომსხო (16—18 მმ., მსხვილისა 22 მმ.), მარცვლი, ზოგჯერ ოდნავ ოვალურია. მარცვლის კანი ყვითელ-მომწვანოა და საკმაოდ უხეშია, ადვილად სცილდება ხორკს. სრული სიმწიფის დროს მარცვლი ღია ოქროსფერია, ოდნავ შეფენილია ვიტინით და მზის მხარეს ოდნავ შექორფილია. მარცვლის ხორცი საკმაოდ მკვრივია. მარცვალი შეიცავს 1—2 წიპწას. გლდანის პირობებში ყურძენი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში. გლდანურა უხვმოსავლიან ჯიშად არ ითვლება, სოკოვან ავადმყოფობათაღმი საკმაო გამძლეობით ხასიათდება.

გლდანურა ეკუთვნის შენ ხეისუნარიან სუფრის ყურძნის ჯიშთა წყებას და ამ მხრივ დიდი ყურადღების ღირსია. გლდანელი მევენახენი ამ ჯიშის ყურძნის შენახვას ნახერხში, შედარებით პრიმიტულ პირობებში მასამდის ახერხებენ; შენახული ყურძენი გარეგნული ნიშნებით ახლად დაკრეფილს მოგვაგონებს.

ძ ი შ უ რ ი

ვაზი საკმაოდ ლალი ზრდით, მომრგვალო. ხუთნაკვთიანი ფოთლებით ხასიათდება; ფოთლის ამონაკვთები საკმაოდ ღრმავა; ფოთლის ყუნწის ამონაკვთი მეტწილად ელიპსური მოყვანილობისაა და კიდურები ერთმანეთს უახლოვდება; გვხვდება ღია და დახურული ამონაკვთებიც. კვილანები კარგად განვითარებული, მეტ შემთხვევაში თალისებრი, წვერწაგრძელებულია. ფოთლის ფორფიტა ბრტყელია, ქვედა მხრიდან შეფენილია მოკლებუსუსით, ძარღვები კი უხვადაა შებუსუსი.

მტევანი კონუსური ან ცილინდრულ-კონუსურია, აგებულებით საშუალო სიკუმსის ან კუმსია, მტევნის სიგრძე 10—11 სმ. უდრის, მეტად დიდი მტევნისა კი—16 სმ. მტევნის ყუნწი რქის მიმაგრების ადგილას ხვედება. ღერუკას ბალიში მეტ შემთხვევაში კონუსურია. ღერუკას სიგრძე ბალიშითურთ 5,4—7,2 მმ. უდრის.

მარცვალი საშუალო სისხოსი (13,5—14,5 მმ., მეტად მსხვილისა—17,6 მმ. უდრის), მოყვანილობით ოვალურია და ბუდეშურს საკმაოდ წააგავს. მარცვლის კანი საკმაოდ უხეში, მოყვითალოა; კანზე შესამჩნევია შავი წერტილები. სრული სიმწიფის დროს მარცვალი ყვითელ-მომწვანოა და შეფენილია ვიტინით. მარცვლის ხორცი წვნიანი და საკმაოდ ტკბილია. მარცვალი შეიცავს 1—3 უფრო ხშირად 2 წიპწას. ქართლის პირობებში ყურძენი მწიფდება სექტემბრის პირველი ნახევრის მიწურულს.

ქიშური გაბნეულია (ცალკეული ვაზების სახით ათენისა და ქსნის ხეობებში და საკმაო მოსავლიანობით ხასიათდება. ქიშურს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს როგორც ადგილობრივი მოხმარების სუფრის ყურძნის ჯიშს.



ვაზი საკმაოდ ღონიერი და ლალი ზრდით ხასიათდება. მზრდაში მისი ვებულნი ფოთოლი საკმაოდ დიდია და მეტ შემთხვევაში მოგანიერია. ფოთლის ფირფიტა 3—5 ნაკეთიანია. ზედა ამონაკეთები საკმაოდ ღრმა, ელიბსური მოყვანილობისაა, ქვედა კი ზეზეურია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ღია, ვიწრო ან მომრგვალო თაღისებრია. ფოთლის ფირფიტის მთავარი ძარღვები ამობურცულია. ფირფიტის ქვედა მხარე შეფენილია მოთეთრო ბუსუსით. კბილანები სამკუთხედისებრი, უსწორ-მასწორო, ბოლო წაწვეტებულია.

მტევანი საშუალო სისხოსი, მოყვანილობით კონუსური ან უფორმოა და აგებულია საშუალო სიკუმსის ან საკმაოდ კუმსია. ზედა კუფლები მტევანს ხშირად საკმაოდ უვითარდება და უფრო მსხვილმარცვლიანობითაც ხასიათდებიან.

მარცვლი მრგვალი, საშუალო სისხოსია; მტევნის ზევითა მარცვლები უფრო მსხვილია, ვიდრე მტევნის ბოლოსი. მუხა-მწვანის მტევანში საერთოდ მარცვლების სისხო ვარიაციობას განიცდის. მტევანში გვხვდება აგრეთვე პართენოკარპული მარცვლები, მაგრამ პართენოკარპულ მარცვლიანი მტევნები ყველა ვაზზე არ გვხვდება.

მარცვლის კანი საკმაოდ უხეში, ფერით მომწვანოა. მარცვლის ხორცი საკმაოდ მკვრივია; ყურძენი სრული სიმწიფის დროს მწვანე-მოყვითალოა. მარცვლი შეიცავს 2—3 წიპწას. ყურძენი მწიფდება სექტემბრის 25 რიცხვებში.

მუხა-მწვანე გავრცელებულია ლიხვის ხეობის შუა წელის ვენახებში, გვხვდება აგრეთვე ატენში და ცალკეული ვაზების სახით ქართლის სხვა რაიონებშიც. სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერისადმი საკმაოდ გამძლეობით ხასიათდება. კვირტის გამოღვიძებას მოგვიანებით იწყებს, რაც ქართლის პირობებში მნიშვნელოვანია. მოსავალს საკმაოდ უხვს იძლევა, მაგრამ გამოსავლიანობა შედარებით ნაკლები აქვს. მუხა-მწვანეს ღვინოს სტალინირის რაიონში ემადლიერებიან; გადმოგვეცემენ, რომ ყურძნის შენახვის კარგი უნარიანობითაც ხასიათდება.

მუხა-მწვანე რამდენიმე ვარიაციას შეიცავს. ამ ჯიშის ზოგი ვარიაცია გაცილებით ნაკლები მოსავლიანობით ხასიათდება — სისტემატურად უხვად ესახებათ პართენოკარპული მარცვლები და მტევანი უბარაქო რჩება. ერთი ასეთი ვარიაცია კარგადაა ცნობილი: იგი ხასიათდება უფრო წვრილი ფოთლებით, ღრმა ამონაკეთებით და ფოთლის ფირფიტის ქვედა მხრიდან ნაკლები შებუსებით.

¹ მუხა-მწვანის შესახებ მოწოდებულ ზოგიერთ ცნობისათვის და მერბარიუმის გადმოგზავნისთვის დიდ მადლობას მოვასწვებ აგრ. ვახტანგ კასარაძეს.

მუხა-მწვანე ქართლის პირობებისთვის საკმაო ღირებულების საწარმოო ვაზის ჯიშად უნდა მივიჩნიოთ, ოღონდ საჭიროა ვეგეტატიური სელექციის გზით დადებითი ნიშანთვისებების მქონე კლონის გამოყოფა. 20
2023.01.03

ს ა ბ ა ტ ო ნ ო

ჯიში საბატონო აშკარად სუფრის ყურძნის ჯიშთა წყებას ეკუთვნის. იგი ხასიათდება მომცრო საშუალო სიკუმსის, ან თხელი, ცილინდრული, ზოგჯერ ცილინდრულ-კონუსური მტევნებით. მტევნის ყუნწი მეტ შემთხვევაში მოწითალოა.

მარცვალი საშუალოზე მსხვილი, ოვალური მოყვანილობის, სრული სიმწიფის დროს ღია მოყვითალოა და ვიტინით ლაზათიანადაა შეფენილი. მარცვალზე შესამჩნევია ყავისფერი ხალები; მზის მხარე ზოგჯერ შეიჭორფლება ზოლზე და უფრო მუქდება. კანი საკმაოდ სქელი და უბეშია, ხორცი მკვრივია. მარცვალი ლერჯავზე მტკიცედაა მიმაგრებული. მარცვალი შეიცავს 1—2 წიბწას. ქართლის პირობებში ყურძენი მწიფდება სექტემბრის ბოლო რიცხვებში.

საბატონო გვხვდება ცალკე ვაზების სახით ქსნის ხეობის ვენახებში. თუმცა უხვი მოსავლით არ ხასიათდება, მაგრამ მისი ლამაზი მტევანი და მარცვალი ყურადღებას იპყრობს.

ხ ა რ ი ს თ ვ ა ლ ა

ხარისთვალაც სუფრის ყურძნის ჯიშთა წყებას ეკუთვნის, თუმცა ქართლში საღვინე ჯიშებთან ერთად სწურავენ. ეს ჯიში მასობრივი ნარკავების სახით არსად არ გვხვდება და ამ ბოლო დროს აღარც ამრავლებენ. ქართლური ხარისთვალა თუმცა კახურ ხარისთვალისაგან განირჩევა, მაგრამ ჰაბიტუსით და აგრეთვე მთელი რიგი ნიშანთვისებებით საკმაოდ მტკიცდება, რომ ეს ვაზები ერთსადაიმავე ჯიშს წარმოადგენენ, მაგრამ ადგილობრივი პირობების მიხედვით მას ქართლში საკმაო მოდიფიკაცია განუცდია. აღსანიშნავია, რომ კახური ხარისთვალა დედრობით ყვავილებიანი ჯიშია, ქართლური კი — ორსქესიანია; შეიძლება ვიგულოვოთ, რომ ამ ჯიშის ორი ვარიაცია არსებობს — მდედრობითი და ორსქესიანი და, ქართლში ორსქესიანმა ვარიაციამ მოიკიდა ფეხი. ქართლური ხარისთვალა მეტად გრძელი მტვრიანებით ხასიათდება.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ კონუსურია, ხშირად ფრთიანია; მხარი ხშირად მტევნის სიგრძის $\frac{1}{3}$ — $\frac{1}{2}$ უდრის. მტევანი სიგრძით 20 სანტ. აღწევს, აგებულებით საშუალო სიკუმსისაა; გვხვდება თხელი მტევანიც. მარცვლები საკმაოდ მსხვილია, მომრგვალო, ოდნავ ოვალური მოყვანილობის, ასიმეტრულია; მათი სიგრძე მერყეობს 16—21 მმ. და სიგანე 15—18 მმ. შორის. სრული სიმწიფის დროს მარცვალი ღია მოყვითალოა და მასზე შესამჩნევია პატარა, მუქ-წითელი ან ყავისფერი

წერტილები. მზის მხარეს მოყვითალო ლაქები უფითარდები. მარცვალ მტკიცედ არის მიმაგრებული ღერუქასთან. მარცვლის ღერუქა მთელ სიგრძეზე დაფენილია მეკეკებით.

მარცვლი მკვრივი და ხორციანია, ჩენჩო უხეშია, ხორცს იოლად სცილდება. მარცვლი 1—3 წიპწას შეიცავს; წიპწა ხორცს იოლად არ შორდება. ყურძენი ქართლის პირობებში ოქტომბერში მწიფდება.

შ ა ბ ა

ამ ჯიშის ვაზები მხოლოდ აქა-იქ გვხვდება ატენისა და ქსნის ხეობებში.

შაბის ყლორტების წვეროები ხასიათდება საკმაოდ უხვი შეშუსვით. ფოთოლი საშუალო სიდიდის, მომრგვალო მოყვანილობის, ხუნთაკვითიანია; ნაკვთები ზეზურია.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია; მტევნის სიგრძე 18—19 სანტ. და სიგანე 9 სანტ. უდრის, აგებულებით საშუალო სიკუმსისაა. რქაზე კარგად ვითარდება ორი მტევანი, ხშირად გვხვდება მესამე მტევანიც, მაგრამ ეს უკანასკნელი ნაკლებ განვითარებას აღწევს. მარცვლი მოყვანილობით მომრგვალოა, ქვედა მხრიდან ოდნავ შებრტყელებულია, საშუალო სისხოსია, სრული სიმწიფის დროს მწვანე-მოყვითალოა და ვიტინით ოდნავ დაფენილია. დამწიფებულ მარცვალზე გვხვდება პატარა, მუქი წერტილები. მარცვლის კანი საკმაოდ თხელია, ხორცს ადვილად სცილდება. მარცვლის ხორცი წვნიანია; შეიცავს 1—2 წიპწას, ქართლის პირობებში ყურძენი სრულ სიმწიფეს აღწევს ოქტომბრის დამდეგს.

შაბა მოსავლიან ჯიშად ითვლება, მაგრამ როგორც საღვინე ჯიში ნაკლები ღირსებისაა, სუფრის ყურძნადაც ვერ ჩაითვლება.

ღ რ უ ბ ე ლ ა

ჯიში ღრუბელა გვხვდება ქართლის მოძველებულ ვენახებში, ძირითადად კი ქსნის ხეობაში. ახალ ვენახებში ღრუბელას ნაკლებ აშენებენ, რადგან თუმცა უხეშოსავლიანი ჯიშია, მაგრამ თხელ, უხასიათო, ნაკლები შენახვისუნარიან ღვინოს იძლევა.

ფოთლის ფირფიტა მოყვანილობით ოვალური ან განიერ-ოვალურია, მეტწილად სამნაკვითიანია, იშვიათად ხუნთაკვითიანია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ყოველთვის ღიაა, მოყვანილობით ღირისებრია, ფუძე მახვილი მოხაზულობისაა; ხშირად გვხვდება ორი ღეზი.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, აგებულებით კუმსი ან საკმაოდ კუმსია. საშუალო მტევნის სიგრძე 12—15 სმ. შუა მერყეობს. მსხვილი მტევნის სიგრძე 20 სმ. აღწევს. მტევნის ყუნწი გახვევებულია და ღია წითელია. მარცვლი მოყვანილობით მომრგვალო, საშუალო სისხოსია, მისი ზომა მერყეობს 14—16 მმ. შუა, მეტად მსხვილი მარცვა-

ლი 18—19 მილიმ. აღწევს. მარცვლის კანი თხელი, მაგრამ საკმაოდ მაგარი, უხვადაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის კანი ღრუბლისფერია, გადაწყვების დროს მომუქო იერს იღებს. მარცვლის ზორცი წვნიანი, წყალწყალა და ნაკლებშაქრიანია; გამოსავალი დიდი აქვს. მარცვალი შეიტყავს 14-15 მტწილად 2 წიპწას.

ანდრეულა თეთრი

ანდრეულა თეთრის ცალკეული ვაზები გაბნეულია ქართლის თითქმის ყველა სოფლის ვენახებში. უხვმოსავლიანი ჯიშია; ამ ჯიშისაგან ღვინოს ცალკე არ ამზადდებენ.

ვაზი ღონიერი ზრდით ხასიათდება. ზრდადამთავრებული ფოთლის ფირფიტა წაგრძელებული, ოვალური მოყვანილობისა და ამონაკეთიანია. ზედა ამონაკეთები ზოგჯერ საკმაოდ ღრმა აქვთ და საერთოდ 0,2—0,6 შუა მერყეობენ. ამონაკეთები კიდურებით იხურება, მაგრამ მომრგვალოფუძიანი, კვერცხისმაგვარი ან სამკუთხედის მსგავსი ნაპრალები რჩებათ; ამონაკეთი იშვიათად განიგ-ელიბსურიცაა. ქვედა ამონაკეთები შედარებით ნაკლები სიღრმისაა და მოყვანილობით ზედა ამონაკეთებს მიემსგავსებიან. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი კვერცხისმსგავსი ან ვიწროა და ამ შემთხვევაში დაბურულია, ან განიერ-თლისმაგვარია და ამ შემთხვევაში ღიაა. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე თევზნაბდისებრია. ფოთლის ყუნწის სიგრძე ფირფიტის სიგრძეზე $\frac{1}{3}$ ნაკლებია.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსურია, იშვიათად კონუსურია. აგებულებით კუმის ან საშუალო სიკუმსისაა; მეტად კუმს მტევანში მარცვალი დეფორმირებულია. მსხვილი მტევნის სიგრძე 15 სანტ. აღწევს. მტევნის ყუნწი მწვანე ან ოდნავ მოყვითალოა. მარცვლის საჯღამი ბალიში ვიწრო კონუსურია. მარცვალი მოყვანილობით მომრგვალოა, საშუალო სისხოსია, ყველაზე განიერი ნაწილი მარცვლის ბოლოშია. მარცვლის კანი უხეშია, მოყვითალო-მომწვანოა, ვიტინით ნაკლებ შეფენილია. მარცვლის ზორცი წვნიანია და უბრალო გემოსია. ყურძენი მწიფდება სექტემბრის შუა რიცხვებში.

მ ე ლ ა კ უ ლ ა

მელაკულა მეტად მოსავლიანი და გამოსავლიანი ვაზის ჯიშია, მაგრამ მეტად თხელ, უხასიათო, წყალწყალა თეთრ ღვინოს იძლევა, ამიტომ მასობრივი ნარგავების სახით არ აშენებენ.

ვაზი საკმაოდ ღონიერი ზრდით ხასიათდება. ზრდადამთავრებული ფოთლის ფირფიტა მოყვანილობით ოვალურია, იშვიათად მომრგვალო, ხუთნაკეთიანია. ამონაკეთები ზოგჯერ ღრმად არიან შეჭრილი. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ღიაა, მოხაზულობით ღირისებრია, ფუძე მომრგვალო, იშვიათად ბრტყელი მოხაზულობისაა.

მტევანი ზოგჯერ მოყვანილობით კონუსურია. აგებულია მტკნალ კენკრით. საშუალო მტევანის სიგრძე 16—18 სმ. შუა მერყეობს, მტკნალ მსხვილი მტევანის სიგრძე 25 სმ. აღწევს. მტევანი ზოგჯერ მზრიანია.



სურ. 24. მელაქედა.

კუფხალი საკმაოდ დიდ განვითარებას აღწევს; მეტ შემთხვევაში მტევნის ზედა და ქვედა ნაწილი უფრო ვიწროა, ვიდრე შუანაწილი, საერთოდ კი მტევანი მელიას კუდს წააგავს. მტევნის ყუნწი გახევებული და მოწითავეა. ლოა. მარცვლი მოყვანილობით მომრგვალოა. გვხვდება ოდნავ ოვალური მოყვანილობის მარცვლიც. მარცვლი საშუალო სისხოსია, მსხვილი მარცვლები 18,7 მმ. აღწევენ. მარცვლის კანი თხელი, მაგრამ უხეშია, ხორცს იოლად სცილდება, ფერით მომწვანოა და უხვადაა შეფენილი მოწავო წერტილებით. მარცვლის ხორცი საკმაოდ მკვრივია. მარცვლი შეიცავს 1—3, მეტ წილად კი 1 წიპწას.

ქსნის ხეობაში მელაკუდას ყურძენი ოქტომბრის დამდეგს მწიფდება.

ბ. ძაბთლუჩი წითელი ღვინის ჯიშები

დ ბ ნ ა ხ ა რ უ ლ ი

დანახარული თუმცა წითელმარცვლიანი ყურძენია და წითელი ღვინოების დასაყენებლად იხმარება, მაგრამ წითელ პიგმენტს ნაკლებად შეიცავს და ღვინოც ნაკლებად წითელი ფერით ხასიათდება, უკეთეს შემთხვევაში ბროწეულის ფერისა დგება; მოსაველს უხვს იძლევა, სოკოვან ავადმყოფობისადმი საკმაოდ გამძლეა, გამოსავალი კი ნაკლები აქვს.

ვაზი საკმაოდ ღონიერი ზრდით ხასიათდება. ზრდამოთავებულ ფოთლის ფირფიტა ოვალური მოყვანილობისაა, იშვიათად მომრგვალებულია, ხუთნაკეთიანია, ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ლირისებრია, ფუძის მოხაზულობა მომრგვალოა, იშვიათად ვიწროა.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია ან კონუსურია. აგებულებით საშუალო სიმკვრივისაა ზოგჯერ მენხერია; საშუალო მტევნის სიგრძე 15 სმ. აღწევს, ზედა კუფხლები ხშირად საკმაოდ განვითარებულია. მტევნის ყუნწი გახევებულია. მარცვლი მოყვანილობით მომრგვალოა, ზოგჯერ გვხვდება ოვალური ფორმის მარცვლიც. მარცვლის სიგრძე 15,4—15,7 მმ. უდრის. მსხვილი მარცვლისა კი 18 მმ. აღწევს. მარცვლის კანი სქელი და უხეშია, ფერად მუქ-წითელია. მარცვლის ხორცი საკმაოდ მკვრივი, მაგრამ წვნიანია. მარცვლი შეიცავს 1—5, მეტწილად კი 2 წიპწას. ქართლში ყურძენი მწიფდება სექტემბრის II ნახევარში.

დანახარული იძლევა მასობრივ, სუფრის უბრალო წითელ ღვინოს. ამ ჯიშით ვენახებს მთლიანად არ აშენებენ და ახალ ნარგავებში ნაკლებად გვხვდება.

თაშქვიჩი (ძაბთლუჩი)

თაშქვიჩის ნარგავები ძველად უფრო მეტი რაოდენობით იყო გავრცელებული, ვიდრე ქართლის ახლანდელ ვენახებში, თუმცა ზოგიერთ რაიონში ეს ჯიშით დღესაც უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება, ვიდრე სხვა წითელყურძენიანი ჯიშები, მაგ. სოფ. ხიდისთავში, ტანას ხეობაში და სხ.

თავჯვერის ვაზი საკმაოდ ქლონიერი ზრდით ხასიათდება, ყლორტების წვერები საკმაოდ შებუსული აქვს. ზრდამოთავებულ ფოთოლი მომრგვალო, ან განიერ-ოვალური მოყვანილობისაა, საკმაოდ დიდი, ოთხაზონაქვეთიანია. ზევითა ამონაკეთები საშუალოდ ან საკმაოდ ღრმაა. ნაკეთები ერთმანეთს ეფარება, ბაზისთან კი ამონაკეთები ოვალური მოხაზულობის ნაპრალს ქმნის. ქვედა ამონაკეთები ზეზეური ან საშუალო სიღრმისაა; ამონაკეთი მოხაზულობით ბაზისთან ოვალურია, ზემოთკენ კი ვიწროვდება და მათზე ხშირად შეამჩნევთ ერთ ან ორ დეზს. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ღიაა, განიერი თალის მოხაზულობისა, გვხვდება ვიწრო თალისმაგვარი მოხაზულობაც. ფოთლის ფირფიტა ბრტყელი ან ძაბრისებრია. ზემო ნაკეთების ბოლო კბილაკები წაწვეტებული, სამკუთხედის მოყვანილობისაა, გვერდითი კბილაკები კი უსწორმასწორო, სამკუთხედის მოყვანილობის და სხვადასხვა სიდიდისა არიან. ფირფიტის ორივე მხარე გლუვია, ქვედა მხარეზე ძარღვები საგრძნობლად ამობერძლია.

ერთსადაიმავე ყვავილედში გვხვდება როგორც დედრობით სქესიანი, ისე ორსქესიანი ყვავილი; სრული და კუმსი მტევნის განვითარებისათვის, ესაჭიროება გარეშე მტვერით ვახაყოფიერება.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსურია. მსხვილი მტევნები სიგრძით 22 სანტიმ. და სიგანით 17 სანტიმ. აღწევენ. აგებულებით ძალიან კუმსია, მაგრამ თავჯვერის მტევნის სიკუმსე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უკეთ მოხდა მისი დამტვერვა გარეშე გამონაყოფიერებული მტერით; ამიტომ, გარდა კუმსი მტევნისა, ცალკე ვაზებზე და ცალკე ვენახებში გვხვდება როგორც საშუალო სიმკვრივის და მეჩხერი მტევნები, ისე პართენოკარპული მარცვლებიც. მტევნის ყუნწის სიგრძე მერყეობს 1,5—3,5 სანტიმ. შუა. ზოგჯერ მტევანს უფითარდება ზე-ვითა კუფლები; ამ შემთხვევაში მოყვანილობით რთულ მტევანს მოგვგონებს და ეს ზედა კუფლები მტევნის მზრის ნახევარს და ზოგჯერ ორ მესამედსაც აღწევენ. მტევნის მარცვლის ღერუკის სიგრძე 6—11 მილიმეტრს შუა მერყეობს. ფერით მწვანე, დამეჭეპებულია, ბალიში განიერ-კონუსურია. მტევანი მდებარეობს მე-4—6 მუხლზე.

მარცვალი მოყვანილობით მომრგვალოა. მსხვილი მარცვლები სიგრძით აღწევენ 19 მილიმ. და სიგანით 18,5 მილიმ. ბოლო მობრტყელებული აქვთ; ალბად აქედან წარმოიშვა ამ ჯიშის სახელწოდება „თავჯვერი“. მარცვლის ჩენჩო საკმაოდ სქელი, ნაკლებ ელასტური, ნუქ-შავია და უტედაა შეფენილი ვიტინით, რის გამო მოლურჯო იერი გადაჰკრავს; მარცვლის ზორცს, კანი იოლად, სცილდება. მორცი საკმაოდ წვნიანი, დაუფერავია, კანში კი წითელი პიგმენტი საკმაო რაოდენობით მოიპოება. მარცვალი უბრალო გემოსია, შეიცავს 17—18% შაქარს, საერთო მყავიანობა—7—8% მარცვალში 1—4, მეტწილად კი ერთი წიპწია. ყურძენი მწიფდება პირველი პერიოდის მიწურულს.

რქა ღია ყავისფერია, ხშირად წითელი ელფერი გადაჰკრავს. შემოდგომაზე ფოთლები მუქ-წითელ ფერს იღებენ და რქაზე შესამჩნევია დაზოღვა. თავკვერი იძლევა ნაკლებ ხასიათიანს, რიგიანად შეფერილ, მასობრივ წითელ ღვინოს. საჭმელად სასიამოვნო ყურძენია. სარწყავ, უხვად გაბატივებულ ნიადაგებში, თუ ყვავილობის დროს ხელოვნური განაყოფიერებით ხელი შეეწყოს, თავკვერი განსაკუთრებით უხვ მოსავალს იძლევა. ამ ჯიშის კულტურას ფართოდ მისდევენ აზერბაიჯანში მცხოვრები გერმანელი კოლონისტები (კიროვაბადის და აღსტაფის რაიონებში); იქ ხელოვნურად განაყოფიერება სავალდებულო აგროტექნიკურ ღონისძიებადაა მიჩნეული; განსაკუთრებით ხმარობენ გარეულ კრიკინა-ვაზის ყვავილედებს და კარგად მოვლილ, სარწყავი წყლით უზრუნველყოფილ ვენახებიდან ჰექტარზე 350—500 ცენტნერ ყურძენს იღებენ. შავი ნაწილიდან გამოტანილი თავკვერის ყლორტები მეტწილად მტევანს იფითარებენ.

მასობრივი ხასიათის წითელი ღვინოების დასამზადებლად ქართლის თავკვერი ინტერესს მოკლებული ჯიში არ არის. საჭიროა ვეგეტაციური სელექციის წესით თავკვერის ისეთი კლონების შერჩევა, რომლებშიაც ორსქესიანი ყვავილები უხვად ვითარდება, ამის შედეგად ხელოვნური განაყოფიერება საჭირო აღარ იქნება.

შ ა ვ კ ა კ ი ტ ო

ამ სახელწოდებით ცნობილია ვაზის ჯიში, რომელიც ცალკეული ვაზების სახით გვხვდება ქართლში, ზემო იმერეთში და რაჭაშიც. ძნელი გამოსარკვევია ამ ჯიშის ზუსტი სადაურობა; ვფიქრობთ, რომ იგი ქართლური წარმოშობისა უნდა იყოს, რადგან რაჭველი მევენახენი ქართლის ზერებში ხშირად მუშაობდნენ და სახლში დაბრუნებისას ვაზის მრავალი ჯიში შეჰქონდათ რაჭაში როგორც ქართლიდან, ისე კახეთიდან. რაჭიდან უეჭველია იგი შეტანილი იყო ზემო იმერეთში.

ზრდადამთავრებული ფოთლი საშუალო სიდიდის, მომრგვალო მოყვანილობის, ხუთნაკეთიანია; გვხვდება მეორადი ამონაკეთებიც. ფოთლის ფირფიტა ქვედა მხრიდან საკმაოდ შებუსულია. უხვი შებუსვითვე ხასიათდება აბალგაზრდა ყლორტების წვეროები და ნორჩი ფოთლები. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ღიაა, მოყვანილობით ლირისებრია, ფუძე მომრგვალო ან წამახვილებულია. ფოთლის ფირფიტის ამონაკეთები საშუალო სიღრმისა და ხშირად დაბურულია. ამონაკეთების ბოლო კბილაკები სწორმხრიანი, სამკუთხედისებრია; გვერდითი კბილაკები გამოზერილ-გვერდებიანი, დაბალი, განიერ-სამკუთხედისებრია.

მტევანი მომცროა, სიგრძით 15 სანტ. იშვიათად აღემატება. მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, აგებულებით საკმაოდ კუმსია.

მარცვალი მომრგვალო მოყვანილობის, საშუალო ან მომცრო სისხისი, სიმეტრულია. მარცვლის კანი შავია და სუსტადაა დაფენილი ვიტინით.



მარცვლის ღერუკა მწვანეა, სიგრძით 4—7 მმ. აღწევს, ბალიში ძალიან დამეკვიპებულია. მარცვლის კანი თხელია და ხორცს ადვილად აკვლავდება. მარცვლის ხორცი შეუღებავია და საკმაოდ წვნიანია. მარცვალი შეიცავს 1—3 წიბწას. ქართლის პირობებში შავკაპიტოს ყურძენი სრულ სიმწიფეს აღწევს სექტემბრის მეორე ნახევარში.

შავკაპიტო უხვმოსავლიან ჯიშად ითვლება, თუმცა მტევანი მსხვილი არ იცის, მაგრამ უხვად ისხამს. ამ ჯიშს საკუთრივ ღვინის დასაყენებლად იყენებენ.

წითელი ვაზი

წითელი ვაზის სახელწოდებით კასპის რაიონში (მეტეხი) ცნობილია წითელყურძნიანი ჯიში, რომელიც გაბნეულია ცალკეულ ვენახებში.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, აგებულია საშუალო სიკუმისაა. მტევნის ყურწი ყურძნის დამწიფების დროსაც მომწვანო რჩება. მარცვალი საშუალო სისხოსი (14—15,5 მმ.), ზოგჯერ მომსხოა და მოპრგვალია. ჩენჩო ტლანქია; ადვილად სცილდება ხორცს; სრული სიმწიფის დროს მექ-წითელია და ვიტინით ოდნავ არის დაფენილი. მარცვალი 1—2 წიბწას შეიცავს.

წითელი ვაზი საშუალომოსავლიან ჯიშად ითვლება. თხელ, ნაკლებ შეფერილ ღვინოებს იძლევა; გამოსადეგია, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის წითელი სუფრის ყურძნის ჯიში.

ასურეთული შავი—Schaltrauben (Schalschwarz).

ეს ჯიში ამ რამდენიმე ათეულა წლის წინ ასურეთის მიდამოებში მდებარე ტყეში იპოვა ასურეთელმა გერმანელმა კოლონისტმა Schაl-მა; რადგან ნაპოვნ ვაზს ბარაქიანი მტევნები ჰქონდა, ვაზის რქები მან თავის ვენახში დარგო. სათანადო მოვლის შედეგად ტყიდან მოტანილი ვაზმა განივითარა მეტად დიდი და ბარაქიანი მტევნები და ამ სოფლის მცხოვრებთა შორის დიდი პოპულარობა მოიპოვა, ამიტომ ფართოდ დაიწყეს მისი მოშენება. მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ იმ ტყას მიდამოებშია სადაც Schაl-მა ეს ვაზი იპოვა, ვენახები არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჯიში ან უძველეს დროიდანვე იყო კულტურაში, როდესაც იქ (აწ უღრან ტყეში) ქართველი მევენახენი ბინადრობდნენ და მევენახეობას აწარმოებდნენ და ვაზი გადარჩა და გაველურდა ან და ფრინველმა ან ცხოველმა ყურძნის წიბწა ტყეში შეიტანა, იგი იქ აღმოცენდა და ამგვარად წარმოიშვა ვაზი. ამ ჯიშს ასურეთელმა მევენახეებმა Schaltrauben-ის სახელი მიაკუთვნეს და ამჟამად ასურეთის ვენახებში ამ სახელითაა ცნობილი.

ვაზი ხასიათდება საკმაოდ ღონიერი ზრდით და საკმაოდ აწოწილი ყლორტებით. ზრდამოთავებული ფოთოლი მოპრგვალია, მეტწილად სამნაკვთიანი. ამონაკვთები საშუალო ან ზეზეურია, მოყვანილობით ლირისებრი,

ვიწრო ან მახვილფუძიანია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღია, მომრგვა-
ლებულია, თაღისებრია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე მუქ-მომწვანო,
ქვედა მხარე კი ღია-მომწვანოა, ორივე მხრიდან უბუსუსოა. სტრომბოქსის
მთავარი ძარღვები მეტად მკაფიოდ არის აღბეჭდილი.

ყვავილები დედრობითსქესიანია. ყვავილობის დროს სავალდებულოა
ამ ჯიშის განაყოფიერება სხვა ჯიშის მტვერით. მხოლოდ ამ წესით განა-
ყოფიერებული ყვავილედები იძლევიან მსხვილ, ბარაქიან მტევანს, რომლის
წონა ხშირად 1 კილოგრამს და ზოგჯერ მეტსაც აღწევს.

მტევანი მოყვანილობით კონუსურია, აგებულიებით კუმის ან საშუალო
სიკუმსისაა. ხშირად საკმაოდ დატოტვილია, მტევნის სიგრძე 20 სანტ.
აღწევს, ზედა ნაწილის სიგანე კი 12 სანტ. ყურძნის სრული სიმწიფის
დროს მარცვლის ღერუკა ბალიშთან წითლდება.

მარცვალი შავია, თათქმის საშუალო სისხოსია; ზოგჯერ მარცვლის
სიგრძე სიგანეს ოდნავ სჭარბობს; მოყვანილობით მომრგვალოა. მარცვლის
კანი თხელი, საკმაოდ ელასტურია. მარცვლას ხორცი უფერო, საკმაოდ
მკვრივი, მაგრამ წვნიანია. მარცვალი შეიცავს 1—2 წიბწას. წიბწა მოყვა-
ნილობით მოკრძო, ღია-ყავისფერი, მომწვანო ნისკარტინია. ყურძენი
II პერიოდში მწიფდება.

ასურეთული შავი მეტად უხვი მსხმოიარობით არ ხასიათდება და მტევ-
ნებს თუმცა დიდი რაოდენობით არ ივითარებს, მაგრამ თითოეული მტე-
ვანი მეტად ბარაქიანი და ამავე დროს უხვგამოსავლიანია. იგი გარკვეულად
უხვმოსავლიანი ჯიშია. მასობრივი წითელი სუფრის ღვინოების მისაღებად
ეს ჯიში მეტად საინტერესოა. ასურეთის პირობებში იძლევა მომჩატო
რიგიან, სუფრის წითელ ღვინოს. სოკოვან ავადმყოფობისადმი საკმაოდ
გამძლეობით ხასიათდება. მას ახასიათებს ერთი ნაკლი—ყვავილების დედ-
რობითსქესიანობა; ეს თუმცა უარყოფითი მოვლენაა და ყვავილობის დროს
საჭიროა 2—3-ჯერ განაყოფიერება მტევნის სრული და კარგი განვითარე-
ბისათვის; მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ჯიშის ბარაქიან მოსავ-
ლიანობას, მისი ეს ნაკლი ამ ჯიშის გაშრავლებისთვის შემადგენებელი
არ უნდა გახდეს მასობრივი ხასიათის სუფრის წითელი ღვინოების წარ-
მოების რაიონებში.

აღრეულა შავი

ფოთლის ფირფიტა მოყვანილობით განიერ-ოვალური, უფრო იშვი-
ათად მომრგვალოა. ამონაკვეთი ოთხია. ზედა ამონაკვეთები საკმაოდ ღრმა,
მეტწილად დახურული, განიერ-მომრგვალო ფუძიანია. ქვედა ამონაკვეთები
კვერცხის მოხაზულობის, მომრგვალო ფუძიანია. ფოთლის ყუნწის ამონა-
კვეთი კვერცხის მოყვანილობის, ფუძესთან მომრგვალებული, იშვიათად
ვიწრო მოხაზულობისაა. ფირფიტის ზედაპირი ოდნავ ამობურცული,
გლუვია; ქვედა მხარე ოდნავ შებუსუსულია საკმაოდ მსხვილი ბუსუსით.
ძარღვები მკაფიოდ სჩანან და კარგად არიან განვითარებული.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, გვხვდება ფართიანი და უფორმო გაშლილი მტევანიც. აგებულებით კუმსი ან საკმაოდ კუმსია. მსხვილი მტევანის სიგრძე 18 სანტიმ. აღწევს. მარცვალი თითქმის მრგვალია, საკმაოდ მსხვილია და 18,5 მილიმ. აღწევს. მარცვლის ჩენჩო საკმაოდ სქელი და უხეშია; ფერად მუქ-წითელია, ხორცს იოლად შორდება; ვიტინით ნაკლებადაა დაფენილი. მარცვლის ხორცი მკვრივი, შედარებით ნაკლებ-წვნიანია. მარცვალი შეიცავს 1—3 წიბწას. ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდის დასაწყისს.

ადრეულა გვხვდება როგორც ქსნის ხეობის, ისე მეჯუდის ხეობის ვენახებში; მასობრივად არსად არ აშენებენ, მეტწილად შერეულია სხვა ჯიშებთან. საკმაოდ უხვი მოსავალი იცის და რაკიან ღვინოს იძლევა, თუმცა შედარებით ნაკლება სხეულაანობით და ნაკლები პიგმენტანობით ხასიათდება.

ბ უ ზ ა

ბუხა ქართლის ვენახებში ნაკლებ გავრცელებული ჯიშია და მხოლოდ ცალკეული ვაზების სახით გვხვდება. ადრე მწიფდება, უხასიათო, მასობრივ წითელ ღვინოებს იძლევა.

ზრდადამთავრებულა ფოთოლი მომრგვალო ან ოვალური მოყვანილობისაა, საშნაკეთიანია; გვხვდება მთლიანი უნაკეთო ფოთლებიც. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი მეტწილად მახვილ-ფუძიანია და მოყვანილობით ღირისებრია.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, აგებულებით მეტწილად საშუალო სიკუმსისაა და იშვიათად მეტად კუმსია. საშუალო მტევანის სიგრძე 15 სმ. უდრის; მტევანის ყუნწი მწვანე, ბალახისებრია. მარცვალი მოყვანილობით მომრგვალოა და სისხოთი მომცროა. მარცვლის სიგრძე 12,2—13,5 მმ. უდრის. მარცვლის კანი საკმაოდ უხეშია და ხორცს იოლად შორდება. ჩენჩო შავია და უხეშადაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის ხორცი წვნიანია. შეიცავს 1—2 წიბწას.

წ კ ლ ა რ ტ ა

ჯიში წკლარტა გვხვდება წითელქალაქსა და მის მიდამოებში. ვაზი საკმაოდ ღონიერი ზრდით ხასიათდება. ზრდადამთავრებული ფოთოლი მოყვანილობით მომრგვალოა, უფრო იშვიათად ოვალურია. ამონაკეთები ზეზეურია; ზევეთა ნაკეთების კიდევები ერთმანეთსა ჰფარავენ, ზოგჯერ კი ვიწრო ნაპრალს ქმნიან, ქვევეთა ამონაკეთები მეტად ზეზეური და უსწორმასწორო მოხაზულობისაა. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი მოყვანილობით თლისებრია; გვხვდება განიერი და ვიწრო ფუძე. ფოთლის ფირფიტა დანაოკებულა; ყუნწი და მთავარი ძარღვები შეფერილია. ფოთლის ყუნწი ყოველთვის მთავარ ძარღვზე მოკლეა.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, ზოგჯერ მბრინარი აგებულებით საშუალო სიკუმსისა და იშვიათად მეჩხერი. მტევნის სიგრძე მერყეობს 16—20 სანტიმ. შუა. მტევნის ყუნწი მოწითალო და გაუხეხველია. მარცვლის ღერუკას სიგრძე 4,6—6,3 მილიმ. შუა მერყეობს; ბალიში განიერ-კონუსურია. მარცვალი საშუალო ან მომცრო სისხოსია, 14 მილიმ. არ აღემატება, მოყვანილობით მობრტყო, იშვიათად მომრგვალოა. მარცვლის კანი შავია, საკმაოდ მაგარი და უხეშია; მარცვალს ხორცი იოლად სცილდება. კანი უხედაა შეფენილი ვიტინით. ხორცი საკმაოდ წვნიანი, სასიამოვნო, ოდნავ მომჟავოა. მარცვალი 1—3 წიბწას შეიცავს.

წკლარტასაგან დამზადებული ღვინო საკმაოდ შეფერილი, საკმაოდ უხეშია; მასობრივ ღვინოებს მიეკუთვნება, მით უმეტეს, რომ ეს ჯიში საკმაოდ უხე მოსადალს იძლევა. ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდის დასაწყისს.

ტ ა ტ ა ნ ა უ რ ი

ტატანაური უფრო მეტად სოფ. მეტეხის ვენახებშია გავრცელებული, ქართლის სხვა სოფლებში კი ამ ჯიშის თითო ოროლა ძირი გვხვდება.

ზრდადამთავრებული ფოთლის ფირფიტა მოყვანილობით ოვალურია იშვიათად განიერ-ოვალურიც. ფირფიტის ზედა ამონაკვეთები საშუალო სიღრმის ან საკმაოდ ღრმაა, კიდურები მეტწილად ერთმანეთსა ფარავენ და ძირთან ნაპრალს სტოვებენ, ზოგჯერ კი ამონაკვეთი საკმაოდ განიერი და ღიაა. ქვედა ამონაკვეთები ზეზეური, ან ნაკლებ შესამჩნევია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი დახურული ან ღიაა; მეტწილად ლირისმსგავსი მოხაზულობისაა, ფუძე კვერცხის-მსგავსი ან ვიწრო მოხაზულობისაა. კიდურების გადაფარების შემდეგ ხშირად კვერცხისმსგავსი ნაპრალი რჩება. ფოთლის ფირფიტა ხშირად ამოზურცულია, მოყვანილობით ძაბრისებრია, ქვედა მხრიდან გლუვია. ფოთლის ყუნწის სიგრძე მთავარი ძარღვის მხოლოდ $\frac{2}{3}$ აღწევს.

მტევანი მეტწილად ცილინდრულ-კონუსურია, გვხვდება ცილინდრული და კონუსურიც. აგებულებით საშუალო სიკუმსისა ან მეჩხერია. მსხვილი მტევნის სიგრძე 22 სანტიმ. აღწევს. მტევნის ყუნწი მწვანეა. მარცვლის ღერუკის სიგრძე 4—7 მილიმ. შუა მერყეობს; მარცვალი ღერუკასთან მჭიდროდაა მიმაგრებული. მარცვალი მომრგვალო ან მობრტყო მოყვანილობისაა, საშუალო სისხოსია და 17,5 მილიმ. არ აღემატება. მარცვლის კანი თხელი, ნაკლებ მაგარი, მუქ-შავია და შეფენილია ვიტინით. ხორცი ჩენჩოს იოლად შორდება. მარცვლის ხორცი წვნიანი, მაგრამ საკმაოდ მკვრივია. მარცვალი შეიცავს 1—3, მეტწილად 2 წიბწას.

ტატანაური უხე მოსადალიანი ჯიშია, რიგიან წითელ ღვინოს იძლევა, ქართლის პირობებისათვის უმნიშვნელო ჯიშად არ ჩაითვლება.



იმერეთის ვაზის ჯიშთა რიცხვი გასულ საუკუნის ნახევრამდე (1850-1860) ლეებით მეტი იყო, ვიდრე ამჟამად. მათი შემცირების მიზეზად უნდა ჩავსვათ მოება, რომ სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელებისა და ფილოქტერიის შემოსევების შემდეგ ადგილობრივი ვაზის ჯიშები დაღუპვის გზას დაადგინეს; გადარჩენენ ძირითადად ის ჯიშები, რომელნიც იმერეთის მშრომელებმა დროულად დაამყენეს. მიუხედავად ამისა გადარჩენილ ჯიშთა რაოდენობაც საკმაოდ დიდია და ამჟამად ორმოცამდე აღწევს. ამ ჯიშებიდან ათიოდე ჯიში საკმაოდ გავრცელებულია, მათგან წამყვანი ადგილი უკავია ხუთიოდე ჯიშს; დანარჩენი ჯიშები კი მცირეოდენი ნარევის სახითა გვხვდება და საწარმოო მნიშვნელობა არა აქვთ.

იმერეთი ძირითადად მაღალი ხარისხის თეთრი ღვინოების წარმოების რაიონია; გარდა ამისა, ცალკეული მიკრორაიონები ხარისხოვან შამპანური ყაიდის ღვინის მასალას იძლევიან. ამ მხრივ იმერეთის მევენახეობას მეტად თვალსაჩინო პერსპექტივა აქვს.

იმერეთის ჯიშები აგრ. თ. კვარაცხელიამ შეისწავლა. მისი შრომა მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდა და იმერეთის თითქმის ყველა ეხლანდელი ჯიშის აღწერას შეიცავს¹.

იმერული თეთრშენიანი ვაზის ჯიშები

ცო ლ ი კ ა უ რ ი

იმერეთის ვაზის ჯიშთა შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს ჯიში ცოლიკაური. მისი გავრცელების არე იმერეთით არ ისაზღვრება; თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში (გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, აჭარა) ფართოდ და ხალისით მისდევენ ამ ჯიშის კულტურას.


იმერეთში ცნობილია ცოლიკაურის ორი ფორმა:

ა) ოფიური ცოლიკაური ანუ ქვემოური ცოლიკაური, მელქოს ცოლიკაური და ბ) ბაზალეთური ცოლიკაური ანუ მწვანე ცოლიკაური.

ოფიური ცოლიკაური შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: ვაზი საკმაოდ ღონიერი, შემოსული რქა მუქ-მოყვითალოა და მუხლებთან უფრო მუქია, ფოთოლი საკმაოდ ფართო, მომრგვალო და ოდნავ ოვალური მოყვანილობისა, მეტწილად სამნაკვეთიანია; ნაკვეთები ზეზეურია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე ქეჩის მაგვარად შებუსუსლი; ზედა მხარე კი გლუვი და ოდნავ მოპრიალოა. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღიაა; ფუტე თალისებრია. ფოთლის ფირფიტის კბილანები ხერხისებრია. ნაკვეთების წვერის

¹ Ф. К. Кварაცхелия. Западно-Грузинские сорта винограда, вып. I, Имеретинские сорта, изд. Сокарской опытной станции. 1936 г.

კბილანები გვერდებგაგანიერებული, სამკუთხედისებრი, წვერწაწვერებული, ყლორტის წვეროები უხვადაა შებუსული; ქვემოთკენ შებუსვა თანდათან კლებულობს. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის თანატოლია. *ხიზლინი* ახალი ყვავილი ორსქესიანია.



სურ. 25. ცოლიკაური (ბახალეთური).

მტევანი მომცროა (12—14 სმ.), მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, ზოგჯერ უფორმოა; ხშირად უფითარდება ზედა კუთხლები; აგებული-

პით მოკუმსო, ზოგჯერ საკმაოდ კუმსია. მტევნის ყუნწი ხეივანებში: ყუნწის სიგრძე 4—6 სანტ. უდრის. მარცვლის ღერუთა მწვანეა, ბალიში და მუქი კიკებულა და სიგრძით 6—7 მმ. აღწევს. მარცვალი საშუალო სიდიდისაა (15—16 მმ.). მოყვანილობით მოპრკვალოა, ზოგჯერ ოვალური, სრული სიმწიფის დროს მწვანე-მოყვითალოა. ჩენჩო სქელი და საკმაოდ უხეშია. მარცვლის ზორცი წვნიანია. მარცვალი შეიცავს 2 წიპწას, იშვიათად სამს. იმერეთის პირობებში ყურძენი სრულ სიმწიფეს აღწევს ოქტომბრის პირველი ნახევრის შემდეგ.

ოფნური ცოლიკაური საკმაოდ უხემოსავლიან ჯიშად ითვლება, მაგრამ ნაკლებგამოსავლიანია, რაც ძირითადად ჩენჩოს სისქეს და წიპწის სისხოს უნდა მიეწეროს. სოკოვან ავადმყოფობისადმი საკმაო გამძლეობით ხასიათდება; ამ ჯიშის იმერეთში ფართო გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც ეს თავისებურება უნდა იყოს. ცოლიკაურს ისეთივე ადგილი უკავია დასავლეთ საქართველოში, როგორც რქაწითელს კახეთში.

ცოლიკაური იძლევა მაღალი ხარისხის თეთრ, მხურვალე, იმერული ტიპის სუფრის ღვინოს.

ბახალეთური ცოლიკაური მთელი რიგი ნიშანთვისებებით განსხვავდება ოფნური ცოლიკაურისაგან. ძირითადი განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: ა) ყვავილები დედრობითსქესიანი აქვს და ამასთან დაკავშირებით საჭიროებს სხვა ჯიშის მტვერით განაყოფიერებას; ბ) მტევანი უფრო მომსხო აქვს, ვიდრე ოფნურ ცოლიკაურს; გ) მარცვალი ღია-მწვანე ფერისაა; დ) მარცვალს მზის ნხარეზე ქანგისფერი ლაქები უვითარდება; ე) სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შედარებით ნაკლები გამძლეობით ხასიათდება; ვ) ნაკლებმოსავლიანია (კოიფიც. 1,5).

ბახალეთური ცოლიკაური ძირითადად გავრცელებულია ორჯონიკიძის რაიონში, სადაც კირნარ ნიადაგებში იძლევა საკმაოდ ნაზ, ჰარმონულ, შალახხარისხოვან თეთრ სუფრის ღვინოს.

ც ი ც ძ ა

სინონიმი: შანთი.

იმერელი მევენახეები ციცქის ორ ვარიანტიას არჩევენ: ერთს უწოდებენ დედალ ციცქას და მეორეს მამალ ციცქას ანუ შავციცქას.

ციცქა შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: ზრდადამთავრებული ფოთოლი მოპრკვალო-ოვალური მოყვანილობისაა; ფოთლის ფირფიტა ნაკლებად დანაკეთილია; ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი საკმაოდ ღრმა და ფუძე თაღისებრია. ფოთლის ფირფიტის კბილანები ღერბებილა, გვერდებ-ამოხნეკილია. ახალგაზრდა ყლორტის წვეროები უხვადაა შებუსუსული მე-4—5 ფოთლამდე. ყლორტის წვეროს ახალგაზრდა ფოთლის ფირფიტის კიდეები მუქი პირისფერია. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მოკლეა.



სურ. 26. ციქა.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, ზოგჯერ ცილინ-
დრულია; ხშირად ზედა კუფხლები უფითარდება. აგებულებით საკმაოდ
კუმსია, ზოგჯერ მეტად კუმსია. მტევანი მომცროა, ზოგჯერ საშუალო
სიდიდისაა (12—15 სმ.; მსხვილი—16—18 სმ.), მტევნის უღნწი ხევდება,
სიგრძით 3—4 სმ.-ს აღწევს. მარცვლის ღერუკა მოკლეა (2—3 მმ.), მწვანეა,
ბალიში დამტკეპებულია. მარცვალი ოვალური ან მომრგვალოა, ბოლო

მომრგვალებული აქვს, საშუალო სისხოს აღწევს (16—17 მმ.), სიღრმე სიმწიფის დროს მოყვითალოა და მზის მზარეს ლაქები უფითარდება. ცოლიკაურთან შედარებით ჩენჩო თხელია, საკმაოდაა დაფენილი. მარცხენი წენიანია. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის შუა რიცხვებში. მარცხელი შეიცავს 2—3 წიპწას. შემოსული რქა ღია ყვითელ-მონაცრისფეროა, მუხლებთან უფრო მუქია.

ციცქა საკმაოდ მოსაყვანიანი ჯიშია და კირნარ ნიადაგებზე (ორჯონაიძის რაიონი) იძლევა მეტად მაღალი ხარისხის სუფრის ნაზ ღვინოს, რომელიც მიწნეულია შამპანური ყაიდის ღვინოების ერთ-ერთ საუკეთესო შემადგენელ ნაწილად. ამ რაიონში ციცქა წამყვან ჯიშად ითვლება. სოკოვან ავადყოფობისადმი ნაკლები გამძლეობით ხასიათდება და ალბათ ამით უნდა აიხსნას იმერეთის დანარჩენ ნაწილში ამ ჯიშის ცოლიკაურთან შედარებით ნაკლები გავრცელება; სამაგიეროდ ფილოქსერისადმი საკმაოდ გამძლე ჯიშია აღმოჩნდა; მრავალ ვენახში დღესაც გვხვდება ციცქის 50—60 წლის დაუმყენელი ვაზები, რომლებიც კვლავ რიგიან მოსავალს იძლევიან. მამალი ციცქა განსხვავდება უფრო მოზრდილი მტყენით (სიგრძით 15—16 სანტ., სიგანით 13,5 სანტ.), შედარებით მომსხო მარცვლებით. მარცვლები უფრო მომწვანო ფერისა და მზის მზარეს ლაქები არ უფითარდებათ.

კ რ ა ხ უ ნ ა

ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალოა, საშუალო სიდიდისა, (17×17 მმ.), მეტწილად ხუთნაკეთიანია; ზედა ამონაკეთები საკმაოდ განვითარებულია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი მეტ შემთხვევაში დახურულია და ფუძესთან ვიწრო ელიპსური ნაბრალი ჩნდება, ზოგჯერ ღიაა. ფირფიტის ქვედა მზარე შებუსულია ქეჩისებრი ბუსუსით. ფირფიტის კბილანები გვერდებგაგანიერებული, სამკუთხედისებრია. ნაკეთების ბოლო კბილანები გვერდებგაგანიერებულია, მეტ შემთხვევაში წვერომომრგვალებულია. ახალგაზრდა ყლორტის წვეროები უხვადაა შებუსული, მწვანე ყლორტებიც ნაწილობრივ შებუსულია.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი მოყვანილობით კონუსურია, ზოგჯერ ფრთიანია, აგებულებით საშუალო სიკუმსისაა. მტევანი სიგრძით აღწევს 14 სანტ., სიგანით 10 სანტ. მტვენის ყუნწი ხევედება, ოგი მოკლეა. მარცვლის ღერუკა მწვანეა და ბალიში დამეჭეპებულია, სიგრძით 3—4 სანტ. უდრის. მარცვალი მომსხო (18—19 მმ.), ოვალური მოყვანილობისა, სრული სიმწიფის დროს ღია-მოყვითალოა და ჭორფლისმაგვარი ლაქები უფითარდება; დაფენილია ვიტინით. მარცვალი შეიცავს 2 წიპწას, იშვიათად სამს. ჩენჩო სქელი და ტლანქი აქვს; ხორცი საკმაოდ მკვრივია. კრახუნის წვენის გამოსავალი მეტად მკიოვია. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში. კრახუნას შემოსული რქა ღია წაბლისფერია, მუხლებთან უფრო მუქია.

კრახუნა საშუალო მოსავლიანი ჯიშია. სოკოვან ავადმყოფობასა და ფილოქსერისადმი საკმაოდ მკრძნობიარეა და, რადგან დასავლეთ საქართველოში სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელებისათვის ოპტიმალური პირობებია, ამიტომ კრახუნის გამრავლება შედარებით შეზღუდულია.



სურ. 27. კრახუნა.

კრახუნა იძლევა სხეულით და ალკოჰოლით მდიდარ ლეინოს, რომლის მადერიზაცია ნაადრევად ხდება. ამ ჯიშისათვის დამახასიათებელ ლეინოს იღებენ ეწერ ნიადაგებზე, რომელნიც იმერეთში საერთოდ უხვადაა.



ქვიშურის სახელწოდებით ცნობილია თეთრი ღვინის ყურძნის (ჯიშის) იგი გვხვდება ზემო ქართლში და ზემო იმერეთში. თუმცა ზემო-იმერეთის ვენახებში ქვიშური უფრო მეტი რაოდენობითაა გვხვდება, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი ქართლური წარმოშობისაა, რაზედაც მისი სახელწოდება მიგვითითებს. ქართლში ნაზარდი ქვიშური თუმცა ოდნავ განირჩევა ზემო იმერეთში ნაზარდ ქვიშურიდან (მარცვლის სიდიდე, მტევნის სიდიდე), მაგრამ ეს შედარებით უმნიშვნელო თავისებურებანი მოდიფიკაციას უნდა მიეწეროს.

ქვიშურის ზრდადამთავრებული ფოთოლი საკმაოდ დიდია, მისი სიგრძე 16—19 სანტ. და სიგანე 17,5—18,5 სმ. უდრის, 3 ან 5 ნაკვთიანი; ზედა ამონაკვთები უფრო ღრმაა, ქვედა ამონაკვთები კი უფრო ნაკლები სიღრმით ხასიათდებიან; ამონაკვთების მოყვანილობა ელიპსური ან ლირისებრია. ფოთლის ყუნწის ამონაკვთი ფუძესთან ელიპსურია და ნაკვთები ერთმანეთს უახლოვდებიან, ზოგჯერ კი იმდენად არიან განვითარებულნი, რომ ერთმანეთზე გადადიან. კბილანები ზერბისებრია, ნაკვთების ბოლო კბილანები განიერ ფუძიანია.

ახალგაზრდა ყლორტის წვერო (სიგრძით 30 სანტ.) უხვათაა შეზუსული ქეჩისებრი ბუსუსით; ყლორტის წვეროსთან მდებარე ზრდამოუთავებელი ფოთლებიც უხვადაა შეზუსული, მათი კბილანები წითელია. საერთოდ ამ ჯიშის ახალგაზრდა ნაწილები უხვი ბუსუსით ხასიათდება.

ყვავილები ორსქესიანია.

ქვიშურა საკმაოდ მსხვილ მტევანს იფითარებს, სიგრძით 21—22 სანტ. და სიგანით 9—13 სანტ. აღწევს; მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, ზოგჯერ ფრთები უფითარდებათ; აგებულებით საშუალო სიკუმსის, ზოგჯერ თხელია. მტევნის ყუნწი მოკლეა (2—3 სანტ.). მარცვლის ღერუკა სიგრძით 6—8 მმ. უდრის, მწვანეა და დამეჭეპებულია.


მარცვალი საშუალო სისხოსია (16—18 მმ.), არის მომსხოც; მოყვანილობით ასიმეტრული, მომრგვალოა. სრული სიმწიფის დროს მომწვანო ოქროსფერია, დაფენილია ვიტინით. ჩენჩო ხორცს ძნელადა შორდება. მარცვლის ბოლოზე მკაფიოდ სჩანს შავი წერტილი (მარცვლის ქიპი); ჩენჩო სქელი, საკმაოდ უხეშია; ხორცი საკმაოდ მკვრივი, მაგრამ წვნიანია. მარცვალი შეიცავს 1—3 წიპწას. ქართლის პირობებში ყურძენი სრულ სიმწიფეს ოქტომბრის დამდეგს აღწევს.

ქვიშურა გაცილებით მეტად გავრცელებულია ზემო იმერეთში, სადაც მასობრივი ნარგავების სახითაა გვხვდება (საჩხერის რაიონი). ხალისიან და რიგიან სუფრის ღვინოს იძლევა, საკმაოდ მოსაგლიანი ჯიშია, მაგრამ შედარებით ნაკლებ გამოსაგლიანობით ხასიათდება.



სინონიმი: მკენარა-დონდლაბი.

ზრდამოთავებელი ფოთოლი განივ-ოვალურია, სამ ან ხუთეკუთხეული ანია. ამონაკეთები საშუალო სიღრმისაა, ზოგჯერ ამონაკეთები სიღრმისაა. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ღია, მახვილფუძიანია და ამონა-



სურ. 28. დონდლაბი.

კვეთის მოყვანილობა ლირისებრია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე შერტ შემთხვევაში აბურცულია, ქვედა მხარე საკმაოდ უხვადაა შებუსხული ქეჩისებრი ბუსუსით; აბალგაზრდა ყლორტის წვეროები უხვადაა შებუსხული, აბალგაზრდა განუვითარებელი ფოთლები შეფერილია პირისფრად.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი ცილინდრულ კონუსური მოყვანილობისაა, გვხვდება ცილინდრულიც. აგებულებით საშუალო სიკუმისაა. სიგრძით მტევანი 18 სანტ. აღწევს, სიგანით 11—12 სანტ. მტევნის ყუნწი ხევდება, სიგრძით 3—4 სანტ. აღწევს. მარცვლის ღერუჯა მწვანეა, ბალიში დამუკეპებულია, საკმაოდ გრძელია (6—7 სანტ.). მარცვალი საშუალოზე (მომსხო 17—18 მმ.), მომრგვალო, სრული სიმწიფის დროს მარცვალი ნათელი ქარვისფერია. კანი საკმაოდ თხელია, ხორცი წვნიანია. მარცვალი სუსტადაა მიმაგრებული ღერუჯასთან. იმერეთის პირობებში სრულ სიმწიფეს ოქტომბრის პირველ რიცხვებში აღწევს. მარცვალი შეიცავს 2—3 წიბწას.

ღონდლბაში უხვმოსავლიან და კარგ გამოსავლიან ჯიშად ითვლება. იგი საკმაოდ გავრცელებულია შუა იმერეთში, სოკოვან ავადმყოფობებისადმი საშუალო გამძლეობა აქვს.

ღონდლბაში მასობრივი ღვინოების ჯიშია. ნაკლებ ექსტრაქტულ, საშუალო სიმაგრის ღვინოს იძლევა. იგი გვხვდება ცოლიკაურის და ციცქას ნარჯაებში; მის კულტურას ამ ჯიშების გამოსავლიანობის გადიდების თვალსაზრისით მისდევენ.

მ წ ვ ა ნ ე (იმერული მწვანე)¹

ზრდადამთავრებული ფოთოლი საკმაოდ დიდია (18×18 სმ.), 3—5 ნაკვთიანია; ზედა ამონაკეთები საკმაოდ ღრმავა; ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღია, მახვილფუძიანია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე უხვადაა შებუსხული. ყვავილელებში დედრობითი სქესის ყვავილები სქარბობენ.

მტევანი კონუსური აგებულებისაა, საკმაოდ კუმისა, საშუალოზე მომცროა. მტევნის ყუნწი რქის ფუჭესთან ხევდება. მარცვალი მრგვალი, საშუალო სისხოსი (16—17 მმ.) ან მომსხოა, სრული სიმწიფის დროსაც მწვანე რჩება. მტევანში საკმაო რაოდენობით გვხვდება პართენოკარპული წვრილი მარცვლები. მარცვლის ჩენჩო საკმაოდ სქელია, ადვილად სცილდება ხორცს. მარცვალი შეიცავს 2—3 წიბწას. ყურძენი მწიფდება სექტემბრის II ნახევარში.

მწვანე მოსავლიან ჯიშად ითვლება, გავრცელებულია ზემო-იმერეთში და რიგაინ თეთრ სუფრის ღვინოებს იძლევა. სოკოვან ავადმყოფობებისადმი საკმაო გამძლეობით ხასიათდება.

¹ აგრ. ვლ. კინწურაშვილს დიდ მადლობას მოვახსენებ მწვანეზე ზოგიერთი მასალის მოწოდებისათვის.



ქართული
ლიტერატურის
ცენტრის ბიბლიოთეკა

სინონიმი: მწვანე, კუნდა მწვანე, კუმსა.

ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალო, საკმაოდ დიდი (18X18 სანტიმ.), მეტწილად მთლიანია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე შებუსუსლია ქერისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღიაა, მეტწილად მახვილფუძიანია. ახალგაზრდა ყლორტების წვეროები უხვადაა შებუსუსლი. წვერის ახალგაზრდა, განუვითარებელი ფოთლები პირისფერია.

მტევანი მომცრო, კონუსური აგებულებით ძალიან კუმსია. მარცვალი საშუალო სისხოსი, მომრგვალოა; სრული სიმწიფის დროსაც მომწვანოა, მზის მხარეზე კი მოყვითალო ფერს იღებს; უხვადაა დაფენილი ვიტინით. ჩენჩო სქელი და უხეშია, ხორცი წვნიანია. მარცვალი ლერუკასთან მტკიცედაა მიმაგრებული. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში.

კუნდა დიდ მოსავლიან ჯიშად არ ითვლება, მაგრამ ხარისხოვან თეთრ ღვინოებს იძლევა. ეს ჯიში კრაქისა და ფილოქსერისადმი საკმაო გამძლეობით ხასიათდება. ვანის რაიონში გვხვდება კუნძას ჯიშის დაუმყნელი ვაზები 50—60 წლისა, რომელნიც კარგი ზრდაგანვითარებით ხასიათდებიან. მიუხედავად ჩენჩოს სისქისა, წვიმიან შემოდგომაზე ყურძენი ადვილად ლებება.

ვანის რაიონში კუნძას მეორე ვარიანტიასაც ასახელებენ და მას ნაკლებ ღირებულებას აკუთვნიებენ.

მ ზ კ ნ ა რ ა

სინონიმი: მკენარა-ღონდლღაბი.

ამავე სახელწოდების კახური ჯიში მკაფიოდ განირჩევა იმერეთის მკენარასაგან. უმკველია ეს სახელწოდება იმიტომ მიიღო, რომ კახური მკენარას მსგავსად, დამწიფებული ყურძენი იოლად ქვდება.

მტევანი საშუალო სიდიდის, ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსური, ზედა კუფხლები ხშირად საკმაოდ უფითარდება; აგებულებით საშუალო სიკუმსის ან თხელია. მარცვალი საშუალო სისხოსი ან მომსხო, მომრგვალოა; ფერად მომწვანოა. ჩენჩო საკმაოდ უხეშია, ხორცი წვნიანია. მარცვალი შეიცავს 1—2 წიპწას. ყურძენი მოიწვევა სექტემბრის პირველ ნახევარში.

მკენარა მოსავლიან ჯიშად ითვლება და თხელ, მასობრივ ღვინოებს იძლევა. იგი უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება შუა იმერეთში. სოკოვან ზედამყოფობისადმი საკმაოდ მგრძობიარეა.

* აგრ. სერგ. ბოჭორიშვილს დიდ მადლობას მოვებხენებ კუნდაზე ზოგიერთი მასალის მოწოდებისათვის.



თეთრი კაპისტონი გვხვდება როგორც იმერეთში ისე რაჭვში. მისი წარმოშობისა იგი თუ იმერულისა ძნელი გადასაწყვეტია. რაჭვში კაპისტონის ყვავილი დედრობითი სქესისაა, აგრ. თ. კვარაცხელიას მიხედვით კი იმერული კაპისტონი ორსქესიანია (?).

ფოთოლი მომრგვალო, მეტ შემთხვევაში მთლიანი, იშვიათად 5 ნაკეთიანია, ამონაკეთები ზეზურია. ფირფიტა ქვედა მხრიდან შეზუსულია აბლაბუდის მსგავსი ბუსუსით. ახალგაზრდა ყლორტის წვეროები და განუვითარებელი ფოთლები შეზუსულია და ოდნავ მოწითალოა.

მტევანი საშუალო სიდიდის, საკმაოდ კუმსი, ცილინდრულ-კონუსური, ხშირად მზრიანია. მარცვალი საშუალო სიდიდის, მომრგვალო, მწვანე-მოყვითალოა. სიმწიფის დროს მარცვალზე შესამჩნევია ლაქები. მარცვლის ჩენჩო საკმაოდ თხელია. ხორცი წვნიანია. ყურძენი მოიწევა ოქტომბრის პირველ ნახევარში.

თეთრი კაპისტონი ზემო-იმერეთში რიგიან თეთრ სუფრის ღვინოს იძლევა.

თ ძ ვ ლ ა უ ა

მტევანი საშუალო სიდიდის ან მომცროა, მოყვანილობით მეტ შემთხვევაში ცილინდრულია და აგებულებით საკმაოდ კუმსია, ხშირად ზედა კუფხლები საკმაოდ უვითარდება. მარცვალი საშუალო სისხოსი, მომრგვალოა. სრული სიმწიფის დროს მოყვითალოა, საკმაოდ წვნიანია. ჩენჩო საკმაოდ სქელია; მარცვალი შეიცავს 2—3 წიპწას. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში.

თქვლაფა გვხვდება საჩხერის რაიონის ვენახებში ცალკეული ვაზების სახით. საკმაოდ მოსავლიან ჯიშად ითვლება. როგორც გადმოგვცემენ, ღვინოს უშინაარსოს იძლევა, ყურძენიც იოლად ღებება და შენახვის უნარიანობა სრულებით არა აქვს.

თ თ რ ი რ კ ო

მტევანი საშუალო სიდიდის, ცილინდრულ-კონუსური, ხშირად მზრიანი, საშუალო სიკუმსისაა. მტევნის ყუნწი მოკლეა, ზოგჯერ მეტად მოკლეა. მარცვალი მომსხო, მწვანე-მოყვითალოა, ოვალური მოყვანილობისაა. ჩენჩო სქელი, საკმაოდ უხეშია; ხორცი წვნიანია. მარცვალი შეიცავს 1—2 წიპწას. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში.

თეთრი რკო დედრობით სქესიანი ჯიშია.

იგი საკმაოდ მოსავლიან ჯიშად ითვლება და რიგიან სუფრის თეთრ ღვინოებს იძლევა. ცალკე ვაზები გვხვდება ზესტაფონის რაიონში. ზოგი მგვენაბის აზრით, ეს ჯიში რაჭიდან უნდა იყოს შეტანილი.



მტევანი საშუალო სიდიდის, მეტ შემთხვევაში კონუსური, მოყვანილობის, საშუალო სიკუმისაა. მარცვალი მომსხო (18—19 მმ.) ან ოვალურია, ღია-ქარვის ფერია და მზის მხარეზე ალისფრად ილანძება. ჩენჩო სქელი და უხეშია, ხორცი წვნიანია. მარცვალი ორ წიპწას შეიცავს. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში.

თავწითელას კულტურა გავრცელებულია ჩხარის რაიონში (თერჯოლა). რიგიან თეთრ სუფრის ღვინოს იძლევა, სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ დიდ გამძლეობას არ იჩენს, მოსავალიც არათანაბარი აქვს და, ამის გამო, მისი გავრცელების არე შედარებით შეზღუდულია. თავწითელა გამოსადეგია აგრეთვე როგორც ადგილობრივი მოხმარების სუფრის ყურძენი.

ხ ი თ ე რ ი

მტევანი საშუალო სისხოსი, ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობის, მზრიანი, საშუალო სიკუმისაა. მარცვალი საშუალო სისხოსი ან მომსხო, მრგვალი, მუჭ-ვარდისფერია; ჩენჩო თხელია, ხორცი წვნიანი. მარცვალი შეიცავს 2—3 წიპწას. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში.

ხითერი უხეშოსავლიან ჯიშად ითვლება, მაგრამ თხელ, ნაკლებ შინაარსიან ღვინოს იძლევა. ეს ჯიში საჩხერის რაიონში გვხვდება.

ს ა მ ა ზ რ ი

მტევანი საშუალო სიდიდის ან მომსხო, მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსური, აგებულიებით კუმისა. მარცვალი საშუალო სისხოსი, ოვალური მოყვანილობის, წითელია. ჩენჩო სქელი, ხორცი წვნიანია. მარცვალი შეიცავს 2—3 წიპწას.


სამაჰრეს ყურძენი სექტემბრის პირველ ნახევარში მწიფდება; იგი მოწითალო, ნაკლებ შინაარსიან ღვინოს იძლევა, რომელიც რთველის დროს მაჰარის სახით იხმარებოდა; აქედან წარმოსდგა ეს სახელწოდება. სამაჰრეს ცალკე ვაზები გვხვდება იმერეთის ყველა რაიონის ვენახებში.

ი მ ბ რ უ ლ ი წ ი თ ე ლ ა უ შ ა კ ი ნ ი ა ნ ი ვ ა ზ ი ს ჯ ი შ ე ბ ი

ო ა ს ხ ა ნ შ რ ი ს ა ზ მ ა კ ი

ზრდადამთავრებული ფოთოლი მომცროა (15×15 სმ.), მომრგვალო მოყვანილობის, სამ ან ხუთნაკეთიანია და ფირფიტა ქვედა მხრიდან შებუსულია ქეჩისებრი ბუსუსით. ზედა ამონაკეთები ზოგჯერ საკმაოდ ღრმა და ღიაა, ქვედა ამონაკეთები ზეზეურია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი განიერი, ღია, საკმაოდ ღრმა და ფუძე მახელია. ფოთლის ფირფიტის კბილანები საკმაოდ განიერი, ხერხისმაგვარია; ნაკეთის ბოლო კბილანები

საკმაოდ განიერი, გვერდებამოზნეკილი, წვეროვანი წაწვეტილებულია. ახალ
 გაზრდა ყლორტის წვეროები შებუსულია; უხვადაა შებუსული აგრეთვე
 ახალგაზრდა განუვითარებელი ფოთლები, მათი ფირფიტა მოწითალოა. ნიკოლოზი



სურ. 29. თებანური საფერე.

მტევანი მომცრო ან პატარა (10—11 სმ.), მოყვანილობით ცილინ-
 დრულ-კონუსური, ხშირად მხრიანი, საკმაოდ ვუსი. მტევნის ყუნწი მოკ-
 ლეა და ყურძნის დამწიფებისას ხევედება. მარცვლის ღერუკა მწვანე, სა-
 შუალო სიგრძისა (5 მმ.); ბალიში დამწიფებულია. მარცვალი მომცროა

(12—13 მმ.), მომრგვალო, შავია და შეფენილია ვიტინით. მტევანში მარცვლები თანაბარი სისხოსი არ არიან; ნორმალურად განვითარებული მარცვლების გვერდით გვხვდება წვრილი, პართენოკარპული მარცვლები და აგრეთვე მწვანე, მოგვიანებით განვითარებული მარცვლები, რაც ამ ჯიშის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. რთელის დროს ასეთი მარცვლების გამოურჩევლობა მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ღვინის ხარისხზე. ოცხანური საფერე თუმცა ორსქესიანი ჯიშია, მაგრამ როგორც აგრ. ვ. ლოლიძის დაკვირვებიდან ჩანს¹, ყვავილობის დროს ჩაი ყვავილს ძნელად სცილდება და ამის შედეგად განაყოფიერებაც ანორმალურად მიმდინარეობს; უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ჯიშის ყვავილებს კლემისტოგამიური მოვლენები არ უნდა ჰქონდეთ. მარცვალი შეიცავს 1—2 წიპწას. ურტენი მწიფდება ოქტომბრის მეორე ნახევარში.

ოცხანური საფერე რიგიან წითელ ღვინოს იძლევა, მაგრამ ნაკლებ მოსავლიანი ჯიშია; ხორცი თუმცა შეფერილი არაა, მაგრამ კარგად დაფერილი ღვინო დგება. მის ჩენჩოში უხვად მოიპოება საღებავი პიგმენტი; ამიტომ ოცხანური საფერის ქაქა ნაკლებ დაფერილი წითელი და თეთრი ტებილის შესაფერად იხმარება. ამ ჯიშის კულტურა საქმად გავრცელებულია შუა იმერეთში. მას აძლევენ მალალ შტამპს, ჯამისებრ ფორმას და მოკლედ სხლავენ.

ბ რ მ მ ე თ უ ლ ი ს ა წ ე რ ე

სინონიმი: კობახიძის საფერე, არგვეთულა.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის (16×16 სმ.), მომრგვალო მოყვანილობის, ნაკლებად დანაკეთილია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე შებუსებულია ქერისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღია, ფუძემახვილია. ახალგაზრდა ყლორტის წვეროების ფოთლები საკმაო შებუსებით ხასიათდებიან.

მტევანი საშუალო სიდიდის (15—16 სმ.), ცილინდრული მოყვანილობის, ხშირად მხრიანი, საკმაოდ მეჩხერია. მარცვლის ღერუკა გრძელია და მწვანე, ბალიში დამეკეპებულია. მარცვალი საშუალო სისხოსი (15—16 მმ.), მომრგვალო-ოვალური მოყვანილობის, შავია და უხვად შეფენილია ვიტინით. ჩენჩო სქელია და ხორცი წვნიანი. მარცვალი შეიცავს 1—2 წიპწას. ურტენი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში.

არგვეთული საფერე საკმაოდ მოსავლიან ჯიშად ითვლება, საშუალო სიმარის, მაგრამ უშინაარსო წითელ ღვინოებს იძლევა. გვხვდება ძირითადად ზესტაფონის რაიონში, მეტ შემთხვევაში ნარევი ვაშების საბით. არგვეთული საფერე ადგილობრივი ჯიშია არ უნდა იყოს.

¹ სადიბლომო შრომა, წარმოდგენილი 1935 წ.



სინონიმი: მაჩანაური საფერე.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის (17×17 სმ.), მომრგვალო მოყვანილობის, ხუთნაკეთიანია. ნაკეთები ღრმა არაა. ფოთლის ფირფიტის კბილანები საკმაოდ განიერგვერდებანია, ხერხისებრია; ნაკეთების ბოლო კბილანები ფუჭეგანიერი, ბოლოწაწვეტებულია. ახალგაზრდა ყლორტების წვეროები და განუვითარებელი ფოთლები უხვადაა შებუსუსი და ღია მოწითალოა.

ყვავილი მდედრობითი სქესისაა.

მტევანი ცილინდრულ-კონუსური, მზრიანი, საშუალო სიდიდის (სიგრძით 14—16 სმ., სიგანით 9—10 სმ.), ხშირად საკმაოდ მენხერია. მარცვლის ღერუჯა მოწითალოა, ბალიში დამეჭუჭუბული, საკმაოდ გრძელია (6—7 მმ.). მარცვალი საშუალო სიდიდის, მომრგვალო მოყვანილობის, შავია და უხვადაა დაფენილი ვიტინით. ჩენჩო სქელი და უხეშია. მარცვალი წვნიანია, შეიცავს 2—3 წიპწას. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში.

მაჩანაური ითვლება საკმაოდ მოსავლიან და გამოსავლიან ჯიშად. ღვინო თუმცა ნაკლებ დაფერილი და ნაკლებ სხეულიანია, მაგრამ საკმაოდ რიგიანი ღირსებისა დგება. ვაზი სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ საკმაოდ გამძლეობას იჩენს. ეს ჯიში საკმაოდ გავრცელებულია ზემო იმერეთში, ძირითადად კი საჩხერის რაიონში.

მ ა ლ ო ზ ლ ი უ ვ ი ლ ი

სინონიმი: მვალობლიშვილისეული.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის (17—17 სმ.), მომრგვალო მოყვანილობის, მეტ შემთხვევაში სამნაკეთიანია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე ოდნავ მობრჭყვიალოა. ჰვედა მარიდან შებუსუსლია ქეჩისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღია, ბრტყელი, ზოგჯერ ფუჭემახვილია. ფოთლის ფირფიტის კბილანები განიერი და მომრგვალო მოყვანილობისაა. ამონაკვეთის კბილანები გვერდებგანიერი. ფოთლის ფირფიტის მთავარი ძარღვები წითელია. ყლორტის წვეროები და ახალგაზრდა განუვითარებელი ფოთლები უხვადაა შებუსუსი მონაცრისფრო ბუსუსით.

მტევანი საშუალო სიდიდის ან მომსხოა, სიგრძით (16—18 სმ. და სიგანით 8—10 სმ.). მოყვანილობით ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსური, საშუალო სიკუმისი, ზოგჯერ კუმსია. მარცვალი საშუალო სიდიდის (15—16 მმ.), ზოგჯერ მომსხოა, მომრგვალო, მუქწითელია და უხვადაა შეფენილი ვიტინით. ჩენჩო თხელია, მარცვალი საკმაოდ წვნიანია და შეიცავს 1—2 წიპწას. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში.

შგალობლიშვილი ითვლება უხემოსაეოლიან ჯიშად. საკმაოდ სასიამოვნო, მაგრამ ნაკლებდაფერილ და ნაკლებხეულიან ღვინოს იძლევა. მგალობლიშვილის კულტურა გავრცელებულია ბაღდადის და ზნესტაფონის რაიონებში და ალაგ-ალაგ საკმაო ფართობი უკავია. ეს ჯიში ევროპული წარმოშობისა უნდა იყოს.

ძელშავი (ძველშავი)

ძელშავი საკმაოდ გავრცელებულია ზესტაფონის, ორჯონიკიძის და ბაღდადის რაიონებში. საკუთრივ ძელშავით ნარგავი ვენახები შედარებით იშვიათად გვხვდება, მეტ შემთხვევაში იგი სხვა ჯიშებთან არის შეთავსებული. ძელშავის ცალკეული ვახები გვხვდება საქართველოს მევენახეობის სხვა რაიონებშიც.


ძელშავის ვაზი შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: ზრდა საშუალო, პაბიტუსით საკმაოდ გაფარჩხულია.

ფოთოლი მომრგვალო, ოდნავ ოვალურია, სიგრძით აღწევს 19 სანტ., სიგანით 17,5 სანტ., მოყვანილობით ძაბრისებრია. ფოთლის ფირფიტა 5, იშვიათად 3 ნაკვთიანია; ამონაკვთები საშუალო სიღრმისაა, ამონაკვთის ფუძე—ვიწროთაღისებრია, ამონაკვთის მოხაზულობა ღირისებრია, ზოგჯერ ვიწრო ნაპრალისებრია; ამონაკვთების ბოლოები ერთმანეთს უახლოვდებიან და ხშირად ერთიმეორეზე გადადიან. ქვედა ამონაკვთები ფირფიტაში მცირე სიღრმეზე იჭრებიან და ფუძე მორგვალეული აქვთ. ფოთლის ყუნწის ამონაკვთი ღირისებრია და ფუძე თაღისებრი. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე შებუსულია ქეჩისებრი ბუსუსით. ფოთლის ფირფიტის პერიფერია დაკბილულია საკმაოდ განიერი სამკუთხედისებრი კბილანებით; ნაკვთების წვეროები ვიწრო სამკუთხისმაგვარი, წაგრძელებულკბილანია. ფოთლის ნერვაცია მწვანე ფერისაა. ფოთლის ყუნწი საკმაოდ გრძელია და თითქმის ძარღვის თანატოლია. ახალგაზრდა ყლორტის წვეროები საკმაოდ უხვადაა შებუსული მონაცრისფრო ბუსუსით. ყლორტი მოვარდისფროა.

ყვავილი ორსქესიანია, ცალკეულ ყვავილელებში გვხვდება ნაკლებად განვითარებული ყვავილები.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, უფრო იშვიათად გვხვდება კონუსური და ფრთიანიც; აგებულია საკმაოდ კუმსია. მტევნის ყუნწის სიგრძე საშუალოდ 4 სმ. ფარგლებში მერყეობს. მარცვლის ღერუკა მწვანეა. ბალიშზე შესამჩნევია მიტუქები. ღერუკა მარცვალთან საკმაოდ მტკიცეა და მიმაგრებული. მარცვალი მოყვანილობით თითქმის მრგვალია, შავია და უხვადაა შეფენილი ვიტინით. მარცვალი საშუალო სისხოსია, იშვიათად მომსხოა. მარცვლის კანი საშუალო სისქისაა, საღებავ პიგმენტს ნაკლებად შეიცავს. საშუალო სისხოს მტევანში 110—120 მარცვალია. მარცვალი შეიცავს 2—3 შედარებით წვრილ წიპწას.

ძელშავის ყურძენი მწიფდება სექტემბრის პირველ ნახევარში.
 ძელშავის ყურძნიდან ნაკლებად დაფერილი და ნაკლებსხეულრანი
 წითელი ღვინო დგება. მისი „თეთრად დაწურული“ წვენი ნაწარმობაში



სურ. 30. ძელშავი.

შამპანური ტიპის ღვინის დასამზადებლად იხმარებოდა, მაგრამ ზედმეტი
 სიტლანქის გამო მაოლოდ გარკვეულ $\frac{9}{10}$ -ს იღებენ; ამჟამად შამპანურის
 წარმოებისთვის სხვა ჯიშებს ამჯობინებენ.

ვაზი საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა; თითოეულ რქაზე თვითარებას 2 და ზოგჯერ 3 მტევანსაც. წვენიც გამოსავალი, სხვა იმერულ ჯიშებთან შედარებით, ძელშავის ყურძენს საკმაოდ უხვი აქვს. ნაცრისადმი საკმაოდ გამძლეობით ხასიათდება. კარგად ეგუება ჯამისებრივ (იმერულ) ფორმას და ამ შემთხვევაში საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა.

ს ა მ ზ ა ზ ა

ზრდამოთავებელი ფოთოლი საშუალო სიდიდის, ოდნავ განიერი, 3—5 ნაკეთიანი, მკაფიოდ ასიმეტრულია. ამონაკეობები ზეზეურია, ზოგჯერ ზედა ამონაკეობები საშუალო სიღრმეს აღწევენ. ფოთლის ყუნწის ამონაკეობით ფუძე მომრგვალებული და დახურულია. კბილანები საკმაოდ განიერი, წვერო წაწვეტებულია. ახალგაზრდა ფოთლების წვეროები და განუვითარებელი ფოთლები უხვადაა შებუსუსლი და ოდნავ მოწითალოა.

მტევანი საშუალო სიდიდის ან მომცრო (სიგრძით 12—15 სმ. და სიგანით 9—10 სმ.), აგებულივით საკმაოდ კუთხი, ზოგჯერ დატოტვილია. მარცვლი შავია, საშუალო სისხოსი (16—17 მმ.), მომრგვალო მოყვანილობისა; ჩენჩო სქელი და უხეშია, უხვადაა დაფენილი ვიტინით. მარცვლი ღერუკასთან მტკიცედ არ არის მიმაგრებული და ზოგჯერ ჭარი აზიანებს. მარცვლი ორ საკმაოდ მომსხო წიპწას შეიცავს. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში. სამკვავო მოსავლიან ჯიშად ითვლება, თუმცა ნაკლებ გამოსავლიანია. ამ ჯიშის ნარგავები გვხვდება ქვემო და შუა იმერეთში. ნაკლებ დაფერილ, მაგრამ რიკიან სუფრის ღვინოს იძლევა.

ა ღ ა ნ ა ხ უ რ ი

სინონიმი: მალარი.

ზრდამოთავებელი ფოთოლი საკმაოდ დიდი, მომრგვალო მოყვანილობის, ხუთნაკეთიანია. ამონაკეობები საკმაოდ ღრმად შეჭრილია, ზოგჯერ გვხვდება მთლიანი ფოთოლიც. ფოთლის ყუნწის ამონაკეობით ღია, ფუძემომრგვალებულია. კბილანები საკმაოდ განიერი, სამკუთხედისებრი მოყვანილობისა. ახალგაზრდა ყლორტის წვეროები და განუვითარებელი ფოთლები უხვადაა შებუსუსლი და ღია მოწითალოა.

მტევანი მომცროა, მოყვანილობით ცილინდრული ან ცილინდრულკონუსური, აგებულივით საკმაოდ მეჩხერია. მარცვლის ღერუკა მწვანეა და სიგრძით 7—8 მმ. აღწევს. მარცვლი საშუალო სიდიდის, მომრგვალო მოყვანილობის, მუქ-წითელია და უხვადაა დაფენილი ვიტინით. მარცვლის კანი სქელია; ზორცი წვნიანია; მარცვლი შეიცავს 2—3 წიპწას. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის მეორე ნახევარში.

ადანასური მზატე წითელ სუფრის ღვინოს იძლევა და საშუალო მოსავლიან ჯიშად ითვლება. ეს ჯიში იმერეთში გავრცელებული იყო მალარიის სახით; ახლა გვხვდება მხოლოდ ცალკე ვაზები, რაც უნდა მიეწეროს ამ ჯიშის ნაკლებ გამძლეობას სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ.



ზრდადამთავრებული ფოთოლი მომცრო, მომრგვალო მოყვანილობისა და მთლიანია. ფოთლები იმდენად მუქ-მწვანეა, რომ მოწარცხებულია. ეს სახელწოდებაც ამიტომ მიიღო. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღიაა და ფუძე მორგვალეა. კბილანები განიერი, ბლაგვწვეროვანია.

მტევანი მომცრო, კონუსური ან ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობის, საკმაოდ კუმსია. მარცვლი საშუალო სისხოსი ან მომცრო, ოვალური მოყვანილობისაა, შავია და უხვადაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის კანი სქელია, ხორცი წვნიანია, შეიცავს 2—3 წიპწას. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის შუა რიცხვებში.

შავბარდა გვხვდება ქვემო იმერეთში. საკმაოდ მზატე, მაგრამ რიგიან წითელ ღვინოს იძლევა. სოკოვან ავადმყოფობისადმი საკმაოდ მკრძნობიარეა და ამეცმად ამ ჯიშს მასობრივად არ ამრავლებენ.

მ ხ ბ მ უ რ ა

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის, მომრგვალო-ოვალური მოყვანილობის, ხუთნაკეთიანია. ამონაკვეთები საკმაოდ ღრმია; ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღია, ფუძემომრგვალეა.

მტევანი მომცრო ან საშუალო სიდიდის, ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობის, საშუალო სიკუმსისაა. მარცვლი საშუალო სიდიდის, ოვალური მოყვანილობისა და შავია. უხვადაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის ჩენჩო საკმაოდ სქელია. მარცვლის ხორცი მკვრივი, ნაკლებწვნიანია. მარცვლი შეიცავს 1—2 წიპწას, ყურძენი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში.

ოხტოურა გვხვდება ზემო იმერეთის ვენახებში (ტყიბულის რაიონი); საშუალომოსავლიან, მაგრამ ნაკლებ გამოსავლიან ვაზის ჯიშად ითვლება.

ქ ვ ე ლ მ უ რ ი

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის, მომრგვალო მოყვანილობის, ხუთნაკეთიანია. ამონაკვეთები საკმაოდ ღრმად შეჭრილია. ფორფიტის ქვედა მხარე უხვადაა შებუსუსული ქეჩისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი დახურულია.

მტევანი თითქმის საშუალო სიდიდის, ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობის, ძალიან კუმსია. მარცვლის ღერუჯა მწვანეა, დამეჭიჭებულია, სიგრძით 5—6 მმ. უდრის. მარცვლი საშუალო სიდიდის, ოდნავ ოვალური მოყვანილობის, ბოლომომრგვალეა, შავია და უხვადაა დაფარული ვიტინით. ჩენჩო სქელია, ხორცი წვნიანი. მარცვლი შეიცავს 1—3 წიპწას. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის მეორე ნახევარში.

ქველოურის ვაზები გვხვდება ორჯონიკიძის და საჩხერის რაიონში ნაკლებგამოსავლიან ჯიშად ითვლება და ნაკლებსხივულიან მომწიპოვებულ ღვინოს იძლევა. სოკოვან ავადმყოფობისადმი საკმაოდ მგრძობიარეა. ხსენებულ წითელ ჯიშებს გარდა იმერეთის ვენახებში ტრადიციულად ვაზების სახით გაბნეულია სხვა ადგილობრივი წითელი ჯიშებიც, მაგ. ძიგანოური, მელანისეური, ჭანკილოური, მამუკას საფერე და სხ., მაგრამ არც ხარისხით და არც მოსავლიანობით ეს ჯიშები დიდ ღირებულებას არ წარმოადგენენ და მომავალში მათი მოშენება არაფრით არ გამართლდება.

რაჭა-ლეჩხუმური ვაზის ჯიშები

რაჭა-ლეჩხუმის ვენახებში მრავალი ვაზის ჯიშში გვხვდება. ზოგი ადგილობრივი წარმოშობისაა და რაჭის გარდა არსად არ გვხვდება, ზოგი საქართველოს სხვა რაიონებიდან არის შეტანილი, ზოგი კი უცხოური წარმოშობისაა. მიუხედავად ჯიშთა ასეთი სხვაობისა, ყველა მათგანი ადგილობრივი სახელებით არის გადანათლული. რადგან მათი შემოტანის შემდეგ ხანგრძლივმა დრომ გაიარა და შემოტანილმა ჯიშებმა ადგილობრივი ეკოლოგიური პირობების ზეგავლენით საკმაო მოდიფიკაცია განიცადეს, მით უფრო ძნელდება მათი აღნიშვნა ადგილზე.

რაჭაში გვხვდება მევენახეობის მიკრორაიონები (ჭრებალო), სადაც მხოლოდ მცირერიცხოვან, კარგად შერჩეულ ვაზის ჯიშების კულტურას ეწევიან; გვხვდება აგრეთვე ისეთი მიკრორაიონებიც (ამბროლაური), სადაც ვენახები მრავალრიცხოვანი ჯიშებისგან შედგება.

მიუხედავად ჯიშთა სიმრავლისა, წამყვანი ადგილი ჯიშების მცირე რაოდენობას ეკუთვნის. დანარჩენი ჯიშები კი ნაკლები რაოდენობით, ნარევის სახით გვხვდება.

რაჭის და ლეჩხუმის ზოგიერთი მიკრორაიონი ღირსშესანიშნავ ყურძნის პროდუქციას იძლევა. გარდა ამისა, თუ მხედველობაში მივიღებთ რაჭის მდებარეობას, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოსადეგ ნაკვეთების რელიეფს, ექსპოზიციას და სხ., საქართველოს ამ ნაწილში უძველესი მევენახეობა შემდეგშია ცითამაშებს მეტად მნიშვნელოვან როლს.

ქვემოთ აღვწერთ რაჭა-ლეჩხუმის ვენახებში გავრცელებულ იმ ჯიშებს, რომელნიც მევენახეობის სხვა რაიონებში არ გვხვდება. რაჭაში არსებულ ქართლური, კახური და იმერული ჯიშების აღწერას აღარ ვიმეორებთ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს რაჭის ვენახებში წამყვანი ადგილი უკავია, ასე მაგალითად, ჯიშ გორულა მწვანეს, რაჭაში გადანათლულს „თბილურას“, „სადმელური-მწვანის“, „სურამულას“ და სხ. სახელწოდებით, ამბროლაურის რაიონში თითქმის წამყვანი ადგილი უკავია.

ზრდადამთავრებული ფოთოლი მოგანიერო, ზოგჯერ მთლიანად მუცხვანაა. ზეთნაკეთიანია. ზედა ამონაკეთები ზოგჯერ საშუალო ან ზეზეურია, ფუძე მახვილი, ელიპსური ან მომრგვალო ნაპრალეზიანია. ქვედა ამონაკეთები



სურ. 31. მცვივანი (რაჭული).

ზეზეურია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ღიაა, ფუძე მომრგვალებული ან თალისებრია. ნაკეთების ბოლო კბილანები განიერ-გვერდებიანი, სამკუთხედისებრი, წვერწაწვეტებულია. ფოთლის ფირფიტა ქვედა მხრიდან შე-

ბუსულია თხელი ქეჩისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის თითქმის თანატოლია და შებუსულია მოკლე ჯაგრისებრი ბუსუსით.

ყვავილი დედრობითი სქესისაა—ჩაჩის მოვარდნის უმაღლესი მტკვარებში იკავებიან.

ბიზნესი

მტევანი მოყვანილობით კონუსური, ხშირად დატოტვილია, მომცროა (12—14 სმ.), იშვიათად საშუალო სისხოსი ან მომსხოა, აგებულებით საშუალო სიკუმსის ან მეჩხერია. მტევნის ყუნწი ბალახმაგვარია—არ ხევედება. მარცვლის ღერუკა მწვანე-მოყვითალოა, სიგრძით 6 მმ. აღწევს; ბალიში შემეჭვივებულია, მარცვალი საშუალო სიდიდის ან მომცროა (13—14 მმ.), მოყვანილობით ოდნავ ოვალურია. ჩენჩო თხელი, ყვითელ-მომწვანო, მზის მხარეზე ოდნავ აღანძულია. ხორცი წვნიანია; შეიცავს 1—4 წიბწას, უფრო ხშირად ორს. ზემო რაკის პირობებში ყურძენი მწიფდება სექტემბრის მეორე ნახევარში.

მცვივანი გავრცელებულია ონის რაიონში. საკმაოდ მსხმოიარე და გამოსავლიანი ჯიშია, მაგრამ მტევნის ხშირი სიმეტრის გამო დიდმოსავლიან ჯიშად არ ითვლება.

ზემო რაკის საუკეთესო თეთრ ღვინოებს მცვივანისაგან იღებენ. ღვინო ხალისიანი, ცქრიალა და არომატულ (სურნელოვანი) დგება. ვფიქრობთ, შამპანურ წარმოებაში რაქული მცვივანი მეტად საპატიო ადგილს დაიკავებს—ყველა მაჩვენებელი ამ მოსაზრებას საკმაოდ ადასტურებს.

ამ ჯიშის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ყვავილების დედრობით-სქესიანობა. დასაშვებია, რომ ამ ჯიშის ვეგეტატური სელექციის ჩატარების შედეგად გამოირჩევა კლონები, რომლებშიც ეს უარყოფითი თავისებურება შემცირებული ან აცილებული იქნება.

კახურ და იმერულ მცვივანს რაქულ მცვივანთან საერთო მხოლოდ სახელწოდება აქვს, თუმცა ყველა მათ მარცვლის ცვენა ახასიათებს, პირველებს—ყურძენის სრული სიმწიფის დროს, უკანასკნელს კი დაყვავილების შემდეგ.

მ წ მ ა ნ ე (რაქული)

ზრდადამთავრებული ფოთოლი მოგანიერო, ხუთნაკეთიანია; ამონაკეთები საშუალო სიღრმის, იშვიათად ღრმაა. ზედა ამონაკეთები ზეზეური ან საშუალო სიღრმისაა, ქვედა ამონაკეთები ზეზეურია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ღია, ფუქემომრგვალებული, ან მახელილფუძიანია. ამონაკეთში ხშირად დეზი ვითარდება. ნაკეთების ბოლო კბილანები მეტ შემთხვევაში ბოლომომრგვალებული, სამკუთხედისებრია. ფოთლის ფირფიტა ქვედა მხრიდან შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით, რომელიც ზოგჯერ ქეჩისებრ შებუსვის ხასიათს ატარებს. ფოთლის ყუნწი შეფერილია და შეფენილია აბლაბუდისებრი ბუსუსით.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი საშუალო სიდიდის (13—14 სმ.), მოყვანილობით კონუსური ან ცილინდრულ-კონუსური, ზოგჯერ მხრიანია, საშუალო სიკუმისი ან კუმისია. მტევნის ყუნწი რქასთან ხევედება. მარცვლი საშუალო (11—12 სმ.) მტვად მსხვილი კი 18 მმ.), მომრგვალო მოყვანილობის, ფერად-მწვანე მარცვლის ლერჯა მწვანეა, ბალიში დამეტეტებული, კონუსურია. მარცვლი ლერჯასთან მტკაცედ არის დაკავშირებული. ჩენჩო თხელია, მაგრამ მკვრივი. ხორცი მკვრივია, ნაკლებ წვნიანი, შეიცავს 1—2 წიპწას. წიპწა ხორცს ძნელად სცილდება. ყურძენი ზემო რაქის პირობებში ოქტომბრის პირველ ნახევარში მწიფდება.

რაქული მწვანე საკმაოდ განსხვავდება კახური და იმერული მწვანისაგან; შეიძლება ეს განსხვავება მოდიფიკაციის შედეგი იყოს. ეს ჯიში ფართოდაა გავრცელებული ზემო რაქის როგორც ძველ, ისე ახალ ვენახებში; საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა; მისი ღვინო ხარისხოვან ღვინოდ ითვლება და დაძველებისას სასიამოვნო არომატს ივითარებს.

წულუკიძის თეთრა

ზრდადამთავრებული ფოთოლი მოგრძო მოყვანილობისაა, იშვიათად მომრგვალო, საშუალოდ დანაკეთილი, 3—5 ნაკეთიანი. ზედა ამონაკეთები საშუალო ან ზეზეურია; ქვედა ამონაკეთები ზეზეურია, ნაკლებ გამოხატულია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ფუძემიხვილია, ზოგჯერ ღია და ზოგჯერ დახურულია. ნაკეთების ბოლო კბილანები სამკუთხისებრ სწორკვერდიანი, წვეროწაწვეტებულია. გვერდითი კბილანები ბერბისებრი, ცალმხრივგამობერილია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე გლუვია, თუმცა მთავარი ძარღვები დაფენილია მოკლე ხაისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი მოწითალოა და მთავარი ძარღვის თანატოლია.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი საშუალო სიდიდისაა (14—15 სმ., მტვად დიდი კი 17 სმ.), ჩვეულებრივ კონუსური, იშვიათად ცილინდრულ-კონუსურია, ზოგჯერ მხრები უვითარდება. მარცვლის ყუნწი ბალახისებრია და ბუხლთან ადვილად ტყდება. მარცვლი საშუალო სისხოსია (15—16 მმ., მტვად მსხვილი 19 მმ.), ოვალური მოყვანილობის, სრული სიმწიფის დროს ყვითელ-მომწვანოა. მარცვლის ლერჯა ყვითელ-მომწვანოა, გრძელია, ზოგჯერ კი საკმაოდ გრძელია (10—14 მმ.). ჩენჩო თხელი, უხვადაა დაფენილი ვიტინით-ხორცი წვნიანი, მტვად ტკბილი, შეიცავს 1—2 წიპწას. ყურძენი მწიფდება სექტემბრის პირველ ნახევარში.

წულუკიძის თეთრა ფართოდ არის გავრცელებული ქვემო რაქაში და მისი ნარგავების ფართობი მხოლოდ ალექსანდროულის და თბილურის (გორული მწვანე) ფართობებს ჩამოუვარდება. რაქის და ლეჩხუმის დანარჩენ რაიონებში კი იგი მხოლოდ ცალკე ვაზების საბით გვხვდება. მოსავლიანი ჯიშია და იძლევა საკმაოდ მაგარხარისხოვან, თეთრ სუფრის

ღვინოებს. წულუკიძის თეთრა რაჭული ჯიში არ უნდა იყოს და რაჭაში მის დამკვიდრებას დიდი ხნის ისტორია არ უნდა ჰქონდეს. იგი ევროპულ ჯიშ *Albilo castelano*-ს მოგვაგონებს, მაგრამ დანამდვილებით ამის მსგავსი ტეზა ნაადრევად მიგვაჩნია.

ცხვედიანის თეთრა

ზრდადამთავრებული ფოთოლი მოგანიერო ან მომრგვალოა. ფოთლის დანაკვეთა მეტად ცვალებადია როგორც სიღრმით, ისე მოყვანილობით. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე შებუსუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მოკლეა და მოწითალოა.

ყვავილი ორსქესიანია, ბუტკო მეტად გრძელია.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრული, იშვიათად ცილინდრულ-კონუსური, ხშირად მხრიაანია. აგებულებით საშუალო სიკუმსის ან საკმაოდ კუმსია, მომტრო (12—13 სმ.) ან საშუალო სიდიდისა (16 სმ.). მტევნის ყუნწი ბალახისებრია. მარცვლი საშუალო სიდიდისა—14—15 მმ. და მეტად მსხვილია—17 მმ., მომრგვალო მოყვანილობის, ზოგჯერ ოვალურია. სრული სიმწიფის დროს ყვითელ-ვომწვანოა და უხვადაა დაფენილი ვიტინით. მარცვლის ლერუკა მწვანეა და საკმაოდ გრძელია (5,0—8,4 მმ.). მარცვლი სუსტადაა დაკავშირებული ლერუკასთან. ჩენჩო თხელია, ხორცი წვნიანია, შეიცავს 1—4, უფრო ხშირად 2—3 წიპწას. ყურძენი მწიფდება სექტემბრის მეორე ნახევარში.

ცხვედიანის იეთრა მაღლარის სახით სოფელ ორბელში (ლენხუმი) გვხვდება. იძლევა ხარისხოვან თეთრ ღვინოებს და უხვმოსავლიან ჯიშად ითვლება. მის ყურძენს შექქნობის უნარი აქვს. ჭრაქით შედარებით ნაკლებ ზიანდება. ცხვედიანის თეთრა, ისევე როგორც წულუკიძის თეთრა, უცხოეთიდან შემოტანილი ჯიში უნდა იყოს, ხოლო მისი წარმოშობის—სადაურობის საკითხი და ამ ჯიშის ნამდვილი სახელწოდება გამორკვეული არ არის.

კ უ დ უ რ ა ბ უ ლ ი

სინონიმი: ჩიღვინაური.

ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალოა და საკმაოდ ღრმად დანაკვეთილია. ზედა ამონაკვეთები ღრმა და დაბურთულია, ქვედა ამონაკვეთები კი საკმაოდ ღრმა, ფუძემობრტყოა. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი საკმაოდ ღრმაა, ფუძემობრტყოა. ნაკვეთების ბოლო კბილანები გვერდებ-გავანიერებული, სამკუთხედისებრი, წვეროწაგრძელებული ან მომრგვალებულია. გვერდითი კბილანები გვერდებგავანიერებული, წვეროწაგრძელებულია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე შებუსუსულია ქეჩისებრი ბუსუსით. ყვავილი ორსქესიანია.



მტევანი სიდიდით მომცრო (10—12 სმ.), მოყვანილობით ცილინ-
დრულია, თუმცა ხშირად სხვა ფორმასაც ვხვდებით. აგებულებით საშუა-
ლო სიკუმსის ან საკმაოდ კუმსია. მარცვალი თითქმის საშუალო სიღრმის
(13—15 მმ., მეტად მსხვილი 17 მმ.), მომრგვალოა. ყურძენი სრული სიმ-
წიფის დროს ყვითელ-მომწვანოა და უხედაა შეფენილი ვიტინით. მარ-
ცვლის ღერუკა მწვანეა და დამტკეპებულია. ჩენჩო თხელია. ხორცი
წვნიანია, შეიცავს 2—4 წიპწას, ხშირად 4 ცალს. ყურძენი მწიფდება
სექტემბერში.

კულტურული გვებდება ცალკეული ვაზების სახით რაქის ყველა სოფ-
ლის ვენახებში. საშუალო მოსავალს იძლევა და ხარისხოვან ღვინის მომ-
ცემ ჯიშად ითვლება. გადამწიფების დროს ყურძენი ქეჩება, მაგრამ თუ
აშინდი წვიმიანი დადგა, მარცვლის კანი სკდება და ყურძენი ღვინოს
იწყებს. რაქველი მევენახენი კულტურულს ემადლიერებიან და ხალისიანად
ამრავლებენ. ჭრაქისადმი საკმაო გამძლეობას იჩენს.

მ ა ლ ო ჯ ა

ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალო მოყვანილობის ან ოდნავ
განიერია. ფირფიტა ხშირად მთლიანია, გვხვდება სამ და ხუთნაკეთიანი
ფოთოლიც. ზედა ამონაკეთები დახურულია, ქვედა ამონაკეთები ზეზეუ-
რია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთები მეტ შემთხვევაში დახურულია. ნაკეთე-
ბის ბოლო კბილანები ვიწრო სამკუთხისებრი, წვეროწაწვეტებულია. გვერ-
დითი კბილანები ცალმხრივგამობერილი, ხერხისებრია. ფოთლის ფირფი-
ტის ქვედა მხარე დაფენილია თხელი ქეჩისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი
ლია-მოწითალოა და შეფენილია აბლაბუდისებრი ბუსუსით.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი საშუალო სიდიდის, მოყვანილობით კონუსური, ზოგჯერ და-
ტოტეილია, აგებულებით საშუალო სიკუმსის, ზოგჯერ თხელია. მტევნის
ყუნწი ბალახისებრია. მარცვალი საშუალო სისხოსი, ოვალური მოყვანილო-
ბისაა, სრული სიმწიფის დროს ყვითელ-მომწვანოა. მარცვლის ღერუკა
მწვანეა, საკმაოდ გრძელი (4,9—8,8 მმ.) და დამტკეპებულია. ჩენჩო უხედა;
ხორცი მკვრივი, მაგრამ საკმაოდ წვნიანია, შეიცავს 1—4 წიპწას, უფრო
ხშირად ორს. ყურძენი მწიფდება სექტემბრის ვასულს.

მალოზა გვხვდება მაღლარის სახით ორბელში და ლაჯანაში (ლენ-
ხუმი); უხედაა თხელიანი ჯიშია, საშუალო ხარისხის ღვინოს იძლევა. ეს ჯიში
უცხოეთიდან უნდა იყოს შემოტანილი, — თითქმის იტალიური ჯიში მალო-
ვაზია უნდა იყოს, მაგრამ ეს მოსაზრება ჯერ კიდევ დასაბუთებას მოი-
თხოვს.

კველი თითკა

ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალო მოყვანილობისაა, ნაკლებ-
დანაკეთილი, თითქმის მთლიანია. ამონაკეთები ოდნავ შესამჩევია. ფოთ-



ლის ყუნწის ამონაკვეთი ფუძემომრგვალებულია, ზოგჯერ მახვილფუძია
 ნია. ამონაკვეთების ბოლო კბილანები სამკუთხისებრი მოყვანილობის, გვერდ-
 დებგამოპერილი, წვერომომრგვალებულია. გვერდითი კბილანები, ქვედა-
 სებრი, ცალმხრივ გამოპერილი და წვეროწაწვეტებულია. ფოთლის ფირ-
 ფიტის ქვედა მხარე თხელი ქეჩისებრი ბუსუსითაა შეფენილი. ფოთლის
 ყუნწი მთავარ ძარღვზე გაცილებით მოკლეა, მოწითალოა და დაფენილია
 მოკლე ჯაგრისებრი ბუსუსით.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი საშუალო სიდიდის, ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუს-
 სურია. აგებულებით კუმსი ან მეტად კუმსია. მარცვალი საშუალო სიდი-
 დის, მომრგვალო მოყვანილობისაა და ხშირად დეფორმირებულია მტევნის
 სიკუმსის გამო; სრული სიმწიფის დროს ოდნავ მომწვანოა და უხვადაა
 დაფენილი ვიტინით. ჩენჩო თხელი; ხორცი მკვრივი, მაგრამ წვნიანია,
 შეიცავს 1—3 წიბწას, უფრო ხშირად ორს. მწიფდება სექტემბრის მეორე
 ნახევარში.

ძველ თეთრას ვაზები გვხვდება მალღარის და დაბლარის სახით კრე-
 ბალოში, ჭყვიში, პატარა ონში. მოსაველიანი ჯიშია და ხარისხოვან თეთრ
 ღვინოებს იძლევა; კრაქისა და ფილოქსერისადმი საკმაო გამძლეობას
 იჩენს.

ალაბუზრი თეთრი

სინონიმი: ბერაულა, მარაბეული.

ზრდადამთავრებული ფოთოლი მოგანივრო, მთლიანი, იშვიათად სამ-
 ნაკვთიანია; ნაკვთები ზეზეურია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი დახურული
 ან ღია, ფუძემომრგვალებულია. ამონაკვეთების ბოლო კბილანები გვერდი-
 თი კბილანების თითქმის თანატოლია. მოყვანილობით გვერდებგაგანიერე-
 ბული, სამკუთხისებრი, მეტ შემთხვევაში წვეროწაწვეტებულია. ყურძნის
 დამწიფებისას ფოთლის ფირფიტა ყვითლდება. ფირფიტის ქვედა მხარე
 დაფენილია ნაბდისებრ-ქეჩისებრი ბუსუსით. მთავარი ძარღვებიც შებუ-
 სულია.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი საშუალო სიდიდის, ჩვეულებრივ ცილინდრული ან ცილინდ-
 რულ-კონუსური, აგებულებით საკმაოდ კუმსია. მარცვალი საშუალო სის-
 ხოსი, მომრგვალო მოყვანილობის, სიმწიფის დროს მომწვანო-მოყვითა-
 ლოა და უხვადაა შეფენილი ვიტინით. მარცვალი ღერუქასთან სუსტადაა
 მიმაგრებული. კანი თხელი, მაგრამ მკვრივია. ხორცი მკვრივი, მაგრამ წვნი-
 ანია, შეიცავს 1—4, უფრო ხშირად ორ წიბწას. ყურძენი მწიფდება აგვის-
 ტოს ბოლო რიცხვებში.

ალაბუზრი ცალკეული ვაზების სახით გვხვდება ქვემო რაჭის ვენა-
 ხებში. საშუალო მოსაველიანი ჯიშია და კრაქისადმი საკმაო გამძლეობას

იჩენს. დამწიფებული ყურძენი სექტემბრიდან შეკნობას იწყებს და დიდი შაქრიანობით ხასიათდება, მაგრამ შემქნარი მარცვლები ადვილად სცვივა მტევანს, რაც, რასაკვირველია, უარყოფით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

კ ა ხ უ რ ა

ზრდადამთავრებული ფოთოლი ოდნავ მოგრძო ან მომრგვალოა. საშუალოდ დანაკეთილია 3—5 ამონაკეთით. ზედა ამონაკეთები საშუალო სიღრმის ან ზეზეურია, ქვედა ამონაკეთები კი ზეზეურია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ღიაა, ფუძემომრგვალებულია. ფოთლის ფერფიტის ქვედა მხარე გლუვია და მხოლოდ მთავარი ძარღვებია შებუსული მოკლე ჯაგრისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის თითქმის თანატოლია და მთელ სიგრძეზე ღია მოწითალოა.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი საშუალო სიდიდის ან მომსხოა. მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, საშუალო სიკუმისა ან ზოგჯერ თხელია. მარცვლი საშუალო სისხოსი ან მომსხო, ოვალური მოყვანილობის, ყვითელ-მომწვანოა. მწიფდება სექტემბრის მეორე ნახევარში. ჩენჩო უხეშია, ხორცი მკვრივია, შეიცავს 1—2, უფრო ხშირად ერთ წიპწას.

კახურა ცალკეული ვაზების სახით გვხვდება რაქის და ლეჩხუმის სხვადასხვა სოფლის ვენახებში. საშუალო მოსავალს იძლევა. ჭრაქისადმი მეტად მგრძობიარეა. როგორც სახელწოდებიდან ირკვევა, ეს ჯიში კახეთიდან უნდა იყოს შემოტანილი, მაგრამ ამჟამად კახეთში არსებულ ჯიშებიდან განსხვავდება. ამავე სახელწოდებას რაქაში რქაწითელსაც უწოდებენ.

თ მ თ რ ა

მტევანი წვრილი ან მომცრო, მოყვანილობით კონუსური, იშვიათად ცილინდრულ-კონუსური, აგებულიებით საშუალო სიკუმის ან მეჩხერია. მტევნის ყუნწი ბალახისებრი და ღია-მოწითალოა. მარცვლი საშუალო სიდიდის ან მომცრო მომრგვალო მოყვანილობის, სრული სიმწიფის დროს მოყვითალოა და უხედაა დაფენილი ვიტინით. ჩენჩო თხელი, მაგრამ მკვრივია, ხორცი მკვრივი, მაგრამ საკმაოდ წვნიანია. მარცვლი შეიცავს 1—4, უფრო ხშირად სამ წიპწას. ქ. ონის ვიდამოებში ყურძენი სექტემბრის გასულს მწიფდება. ეს ჯიში ცალკეული ვაზების სახით ზემო რაქის სხვა ადგილის ვენახებშიაც გვხვდება. დიდმოსავლიან ჯიშად არ ითვლება, მაგრამ მისგან რიგიანი თეთრი ღვინოები დგება. ყურძენი შენახვისუნარიანობით ხასიათდება. თეთრას ყვავილები ხშირად სცვივა და მტევანში შესამჩნევია პართენოკარპული მარცვლები.

შ ა ვ შ ა ნ ხ ა ტ ა

მტევანი მომცრო (10—12 სმ.) ან საშუალო სისხოსი, მოყვანილობით კონუსური, აგებულებით საშუალო სიკუმსისაა. მტევნის ყუნწი ბალახისებრია. მარცვლი საშუალო სისხოსი (14—15 მმ.), მომრგვალო ან ოვალური მოყვანილობის, სრული სიმწიფის დროსაც მწვანეა. უხვადაა შეფენილი ვიტინით, ღერუკის ბალიში დაფენილია მსხვილი მეჭკეპებით. ჩენჩო უხეშია; ხორცი მკვრივი, მაგრამ წვნიანია, ძალიან ტკბილია; შეიცავს 1—4, უფრო ხშირად სამ წიპწას.

შაფეაჩხატა მაღლარის სახით გვხვდება ორბელში (ლენჩუმი). როგორც გადმოგვეყვინ, ხარისხოვან თეთრ ღვინოს იძლევა. ვაზი ჭრაქისადმი გრძნობიარეა.

უ ყ ყ ვ ე ტ ი

მტევანი მომცრო ან საშუალო სიდიდის; ცილინდრული მოყვანილობის, აგებულებით საშუალო სიკუმსის ან მეტად კუმსია. მტევნის ყუნწი ბალახისებრია. მარცვლი მომრგვალო მოყვანილობის, მომცრო ან საშუალო სისხოსი, ყვითელ-მომწვანოა და უხვადაა შეფენილი ვიტინით; ჩენჩო უხეშია, ხორცი საკმაოდ წვნიანია, შეიცავს 1—3 წიპწას.

უწყვეტის ვაზები გაბნეულია ქვემო რაქის ვენახებში. ფილოქსერიისადმი მეტად მგრძნობიარე ვაზია. ნაკლებმოსავლიანია, მაგრამ რიგიან თეთრ ღვინოებს იძლევა. თუმცა მტევნის ყუნწი ბალახისებრია, მაგრამ მეტად მტკიცედაა მიმაგრებული რქასთან და მტევნის მოწყვეტა, თუ არ დანიოთ, ძნელია. ამით უნდა აიხსნას ამ ჯიშის სახელწოდება.

ო რ ხ უ რ ა

მტევანი საშუალო სიდიდის ან მომცროა, მოყვანილობით მეტ შემთხვევაში ცილინდრულ-კონუსური, აგებულებით საშუალო სიკუმსის ან მეჩხერია. მარცვლი საშუალო სიდიდის, ოვალური მოყვანილობის, ყვითელ-მომწვანოა. მწიფდება სექტემბრის პირველ ნახევარში. ჩენჩო თხელია. ხორცი საკმაოდ მკვრივი, მაგრამ წვნიანია, შეიცავს 1—4 წიპწას. ორხურა გვხვდება ლეჩხუმის ვენახებში (ოყურეშს). საშუალო მოსავლიან ჯიშად ითვლება და სუფრის ყურძნადაც ხმარობენ. ორხურა ჭრაქით საკმაოდ ზიანდება; აგრეთვე ყვავილის ცვენა იცის.

შ ა შ ა ნ ი ქ ი

მტევანი მოყვანილობით ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსური. აგებულებით საშუალო სიკუმსის ან საკმაოდ კუმსია. მარცვლი საშუალო სიდიდის, ოვალური მოყვანილობის, ზოგჯერ მომრგვალო ან ოდნავ მოკავილია, ყვითელ-მომწვანოა და უხვადაა დაფენილი ვიტინით. ჩენჩო სქელი და უხეშია; ხორცი მკვრივია; შეიცავს 1—4 წიპწას.

ფაშანიკი ნაკლებმოსავლიანი ჯიშია, მის ღვინოს კი ემაღლიერებინა-
ძველად ეს ჯიში ფართოდ ყოფილა გავრცელებული, მაგრამ ურძენ მხრ-
ლოდ საღვინედ ხმარობდნენ და არა სჭამდნენ, რადგანაც **დასუღე ყოფილ-**
ბებს მიაწერდნენ.

ზიზღიანი

შ ა ჩ ხ ა ტ ა

მტევანი საშუალო სიდიდის ან მომზხოა, მოყვანილობით ცილინდრუ-
ლი, აგებულებით საშუალო სიკუმისი, ზოგჯერ საკმაოდ კუმისია. მარცვალი
საშუალო სიდიდის, მომრგვალო მოყვანილობის, ყვითელ-მომწვანოა. კანი
თხელია; ხორცი მეტად წვნიანია. მტევნის ოდნავი შენჯღრევის შედეგად
მარცვალი ღერუკასთან სკდება და წვენი დენას იწყებს. მარცვალი შეი-
ცავს 1—4, უფრო ხშირად ორ წიპწას. ურძენი მწიფდება სექტემბრის
გასულს.

ფაჩხატა გვხვდება ორბელში (ლეჩხუმი) მაღლარის სახით. იგი დიდ
მოსავლიან და უზვეამოსავლიან ჯიშად ითვლება, მაგრამ მისგან ღვინო
თხელი, უშინაარსო, დაბალი ხარისხისა დგება.

ბ. რაჭა-ლეჩხუმური წითელურძენიანი ვაზის ჯიშები

ალმესანდრეული

სინონიმი: ალექსანდროული.


ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალო მოყვანილობისა, ნაკლებ
დანაკეთილია 3 ან 5 ნაკეთით. ზედა ამონაკეთების სიღრმე საშუალო ან
ზეზეურია. ქვედა ამონაკეთები ზეზეურია, ზოგჯერ არც კია შესამჩნევი.
ფოთლის ყუნწის ამონაკეთი მეტ შემთხვევაში ფუძემომთხვილო, ღირი-
სებრი მოყვანილობისაა. ნაკეთების ბოლო კბილანები ჩვეულებრივ სამკუთ-
ხედისებრია. გვერდითი კბილანები სამკუთხედისებრი ან ცალმხრივ გამო-
ზნეკილ-ხერხისებრია. ფირფიტის ქვედა მხარე შებუსულია თხელი ქეჩი-
სებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის თანატოლია, ზოგჯერ
ცოტა მომცროა, ღია იისფერია.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი საშუალო ან მომცროა (12—14 სმ, მსხვილი მტევანი 17 სმ.),
მოყვანილობით კონუსური ან ცილინდრულ-კონუსურია. აგებულებით
საშუალო სიკუმისი, ზოგჯერ მენხერიცაა. ზედა კუფხლები ხშირად უფი-
თარდება და მტევნის სიგრძის ერთ მესამედს აღწევენ. მტევნის ყუნწი ბა-
ლახისებრია და ზოგჯერ დასაწყისში ხევდება. მარცვალი საშუალო სი-
დიდის (14—15 მმ.), ოვალური ან მომრგვალო მოყვანილობისა, შავია
და ვიტინით შეფენის გამო მოლურჯო ფერს იღებს. მარცვლის ღერუკა
მოგრძოა (5,4—8,2 მმ.), წითელია; მარცვალი ღერუკასთან მტკიცედ არ
არის დაკავშირებული. ჩენჩო თხელია; ხორცი საკმაოდ მკვრივი, ნაკლებ-

წენიანი, შეუფერავია. მარცვლი შეიცავს 1—4, უფრო ხშირად 1—2
წას. ყურძენი მწიფდება სექტემბრის პირველ ნახევარში.

ეროვნული
ნივლითობა



სურ. 32. ალექსანდრეული.

ალექსანდრეული ქვემო რაჭის ძირითადი ჯიშია და მისი ნარგავები
მასობრივად გვხვდება. მოსავალს საშუალოს იძლევა, ვაზის ამ ჯიშში

ღვინოები, „ხვანჭკარას“ საბელწოდებით ფართოდ არის ცნობილი რაქის გარეთაც. ყურძნის დამწიფების შემდეგ ამ ჯიშის მარცვლები ტკნობად იწყებენ და შაქრის კონცენტრაცია ხდება. თუ რთველი შეგვიანებით ხდება, ალექსანდრეულის ყურძენში შაქრის რაოდენობა 27% -ს და შერტს აღწევს. ასეთი ყურძნიდან დამზადებული წითელი ღვინო მუქ წითელია, საკმაოდ მაგარი და ამავე დროს მოტკბოცაა; ასეთია „ხვანჭკარის“ ღვინის ტიპი. ქვემო რაქის ყველა სოფელში ხარისხიდან „ხვანჭკარას“ ტიპის ღვინოს ვერ იღებენ—ყურძენი საკმაოდ ვერ ჩამიწდება. სამაგიეროდ მთელი რიგი სოფლები (ქრებლო, ხვანჭკარა, I და II ტოლა, ზედა და ქვედა ქვიშარი, სადმელი, ღვიარა, ჩორაჯო და ძირაგოული) ამ ტიპის ღვინის დამზადებით არიან ცნობილი.

ალექსანდრეული ნაკლები გამძლეობით ხასიათდება სოკოვან ავადმყოფობებისადმი, სამაგიეროდ ფილოქსერისადმი საკმაოდ გამძლე ჯიშად ითვლება. როგორც ვადმოგვეყვინ, შორეულ წარსულში ალექსანდრეული შემოტანილი იყო უცხოეთიდან, თითქოს საბერძნეთიდან და ამ ჯიშის რაქაში დანერგვის ბატონიშვილ ალექსანდრეს მიაწერენ; რომელი იყო ეს ბატონიშვილი ალექსანდრე და მართლა საბერძნეთის წარმოშობისაა ეს ჯიში თუ არა, დანამდვილებით არ ვიცით.

მ უ ჯ უ რ ე თ უ ლ ი

ზრდამთავრებული ფოთოლი მოგანივრო, ნაკლებად დანაკეთილია. ზედა ამონაკეთები ზეზეური ან საშუალო სიღრმისაა, ქვედა ამონაკეთები ნაკლებ შესამჩნევია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ზოგჯერ ღია და ზოგჯერ დახურულია. პირველ შემთხვევაში მომრგვალო ფუძე აქვს და მეორე შემთხვევაში მახელიფუძიანია. ნაკეთების ბოლო კბილანები სამკლთხისებრი ან თალისებრია; გვერდითი კბილანები წვეროწაწვეტებული სამკლთხისებრი ან ხერხისებრია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მომცროა და ღია-წითელი ღვინისფერია.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი მომცრო (11—13 სმ.), ზოგჯერ საშუალო სისხოსი (16 სმ.), კონუსური მოყვანილობის, ფრთიანია. უფროს მტევანი თითქმის ცილინდრული მოყვანილობისაა; აგებულიობით საშუალო სიკუმსის, ზოგჯერ მეჩხერია. მარცვლი საშუალო სისხოსი (16—17 მმ.) ან მოშხოა (19 მმ.), მოყვანილობით მოგრძო, ბოლოგაგანივრებულია (შებრუნებული კვერცხისებრია), შავი, თითქმის მოლურჯოა, უხვად არის დაფენილი ვიტინით. მარცვლის ღერუკა წითელია, საკმაოდ გრძელია (5,9—9,0 მმ.), ჩენჩო თხელი, მაგრამ საკმაოდ მკვრივია. ხორცი ნაზი, საკმაოდ წვნიანი, უფერულია. მარცვლი შეიცავს 1—3, მეტ შემთხვევაში 2 ცალ წიპწას. ყურძენი მწიფდება სექტემბრის მეორე ნახევარში.



სურ. 33. მუჯურეთული.

მუჯურეთული ფართოდ არის გავრცელებული როგორც რაქაში, ისე ლეჩხუმში, მაგრამ ამ ჯიშის მეტი ნარგაობა გვხვდება ამბროლაურის რაიონში; ამ ჯიშისაგან ხარისხოვან წითელ ღვინოებს ამზადებენ. საშუალო მოსავლიან ჯიშად ითვლება.



ზრდადამთავრებული ფოთოლი მოგანიერო მომრგვალო მოყვანილობისაა, მეტ შემთხვევაში სამონაკეთიანია; ზედა ამონაკეთები ზოგჯერ ღრმად ღრმია, ზოგჯერ კი ზეზეურია; ქვედა ამონაკეთები ზეზეურია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ფუჭმომრგვალებული ან განიერფუჭიანია. ნაკეთების ბოლო კბილანები მეტ შემთხვევაში სამკუთხისებრი, გვერდებგამოზნექილი, წვეროწაწვეტებულია. გვერდითი კბილანები ხერხისებრი, ცალმხრივ-გამოზნექილი ან სამკუთხისებრი, გვერდებგამოზნექილი, წვერწაწვეტებულია. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მოკლეა, ოდნავ მოწითალოა. ფოთოლი ორივე მხრიდან გლუვია.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი საშუალო სისხოსი, იშვიათად მომცროა, მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსური, იშვიათად ცილინდრულია; აგებულიებით საშუალო სიკუმისი ან კუმსია. მტევნის ყუნწი ბალახისებრია და მხოლოდ მზის მხარეს დასაწყისში ხეფდება. მარცვლი თითქმის საშუალო სისხოსი (14 მმ., მსხვილისა—16,5 მმ.), მომრგვალო მოყვანილობის, ზოგჯერ შებრტყელებულია; მუქ-მოლურჯოა. მარცვლის ლერუკა მუქ-მწვანეა. საშუალო სიგრძისაა. ჩენჩო თხელია, ხორცი საკმაოდ მკვრივი, წვნიანი და შეუფერავია. მარცვლი შეიცავს 1—4 წიპწას, მეტ შემთხვევაში ორს. ყურძენი სექტემბრის გასულს მწიფდება.

ლექხუმის მევნახეობის მთელ რიგ ცნობილ სოფლებში (ოყურეში, ზუბი და სხ.) უსახელოური შეადგენს ნარგავების თითქმის 95%/ს. ეს ჯიში ხასიათდება უხვი მოსავლიანობით და ამავე დროს ხარისხოვან წითელ ღვინოებს იძლევა.

გადმოგვეცემენ, რომ ჯიში უსახელოური შორეულ წარსულში შემოტანილი იყო სოფ. უსახელოურიდან (ლექხუმში), მაგრამ ამ სოფელში ექსპედიციის დროს უსახელოურის ერთი ვაზიც კი არ აღმოჩნდა. უნდა ვიფიქროთ, რომ უსახელოური ადგილობრივი ჯიში არ არის; ამ მოსაზრებას იმით ვასაბუთებთ, რომ ადგილობრივი ჯიშების ფოთლები შებუსვით ხასიათდებიან, მაშინ როდესაც უსახელოურის ფოთლები სრულიად გლუვია.

ნ ა კ უ თ ი ვ ე ლ ო უ ლ ი

სინონიმი: მრგვალოპორთა.

ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალო მოყვანილობის, ზოგჯერ ოდნავ მობრტყო, ხშირად მთლიანია. ზედა ამონაკეთები ზეზეურია, ქვედა ამონაკეთები ნაკლებ შესაშინევეა. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი დახურულია და ნაკეთების კიდურები ერთიმეორეზე გადადიან. ნაკეთების ბოლო კბილანები და გვერდითი კბილანები თითქმის თანატოლია, მოყვანილობით თაღისებრი ან ხერხისებრია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე დაფენილია აბლაბუდისებრი ბუსუსით, რომელიც ზოგჯერ ქეჩისებრ ბუსუსად



გადადის. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მოკლეა, დაფენილია აბლა-
ბუდისებრი ბუსუსით და ღია-მოწითალოა.

ყვავილი ორსქესიანია.

ეროვნული

მტევანი მომკრო (10—12 სმ.) ან საშუალო სისხოსია (20—25 სმ.)

მოყვანილობით ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსურია, აგებოლებით კუმსი ან მეტად კუმსია. მტევნის ყუნწი ბალახისებრია, დასაწყისთან ხევდება. მარცვლი საშუალო სისხოსი (15—17 მმ.), ზოგჯერ მოშხოა (20 მმ.), მოყვანილობით ოვალურია, ფერად შუქ-წითელი, თითქოს მოშავოა. მარცვლის ღერუკა შემეჭეპებულია. ჩენჩო თხელია; ხორცი წვნიანი, შეუფერავია, 1—3 წიპწას შეიცავს.

ნაკუთვნიული გვხვდება ცალკეულ ვაზებად როგორც მაღლარის, ისე დაბლარის სახით, სოფ. ორბელში, ლაჯანაში, ქუყვიში და სხ. იგი უხვმო-სავლიანი ჯიშია. საშუალო ან დაბალი ხარისხის ღვინოს იძლევა.

ნაკუთვნიული მეტად წიაგავს ჯიშ ყორთნულას, ოღონდ ამ უკანას-კნელის მარცვლის ფერი უფრო ღიაა. დასაშვებია, რომ ეს ორი ჯიში იდენტურია, მით უმეტეს, რომ ნაკუთვნიულის შესწავლა მაღლარ ვაზებზე სწარმოებდა, ყორთნულასი კი — დაბლარებზე.

ხარისთვალა შავი—ღოღრმაღი


(Gros Colman, Gros Colmar, Dodrelabi—საფრანგ. და ინგლ.; Ochse-
auge—გერმ.;—Vovoko, Volovijak—შტირია; Ocrudi boe nero—სარდანი;,
Ökörzem Kek, Borjuszemo—უნგრეთი; Eichcugeltraube—ავსტრია).

ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალებულია, იშვიათად ოდნავ განიერი, ორ ამონაკეთიანია. ამონაკეთები საშუალოზე ნაკლები სიღრ-მისაა. ზედა ამონაკეთი მომრგვალებული ან მაკილკუძიანი, დახურული პატარა ჭურჭულანიანია. ქვედა ამონაკეთი ოდნავ შესამჩნევია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ფუქემომრგვალებული, ხშირად დახურული, ვიწრო თალისებრი, იშვიათად ელიპსურია. ნაკეთის ბოლო კბილაკი საქუთხო-ვანი, სწორგვერდებიანი, წვეროვანწვეტებულია. ნაკეთის გვერდითი კბი-ლაკები ხერხისებრი, ცალმხრივ გამობერილი, წვერებწვეტებულია. ფოთ-ლის ფირფიტა დიდაა, ბრტყელი, იშვიათად გვერდებამოხრილი, სადაა, ქვედამხრიდან ზოგჯერ ნაკებებიანია; მთავარი ძარღვები შიშველი და მომწვანოა. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვის სიგრძეზე ოდნავ მოკლეა, მოწითალო ღვინისფერია.

ყვავილი დედრობითი სქესისაა.

მტევანი პირამიდული ან უფორმოა, კარგი განაყოფიერების შემთხვე-ვაში მტევანი აგებულებით კუმსია, უფრო ხშირად კი თხელი და ამ შემ-თხვევაში რამდენიმე მარცვლიანია. მტევნის სიგრძე 22—25 სანტიმეტრს აღწევს, სიგანე 18—19 სანტიმეტრს. მარცვლის კანი მავარი, შავია, უხვა-დაა დაფენილი ვიტინით. მარცვლი ფორმით ოდნავ განივოვალური,

შუაზე განიერი, ბოლომომრგვალებული, სიმეტრულია; ზორციანია; მსხვილია
 მარცვლის სიგრძე 22—24 მილიმეტრს და შეტს აღწევს. ყურძენი II კე-
 რიოდის გასულს მწიფდება. წიპწა მარცვალში შეტწილად 3 ცალია. საქართველოს
 ბიბლიოთეკა



სურ. 85. ხარისთვალა (რაქა).

ათად 2—4 ცალი. მარცვლის ღერუკა სიგრძით 10 მილიმეტრია, მწვანეა.
 ბალიში დამეციკებულია, ვიწრო კონუსურია. მარცვალი ღერუკაზე მჭიდ-
 როდ არ არის მიმაგრებული.



რქა მსხვილი, ოდნავ დაზოლილი, საშუალოზე გრძელი მუხლმარტი სებიანი, მოწითალოა.

ქართული ვაზის ჯიშებიდან უცხოეთში ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს შავი ხარისთვალა, იქ „დოდრალაბად“ გადანათლული. ეს ჯიში როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში, ვენახებში დიდი რაოდენობით არსად არ ირგებია; ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც ვაზის სათბურის მეურნეობას აწარმოებენ (ინგლისი, ბელგია და სხ.) ხარისთვალას ხალისით აშენებენ, რადგან ამ ჯიშის მტევანი და მარცვალი სათბურის პირობებში განსაკუთრებულ სისხოს და სილამაზეს აღწევს; ასეთი კულტურის დროს 2 კილოგრამიანი მტევანი იშვიათი მოვლენა არ არის, მარცვალი სიგრძით 35 მმ. აღწევს, მარცვლის ირგვლივ წრეწირი ხაზის სიგრძე კი 100 მმ. მარცვლის ძირითადი ფერი თუმცა შავია, მაგრამ ზოგი მარცვალი მოწითალო რჩება, ზოგი კი მარცვლის ყუნწთან მიმაგრების ადგილას მომწვანოა. ხარისთვალა განსაკუთრებით ეფექტიანი მტევნების და მარცვლის მქონე ჯიშია და ამით თუ უნდა იხსნას მისი განსაკუთრებული პოპულარობა, მით უფრო რომ, როგორც სუფრის ყურძენი, იგი მეორე ხარისხოვანია, ხოლო როგორც საღვინო ჯიში, არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.

ეს ჯიში საფრანგეთში საქართველოდან მიიღეს. ამაზე მიგვითითებენ მთელი რიგი უცხოეთის ამპელოგრაფიული წყაროები (Viala et Vermorel—Ampelographie, Vignoble—Barron, Tafeltraubenkultur—Rud. Gothe, Ampelographisches Wörterbueh—Herm. Gothe და სხ.); მაგრამ იგი უცხოეთში რატომღაც „დოდრელაბის“ სახელწოდებით იხსენიება და ამ სახელწოდებითაა ცნობილი, ჩვენში კი მას ხარისთვალა ეწოდება და დაცულია ზემო რაქვაში.

უნდა ვიფიქროთ, რომ იმერეთიდან ქართული ვაზის ჯიშების საფრანგეთში ვაგზავნის დროს, იმერული ჯიში დონდლლაბიც გაიგზავნებოდა; მოგზაურობის დროს ვაზის კონებს ფირფიტები შესწყდებოდათ, არეულ ფირფიტებს არადანიშნულები სამებრ მიაკუთვნებდნენ და ამგვარად მოხდებოდა ვაგზავნილი ჯიშების სახელწოდებათა შეცვლა-არევა. თვით სახელწოდება „დონდლლაბი“ კი, ან შეცდომით გადანათლა „დოდრელაბად“ ამპელოგრაფ V. Puliat-ს ქუთაისელმა კორესპონდენტმა Boron de Longuevil-მა, ანდა ეს სახელი საფრანგეთში შეირყვნა.

საქიროდ მიგვაჩნია აღვნიშოთ, რომ იმერული თეთრყურძნიანი ჯიში დონდლლაბი სულ სხვა მოდგმისაა და შავ ხარისთვალასთან არაფერი საერთო არა აქვს.

კახეთში და აქარაში შავ ხარისთვალად წოდებული ჯიში საგრძნობლად განსხვავდება ზემო რაქვაში დაცულ შავ ხარისთვალისაგან, რომელიც დოდრელაბად არის გადანათლული. რაქვულია ეს ჯიში, თუ რაქვაში გადაჩნა— ამის შესახებ ჯერ ვერაფერს ვიტყვი.



სინონიმი: ოყურეშული, ქველოურა, კაპისტონი.

ზრდამათავრებული ფოთოლი მომრგვალო ან მოვანიეროვანი ფორმის მქონე მთლიანია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ზოგჯერ ღია და ზოგჯერ დახურულია. ნაკეთის ბოლო კბილანები და გვერდითი კბილანები თითქმის თანატოლია. მოყვანილობით გვერდებგამოზნექილი, სამკუთხედისებრი, წვეროწაწვეტებულია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე გლუვია; მხოლოდ მთავარი ძარღვებია შებუსული მოკლე ჯაგრისებრი ბუსუსით.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი წვრილი (9—10 სმ.) ან მომცროა (13 სმ.), მოყვანილობით ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსურია, აგებულია საშუალო სიკუმისის ან მოკუმსოა. მარცვალი საშუალო სისხოსი (4—15 მმ.), მომრგვალო მოყვანილობის, მოშავო, უხვადაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის ღერუკა მწვანეა და დამეჭვებულა. ჩენჩო თხელი, მაგრამ მკვრივი, ხორცი მკვრივი, მაგრამ წვნიანი, შეუფერავია. ჩენჩო უხვად შეიცავს საღებავ პიგმენტს. მარცვალი შეიცავს 1—4 წიპწას, მეტ შემთხვევაში ორს. ყურძენი მწიფდება სექტემბრის დასაწყისს.

მრგვალი კაპისტონი ნარგვი ვაზების სახით გვხვდება როგორც ქვემო რაჭაში, ისე ლეჩხუმში. იგი იძლევა ხარისხოვან, მუქ-წითელ ღვინოს, რომელიც ალექსანდრეულის ღვინოს ბევრით არ ჩამოუვარდება.

რ ც ხ ი ლ ი

სინონიმი: შავრცხილა.

ზრდამათავრებული ფოთოლი მომრგვალო, ზოგჯერ მოვანიერო, ზუთნაკეთიანია; ზედა ამონაკეთები საკმაოდ ღრმა ან საშუალო სიღრმისა და დახურულია. ქვედა ამონაკეთები საშუალო სიღრმის ან ზეზეურია და ჩვეულებრივ დახურულია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ფუძე-მომრგვალეული, ღირისებრია; ამონაკეთების ბოლო კბილანები გვერდებ-ამოზნექილი, სამკუთხედისებრი, წვეროწაწვეტებულია. გვერდითი კბილანები ხერხისებრი ან გვერდებამოზნექილი, წვეროწაწვეტებულია. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე შებუსულია აბლაბუდისებრ-ჭრჩისებრი ბუსუსით.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი მომცრო (11 სმ.) ან საშუალო სიდიდის, ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსურია, აგებულია საშუალო სიკუმისისა. მარცვალი საშუალო სისხოსი (16 მმ.), ან საკმაოდ მომსხო (20 მმ.), მომრგვალო ან ოვალური მოყვანილობის, მუქ-წითელი, თითქმის შავია. მარცვლის ღერუკა სუსტად შეფერილია, ბალიში კი მოწითალოა. ჩენჩო თხელია; ხორცი საკმაოდ მკვრივი, მაგრამ წვნიანი; შეიცავს 1—4 წიპწას, უფრო ხშირად ორს. ყურძენი სექტემბერში მწიფდება.

რცხილი გვხვდება რაქის თითქმის ყველა ვენახში, ნარევი ვახუშის სახით. საშუალო მოსავლიან ჯიშად ითვლება, ყურძენი კარგად ინახება, მაგრამ იგი ძირითადად რიგიანი წითელი ღვინის მომცემი ვახუშის ^{ქვეყნის} რაქაში რცხილის ღვინოს ემადრიელებიან და, როგორც გადმოგვცემს, ძველად ეს ჯიში უფრო გავრცელებული ყოფილა. თუ რამდენად კარგი ხარისხის ღვინოს იძლევა ეს ჯიში, შემდეგი რაქული თქმულებიდანაც ჩანს: „საწყალ გლეხკაცს ვინ მისცა რცხილის ღვინო სასმელად, იფქლის პური საქმელად და იფნის შეშა საწვავადო“.

ხ რ ტ ე უ რ ა

ზრდადამთავრებული ფოთოლი მოგანივრო, ზოგჯერ მომრგვალო, მთლიანი ან სამნაკეთიანია. ზედა ამონაკეთები ზეზეური ან საშუალო სიღრმისაა, ქვედა ამონაკეთები ზეზეურია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ღრმა, ფუძემახვილი, თაღისებრი მოხაზულობისაა, ნაკეთებს ორივე მხრიდან ხშირად დეზი უვითარდებათ. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე აბლაბუდისებრ-ჭეჩისებრი ბუსუსითაა შებუსული. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მომცროა და დაზოლილია წითელი და მომწვანო ზოლებით.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი მომცრო (11—13 სმ.), მოყვანილობით ცილინდრული ან კონუსურია, აგებულებით საკმაოდ კუმისი, ზოგჯერ მოკუმისია. მტევნის ყუნწი ბალახისებრია. მარცვალი საშუალო სისხოსი (13—16 მმ.), შებრტყელებული ან მომრგვალო, შავი ან თითქმის ლურჯია. მარცვლის ლერუკა წითელია, სიგრძით 5,7—8,9 მმ. აღწევს, შემეჭეჭებულია. მარცვალი ლერუკასთან მტკიცედ არ არის მიმაგრებული. ჩენჩო ახელია; ხორცი წვნიანი, შეუფერავია. მარცვალი შეიცავს 1—4 წიბწას, მეტ შემთხვევაში ორს. ყურძენი მწიფდება სექტემბერში.

ხოტეურა გვხვდება ქვემო რაქაში, ძირითადად კი ხოტევიში. უხვმო-სავლიანი ჯიშია და კარგად შეფერილ რაგიან წითელ ღვინოებს იძლევა; ამ ჯიშის ღვინოებს შენახვის უნარიანობა არ ახასიათებს. როგორც გადმოგვცემენ, ამ ჯიშს ახასიათებს კრაქისადმი და ფილოქსერასადმი საკმაოდ გამძლეობა.

ა ლ ა ბ ე უ რ ი შ ა მ ი

მტევანი საშუალო სიდიდის (12—14 სმ. და მეტად დიდისა—20 სმ.), მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსური, ზოგჯერ მხრიანი, აგებულებით საშუალო სიკუმისი, იშვიათად მეჩხერი; მტევნის მხრები სიგრძით ზოგჯერ მტევნის $\frac{1}{3}$ -ს აღწევენ. მტევნის ყუნწი ბალახისებრია, ნაზია, მუხლ-თან იოლად ტყდება. მარცვალი საშუალო სიდიდის (14—16 მმ. და მეტად მსხვილისა—19 მმ.), მომრგვალო ან ზოგჯერ შებრტყელებულია, შავი ან თითქმის შოლურჯია. მარცვლის ლერუკა ნაკლებ შეფერილია და და-

მეკვებულა. მარცვლის კანი თხელია; ხორცი წვნიანი, უფერულია. მარცვალი შეიცავს 0—4 წიპწას, უფრო ხშირად 2—3 ცალს. ყურძენი მწიფდება სექტემბრის მეორე ნახევარში.

ალაბეური შავი გვხვდება ქვემო რაჭის ვენახებში. იგი უხვმოსავლიანია, იძლევა დაბალი ხარისხის, მაგრამ უხვად შეფერილ ღვინოს. როგორც გადმოგვცემენ, წინათ ეს ჯიში იხმარებოდა ნაკლებშეფერილი ღვინოების შესაფერად. ალაბეურის ვაზს ნაწილობრივ ახასიათებს მარცვლის ცვენა.

შოკნის თვალა

მტევანი მოყვანილობით კონუსური ან ცილინდრულ-კონუსურია. აგებულებით საკმაოდ კუმსი ან კუმსია. მარცვალი საშუალო სიდიდის (14—15 მმ., ზოგჯერ 18 მმ. აღწევს), მომრგვალო, შავი ან თითქმის მოლურჯოა. მარცვლის ღერუკა წითელია. ჩენწო უხეშია; ხორცი მკვრივი, მაგრამ საკმაოდ წვნიანია, უფერულია; შეიცავს 1—4 წიპწას, უფრო ხშირად სამს. ყურძენი მწიფდება სექტემბრის გასულს.

ყორნის თვალა გვხვდება მაღლარის სახით ლაჯანაში. უხვმოსავლიანია, უბრალო ღვინოს იძლევა.

მ რ ძ ე ლ მ ტ ე მ ბ ა ნ ა

მტევანი საშუალო სიდიდის ან მომსხოა (15—16 სმ. და გრძელი მტევნისა 25 სმ.), მოყვანილობით კონუსური ან ცილინდრულ-კონუსურია, საშუალო სიკუმსის, ზოგჯერ მენხერია. მარცვალი საშუალო სისხოსი (14—15 მმ.), მომრგვალო, ზოგჯერ ოვალურია, შავია. მარცვლის ღერუკის სიგრძე 4,9—9 მმ. უდრის. ჩენწო თხელია, საკმაოდ მტკიცეა; ხორცი საკმაოდ მკვრივი, მაგრამ წვნიანია; მარცვალი შეიცავს 1—4 წიპწას, უფრო ხშირად ორს.

გრძელმტევანა მაღლარის სახით ორბელში (ლენხუმი) გვხვდება. ინვითარებს მეტად გრძელ მტევნებს, რომელთა სიგრძე ზოგჯერ 30 სმ. აღწევს. კრაქი საგრძნობლად აზიანებს. საშუალო ხარისხის წითელ ღვინოს იძლევა.

მ რ ძ ა თ უ რ ი

მტევანი მომსხოა, სიგრძით აღწევს 19—20, მეტად მსხვილი მტევნები კი—27 სმ.; მოყვანილობით კონუსური ან ცილინდრულ-კონუსურია; აგებულებით საშუალო სიკუმსის, ზოგჯერ მენხერია და მხრის სიგრძე მტევნის სიგრძის $\frac{1}{2}$ აღწევს. მტევნის ყუნწი ბალახისებრი, მზის მზარეს მოწითალოდ შეფერილია, საკმაოდ ნაზია და მუხლთან ადვილად ტყდება. მარცვალი მომსხო (16—17 მმ., მსხვილისა—20 მმ.), მომრგვალო, მუქ წითელი ან თითქმის შავია. მარცვლის ღერუკას სიგრძე 5,2—9,2 მმ. უდრის. ჩენწო

თბელია, ხორცი საკმაოდ მკვრივი, მაგრამ წვნიანია, გემოთი წყალ-წყალა; შეიცავს 2—4 წიპწას, უფრო ხშირად სამს. ყურძენი მწიფდება სექტემბრის გასულს.

მოქათურის ვაზები აღმოჩენილი იყო კვაცხეთში. ვაზები ხასიათდება ღონიერი ზრდით, უხვი მოსავლით, მაგრამ ყურძნის წყალ-წყალა გემოთი. რქა მთელ სიგრძეზე შემოსვლას ვერ ასწრებს. მოქათური რაჭული ჯიში არ უნდა იყოს.

ქ რ ც ხ ა ნ ა

მტევანი მოყვანალობით კონუსური და ზოგჯერ ცილინდრულ-კონუსურია. აგებულებით საშუალო სიკუმის ან კუმსია. მარცვალი მომრგვალო შავია; მარცვლის ღერუკა წითელია. ჩენიო უხეში, ხორცი საკმაოდ მკვრივია, წვნიანია, შეიცავს 1—4 წიპწას.

კოცხანას ვაზები გვხვდება ამბროლაურში. დიდ მოსავალს არ იძლევა. როგორც გადმოგვცემენ, ამ ჯიშიდან ხარისხოვანი ღვინოები მზადდება.

ნ ა ც ა რ ა

მტევანი მოყვანალობით კონუსური ან ცილინდრულ-კონუსურია, აგებულებით კუმსია. მტევნის ყუნწი ბალახისებრია. მარცვალი საშუალო სიდიდის, მომრგვალო, თითქმის შავია. ჩენიო თბელია; ხორცი წვნიანი, წყალ-წყალა; შეიცავს 1—3 წიპწას.

ნაცარა გვხვდება მაღლარის სახით ჭყვიშში (ქვემო რაჭა). ამ ჯიშის ნარგავები მეტად ცოტა რაოდენობით გვხვდება. ხარისხოვან ღვინოს არ უნდა იძლეოდეს.

ფ შ რ მ ვ ა ნ ი¹

მტევანი მომცრო, საკმაოდ მეჩხერი, გრძელყუნწიანია. მტევნის ზედა კუფლები საკმაოდ განვითარებულია. მარცვალი მომრგვალო ან ოვალურია, თითქმის საშუალო სისხოსია, მარცვლის ძირითადი ფერი წითელია, მაგრამ შავის შთაბეჭდილებას სტოვებს, რადგან უხვადა დაფენილი ვიტინით. მტევნის ყუნწი მწვანე ბალახისებრია. მარცვლის ღერუკა მომწვანოა და სიგრძით 8 მმ, აღწევს. ხორცი საკმაოდ წვნიანია, შეიცავს 1—3 წიპწას.

ფეროვანი ცალკეული ვაზების სახით გვხვდება ზემო რაჭაში; აქ ყურძენი ოქტომბრის პირველ ნახევარში მწიფდება. ღვინოს შედარებით სუსტად დაფერილს იძლევა, მაგრამ როგორც გადმოგვცემენ, რივიანი ხარისხისა დგება.

პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლინგვისტურ გამოკვლევის თანახმად ფეროვანი ერთი უძველესი ჯიშთაგანია.

¹ აგრ. ივ. სხირტლადეს მადლობას მოვახსენებ, ფეროვანის შესახებ ზოგიერთი ცნობის მოწოდებისათვის, ჰერბარიუმისა და ნიმუშების გამოგზავნისათვის.



მტევანი საშუალო სიდიდის (12—15 სმ.) ან მოზრდილია (18 სმ.) მოყვანილობით ცილანდრულ-კონუსური, ზოგჯერ კონუსურია სიკუმსის, ზოგჯერ მეჩხერია. მტევანს მზრები უფითარდება; მზრების სიგრძე მტევანის $\frac{1}{3}$ აღწევს. მარცვლი საშუალო სისხოსია, მოპრგვალოა და შავია. მარცვლის ღერუჯა წითელია და უხვადაა შეფენილი ვიტინით. ჩენჩო თხელა, საკმაოდ მკვიდრია; ხორცი წვნიანი, შეუფერავია; შეიცავს 1—5 წიბწას, უფრო ხშირად სამს. ყურძენი მწიფდება სექტემბრის პირველ ნახევარში.

ბერბეშო ცალკე ვაზების სახით გვხვდება კრებალოში და ბაჯში. საკმაოდ მოსავლიანი ჯიშია და, როგორც გადმოგვცემენ, ხარისხოვან წითელ ღვინოებს იძლევა. კრაქისადმი საკმაოდ მგრძნობიარეა, იგრეთვე მარცვლის გაწლიოკება იცის.

ბ ბ ბ შ ბ

მტევანი საშუალო სისხოსი ან მომცროა (13 სმ.) მოყვანილობით ცილანდრულ-კონუსური ან კონუსური. აგებულებით საშუალო სიკუმსის, ზოგჯერ მეჩხერია. მარცვლი საშუალო სისხოსი, მოპრგვალო ან ოვალური მოყვანილობის, მუქ-წითელი ან შავია. მარცვლის ღერუჯა გრძელი 5,5—9,8 მმ. და სუსტად არის მიმავრებული მარცვალთან. ჩენჩო თხელია; ხორცი წვნიანი, შეტად წყალ-წყალა და უფერულია. შეიცავს 1—4 წიბწას, უფრო ხშირად ორს. ყურძენი მწიფდება სექტემბრის გასულს.

გაბაშა გვხვდება ცალკეული მაღლარი ვაზების სახით სოფ. კუციშში. უხვმოსავლიანი ჯიშია. ნაკლებ შინაარსიან ღვინოს იძლევა.

ბ ბ ი რ ბ

მტევანი მომცრო, მზრიანი, საშუალო სიკუმსისაა. მარცვლი საშუალო სისხოსი ან მომსხო, ოვალური ან მრგვალი მოყვანილობისაა, შავია. ჩენჩო თხელი, საკმაოდ მკვიდრია. ხორცი საკმაოდ შკერივი, წვნიანი, შეუფერავია; შეიცავს 1—4 წიბწას, უფრო ხშირად სამს, ყურძენი მწიფდება სექტემბრის შუა რიცხვებში.

ქვირა გვხვდება ამბროლაურში. საკმაოდ მოსავლიანი ჯიშია; ღვინოს ნაკლებ შინაარსიანს იძლევა.

მ ს ხ ვ ი ლ თ ვ ა ლ ბ

მტევანი შეტწილად მომცროა (10—11 სმ.), გვხვდება საშუალო სიმსხოს მტევნებიც. აგებულებით საშუალო სიკუმსის ან მეჩხერია. მარცვლი საშუალო სისხოსი ან მომსხო, მოპრგვალო მოყვანილობისა, შავია. მარცვლის ღერუჯა ყვითელ-მომწვანოა. ჩენჩო თხელი, მაგრამ საკმაოდ მკვიდ-

რია. ხორცი მკვრივი, მაგრამ წვნიანი. წვენი უფერულია; შეიცავს 1—4 წიბწას, მეტ შემთხვევაში ორს.

მსხვილთვალა ნარევი ნარგავების სახით გვხვდება ძირითადად ჩრდილოეთ რაიონში. საკმაოდ მოსაფლიანი საღვინე ჯიშია და მისი ტკბილი მაღალ შაქრიანობით ხასიათდება. შემოდგომამდე ჭარბი წვიმების შედეგად მარცვალი ხშირად სკდება და მწერებს მასობრივად იზიდავს.

მსხვილთვალას დედრობითსქსიანი ყვავილები აქვს და ამის შედეგად მარცვალი უწლიოკდება და ყვავილის ცვენაც იცის.

ნ მ შ ვ რ ი მ

მტევანი საშუალო სისხოსი მოყვანილობით კონუსური, აგებულებით მოკუმსო ან მეჩხერია. მტევნის ყუნწი გახევებულია და მოწითალო ფერს იღებს. მარცვალი საშუალო სისხოსი, ზოგჯერ მომსხოა, მოყვანილობით მომრგვალოა. შავი ან შავ-მოლურჯოა. მარცვლის ღერუკა გრძელია (6,7—11,5 მმ.). მარცვალი ღერუკასთან სუსტადაა მიმაგრებული. ჩენჩო თხელია; ხორცი წვნიანი, უფერულია; შეიცავს 1—3 წიბწას.

ნოშვრიო ცალკეული ვაზების სახით გვხვდება ქუციშში, ბაჯში და სხ. სოფლებში. მოსაფლიან ღვინის ჯიშად ითვლება. ხასიათდება მტევანში მარცვლების არათანაბარი დამწიფებით და მარცვლების გაწლიოკებით.

მ ბ ა ზ უ რ ი

მტევანი მომცრო, ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსურია, აგებულებით კუმსი ან საკმაოდ კუმსია. მტევნის ყუნწი ბალახისებრია. მარცვალი მომცრო ან საშუალო სისხოსი (13—15 მმ.), მომრგვალო, მეტწითელი, თითქმის შავია. ჩენჩო თხელი, მაგრამ მკვიდრია; ხორცი ნაზი, წვნიანი; შეიცავს 1—3 წიბწას.

ობაზური ნაკლებად გავრცელებული ვაზის ჯიშია (ს. ძირაგეული), მეტად უხვი მსხმოიარობით ხასიათდება. რადგან ამ ჯიშის ნარგავები მეტად ნაკლებად მოიპოვება, ამიტომ იმის ღვინოს ცალკე არ აყენებენ.

ს მ ვ უ რ ა ბ

მტევანი წვრილი ან მომცროა, მოყვანილობით უფორმო ან კონუსურია, აგებულებით მეჩხერი ან საშუალო სიკუმსისაა. მტევნის ზედა კუფბლები საგრძნობ განვითარებას აღწევს და ხშირად მტევნის სიგრძის ნახევარს უდრის. მტევნის ყუნწი ბალახისებრია. მარცვალი წვრილი ან მომცროა, შავია. ჩენჩო თხელია; ხორცი წვნიანი. ყურძენი მწიფდება ოქტომბერში.

სევერა გვხვდება ცალკე ვაზების სახით ზემო რაქაში (ღარი, ონი და სხ.) ნაკლებმოსაფლიანი ვაზია; გარდა ამისა, მარცვალი წლიოკდება და მტევნის გათხელება იცის. დიდი ღირებულების ჯიშს არ უნდა წარმოადგენდეს.



მტევანი წვრილი ან მომცროა, მოყვანილობით კონუსური ან ცილინდრულ-კონუსურია, აგებულებით მეტად კუმსი ან საკმაოდ კუმსი მტევანის ყუნწი ხევდება; კლერტი ოდნავ წითლად შეფერილია. მარცვალი მომცრო ან წვრილია; მოყვანილობით მშრბრვალოა, მუქ-წითელი, ან თითქმის მოშავოა. ჩენჩო თხელია; ხორცი მკვრივი, მაგრამ წვნიანი; შეიცავს 1—4 წიპწას.

ურიშულა ცალკეული ვაზების სახით გვხვდება ზემო რაქაში. საშუალო მოსავლიანი ჯიშია. ქრაქისადმი საკმაოდ მგრძნობიარეა. როგორც ვად-მოგვემენ, ნაკლები სიმაგრის ღვინოს იძლევა.

წ ვ ა ი შ ა ლ ა

მტევანი წვრილი, ცილინდრული, აგებულებით შენაერი, ზოგჯერ საშუალო სიკუმსისა; მტევანის ყუნწი ბალახისებრია. მარცვალი წვრილი ან მომცროა, მორგვალო, ზოგჯერ ოვალურია, მუქ-წითელი ან თითქმის შავია. ჩენჩო თხელია; ხორცი წვნიანი. მეტ შემთხვევაში სამ წიპწას შეიცავს.

წვრიმალა ლეჩხუმში გვხვდება (ორბელი, ლაჯანა) მალღარის სახით. საშუალო მოსავლიანი ჯიშია. ქრაქისადმი მეტად მგრძნობიარეა; გარდა ამისა, ყვავილცენა და მარცვლის ვაწლიოცება ახასიათებს, რაც უნდა მივაწეროთ ამ ჯიშის დედრობითსქესიანობას. დიდი ღირებულების ჯიში არ უნდა იყოს.

რაქა-ლეჩხუმის ვენახებში ცალკეულ ვაზების სახით გვხვდება მიწლი რიგი სხვა ჯიშებიც; მაგ., ბანძელა, ბახვა, კოლოშა, დაქვეულა, მალითა ბარო, მტერო და სხ. მაგრამ რადგან ამ ჯიშებს მეტად ნაკლები სამეურნეო ღირებულება აქვთ და გარდა ამისა ზოგი შემოტანილი უნდა იყოს მევენახეობის სხვა რაიონებიდან, ამიტომ მათი აღწერა საქიროდ არ მივგანია.

ბურიის, სამეგრელოს და აბაშის ვაზის ჯიშები

ამ რაიონების ჯიშთა ასორტიმენტი ამ ორმოციოდე წლის წინათ გაცილებით უფრო ფართო იყო, ვიდრე დღეს. აქაური უხვი ნალექები და სითბოს რაოდენობა თუმცა ოპტიმალურია ვაზის ზრდა-განვითარებისათვის, მაგრამ ამავე დროს ოპტიმალურია აგრეთვე ვაზის სოკოვან ავადმყოფობათა მასობრივად განვითარება-მომრავლებინათვის. ვაზებს მალღარად ზრდიდნენ და ვაზის ასეთი აღზრდის პირობებში კი მივწებლებთან ბრძოლა თითქმის შეუძლებელია, შით უმეტეს, რომ, როდესაც ამ რაიონებში სოკოვანი ავადმყოფობანი შეიჭრა, იმ ხანებში ვაზის მივწებლებთან ბრძოლის მეთოდები ნაკლებად იყო ცნობილი. სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელებას ფილოქსერის გავრცელებაც დაერთო; ყველა

ამის შედეგად ამ რაიონების მევენახეობა დაღუპვის გზას დაადგა. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ეს ოდესღაც ვაზნარით უხვი რაიონები ამჟამად მხოლოდ ალაგ-ალაგ ატარებენ მევენახეობის ნიშნებს. თბილისის საინტერესო ასორტიმენტის ბევრი წარმომადგენელი კი მოიხარა და გადაარჩენილი ჯიშებიც მეტად მცირე რაოდენობით მოიპოება. საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულია ზომები, ამ რაიონების ძველად განთქმული ჯიშების (ოჯალეში, ჩხავერი და სხ.) აღსადგენად. გადაარჩენილი ჯიშების აღდგენა სავსებით შესაძლებელია და ვიმედოვნებთ, რომ სათანადო აგრო-ტექნიკური ზომების გამოყენებით მოხერხდება გურია-სამეგრელო-აჭარის მევენახეობის სათანადო დონეზე დაყენება, აღვილობრივი ნაცადი საუკეთესო ჯიშების ფართოდ გამოყენებით.

ა. მთავარი თითრუკანინი ვაზის ჯიშები

ჩ ი რ ვ ვ ა ლ ი

ჩერგვალის ზრდადამთავრებული ფოთლის ფირფიტა ოდნავ ოვალური მოყვანილობისაა და საშუალოდ ან ნაკლებ დანაკეთილია. ფირფიტის საშუალო სიგრძე 17 სმ. აღწევს, სიგანე-კი—16 მმ.; ფირფიტის ზედა ამონაკვეთი ღიაა, მოხაზულობით ღირისმაგვარია, ფუძეწიშახვილებული აქვს; გვხვდება აგრეთვე ვიწრონაპრალისებრი მოხაზულობაც. ქვედა ამონაკვეთი ნაკლებჩაქრილი და ღიაა. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ფუძე მომრგვალებულია, მოყვანილობით ღირისმაგვარია; იშვიათად გვხვდება დახურული ამონაკვეთი ერთი უბრალო დეზით. ნაკეთის წვერის კბილაკები გვერდებამოხნეკილი სამკუთხედისებრი, წვეროწაწვეტებულია. მეორადი კბილაკები უფრო მომცრო და თითქმის იმავე მოყვანილობისაა. ფირფიტა ბრტყელი, ოდნავ დანაოჭებულია, ქვედა მხრიდან თეკ-ნაზღისებრია.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, ახასიათებს ფრთიანობა და დატოტვა; ფრთა მტევნის $\frac{2}{3}$ აღწევს. მტევანი აგებულია მეჩხერია. მტევნის ყუნწი და თვით კლერტიც მუქ-მწვანეა. მტევნის ყუნწის სიგრძე 4—5 სმ. აღწევს. მახვილი მტევნის სიგრძე 13—16 სმ. უღრის, სიგანე 8—12 მმ.; მარცვლი მოყვანილობით თითქმის მრგვალია, საკმაოდ მსხვილია; მსხვილი მარცვლის სიგრძე უღრის 18,2—20 მმ., სიგანე 18—19,8 მმ.; მარცვლის ბოლო მორგვალეული. მარცვლის ღერუკას სიგრძე 7—12 მმ. აღწევს. ბალიში დამეჭეპებული, განიერ-კონუსურია; მარცვლი ღერუკაზე მჭიდროდაა მიმაგრებული. მარცვლის კანი მომწვანოა, სრული სიმწიფის დროს ოდნავ ქარვისფერია, საკმაოდ სქელია. მარცვლის ხორცი საკმაოდ მკვრივი, მაგრამ წვნიანია. მარცვლის კანი ვიტინით ნაკლებ შეფენილია. მარცვლი შეიცავს 1—3 წიპწას, ხშირად გვხვდება 1 წიპწიანი მარცვლი. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. ერთ რქაზე ხშირად 2—3 მტევანი გვხვდება.



სურ. 35. გვიტილური.

შეიძლება და უმჯველია ზემო სამეგრელოს ფერდობ, კირიან ნიადაგებში
ეს ჯიში ისევ საპატიო ადგილს დაიკავებს.

ჩაფიგავში (თეთრი წვრილი)

ზრდადამთავრებული ფოთლის ფირფიტა მორგვალს ან ღრუბრს ღვავს
ლურია. საკმაოდ დანაკეთილია, გვხვდება მეტად დანაკეთილ ფერად
ზემო ამონაკეთი საკმაოდ ღრმად ჩაჭრილი და ღიაა; გვხვდება აგრეთვე
ნაკლებად ჩაჭრილი ამონაკეთი, მახვილიან წამახვილებული ფუძით. ქვედა



სურ. 36. ჩეჩივეს.

ამონაკვეთი ნაკლებად ჩაქრილი და ღიაა; იშვიათად გვხვდება შუადა-
ჩაქრილი ამონაკვეთი. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი თანასწორ გვერდებიანი
და უფრო ხშირად ისრისმაგვარ ფუძიანია. ნაკეთის წვერის კბილსა და მეტ-
წილად სამკუთხედიანებრივ, ამოხნექილ გვერდებიანი და წვერის მახვილ-
ბულოა. ნაკეთის დანარბნე კბილაკები მეტწილად მომცრო და იმავე მო-
ყვანილობისაა. ფირფიტის ზედა მხარე დანაკებულა, გვხვდება სწორ-
ზედაპირიანი ფირფიტაც. ფირფიტის ქვედა მხარე თევ-ნაბდისებრია.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, ან ცილინდრულ-
ა, აგებულიებით საშუალო სიკუმისისა; გვხვდება მეჩრეო მტევნებიც.
მსხვილი მტევნის სიგრძე 12—14,5 სმ. აღწევს, სიგანე 6,5 სმ. მტევნის
ყუნწის სიგრძე 3,5—4,5 სმ. შორის მერყეობს. მტევნის ყუნწი და კლერ-
ტი მომწვანოა. მარცვლი საშუალოზე მომცროა; მისი სიგრძე აღწევს
13—14,5 მმ., სიგანე კი 10,5—12 მმ.-დ. მოყვანილობით მარცვლი
ოვალურია, ბოლომომრგვალებული და სიმეტრულია. სრული სიმწიფის
დროს ღიაქარვისფერია. მარცვლის კანი თხელია და ვიტინით ნაკლებად
შეფენილია. ხორცი საკმაოდ წვნიანია. მარცვლი მეტ შემთხვევაში 1—2
წიპწას შეიცავს. ყურძენი მწიფდება სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში.

ფილოქსერის და სოკოვან ავადმყოფობათა გაჩენამდე ჩეჩიბეში გავრ-
ცელებული იყო თითქმის ყველა რაიონში. რაიონებში ზედა რებით ადრე მომ-
წაფების გამო მისი ყურძენი იხმარებოდა საკმეოლად და ავრეთვე სართვლო
სამაქრედ. ღვინო გამოდიოდა ნაკლებსხეულიანი, ნაზი და საკმაოდ სასი-
ამოვნო. ამჟამად ამ ჯიშის ვაზებიც მეტად შემცირებულია და გვხვდება
მხოლოდ წალენჯიხის და ჩხოროწყუს მიდამოებში. დამყნელი ჩეჩიბეშის
ვაზები ამჟამად მხოლოდ კოლექციებში გვხვდება.

ა ვ ზ ა ზ უ რ ა

აფხაზურას მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ კონუსურია, ხშირად
ივითარებს ზედა კუთხლებს და ფრთიანი მტევნის შთაბეჭდილებას სტო-
ვებს. მტევანი აგებულიებით საშუალო სიკუმისისა. მსხვილი მტევნის სიგრძე
12—13,5 სმ.-ს შუა მერყეობს, სიგანე-კი 10—11 სმ. აღწევს. მარცვლი
მოყვანილობით მორგვალოა. მსხვილი მარცვლის სიგრძე 14,5 მმ. აღწევს
და სიგანე 14 მმ. მარცვლი ღია მწვანეა. მარცვლის კანი თითქმის თხე-
ლია; ვიტინით ნაკლებად შეფენილია. მარცვლის ხორცი მეტად წვნიანია.
მარცვლი შეიცავს 2—3 წიპწას. ყურძენი მწიფდება ნოემბრის დასაწყ-
ისს.

მდლარად ნაზარდი აფხაზურას ვაზები ძალიან მცირე რაოდენობით
გვხვდება წალენჯიხის რაიონში. სოფ. ნაკიდუში მოიპოვება და მდლარად გა-
შენებული დამყნელი აფხაზურას ვაზები. იძლევა ნაკლებსხეულიან, ოდნავ
მომწვანო, მაგრამ სასიამოვნო ღვინოს. მოსაელნიანობა და მით უმეტეს გამო-
სავლიანობა ბარაქიანი აქვს.



ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის, მომრგვალო ან ოდნავ ოვალური მოყვანილობის, ნაკლებად დანაკეთილია.

მტევანი საშუალო სიდიდის, აგებულიებით საკმაოდ კუმსი, მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსური ან კონუსურია. მტევნის ყუნწი ხევედება და მჭიდროდაა დამაგრებული რქასთან. მარცვლი საშუალო სისხოსი, ოვალური ან მოგრძოა და სრული სიმწიფის დროს მოყვითალო ქარვისფერს იღებს. მარცვლის კანი სქელია; ხორცი მკვრივი, მაგრამ წვნიანია. მარცვლი ლერუკასთან მჭიდროდ არის მიმაგრებული. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში. ვაზზე დატოვებული ყურძენი დეკემბრამდე დაუქნობად სძლებს.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრამდე ზედაგი მასობრივად იყო გავრცელებული სამეგრელოს ზეგან ადგილებში, მისგან უხე მოსავალს იღებდნენ და ყურძენს ძირითადად საქმელად ხმარობდნენ—ვაზზე სტოვებდნენ და საჭიროების მიხედვით კრეფდნენ. გადმოგვეცემენ, რომ ზედაგისაგან რიგიანი ღვინოები დგებოდა და მისი ღვინო ხანგრძლივად წენახვის უნარით ხასიათდებოდა. ამჟამად ზედაგის ვაზები კიდევ გვხვდება მალღარის სახით ცხაკიას რაიონში (უშაფათი, ფოცხო, ნოქალაქევი).

გოდაათური (ხამფო)

ზრდადამთავრებული ფოთოლი მომცრო, მომრგვალო მოყვანილობის, საკმაოდ დანაკეთილია.

მტევანი საშუალო სიდიდის, დატოტილი, საკმაოდ მეჩხერია. მარცვლი მომცრო, მოგრძო მოყვანილობის, მკრთალი მოწითალოა. მარცვლი ლერუკასთან მჭიდროდაა მიმაგრებული. ჩენხო საკმაოდ თხელია; მარცვლი ნაკლებ მკვრივი, მეტად წვნიანია. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის მეორე ნახევარში; ძველად ამ ჯიშის ყურძენს დეკემბრის გასულამდე ვაზზე სტოვებდნენ და უყრეფავად და, როგორც გადმოგვეცემენ, ყურძენი არ ზიანდებოდა.

გოდაათური იძლეოდა ნაზ, სასიამოვნო მკრთალ-მოწითალო ფერის ღვინოს და ქალის ღვინო ეწოდებოდა. ძველად გოდაათურის ღვინოს სუფრაზე ქალებს მიართმევდნენ ხოლმე.

ფილოქსერის და სოკოვან ავადმყოფობათა შემოჭრამდე გოდაათური მეტად გავრცელებული ყოფილა მალღარის სახით სამეგრელოს ფერდობ ზეგან ადგილებში და მეგრულ ვაზის ჯიშთა შორის თვალსაჩინო ადგილი სჭირია. ამჟამად გოდაათურის მხოლოდ ორიოდ ვაზი მოიპოება ნამყენის სახით (უშაფათი).

გოდაათური ინტერესსმოკლებული ჯიში არ არის და მისი აღდგენასასურველია.



ფოთოლი საშუალო სიდიდის, საერთო მოხაზულობით განიერ-ოვალური; გვხვდება აგრეთვე მომრგვალო, როგორც თათმაგვარად საკმაოდ დანაკეთილი, აგრეთვე მცირედად დანაკეთილი ფოთლები. ფოთლის საშუალო სიგრძე 15 სმ. და სიგანე 16 სმ-დე აღწევს. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ფუძე მახვილი და ხშირად თანასწორგვერდიანია. როგორც ზემო ამონაკეთი, ისე ქვემო ამონაკეთი მცირედადაა ჩაქრილი. ნაკეთი სამია, მეორადი ნაკეთები არ იცის. ნაკეთის წვერის კბილაკები სამკუთხედისებრია, ამოზნექილგვერდებიანი და წვეროწყობაზე მდებარეობს; გვხვდება აგრეთვე სამკუთხისებრი კბილანები, მომრგვალებული წვერით, ან ხერხისებრ-სამკუთხისებრი ცალგვერდ ჩაზნექილები. მეორადი კბილაკები იმავე მოყვანილობისაა. ფოთლის ქვედა მხარე თქ-ნადისებრია; ზედა მხარე წვერილი, მუჭისებრია. ფოთოლი ძაბრმაგვარი მოყვანილობისაა; გვხვდება აგრეთვე ბრტყელი ფოთლებიც. მთავარი ძარღვები ზებუსულია, ფერად მწვანეა, ფუძესთან გარკვეულ წითელ ფერში გადადის. ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან 0,8—1,2 უდრის. ყუნწი მცირედად შებუზღულია და მოწითალოა.

მტევანი შეთვალვას იწყებს 10 სექტემბრიდან; მასობრივ სიმწიფეში შედის 10 ნოემბრიდან. დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე უდრის 5—6 სმ.; მტევნის სიგრძე 11—12 სმ. და სიგანე 7—8 სმ.-ის შორის მერყეობს. მტევანში 40—60 მარცვალია. მტევანი საშუალოდ 100—150 გრამს იწონის. მტევნის ფრთა ხშირად აღწევს მტევნის სიგრძის ნახევარს. მტევნის საერთო ფორმა უფრო ხშირად ცილინდრულ-კონუსურია. გვხვდება აგრეთვე ფრთიანი მტევნებიც. აგებულებით საშუალო სიმკვრივისაა; გვხვდება აგრეთვე თხელი მტევნებიც. მტევნის ყუნწი და თვით კლერტი ბალახმაგვარია და ღია იისფერია. მარცვლის ლერუკა ბალიშით აღწევს 5—7 მმ., ფერად მწვანეა; ბალიშით დამკვეჭებულია და ფორმით განიერ კონუსურია (დისკოსმაგვარია), მოწითალო ღვინისფერია. მარცვალი ლერუკაზე მტკიცედ არის მიმაგრებული. მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე 13—14 მმ. აღწევს, სიგანე 12—13 მმ. საშუალო მარცვლის სიგრძე 12—13 მმ. აღწევს, სიგანე 11—12,5 მმ., მარცვალი მოყვანილობით თითქმის ოვალურია, გვხვდება მომრგვალოც, შუა წელში უფრო განიერია; ბოლო მომრგვალებული და სიმეტრულია. მარცვლის კანი შავია, საკმაოდ სქელია, ხორცს ადვილად სცილდება. ხორცი საკმაოდ მკვრივი, მკვრივ წენიანია. მტევანში მარცვლები არაერთდროულად მწიფდება, რაც ოჯალღების დამახასიათებელი ნიშანთვისებაა. ეიტნი მარცვალს ოდნავ შვარავს. მარცვალში საშუალოდ 2—3 წიპწია; 100 მარცვალში საშუალოდ 260 წიპწია. წიპწის

სიგრძე 6—7 მმ. აღწევს, სისხო 3—3,5 მმ.; ოჯალეშის ვაზის ერთ რქაზე ვხვდებით 2—3 მტევანს.

თბილისის
ნიკოლოზის



სურ. 37. ოჯალეში.

ფილოქსერის და სოკოვას ავადმყოფობათა შემოკრამდე ეს ჯიშის მასობრივად იყო გავრცელებული სამეგრელოს ზეგან რაიონებში მდებარეობის სახით და როგორც გადმოგვცემენ მეტად მაღალხარისხიან და შინაარსიან წითელ ღვინოს იძლეოდა. დღესაც მოსახლეობა ოჯალეშს დიდი ქებით იხსენიებს და წითელ ჯიშთა შორის პირველ ადგილს უთმობს. ძველად მაღლარზე ოჯალეშის ყურძენს იანვრამდე დაუკრეფავს სტოვებდნენ და სახალწლოდ თოვლში კრეფდნენ საქმელად. ფილოქსერის და სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელების შემდეგ ოჯალეშის მაღლარები თითქმის მოისპო; ახლა გვხვდება მხოლოდ თითო-ოროლა ძირი მაღლარების სახით, ისიც სამეგრელოს მთიან რაიონებში. ოჯალეშის დაბლარები ამჟამად გაშენებულია ნამყენების სახით სალხინოს საბჭოთა მეურნეობაში, საიდანაც განზრახულია მისი ფართოდ გავრცელება, როგორც სამეგრელოში მაღალი ხარისხის პროდუქტის მომცემი საღვინე ჯიშისა. სამეგრელოს მთელ რიგ რაიონებში ოჯალეში ფართო გავრცელების ღირსია.


3 ა ნ ე შ ი

ზრდადამთავრებული ფოთლის ფირფიტა მოყვანილობით ოვალურია და საკმაოდ დანაკეთილია. ფირფიტის საშუალო სიგრძე 17 სმ. აღწევს, სიგანე კი—16 სმ.; ზემო ამონაკვეთი მეტწილად მთლიანად დაბურულია, ზოგჯერ გვხვდება ვიწრო ელიპსური ნაპრალი, ძალიან იშვიათად ამონაკვეთი ღიაა. ქვედა ამონაკვეთი ზეზეურია, იშვიათად საკმაოდ ჩაქრილია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მოყვანილობით კვერცხისებრია, ხშირად ფუძემომრგვალო ან ბრტყელია. ნაკეთის წვერის კბილაკები სწორ სამკუთხისებრი ან მომრგვალოა. მეორადი კბილაკები წვერომომრგვალებული ან ამოხნეჭილ-გვერდებიან სამკუთხედისებრია. ფირფიტის ზედა მხარე ხშირად დანაკეტილია, ქვედა მხარე თექნაბდისებრია. მთავარი ძარღვები მოწითალოა, ხშირად ოდნავ შებუსულია. ფოთლის ყუნწის სიგრძე ფირფიტის მთავარ ძარღვზე ნაკლებია. მტევანი საერთო მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, აგებულებით საშუალო სიკუმისაა. მოზრდილი მტევნის სიგრძე 13—15 სმ. და სიგანე 9—11 სმ. უდრის. მარცვლების რიცხვი მტევანში 105—130 ცალს აღწევს. მტევნის ყუნწის სიგრძე 4—5 სმ. აღწევს. მტევნის ყუნწი ღია-მწვანეა, ბალახისმავგარია.

მარცვალი საშუალო ან საშუალოზე მოზრდილია, მოყვანილობით ოვალურია; მისი სიგრძე 15—18 მმ. აღწევს, სიგანე 13—16,5 მმ. მარცვალი ბოლომომრგვალებულია, აგებულებით სიმეტრულია, ფერად შავია; მარცვლის ღერუკის სიგრძე 5—7 მმ. აღწევს; ფერად მწვანეა. ბალიში დამეჭეპებული და განიერკონუსურია; მარცვალი ღერუკაზე საკმაოდ მჭიდროდ არის მიმაგრებული. მარცვლის კანი სქელია, საკმაოდ პიგმენტიანია. მარცვლის ხორცი საკმაოდ წვნიანია. წვენი უფერულია. მარცვლის კანი ნაკ-

ღებადაა დაფენილი ვიტინით. მარცვალ ზედაეს 2—3 წიპწას. უკრძენა
მწიფდება ოქტომბრის ბოლო რიცხვებში.

პროცესული
ნივლინიანი



სურ. 38. პანევი.

შემოსული რქა საშუალო სისხოსია, მუქ-ყვითელია, მუხლებთან უფ-
რო მუქადაა შეფერილი; რქას ზოლიანობა არ ახასიათებს.

ფილოქსერის და სოკოვან ავადმყოფობათა გაჩენამდე პანეში ფართოდ გავრცელებული ვაზის ჯიში იყო და სამეგრელოს მაღალ მთებში მდინარე ინჯურის და ტეხურის ხეობაში მაღალარების სახით გვხვდებოდა. ეს ჯიში ხასიათდებოდა უხვი მოსავლით და მაღალარად მსგავსი ვაზების რთველს ზოგჯერ იანვრამდე აგვიანებდნენ—ყურძენი არ ჰქნებოდა. დაკრეფილ ყურძენს კარგი შენახვისუნარიანობა ჰქონდა. პანეში იძლეოდა თხელ და ოდნავ მომთავო ღვინოს, იგი საზაფხულოდ სახმარ ღვინოდ ითვლებოდა. ფილოქსერის და სოკოვან ავადმყოფობათა გაჩენის შემდეგ პანეშის კულტურა თითქმის მოისპო; ამჟამად გვხვდება მისი მხოლოდ თითო-ორი ძირი სამეგრელოს მთიან რაიონებში. ამ ბოლო დროს დაიწყეს მისი გაშენება დაბლარებად წალენჯიხის და ნაწილობრივ ზუგდიდის რაიონში. პანეშის უხვი მოსავლიანობა, ყურძნის შენახვის უნარიანობა და მისგან რივიანი სისმელი ღვინის მიღება სამეგრელოს პირობებისთვის უმნიშვნელო არ არის და ეს ჯიში ზუსტი შესწავლის ღირსია.

ა ვ შ ი ლ შ რ ი

ზრდადამთავრებული ფოთლის ფირფიტა მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია. ფოთლები ღრმად, ან საკმაოდ ღრმად დანაკვეთილია; ფოთლის ზემო ამონაკვეთი მეტწილად დაბურულია, ფუძემომრგვალებულია, ქვემო ამონაკვეთი ღიაა, მოყვანილობით ღირისებრია, ფუძემომრგვალებულია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღიაა, ფუძე ისრისმაგვარია; გვხვდება აგრეთვე მახვილფუძიანი ღირისმაგვარი ამონაკვეთი. ფოთლის ქვემო მხარე თქვა ნაბდისებრია.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, აგებულია საშუალო სიკუმისისა; მსხვილი მტევნის სიგრძე—14,5—16 სმ. აღწევს, სიგანე კი—7,5—8,5 სმ., მტევნის ყუნწი მომწვანოა. მარცვლი საშუალო სისხოსია, მოყვანილობით მომრგვალოა, სიგრძით 16—18 მმ.-ს აღწევს, სიგანით—15,2—17,5 მმ., შავია. კანი საკმაოდ სქელია; ხორცი საკმაოდ მკვრივია. მარცვლის კანი ვიტინით ნაკლებ შეფენილია.

ყურძენი მწიფდება ნოემბრის დისაწყისიდან.

ავილურის ვაზი იძლევა უხვ მოსავალს და მისგან მასობრივი ხასიათის წითელი ღვინო დგება. სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გაჩენამდე ავილური ფართოდ ყოფილა გავრცელებული მაღლარის სახით წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონებში. ამჟამად მხოლოდ თითო-ორი ვაზილაა გადარჩენილი.

ხ ა რ ი ს თ ვ ა ლ ა (ბოჯისთოლა)

ზრდადამთავრებული ფოთლის ფირფიტა განიერ-ოვალური მოყვანილობისა, საკმაოდ დანაკვეთილია; გვხვდება ღრმად დანაკვეთილი ფოთლებიც. ფოთლის ზემო ამონაკვეთი მეტწილად ღიაა, მომრგვალოფუძიანი

და ღირისმავარი მოხაზულობისაა. ქვედა ამონაკვეთი ნაკლებადაა შეჭრილი. ფოთლის უნწის ამონაკვეთი ელიბსური შოყვანილობისაა. კიდურ-
 შიგლით



სურ. 39. ავშილური.

ჩები ერთმანეთზე გადადის. ფირფიტის ქვედა მხარე უხვადაა შებუსული, ზედა მხარე დანაოკებულია.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსური და ფართიანი მსხვილი მტევნის სიგრძე 14—17 სმ. აღწევს, სიგანე 9—11 სმ. მტევანი აგებულია საშუალო სიკუმისაა. მტევნის მხრები სიგრძით ზომგერ მსხვილ ნახევარს აღწევს. მარცვლი მოყვანილობით მომრგვალო, მსხვილი და ბოლომომრგვალებულია. მსხვილი მარცვლის სიგრძე 20—23 მმ.-ს და სიგანე 19,8—22,8 მმ.-ს აღწევს. მარცვლის კანი მუქი ვარდისფერი და სქელია. მარცვლის ზორცი მკვრივი და ნაკლებ წვნიანია. მარცვლის ჭერქი ვიტინით ნაკლებად შეფენილია. მარცვლი შეიცავს 2—3 წიბწას, უფრო ხშირად კი ორს. ყურძენი მწიფდება ნოემბრის დასაწყისს.

მსხვილი მარცვლების და ლამაზი მტევნების გამო ეს ჯიში სუფრის ყურძნად ითვლება. ამჟამად ხოჯისთოლა ძალიან ნაკლებად გვხვდება. სამეგრელოს ხარისთვლი რაჭაში დაკული ხარისთვლა (დოდრელაბი!) უნდა იყოს, ან და, ადგილობრივი პირობების ზეგავლენით საკმაოდ მოდიფიცირებულია.

ც ა ნ ა ფ ი თ ა

მტევანი საშუალო სისხოსი ან მომსხო, ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობის, საკმაოდ მერხერია. მარცვლი მომცრო, შავი, ნაკლებ-ზორციანი და უხეწვნიანია. მტევნის ყუნწს სიმაგრე ნაკლებად აბასიათებს; მოსავალს ჯარი საგრძობლად აზიანებს: ასეთ შემთხვევებში მტევანი ცვივა. ყურძენი მწიფდება სექტემბრის მეორე ნახევარში.

ფილოქერის და სოკოვან ავადმყოფობათა გაჩენამდე ცანავითა საკმაოდ გავრცელებული ჯიში იყო სენაკის და მარტვილის რაიონებში მაღლარის სახით; მისგან სართელედ მაქარს ამზადებდნენ. ხმარობდნენ აგრეთვე სუფრის ყურძნად. ამჟამად ცანაფითა გვხვდება მხოლოდ რამდენიმე ვაზის სახით ცხაკიას და გეგეჭკორის რაიონების ზემო მხარეებში.

ა. გუგული თმთარუკინიანი ვაზის ჯიშები

თმთარი კაშვრი

გურიის თეთრ ჯიშთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია თეთრი კაშვრი, იგი გვხვდება იმერეთშიაც.

ვაზი ხასიათდება ძლიერი ზრდით. ნორჩი ფოთოლი ღია-მწვანეა და დაფარულია მთლიანად მონაცრისფრო ბუსუსით. ფოთლის ყუნწი დაფარულია თხელი ბუსუსით. ზრდადასრულებული ფოთოლი ფორმით მომრგვალოა, მისი სიგრძე აღწევს 22,3 სმ. და სიგანე 21,5 სმ. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღირისმაგვარია, მახვილი ან წამახვილებული ფუძით, ან ღირისებრია. ფოთლის ზემო ამონაკვეთი ძლიერ ღრმადაა ჩაჭრილი, ან საკმაოდ ჩაჭრილია; გვხვდება აგრეთვე ღირისებრი ამონაკვეთები მახვილი ან წამახვილებული ფუძით. ფოთლის ქვემო ამონაკვეთი საკმაოდ ჩა-



ჭრილია. ძირითადი ნაკვთი სამია, მეორადი ნაკვთები არ ახასიათებს. ნაკვთის წვერის კბილაკები სამკუთხისებრია ამოზნექილი გვერდებით; გვხვდება აგრეთვე მომრგვალო სამკუთხედისებრი ან ხერხებილა სამკუთხედისებრი კბილებით. ფოთლის ქვედა მხარე თექ-ნაბდისებრია, ზემო მხარე ბაღისებრად დანაოკებულია; გვხვდება აგრეთვე სწორ-ზედაპირიანი ფოთლები. ნორჩი ფოთლები მომწვანოა, მრგვალია და თლად დაფარულია მონაცრისფრო ბუმბლით.

ყურძენი შეთვალვას იწყებს სექტემბრის შუა რიცხვებიდან. მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის ბოლოს. მოზრდილი მტევნის ყუნწის სიგრძე 7—9 სმ. აღწევს; მტევნის სიგრძე 19—21 სმ.; სიგანე 11—13 სმ.; მტევანში 100—120-მდე მარცვალია. მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსურია. მტევანს ახასიათებს დატოტვა; მხრების სიგრძე მტევნის ნახევარს აღწევს. მტევანი თხელია; გვხვდება საშუალო სიმკვრივის მტევნებიც. მტევნის ყუნწი კლერტიითურთ ბალახმავარია და მწვანეა. მარცვლის საჯდომი ბალიში დაბეჭეებულია და განიერ-კონუსურია. მარცვალი ღერუკაზე მაგრადაა მიმაგრებული. მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე 18,2 მმ. აღწევს, სიგანე—15,3 მმ. ფორმით ოვალურია ან მოგრძო, შუა წელი უფრო განიერია. ნაყოფის ბოლო მომრგვალებული და სიმეტრულია. მარცვალი მომწვანოა, მზის მხრიდან მოყვითალო ქარვისფერია, სქელკანიანი და ხორციანი, ნაკლებ წვნიანი; სასიამოვნო ტკბილი გემოსია. ვეტიანი კანზე მცირეა. მწიფე ყურძენში შაქარი აღწევს 18,5—19%—დღე; სიმკვარე 7—8 პრ. ნაყოფში—1—4 წიპწაა. ვაზზე დატოვებული ყურძენი დეკემბრის ბოლომდე ძლებს; დაკრეფილი გაზაფხულამდე ინახება. ახასიათებს კარგი მოსავლიანობა. როგორც სასუფრო ჯიში, საყურადღებოა. ჭრაქს საკმაოდ უძლებს, ნაცარი კი საგრძნობლად ენებს. ფილოქსერის და სოკოვან ავადმყოფობათა შემოსევამდე ეს ჯიში მასობრივად იყო გავრცელებული მაღარებად, შენობების აივნებზე ან მარნებში ხეივანის სახით. ამჟამად თეთრი კამურე შენარჩუნებულია თითო-ორიოლა ძირის სახით, როგორც ზემო, ისე ქვემო გურიის ზეგან ადგილებში.

გ ა ლ ა ზ ი

მტევანი მომცრო, დატოტვილი, მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსური, ან კონუსური; აგებულებით საკმაოდ თხელია. მარცვალი საშუალო სისხოსი, მომრგვალო მოყვანილობის, სრული სიმწიფის დროს შექი-ვარდისფერია. ჩენწო სქელია, სოოცი მკვრივი, ოღონდ საკმაოდ წვნიანია. მარცვალში 3—4 წიპწაა. ყურძენი მწიფდება ნოემბრის პირველ რიცხვებში.

მტევანში მარცვლები უთანაბროდ მწიფდება. გურიის პირობებში ყურძენი ვაზზე გაზაფხულამდის ძლებს.



ამ ჯიშიდან გურიაში ძირითადად ბადაგს ამზადებდნენ და მოსავლი-
 ან ჯიშად ითვლებოდა. სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გავრე-
 დე ბადაგი შეტად გავრცელებული იყო როგორც ზემო, ისე ქვემო-
 აში. ამჟამად ამ ჯიშის ნამყენი ვაზები ბაღებში გვხვდება.

ს ა კ მ ე მ ე ლ ა

სინონიმი: საკმიელა.

მტევანი მომცრო, მოყვანილობით ცილინდრული, ზოგჯერ ფრთია-
 ნია, აგებულიებით საშუალო სიკუმსის, ზოგჯერ მეზერია. მტევნის ყუნწი და
 მარცვლის ღერუკა მომწვანოა. მარცვალი მომცრო ან საშუალო სიდიდის,
 მოყვანილობით მრგვალია. სრული სიმწიფის დროს მომწვანო-ვარდისფე-
 რია. მარცვლის კანი თხელია, ხორცი ნაკლებად მკვრივი და საკმაოდ
 წვნიანია. მარცვალში 1—2 წიპწაა. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის დასა-
 წყისს.

საკმიელა მოსავლიან ჯიშად ითვლება და გურული ჯიშებიდან ყველაზე
 ადრეული მოწიფით ხასიათდება. ძველად გურიაში ამ ჯიშს სუფრის ყურ-
 ძნად ხმარობდნენ. და ღვინოდ იშვიათად იყენებდნენ. ეს ჯიში გავრცელე-
 ბული იყო დასავლეთ გურიის ზეგან ადგილებში. ამჟამად საკმეველას რამ-
 დენიმე დამყნაილი ვაზიღა გვხვდება.

თეთრი ვაზი

ვაზი ხასიათდება საშუალო ზრდით. მტევანი შეთვალვას იწყებს
 1—5 სექტემბრიდან, მასობრივ სიმწიფეში კი შედის სექტემბრის 25-დან.
 მოზრდილი მტევნის ყუნწის სიგრძე 3,5—4,5 სმ. აღწევს; მტევნის სიგრძე
 9—11 სმ. უდრის, სიგანე—6,8 სმ.; მტევანში 65—80 მარცვალია. მტევ-
 ნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსურია და თხელია; გვხვდება საშუა-
 ლო სიკუმსის მტევნებიც. მტევნის ყუნწი და კლერტი ბალახმავარია და
 მომწვანოა. მარცვლის ყუნწის სიგრძე ბალიშით 4—7 მმ. უდრის, ფერად
 მწვანეა; საჯდომი ბალიში საკმაოდ დამეჭქეებულია და განიერ-კონუსურია.
 მარცვალი საკმაოდ მკიდროდ არის მიმაგრებული ღერუკასთან. მსხვილი
 მარცვლის საშუალო სიგრძე 14,5 მმ. აღწევს, სიგანე—14,4 მმ.; საშუალო
 მარცვლის საშუალო სიგრძეა 12,8 მმ., სიგანე—12,4 მმ.; მარცვალი შუა
 წელში უფრო განიერია, ნაყოფის ბოლო შორგვალეულია. მარცვალი
 ფერად ღია-მომწვანოა, თხელკანიანია, ნაკლებბოროციანია და შეტად წვნი-
 ანია. მარცვლის კანი ვიტინით ნაკლებადაა დაფარული. წვენში შაქრის რა-
 ოდენობა 17—17,5% აღწევს; სინეაფე 11,5—12პრ. ნაყოფში 1—3 წიპწაა.

ვაზზე დატოვებული ყურძენი დეკემბრამდე ძლებს, თუმცა ჭენება;
 დაკრეფილი ყურძენი შესანახად არ ვარჯა—ადრე ღვება. ტრანსპორტს
 ვერ იტანს. საღვინედ დაბალხარისხოვან მასალას იძლევა; ამიტომ მისი
 ცალკე დაყენება მიზანშეწონილი არ არის; ღვინო არ ენახება; საკუბავე

მასილად ან ოჯახში მოსახმარად გამოდგება. მასობრივი გავრცელება ამ ჯიშს არც ძველად ჰქონია. ამჟამად მხოლოდ ორიოდ ძირილა მოიპოვება მალღარის სახით ჩოხატაურის რაიონში სოფ. კონხარში და ხშირად ცხმაში.

ბ. გურული წითელყუბინიანი ვაზის ჯიშები

ჩ ხ ა ვ ე რ ი

ვაზი ხასიათდება საშუალო ზრდით. ზრდამოთავებული ფოთოლი ფორმით მორგველია; სიგრძით 16,8—18,4 სმ. აღწევს. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი უფრო მეტად ღირისმაგვარია, ბრტყელი ან ფუქემომრგვალებულია, გვხვდება აგრეთვე ღირისებრი ამონაკვეთით, ჩაღრმავებული ან კვადრატული ფუძით. ფოთლის ზემოამონაკვეთი მცირედ ჩაჭრილია, ფოთლის ქვემო ამონაკვეთი ოდნავ ჩაჭრილია, იშვიათად გვხვდება საგრძნობლად შეჭრილიც. ნაკვეთი სამია, მეორადი ნაკვეთები არა აქვს. ნაკვეთის წვერის კბილაკები უფრო ხშირად სამკუთხედისებრია მომრგვალებული წვერით; გვხვდება აგრეთვე სამკუთხედისებრი ან ამოზნექილი გვერდებით და წამახვილებული წვერით ან ხერხმაგვარი სამკუთხედისებრი ცალგვერდ-ჩაზნექილი. ფოთლის ქვემო მხარე თქ-ნაბდისებრია, ზემო მხარე გლუვია; გვხვდება აგრეთვე ბადისებრად დანაოქებული ზედაპირის მქონე ფოთლები. ფოთლის ზედაპირი ბრტყელია; გვხვდება აგრეთვე ძაბრივით მოზრილი ან ნაპირებით ქვემოთ ჩამოშვებული ფოთლები. მთავარი ძარღვები შებუსულია; ფერად ღია-მწვანეა, ფუძესთან კი წითელ-ღვინისფერია. ფოთლის ყუნწის შეფარდება შუა მთავარ ძარღვთან 1—1,2 უდრის; გლუვი და მოწითალო ღვინისფერია. ხშირად ფოთლის ნაპირები ზემო მხრიდან შეფერილია ყვითლაგ. ყვავილობას იწყებს 4-ლ ივნისიდან; ახასიათებს ყვავილის მცირედი ცვენა. ნორჩი ყლორტები მწვანეა, ხასიათდება იმავე ფერის ოდნავი ზოლიანობით, თბილად დაფარულია ნაცრისფერი ბუმბულით. შემოსული რქა საშუალო სისხოსია.

მტევანი გურიის პირობებში შეთვალვას იწყებს პირველ სექტემბრიდან. მასობრივ სიმწიფეში შედის 25 ოქტომბრიდან. დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე 5—7 სმ.-ია. მტევნის სიგრძე უდრის 12—15 სმ., სიგანე 9—15 სმ.; მტევანში 60—90 მარცვლია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე უდრის 5,5—7 სმ.; მტევნის სიგრძე უდრის 10—12 სმ. და სიგანე 7—8 სმ.; მარცვლების რაოდენობა უდრის 40—50 ცალს. მტევნის საერთო ფორმა უფრო მეტად ცილინდრულ-კონუსურია, გვხვდება ცალფრთიანი მტევანი. მტევანი თხელია, თუმცა მოიპოვება აგრეთვე საშუალო სიკუმსის მტევნებიც. მტევნის ყუნწი ბალახმაგვარია და მუქ-მომწვანოა. მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით აღწევს 5—7 მმ., ფერად მწვანეა. ბალიში დამტკეპებულია, ვიწრო კონუსურია; გვხვდება აგრეთვე განიერკონუსური (ღისკოსმაგვარი) ბალიშიც. ნაყოფი საჯდომზე მეგრად არის მიმაგრებული.

შსხელი მარცვლის საშუალო სიგრძეა 13,5 მმ., სიგანე—13,2 მმ. საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძეა 11 მმ., სიგანე—10,8 მმ. მარცვალი საშუალო სიდიდისაა ან ოდნავ მცირეა; თითქმის მრგვალია. მარცვლის მწკრივში უფრო განიერია, ზოლო მომრგვალებული და სიმეტრიულია; მარცვალი მუქი წითელვარდისფერი, საკმაოდ სქელკანიანი, ხორციანი და



სურ. 40. ჩხავერი.

ტკბილია. მარცვალი შეფერილია ვიტინის საკმაო რაოდენობით, 1931 და 1932 წლის შემოდგომაზე ჩატარებული ანალიზების მიხედვით შეიფე-

ყურძენში შაქრიანობა 22,2% აღწევდა, მუვიანობა კი—10%, ნაყოფში 1—4 წიპწია. ყოველ ას მარცვალში ერთწიპწიანია—24%, ორწიპწიანი—58%, 3 წიპწიანი—14%, 4 წიპწიანი—4%. ამგვარად, ნაყოფში მეტად გვხვდება 2 წიპწი. 1934 წლის შემოდგომაზე ჩატარებულმა მასობრივი ზეზი შემდგ სურათს იძლევა: შაქრის რაოდენობა 18%—19%, სიმკვრივე 9,3%. ყოველ ას მარცვალში 180 წიპწია; მათი საერთო წონა 6,04 გრამს უდრიდა.


ადგილობრივი მოსახლეობა მეტად დიდად აუხანებს ჩხავერს, ვინაიდან საინტერესო საღვინე მასალას იძლევა. სიმაკრიო 12 გრადუსამდე ღვინო დგება ღია ვარდისფერი და სიძველის ხანაში ბუკეტს ივითარებს. ვაზზე დაუყრეფავად დატოვებული ყურძენი იანვრამდე ძლებს, დაკრეფილი კი გაზაფხულამდე ინახება. ერთი ძირი ვაზის საშუალო მოსავალი ერთნახევარ—ორ კილოს აღწევს (დაბლარზე). მტევნის საშუალო წონა 200 გრამამდეა. კრაქს საკაოდ უძლებს. ნაცარი დიდად ვნებს. ფილოქსერის და სოკოვან ავადმყოფობათა გაჩენამდე ეს ჯიში მასობრივად იყო გავრცელებული მაღლარების სახით გურიის თითქმის ყველა რაიონში.

ამჟამად ჩხავერი შენარჩუნებულია თითო-ოროლა ძირის სახით როგორც მაღლარად ისე დაბლარად. მაღლარების სახით ჩხავერი გვხვდება გურიის უფრო მაღლობ ადგილებში. საბჭოთა მეურნეობის ტრესტის მიერ ამჟამად სოფელ ბახვში მოეწყო ჩხავერის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც უსათუოდ გაამართლებს იმედებს. მაღლარების სახით ჩხავერი საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიპოვება აქარაში, კერძოდ ქედის რაიონში. ზოგი სპეციალისტის აზრით ჩხავერი შამპანური წარმოებისთვის გამოსადეგ მასალას მოგვცემს.

შ ა ნ ი

ვაზი ხასიათდება საშუალო ზრდით. ზრდადამთავრებული ფოთლის საერთო მოხაზულობა მომრგვალოა. ფოთლის ფირფიტის სიდიდე საშუალოა. მასი სიგრძე აღწევს 16,7—20, სმ., სიგანე 15,5—20 სმ., ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ლირისებრია წამახვილებული ფუძით, ან თალინებრია გაბრტყელებული ფუძით; გვხვდება აგრეთვე უკუკვერცხისებრ—ამონაკვეთიანი, მცირეოდენ ჩაჭრილი. ფოთლის ზემო ამონაკვეთი ან ლირისებრია მომრგვალო ფუძით, რომლის ნაპირები მიახლოებულია ურთიერთზე, ან პარალელური ნაპირებიანი და მომრგვალო ფუძიანია. ამონაკვეთის ფუძეზე ზოგ შემთხვევაში გვხვდებით კბილაკს. ფოთლის ქვემო ამონაკვეთი ოდნავ ჩაჭრილი, მახვილ ფუძიანია. ნაკვეთების რაოდენობა სამია. მეორადი ნაკვეთები არა აქვს. წვერის ნაკვეთი ბლაგვკუთხიანია, იშვიათად სწორკუთხიანი; ნაკვეთის წვერის კბილები მომრგვალო, სამკუთხედისებრია ან სამკუთხედისებრი ამოზნექილ გვერდებიანი და წამახვილებულ წვეროიანია. გვხვდება აგრეთვე მომრგვალო სამკუთხედისებრი ან მომრგვალო ზერბ-

კბილისმაგვარი. ფოთლის ქვემო მხარე თექ-ნაბდისებრია. მისი ზედა მხარე
 გლუვია. ფოთლის ზედაპირი ბრტყელია ან იშვიათად ძაბრის მოყვანილო-
 ბისაა. მთავარი ძარღვები ოდნავ შებუსუსლო, ღია-მწიანია. ფოთლის
 ზედაპირის
 სურათი



სურ. 41. ჯანი.

წითელი ღვინისფერია. ფოთლის ყუნწი ტიტველია ან ძლიერ მკირვდ შე-
 ბუსუსლია. ღია წითელი ღვინისფერია.

ნორჩი ყლორტები მოწითალო-მომწვანო ფერისაა, ოდნავ დაკუთხუ-
ლია და ყავისფერ ზოლებიანია, საკმაოდ დაფარულია ნაცრისფერი ზემ-
ბლის მაგავსი ბუსუსით, რაც თანდათანობით ეცლება რქის წიწწიდან
პერიოდში. შემოსული რქა საშუალო სისხოსი, ღია-წაბლისფერია. ^{საშუალო}
მოწითალოა; ოდნავ დაფარულია მონაცრისფრო ბუსუსით. მუზლები უფრო
ქუდად შეფერილია.

ყვავილი ორსქესიანია; ყვავილობას იწყებს ივნისის დამდეგს.

გურიის პირობებში ყურძენი შეთვალვას იწყებს სექტემბრის პირ-
ველი რიცხვებიდან; მასობრივ სიმწიფეში შედის 25 ოქტომბრიდან. მოზრდი-
ლი მტევნის ყუნწის სიგრძე უდრის 5,5—8 სმ., მტევნის სიგრძე 9—13 სმ.,
სიგანე 7—11 სმ. მტევანზე 40—70 მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნ-
წის სიგრძე აღწევს 5—8 სმ.; მტევნის სიგრძე 7—10 სმ., სიგანე—6—7 სმ.
მარცვლების რაოდენობა ერთ მტევანზე აღწევს 25—30 ცალს. მტევანს
დატოტვა ახასიათებს; კუფხლები მტევნის სიგრძის თითქმის ნახევარს აღ-
წევენ. მტევნის ფორმა ცილინდრულ-კონუსურია, ფრთიანია, გვხვდება აგ-
რეთვე დატოტვილიც. მტევანი უფრო მეტად თხელია, არის საშუალო სი-
კუმის მტევნებიც. მტევნის ყუნწი თითქმის გახვეებულია და ფერად ღია-
მომწვანოა. მარცვლის ღერუკა ბალიშით საშუალოდ 5—8 მმ.-დ აღწევს.
ბალიში მეტად დამეჭვებულია ან განიერ-კუნუსურია (დისკოს მაგვარია).
მარცვალი ღერუკას ძნელად სცილდება. მარცვალი საშუალო სიდიდისაა,
სიგრძით 13,7 მმ. და სიგანით—12,5 მმ. აღწევს. ფორმით ოვალური, იშ-
ვითად მომრგვალოა, შუა წელში განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს,
ფერად მოშავოა. მარცვალი სქელკანიანია. ახასიათებს მცირედი ფიფქიან-
ობა. მეტად ხორციანი, ზრახუნა და საღებია; ახასიათებს ოდნავი სიმ-
წკლარტე და მცირედი წვნიანობა.

1931 წლის შემოდგომაზე ჩატარებული ანალიზების მიხედვით მწიფე
ყურძენში შაქრიანობა 22,2%-ს აღწევდა, მჟავიანობა 9,1%-ს, 1932 წელს
შაქრიანობა—23,5% და მჟავიანობა—10,5% უდრიდა, 1933 წელს შაქრის
რაოდენობა 22,5% და მჟავიანობა 7,5% უდრიდა; წიბწის რაოდენობა
ყოველ 100 მარცვალში 164 ცალს აღწევს. წიბწების საერთო წონა 8,25
გრამია. წიბწის რაოდენობა მარცვალში 1—4 ც. აღწევს. წიბწას ხორცი
ძნელად სცილდება. მოკრეფილი ყურძენი გაზაფხულამდე ინახება. რქას
მტევანი ძნელად სცილდება—საქიროებს დანას. იკრიფება ნოემბერში.

გურიის შავ ჯიშებს შორის ჯანს პირველი ადგილი უკავია, ვინაი-
დან იძლევა მაღალხარისხოვან სხეულიან ღვინოს და სახელწოდებაც „ჯა-
ნი“ აქედან მიუღია. ეს ჯიში მცირე მოსავლიანობით ხასიათდება: საშუა-
ლოდ ერთი ძირიდან მოსავალი აღწევს 1—1,5 კილოს; მცირე გამოსავ-
ლიანია. ქაქაზე დაყენებული ღვინო წითელია, უქაქოდ დაყენებული კი
ვარდისფერი გამოდის. წარსულში ყურძენს საზამთროდ საქმელად ინახა-
დნენ. სოკოვანი ავადმყოფობანი ღიდად ენებს. ავადმყოფობათა და მავნებ-

ლების განენამდე ჯანი გურიის ყველა მხარეში იყო გავრცელებული მალ-
ლარების სახით, მაგრამ ამჟამად თითქმის განადგურებულია და მალ-
ალარც კი მოიპოება. ნამყენი ჯანის თითო-ოროლა ძირი გვხვდება მხოლოდ
ლოდ დაბლარების სახით საქამბასერზე (კალაგონში) და დაბლარებზე.

ჯანის სახელწოდებითვე ოზურგეთის და ლანჩხუთის რაიონებში გავ-
რცელებულია მეტად მოსავლიანი ჯიში „ნაკა შიძის ჯანი“. როგორც
სას.-სამ. ინსტიტუტის მევენახეობის კათედრაზე გამოირკვა, ეს ვაზი ყოფილა
სამხრეთ საფრანგეთში მასობრივი ღვინოების მომცემი ჯიში არამონი.
გურიის იგი თავს კარგად გრძნობს და იმავე ხასიათის პროდუქტს იძ-
ლევს, როგორც თავის სამშობლოს ვაკე ადგილებში.

მ ბ ე ვ ა ნ დ ი ლ ი

ვაზი ხასიათდება საშუალო ზრდით. ზრდადამთავრებული ფოთლის
საერთო ფორმა—მომრგვალო ან განიერ-ოვალურია. ფოთლის ყუნწის ამო-
ნაკვეთი ღირისებრია, მახვილი ან წამახვილებული ფუძით, ან ვიწრო
ელისპურია, ზოგჯერ ოდნავ ურთიერთზე გადადებული ნაკვეთებით. ფოთ-
ლის ზემო ამონაკვეთი ღია და ოდნავ ჩაქრილია, იშვიათად ღირისებრია,
მათი ნაპირები ერთმანეთთან მიხლობებულია. ფოთლის ქვედა ამონაკვეთი
ღიაა და ოდნავ ჩაქრილია. ნაკვეთის წვერის კბილაკები მომრგვალო, სამ-
კუთხისებრია, ამოზნექილი გვერდებით და წამახვილებული წვერით. ფოთ-
ლის ქვემო მხარე ოდნავ დაფარულია მოკლებიწვიანი ბუმბლით. ზემო
ზედაპირი ბადისებრად დანაოკებულია, იშვიათად გლუვია. ფოთლის ზედა-
პირი ბრტყელია; გვხვდება აგრეთვე ძაბრის ან ღირისმაგვარი მოყვანილო-
ბისა. მთავარი ძარღვები მცირედად არის შებუხული, ღია-მწვანეა, ფო-
თის ყუნწის შეფარდება მთავარ შუა ძარღვთან 0,8—1,0 უდრის, ფო-
თის ყუნწი ტიტველია და ღია-მწვანეა.

ყვავილი ორსქესიანია. ყვავილობა იწყება მაისის ბოლო რიცხვები-
დან (გურიის ზეგან ადგილებში) და გრძელდება 10—12 დღეს.

ყურძენი შეთვალვას იწყებს 4—5 სექტემბრიდან. მასობრივი სიმ-
წიფე იწყება 25 ოქტომბრიდან. დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე უდრის
6—8 სმ.; მტევნის სიგრძე 15—17 სმ.; სიგანე 10—12 სმ. მტევანზე 100—130
მარცვალია. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე უდრის 5—7 სმ.; მტევნის
სიგრძე 12—14 სმ.; სიგანე 9—12 სმ. მტევანზე 80—100 მარცვალია. მტევ-
ნის საერთო ფორმა არასწორ განიერ-კონუსურია, დატოტვილი, თხელი ან
ოდნავ კუმსია. მათი საშუალო წონა 200—300 გრამია. მტევნის ყუნწი გა-
ხვილებულია და ფერად მომწვანოა; ბალიში ოდნავ შეყვითლებულია. მარ-
ცვლის ღერუკის სიგრძე საჯდომი ბალიშით 5—9 მმ. აღწევს, ფერად
მწვანეა. ბალიში დამეკვებულია და ვიწრო კონუსურია, გვხვდება დისკოს
მაგვარი ბალიშიც. მარცვალი საქდევს ძნელად სცილდება. მარცვალი საშუ-
ალო სიდიდისა (13—15. მმ.), უფრო ხშირად ოვალური, შუა წელში უფ-

რო განიერი, ბოლო მომრგვალებული, სიმეტრული, შავი, საკმაოდ სველი
კანიანი. ხორცი საკმაოდ წვნიანი და მკვრივია. ხორცი შეფერილია კანი
ოდნავ დაფარულია თიფქით (ცვილი).

საქართველოს
საქართველოს
საქართველოს



სურ. 42 მტევანდი.

1931 წ. შემოდგომაზე ჩატარებული ანალიზების მიხედვით მწიფე
ყურძენში შაქრიანობა 23,2% უდრიდა, მცვეიანობა კი 9%⁰; 1932 წ. შე-
მოდგომაზე ჩატარებული ანალიზების მიხედვით შაქრიანობა 23,5% უდ-
რიდა, საერთო მცვეიანობა კი 10,5%⁰. ერთ წიპწიანი მარცვალ შეადგენ-
და 68%⁰; ორ წიპწიან 32%⁰. წიპწის რაოდენობა ნაყოფში უდრის 1—2
ცალს. 1934 წ. შემოდგომაზე ჩატარებული ანალიზები შემდეგ სურათს იძ-
ლევა: შაქრის რაოდენობა 21,1%⁰; სიმკვავე—9,6%⁰; წიპწის რაოდენობა
ყოველ ას მარცვალში 154; მათი წონა უდრიდა 9,5 გრ. გურიისი ყურ-

ძენი დაუკრეფავად ვაზზე დეკემბრის ბოლომდე ინახება. დაკრეფილი ყურძენი გაზაფხულამდე ინახება. მტევანი რქას ძნელად სცილდება, საკროებს დანას. გურიაში მტევანდიდი იკრიფება ნოემბერში.

მტევანდიდის მოსავლიანობა საშუალოზე მეტია (ერთ ძირზე 25-30 კილო). კარგად მოვლილი ვაზი ხასიათდება საკმაოდ დიდი მოსავლიანობით, იძლევა ადგილობრივი მნიშვნელობის თავისებურ, საინტერესო ლეინოს. ურატის გამძლეა, ნაცარი კი ძლიერ დიდად ვნებს. მტევანდიდი მალლარების სახით თითქმის აღარ მოიპოვება, გვხვდება მისი დაბლარები ნაპყენის სახით, ხნოვანებით 20-22 წლისა საქამიასერსა და დაბლაციხეში.

ს ხ ი ლ ა თ უ ბ ა ნ ი

ვაზი ხასიათდება ძლიერი ზრდით. ზრდამოთავებული ფოთოლი მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია. ფოთლის ყუნწის ამონაყვეთი ლირისმაგვარია, ფოთლის ზემო ამონაყვეთი ღიაა და მცირედად ჩაჭრილია. გვხვდება აგრეთვე დახურული ამონაყვეთი. ძირითადი ნაკეთების რაოდენობა—სამია; გვხვდება საესებით დაუნაკეთავი მთლიანი ფოთლებიც. ნაკეთების წვერის კბილაკები სამკუთხედისებრი ან ვიწრო სამკუთხედისებრია—წაგრძელებული წვერით; მოიპოვება აგრეთვე სამკუთხედისებრი კბილაკები ამოზნექილი გვერდებით და წაშახვილებული წვერით. კბილაკები ხშირად შეფერილია ყვითელ-მომწვანოდ. ფოთლის ფერფიტის ქვედა მხარე თქ-ნაბდისებრია; ზედა მხარე გლუვი და დანაოკებულია; ფოთლებზე გვხვდება აგრეთვე წვრილი ბუშტისებრი ამოზურცვა. ფოთოლი მოყვანილობით ზოგჯერ ძაბრმაგვარ-ლარისებრი ფორმისაა. მთავარი ძარღვები შებუშბულია, ღია-მომწვანო ფერისაა და ფუძესთან ღია ვარდისფერს ან წითელ-ღვინის ფერს ღებულობს.

ყვავილი ორსქესიანია. ყვავილობას იწყებს ივნისის პირველ რიცხვებიდან.

ყურძენი შეთვალვას იწყებს 23-25 აგვისტოდან. მასობრივ სიმწიფეში შედის 15 ოქტომბრიდან. მოზრდილი მტევნის ყუნწის სიგრძე უდრის 3,5-4 სმ.; მტევნის სიგრძე 13-14 სმ.; სიგანე 9-12 სმ.; მტევანზე 110-130 მარცვალა. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე 3,5-4 სმ. უდრის; მტევნის სიგრძე 10-12 სმ.; სიგანე 7-9 სმ. მტევანზე მარცვლების რაოდენობა 70-105 ც. მტევნის ფორმა ცალინდრულ-კონუსურია, იშვიათად ფრთიანია, მეტად კუმისა; მკვრივი მარცვლები ერთმანეთს აწყება და ამის გამო შეზნექილებია. მტევნის წონა საშუალოდ 300-400 გრ. უდრის. მტევნის ყუნწი ბალახმაგვარია, იშვიათად გახეცებულია, ფერად მწვანეა; მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით 5-7 მმ. აღწევს, ფერად მწვანეა. საჯდომი ბალიში დამეკვებებულია, ვიწროკონუსურია. საჯდომზე მარცვალი საკმაოდ მკიდროდ არის მიმაგრებული. მარცვალი საშუალო სიდიდისაა (სიგრძე 15, სიგანე 14 მმ.), მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია, შუა წელში

უფრო განიერი; მარცვლის ბოლო მომრგვალებული და სიმეტრიული, ფერად შავია, თხელკანიანი, ნაკლებ ხორციანი და მეტად წვნიანი. მარცვალი საკმაოდ შეფენილია ვიტინით. კანში საკმაოდ მოიპოვება მარცვლის პიგმენტი, ხორცში კი უფერულია. კანი ხორცს ადვილად სცილდება, ხორციც წიპწას ადვილად სცილდება.

1931 წელს სხილათუბნის ყურძენში შაჭრის რაოდენობა უდრიდა 21%⁰-ს, მცევიანობა კი 7,4%⁰. 1932 წელს შაჭრის რაოდენობა უდრიდა 19%⁰, მცევიანობა 9,92%⁰. 1933 წ. შაჭრის რაოდენობა უდრიდა 19,5%⁰, მცევიანობა კი 7,35%⁰. წიპწის რაოდენობა ას მარცვალში 267 ცალი იყო, მათი საერთო წონა 9,83 გრ. უდრიდა; მარცვალში უფრო ხშირად საში წიპწა გვხვდება.

გურიაში ყურძენი ვაზზე ღეკემბრამდე ძლებს, დაკრეფილი ყურძენი კი 7—10 დღის შემდეგ ლბობას იწყებს. იძლევა საშუალო ღირსების სუფრის ღვინოს მეტად მოსავლიანი და აგრეთვე გამოსავლიანი ჯიშია (ერთ ძირზე 4—5 კილო). მოსავლიანობა ყოველთვის კარგი ახასიათებს. სხილათუბანი იოლად იჩაგრება სოკოვანი ავადმყოფობით, რის გამოც მისი მალღარები (უშყნობი) თითქმის მოისპო. სოფ. ბუქისციხეში და საჭამია-სერზე (კალაგონში) გვხვდება ამ ჯიშის დაბლარად გაშენებული დამყნობი ვაზები.

დღეს არსებული დანარჩენი გურული წითელ ყურძნიანი ვაზის ჯიშები შედარებით უფრო ნაკლები ღირებულებისა არიან, სამეამად მეტად მცირე რაოდენობით გვხვდებიან და ამიტომ მათ აღწერასაც უფრო ნაკლებ ადგილს ვეთმობთ.

ა ლ ა ლ ა ს ტ უ რ ი

ვაზი ხასიათდება ძლიერი ზრდით. სრული ფოთოლი ფერად მუქ-მწვანე და საშუალო სიდიდისაა, მომრგვალო, თათმაგვარი და ზოგჯერ ოდნავ ოვალური მოყვანილობისაა.

ყურძენი შეთვალვას იწყებს სექტემბრის პირველ რიცხვებში, სრულ სიმწიფეში შედის ოქტომბრის ბოლოდან. მტეენის სიგრძე აღწევს 18—20 სმ., სიგანე 9—11 სმ.; მტეეანზე 90—120 მარცვალია. მტეენის საერთო ფორმა კონუსურია, საკმაოდ კუმსია. მტეენის საშუალო წონა 400—500 გრ. აღწევს. მტეენის ყუნწი ბალახისმავარია, მომწვანოა. ახასიათებს მუხლამდე გახევება. მტეეანი რქას ძნელად სცილდება. მარცვალი საშუალო სიდიდისაა (17 მმ. სიგრძე, 14 მმ. სიგანე), ფორმით ოვალური ან მოგრძობა, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებული და სიმეტრიული, ფერად შავია; საკმაოდ სქელკანიანია; კანი ხორცს ადვილად სცილდება. საღებავი ნივთიერება ხორცში არ მოიპოვება; მარცვალი საკმაოდ ხორციანი და წვნიანი. ნაყოფი ოდნავ დაფარულია ვიტინით. 1931 წელს შაჭრის რაოდენობა აღწევდა 21%⁰; საერთო მცევიანობა 10,5%⁰. 1932

წელს შაქრიანობა იღწევდა 20,2% და საერთო შევნიანობა 10,5 პრ. წილი
წის რაოდენობა მარცვალში იღწევს 1—2 ცალს. ვაზზე დატოვებული ყურ-
ძენი დეკემბრის ბოლომდე სძლებს. დაკრეფილი ყურძენი გაზაფხულამდე
ინახება. გურიაში ყურძენი იკრიფება ნოემბერში.

ალადასტური იძლევა საკმაოდ კარგი ღირსების სუფრის ღვინოს და
ძლიერ დიდ მოსავლიანი ჯიშია (ერთი ძირის მოსავლიანობა იღწევს
4—5 კგ.). იგი სხვა ჯიშებზე მეტად შენარჩუნებულია. კრაქი ოდნავ
ვენებს, ნაცარი კი მეტად აზიანებს, დაუმყნობელი ალადასტური მალლა-
რებად თითო-ორჯოლა ძირი გურიის თითქმის ყველა სოფელში გვხვდება,
ნამყენების სახით კი გვხვდება რამდენიმე ეგზემპლარი დაბლაციხესა და
ფარცხაში. ალადასტურის ზოგიერთ სოფელში შეგვაჩვენებს ეძახიან, მაგრამ
სათანადო გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ შავი კაბური არსებითად
ტანსხვედება ალადასტურისაგან.

ხ უ მ უ ტ ა (ჩუშუტა)

ვაზა ხასიათდება საკმაოდ ძლიერი ზრდით. ფოთოლზე მომრგვალო
და თათმაგვარი, ან გულისმაგვარია და ფერად მუქ-მწვანეა. ნორჩი ყლორ-
ტები ფერად მწვანეა ან მომწვანო-ნაცრისფერია, ახასიათებს უბვი ბუსუ-
სიანობა.

ყურძენი შეთვალვას იწყებს აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან; მასობ-
რივ სიმწიფეში შედის 25 ოქტომბრიდან. მტევნის სიგრძე 10—14 სმ. იღ-
წევს, სიგანე 5—7 სმ.; მტევანზე 85—120 მარცვალია. მტევნის საერთო
ფორმა ცილინდრულ-კონუსურია, აგებულიებით ძლიერ კუმსია, თუმცა
გვხვდება აგრეთვე საშუალო სიკუმსის მტევნებიც. მტევნის ყუნწი ბალახ-
მაგვარია და მუქ-მწვანეა. მარცვლის ყუნწის სიგრძე საჯდომი ბალიშით
5—7 მმ. იღწევს. მარცვალი ღერუკაზე მჭიდროდ მიმაგრებულია. მარცვა-
ლი საშუალო სიდიდისაა ან საშუალოზე მცირეა, მისი სიგრძეა 13,3 მმ. და
სიგანე 11,9 მმ; ფორმით თითქმის ოვალური, შუა წელში უფრო განიე-
რია; მარცვლის ბოლო მორგვალებულია და სიმეტრულია. მარცვალი ფე-
რად შავია, სქელკანიანია, ძლიერ ხორციანია და ნაკლებ წენიანია, კანი
დაფარულია მცირეოდენი ვიტინით. მარცვალში წიპწის რაოდენობა 1—4 ც.
იღწევს. 1934 წელს შაქრის რაოდენობა მარცვალში უდრიდა 19,5%
საერთო შევნიანობა 11,34 პრ. დაუკრეფავი ყურძენი გურიაში ვაზზე სძლებს
დეკემბრის ბოლომდე დაუტკნობლად. დაკრეფილი ინახება გაზაფხულამდე.
წვენის გამოსავალი მცირეა. საკმაოდ მოსავლიანია. სოკოვანი ავადმყო-
ფობანი ძლიერ ვენებს, განსაკუთრებით ნაცარი.

ჭუმუტა გავრცელებული იყო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ
გურიაში, მაგრამ ამჟამად თითქმის გადაშენებულია; მოიპოება თითო-
ორჯოლა ძირის სახით კონხარში, ამაღლებში და კალაგონში. ეს ჯიში

ყურადღების ღირსია; მისგან შესაძლებელია დამზადდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ხარისხოვანი სუფრის ღვინო.



წ ი თ ლ ა ნ ი

ვაზი ხასიათდება საშუალო ზრდით. ზრდადასრულებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და მომრგვალო, თათმაგვარი მოყვანილობისაა. ნორჩი ყლორტები ფერად ღია-მწვანე და ფორმით მრგვალია, ოდნავ დაფარულია მონაცრისფრო ბუმბლით.

ყურძენი გურიის ზემო მხარეებში შეთვალვას იწყებს სექტემბრის ათი რიცხვიდან; მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან. მოზრდილი მტევნის სიგრძე 13—14 სმ. აღწევს, სიგანე 8—9 სმ.; მტევანზე 70—80 მარცვალია. მტევნის სიგრძეა 10—12 სმ., სიგანე 7—8 სმ., მარცვლების რაოდენობა მტევანზე საშუალოდ 50—65 ცალია. მტევნის ზემო კუთხალი ზოგ შემთხვევაში აღწევს თვით მტევნის სიგრძის ნახევარს. მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსურია; ხშირია ფრთიანი მტევნებიც. მტევანი თხელია, მისი საშუალო წონა 200—250 გრამს აღწევს. მტევნის ყუნწი ბალახმაგვარია და ფერად ღია-მწვანეა. მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე 11,8 მმ. და სიგანე 11,2 მმ. აღწევს; ფორმით მორგვალოა, შუა წელში უფრო განიერია, ბოლო მორგვალებულია და სიმეტრულია. მარცვალი მუქ-წითელია, სქელკანიანია, საკმაოდ ხორციანი და წვნიანია. კანი ვიტინით მცირედ შეფენილია. შაქრის რაოდენობა მარცვალში 18,5% აღწევს და საერთო მტკაფიანობა 11,5—11,8 პრ. მარცვალში 1—3 ცალი წიბწაა.

გურიაში წითლანის ყურძენი, ვაზზე დატოვებული, დეკემბრამდე ძლებს; საკმაოდ მოსავლიანი ჯაშია. ნაცარი მეტად აზიანებს; ქრაქს შედარებით უფრო უძლებს.

წითლანიდან ამჟამად გურიაში ღვინოს არაეინ აყენებს, ვინაიდან თითო-ორიოლა ძირები-ლა გვხვდება და ისიც თითქმის განაღვურები-გზაზეა დამდვარი ფილოქსერის და სოკოვან ავადმყოფობათა ზემოქმედებით. სათანადო მოვლით შეიძლება ეს ჯიში გამოყენებული იქნეს მასობრივი მოხმარების ღვინოების დასამზადებლად ან საკუბაყე მასალად. წითლანის მალღარები გვხვდება ჩოხატაურის რაიონში სოფელ კონხარში და ამაღლებაში.

შ ა შ ი კ ა მ შ ა ი

ვაზი ხასიათდება საშუალო ზრდით. ზრდადასრულებული ფოთოლი ფერად მუქ-მწვანეა, საშუალო სიდიდისაა და ფორმით მომრგვალო ან განივ-ოვალურია.

ყურძენი შეთვალვას იწყებს ათი სექტემბრიდან და მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან. მოზრდილი მტევნის

ყუნწის სიგრძე 5—7 სმ. აღწევს. მტევნის სიგრძეა 17—19 სმ., სიგანე 9—10 სმ.; მტევანზე 75—100 მარცვლია. მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსურია, საშუალო სიკუმსიანია, საშუალო მტევანის წონა 300—400 გრ. აღწევს. მარცვლი ღერუჯაზე მეტად მჭიდროდაა მიმაგრებული. მსხვილი მარცვლის სიგრძე 17—20 მმ. აღწევს და სიგანე 14—17,5 მმ.; საშუალო მარცვლის სიგრძე 14—17 მმ. და სიგანე 13—14,8 მმ.; მარცვლი ფორმით ოვალური ან მოკრძოა, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო წაგრძელებული და სიმეტრულია. ფერად შავია, სქელკანიანია, საკმაოდ ხორციანია და წვნიანია. მარცვლის კანი ვიტინით საკმაოდ უხვადაა შეფენილი. ყურძენს ახასიათებს სპეციფიკური გემო. მარცვალში 3 წიპწია.

შავი კამურის ყურძენი, ვაზზე დატოვებული, გურიაში იანვრამდე სძლებს, დაკრეფილი ყურწენი გვიან ვაზაფხულამდე ინახება, ამიტომ ეს ჯიში შეიძლება მოშენებულ იქნეს სასუფრედ. იძლევა საკმაოდ ხალისიან, სპეციფიკური გემოვნების ღვინოს, რომელსაც ზოგიერთი შეურწე აკუბაეებს ხოლმე „აღესასთან“, ჯიანასკნელის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სოკოვანი ავადმყოფობანი, განსაკუთრებით ნაცარი დიდად ენებს. შავი კამური დაზღარების სახით არ გვხვდება, მოიპოვება მალარების სახით, ისიც თითო-ორიოლა ძირი, რომელიც გადაშენების გზაზეა დამდგარი (სოფ. ზემო ფარცხმაში, ამაღლებაში და ნოლას მიდამოებში). შავ კამურს ეძახიან ალადსტურს, რაც შეცდომად უნდა ჩაითვალოს; სინამდვილეში ეს ორი ჯიში ურთიერთისაგან ყოველმხრივ განსხვავდებიან.

მ მ მ შ რ ა

სინონიმი—მამარა.

ვაზი ხასიათდება საშუალო ზრდით. ფოთოლი ფორმით მომრგვალოა და სიდიდით საშუალოზე მცირეა.

ყურძენი შეთვალვას იწვევს ზემო გურიის მხარეში სექტემბრის შუა რიცხვებიდან, მასობრივ სიმწიფეში შედის ნოემბრის შუა რიცხვებიდან. მოზრდილი მტევნის ყუნწის სიგრძე 3—5 სმ. აღწევს; მტევნის სიგრძეა 9—12—13 სმ. და სიგანე 6—7 სმ.; მტევანზე 60—70 მარცვლია. მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსურია, აგებულია საკმაოდ კუმსია. მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე 14—15 სმ. და სიგანე 13,8—14,4 სმ. აღწევს; მარცვლი მოყვანილობით მომრგვალო, შუა წელში უფრო განიერი, ბოლო მომრგვალებულია, ფერად შავი, სქელკანიანი, საკმაოდ ხორციანი და წვნიანია, გემოთი საკმაოდ ტკბილია. გურიაში ყურძენი ვაზზე დაუჭრეფავად დაუქნობლად ინახება იანვრის პირველ რიცხვებამდე; დაკრეფილი ყურძენი კარგად ინახება ვაზაფხულამდე.

ოფიურას ახასიათებს ძლიერ კარგი მსხმოიარობა, იძლევა სასიამოვნო, ხალისიან გამძლე ღვინოს. სოკოვანი ავადმყოფობანი, განსაკუთრებით ნაცარი ძლიერ აზიანებს; ძველად გავრცელებული იყო ზემო გურიაში

მასობრივად, მაგრამ ამჟამად თითქმის განადგურებულია და ნხოლოდ რამდენიმე ძირი მოიპოვება მაღალარზე (ხილისთავის ნიდამოვებში, სოფ. მეწიეთში). ოფოურა საყურადღებოა როგორც ადგილობრივი მდივანე ლობის სასუფრე და საღვინე ვაზის ჯიში.

მცვივანი (საზარავი)

ზემო გურიის მხარეში (სოფ. ქაჭიეთში, ქვემო ფარცხმაში) მცვივანი გავცრლებულია მაღალარის სახით; იგი ნაკლებმნიშვნელოვანი ჯიშია. 1932 და 1933 წლებში ჩატარებულმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ საფერავის საბელწოდებას ხსენებული ჯიში ვერ ამართლებს, ვინაიდან შემფერავი პიგმენტი მარცვლის ხორცში უმნიშვნელო რაოდენობითაა, თუმცა კანში კი თითქმის საქმაოა. ზოგიერთი ადგილობრივი მეურნის განმარტებით „საფერავს“ ხმარობენ სხვა ღვინოებისათვის ფერის მისაცემად. საკუთრივ დაყენებული ღვინო კი მეტად მჟავე, ნაკლებ გამძლე და არასასიამოვნო სასმელია.

ზრდადასრულებული ფოთოლი ფერად მუქ-მწვანეა, მოყვანილობით განივ-ოვალური ან ოვალურია, სიდიდით მომცროა. მტევნის სიგრძეა 7,9—10 სმ., სიგანე 4—5 სმ.; მტევანში 35—40 მარცვალია. მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსურია, აგებულებით თხელია. მტევნის ყუნწის კლერტი ბალახმაგვარია და სრული სიმწიფის პერიოდში მოწითალო ფერს ღებულობს. მარცვალი, ღერუკაზე სუსტადაა მიმაგრებული. მარცვალი სიდიდით საშუალოზე მცირეა, სიგრძე აღწევს 12,8 მმ.; სიგანე 12,4 მმ., ფერად შავია, თხელკანიანია, მეტად წვნიანია, მცირე ხორციანი და საქმაოდ მჟავეა. მარცვალში 1—4 წიპწაა.

ა. აბაკაული თეთრპუკინიანი ვაზის ჯიშები.

ს ო ვ ა თ უ რ ი

ვაზი საქმაოდ ძლიერი ზრდით ხასიათდება. ზრდამოთავებული ფოთლის ფირფიტა განივ-ოვალური ან მომრგვალოა, სიგრძით აღწევს 15,6 სმ., სიგანათ 16,0 სმ. ფოთლის ფირფიტა ნაკლებად დანაკეთილია: ზემოაპონაკვეთი ზეზეური ან საშუალო სიღრმისაა, ქვემო აპონაკვეთი უფრო ნაკლები სიღრმისაა. ფოთლის ყუნწის აპონაკვეთი ღირისმაგვარი მომრგვალო ფუძიანია, აპონაკვეთთან ზოგჯერ გვხვდებოდა ღეზი. ნაკეთის ბოლო კბილაკი სამკუთხედისებრი, მომრგვალოწვეროიანია, გვხვდება გადახვეტილი მახვილი წვეროც; გვერდითი კბილაკები სამკუთხედისებრი წამახვილებულწვეროიანია, გვხვდება მომრგვალო წვეროებიც. ფირფიტის ზედა მხარე დანაკებულია, ქვედა მხარე ოდნავ შებუსუსულია. მთაჭარი ძარღვები ღია მწვანეა და ოდნავ შებუსუსულია.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსური და დატოტვილია, აგებულია მრგობრივად. მსხვილი მტევნის სიგრძე 18 სმ. აღწევს, სიგანე კი—9 სმ.; მტევნის ყუნწი და კლერტი ღია-მწვანეა. ყუნწის სიგრძე 10 სმ.

საქართველოს
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა აკადემია



სურ. 43. ხოფათური.

3—5 სმ. შუა მერყეობს. მარცვლი საშუალო სისზოხია, შუა წველში განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს. მსხვილი მარცვლის სიგრძე 16—8 მმ. აღწევს, სიგანე 14,5 მმ. მარცვლი მოწვანო-შთქარხნო ფერისაა, ღერუკასთან საშუალოდაა მიმაგრებული. მარცვლის ქანი სქელია, მარცვლის ხორცი მკვრივი და წვნიანია. მარცვლი შეიცავს 1—3 წიპწას, უფრო ხშირად ორს. ყურძენი მწიფდება ნოემბრის დასაწყისს.

ზოფათური მოსავლიანი ჯიშია, გამოსავალიც კარგი აქვს. მისი ყურძენი ტკბილი და გემრიელია. გამოსადეგია როგორც სუფრის ყურძნად (მით უმეტეს, რომ ტრანსპორტის ამტანია), ისე რიგიანი სუფრის ღვინის დასამზადებლად. დაუკრეფავი ყურძენი ვაზზე დაუქნობლად ზამთრის პირამდე ძლებს. აქარის თეთრყურძნიან ვაზის ჯიშთა შორის ზოფათური ფრიად მნიშვნელოვანი ჯიშია; ამჟამად მისი ვაზები მაღლარის სახით მრავლად მოიპოება ქედის რაიონში, აგრეთვე ხულოს რაიონის ზოგიერთ სოფელში.

კ ლ ა რ ჯ უ ლ ი

ვაზი ხასიათდება ძლიერი ზრდით. გამოლეიძებას იწყებს მარტის ბოლო რიცხვებიდან.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა, ფორმით თითქმის მომრგვალო ან ოდნავ-ოვალურია და ფერად ღია-მწვანეა. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი უფრო ხშირად მახვილ კუთხეს ქმნის და თანასწორ გვერდიანია ან მახვილკუთხიანია, ვაშლილი კიდურებით; გვხვდებით აგრეთვე ღირისმაგვარი ფორმის ამონაკვეთსაც, მაგრამ მახვილი ფუძით. ფოთლის ზემო ამონაკვეთი ღია და ნაკლებ ჩაჭრილია; არის აგრეთვე საკმაოდ ჩაჭრილი ამონაკვეთებიც. ფოთლის ქვემო ამონაკვეთი ზეზეურია; იშვიათად გვხვდება აგრეთვე საკმაოდ ჩაჭრილი ამონაკვეთებიც. ძირითადი ნაკვეთების რაოდენობა სამაა. ნაკეთის წვერის კბილაკები უფრო ხშირად სამკუთხედისებრია, წამახვილებული წვერით; გვხვდება აგრეთვე ხერხებილა სამკუთხედისებრი და წესიერ სამკუთხედისებრი კბილაკები მსხვილი წვერით. მეორადი კბილაკები უფრო ხშირად ხერხებილა სამკუთხედისებრია და წესიერ სამკუთხედისებრია. ფოთლის ფირფიტის ქვემო მხარე თითქმის ტიტველია; ზემო მხარე გლუვია ან ბადისებურად დანაკლებულია. ფოთლის ზედაპირი ბრტყელია; არის აგრეთვე ძაბრმაგვარი ღარისებრად მოხრილი ან ნაპირებით ქვემოთ ჩამოშვებული ფოთლები. მთავარი ძარღვები ოდნავ შეზუსტულია და ღია მწვანე ფერისაა. ღერწი ყავისფერია. მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი. რქას ზოლიანობა არ ახასიათებს.

ყურძენი შეთვალვას იწყებს სექტემბრის I ნახევრიდან. მასობრივ სამწიფეში შედის ოქტომბრის მეორე ნახევრიდან. დიდი მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 4,5—5,5 სმ.-მდე; მტევნის სიგრძე 15—18 სმ.-დგ;

სიგანე 10—13 სმ.-დე. მარცვლების რაოდენობა მტევანზე აღწევს 60—90 ცალამდე საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე აღწევს 3—4,5 სმ.-დე; მტევნის სიგრძე 13—14 სმ.-დე; სიგანე 9—10 სმ.-დე და მარცვლების რაოდენობა მტევანზე აღწევს 50—60 ცალამდე. მტევნის საერთო ფორმა ცილისმადრულ-კონუსურია. მტევანს განტოტვა არ ახასიათებს. მტევანი აგებულია თხელია; გვხვდება საკმაოდ კუში მტევნებიც. მტევნის ყუნწი კლურტით ბალახმავარია და ფერად მწვანეა. ზოგ შემთხვევაში მტევნის ყუნწს ახასიათებს გახეება (მუხლამდე). მარცვლის ლერჯუას სიგრძე (საჯდომი ბალიშით) აღწევს 7—8 მმ.-დე, ფერად მწვანეა; ბალიში დამეკეპებულია და განიერ კონუსურია. მარცვალი საჯდომ ბალიშზე მაგრად არის მიმაგრებული. მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 21,8 მმ.-დე; სიგანე—21,0 მმ.-მდე, საშუალო მარცვლის საშუალო სიგრძეა 19,8 მმ., სიგანე—18,9 მმ. მარცვალი მსხვილია; ფორმით თითქმის მორგვალოა; შუა წელში უფრო განიერია; მარცვლის ბოლო მორგვალეულია და სიმეტრულია. მარცვალი მოყვითალო ქარვისფერია; სქელკანიანია და საკმაოზე მეტად ხორციანია; მცირე წვნიანია და სასიამოვნო ტკბილი გემოსი. მარცვლის ზედაპირი საკმაოდ დეფარულია ვიტინით. წიპწის რაოდენობა მარცვალში აღწევს 1—4 ცალამდე; მარცვალში ორი წიპწა სქარბობს.

ვაზე დატოვებული ყურძენი სძლებს დეკემბრის ბოლომდე. დაკრეფილი ყურძენი გაზაფხულამდე ინახება. ახასიათებს დიდი მოსავლიანობა. სოკოვანი ავადმყოფობანი საგრძნობლად ვნებს.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გაჩენამდე ხსენებული ჯიში მასობრივად იყო გავრცელებული მაღლარების და ხეივნების სახით როგორც ზემო ისე ქვემო გურიაში. ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე ქობულეთის რაიონის ზემო მთის სოფლებში. მისგან ამზადდებდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის რიგიან ღვინოსაც, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მის ყურძენს საჭმელად იყენებდნენ. ავადმყოფობათა და ფილოქსერის ზემოქმედებათ კლარჯულის მაღლარები თითქმის განადგურდა. მისი ეგზემპლარები მხოლოდ თითო-ორი სახითა არის შენარჩუნებული ზემო გურიაში (ჩოხატაურის რაიონი) და აქარაში (ქედის და ქობულეთის რაიონებში); მეტი რაოდენობით კლარჯულას მაღლარები შენარჩუნებულია ქობულეთის რაიონის ზემო სოფლებში (გურიის მოსაზღვრე სოფლებში). როგორც დიდმოსავლიანი, სათვალო და საკმაოდ გემრიელ ყურძენიანი ჯიში—თითქმის აკმაყოფილებს სუფრის ყურძნის ყველა მოთხოვნილებას, რის გამო როგორც სუფრის ყურძნის ჯიშს ფართო გავრცელება უნდა მიეცეს როგორც გურიაში, ისე აქარის ქვემო რაიონებში და სუფრის ყურძნის სტანდარტთა ასორტიმენტში უნდა იქნეს შეტანილი.

ფილოქსერავამდე საძირებზე კლარჯულას ჯიშის აღსადგენად და მოსამრავლებლად ამთავითვე უნდა იქნას მიღებული გადაშვრელი ზომები,

რადგან მისი ეგზემპლიარები მოუველელობის შედეგად და ამასთანავე მოხუ-
ცებულობის გამო ყოველწლიურად იღუპებიან და სულ მოკლე დროში
ეს ჯიწი სრულიად გადაშენდება.

საქართველოს
ზოოლოგიური



სურ. 44. კლარჯული.



ვაზი საშუალო და საშუალოზე ღონიერი ზრდით ხასიათდება. დამთავრებული ფოთლის ფირფიტა მრგვალი ან ოდნავ ოვალურია. ფირფიტის სიგრძე აღწევს 176 მმ., სიგანე კი 175 მმ.; ფირფიტა საკმაოდ ან საშუალოდ დანაკეთილია. ზემოაშონაკვეთი განიერ-ელემსური მოყვანილობისაა და დახურულია. ქვედა აშონაკვეთი ღირისმაგვარი მოყვანილობის, ფუძემომრგვალებულია, გვხვდება მცირეაშონაკვეთიანი ფოთოლიც. ფოთლის ყუნწის აშონაკვეთი ღირისებრი მოყვანილობისაა, ფუძეწიშახვილებულია, გვხვდება კიდურებდახურული ამოხაკვეთებიც ელემსური ფუძით. ძირითადი ნაკვთი სამია, იშვიათად ხუთი. ნაკვთის წვერის კბილაკი სამკუთხედისებური და მეტწილად წვერომომრგვალებულია. გვერდის კბილაკები მეტწილად ხერხისებრი, კბილაკებწაწვეტებულია. ფირფიტის ზედა მხარე გლუვია, ქვედა მხარე ოდნავ შებუშმულულია.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, გვხვდება ფრთიანი მტევნებიც, აგებულებით მგზხერია. მსხვილი მტევნის სიგრძე 20 სმ. აღწევს, სიგანე კი 11 სმ. მტევნის ყუნწი სიგრძით 5 სმ. აღწევს და ღია-მწვანეა; ასეთივე ფერისაა კლერტიც. მარცვალი მოყვანილობით მოგრძო, შუა წელში უფრო განიერი, ბოლომომრგვალებული, მოყვითალო-ჭარვისფერია. მსხვილი მარცვლის სიგრძე 18,5 მმ. და სიგანე 14,6 მმ. აღწევს. მარცვლის კანი თხელია, ვიტინით ნაკლებადაა შეფენილი. მარცვლის ხორცი მეტად წვნიანი და ტკბილია. მარცვალი შეიცავს 1—3, უფრო ხშირად 2 წიბწას. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის დასაწყისს.

ჯავახეთურა საკმაოდ მოსავლიანი ჯიშია. სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით უფრო ადრე მწიფდება, — ჯავახეთურას ყურძენი უკვე დაკრეფილია ხოლმე, როდესაც სხვა ჯიშები შოლოდ სიმწიფეში შედიან. იგი ამკარად სუფრის ყურძნის ჯიშია; ადგილობრივი წარმოშობისა არ უნდა იყოს, ზოგიერთი ადგილობრივი მეურნე ჯავახეთურას „ხათუმ პერმან“-ს ე. ი. ქალის თითს უწოდებს. ეს ჯიში აქარაში სავსებით აკლიმატიზირებულია და როგორც შედარებით საადრისო სუფრის ყურძნის ჯიში დატული უნდა იქნას. ამჟამად ჯავახეთურას ასწლოვანი ვაზები მალბარის სახით მოიპოება ბულოს რაიონში სოფ. ჩაოში; ამ ვაზებთა ზოგის შტამბის ირგვლისობა 1 მეტრამდე აღწევს. ეს ვაზები მოყვლელადაც კარგად გრძნობენ თავს და საკმაოდ უზე მოსავალსაც იძლევიან.

გ ა მ ლ ა

ვაზი საშუალოზე ძლიერი ზრდით ხასიათდება. ზრდადამთავრებული ფოთლის ფირფიტა მოყვანილობით მომრგვალო ან განიერ-ოვალურია. მისი სიგრძე აღწევს 153 მმ., სიგანე 156 მმ.; ნაკლებად დანაკეთილია. ზედა აშონაკვეთი უფრო ხშირად ღიაა, გვხვდება ნაპრალისებრი ამონა-

კვეთილს. ქვედა ამონაკვეთი მეტად ზეზეურია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ფუძე-მომრგვალებული, ღირისმაგვარია. ფოთლის ფირფიტის ზედაპირი გლუვია, ქვედა მხარე საკმაოდ შებუმბულულია. მთავარი მარცვლები მწვანე და საკმაოდ შებუმბულულია.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია; ზოგჯერ დატოტვილია, აგებულებით მეჩხერია, გვხვდება საშუალო სიკუმსის მტევანიც. მსხვილი მტევნის სიგრძე 17 სმ. აღწევს, სიგანე 9,5 სმ., მტევნის ყუნწი და კლერტი ღია-მწვანეა. მარცვალი მოყვანილობით მომრგვალოა. მსხვილი მარცვლის საშუალო სიგრძე აღწევს 16—18 მმ., სიგანე 16—17,8 მმ.; მარცვალი ღია-მწვანე ან მოთეთრო და ბრჭყვიალაა. მარცვლის კანი საკმაოდ სქელია, ხორცი მკვრივი, მაგრამ მეტად წვნიანი, ტკბილი და სასიამოვნო გემოსია. მარცვალი ლერუკასთან საშუალოდ მიმაგრებულია. მარცვალში 1—4, უფრო ხშირად 2 წიპწია, ყურძენი მწიფდება ოქტომბრის შუა რიცხვებში.

ბროლა საკმაოდ მოსაყვანილია ჯიშია. გამოსადეგი უნდა იყოს როგორც მასობრივი თეთრი ღვინოების დასაყენებლად, ისე სუფრის ყურძნად. დაკრეფილი ყურძენი ზამთრის განმავლობაში კარგად ინახება, ვაზზე დატოვებული ყურძენი კი დაუქნობლად იანვრამდე ძლებს. ბროლა ნაზი ჯიშია და სოკოვანი ავადმყოფობანი ძალიან აზიანებს. ამქვემდებარე ჩენილი ვაზები გვხვდება ქედის რაიონში, მაგრამ უკვე საგრძნობლად დასუსტებულნი არიან. საჭიროა მათი დამყნა და სათანადოდ მოვლა-პატრონობა.

თეთრი კანიკაცივილინისეული

ფოთოლი ნაკლებ დანაკვეთილია. ზედა ამონაკვეთი მცირედაა ჩაკრილი, ზოგჯერ კუთხის მსგავსად შეჭრილია, ქვედა ამონაკვეთი ზეზეურია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღირისმაგვარი, ფუძემომრგვალებულია, გვხვდება მახვილფუძიანიც. ნაკვეთის წვერის კბილაკი სამკუთხედისებრია. წვერი მომრგვალო ან წაწვეტებულია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე დანაკვეთულია, გვხვდება სიბ ზედაპირიანიც; ქვედა მხარე ოდნავ შებუმბულულია.

მტევანს მხრიანობა ახასიათებს. მხრების სიგრძე მტევნის ნახევარს აღწევს. მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, აგებულებით მეჩხერია. მსხვილი მტევნის სიგრძე 25 სმ. აღწევს, სიგანე 18 სმ., მარცვალი მომრგვალოა, საშუალო ან საშუალოზე მსხვილია. მსხვილი მარცვლის სიგრძე-სიგანე 18,5 მმ. აღწევს. მარცვალი მოწითალო-თეთრია, კანი სქელია, ხორცი საკმაოდ მკვრივი და წვნიანია, გემოთი ტკბილი-სასიამოვნოა. მარცვლის ზედაპირი ვიტივით ნაკლებადაა შეფენილი. მარცვლის ლერუკას სიგრძე ბალიშითურთ 8 მმ.-ს აღწევს, ფერად ღია-მწვანეა, ბალიში დამეჭეტებული და განიერ-კონუსურია. მარცვალი ლერუკაზე საშუა-

ლოდ მიმაგრებულია. მარცვალში 1—3, უფრო ხშირად ერთი წიპწა, ყურძენი მწიფდება სექტემბრის ბოლოს—ოქტომბრის დამდეგს.

თეთრი კაიკაციშვილისეული უხემოსავლიანი ჯიშია, მტევანი მსოპა ქიანია, ერთი მტევანი მასობრივად 1 კგ. იწონის. ვაზზე დარტყვებულ ყურძენი დეკემბრის გასულამდე ძლებს. ხასიათდება სოკოვანი ავადმყოფობისადმი, განსაკუთრებით ნაცრისადმი ძალიან კარგი გამძლეობით. ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ჯიშია. ამჟამად ამ ჯიშის ვაზები გვხვდება ქობულეთის რაიონში, ძირითადადა ზემო სამებაში.

მ ი ს კ ი ე თ ა

მისკიეთის ვაზები მცირე რაოდენობით-ლა მოიპოება აჭარაში; გადარჩენილი ვაზებიც მეტად დასუსტებულია სხედასხვა ავადმყოფობით.

ყურძენი მწიფდება სექტემბრის II ნახევარში. მარცვალი მოგრძო მოყვანილობით, თითქმის საშუალო სისხოთი, მეტად სასიამოვნო გემოთი და გარკვეული მუსკატისებრი სუნით ხასიათდება. მარცვლის ხორცი საკმაოდ მკვრივია. საფიქრებელია, რომ იგი ერთ-ერთი მუსკატის წარმომადგენელია და ადგილობრივ პირობებს უკეთ შეეგუა, ვიდრე მუსკატის სხვა ჯიშები.

ამ ჯიშის დაცვა აუცილებლად საჭიროა; უნდა ვიფიქროთ, რომ აჭარის პირობებისთვის იგი ფრიად მნიშვნელოვანი იქნება, როგორც შედარებით ადრე მოსვლის, ისე ნაყოფის სასიამოვნო გემოს გამო.

ბ. ახარული წითელყურძენი ვაზის ჯიშები

ბ ა მ ი კ უ რ ა

ვაზი ძლიერ ღონიერი ზრდით ხასიათდება. ზრდადამთავრებულ ფოთლის ფირფიტა მომრგვალო მოყვანილობისაა, ნაკლებ დანაკეთილია, იშვიათ შემთხვევაში საშუალოდ დანაკეთილი. ზემო ამონაკვეთი ფუძემომრგვალებული, ღირის მოხაზულობისაა; ქვედა ამონაკვეთი ზეზეურია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ჩაღრმავებულია, ფუძე ისრისებრი ან მახვილკუთხიანია; ნაკეთის წვერის კბილაკები სამკუთხედისებრი, წაწვეტებული ან მომრგვალებულია, დანარჩენი კბილაკები უფრო მომცროა და იმავე მოყვანილობისაა. ფოთლის ფირფიტის საშუალო სიგრძე 138 მმ.-ს აღწევს, სიგანე კი 138,6 მმ., ფირფიტის ქვედა მხარე თქ-ნაბდისებრია, ზედა მხარე ზოგჯერ დანაკეტილია.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსური, მზრიანია, მსხვილი მტევნის სიგრძე 25 სმ.-ს აღწევს, სიგანე კი 12 სმ.-ს. მტევნის ყუნწის სიგრძე 10,5 სმ. აღწევს. მტევანი აგებულებით მეჩხერია და მისი ქვედა ნახევარი მეტად გათხელებულია, ზოგჯერ ამ ნაწილში მხოლოდ 5—6 მარცვალია. მტევნის ყუნწი და კლერტი ღია-მწვანეა. მარცვალი

მომსხობა; მსხვილი მარცვლის სიგრძე 18,5 მმ.-ს აღწევს, სიგანე კი 18 მმ., მოყვანილობით ოდნავ-ოვალურია, შუა-წელში განიერია, ბოლო მომრგვალებულია. ყურძენი შავია. მარცვლის კანი სქელია, მარცვლის ხორცი საშუალო სიმკვრივისა და წვნიანია. მარცვლის კანი საკმაოდ რაოდენობით შეიცავს საღებავ პიგმენტს; ვიტინით ზედაპირი ნაკლებად შეფენილია. მარცვალში 1—4 უფრო ხშირად 3 წიპწაა. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. ყურძენი ვაზზე ახალწლამდე კარგად ინახება; მოკრეფილი კი გაზაფხულამდე ძლებს.

ტაგიძურა ითვლება მეტად მოსავლიან და კარგამოსავლიან ჯიშად. ყურადღების ღირსია მისი მტეენების და მარცვლების სისხობა; რაც შეეხება მტეენის ქვედა ნაწილის გათხელებას, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კულტურულ პირობებში ჩაყენებული, დაბლარად აღზრდილი ტაგიძურას ვაზი ამ ნაკლს გამოასწორებს. ძველად ტაგიძურა დიდად ყოფილა გავრცელებული აჭარაში. ამჟამად იგი მალარის სახით გვხვდება ხუცუბნის, სამებნის, მუხაესტატეს და კვირიკეს მილამოებში. ტაგიძურას ყურძენი სასუფრედ იხმარება, მისგან დაყენებული ღვინო რიგიანად შეფერილი, ნაკლებ ექსტრაქტული და საკმაოდ სასიამოვნოა. საჭიროა ამ ჯიშის ყოველმხრივ დაწვრილებითი შესწავლა და გამოცდა.

ც ხ ე ნ ი ს ძ უ ძ უ

ცხენის ძუძუს ვაზი ძლიერი ზრდით ხასიათდება. ზრდამოთავებულ ფოთლის ფირფიტა მოყვანილობით ოდნავ ოვალურია, საშუალოდ ან ნაკლებ დანაკეთილია. ფირფიტის საშუალო სიგრძე 153 მმ. აღწევს, სიგანე 150 მმ. ფოთლის ზემო ამონაკვეთი ღია და ნაკლებად ჩაჭრილია, ზოგჯერ ამონაკვეთი შეჭრილი კუთხისმაგვარია. ქვედა ამონაკვეთი ზეზეურია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი მახვილფუძიანია და ამონაკვეთის მოხაზულობა ღირისმაგვარია. ნაკეთის წვერის კბილაკები ამოზნექილ-გვერდებიანი, სამკუთხედისებრი, წვეროწაწვეტებულია; გვერდის კბილაკები მეტწილად იმავე მოყვანილობისაა, ოღონდ უფრო მოპკოა. ფირფიტის ქვედა მხარე ნაკლებად შებუმბულულია, ზედა მხარე გლუვია.

მტეენი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, გვედება ცილინდრული მოყვანილობის მტეენებიც. მსხვილი მტეენის სიგრძე 17 სმ. აღწევს, სიგანე კი—8,5 სმ. მტეენის ყუნწის სიგრძე 3—4 სმ.-ს უდრის. მტეენი აგებულია საშუალო სიკუმის ან მოკუმსოა. მარცვალი საშუალო სისხობია. მოყვანილობით ოვალური და მოგრძოა, შუა წელში განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს. მსხვილი მარცვლის სიგრძე 20 მმ. აღწევს, სიგანე კი—15,5 მმ. მარცვალი შავია, მარცვლის კანი სქელია და საკმაოდ უზადაა შეფენილი ვიტინით, ხორცი მკვრივი და ნაკლებ წვნიანია. მარცვალში 1,4, უფრო ხშირად ერთი წიპწაა. მარცვალი ღერუკასთან საკმაოდ მკიდროდ მიმაგრებულია. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის მეორე ნახევარში.

ცხენის ძუძუ უზემოსავლიანი ჯიშია. ხულოს რაიონში სიღ. ჩიხში
ეს ჯიშში მასობრივად არის გავრცელებული და სხვა ჯიშებთან შედარე-
ბით ყველაზე უკეთ გრძნობს თავს; ასეთისავე სურათს ვხედავთ სოფ. სურფრ-
ტიოში, ალმეში, ყადიოღლიში და სხ. ყურძენი გემრიელია და, როგორც
სურფრის ყურძნის ჯიშში, აჭარისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. ისეთ სი-
მალღებზე, რომელზედაც ხულო იმყოფება, ცხენის ძუძუ საესებით ასწრებს
როგორც ყურძნის დამწიფებას, ისე რქის შემოსვლას.

კ ო ლ ო შ ი

კოლოში მეგრული ჯიშში უნდა იყოს, მაგრამ ამჟამად მისი ნარგავე-
ბი აჭარაშია.

ვაზი ძლიერ ღონიერი ზრდით ხასიათდება. კოლოშის ზრდადამთავ-
რებული ფოთლის ფირფიტა ოვალური მოყვანილობისაა, სიგრძით აღწევს
165 მმ. და სიგანით 157 მმ. დანაკვთა საშუალო ან ნაკლები აქვს. ზედა
ამონაკეთის ფუძე მახვილი, საკმაოდ ღრმა და მეტ შემთხვევაში ღიაა;
გვხვდება ნაკლებჩაქრილი და იშვიათ შემთხვევაში ფუძემომრგვალებული
ღირისმაგვარი მოხაზულობისაც. ქვედა ამონაკეთი ზეზეურია. ფოთლის
ყუნწის ამონაკეთი დახურულია, კიდურები ერთმანეთზე გადადიან, ზოგ
შემთხვევაში ჰქმნიან ელექსურ ან მომრგვალო ნაპრალს. ამონაკეთის ფუ-
ძე ვიწროა. ნაკეთის წვერის კბილაკი მოყვანილობით სამკუთხისებრი და
წაწვეტიებულია, ან იმავე მოყვანილობისა და გვერდებამოხნეჭილია. მეო-
რადი კბილაკები მომცრო და იმავე მოყვანილობისაა. ფირფიტის ქვედა
მხარე თექნადისებრია. მთავარი ძარღვები საკმაოდ შებუსუსულია და ღია
მწვანედან იისფრად გადადიან.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსური ან კონუსურია აგე-
ბულებით მეტად კუმსია. მსხვილი მტევნის სიგრძე 14 სმ. აღწევს, სიგანე
7—9 სმ.-ს შორის მერყეობს. მტევნის ყუნწის სიგრძე 5,5 სმ. აღწევს, ღია
მწვანეა, კლერტიც მწვანეა. მარცვალი მოყვანილობით თითქმის მრგვა-
ლია, შუა წელში მოგანიეროა, ბოლო მომრგვალებული აქვს. მსხვილი
მარცვლის სიგრძე 14 მმ. და სიგანე 13,5 მმ. აღწევს. მარცვალი შა-
ვია. მარცვლის კანი სქელია და ვიტინითაა შეფენილი. მარცვლის ხორცი
მკვრივი, მაგრამ საკმაოდ წვნიანია. მარცვალში 1—4, მეტწილად კი ორი
წინაა. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის II ნახევარში.

კოლოში მეტად მოსავლიანი ჯიშია და გამოსავალიც კარგი აქვს.
თუმცა ამ ჯიშზე დაკვირვებანი ნაკლებ მოგვეპოება, მაგრამ მათ საფუძ-
ველზედაც შეიძლება დავასკვნათ, რომ კოლოში საესებით კარგი ღვინის
ჯიშია და საჭაროა მისი ხელახლა შეტანა კულტურაში. ამჟამად კოლო-
შის თითო-ორიღა მალღარი ვაზი გვხვდება ხულოს და ქედას რაიონებში.



ბათომურას ვაზი საშუალო ღონისაა. ფოთოლი საშუალო ^{ცილინდრის} ან მომკროა. ფოთლის ფირფიტა ოვალური ან განივ-ოვალურია, თითქმის მთლიანია, ყოველ შემთხვევაში ნაკლებ ჩაქრილია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ბრტყელფუძიანია და მონახულობით ღირისმაგვარია. ნაკვეთის წვერის კბილაკი მოყვანილობით სამკუთხედისებრი, წვერწამახვილებული, ზოგჯერ წვერმორგვალეზულია. მეორადი კბილაკები იმავე მოყვანილობისაა. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე დანაოქებულია, ქვედა მხარე ოდნავ შეზუსტულია.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულია, გვხვდება ცილინდრულ-კონუსურიც. მსხვილი მტევანი სიგრძით 16 სმ. აღწევს, სიგანით 10 სმ. აგებულებით საშუალო სიკუმსისაა. მტევანის ყუნწის სიგრძე 4,5 სმ. აღწევს, ფერად მწვანეა, კლერტიც მწვანეა. მარცვალი მოყვანილობით ოვალურია, შუა წელში უფრო განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს; მსხვილი მარცვლის სიგრძე აღწევს 21,5 მმ.-დე სიგანე 19,5 მმ.-დე. მარცვალი მუქ-წითელია. კანი სქელია, ვიტინით ნაკლებად არის შეფენილი. მარცვლის ხორცი წვნიანია; შემფერავი პიგმენტი კანში საკმაოდ მოიპოვება. მარცვალში 1—3, უფრო ხშირად ორი წიბოა. ყურძენი მწირფდება ოქტომბრის II ნახევარში.

ბათომურა უხვმოსავლიანი ჯიშია და საყურადღებოა, როგორც სუფრის ყურძნის ვაზი; ამ ცხრივ აქარის ერთ-ერთ საუკეთესო ჯიშად უნდა ჩაითვალოს. ბათომურა ადგილობრივი ჯიში არ უნდა იყოს, მაგრამ შემოტანის შემდეგ კარგად შეგუდება ადგილობრივ პირობებს, რასაც სოფ. ხუცუბანში ამ ჯიშით გაშენებული მალლარები ადასტურებს. ქობულეთის რაიონში გვხვდება თეთრი ბათომურაც; შესწავლის შემდეგ გამოირკვა, რომ იგი ლაბრუკას ჰიბრიდია და ბათომურასთან საერთო არა აქვს რა.

ლ ი ვ ა ნ უ რ ა

ლივანურას მტევანი საშუალო სიკუმსის ამ მეჩხერია, მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსური, ზოგჯერ უფორმოა. მსხვილი მტევანი სიგრძით 16 სმ., და სიგანით 11 სმ. აღწევს. მარცვალი მოყვანილობით ოვალურია, შუა წელში განიერია და ბოლო მომრგვალებული აქვს. მსხვილი მარცვლის სიგრძე 16,5 მმ. აღწევს, სიგანე—15,8 მმ. მარცვალი შავია; კანი სქელია და ვიტინით ნაკლებად შეფენილია. მარცვლის ხორცი მკვრივი, მაგრამ საკმაოდ წვნიანია. მარცვალში 1—4, მეტწილად კი ორი წიბოა. ყურძენი მწირფდება ოქტომბრის II ნახევარში. ტკბილი და სასიამოვნო გემოსია.

ლივანურა მეტად უხვ მოსავლიანი ჯიშია და ამ მხრივ ადგილობრივ ჯიშთა შორის მეტოქე თითქმის არა ყავს. მკვიდრი მოსახლეობის გადმოცემით ეს ჯიში მათ მამაპაპებს ლივანიდან შემოუტანიათ. ამჟამად იგი მეტი რაოდენობით მალღარების სახით გვხვდება ქედას რაიონში, ალიქოლლის მიდამოებში. აქარის ზოგიერთი რაიონისათვის ლივანურა საუკეთესო ჯიშს წარმოადგენს.

ჯ ი ნ ე შ ი

ჯინეში მუქ-ვარდისფერი ყურძნის ჯიშია. მტევანი მოყვანილობით კონუსური ან ცილინდრულ-კონუსურია; მტევანს ხშირად აქვს მხრები. აგებულებით საშუალო სიკუმსის ან მეჩხერია. მსხვილი მტევნის სიგრძე 15 სმ. აღწევს, სიგანე 7 სმ. მარცვალი საშუალო სისხოსი და მორგველო მოყვანილობისაა. მტევნის სიგრძე 16 და სიგანე 15,5 მმ. აღწევს. მტევნის ყუნწის სიგრძე 2,5 მმ. აღწევს. მარცვალი ღერუკასთან სუსტადაა მიმაგრებული. მარცვლის კანი სქელია და ვიტინით ნაკლებად შეფენილია. ხორცი საკმაოდ მკვრივია. მარცვალში 1—4, უფრო ხშირად სამი წიპწაა. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის II ნახევარში.

ჯინეში საკმაოდ მოსავლიანი ჯიშია, გამოსადეგია როგორც მასობრივი მოწითალო ღვინოების დასაყენებლად, ისე საჭმელად, მით უმეტეს, რომ ზამთარში კარგად ინახება. კრაქი საკმაოდ აზიანებს და ამ ვაზის გადარჩენილ ძირებს დალუბვა მოელის, თუ სათანადო აგროტექნიკური ზომები დროზე არ იქნება მიღებული.

ა ლ მ უ რ ა

ალმურა მეტად უხვმოსავლიანი ვაზის ჯიშია, გამოსავალიც დიდი აქვს. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში. მტევანი მოყვანილობით ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსურია, აგებულებით კუმსია. მსხვილი მტევნის სიგრძე აღწევს 15 სმ., სიგანე—ზედა ნაწილში 14,7 სმ. მარცვალი მოყვანილობით მორგველოა, სიგრძე-სიგანე 13—15 მმ., ფერად შავია, კანი საშუალო სისქისაა, უხვადაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის ხორცი მეტად წვნიანია, შეიცავს 1—4, უფრო ხშირად სამ წიპწას. ადგილობრივი მოსახლეობა ალმურასაგან ბეჭმეს ამზადებს; საფიქრებელია, რომ მასობრივი წითელი ღვინოების დასამზადებლად ალმურა საესეებით გამოადგება.

აფხაზური ვაზის ჯიშები

აფხაზეთის ვაზის ჯიშები ნაკლებად არიან შესწავლილი და მათ შესახებ ძალიან ცოტა მასალა მოიპოება. აფხაზეთის მევენახეობა ბევრით წააგავს საქართველოს დანარჩენი ზღვის სანაპირო რაიონების მევენახეობას და მანაც დალუპვის ისეთივე პროცესი განიცადა. აქაც ეფები მოიკიდა

იზაბელის (ადესა) კულტურამ, ადგილობრივი ჯიშები კი აქე-იქ გადარჩნენ. ამჟამად მიღებულია ზომები აფხაზეთის მევენახეობის აღსადგენად როგორც მევენახეობის ძირითად რაიონში, როგორცაა გულაფლის რაიონი, ისე ნაწილობრივ სხვა რაიონებშიც.

აფხაზეთს საკუთარი ადგილობრივი ჯიშები საქაოდ დიდი როდენობით ჰქონდა; გადარჩენილია კიდევ რამდენიმე ათეული ჯიში, მაგრამ ზოგი ჯიში სულ ორიოდვე ვახსლა მოითვლის და თუ მოკლე ხანში არ იქნა დაცული, საბოლოოდ დაიღუპება (მაგ. ამლახუ, აეიკვაცა, აბსუაეი და სხ.). აფხაზეთშივე გვხვდება უცხოეთიდან შემოტანილი და ადგილობრივ გადანათვლილი ჯიშები; ამჟამად ძალიან ძნელია მათი ორიგინალობის ცხადყოფა, იმდენად ბევრი ცვლილება განიცადეს მათ ადგილობრივი პირობების ზეგავლენით (მაგ. ატურკუეი, აგშიბი და სხ.). გარდა ამისა, ერთიდაიგივე ჯიშები გვხვდება სამეგრელოს და აფხაზეთის მეგრულ სოფლებში და ძნელია თქმა თუ სადაურია ჯიში — აფხაზური თუ მეგრული, მაგ. ახარდანი-ხარდანი, აპაინაე-პაპუნია და სხ.

ქვემოლ ვათაფსებთ რამდენიმე უფრო საინტერესო ჯიშის მოკლე აღწერას და ძირითადად ვეყრდნობით ავრ. თ. კვარაცხელიას მასალებს. იგი სოხუმის საცდელ სადგურში ბუშაობის დროს შეეცადა შეეგროვებია და შეესწავლა აფხაზეთის ტერიტორიაზე გაშენებული ადგილობრივი ჯიშები¹.

ა. აფხაზური თეთრპურიანი მარცხის ჯიშები

ა ბ უ რ კ ე ე

ზრდადამთავრებული ფოთლის ფირფიტა საშუალო სისხისი, მორგვალო მოყვანილობისა და მეტწილად დაუნაკეთებია. ფოთლის ფირფიტის ზედაპირი ძაბრისმაგვარია, ზედა მხარე გლუვია, ქვედა მხარე კი შეფენილია აბლაბუდის მსგავსი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი დაბურულია და კიდურები ვიწრო ნაპრალსა ჰქმნიან. ნაკეთის ბოლო კბილაკი წაგრძელებულ-სამკუთხოვანია. გვერდითი კბილაკები უთანასწორო სამკუთხედისებრია. ფოთლის ყუნწი ფირფიტის მთავარ ძარღვზე მოკლეა.

მეტეანი საქაოდ მსხვილია, სიგრძით 22,4 სმ. და სიგანით 10—14 სმ. აღწევს. მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, აგებულიებით კუმისია. მარცვალი მომსხოა, სიგრძით 16—18 მმ. აღწევს, მოყვანილობით ოვალურია, მწვანე-მოყვითალოა და თხალადაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის კანი თხელია, მაგრამ საქაოდ მაგარია. მარცვლის ხორცი წვნიანი, ოდნავ მომეაგო, თავისებური სასიამოვნო გემოსია, შეიცავს 1—3 წიპწას. ყურძენი მოიწევა სექტემბრის გასულს.

¹ Кварцхелиа Ф. К.—К изучению Абхазских сортов винограда, 1934 г.

ატურკეტი აფხაზურად თურქულსა ნიშნავს და გადმოცემით ეს ჯიში ძველ დროში შემოუტანიათ ოსმალეთიდან. საშუალო მოსავლიანი ჯიშია. სოკოვანი ავადმყოფობისადმი საშუალო გამძლეობა აქვს. ღვინოსა ჩალისფერ, მეტად სასიამოვნო ბუკეტიან, ჰარმონულ ღვინოს იძლევა. საერთო მცავეანობა ღვინოში 6 % უდრის; ყურძენში კი შაქრიანობა აღწევს 21% და საერთო მცავეანობა 7,5%. აფხაზეთის ადგილობრივ თეთრი ყურძნის ჯიშთა შორის ატურკეტი საუკეთესო ვაზის ჯიშად ითვლება და ჯიშ ამლახუსავით ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული აფხაზეთის მცვენახეობაში.

ა ბ ა ნ ი რ ხ ვ ა

მტევანი მოყვანილობით ცილინდრული ან კონუსურ-ცილინდრულია, ზოგჯერ მხარი უფითარდება. სიგრძით 18 სმ. აღწევს, სიგანით 9 სმ. მტევანი აგებულებით საკმაოდ კუმსია. მარცვალი მოყვანილობით ოვალური, სიგრძით აღწევს 17 მმ., ყვითელ-მომწვანო და ვიტინით უხვად შეფენილია. მარცვლის კანი თხელი, მაგრამ საკმაოდ მკაფია. მარცვლის ზორცი წვნიანი, სასიამოვნო გემოსია, შეიცავს 1—3 წიბწას. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის მეორე ნახევარში. ნაცარს ვერ უძლებს.

ავასირხვა საკმაო მოსავლიან ჯიშად ითვლება. იძლევა საკმაოდ ენერგიულ, სხეულიან, მოჩაღისფრო სუფრის ღვინოს. იგი ერთ-ერთ საუკეთესო თეთრ აფხაზურ ჯიშად ითვლება.

ა ბ ი ხ თ ა შ ი

მტევანი საშუალო სისხოსი, მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსური, აგებულებით მეჩხერია. ხშირად მხარი უფითარდება. მარცვალი ოვალური მოყვანილობის, საშუალო სისხოსი, ყვითელმომწვანო ფერისა და შეფენილია ვიტინით. მარცვლის კანი საკმაოდ სქელია. მარცვლის ზორცი საკმაოდ წვნიანი, სასიამოვნო გემოსია, შეიცავს 1—2 წიბწას. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის დასაწყისს.

აბისტატი ითვლება მოსავლიან და უხვგამოსავლიან ჯიშად. მისი წვენი სიტკბოს და სიმკვავის შეფარდება აგრ. თ. კვარცხელიას საბუთს აძლევს მიგვითითოს იმაზე, რომ ამ ჯიშიდან შესაძლებელი იქნება ხარისხოვანი პასტერიზებული ყურძნის წვენის დამზადება.

ბ. აფხაზური წითელშუპრქინანი ვაზის ჯიშები

კ ა ბ ი შ ი

კაკიქის ფოთოლი სამ ან ხუთნაკეთიანია. ფირფიტის ზედა მხარე მობრქვეილო, მუქმწვანეა, ოდნავ აბურცულია, ქვედა მხარე შებუსულია აბლაბუდის მსგავსად. ფირფიტის ზედა ამონაკვეთი საშუალო სიღრმისა,

ლია, მახვილფეხიანია; ქვედა ამონაკეთები ზეზეურია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი მომრგვალო ფუძიანი, ღიაა, ზოგჯერ დახურულია და კვერცხისმაგვარი ნაპრალი აქვს.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, ზევიანა-კვერცხისმაგვარი საკმაოდ განვითარებულია. აგებულებით საშუალო სიკუმისაა. მსხვილი მტევანი სიგრძით 23 სმ. აღწევს, სიგანით 12 სმ. მარცვლის ღერუკა სიგრძით 8 მმ. აღწევს; ბალიში კონუსური მოყვანილობისაა. მარცვლი მოყვანილობით მრგვალია, საშუალო სისხოსი, უხედაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის კანი თხელი, მაგრამ საკმაოდ მკვრივია. მარცვლის წვნიანი ხორცი უფერულია, შეიცავს 1—3 წიპწას.

ზოგიერთ ცნობების მიხედვით კაქიკი ყირიმიდან შემოტანილი ჯიშია. რამდენად შეეფერება ეს ცნობა სინამდვილეს, ჯერ გამოურკვეველია. ამჟამად კაქიკი აფხაზეთში ყველაზე გავრცელებული ჯიშია; აფხაზეთის მევენახეობის ცნობილ—გულაუთის—რაიონში ნარგავები იზაბელის შემდეგ ძირითადად კაქიკისაგან შესდგება.

კაქიკის ყურძენი მწიფდება ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. ყურძენი იზმარება წითელი სუფრის ღვინოების დასამზადებლად. ღვინო რიგაინი ხარისხისა დგება.

ა მ ლ ა ხ უ

ფოთლის ფირფიტა თითქმის მთლიანია, ქვედა მხრიდან შეფენილია აბლაბუდისმაგვარი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი მრგვალოფუძიანი და ღიაა, ზოგჯერ კიდურები ერთმანეთს ეხება და კვერცხისმაგვარ ნაპრალს ქმნის.

ყვავილები დედრობითი სქესისაა.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსურია, იშვიათად დატოტვილია; აგებულებით ზოგჯერ მოკუმისაა; ყოველ შემთხვევაში მტევანის სიკუმსე დამოკიდებულია ამ ჯიშის ყვავილების გარეშე მტკვრით განაყოფიერებისგან. მტევანი სიგრძით აღწევს 20 სმ., სიგანით 10 სმ. მარცვლი საშუალო სისხოსი, ოვალური მოყვანილობისაა, მეტად ჭრელი შეფერვისაა: ერთსადაიმავე მტევანზე გვხვდება მარცვლების გარდამავალი ფერები წითლიდან მუქ-ლურჯამდე. მარცვლის დიამეტრი 17—18 მმ. უდრის; ხორცი წვნიანი, უფერული და ტკბილია; მარცვალში 1—2 წიპწაა. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. საშუალო მოსავალს იძლევა. ძველად აშლახუს რთველი ნოემბერ-დეკემბერში, ზოგჯერ თოვლის შემდეგ იყო ხოლმე.

აშლახუ წინათ საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული გულაუთის მევენახეობის რაიონში; სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელების შემდეგ კი, რომელთა წინააღმდეგ აშლახუს ნაკლები გამძლეობა ახასიათებს, ამ ჯიშის ვაზების დიდი რაოდენობა დაიღუბა; დღეს გადაჩენილია

შეტად მცირე რაოდენობა. აფხაზეთის ზოგიერთი რაიონისათვის ამლახვის განსაკუთრებული ღირებულება აქვს; ყოველმხრივ რიგიან სუფერის ღვინოს იძლევა; 1923 წ. საკავშირო გამოფენაზე დაქაზნიკებულსა და ნიშნულსა საკმაოდ მაღალი ბალით შეფასდა. საჭიროა ამ ჯიშის ყოველმხრივ შესწავლა, მით უმეტეს აფხაზეთის პირობებში.

ა გ ბ ი შ ი

მტევანი საშუალო სისხოსი, ცილინდრული მოყვანილობის, ზოგჯერ მხრიანია, აგებულებით საკმაოდ კუმსია. მარცვალი მომრგვალო, საშუალო სისხოსი, შავია, შეფენილია ვიტინით. მარცვლის კანი თხელი, მაგრამ საკმაოდ მაგარია. მარცვლის ხორცი მკვრივია და სრული სიმწიფის შემდეგ წვნიანი ხდება. ყურძენი მწიფდება სექტემბრის გასულს.

აგბიეი საკმაოდ მოსავლიანი ჯიშია. სოკოვან ავადმყოფობებს ნაკლებად უძლებს. იძლევა მუქად შეფერილ, სხეულიან ღვინოს, რომელიც სასიამოვნო ბუკეტით, საკმაოდ დიდი ალკოჰოლით ხასიათდება. აგბიეის ღვინო, ისე როგორც ამლახუსი, 1923 წ. საკავშირო სას.-სამ. გამოფენაზე საკმაოდ მაღალი ნიშნით შეფასდა.

ა ბ ა პ ი ნ ა შ ი

ზრდადამთავრებული ფოთოლი მოყვანილობით მორგვალო, თითქმის უნაკვთოა, სიგრძე-სიგანით 13--14 სმ. აღწევს. ფოთლის ყუნწის ამონაკვითი ფუძემომრგვალებული და ღიაა. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარე თბილად არის შებუსხული აბლაბუდისმაგვარი ბუსუსით, ქვედა მხარე კი მეტად უხვადაა შეფენილი თეთრი ბუსუსით.

ყვავილები დედრობითი სქესისაა.

მტევანი მოყვანილობით ცილინდრულია, სიგრძით 18 და სიგანით 12 სმ. აღწევს. მტევნის ყუნწი მოკლეა. მარცვალი მრგვალი; შავი, თხელკანიანია, უხვადაა შეფენილი ვიტინით. მარცვლის სისხო—18—20 სმ. აღწევს. მარცვლის ხორცი წვნიანი და უფერულია, შეიცავს ერთ-ორ წიპწას. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის გასულს.

აპაპინაეი უხვმოსავლიანი ჯიშია; ნაკლებ დაფერილს, ნაკლებ ალკოჰოლიანს, მაგრამ საკმაოდ სასიამოვნო ღვინოს იძლევა. ვაზი ხასიათდება, როგორც ვადმოგვცემენ, განსაკუთრებული გამძლეობით სოკოვან ავადმყოფობებისადმი. აპაპინაეის მერველები პაპუნისა უწოდებენ; ნამდვილად არ ვიცით, აფხაზურია ეს ჯიში, თუ სამეგრელოდანაა შეტანილი.

ა კ ა ბ ი ლ ი

ზრდადამთავრებული ფოთოლი მორგვალო და ნაკლებ დანაკვეთილია. ზედა ამონაკვითი ნაკლები ან საშუალო სიღრმისაა, ქვედა ამონაკვითები კი არა აქვს. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე უხვადაა შეფენილი

აბლაბუდისმაგვარი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ფუძეგანიერო-
და ღიაა. ფოთლის ყუნწი მოკლეა და სიგრძით ფოთლის მთავარი ძარღ-
ვის ნახევარს უდრის. მტევანი კონუსური მოყვანილობისაა, ზედა მკვეთრად
კარგად განვითარებულია; მტევნის სიგრძე 15—18 სმ. და სიგანე 12—
15 სმ. შუა მერყეობს. აგებულებით საკმაოდ კუმსია. მარცვლი თითქმის
ოვალური მოყვანილობის, საშუალო სისხოსი, შავ-მოლურჯოა. ვიტინით
ნაკლებად შეფენილია. მარცვლის კანი თხელია, ხორცი წვნიანი და უფე-
რულია; შეიცავს 1—2 წიბწას. ყურძენი მწიფდება ოქტომბრის გასულს.
სოკოვან ავადმყოფობისადმი საკმაოდ გამძლეობას იჩენს. აკაბილი ითვლება
საკმაოდ მოსაგლიან ვაზის ჯიშად; როგორც გადმოგვეყვინ, იძლევა სხეუ-
ლიან, რიგიანად დაფერილ, სასიამოვნო პუკტიან ღვინოს.

ხ უ პ ი შ ი შ ი

ზრდამოთავებული ფოთლის ფირფიტა მოყვანილობით მომრგვალოა
და თითქმის შთლიანი ან ნაკლებ დანაკვეთილია. ფირფიტის ქვედა მხარე
თბლად შეფენილია თხელი აბლაბუდისებრი ბუსუსით. ფოთლის ამონაკ-
ვეთი დახურულია, კიდურები კმნიან კვერცხისმაგვარ ან ვიწრო ნაპრალს.

მტევანი საკმაოდ მსხვილია, სიგრძით აღწევს 22 სმ., სიგანით 12 სმ.,
მოყვანილობით ცილინდრულ-კონუსურია, აგებულებით საკმაოდ კუმსია.
მარცვლი მრგვალი მოყვანილობისა, შავია; სიგრძე-სიგანე უდრის 15 მმ.
მარცვლის კანი საკმაოდ სქელია, ვიტინით ოდნავად დაფენილია. მარცვ-
ლის ხორცი წვნიანი და უფერულია; შეიცავს 2—3 წიბწას. ყურძენი
მწიფდება ოქტომბრის მეორე ნახევარში.

ხუპიეში უხვმოსავლიანი ჯიშია, თითქოს რიგიანად უძლებს სო-
კოვან ავადმყოფობებს და საკმაოდ პარმონულ სასიამოვნო წითელ ღვი-
ნოს იძლევა.

V. საძირისადმი წაყენებული მოთხოვნები

მას შემდეგ, რაც ჩვენ ვენახებს ფილოქსერა მოედო, ფილოქსერამო-
დებულ რაიონებში ვაზის კულტურა საკუთარ ფესვებზე, თუ არ განსაკუთ-
რებულ ეკოლოგიურ პირობებში, შეუძლებელი გახდა.

ფილოქსერასთან ბრძოლის ყველაზე უკეთეს მეთოდად, როგორც
თავის დროზე აღვნიშნეთ, მიჩნეულია ევროპული ვაზის დამყნა
ფილოქსერის გამძლე ვაზებზე, და ამგვარად, ევროპული ვაზის ისეთ
ფესვთა სისტემაზე დაყრდნობა, რომელიც ფილოქსერის ზეგავლენით არ
იღუპება. ფილოქსერის მიერ ვაზის დაზიანების მიზეზები და ფილოქსე-
რის ბიოლოგია ამ შრომის მეოთხე წიგნში უფრო ფართოდ იქნება გან-
ხილული, აქ კი ძირითადად განვიხილავთ საძირე ვაზების იმ თავისებუ-
ლებებს და მოთხოვნებებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდნენ ფართო



პრაქტიკაში საძირედ გამოყენებული ფილოქსერის გამძლე ვაზები და, საერთოდ საძირეთა ასორტიმენტს.

საძირე ვაზს მოეთხოვება:

- 1) ადაპტაცია (რაც შეიძლება ფართო),
- 2) აფინიტეტი,
- 3) ფილოქსერისადმი გამძლეობა (პრაქტიკული),
- 4) ავადმყოფობებისადმი გამძლეობა (პრაქტიკული),
- 5) იოლი დაფესვიანება,
- 6) კალუსის იოლი წარმოშობა,
- 7) ვეგეტატიური პერიოდის დროულად მოთავება,
- 8) სამყნობად გამოსადეგი ლერწის უხვი მოსავლიანობა.

ა დ ა პ ტ ა ც ი ა

ადაპტაციის სახელწოდების ქვეშ საერთოდ იგულისხმება მცენარის, ამ შემთხვევაში საძირე ვაზის, რეაქცია ვარე პირობებზე. ცნობილია, რომ საერთოდ ბუნებაში მცენარე იმდენად ოპტიმალურად ვითარდება, რამდენადაც მისი გარემო—ეკოლოგიური—პირობები მისთვის ხელსაყრელია. ამერიკული ვაზები თავის სამშობლოში მხოლოდ იმ რაიონებში ვითარდებიან კარგად, სადაც მათთვის საჭირო ოპტიმალური ეკოლოგიური პირობებია, სხვა ქვეყნებშიც, სადაც სხვა ეკოლოგიური პირობებია, მათი ზრდა-განვითარება იცვლება; და რამდენადაც ახალი პირობები ნაკლებ შესაფერი იქნება, იმდენად მოსალოდნელია მათი ზრდა-განვითარების მეტი ცვლილება და ამასთან დაკავშირებით ვაზის ზოგერთი თავისებურების შეცვლა. შეჯვარების შედეგად ხელოვნურად შექმნილი საძირე ჰიბრიდებიც მხოლოდ გარკვეულ ეკოლოგიურ პირობებში გრძობენ თავს კარგად და ამიტომ მათი გამოყენებაც მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ადგილობრივ პირობებს.

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად გამოდგება საძირედ ამერიკული ვაზის ესათვის სახეობა, წინასწარ საჭიროა გეოგრაფიული ნარგავების მოწყობა და დაკვირვება; თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკული ვაზის სახეობანი ამჟამად იმდენად შესწავლილია, რომ თუ ადგილობრივი პირობები საკმაოდ გამომკვლავებულია, ანალოგების მიხედვით შეიძლება შეუცდომლად გადაწყვიტოთ, თუ რამდენად გამოდგება იგი საძირედ გარკვეულ ეკოლოგიურ პირობებში. იმავე მეთოდს შეიძლება დავეყრდნოთ იმ შემთხვევაშიც, თუ საძირედ იხმარება ამჟამად პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებული ჰიბრიდები, რომელნიც მეტ წილად F_1 თაობას ეკუთვნიან; მაგრამ რაც შეეხება ახლად შექმნილ ჰიბრიდებს, მით უმეტეს რთულ ჰიბრიდებს, რომლებშიც ხშირად ჩაქსოვილია მრავალფეროვანი ბიოტიპები და რომლებიც კომბინირებულ ახალ ფორმას წარმოადგენენ, ან F_2 და F_3

თაობებს, აქ ანალოგების მეთოდზე დამყარება საკმარისი არ იქნება, ამ შემთხვევაში სავალდებულოდ უნდა მივიჩინოთ მათი წინასწარი გამოკვლევა და ადგილობრივ შესწავლა.

სიხლოების შესახებ

ადგილობრივი გარემო-პირობებიდან უფრო მკვეთრ გავლენას ახდენს კლიმატური ელემენტები და ნიადაგები. რადგან ეს ფაქტორები ურთიერთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული, ამიტომ მათი გავლენა ვაზზე კომპლექსურია, მაგრამ საკითხის გასაანარტივებლად საჭიროა მათი ცალკე განხილვა, დასკვნის გამოტანა კი უნდა ხდებოდეს ყველა პირობის შეფასების საფუძველზე.

კლიმატური პირობების განხილვისას მხედველობაში მისაღებია ყველა ელემენტი და განსაკუთრებით კი ტენი, სინათლე, სითბო და სიცივე, ვინაიდან ესენი მკვეთრ გავლენას ახდენენ როგორც ლერწის შემოსვლაზე, რაც მყნობისას მეტად მნიშვნელოვანია, ისე შემოსული და გამოსადეგი ლერწის რაოდენობაზე. მაგ. ზოგ საძირეს სითბოს დიდი რაოდენობა ესაჭიროება და მხოლოდ ასეთ პირობებში ხდება რქის კარგი შემოსვლა, ამიტომ ასეთი საძირის გამოყენება შეიძლება მხოლოდ სამხრეთ რაიონებში; ზოგი საძირე ხასიათდება ზამთრის დიდი ყინვების ამტანიანობით ან გაზაფხულზე ნაადრევად გამოღვიძების უნარით და სხვ. თავისთავად ცხადია, რომ ყველა ამ თავისებურებას საძირეთა შერჩევის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს და შერჩევა კლიმატურ პირობებთან დაკავშირებით უნდა მოხდეს.

მიუხედავად ადაპტაციის ასეთი ფართო ცნებისა, მევენახეობის პრაქტიკაში იგი უფრო ვიწროდ ესმით; ამ შემთხვევაში ადაპტაცია ნიშნავს საძირე ვაზების ნიადაგისადმი განწყობას. მევენახეობაში ეს საკითხი ფრიად აქტუალური ვახდა ამერიკელი ვაზების საძირედ ხმარების შემდეგ რადგან გამოირკვა, რომ რამდენადაც ევროპული ვაზი ნიადაგების მხრივ ნაკლებმომთხოვნია და იოლი შეგუების უნარიანია, იმდენად ამერიკული ვაზები ამ მხრივ დიდი მოთხოვნილებით ხასიათდებიან და ცალკე ფორმები კარგად გვარობენ მხოლოდ ნიადაგის გარკვეულ პირობებში; ზოგიერთი ეკოლოგიური პირობისას ეს მოვლენა უფრო მკვეთრად ჩანს.

როდესაც ნიადაგზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ როგორც მის ფიზიკურ თვისებებს, ისე მის ქიმიურ შემადგენლობასაც. ნიადაგის ღრმად დამუშავებით, რაც ეწინააღმდეგება ნიადაგის ცალკე შრეების ქიმიური შემადგენლობა და ფიზიკური თვისებებიც, მაგრამ არა ისე მკვეთრად, რომ სრული შეცვლა ანდა ძირითადი გარდაქმნა მოხდეს, მით უმეტეს, რომ გვალვიან პირობებში ხნოვანი ვაზის ფესვთა სისტემის სიგრძე პლანტაჟის სიღრმეს ხშირად გაცილებით სპარბობს ხოლმე.

სავენახედ გამოსადეგი ნიადაგის ფიზიკურ თვისებათაგან მტკიცე-
რადღების ღირსია და ამერიკულ საძირე ვაზებზეც უფრო მკვეთრ გავლენას
ახდენს ნიადაგის კომპაქტურობა, სიმშრალე და ტენის სიჭარბე.

კომპაქტური ანუ მძიმე თიხა ნიადაგები, როგორც ცნობილია, სიათღებთან
ნაკლებიან ნაკლები ჰაერ-შემცველობით; ასეთ ნიადაგებში ენგბადის
სიმცირე შეიძლება ისე მნიშვნელოვანი არ იყოს, როგორც ნახშირორთქანის
დაგუბება, გაღიდება, ეს უკანასკნელი კი მცენარესა შხამავს; ასეთი ნიადა-
გები ნაკლები და ნელი გათბობის უნარით ხასიათდებიან, რადგან წყლის
დაკავების დიდი უნარი აქვთ. Cazeaux-Cazalet-ის და სხვების მონაცემე-
ბის მიხედვით ასეთ ნიადაგებზე კარგად ხარობენ მხოლოდ ისეთი ფორ-
მები, რომელნიც სქელბორციან ფესვთა სისტემით ხასიათდებიან, მაგ.
v. candidans, v. cinerea, v. labrusca, რადგან სწორეთ ეს ფორმები
ინვითარებენ ხორციან ფესვებს. ასეთი ნიადაგების დამუშავება ძნელია,—
წვიმიანი ამინდის შემდეგ დასაძუნველებელ იარაღებს ეკერის მიწა, ბელტები
დიდხანს დაუშლელი რჩება, უბე ნალექებიან რაიონში მოსალოდნელია
ფესვების სიღამპლის გაჩენა, ფესვების აზფიქცია, ასეთი ხასიათის კირნა-
რე ნიადაგებში კი ქლოროზის იოლად გაჩენა.

ქვიანი, იოლი და გახურებისუნარიანი მიწები, მკვეთრ გავლენას ახდე-
ნენ ვაზზე, მით უმტეს მაშინ, თუ ნიადაგის ზედა შრე თხელია, აგრეთვე
როცა ექსპოზიციის გამო ნიადაგი უფრო ადვილად ხურდება (საძირეთის
ფერდობები). ასეთ ნიადაგებში სიმშრალის ამტანიანობა დამოკიდებულია
ვაზის აგებულებაზე. ასე, მაგ. ის ფორმები, რომელნიც წვრილი გამტარი
ქურტლებით ხასიათდებიან, ფოთლები კი აქვთ მომცრო, მეტი სისქის,
წვრილი და შემბრუნებული მოხაზულობის ბაგეებით, უფრო მეტი და უკე-
თესი გვალვის ამტანი არიან (Rupestris du Lot, V. Monticola და სხ.); მაგრამ
ამავე დროს, ეს სახეობანი, Ravaz-ის დაკვირვებით, გვალვიან პირობებში
საძირედ ნაკლებ გამოსადეგია და გვალვის ნაკლებ ამტან საძირედ ითვლე-
ბიან, რადგან თავისი აგებულების გამო მათზე დამყნილ ვაზებს წყალს იმ
რაოდენობით ვერ აწვდიან, რაც სანამყენოს ხშირად სჭირია. ეს უკანა-
სკნელი თავისებურება ძირითადად უჯრედებში წყლის წნევას უნდა მიეკუთ-
ვნოს. Popovic-Lupa-ს და სხვათა გამოკვლევების მიხედვით ვიცით, რომ
სხვადასხვა vitis-ის ფორმა უჯრედებში სხვადასხვა წნევას განიცდის და,
ამასთან დაკავშირებით, ისინი წყლის დინების სხვადასხვა უნარით ხასიათ-
დებიან; ასე მაგ., რუბესტრისში ნაკლები წნევია შემწნეული, ვიდრე არამონ-
რუბესტრისში, აგრეთვე ბერლანდიერ-რიპარიაში, ბერლანდიერში და
სხვ. და სწორედ ეს უკანასკნელი ცნობილი არიან ვაცილებით გვალვი-
ამტანიან საძირეებად, ვიდრე რუბესტრისი. გვალვიანობის მიხედვით
Grimaldi-მ ვაზის ფორმები ათ ჯგუფად დაყო; ყველაზე გამძლე ფორმებს
10 ბალი მიაკუთვნა; მისი კლასიფიკაცია შემდეგია:

V. vinifera	10
V. Berlandieri	9,5
Ripariax Rupestris № 3309	9 (ფხვიერ ნიადაგებში)
" " " "	7 (მძიმე ნიადაგებში)
Rupestris du Lot, R. Metalica, R. Martin—	6—8.
Riparia gloire	4



გადამეტებული გვალვის შედეგად მოსალოდნელია ვაზის დაჰქნობა; სადაც ასეთი საშიშროება არსებობს, სათანადო საძირის და სანამყენოს შერჩევის გარდა, აუცილებელია ხელი შეეწყოს ვაზის სასიცოცხლო ფუნქციებს (სუნთქვა, ასიმილაცია და სხვ.). ამისათვის კი საჭიროა ნიადაგის დროული დამუშავება და ვაზისათვის ისეთი მოყვანილობის და განვითარების მიცემა, რომ ნიადაგი ნაკლებ ხურდებოდეს, მტვეანი ჩრდილში იყოს, აორთქლება ნაკლები იყოს და სხვ. შეტად გვალვიან და ურწყავ პირობებში, რადგან ნორმალური კვება არ იქნება, მოსალოდნელია ვაზის დაავადება ფიზიოლოგიური სნეულებებით.

წყლის ჰარბი ნიადაგების სახელწოდებით მევენახეობაში იგულისხმება ისეთი ნიადაგები, რომლებშიც წყალი ჰარბადაა ნიადაგის იმ შრეებში, სადაც ვაზის მთავარი ფესვები ვითარდებიან; მაგ. თუ რომელიმე თვეში წყალი დგება 50 სანტ. სიღრმეზე, ასეთ ნიადაგებში ვენახის გაშენება კიდევ დასაშვებია, ოღონდ აუცილებლად საჭიროა სათანადო საძირის შერჩევა, მაგ. Solonis X Riparia № 1616, Mourved. X rupestris № 1202. საშხრეთ რაიონებში ასეთ ნიადაგებში ევროპული ვაზი საკუთარ ფესვებზე რიგიანად ვითარდება, თუმცა მაღალი ხარისხის პროდუქტს არ იძლევა და ხშირად რქის შემოსვლაც უშნელდება. უფრო წყალ-ჰარბ ნიადაგებზე ვაზის კულტურა უფრო სახიფათოა, მოსალოდნელია ფესვთა სისტემის ლობობა, ქლოროზის იოლად გაჩენა და სხვა.

ნიადაგის ქიმიური შემადგენლობიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საძირედ ხმარებული ვაზის გამძლეობა კირის მიმართ ($CaCO_3$). ევროპული ვაზები ამ მხრივ დიდი გამძლეობით ხასიათდებიან და, თუ არა გადამეტებულად მძიმე ან ტენჰარბ ნიადაგებში, ქლოროზი არ უჩნდებათ; ზოგი მკვლევარი ევროპულ ვაზს კალციკოლათა ჯგუფსაც კი აკუთვნებს. რაც შეეხება ამერიკულ ვაზებს, აქ კი დიდ სხვაობას ვხვდებით: ამერიკული ვაზის ზოგი ფორმა ნალექებით უზრუნველყოფილ რაიონში 5% კირის შემადგენლობის დროსაც კი ავადდება ქლოროზით, ზოგი კი დაუბრკოლებლივ ვითარდება მაშინაც, როდესაც ნიადაგი 60—70% კირს შეიცავს. ამერიკული ვაზების კულტურის შემოღების შემდეგ ნიადაგის შემადგენლობის საკითხებიდან არც ერთს ისეთი ყურადღება არ დაუშახურებია მევენახეობაში, როგორც კირის პრობლემას, სახელდობრ კირის გეოლოგიურ წარმოშობას, ნაერთებს, რაოდენობას, ფორმას, შრეებში განლაგებას, ფესვის მიერ გამოყოფილი სიმჟავის გავლენას და სხ. ნიადაგში

კირის რაოდენობა იმის მხოლოდ ზოგადი მაჩვენებელია, თუ რა საძირკე უნდა შეირჩეს, რადგან მარტო რაოდენობის გამოკვლევა საკითხს ვერ აშორავს; საჭიროა გამოკვლევა, თუ რამდენად აქტიურია, ტერმინული ფორმაში იყოფება იგი და, ამასთან დაკავშირებით, რამდენად მოქმედი; ჰუდაის, ტრეიცის და სხ. საენახე ნიადაგებში კირის გამოკვლევის მეთოდები დაკავშირებული იყო სწორედ ამ საკითხის შესწავლასთან. სხვათა შორის უდაოდ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ იოლადსხნადი შიშველი კირის ნაწილაკები გაცილებით უფრო აქტიურია, ვიდრე ძნელად სხნადი ანდა თიხით გარემოცული იგივე ადვილადსხნადი კირის ნაწილაკები. გარდა ამისა შემჩნეულია, რომ მშრალ პირობებში კირის ზეგავლენა გაცილებით ნაკლებ აქტიურია, ვიდრე ნალექებით უზრუნველყოფილ რაიონებში, რომ მნიშვნელობა აქვს ნიადაგის სხნადის კონცენტრაციას და სხ. ვაზის კირისადმი გამძლეობა ეკოლოგიური პირობების მიხედვით მერყეობს; თუ გარკვეულ პირობებში კირის 20% ვაზზე ზოგჯერ დამლუბველად მოქმედებს, იგივე ჯიში სხვა პირობებში შეიძლება 40% კირმაც არ დააზიანოს. სწორედ ამ მიზეზების გამო საჭიროების კირის გამძლეობას Seeliger-ი შედარებით ფართო დიაპაზონს აკუთვნებს და მას შემდეგი ტაბულა მოჰყავს:

Ca CO ₃ -ის გამძლეობის უნარი	ქლორისადმი გამძლეობა	სახეობათა და ჰიბრიდების დასახელება
25-70%	დიდი	V. vinifera, v. Berlandieri, Vinifera × Berlandieri, Vinifera × rupestris, Berland. × riparia.
15-40%	საშუალო	Vinif. × rip., Rup. du Lot, Solonis, Rip. × Rup. Rup. × Berl., Solonis × riparia.
8-20%	ნაკლები	Riparia, Rupestris-ის დანარჩენი ფორმები.
5%	ძალიან სუსტი	V. Labrusca.

ვაზი კვების დროს ავადდება არა მარტო კირის ჰარბად არსებობის შედეგად, არამედ მთელი რიგი სხვა მიზეზების გამოც; მაგ. როცა ნიადაგში არ არის რკინა, მაგნეზია, მანგანუმი, იოდი, გოგირდი და სხ., ანდა როცა კვების ეს ელემენტები არასაკმარის რაოდენობით მოიპოვებინ. ამის გამო ვაზის უჯრედის პლაზმა ავადდება, ქლოროფილის შექმნა ფერხდება, ან ქლოროფილი იშლება, ყველა ამის შედეგად კი ვაზის ფოთოლი უვითლდება—ქლოროზდება.

რადგან ქლოროზი მეტ წილად დაკავშირებულია ნიადაგის ჰარბ კირისა-ნობასთან, ამიტომ შეგვენახეობის ფართე პრაქტიკაში ქლოროზს უწოდებენ კირის მიზეზით ვაზის ჰუვანე ნაწილების გაყვითლებას. ასეთი ქლოროზის შემთხვევაში ვაზის ფოთლის და ყლორტის ზრდა ჩერდება; სიყვითლე იწყება ფოთლის ფირფიტის მთავარი ძარღვებიდან, თანდათან ვადიდის ფირფი-

ტაზე და შემდეგ მთელი ფირფიტა ყვითლდება, სნეულების ინტენსიუ-
სას მუხლშორისები ძალიან მოკლდება, ნამზარი უხვად ვითარდება, მცურავ
წვრილი რქება, ფოთლები შემდეგ თეთრდება, დაბოლოს პეტროფორის
ხმობას იწყებს და თუ სნეულება გახანგრძლივდა, ვაზი დაილუბება. ამ
დასნეულებას უფრო დაწვრილებით სახელმძღვანელოს IV წიგნში შეე-
ხებით.

როდესაც ადაპტაციაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაშია მისაღები
ნიადაგის რეაქციაც, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ საკ-
მაოდ ფართო შესაძლებლობა არსებობს და საძირე ვაზების დიდი რაო-
დენობა ეგუება 4,5—8,4 pH; მიუხედავად ამისა არ უნდა დავივიწყოთ,
რომ ნაკლებ გამოსადევ ნიადაგებში, როგორც შევე, ისე ტუტე რეაქცია
ვაზისათვის უფრო საგრძნობი იქნება.

ა ფ ი ნ ი ტ ე ბ ი

ტერმინი აფინიტეტი მევენახეთა კონგრესზე 1887 წ. მაკონში (საფ-
რანგეთი) პირველად იხმარა Couderc-იმ; ამ ტერმინქვეშ იგი გულისხმობ-
და სანამყენოსადმი საძირის შეგუების უნარს. ამჟამად აფინიტეტის სახელ-
წოდების ქვეშ იგულისხმება საძირესა და სანამყენეს შორის „პარამონული“
დამოკიდებულება; აფინიტეტი გამომდინარეობს სამყენობად აღებული ფორ-
მების ბიოლოგიური ნათესაობიდან, ამის შედეგად კი შეხორცებისა და
ურთიერთ დადებითი გავლენისაგან. რამდენათაც ეს პირობები დაცული
იქნება, იმდენად უკეთესი იქნება ნამყენის აფინიტეტი. თუ საძირესა და
სანამყენეს შორის კარგი აფინიტეტია, ნამყენი იოლად ხორცდება და სრუ-
ლი შეხორცების პროცენტი დიდია; გარდა ამისა, დამყენილი ვაზის სიცი-
ცხლის ხანგრძლივობაც დიდია, ვაზი ცხოვრობს არა ნაკლებ 40—45
წლის განმავლობაში და კარგი ხარისხის უხვ მოსავალს იძლევა. თავის-
თავად ცხადია, რომ აფინიტეტი არ უნდა გავიგოთ განყენებულად, ვინა-
იდან როგორც ეკოლოგიური პირობები, ისე ადამიანის ზეგავლენაც ვაზის
ყოფა-ცხოვრებაზე თავის დაღს ასვამს.

რაც შეეხება ნამყენის კარგ შეხორცებას, საამისოდ, ნახსენები პი-
რობების გარდა საჭიროა აგრეთვე ჯიშის შეხორცების უნარიანობის მემ-
კვიდრობით თვისებათა და ოპტიმალური გარეგნული პირობების არსე-
ბობა. გარეგნული პირობების სათანადოდ უზრუნველყოფით (სითბო, სი-
ნესტე, საკვები) საძირეს და სანამყენეს სამყენ პრილობებზე ჩნდება კა-
ლიუსი; რამდენადაც კალიუსი პრილობის ირგვლივ იოლად წარმოიშობა
და უკეთ განვითარდება როგორც საძირეზე, ისე სანამყენო ვაზზე, მით
უკეთესი შეხორცებაა მოსალოდნელი; მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღსა-
ნიშნავია, რომ შეხორცების უნარი ვაზის ჯიშებს ერთნაირი არა აქვთ;
მაგალითისათვის მოგვეყავს ობერლანშტეინში (გერმანია) მომზდარი 10
წლის დაკვირვებანი:



საძირე	ს ა ნ ა მ ე წ ე ნ ო			
	რისლინგი	პინო	სილენური	საქართველოს ენციკლოპედია
რიპარია	31,9	44,5	26,3	30,6
რიპ. X რუბ. № 101—14 . . .	29,6	27,9	31,0	29,5
სოლონის X რიპარია № 1616 .	32,7	16,9	16,3	22
მურეედ. X რუბ. № 1202 . . .	30,8	35,3	27,8	31,3
შასლა X ბერლანდ. № 41 B . .	17,2	27,2	11,6	18,7

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ერთიდაიგივე საძირეც სხვადასხვა სანამყენოსთან სხვადასხვა შეხორცების უნარიანობით ხასიათდება; ეს პერყეობა ზოგჯერ შეტად დიდია. ასეთ სურათს იძლევა ზოგადად მყნობა სახეობათა შორის; რაც შეეხება მყნობას გვარებს შორის,—აქ მოსალოდნელია უფრო ნაკლებ დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღება. მყნობას და მყნობის წარმოებას განვიხილავთ სახელმძღვანელოს შესამე წიგნში, სადაც ამ საკითხს უფრო დაწვრილებით შევხებით.

კარგი აფინიტეტობა მარტო შეხორცებით არ ამოიწურება, რადგან ცნობილია, რომ ზოგიერთი სახის შეხორცება სავესებით კარგად ხდება, მაგრამ ნამყენის შემდეგი ზრდა-განვითარება სათანადოდ არ მიმდინარეობს და ნამყენი ილუპება; მაგ., v. *rotundifolia*-ზე დამყნილი ევროპული ვაზები ამ ამერიკულ სახეობას რიგვიანათ უხორცდება, მაგრამ შეზრდილი ვაზები მოკლე ხანში ილუპება.

ამგვარად, შეხორცების უნარი სასურველი აფინიტეტობის მხოლოდ ერთ-ერთი მომენტია და აფინიტეტის პრობლემას არ ამოსწურავს.

შეხორცების უნარის გარდა, კარგი აფინიტეტისათვის საჭიროა საძირემ სანამყენო ისე კვებოს, როგორც იკვებებოდა ვაზი დაუმყნობელ მდგომარეობაში. რამდენადაც საძირის მიერ სანამყენოსათვის საკვები ნივთიერების მიწოდება შეიცვლება, იმდენად ნამყენი გაძლიერდება ან დაკნინდება და დაილუპება. საკვების დროულად მიუწოდებლობაც აგრეთვე მკვეთრ გაელენას მოასდენს ნამყენის მდგომარეობაზე. ნამყენში ამ სხვაობით გამოწვეულ ცვლილებას Winkler-ი კვებით მოდიფიკაციას უწოდებს; ამ მოვლენასთან დაკავშირებით შეიძლება ნამყენი შეტი ან ნაკლები ღონით განვითარდეს, ვიდრე უმყნობი, ცალკე ორგანოები დაუსხვილდეს ან დაუწვრილდეს, ვეგეტატური პერიოდი შეგვიანდეს ან ნაადრევად ჩატარდეს, ცალკეული ვეგეტატური პერიოდების ხანა შემოკლდეს ან გაგრძელდეს, ან დროს გადაწაცვლება მოხდეს; ყველა ამასთან დაკავშირებით

კი მოსავალი შემცირდება ან გაიზრდება, ყურძენში მეტი ან ნაკლები შაქარი დაგროვდება და სხვ.

გარდა ასეთი მარტივი მოვლენებისა, რაც Winkler-ის აზრით კვებითი მოდიფიკაციით აიხსნება, ზოგჯერ ხდება უფრო რთულ მოვლენებთან დაკავშირებული უფრო ღრმა ცვლილებანი ასე, მაგ. აღვილი აქვს ზოგიერთი სნეულების გადაცემას (ვირუსები) და სხვ. კვების მარტივი მოდიფიკაციის შედეგად მემკვიდრეობითი თვისებების შეცვლას ვაზზე შექმნილი არ არის, ოღონდ მგორე შემთხვევაში კი მოსალოდნელია უჯრედთა დაყოფის დროს ახლად ჩამოყალიბებულ უჯრედებში თავი იჩინოს ხსენებულმა მოვლენებმა და ამიტომ გავლენაც ამის შედეგი იქნება. ეს საკითხი მეტად რთულია და მას შესახებ საბოლოო და ამომწურავი მასალა ჯერ არ მოგვეპოება; მიუხედავად ამისა, ხაზგასმით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დამყნილი ვაზის ყურძნისა და ღვინის გემოზე, როგორც ყოველდღიური პრაქტიკით ვრწმუნდებით, საძირე გავლენას არ ახდენს და ნამყენი ვაზი უმყნობი ვაზის თვისების პროდუქტს იძლევა², ადაბტაციის და აფინიტეტის სათანადო პირობებში.

ზემო ხსენებულიდან ნათლად ჩანს, რომ საძირეს შეუძლია გავლენა მოახდინოს სანამყენოს კვებაზე, რასაც შეიძლება მოჰყვეს სანამყენოს მოდიფიკაცია, ზოგჯერ იქნებ საკმაოდ თვალსაჩინოც. თავის მხრივ სანამყენოსაც შეუძლია ასეთივე ხასიათის გავლენა მოახდინოს საძირეზე, ვინაიდან საძირის კვება ხდება სანამყენეს მწვანე მასით გადამუშავებული მასალით. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მოდიფიკაციას განიცდის როგორც სანამყენე საძირის ზეგავლენით, ისე საძირე სანამყენოს ზეგავლენით, მაგრამ რადგან ეს მოვლენა ძირითადად კვების მეტნაკლებობასთან არის დაკავშირებული, ამიტომ დამყნილ ვაზშიც მოსალოდნელია ამ სახის მოდიფიკაციის მოვლენები. ეს გარემოებაც მეტად მნიშვნელოვანია მევენახეობის პრაქტიკისთვის, ვინაიდან ამასთან დაკავშირებულია ვაზის ღონე, რქის შემოსვლის დრო, მოსავლის მეტნაკლებობა, ყურძნის დამწიფების ვადა და სხვ.

ზოგიერთი მკვლევარის აზრი, რომ გავლენა საძირისა სანამყენოზე მხოლოდ ისე უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ნაყოფიერი ან მწირი ნიადაგის გავლენა ვაზის ზრდა-განვითარებაზე, მეტად ცალმხრივია. საკითხი უფრო რთულია, ვინაიდან აფინიტეტობა დაკავშირებულია ვაზის რთულ ბიოლოგიურ პროცესებთან; ამავდროს აგროტექნიკური ზეგავლენაც უმნიშვნელო როლს არ თამაშობს.

² როგორც ი. ვ. მიწურინის დაკვირვებიდან ვიცით, ზოგჯერ მყნობის შედეგად შეიძლება ნამყენის ბუნება საკმაოდ შეიცვალოს. მისი განმარტებით ასეთ მოვლენებს აღვილი აქვს მასში, როდესაც ახლად წარმოშობილ ჰიბრიდს ვამყნობთ, რადგან ასეთ, ინდივიდში მემკვიდრეობითი თვისებანი ჯერ ჩამოყალიბებული არ არის. რადგან მევენახეობის ფართო პრაქტიკაში ხდება ჩამოყალიბებულ, ე. ი. იმ ჯიშთა მყნობა რომელთაც მემკვიდრეობითი თვისებანი მყარი აქვთ, ამიტომ ჯიშთა გენერატულ სხვაობას არ მოველით.

დღევანდელ მევენახეობისათვის აფინიტეტის მნიშვნელობა ჩვენ მრავალედ განვმარტეთ; მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მისი ხვედრითი წონა ვაზის ყოფა-ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია.

აფინიტეტობის გამოსარკვევად საჭიროა ხანგრძლივი და ზუსტი დაკვირვების წარმოება. საკითხის შესწავლის დაჩქარების მიზნით გამოყენებული იყო სეროლოგიური რეაქციები, აგრეთვე კრიოსკოპული მეთოდი; მაგრამ საამისო მონაცემები ცოტა მოგვეპოება და არსებული დაკვირვებანიც საქმას ამომწურავ მასალას არ იძლევა¹.

ჩვენში ფართოდ გავრცელებული საძირეები მათზე დამყნობილ სანამყნობე მეტწილად დამაკმაყოფილებელ შედეგებს იძლევიან; მაგრამ ამით ვერ დავკმაყოფილებით, რადგან ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო დამაკმაყოფილებელი, არამედ მაქსიმალურად კარგი აფინიტეტის მქონე საძირეები. ჩვენი ჯიშების აფინიტეტის შესასწავლად და ამ საკითხის დაზუსტების მიზნით მუშაობა მიმდინარეობს საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის ხაზით, მაგრამ ცდები ჯერ მოთავეებული არ არის.

ფილოქსერისადმი გამძლეობა

როგორც თავის დროზედ აღვნიშნეთ, vitis-ის არცერთი პრაქტიკაში გამოყენებული ფორმა ფილოქსერის აბსოლუტური გამძლეობით არ ხასიათდება; ამერიკული ვაზის ეს თავისებურებაც მხოლოდ შედარებითია. მართალია, ზოგიერთ ამერიკულ სახეობაში ეს თავისებურება მეტია და მევენახეობის პრაქტიკისათვის გამოდგება, მაგრამ მთელ რიგ ფორმებს ფილოქსერისადმი პრაქტიკული გამძლეობა მხოლოდ სათანადო ეკოლოგიურ პირობებში შერჩებათ ხოლმე; წინააღმდეგ შემთავებაში მათ მწერი იძენად აზიანებს, რომ ზოგჯერ დაღუპვამდის მიჰყავს. Vitis-ის მთელი რიგი ფორმები ფილოქსერას ისევე სუსტად უძლებენ, როგორც ევროპული ვაზები. ამ მიზეზების გამო თავისთავად ცხადია, რომ საძირე ვაზი აუცილებლად უნდა ხასიათდებოდეს ფილოქსერისადმი პრაქტიკული გამძლეობით.

ნორმალურად აღზრდილი და განვითარებული ფილოქსერის ზოგიერთი თაობა ვაზის ფესვზე ხორთუმით ჩხვლეტით იწვევს სიმსივნეს; იგი შედეგია ფილოქსერის მიერ ნაჩხვლეტ ადგილში გამაღიზიანებელ ტოქსიკურად მომქმედ ნივთიერების ჩაშვებისა. სიმსივნის უჯრედები მეტად ნაზი აგებულებისაა და სახამებლის ნაცვლად შაქარს და ტანიდებს შეიცავს; სიმსივნის ზედა კანი უფრო მომსხო, სახამებლის უხვად შემცველ უჯრედებისაგან შედგება. ამ შენსივნებული ნაწილიდან ფილოქსერა წვესს სწოვს და იკვებება. მწერის მიერ წარმოშობილი დიასტაზური ხასიათის

¹ Rives L. Revue de viticulture №№ 1604 და 1605, 1925 წ. Recherches sur les deperis. de certains vignes greffes.

სითხე სახამებელს და უჯრედის ცილოვან ნივთიერებას ათხელუნს და მათ იოლად გამტარს ხდის. ასეთი მოქმედების შედეგად მწერის ადგილის ვადანაცვლება არ სჭირდება და ერთ ალაგას მყოფი მისთვის საჭირო ნივთებს მეზობლად მდებარე უჯრედებიდან იღებს. მწერის მოქმედების შედეგად ვაზის ზოგიერთი ფორმის ფესვებზე სიმსივნის გამოწვევა ნაკლებად ხდება, ან უმნიშვნელოდ სივდება; ეს თავისებურება შემყვიდრობითი ხასიათისაა და ვაზის ცალკე ფორმის მიერ სათანადო საწინააღმდეგო მასალის გამომუშავების უნარს უნდა მიეწეროს. დასასრულ აღსანიშნავია, რომ ეკოლოგიური პირობები ამ მოვლენაზეც მკვეთრ გავლენას ახდენენ.

ფილოქსერისადმი გამძლეობა ამით არ ამოიწურება; საგრძნობ როლს თამაშობს აგრეთვე ფესვთა სისტემის ანატომური აგებულება, კრილომების შეხორცების უნარიანობა, ზრდის ტემპი, ქიმიური შემადგენლობა და სხვ. ფილოქსის დაკვირვებიდან ჩანს, რომ ის ფორმები, რომელთა შერქანშიც მცირე რიცხოვანი და ვიწრო გულგულის სხივები მოიპოება, მეტი გამძლეობით ხასიათდებიან, შემდეგ მილარდე და რავაზმა ცხადპყვეს, რომ დიდ როლს თამაშობს სიმსივნის ქვემოთ წარმოშობილი საფევი ქსოვილის შრეების რიცხვი. ფილოქსერის გამძლეობის უნარმოკლებული ევროპული ვაზები ერთ ან ორ, ისიც თხელ საფევის ქსოვილის შრეს ჰქონიან, მაშინ როდესაც ფილოქსერის გამძლე ამერიკულ ვაზებს სამი და მეტი, საქმოდ სქელი საფევის შრე უვითარდებათ; ამ შრეების მეოხებით დაავადებული ნაწილი იზოლირდება იარის ქვეშ მდებარე სალი ნაწილიდან, რის გამოც დაზიანება ზეზეური რჩება. გარდა ამისა, ფილოქსერის გამძლე ამერიკული ვაზები უკვე პირველ წელს და არაუგვიანეს მეორე წლისა, ფესვებზე ახალ, მეორად ქერქს ივითარებენ, მაშინ როდესაც ევროპულ ვაზებზე ეს პროცესი მესამე და მეოთხე წელს მიმდინარეობს. ამის შედეგად, ამერიკული ვაზები იოლად აიზოლირებენ დაავადებულ ნაწილებს, ევროპულ ვაზებზე კი დაავადებული ნაწილები ხანგრძლივად რჩება და დაავადება ამ ხნის განმავლობაში დაუბრკოლებლად მიმდინარეობს და ღრმავდება. ზოგიერთი ეს დებულება განმეორებით დამტკიცებულ იქნა ჩვენშიც¹.

სიმსივნის შედეგად უჯრედებში დაგროვილ ნახშირწყლებზე ვითარდებიან ბაქტერიები და სოკოები, რომელნიც შემსივნებულ ნაწილებს ხრწნიან. თუ ვაზის ფესვებზე მრავალი სიმსივნე წარმოიშვა, ფესვი ილუპება. ყველაზე მეტ აქტიობას იჩენს *Bacillus vitis* (Petri), რომელიც უფრო უკეთ ვითარდება, როდესაც საკვებ სუბტრაქტში ტანიდები მოიპოება. ევროპული ვაზის და *v. Labrusca*-ს ფესვის უჯრედებში უფრო მეტი რაოდენობით მოიპოება ტანიდები; სწორედ ვაზების ამ ფორმების ფესვები უფრო იოლად და ნაადრევად ილუპებიან.

¹ ნ. მახარაძე, სპ. ექსპ. ინ-ის შთაბეგ, 1929 წ. № 1. „მასალები ზოგიერთი კახური ვაზის ჯიშების ფილოქს. გამძლეობის შესახებ“. Абсададзе, Макаревская, Цхакая. Записки тифл. ботан. сада, 1930 г. вып. 7.

ვაზის ფესვებზე ფილოქსერა ორგვარ სიმსივნეს იწვევს: როდესაც მწერი ახალგაზრდა ფესვების წვერებს ჩხვლავს, ნოდოსიტეტები ანუ პარკუქანები ვითარდება, ხოლო როდესაც უფრო ხნიან ფესვებს ჩხვლავს ტუბეროსიტეტები ანუ მუწუკები ჩნდება. პირველი ვაზისთვის იმდენად დამლუპველი არ არიან, რადგან ახალგაზრდა ფესვების წარმოშობა იოლად ხდება და ამ დაზიანებული ნაწილების მაგიერ სხვა ახალი ფესვები წარმოიქმნებიან; მეორე—ტუბეროსიტეტები კი თუ რამდენიმე ადგილას ხრწნიან უფრო ხნოვან ფესვებს,—იწვევენ მათ საბოლოოდ დალუპვას. ფილოქსერით ახლად დავადებული ევროპული ვაზები ჯერ სუსტდებიან შემდეგ კი ილუპებიან.

ამერიკული ვაზების ბევრ ფორმას ფილოქსერა ფოთლებს უფრო იოლად უზიანებს, ვიდრე ფესვებს. მათ ფოთლებზე მეჭეპების (გალები) წარმოშობას იწვევს. ევროპულ ვაზებს შედარებით იოლად ელუპებათ ფესვები, მათ ფოთლებს კი ფილოქსერა იშვიათად უჩნდება და ამ ორგანოებს საგრძნობ ზიანს არასდროს არ აყენებს. როგორც წინათ აღვნიშნეთ არსებული ვაზის ფორმები ფილოქსერის გამძლეობის მიხედვით მიღარდემ ოცი ნიშნით შეადგას; აბსოლუტური იმუნიტეტის მქონე ვაზებს 20 მიუსაჯა, სრულიად იმუნიტეტმოკლებულ ვაზებს კი 0. ევროპული ვაზები ამ უკანასკნელთ შიგნით, მაგრამ, როგორც განვმარტეთ, ფილოქსერისადმი გამძლეობა დამოკიდებულია როგორც ეკოლოგიურ პირობებზე, ისე მთელ რიგ სხვა მიზეზებზეც. მაგ. საფერაჟი მეტად მალე ილუპება და მას 0-ის მეტი არ მიეკუთვნება, მაშინ როდესაც რქა-წითელი ფილოქსერისადმი გაცილებით უფრო გამძლე ჯიშია და თუ v. Labrusca-ს 5 ბალი მიეკუთვნეს, რქაწითელს შეიძლება 3—4 ბალი მიეკუთვნოს. საერთოდ ეს ბალებით შეფასება პირობითი ხასიათისაა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ ფორმებს, რომელთაც 16 ბალი მიეკუთვნა, მწერისადმი პრაქტიკული გამძლეობა იმდენად განვითარებული აქვთ, რომ მათი საძირედ ხმარება საშიშროებას არ წარმოადგენს და ისინი ფილოქსერით არ ილუპებიან. რაც შეეხება ვაზის იმ ფორმებს, რომელთაც მიკუთვნებული აქვთ 16—11 ნიშანი, მათი გამძლეობა იმდენად დიდი არ არის და ფესვები არ ელუპებათ მხოლოდ გრილ, ნესტქარბ ან წვირილ კვიშანი დადგებში. თავისთავად ცხადია, რომ მევენახეობის პრაქტიკაში ასეთი ვაზები დიდი სიფრთხილით უნდა გამოიყენონ.

გერმანელმა მკვლევარმა Börner-მა უფრო დააზუსტა ეს საკითხი. მისი გამოკვლევის მიხედვით ფილოქსერა რამდენიმე რასას შეიცავს, თვითოეული მათგანი სხვადასხვა თავისებურებით და ხორთუმიან სიგრძით ხასიათდება, ვაზიც სხვადასხვა რასისაგან სხვადასხვაგვარად ზიანდება; მაგრამ ძირითადი პრინციპი კი, Millardet-სი და აგრეთვე Viala და Ravaz-ისა, დაურღვეველი რჩება.

როდესაც ფილოქსერის გამძლე ვაზი საძირედ იხმარება, ამ შემთხვევაშიც მისი გამძლეობა უცვლელი რჩება—ვაზის ეს თვისება არ იცვლება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნაყენი ვაზის სუსტად ან ღონძვრულ ვაზში ვითარება თავის გავლენას ახდენს და, პირველ შემთხვევაში ფილოქსერის უფრო მეტ ზიანს მოიტანს, მეორეში კი—ნაკლებს. ყველა შემთხვევიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საძირედ ხმარებულ ვაზს უნდა ახასიათებდეს ფილოქსერის ფესვების ნაკლები დაზიანება; ფრიად სასურველია რომ ფილოქსერით არც ფოთოლი ზიანდებოდეს; ამის შედეგად კი სადღეში უკეთ შემოსულ და მეტმოსავლიან საძირე რქას მივიღებთ. ფილოქსერისადმი გამძლეობა დამოკიდებულია მთელ რიგ პირობებზე; ზოგჯერ შედარებით ნაკლებ გამძლე ფორმებსაც მწერი ვერ ღუპავს, ხოლო არასთანადო ეკოლოგიურ პირობებში მყოფ ვაზებს კი, რომელთა გამძლეობა შეფასებულია 12—15 ნიშნით, მწერმა შეიძლება საგრძნობი ზიანი მიიყენს. ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდებით ამ შრომის მესამე და მეოთხე წიგნში.

აეადმყოფობათაში გამძლეობა

საძირე ვაზის ზოგი ფორმა სრული იმუნიტეტით ხასიათდება, ზოგი თუმცა ნაწილობრივ, მაგრამ საკმაო იმუნიტეტს იჩენს და მათი წარმოებაში გამოყენება სიძნელეს არ წარმოადგენს, ზოგი კი ადვილად ავადდება სოკოვანი ავადმყოფობებით. ამ უკანასკნელ წყებას ეკუთვნის როგორც ზოგიერთი ამერიკული ვაზის სახესხვაობანი, ისე ევროპულ-ამერიკული ჰიბრიდები; მით უმეტეს, როდესაც მათში ევროპული სისხლი სჭარბობს. ასეთი ვაზების კულტურის დროს სადღედეგში მათი წამლობა საეაღდებულად ხდება, რაც, გარდა მთელ რიგ სხვა უბერხულობისა, საძირე მასალას საგრძნობლად აძვირებს. ასეთ ვაზებზე მეტ-ნაკლებად გვხვდება მთელი რიგი სოკოვანი ავადმყოფობანი, სახელდობრ კრაქი (*Plasmopara viticola*), ნაცარი (*Uncinula spiralis*), შავი სიღამლე (*Guignardia Bidvelii*), ანტრაქნოზი (*Gloeosporium ampelophagum*), თეთრი სიღამლე (*Coniophyrium diploidiella*), მელანოზა (*Septoria ampelina*), წითლად ხმოზა (*Pseudopeziza trachephila*), ესკა (*Stereum hirsutum*) და სხვა.

ვაზის ის ფორმები, რომელნიც სოკოვანი ავადმყოფობათა ზეგავლენით იმდენად ზიანდებიან, რომ თუ არ შეიქმნა ზარალობენ, — მევენახეობის პრაქტიკაში საძირედ არ უნდა ვიხმაროთ და ჰიბრიდიზაციის შედეგად მიღებული ვაზები სელექციის წარმოების დროსვე უნდა ვავითხოთ.

ზოგიერთი საძირე ვაზის ფესვთა სისტემა უფრო იოლად ზიანდება სოკოვანი ავადმყოფობებით იმ შემთხვევაში, როდესაც ნიადაგი მეტად მძიმეა და ჰაერის ნაკლებ გამტარია, თან, თუ ნიადაგში ხრწნადი ორგანული ნაწილებიც მოიპოვება, ასეთ პირობებში დარგული ზოგიერთი საძირე ვაზი ადვილად ავადდება და იღუპება ფესვების სიღამლით. *Viala* და *Ravaz*-ის დაკვირვების მიხედვით ფესვთა სიღამლისადმი ყველაზე მგრძობ-

ბიარია v. Riparia, v. Rupestris და v. Candicans. მეტი გამძლეობის უნარი აქვთ ჰიბრიდებს: Solonis X Riparia № 1616, Riparia X Rupestris № 101¹⁴, Aramon X Rupestris Ganz. № 1 და რუპესტრისის ერთ ფორმასთან — სანტელის ლობრ Rupestris du Lot-ს.

გარდა მწვანე ნაწილებისა და ფესვთა სისტემისა, ავადდება აგრეთვე საძირე ვაზის ლერწი. მისი დაავადება უფრო მოსალოდნელია ნასეტყვ სადღეებში, რადგან სეტყვისაგან გამოწვეულ ჭრილობებზე იოლად ჩნდებიან სოკოები, რომლებიც შემდეგ საშიშ პარაზიტებად გადაქცევიან ხოლმე, სახელდობრ ფუზარიუმი (*Fusarium viticolum*), ნაცრის ფერი სიღამლე (*Sclerotinia Fuckellana*), მისი კონიდიალური ფორმა *Botrytis cinerea* და სხვ. თუ ლერწის შენახვის დროს შენახვის პირობები ლერწისათვის კარგი არ არის, მაგრამ სოკოებისათვის კი ხელსაყრელია, ზოგჯერ მასობრივად მრავლდებიან დასახელებული სოკოები და აგრეთვე ეგრედწოდებული *Petrophyt-*ები, რომელნიც უშუალოდ ლერწის ცოცხალი ნაწილებით კი არა, არამედ გახრწნილ ლერწიში მიმდინარე გაცვლითი პროცესების პროდუქტებით იკვებებიან. აღსანიშნავია, რომ ყველა ლერწი თანაბარი ინტენსიობით არ ავადდება; მაგ. შემჩნეულია, რომ რიპარიას, რიპარია X რუპესტრის № 101¹⁴-ის ლერწი უფრო ადვილად ავადდება, რაც ამ ფორმების ლერწის შერქნის ნაკლები სიმკვრივეით უნდა იხსნას.

დაფესვიანება

ამერიკული ვაზის მთელი რიგი ფორმები ხასიათდებიან რქის განსაკუთრებით ძნელი დაფესვიანებით; ამიტომ ფართო პრაქტიკაში მათი გამოყენება განსაკუთრებულ სიძნელეს იწვევს. ასეთია მაგ. v. *Berlandieri*, v. *Cordifolia*, v. *Lincecumil* და სხ. ხშირად ამ სახეთა რქის დაფესვიანება მხოლოდ 5—10% აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ როგორც საძირე — v. *Berlandieri* და v. *Cordifolia* სხვა მთელი რიგი დადებითი თვისებებით ხასიათდებიან, რქის ძნელი დაფესვიანების გამო წმინდა ფორმებად მგვენახებაში არ იხმარებიან; მგვენახენი იძულებულ იყვნენ ამ სახეობათა სხვა სახეობებთან (ისეთებთან, რომელნიც იოლად ფესვიანდებიან) შეჯვარებით მიეღოთ ჰიბრიდები და ეს დიდი ნაკლი გამოეწვირა; ამიტომ დღეს მათი ნაჯვარნი ფართოდ გამოიყენება და იმედებსაც ამართლებენ.

ხშირად რომელიმე ფორმის ვაზს რქის დაფესვიანება არ ახასიათებს, ნაჯვრის შეხორცების უნარი კი სავსებით კარგი აქვს; ასეთ მაგალითს v. *Berlandieri* იძლევა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ლერწზე საჭირო რაოდენობის კალსის წარმოშობა (რომლის მეოხებით ჭრილობის შედუღება ხდება), არ არის ფესვთა სისტემის განვითარების მაჩვენებელი და ხშირად ეს მოვლენები სრულიად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. Ravaz-ის განმარტებით v. *Berlandieri*-ის ნაკლები დაფესვიანება იმით

აიხსნება, რომ რქაზე კვირტის გამოღვიძება გვიანდება, შედეგად კი ლერწ-
წი არ გაიხარებს ხოლმე. ამიტომ იგი ურჩევს ლერწის აკრას გვიან, სა-
ხელდობრ ყლორტების გამოღვიძების ხანაში. უნდა ვიფიქროს, რომ ლერწ-
წი ზოგი სახის ლერწის უფარვის დაფესვიანების მიზეზი მკიდრითაა და არა
კავშირებული უფრო ღრმა ფიზიოლოგიურ მოვლენებთან.

ამჟამად იტულებული ვართ უარი ვთქვათ ისეთ საძირე ვაზებზე, რო-
მელთა რქა ნაკლებად ფესვიანდება. თუ კარგ პირობებში რქის დაფესვი-
ანება 60% ნაკლებია, ასეთი ვაზები საძირედ არ უნდა იხმარებოდეს. თა-
ვისთავად ცხადია, რომ კარგი პირობების ქვეშ ივლისსხმება გასამრავლე-
ბელი რქის კარგად შემოსვლა, სისაღე, კარგად შენახვა, კარგ პირობებში
ჩარგვა, კარგი მოვლა და სხვა.

ამჟამად მიმდინარეობს ცდები კარგი დაფესვიანების უნარმოკლებუ-
ლი ვაზების სტიმულირებისათვის; ამ მიზნით ხმარობენ სხვადასხვა ქიმიურ
ხსნარებს. ეს ცდები თითქოს საკმაოდ დამაკმაყოფილებელ სურათს გვაძლევს,
ოღონდ მათი პრაქტიკულად გამოყენება, — მომავლის საკითხია. საკვიროდ
მიგვიჩნია აქვე აღნიშნვით, რომ ზოგიერთი მკენარის ახალგაზრდა ტო-
ტები ხასიათდება მერქანშივე თანდაართულ ფესვთა ჩანასახის ნიშნებით
(აღვის ზე, ტირიფი, შავი ხუნწა და სხვ.), ასეთი ჩანასახები ვაზის არც
ერთწლიან და არც უფრო ხნეირ მერქანში არ მოიპოვება.

ცალმხრივი დაფესვიანება არ უნდა ხდებოდეს. შეიძლება დაფესვი-
ანებისას ვაზება მრავალი ფესვი არ წარმოშვას, მაგრამ წარმოშობილი ფეს-
ვები კი ძირზე რაც შეიძლება თანაბრად და ირგველივ უნდა იყოს განვი-
თარებული; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ფესვის განუ-
ვითარებელი მხარე წვეწის მოძრაობით და საკვებით უზრუნველყოფილი
არ იქნება, რასაც შესაძლოა გახმობა და შემდეგ ჩაღობა მოჰყვეს, შემდეგში
კი ბრწინის პროცესი შეიძლება მთელ ძირს მოედოს და ვაზი დაიღუბოს.

კ ა ლ უ ს ი

ვაზის ნამყენის შეხორცებისათვის მერად მნიშვნელოვანი მოვლენაა
კალუსის წარმოშობა, რადგან ამ ქსოვილით ხდება საერთოდ ვაზებ კრი-
ლობების შეხორცება, ამ შემთხვევაში კი საძირის და სანამყენის შეხორ-
ცება. მოკლეთ რომ ვთქვათ, კალუსი კრილობათა შემხორცენელი ქსო-
ვილია.

კალუსის წარმოშობის უნარი გააჩნია როგორც ვაზის რქას, ისე ფეს-
ვებს; წარმოშობა ხდება სათანადო სისველის და 1° პირობებში, ძირითა-
დად კამბიუმის ქსოვილიდან, აგრეთვე მის მოსაზღვრე ქერქის პარენქიმი-
ული ქსოვილიდან და ლაფანიდან. ეს ქსოვილი შედგება თხელუჯრედიანი
პარენქიმიული უჯრედებისაგან; ნამყენის შეხორცების დროს ქსოვილში ვი-
თარდება ტრაქეები და მერისტემალური უჯრედები; ეს უკანასკნელი კი,
თავისმხრივ, საძირის და სანამყენის კამბიუმს აკავშირებენ, რის შედეგად

მიმდინარეობს ამ ორ ნაწილს შორის ქსოვილთა ნორმალური ზრდა გან-
ვითარება. კალუსის უხვად წარმოშობა დამოკიდებულია ქრილობის მდე-
ბარეობასა და მოყვანილობაზე, პოლარობაც უმნიშვნელო რაოდენობაში
მაშობს.

ნივსიანი

უკალუსოდ არც ნამყენის და არც ქრილობათა შეხორცება არ ხდე-
ბა; ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საძირეზე მრავალი ქრილობაა
(ძირზე და თვით ლერწმე, კვირტების „დაბრმავეების“ შედეგად) და ქრილო-
ბათა დროულად შეხორცება ნამყენი ვაზის ნორმალური განვითარების
აუცილებელი პირობაა, კალუსის მნიშვნელობა თავისთავად ცხადი გახდება.

როგორც აღნიშნეთ, კალუსის წარმოშობაზე გავლენას ახდენს ვა-
რეშე პირობები: სიღბო და ტენიანობა, მაგრამ ვაზის ცალკე ფორმები
განსხვავდებიან კალუსის წარმოშობის მეტნაკლებობით. კარგ საძირეს უნ-
და ახასიათებდეს უხვი, და ქრილობის ირგვლივ ყოველმხრივი კალუსის
დაჩქარებით წარმოშობის უნარიანობა.

საძირის მემბრანული პერიოდი

შეიძლება საძირის ვეგეტატური პერიოდი არ ვგუებოდეს სანამყე-
ნოს ვეგეტატურ პერიოდებს; ამის შედეგად კი საკვები ნივთიერების სა-
სურველ დროს მიწოდება არ მოხდება. ზოგიერთ საძირეს ხანგრძლივი ვე-
გეტატური პერიოდი აქვს, რამაც რჩის შემოსვლაზე ზოგჯერ შეიძლება
დამლუპველად იმოქმედოს. ზოგი საძირე ნაადრევი გალვიძებით ხასიათ-
დება; ნაადრევიდ გამოღვიძებული დამყნილი ვაზის ახალგაზრდა ყლორ-
ტები კი შეიძლება ზამთრის ყინვებში დააზარალოს. ეს და სხვა ამგვარი
მოვლენები, რასაკვირველია, უარყოფით გავლენას მოახდენენ; ამიტომ სა-
ძირის შერჩევის დროს ეს გარემოება მხედველობაში უნდა მივიღოთ. კომ-
პონენტთა შერჩევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს, რომ მათი ვეგეტა-
ტური პერიოდი ერთმანეთისაგან დიდად დაშორებული არ იყოს. თუ სა-
ძირის და სანამყენოს ვეგეტატური პერიოდები ერთმანეთისაგან დიდად
დაშორებული არ არიან, ამ შემთხვევაში საშიშროება მოსალოდნელი არ
არის, რადგან ურთიერთ გავლენის გამო ეს შედარებით არამკვეთრი
განსხვავება უფრო შემცირდება.

ხანგრძლივი ვეგეტაციის საძირე ვაზის ფორმები სადღეღებში შემო-
სვლას ვერ ასწრებენ და ამიტომ ნაკლები ღირსების მასალას იძლევიან;
ან შემოსვლას ასწრებს მხოლოდ ლერწის ქვედა ნაწილი, რის გამოც მა-
სალა ფუქსავატდება; გამოსაყენებელი ლერწის მასალა საკრძობლად
მცირდება.

საძირე ვაზის ლერწის მოსავლიანობა დამოკიდებულია
როგორც ეკოლოგიურ პირობებზე, ისე სათანადო აგროტექნიკური ზომების
დროულად მიღებაზე. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ამერიკული ვაზის ფორ-
მები ხასიათდებიან ან ნაკლები ზრდის უნარით (v. rubra), ან შედარებით მცე-

რერიცხოვანი ყლორტების წარმოშობით (*riparia* × *rupestris* № 3306) და ან სქელი ან უხვი ნაშბრიანი ყლორტების დიდი რაოდენობით. არც ერთი ასეთი ვაზი ლერწის უხვ მოსავალს არ იძლევა; ეს კი ეკონომიკურად ნაკლებად მისაღებია. ფართო პრაქტიკული მიზნებისათვის სასაძირე ვაზი დასამყნობად გამოსადეგ ლერწის უხვ მოსავალს უნდა იძლეოდეს; იგი უნდა ხასიათდებოდეს მყნობისათვის საჭირო სისხოთი (6—12 მმ.), საკმაოდ მკვრივი მერქნით და ნაკლები გულით. ზოგიერთი საკითხი, დამატებით, ნამყენის წარმოებასთან დაკავშირებით კიდევ იქნება განხილული სახელმძღვანელოს III წიგნში.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ რთულ და მრავალფეროვან მოთხოვნილებებს, რომელთაც თანამედროვე მევენახეობა საძირეებს უყენებს, ცხადი გახდება, რომ ერთი ისეთი იდეალური საძირის არსებობა, რომელიც ყველა პირობას და ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებდეს, თითქოს შეუძლებელია. საჭიროა, რომ ზოგი საძირე ვეგეტაციის უფრო ადრე მოთავებით ხასიათდებოდეს, რათა სითბოს დეფიციტთან რაიონებში ვეგეტატური ზრდა არ გაუგზავდეს და ამის შედეგად ნამყენი ვაზის რქის შემოსვლა არ შეგვიანდეს; თბილ, ტენითა და საკვებით უზრუნველყოფილ რაიონებში საჭიროა უფრო ღონიერი ზრდა და ლალი განვითარება; ისეთ რაიონებშიც, სადაც მოსალოდნელია გაზაფხულის შემობრუნებული ყინვები, მიუღებელია ისეთი საძირეები, რომელნიც ადრე გაღვიძების უნარით ხასიათდებიან და სხ. მიუხედავად იმისა, რომ სასამყენო გარკვეულ გავლენას ახდენს საძირეზე, საძირეც პასიური არ რჩება, ამიტომ ყველა საძირე მოთხოვნილებათა მინიმუმს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს. ასეთი მინიმუმის ქვეშ იგულისხმება: ფილოქსერისა და სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ პრაქტიკული გამძლეობა, იოლი დაფესვიანება, კალუსის იოლი წარმოქმნა და ადაპტაციისა და აფინიტეტის რაც შეიძლება უნარიანობა.

საძირე პიზარიები

ამერიკული ვაზის სახეობათა შესწავლის დროს განხილული იყო მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ხსენებულ მიმოხილვიდან დავინახეთ, რომ ისინი, როგორც პირდაპირი მწარმოებელნი, დიდ ღირებულებას არ წარმოადგენენ, მით უმეტეს, რომ მოსახმარ ყურძენს მხოლოდ რამდენიმე სახე იძლევა (*v. labrusca*, *v. aestivalis* და სხ.); ამ ყურძნის ღირებულება (გემო, სუნი, შაქრის რაოდენობა და სხ.) ევროპული ვაზის ყურძენთან შედარებით გაცილებით დაბლა დგას. მაგრამ სამაგიეროდ ამერიკული ვაზის ზოგიერთი სახე ფილოქსერისადმი დიდი გამძლეობით ხასიათდება (*v. rupestris*, *v. riparia*, *v. Berlandieri* და სხ.), რაც მეტად საყურადღებოა. მიუხედავად ასეთი ღირსშესანიშნავი თავისებურებისა, მათი საძირედ ფართოდ გამოყენება მევენახეობის პრაქტიკაში იშვიათად ხდება,

რადგან ყოველ სახეს რაიმე საგრძნობი ნაკლი ახასიათებს: ან დალფესიერის ნებლოზა (*v. Berlandieri*), ან კიროს ნაკლები ამტანიანობა (*v. riparia*), ან სანამყენესთან შებორცების ნაკლები უნარიანობა (*v. rotundifolia*), ან ნამყენი ვაზის შემოღობისას ამერიკული ვაზის სახეობებს, ან მათგან რომელიმე რიგ ჰიბრიდებს ხმარობდნენ, მაგრამ არც ერთი მათგანი სავესებით დამაკმაყოფილებელ შედეგებს არ იძლეოდა. ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭირო შეიქნა ხელოვნურად, ჰიბრიდიზაციის წესით, ისეთი ვაზების შექმნა, რომლებსაც უარყოფითი თვისებები არ ექნებოდათ და, პირიქით, ექნებოდათ დადებითი თვისებები. ასეთი შემთხვევა მევენახეებს უკვე ჰქონდათ: 1824 წ. Bouchet-მ პირველმა მოახდინა უხვად დაფერილი ყორძის ჯიშის მისაღებად ვაზის ჯიშების შეჯვარება და კარგ შედეგსაც მიიღწია. ნახევარ საუკუნეზე მეტმა განელო მას შემდეგ, რაც ამავე გზას საქმაოდ ფართო მასშტაბით დაადგინნ ფრანგი მევენახე-ექსპერიმენტატორები (*Ganzin—1876 წ. Foex—1877 წ. Millardet და de Grasset—1882 წ., Couderc—1880 წ. და სხ.*), ამ გზის გაკაფვა იოლი არ იყო: გამოცდილება ამ მხრივ ნაკლებად არსებობდა, მეგვიდრეობის კანონები საიმპროვიზოდ მხოლოდ ბუნდოვნად იყო ჩამოყალიბებული, თვით საექსპერიმენტო მასალაც ისე ზედმიწევნით შესწავლილი არ იყო, როგორც ამჟამად. მიუხედავად ასეთი მრავალი სიძნელეებისა, პრაქტიკულ საფუძველზე ზუსტად ჩატარებულმა მუყაითმა მუშაობამ მაინც სასურველი ნაყოფი გამოიღო და ჰიბრიდიზაციის წესით შექმნილ მრავალთავან მრავალი ვაზის ჰიბრიდებიდან საბოლოოდ მიღებულია ისეთი ნაჯვარები, რომლებიც დღევანდელ მევენახეობაში წამყვან როლს თამაშობენ როგორც საძირკეები.

პირველი პერიოდის ექსპერიმენტატორებმა ფართო და რთული ამოცანები დაისახეს: ისინი ცდილობდნენ ისეთ ნაჯვარების შექმნას, რომელნიც ფილოქსერისა და სოკოვან ავადმყოფობათა გამძლეობასთან ერთად მაღალი ხარისხის პროდუქტსაც მისცემდნენ და ამგვარად, ევროპული ვაზის ადგილს დაიკავებდნენ, იმ განსხვავებით კი, რომ: ა) დამწობა არ დასჭირდებოდათ (ფილოქსერის გამძლენი იქნებოდნენ) და ბ) წამლობაც არ დასჭირდებოდათ (სოკოვან ავადმყოფობათა გამძლე იქნებოდნენ). ასეთი ამოცანის გადაჭრა დღევანდლამდის ვერ მოხერხდა, — ამჟამადაც არ მოგვეპოება ვაზის არც ერთი ჰიბრიდი, რომელიც პრაქტიკული მევენახეობის ყველა მოთხოვნილებას ოპტიმალურად ამოსწურავდეს და უნივერსალური იყოს. მიუხედავად ამისა, საგრძნობი მიღწევა მაინც გვაქვს; და თუ უნივერსალური ვაზების შექმნა ჯერ კიდევ განუხორციელებელი ოცნებაა, სამაგიეროდ ჰიბრიდიზაციის წესით შექმნილია მეტად თვალსაჩინო საძირკე ჰიბრიდები. მათი მეოხებით მიმდინარეობს დღევანდელი ვენახების გაშენება.

ხელოვნური შეჯვარებით შექმნილი მთელი რიგი ჰიბრიდები წარმოადგენენ ძვირფას საძირკე მასალას, გაცილებით უკეთესს, ვიდრე წმინდა

ამერიკული სახეობანი იყვნენ. მართალია, აქაც უკანასკნელი სიტყვაა ჯერ არ თქმულა, — არ მოგვეპოება არც ერთი საძირე ვაზი, რომელიც მოთონად აკმაყოფილებდეს დღევანდელი მევენახეობის ყველა მოთხოვნილებას. მაგრამ არსებული საძირე ჰიბრიდებით მუშაობაც წარმატებით შეიძლება, ოღონდ ეს ჰიბრიდები დაკვირვებით უნდა შევარჩიოთ ეკოლოგიური და ტექნიკური პირობების გათვალისწინებით.

შეჯავარების ტექნიკა რთული არ არის და სადღეისოდ საკმაოდ დაზუსტებულია. გაცილებით უფრო რთულია აღმოცენებული მცენარეების შემდეგი მოვლა და გადარჩევა — სელექცია. ვაზის სელექციას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს შემდეგ განვიხილავთ.

ამერიკულ-ამერიკული საძირე ჰიბრიდები

ამერიკულ-ამერიკული ჰიბრიდების სახელწოდებით მევენახეობის პრაქტიკაში ცნობილია ამერიკულ სახეობათა ურთიერთ ნაჯვარი. დღევანდელ მევენახეობაში ხმარებული უმეტესი საძირე ჰიბრიდები ევროპაში გამოყვანილია გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ეს ნაჯვარი F_1 თაობა ეკუთვნის.

ამჟამად ამ სახის საძირე ჰიბრიდების რიცხვი მეტად დიდია. ბევრ მათგანს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს (მაგ. *Viala* და სხ.), ზოგი ნაკლები ღირებულებისაა და ფართო გავრცელების არე არ მოეპოება, ზოგი კი იხმარება მხოლოდ მეტად ძნელ ნიადაგების პირობებში (მაგ. *Cordifolia* — *riparia*, *cordifolia* — *rupestris*); ზოგი ჰიბრიდი მევენახეობის თითქმის ყველა ქვეყანაში გვხვდება და დამყნობი ვენახების შექმნაში უეჭველია კიდევ დიდი ხნის განმავლობაში შეასრულებენ გარდამწყვეტ როლს (მაგ. *Riparia* × *Rupestris* №№ 101¹⁴, 3309, *Riparia* × *Berlandieri* №№ 420 A, 8 BB და სხ.).

ქვემოთ განვიხილავთ იმ საძირე ჰიბრიდებს, რომლებიც უფრო უკეთეს შედეგს იძლევიან და ჩვენი მევენახეობისთვისაც უმნიშვნელო არ არიან.

რიპარია-რუპესტრისის ჰიბრიდები


რიპარიას შეჯვარებით რუპესტრისთან უნდოდანთ ისეთი საძირე ჰიბრიდების მიღება, რომლებშიაც აცილებული იქნებოდა რიპარიას უარყოფითი მხარეები (კირის და გვალვის ნაკლები ამტანიანობა, ღონიერი ნიადაგების საპირობება და სხვ.) და შენარჩუნებული იქნებოდა დადებითი მხარეები (იოლი დაფესვიანების და მყნობის უნარიანობა, ყურძნის და რქის დროული დამწიფება, ფილოქსერისა და სოკოვან ავადმყოფობათა კარგი ამტანიანობა და სხ.). თავის მხრივ ნაჯვარისათვის რუპესტრის უნდა გადაეცა კირის უკეთესი ამტანიანობა, მწირ, გვალვიან პირობებში დაუბრკოლებლივი ზრდის უნარი და სხ.; უნდა გათიშულიყო ამ სახეობის უარ-

ყოფითი მხარეები: ნამყენის არა დამაკმაყოფილებელი კვება, ყურძნის და ლერწის გვიანი შემოსვლა და სხ.

ხსენებულ სახეთა შეჯვარების შედეგად მიღებულ ჰიბრიდთაგან ზოგიერთმა საგრძნობლად გამოასწორა არსებული მდგომარეობა და ფართო განსაქვანი ჰპოვა მევენახეობაში, ზოგი კი მეორეხარისხოვანი აღმოჩნდა. ქვემოლ შევსებით უფრო მნიშვნელოვანთ.

რიპარია X რუპესტრის № 101¹¹

რიპარია შეჯვარებული იყო რუპესტრისთან Millardet და de Grasset-ს მიერ 1882 წ. შეჯვარების შედეგად მიღებული იყო რამდენიმე ჰიბრიდი, რომელთაგან გავრცელდა №№ 101¹¹ და 101¹. მათგან გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა № 101¹¹. № 101¹ განირჩევა მამრობითი სქესის ყვავილებით, უფრო ტიტველი ყლორტებით და ფოთლებით. ამჟამად იგი მხოლოდ შემთხვევითი ნარევის სახით-ღა გვხვდება სადღდეებში.



სურ. 45. რიპარია X რუპესტრის 101¹¹.

რიპარია X რუპესტრის № 101¹¹ ხასიათდება შემდეგით ზრდადასრულებული ფოთოლს თუშკა გარდამავალი ადგილი უკავია რიპარიასა და რუპესტრისს შორის, მაგრამ როგორც ფოთლის ფირფიტის ფართობით, ისე სისქით და ფერიითაც იგი უფრო რიპარიას წააგავს, ვიდრე რუპესტრისს; ფოთოლი ოდნავ დანაკვეთილია ორი ამონაკვეთით და შუა ნაკვეთი ოდნავ დანაოჭებულია. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარის ძარღ-

ვები შებუსუსულია, ქვედა მხრიდან კი თითქმის გლუვია. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი საკმაოდ განიერია. ყლორტების წვერები მომწვანო, ოდნავ მობრწყვიალო, სადა და უბუსუსოა; მზის მხარე შეწითალებულია. ყლორტი გლუვია, შებუსუსულია მხოლოდ კვირტებთან მდებარე სახსრებზე და ფოთლის ყუნწის საჯდომის ირგვლივ. ბუსუსი შერჩება ხოლმე რქასაც და გამადიდებელ შეშაში ყოველთვის იოლი შესამჩნევია. ამ ნიშანთვისებით რიპარია X რუპესტრის № 101¹⁴ მკაფიოდ განირჩევა ყველა სხვა დანარჩენ რიპარია X რუპესტრისის ჰიბრიდებისაგან. ყვავილი ორსქესიანია, ბუტკო კარგად განვითარებული, მტკრიანები კი მოკაცილია და განაყოფიერების უნარი ნაკლებად აქვთ. დაყვავილების შედეგად პატარა, მცირეშარცვილიან მტევანს ივითარებს. მარცვალი წვრილი და შავია.

რიპარია X რუპესტრის № 101¹⁴-ის ფესვთა სისტემა ფილოქსერისადმი პრაქტიკულად გამძლეა, ე. ი. თუმცა ნოდოსიტეტები და აგრეთვე წვრილი ტუბეროსიტეტებიც უჩნდება, მაგრამ ამ ჰიბრიდის ფესვთა სისტემაზე დამლუპველ გველუნას ვერ ახდენენ; სამაგიეროთ ზოგიერთ წელიწადს ფილოქსერა სადედეებში საკმაოდ ვნებს ამ ჰიბრიდის ფოთლებს.

ნიადაგში კირს დიდი რაოდენობით ვერ იტანს; 25% კირის შემადგენლობა ხშირად ქლოროზს იწვევს ხოლმე. საძირედ იგი გამოყენებული უნდა იყოს საკმაოდ ფხვიერ, ნოყიერ, კირით არა ჰარბ ნიადაგებში. სათანადო პირობებში № 101¹⁴ სადედეში იძლევა ლერწმის უხვ მოსავალს, საძირედ ნახმარს კი კარგი დაფესვიანება და რიგიანი შეხორცება ახასიათებს. ამ საძირეზე დაყენილ ვაზს რქა და ყურძენიც დროულად უმწიფდება. მიუხედავად ამ ჰიბრიდის მთელი რიგი კარგი თვისებებისა, მისი გამოყენებისაგან თავი უნდა შევიკავოთ როგორც ნძიმე, ისე ხირხატ ნიადაგებში, აგრეთვე გვალვიან ადგილებში და კირით მდიდარ ნიადაგებში.

რიპარია X რუპესტრი № 101¹⁴ მევენახეობაში ფართოდ იხმარება საძირედ; საქართველოშიც მას საპატიო ადგილი უკავია.

რიპარია X რუპესტრის № 3309

ეს ჰიბრიდი გამოყვანილია 1882 წ. საფრანგეთში Couderc-ის მიერ. იგი ხასიათდება შემდეგით: ზრდადამთავრებული ფოთოლი მომცრო, მთლიანი, საკმაოდ სქელი, მობრწყვიალოა. კბილანები ვიწრო, ოდნავ მომრგვალებულია. ახალგაზრდა ფოთოლი ოდნავ შებუსუსული, დაკეცილი და ბრწყვიალოა. მცენარე მამრობით სქესიანია. შემოსული რქა მუჭია.

ვაზი ხასიათდება ღონიერი ზრდით, გრძელი რქებით, ზოხვის მიდრეკილებით და ადვილი დატოტვით. ფესვთა სისტემა ღონიერი და საკმაოდ დატოტვილია. ფილოქსერისადმი ფესვთა სისტემა კარგი გამძლეობით ხასიათდება; თუმცა ნოდოსიტეტები და ტუბეროსიტეტები უჩნდება, მაგრამ ეს ზიანი შესამჩნევია მხოლოდ სრულიად ახალგაზრდა ნაწილებზე,

ან ზეზეურია და, ვაზისთვის დამღუპველი არ არის. სამაგიეროდ სადედღეო ფოთლები საკმაოდ ზიანდება ფოთლის ფილოქსერით და მურკლები საკმაოდ რაოდენობით უზნდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 46. რიპარია X რუპესტრის 3309.

ადაბტაცია საკმაოდ ფართო აქვს: კარგად ეგუება როგორც თიხნარ, ისე ქვიშნარ და არა მეტად მშრალ ხირხატ ნიადაგებს. 25—30% კირს იტანს. აღვილად ფესვიანდება, ნამყენს კარგად ითვისებს. ეს საძირე ვაზი მეტად გავრცელებულია და შევენახეობაში წამყვანი ადგილი უკავია. მიუხედავად ამ საძირის კარგი თვისებებისა, მისთვისაც საჭიროა სათანადო პირობების შერჩევა: კირით ჭარბ ნიადაგებზე, მძიმე თიხა ნიადაგებზე, მეტად მშრალი და ამავე დროს ურწყავ პირობებში № 3309 საძირედ არ უნდა გამოვიყენოთ. სადედღეში უხვ მოსავალს იძლევა.

რიპარია X რუპესტრისი № 3309 გარეგნულად რუპესტრისის ნიშნებს უფრო ატარებს, ვიდრე რიპარიასას და ნიადაგისადმი მოთხოვნებიც უფრო რუპესტრისის უახლოვდება.

რიპარია X რუპესტრისი № 3306

ეს საძირე ჰიბრიდიც გამოყვანილია Couderc-ის მიერ, იგი ხასიათდება შემდეგით: ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო ან მომცროა. მუქ-მწვანეა, საკმაოდ მობრქვეილაოა. ძარღვები ქვედა მხრიდან შებუსუსლი აქვს. ახალგაზრდა ყლორტის წვეროები მწვანე-მოყვითალო, მობრქვეილაოა. ზრდადამთავრებული ახალგაზრდა ფოთოლი ყვითელ-მომწვანეა და გრძელი ფოთოლთანები აქვს. ყვავილები მამრობითისქესიანია. ვაზი ღონიერი

განვითარებით ხასიათდება. ყლორტები გრძელი, საკმაოდ სქელი, შეზუსტ-
ლი. საკმაოდ მძლავრი ფესვთა სისტემა უვითარდება. ფილოქსერისადმი
ისეთსავე გამძლეობას იჩენს, როგორც № 3309. კარგად შექვიანდება
ნამყენს რიგიანად უზოცდება.

ეს საძირე ჰიბრიდი ვერ იტანს ნიადაგში 30%₀-ზე მეტ კირს, კარ-
გად ეგუება ქვეთიხნარ, ოდნავ ტენიან ნიადაგებს. ლერწის გამოსავალს
სადედიდან ნაკლებს იძლევა, ვიდრე № 3309 და № 101¹⁴.



სურ. 47. რიპარია X რუპესტრის 3306.

რიპარია X რუპესტ-
რისის ხსენებული სამი
ჰიბრიდის გარდა არსე-
ბობს ამავე წყების სხვა
ჰიბრიდებიც, მაგ.: №
3310, № 3307 და სხ.

მაგრამ ყველა .ესენი
როგორც საძირე ვაზე-
ბი, ვაცილებით ნაკლე-
ბი ღირებულებისაა და
ახლანდელ მეურნეობა-
ში არ გამოიყენება.
მტკიცე ადგილი დაი-
კავეს მხოლოდ №№
3309, 101¹⁴ და 3306.

მათში გავრცელების
ყველაზე ფართო არე მოიპოვა № 3309 და შემდეგ № 101¹⁴ და № 3306
მიუხედავად ამ ჰიბრიდების ახლო ნათესაობისა, ისინი ერთმანეთისაგან
საგრძნობლად განსხვავდებიან როგორც გარეგნულად, ისე მოთხოვნილე-
ბით: № 101¹⁴ უფრო რიპარიას წააგავს; ამასთან დაკავშირებით მისი
კულტურა უნდა განვითარდეს ღრმა, ღონიერ, ფხვიერ, არა კირჭარბ და
არაგვალვიან პირობებში; № 3309 რუპესტრისს უფრო წააგავს და მისი
გამოყენება უნდა ხდებოდეს ქვეთიხნარ, ქვექვიხნარ, შედარებით მწირ
არაკირჭარბ ნიადაგებში; № 3306 ამ ორი ჰიბრიდის შუა ადგილი უკა-
ვია, არ მოითხოვს ღრმა, ღონიერ, ფხვიერ ნიადაგებს, როგორც № 101¹⁴,
ამავე დროს კარგად ეგუება მომძიმო და მონესტო ნიადაგებს.

რიპარია-ბერლანდიერის ჰიბრიდები

რიპარია-ბერლანდიერის ჰიბრიდები დიდი ღირებულების საძირე
ვაზებია. ბერლანდიერის უარყოფითი თვისება—მეტად ნაკლები დაფესვია-
ნება—ამ სახის გამოყენებას ზღუდავდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი რო-
გორც საძირე ვაზის ყველა სხვა თვისება (სანამყენოსთან კარგი შეზოცება,
გვალვის ამტანიანობა, ფილოქსერისადმი გამძლეობა და კირჭარბ ნიადა-

გებზე დაუბრკოლებლად განვითარება) მეტად საყურადღებო იყო. მეორეს მხრივ, მიუხედავად რიპარიას მთელი რიგი კარგი თვისებებისა, ამ სახეობის გამოყენებაც ძნელდებოდა, რადგან კირნარ, აგრეთვე არაღრმა, ნოყიერ, ფხვიერ ნიადაგებში მისი გამოყენება შეუძლებელი იყო. ეს კარგი სახე სხვადასხვა დროს ჰყვავის: რიპარია ნაადრევად, ბერლანდიერი კი მოგვიანებით. ამ მიზეზის გამო ბუნებრივი გზით მათი შეჯვარება არ ხდება; ამიტომ რიპარია-ბერლანდიერის ყველა არსებული ჰიბრიდი ხელოვნური შეჯვარების შედეგია.

რიპარია-ბერლანდიერის ჰიბრიდების შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ფრანგ მეცნიერ-მევენახეთ და უფრო მოგვიანებით ჰუნგრელებს. ამ ორი სახის შეჯვარების და მათგან უკეთესების გამორჩევის შედეგად მიღებულია საძირე ვაზები, რომელნიც ხასიათდებიან: ფილოქსერისადმი კარგი გამძლეობით, რიგიანი დაფესვიანებით, შეხორცების კარგი უნარიანობით, კირპარბ ნიადაგებზე კარგი ზრდაგანვითარებით, ლერწის და ყურძნის დროულად დამწიფებით; ამგვარად, რიპარია-ბერლანდიერის ჰიბრიდებს ახასიათებს თითქმის ყველა ის თვისება, რომლებიც კარგ საძირე ვაზს მოეთხოვება. რადგან რიპარია-ბერლანდიერის ჰიბრიდები მრავალრიცხოვანია, თვითოეული მათგანი კი გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება, —ზოგში ბერლანდიერი დომინანტობს ზოგში კი რიპარია, —ამიტომ გავეცნობით ამ ჰიბრიდების მთავარ წარმომადგენლებს.


რიპარია X ბერლანდიერი № 34 E. M.

ეს ჰიბრიდი გამოყვანილია პროფ. ფოექსის მიერ 1890 წ. მონპელიეს სას.-სამ. სკოლაში. იგი შემდეგით ხასიათდება: ზრდადამთავრებული ფოთოლი სამნაკეთიანია, ნაკეთები ზეზეურია, ფირფიტა ღია-მწვანე, მობრკვეილია. ფირფიტის ქვედა მხარეზე ძარღვები მოწითალო და შებუსუსულია. კბილანები ვიწრო სამკუთხედისებრია. ახალგაზრდა ზრდამოუთავებელი ფოთოლი ბაც-მომწვანოა და შებუსუსული. ახალგაზრდა ყლორტის წვეროები შებუსუსულია და ფოთოლაკების ქომა (ნაპირები) ვარდისფერია. ყლორტი დაკუთხვლი, შებუსუსული, მწვანეა და დაზოლილია წითლად.

რიპარია-ბერლანდიერი № 34 ღონივრად იზრდება, გრძელ რქას ივითარებს, ლერწი რიგიანად ფესვიანდება (70—80%) და უზვად დატოტვილ ფესვთა სისტემას იძლევა, უმთავრესად ფუნჯა ფესვებს. ფილოქსერისადმი კარგი გამძლეობით ხასიათდება: ტუბეროსიტეტები მხოლოდ წვრილი და ზეზეური აქვს. კარბი კირის ამტანი საძირეა (35—40%). სანამყენოს კარგად უხორცდება, ყურძენი და რქა დროულად მწიფდება. ამგვარად, № 34 E. M. თუმცა ფრიად მნიშვნელოვანი საძირე ვაზია, მაგრამ საესებით დამაკმაყოფილებელ შედეგებს იძლევა მხოლოდ საკმაოდ ნოყიერ, არაზეზეურ, ფხვიერ, ნაშალ ნიადაგებში, რომლებშიც კირის რაოდენობა 40%-ს არ აღემატება. ამ ჰიბრიდის გამოყენება არ უნდა

ხდებოდეს მძიმე, აგრეთვე ხრეშით ჭარბ, ფიცხ ნიადაგებში და აგრეთვე
გვალვიან პირობებში. ამ ჰიბრიდში რიპარია ნათლად ჩანს და შეიძლება
იგი დავსახოთ როგორც ჭარბი კირის ამტანი რიპარია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 48. რიპარია X ბერლანდიერი № 34. E. M.

ამ ჰიბრიდს უახლოვდება № 33 E. M., რომელიც იმავე ფოქსის
შიერ გამოყვანილია მონპელიეში; მაგრამ № 34 E. M. გაცილებით უკე-
თესია და ამიტომ მევენახეობის პრაქტიკაში ამ უკანასკნელს ხშირობენ.


რიპარია X ბერლანდიერი № 420 A. B. და C.

ეს ჰიბრიდები გამოყვანილია საფრანგეთში პროფ. მილარდეს და დე
გრასეს შიერ, თუმცა სამივე ჰიბრიდი ერთდროულად და ერთსადაიმევე
მშობლებიდან არიან გამოყვანილი, მაგრამ ურთიერთისაგან საკმაოდ
განსხვავდებიან.

რიპარია X ბერლანდიერი № 420 A შემდეგით ხასიათდება:
ზრდადამთავრებული ფოთოლი სამნაკეთიანია, მაგრამ ამონაკეთები მეტად
ზეზეურია; ფოთლის ფირფიტა მუქ-მწვანე, მობრწყვიალო, მოვანიფრო, სქე-
ლი და აბურცულია. კბილანები წვრილი, ბოლო მომრგვალებული აქვს.
ზრდამოუთავებელი ახალგაზრდა ფოთოლი მწვანე-მოყვითალოა, მეტად
ბრწყვიალა და შეფენილია აბლაბუდისებრი ბუსუსით. ახალგაზრდა ყლორ-

ტის წვეროები შებუსულია და ოდნავ მოწითალოა. ყლორტი დაკუთხული
წითელ ზოლიანია, მუხლებთან იისფერია.
ყვავილი მამრობითი სქესიანია.

ეროვნული
ზიზლიონისა



სურ. 49. რიპარია X ბერლანდიერი № 420 A.

ვაზს მეტად ღონიერი ზრდა ახასიათებს და გრძელი ლერწი უფი-
თარდება. კარგად ფესვიანდება (80—85°/ს); ფილოქსერის გამძლეობა საე-
სებით კარგი აქვს—მხოლოდ ზეზეური ტუბეროსიტეტები უფითარდება.
კირის ჭარბ რაოდენობას (45°/ს) კარგად იტანს. სადედეში ლერწის უხვ
მოსავალს იძლევა და ლერწი დროულად შემოდის; სანამყენოს კარგად
უხორცდება. ამ საძირის წარმატებით გამოყენება შეიძლება კირით მდი-
დარ (45°/ს), მომშრალ, არა მეტად ღარიბ ნიადაგებში.

რიპარია X ბერლანდიერი № 420 B შემდეგით ხასიათდება:
ზრდადამთავრებული ფოთოლი სამნაკეთიანია, ნაკეთები ზეზეურია, მაგრამ
ბოლო ნაკეთი კარგად განვითარებულია. ფოთლის ფირფიტა მუქ-მწვანე,
მობრკვევილი, აბურცულია. ფირფიტის ქვედა მხარის ძარღვები ღია-მწვა-
ნეა და სამი მთავარი ძარღვი შებუსულია. კბილანები გვერდებ განიერი,
წვეროწაწვეტილია. ახალგაზრდა ზრდადაუმთავრებელი ფოთოლი შებუ-
სული და ბრინჯაოსფერია. ახალგაზრდა ყლორტების წვეროები შებუსუ-
ლია, მათ ფოთოლს მოწითალო ქომა აქვთ, გრძელი ფოთოლთანები
(5 მმ.) უფითარდებათ. ყლორტი დაკუთხულია, შებუსულია აბლაბუდი-
სებრი ბუსუსით და მწვანე-მოწითალოა.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი წვრილი და მეჩხერი; მარცვალი წვრილი, მრგვალი, შავი, ლორწოიანია. ყურძენი სამეურნეო ღირებულებას მოკლებულია. თავდაპირველად



სურ. 50. ბერლანდიერი X რიპარია 420 C.

რე ვაზია კირიანი ნიადაგებისათვის, მაგრამ № 420 A-ს მაინც უპირატესობა ეძლევა, რადგან სადღეღში უფრო თანაბარი სისხოს ლერწს იძლევა და პირველ წლებში უფრო ლალად იზრდება.

რიპარია X ბერლანდიერი № 420 C.

ხსენებულ ჰიბრიდთა შორის შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას აკეთ-
ვებენ № 420 C-ს, რადგან იგი უფრო მორჩილი ზრდა-განვითარებით
ხასიათდება როგორც სადღეღში, ისე საძირედ გამოყენების დროს. ამ ჰიბ-
რიდის შექმნის დროს მამად გამოყენებული იყო რიპარია, ამიტომ მისი
ზუსტი სახელწოდება უნდა იყოს ბერლანდიერი X რიპარია და არა შებრუ-
ნებით.

რიპარია X ბერლანდიერი № 157¹¹

ეს ჰიბრიდი კულდერკმა გამოიყვანა საფრანგეთში. იგი ხასიათდება
შემდეგით: ზრდადამთავრებული ფოთოლი სამნაკეთიანია, ამონაკეთები
ზეზეურია. ფოთლის ფირფიტა ფართოა, მექ-მწვანე, ოდნავ აბურცული
და მეტად ბრჭყვიალაა. კბილანები ვიწრო, წაწვეტიებულია. ახალგაზრდა
ზრდადამთავრებელი ფოთოლი მწვანე-მოყვითალოა, შებუსულია. ახალგაზ-
რდა ყლორტის წვეროები თეთრად შებუსული, ყლორტი დაკუთხულია,
დაფენილია აბლაბუდისებრი ბუსუსით, მწვანე, ოდნავ მოვარდისფროა.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი მომცრო, საკმაოდ კუმსია; მარცვალი, მრგვალი, შავი,
წვრილი, ლორწოიანია. ყურძენი გამოუსადეგარია.

ვაზი ღონივრად იზრდება, ფილოქსერას რიგიანად უძლებს; კარგად
 ეგუება კირით მდიდარ ქვეთიხნარ ნიადაგებს, რიგიანად ფესვიანდება და
 ნამყენსაც კარდად უზოროტდება. შეიძლება ამ ჰიბრიდის ნაკლად ჩაითვალოს
 შიზლინიცისა



სურ. 51. რიპარია X ბერლანდური 1574.

ლოს ლერწის მოგვიანებით დამწიფება და შედარებით ნაკლები დაფე-
 სვიანების უნარი (65—70%). მისი საძირედ გამოყენება უმჯობესია თბილ
 რაიონებში; საღებლების მოწყობა უნდა ხდებოდეს მზიან ადგილებში, არა-
 ნესტიან პირობებში.


ბერლანდური X რიპარია № 5 BB და № 8 B

ამ ჰიბრიდების პოპულაცია გამოყენებული იყო ჰუნგრეთში სიგმ. ტე-
 ლეკის მიერ; უკანასკნელ ოციოდე წელში მან განსაკუთრებული პოპულა-
 რობა მოიპოვა შუა ევროპაში და ბალკანეთის ქვეყნებში.


ამ ჰიბრიდების ირგვლივ თავდაპირველად სელექცია სათანადო სი-
 ზუსტით ვერ წარმოებდა; შემდეგში ამ პოპულაციებიდან გამოიყო ორი
 კლონი და მხოლოდ მოგვიანებით—უფრო ღირსშესანიშნავი ფორმები. ამ
 კლონია შორის მეტი ყურადღების ღირსია № 5 BB (სელექციონირებული
 კობერის მიერ) და № 8 B (სელექციონირებული ტელეკის მიერ).

ბერლანდური X რიპარია № 5 BB კობერი შემდეგით ხასი-
 ათდება: ზრდადამთავრებული ფოთოლი ფართოა, სიგანე ოდნავ სკარ-
 ბობს სიგრძეს. ფირფიტა თითქმის მთლიანია, კბილანები ჩლუნგია; ახალ-
 გაზრდა ელორტი გლუვი, მობრჭყვიალო, მოწითალო, ექვსკუთხიანია. შე-
 მოსული რქა წაბლისფერია. ყვავილები მამრობითი სქესისაა. ვაზები გან-

საკუთარებელი ღონით იზრდებიან. მერქანი მკვრივია, საკმაოდ ადვილად
 ფესვიანდება და ფესვთა მძლავრ სისტემას ივითარებს, რქა დროულად
 შემოდის. ფილოქსერას კარგად უძლებს, კირის ჭარბ (50-60%) რაოდენ-
 ნობას კარგად იტანს. საერთოდ ფოთლის ჰაბიტუსით რიპარიას უფრო
 წააგავს, ვიდრე ბერლანდიერს.



სურ. 52. რიპარია X ბერლანდიერი ტელეკი № 8 B.



სურ. 53. რიპარიას ლერწის
 განივი განაკვეთი.




სურ. 54. რიპარია X ბერლანდიერი
 № 5 BB-ის განივი განაკვეთი.

ბერლანდიერი X რიპარია № 8 B ტელეკი შეზღვევით ხასი-
 ათდება: საერთო ჰაბიტუსით უფრო ბერლანდიერს წააგავს. ზრდადამთავ-
 რებული ფოთლოვანი საკმაოდ ფართო, მომრგვალო მოყვანილობის, საკმა-

ოდ სქელი (ტყავისებრი), ჩლუნგკბილანებიანია; ახალგაზრდა ყლორტი ბრინჯაოსფერია და ოდნავ შებუსუსულია. ლერწი დროულად შემოდის, კარგი დაფესვიანების უნარი აქვს; დაფესვიანებულ მცენარეებს ზინებულნი შრდა ახასიათებს. ფილოქსერას კარგად უძლებს. ნიადაგში კირის დიდ დენობას (50%) ადვილად იტანს.

ორივე ეს ჰიბრიდი სანამეყნოს კარგად ეგუებიან და კარგად ვითარდებიან ქვეთიხნარ, ქვექვიშნარ ნიადაგებში, რომლებშიც კირი ჰარბად მოიპოვება. ყველა ეს თვისება ამ საძირე ჰიბრიდებს პირველ რიგში აყენებს. თუმცა სიმშრალეს კარგად ეგუებიან, მაგრამ ნამეყნის მეტი პროცენტის მიღების თვალსაზრისით სანერგეში მოწყვეს საჭიროებენ. № 5



სურ. 55. რიპარია X ბერლანდიერი № 8 B-ის განხეი განაპერი.

BB-ს საძირედ გამოყენებას უფრო ამჯობინებენ არაგვილეიან და შედარებით ნოყიერ ნიადაგებში, რადგან ამ ჰიბრიდში რიპარია სჰარბობს; № 8 B-ს კი საძირედ ამჯობინებენ უფრო მშრალ პირობებში, რადგან ამ ჰიბრიდში ბერლანდიერი დომინანტობს. ზეენს მევენახეობაში ორივე ეს ჰიბრიდი უეჭველია საპატიო ადგილს დაიკავენს.

გარდა ზემოხსენებული რიპარია-ბერლანდიერის ჰიბრიდებსა, მევენახეობის პრაქტიკაში ცნობილია ამავე შემადგენლობის ჰიბრიდები, სახელდობრ: № 45 E. M., № 7605 Castel, № 7501 Castel და სხ. მაგრამ ეს ჰიბრიდები შედარებით ნაკლები ღირებულების არიან.

რუპესტრის-ბერლანდიერის ჰიბრიდები

რუპესტრისის და ბერლანდიერის ნეჯვარების შედეგად მიღებული ჰიბრიდები შეიძლება ორ წყებად დავეყოთ: ძველად მიღებული ჰიბრიდები და ახლადმიღებული ჰიბრიდები. ახლადმიღებული ჰიბრიდები ბევრით სჯობია ძველადმიღებულ ჰიბრიდებს. ძველი რუპესტრის-ბერლანდიერის ჰიბრიდებიდან ნაწილობრივ შეინარჩუნეს მნიშვნელობა მხოლოდ № 301 და № 219-მა, მაგრამ მათი ვაერელების არც შეზღუდულია.


რუპესტრის X ბერლანდიერი № 301 გამოყვანილი იყო პროფ. მილარდეს და გრასის მიერ. იგი ხასიათდება ფილოქსერის სახეობის საკმაოდ გამძლეობით და კირსაც საკმაოდ რაოდენობით იტანს; მრგვალებით შემოდის და დაფესვიანება ოდნავ უჭირს. № 301 რამდენიმე პოპულიაციას შეიცავს; მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია № 301 A; იგი უფრო ღონიერი ზრდით და ფილოქსერის მეტი გამძლეობით ხასიათდება. მისი ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალო, თითქმის მთლიანი, მომრგვალო განიერ-კბილაკებიანია. ახალგაზრდა ყლორტის წვეროები შებუსუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით,



სურ. 56. რუპესტრის X ბერლანდიერი 301 A.

ბრინჯაოსფერი, მობრკვეილაოა; ყლორტი დაკუთხული, შებუსუსული, მოწითალოა. საერთო ჰაბიტუსით ეს ჰიბრიდი უფრო ბერლანდიერს წააგავს.

რუპესტრის X ბერლანდიერი № 219 — აგრეთვე გამოყვანილია პროფ. მილარდეს და დე გრასეს მიერ. ეს ჰიბრიდიც რამდენიმე პოპულიაციას შეიცავს; მათში № 219 A ყველაზე უკეთესია. იგი შემდგომად ხასიათდება: ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალოა; ნაკეთები ზეზეურია; ფოთლის ფირფიტის სივანე სიგრძესა სწარბობს. ნაკეთების ბოლოკბილანები ვიწრო, სამკუთხედისებრია. ახალგაზრდა ყლორტის წვერი მწვანე-მოყვითალოა და შებუსუსულია. ყლორტი მწვანე-მოწითალო, დაკუთხული და შებუსუსულია.



სურ. 57. რუპესტრის X ბერლანდიერი 219 A.

ყვავილი ორსქესიანია.

მტევანი წვრილი და საკმაოდ მეჩხერია; მარცვალი მრგვალი, წვრილი, შავი, ლორწოიანია, უსიამოვნო გემოსია. მთელ ვაზში ბერლანდიერის ჰაბიტუსი სწარბობს. რიგიანად იმყნობა, საკმაოდ კირს იტანს, ფილოქსერისადმი საკმაოდ გამძლეა, საშუალო დაფესვიანების უნარი აქვს. სამ-

ყნობად გამოსადეგ ლერწმ ნაკლები რაოდენობით იძლევა. ეს ჰიბრიდი თუმცა დასაწუნი არ არის, მაგრამ ხსენებული ნაკლის გამო პირველხარისხოვნად ვერ ჩაითვლება; ამიტომაც მისი გამრავლების არე შეზღუდულია. სამხრეთის ქვეყნების გვაღვიანი რაიონებისათვის მნიშვნელოვან საძირედ ითვლება რიხტერის მიერ გამოყვანილი რუპესტრის-ბერლანდიერის ჰიბრიდები, სახელდობრ: № 31, № 99 და № 110.

რიხტერის № 31 წარმოადგენს ბერლანდიერ-რესენიე № 2-ის შენჯვარს ნოვო-მეჭრისკანსთან (ეს უკანასკნელი რუპესტრისთან ახლო მდგომი ფორმაა). ამ ჰიბრიდის ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის, მომრგვალო მოყვანილობის, თითქმის მთლიანია. ფოთოლი საკმაოდ სქელია, მუქ-მწვანეა, ოდნავ მობრჭყვიალოა. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღიაა, ფუძე მომრგვალებულია. ფოთლის ყუნწი და მთავარი ძარღვების საწყისი მოწითალოა. ახალგაზრდა ყლორტების წვეროები შებუსულია მონაცრისფრო ბუსუსით და ნორჩი ფოთლები თავდაპირველად გადაუშლელი რჩება. ახალგაზრდა ყლორტი შეინდისფერია. ფილოქსერას ძალიან კარგად უძლებს. კირის სიჭარბეს ადვილად ეგუება; გვალვას კარგად იტანს. ვაზის ზრდა-განვითარება ღონიერია. რიგიანად ფესვიანდება, ნამყენს კარგად უზორცდება. ამ ჰიბრიდის მიერ გვალვის და სიციხის ამტანიანობა იჭიდანაც ჩანს, რომ ალკიერის ვენახებში ამ ბოლო წლებში № 31-მა საპატიო ადგილი მოიპოვა.

რიხტერის № 39 წარმოადგენს ბერლანდიერი დელა სორეს ნაჯვარს რუპესტრის დიულოსთან. ამ ჰიბრიდის ზრდამთავრებული ფოთოლი საშუალოზე მომცრო, ოდნავ მობრტყაა. ფოთლას ყუნწის ამონაკვეთი ღია და ბრტყელია. ფოთლის ფირფიტა საკმაოდ სქელი, მობრჭყვიალო, უნაკვეთია; კბილანები წვრილი, საკმაოდ განიერი, მეტ შემთხვევაში წვერომორგვალელებულია. ახალგაზრდა ყლორტის წვეროს ღია მოწითალო და შებუსულია; ახალგაზრდა ნამხრეგების წვეროები შებუსული და მოწითალოა. ახალგაზრდა ყლორტები მოწითალოა. ვაზი ღონიერი ზრდა-განვითარებით ხასიათდება. გვალვას კარგად ეგუება, მწირ ნიადაგებშიც სავსებით კარგად იზრდება. სანამყენოს კარგად უზორცდება, დაფესვიანება რიგიანი აქვს. კირს კარგად ეგუება, ოღონდ ამ მხრივ № 31-ს ჩამორჩება.

რიხტერის № 110. ეს ჰიბრიდი მიღებული იყო ბერლანდიერი რესინიე № 2-ის შეჯვარებით რუპესტრის მარტენთან. ვაზი ღონიერი ზრდა-განვითარებისაა. კარგად ეგუება მშრალ, მწირ, კირიან ნიადაგებს. ამ ჰიბრიდის ზრდამთავრებული ფოთოლი მომრგვალო მოყვანილობის, ღია-მწვანე, ოდნავ მობრჭყვიალოა. ფოთლის ყუნწი ღიაა, ბრტყელფუძიანია. ფოთლის ყუნწი და ძარღვები მუქ-მოწითალოა. ახალგაზრდა ყლორტის წვერი ალუბლისფერია, ოდნავ შებუსულია. ახალგაზრდა ფოთლები მუქ-მოწითალოა.

სამივე ეს ჰიბრიდი სიცხის, გვალვის და მწირი ნიადაგების საძირე-
ბია. თუმცა უხვი კირის ამტანიანობით ხასიათდებიან, მაგრამ ამ მხრივ
უპირატესობა № 31-ს ენიჭება. ფილოქსერისადმი საფსებით საკმარისი მცამ-
ძლეობა აქვთ. რქას დაფესვიანება თუმცა ოდნავ უჭირს, მაგრამ უკვე და-
ფესვიანებულ ვაზების ზრდა-განვითარება დაუბრკოლებლად მიმდინარეობს.


კორდიფოლიას ჰიბრიდები

კორდიფოლია შეჯვარებული იყო ამერიკული ვაზის სხვადასხვა სა-
ხეობასთან. მიზნად ჰქონდათ ამ სახეობის დაფესვიანების გაუმჯობესება
და კირისადმი შეგუების უნარის გადიდება. არსებული ნაჯვარებიდან ზო-
გიერთი საკმაო პოპულარობით სარგებლობს და თუმცა გავრცელების ფარ-
თო არც არ გააზნია, მაგრამ გარკვეულ პირობებში მეტად მნიშვნელოვა-
ნია. ასეთებია: რიპარია X კორდიფოლია № 125 და რუპესტრის X კორდი-
ფოლია № 107¹¹.

რიპარია X კორდიფოლია № 125 ფრიად მნიშვნელოვანი
საძირეა მშრალი, მწირი, ხრეშიანი, მაგრამ კირით ღარიბი ნიადაგებისათ-
ვის. ეს ჰიბრიდი გამოყვანილია პროფ. მილარდეს და დე გრასეს მიერ.
იგი შემდეგით ხასიათდება:

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის, მოგანივრო, სამ-
ნაკვეთიანია; ნაკვეთები ზეზეურია. ნაკვეთების ბოლო კბილანები გრძელი,
იწრო, სამკუთხედიანებრია. ფოთლის ფირფიტა სქელი, ღია-მწვანე, აბურცუ-
ლი-ტალღისებრია. ახალგაზრდა ფოთოლი გლუვი, მწვანე-მოყვითალო,
ოდნავ მობრქვეილაოა. ყლორტი გლუვი, მწვანე-მოწითალოა. ყვავილები
მამრობითსქესიანია. რქა რიგინად ფესვიანდება და კარგად განვითარე-
ბულ, მოყვითალო, ხორციან ფესვთა სისტემას იძლევა. კარგად დეფესვი-
ანებული ვაზი მეტად ღონივრად იზრდება და სადღეღეში ლერწის უხვ მო-
საველს იძლევა. ფილოქსერას კარგად უძლებს, სანამეყენოს კარგად უზორც-
დება, მაგრამ კირს რიპარიაზე ნაკლებად იტანს. სწორედ არ მიზეზის გა-
მო ეს საძირე გამოსადეგია მხოლოდ არულიად გარკვეული პირობები-
სათვის: მშრალ, მწირ, კირით ღარიბ ნიადაგებში.

რუპესტრის-კორდიფოლიის ჰიბრიდთა შორის ზოგი ბუნებრივი წარ-
მოშობისაა და ზოგი ხელოვნურად გამოყვანილია. მათგან მნიშვნელოვა-
ნია რუპესტრის X კორდიფოლია № 107¹¹, გამოყვანილი პროფ.
მილარდეს და დე-გრასეს მიერ. იგი შემდეგით ხასიათდება: ზრდადამთავ-
რებული ფოთოლი საშუალო სიდიდის, თითქმის მთლიანია, ფოთლის ფირ-
ფიტა მუქ-მწვანე და აბურცულია. ქვედა მხრის ნერვაცია შეზუსტულია, ზედა
მხრისა კი—ვარდისფერია და ოდნავ შეზუსტულია. კბილანები ვიწრო და
წაწვეტილებულია. ახალგაზრდა ზრდამოუთავებელი ფოთოლი ბრინჯაოს-
ფრად ბრქვეიანდება. ყლორტი გლუვია, იისფერია. მტევანი მოზრდილი,
დატოტვილი, საკმაოდ მესხერია. მარცვალი წვრილი, მრგვალი, შავი, გე-



ბერლანდიერი X ნოვო მექსიკანა № 31 რიბტერისა



გეორგიული
ბოტანიკური



ბერლანდიერი X რუმესტრის დიუ ლო № 99 რიბტერისა



ბერლანდიერი X რუესტრის მარტენ № 110 რიხტერისა

მთი მომწკლარტოა; ეს ჰიბრიდი თავისი ჰაბიტუსით კორდიფოლიას ში-
ემსგავსება.

ვაზს ლონიერი ზრდა-განვითარება ახასიათებს; გრძელი, საკმაოდ
სქელი ლერწი უფითარდება. რქა დაქაქმაყოფილებლად ფესვიანდება
გრძელ ფესვთა სისტემას იფითარებს. ფილოქსერისადმი კარგ გამძლეობას
იჩენს; სანამყენოს რიგიანად ეთვისება. ამ ჰიბრიდზე დამყნობილი ვაზები
ლონიერი ზრდით და უხვი მოსავლით ხასიათდებიან, მაგრამ მხოლოდ გარ-
კვეულ პირობებში: უკირო, ხრეშით მდიდარ, ქვეთიხნარ, შშიმე ნიადაგებ-
ში. სიმშრალის დიდი ამტანიანობით არ ხასიათდება.

რიპარია X რუპესტრის X კორდიფოლია № 106—8 წარ-
მოადგენს სამი ამერიკული სახეობის ნაჯვარს. წინასწარ კორდიფოლია
შეჯვარებული იყო რუპესტრისთან და მიღებული ნაჯვარი კორდიფო-
ლია-რუპესტრისი დე-გრასე შემდეგ მიღარდეს და დე-გრასეს მიერ შეჯ-
ვარებულ იქნა რიპა-
რიასთან.



სურ. 61. რიპარია X რუპესტრის X კორდიფოლია
106—8.

ბუსული და ღია-მწვანეა. ახალგაზრდა ყლორტის წვერო ღია-მწვანეა.
ყლორტი გლუვი, იისფერია. მტევანი წვრილი, მოკლე, ნაკლებ ჭმისია.
მარცვალი მრგვალი, შავი, წვრილია. ვაზი საერთო ჰაბიტუსით რიპარიას
უფრო წააგავს, მით უმეტეს, რომ ამ ჰიბრიდის შექმნისას გამოიყენეს $\frac{1}{2}$
რიპარია, $\frac{1}{4}$ რუპესტრისი და $\frac{1}{4}$ კორდიფოლიასი.

№ 106—8 ლონიერი განვითარების ვაზია, გრძელ და შედარებით
წვილ რქას იკეთებს. რქა ადვილად ფესვიანდება. დატოტვილს, წვრილს,
მაგრამ ძალიან მაგარ ფესვებს იფითარებს. ფილოქსერისადმი გამძლეობის
უნარიანობა დიდი აქვს. კირიან ნიადაგებში ქლორიზით ადვილად ავად-

№ 106—8 შემ-
დეგით ხასიათდება:
ზრდადამთავრებული
ფოთლი სანაკეთიან-
ნია, ამონაკეთები ზე-
ზეურია, ფოთლის
ფირფიტა მუჭ-მწვანე,
აბურცული, მთავარ
ძარღვებთან დანაკე-
ბულია; ზედა მხრის
ძარღვები შებუსული
და იისფერია. კბი-
ლანები ვიწრო და
წაწვეტიებულია. ახალ-
გაზრდა ზრდამოუთა-
ვებელი ფოთლი შე-

დება. ამ ჰიბრიდს წარმატებით იყენებენ მძიმე, ადვილი შეკოწიწების უნარის მქონე ნიადაგებისათვის მშრალ პირობებში და ამ მხრივ თითქოს შეტოქე არც კი ჰყავს. დაახლოებით ასეთივე ფიზიკური თვისებების ნიადაგებისთვის, ოლონდ კირის საგრძობი რაოდენობის დროს, უნდა იქნება რუს-პესტრას-ბერლანდიერის ზემოდასახელებული რიხტერისეული ჰიბრიდები.

ფრანგულ-ამერიკული საძირკე ჰიბრიდები

ფრანგულ-ამერიკული ანუ ევროპულ-ამერიკული ჰიბრიდების სახელით მევენახეობის პრაქტიკაში ცნობილია ვინიფერას ნაჯვარნი ამერიკულ სახეობებთან; რადგან ასეთი შეჯვარება პირველად საფრანგეთში მოხდა, ფრანგული ჯიშების გამოყენებით, ამიტომ ამ ნაჯვარებს ფრანგულ-ამერიკული ჰიბრიდები ეწოდათ.

ამერიკულ სახეობათა ვინიფერასთან შეჯვარების მიზანი იყო ისეთი ჰიბრიდების შექმნა, რომელნიც ამერიკულ სახეობათა მეოხებით ფილოქსერას და სოკოვან ავადმყოფობათა გამძლე იქნებოდნენ; ვინიფერა კი მათ გადასცემდა ნაყოფის (ყურძნის) ხარისხს, კირისადმი შეგუებას; ამგვარად, ამ შეჯვარების შედეგად წარმოშობილ ვაზებს მყნობა არ დასჭირდებოდათ, ხარისხოვან მოსავალს მოგვეცემდნენ, ფართო ადაბტაცია ექნებოდათ და სოკოვან ავადმყოფობებთან ბრძოლა საჭირო არ იქნებოდა. ასეთი ჰიბრიდების მიღებით მევენახეობის წინაშე ახალი პერსპექტივები გადაიშლებოდა, რადგან ვაზის კულტურა გამარტივდებოდა, ფილოქსერა და სოკოვანი ავადმყოფობანი დაძლეულ იქნებოდა და მევენახეობა ძველ კალაპოტში ჩაღვებოდა. პერსპექტივა იმდენად წარმატებული იყო, რომ ამ საქმიანობაში მონაწილეობა მიიღეს მთელმა რიგმა მკვლევარებმა და მევენახეებმა. შედეგად, როგორც საფრანგეთში, აგრეთვე სხვა ქვეყნებში, შეიქმნა მრავალი ფრანგულ-ამერიკული ჰიბრიდი. მიღებული ჰიბრიდები თუმცა ისეთი მშობლების სისხლს ატარებდნენ, რომ ხსენებული მოსაზრება თითქოს უნდა გაემართლებიათ, მაგრამ დასახულ მიზანს ვერც ერთმა ჰიბრიდმა ვერ მიაღწია. ამერიკულ სახეობათა ვინიფერას შეჯვარების შედეგად მიღებული ჰიბრიდები მეტად კრელ სურათს იძლევიან: ზოგი ფილოქსერისადმი კარგი გამძლეობით, მაგრამ ნაკლები ხარისხის ნაყოფით ხასიათდება; ზოგი მამრობითსქესიანი აღმოჩნდა; ზოგი ჰიბრიდი ფილოქსერისადმი მეტად მგრძობიარე გამოდგა და სხ. ამ გზით შექმნილ მრავალ ათას ჰიბრიდში არ აღმოჩნდა არც ერთი, რომელზედაც დამყარებით შესაძლებელი იქნებოდა მევენახეობის მომავლის უზრუნველყოფა.

ამგვარად, თავდაპირველი მიზანდასახულება—უნივერსალური ვაზის შექმნა, ვერ განხორციელდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს დიდი შრომა საეცებით უშედეგოდ არ დარჩა: მოხერხდა ამ ჰიბრიდთა შორის ისეთების გადარჩევა, რომლებიც საძირედ გამოდგნენ.

თუმცა უნივერსალური ვაზი ვერ მიიღეს, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა მაინც არ შენელებულა, მხოლოდ მუშაობის მეფოდი და ნიწილობრივ მიზანდასახულებაც შეიცვალა. რა მეთოდით და რა მიზანდასახულობით მიმდინარეობს შემდგომი მუშაობა და რას მიაღწიეს ამ მხრივ, ამას შემდეგ გავეცნობით.

როგორც აღვნიშნეთ, ამერიკულ სახეობათა და ვინიფერას შეჯვარების შედეგად მიღებული ზოგიერთი ჰიბრიდი საძირედ გამოდგა; ამ ჰიბრიდებს დღევანდელი მევენახეობისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვთ; მათ ეკუთვნის: მურვედერ X რუპესტრის № 1202, არამო X რუპესტრის №№ 1, 2 და 9, ბურისკო X რუპესტრის № 601 და 603, კაბერნე X რუპესტრის № 33, შასლა X ბერლანდიერი № 41 და სხ.

მურვედერ X რუპესტრის № 1202 გამოყვანილია კულდერკის მიერ. ეს ჰიბრიდი შემდეგით ხასიათდება: ზრდადამთავრებული ფოთოლი მომცრო, მომრგვალო მოყვანილობის, ხუთნაკეთიანია; ყველა ნაკეთი ზეზეურია. ფოთლის ფირფიტა ღია-მწვანე, აბურცული და დანაოქმებულია; კბილანები მოვანიერო, წვეროწაწვეტებულია. ფოთოლი მურვედერისას წააგავს. ახალგაზრდა ზრდადამთავრებული ფოთოლი ღია-მწვანეა, სპილენძის იერი გადაჰკრავს და შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით. ახალგაზრდა ყლორტის წვეროები შებუსული და ვარდისფერია. ყლორტი შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით, მწვანე-მოიისფროა, საკმაოდ სქელია და აფშეკილი მიმართულებისაა. მტევანი მომცრო, საშუალო სიკუმისისაა. მარცვალი მრგვალი, წვრილი, შავი, გემოთი ბლანტია. ვაზს მეტად ღონიერი ზრდა აქვს. სქელს, მოკლეს, დატოტვილს და აფშეკილ რქას ივითარებს. ფესვთა სისტემა საკმაოდ მძლავრი, მრავალრიცხოვანი და ხორციანია. კრაქისადმი სრული გამძლეობით არ ხასიათდება. ნამყენს კარგად ითვისებს, რქა კარგად ფესვიანდება; მშრალ ზეზეურ, მწირ პირობებში ფილოქსერა ვნებს, მაგრამ ღრმა, ნოყიერ, მონესტო კირნარ ნიადაგებში, რომლებშიც კირის რაოდენობა 30% არ აღემატება, მურვედერ X რუპესტრის № 1202 ძალიან კარგ საძირედ ითვლება; ასეთ ნიადაგში ფილოქსერა დამლუპველად ვერ მოქმედებს. რქა ცოტა მოგვიანებით შემოდის და ამიტომ მევენახეობის ჩრდილოეთ რაიონებისათვის ეს ჰიბრიდი საძირედ ნაკლებ გამოსადევია.

დაუმუშელად მურვედერ X რუპესტრისი № 1202 უხვ მოსავალს იძლევა, მაგრამ ღვინო თხელი და ნაკლებ შინაარსიანი დგება, საკმელადაც ნაკლებ გამოსადევ ყურძენს იძლევა—ცოტა შაქარს შეიცავს.

არამონ X რუპესტრისი № 1. ეს ჰიბრიდი გამოყვანილია განზენის მიერ. ამ ნაჯვარის ზრდამთავრებული ფოთოლი მოვანიეროა და როგორც მოყვანილობით ისე აგებულებით და ფერით, რუპესტრისას წააგავს, ოღონდ ოდნავ უფრო მოზრდილია. ვაზი ღონიერი განვითარებისაა. ფესვთა სისტემა მძლავრი, კარგად დატოტვილი, ხორციანი, ოდნავ



მოწითალოა. რქა ადვილად ფესვიანდება, მაგრამ სანამყენოს შედარებით ნაკლები შეხორცების უნარი აქვს; შეხორცებული ნამყენი შემდეგ კარგად იზრდება. ფილოქსერისადმი რიგიანი გამძლეობა აქვს, მაგრამ ეს თავისთავად



სურ. 62. მურვედერ X რუპესტრის 1902.

ბურება უმცირდება მშრალი, შეხეური ნიადაგის ჰეროზებში. მისი სძირედ გამოყენება მიზანწეწონილია საკმაოდ ღრმა, ქვევტიწნარ ნიადაგებში, არა გვალვიან პირობებში. კირს 25%-ს იტანს. ეს შიბრიდი მამრობითსქესიან ყვავილებს ივითარებს.

არმონ X რუპესტრის № 1 დასაწყუნი საძირე არ არის, მაგრამ მისთვისაც, როგორც სხვა საძირეებისათვის, საჭიროა სათანადო ეკოლოგიური პირობების შერჩევა.

მევენახეობის პრაქტიკაში ცნობილია აგრეთვე განზენის შიერვე გამოყვანილი არამონ X რუპესტრისი № 2 და № 9. № 2 ნაკლებად გავრცელებულია, რადგან ნაკლები კირის ამტანიანობით ხასითდება. № 9 უკეთ ითვისებს ნამყენს, ვიდრე № 1, ჩინებული ზრდა აქვს, მაგრამ სადენდში კრაქით უფრო ადვილად ავადდება, ვიდრე № 1.



სურ. 63. არამონ X რუპესტრის G. 1.

ბურისკუ X რუპესტრის № 601 გამოყვანილია კულდერკის მიერ, ამ ვაზის ზრდადამთავრებული ფოთოლი ხუთნაკვთიანია, ზედა ამონაკვთები საკმაოდ ღრმა, უფემომრგვალებულია, ფირფიტისაა, სიდიდის, ოდნავ შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვთი მახვილფუძიანია. ახალგაზრდა განუვითარებელი ფოთოლი შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით და ღია-მწვანეა. ახალგაზრდა ყლორტის წვეროები მომწვანოა და შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით. მტევანი მომცრო და საკმაოდ კუმსია; მარცვალი მრგვალი, საშუალო სიდიდის, შავი, ოდნავ ლორწოიანია. რქა ადვილად ფესვიანდება და უხვად დატოტვილ, კარგად განვითარებულ, საკმაოდ ხორციან ფესვთა სისტემას ქმნის. ვაზი ღონიერ ზრდა-განვითარებას აღწევს. ფილოქსერისადმი საკმაო გამძლეობა აქვს. სანამყენოსთან შეხორცება ცოტა უძნელდება, მაგრამ გახარებული ნამყენი შემდეგ კარგად ვითარდება.

ბურისკუ X რუპესტრის № 601 უხვ მოსავალს იძლევა, მაგრამ ყურძნის ხარისხი ნაკლებ დამაკმაყოფილებელია და ამიტომ ძირითადად საძირე ვაზის სახით იხმარება. იგი გამოსადეგია საშუალო სინოციერის ნიადაგებში, აგრეთვე კომპაქტურ მონესტო ნიადაგებში.

ბურისკუ X რუპესტრის № 603 აგრეთვე გამოყვანილია კულდერკის მიერ. ეს ჰიბრიდი ფოთლის საერთო იერიით რუპესტრისს წაავსებს. საკმაოდ უხვ მოსავალს იძლება, მაგრამ ამ ჰიბრიდის კულტურასაც საძირედ ამჯობინებენ. სიმშრალეს უკეთ ეგუება, ვიდრე № 601, კირს 35%-ს იტანს, ვაზი ღონიერად იზრდება, რქა გვიან შემოდის. სანამყენოსადმი შეხორცება ნაკლები აქვს, მაგრამ შეხორცებული ნამყენი ვაზები კარგი ზრდა-განვითარებით ხასიათდებიან. ფილოქსერისადმი გამძლეობა შედარებით ნაკლები აქვს, ვიდრე № 601-ს.

ბურისკუ X რუპესტრისის ჰიბრიდი წინააღმდეგ ვაზის გამოყვანილი იყო და ძირითადად იხმარებოდა დაუმყნობლად, უშუალოდ მოსავლის მიღების მიზნით, ამჟამად კი საძირედ იყენებენ.

კაბერნე X რუპესტრის № 33 A. ეს ჰიბრიდი გამოყვანილია 1882 წ. პროფ. მილარდეს მიერ და შემდეგ სელექციონერებულია დეგრასეს მიერ. დედად აღებულია კაბერნე-სოვინიონი და მამად რუპესტრის განზენი. ამ ჰიბრიდის ზრდადამთავრებული ფოთოლი 3—5 ნაკვთიანია, ზედა ამონაკვთები საკმაო სიღრმეზე იჭრებიან; ყლორტის წვეროები შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით; კბილანები ვიწრო, წაწვეტილებულია; ფოთოლი შემოდგომაზე წითლდება. უვითარდება მამრობითი სქესის ყვავილები. ფილოქსერისადმი საკმაო გამძლეობას იჩენს, თუმცა ნოდოსიტეტები უჩნდება, მაგრამ ტუბეროსიტეტები ღრმად არ იჭრებიან. რქა ადრე შემოდის და სადღე უხვ მოსავალს იძლევა. რქა კარგად ფესვიანდება და სანამყენოს კარგად უხორცდება.

კაბერე X რუბესტრის № 33 A გამოსადეგია ღარიბ, მშრალ კირით არა ქარბ და მძიმე ნიადაგებში. უმჯობესია მისი გამოყენება კირით ღარიბ, მშრალ, მწირ და კომპაქტურ ნიადაგებში.

ვინიფერა X რიპარია № 142 E. M. ეს ჰიბრიდი ვინიფერა ლია პროფ. ფოექსის მიერ, რომელმაც პტი ბუშე (დედა) რიპარიასთან (მამა) შეაჯვარა. ვაზი შემდეგით ხასიათდება: ზრდადამთავრებული ფოთოლი საკმაოდ დიდი, საშნაკეთიანია; ნაკეთები ზეზეურია; ფოთლის ფირფიტა მუქ-მწვანეა და სადაა; მთავარი ძარღვები ზედა მხრიდან ვარდისფერია; კბილანები მეტად ვიწრო, არათანასწორი სიდიდის, წვერო-წაწვეტებულია. ახალგაზრდა ყლორტების წვეროები გლუვი, ღია-მწვანეა. ყლორტი გლუვი, მწვანე-მოვარდისფროა. მტევანი საკმაოდ გრძელი, საშუალო სიკუმისაა; მარცვლი წვრილი, მრგვალი, შავი, წვნიანია; წვენი უხვადაა შეფერილი; გემოთი მომწკლარტაა. ამ ჰიბრიდის ფოთოლი რიპარიას წააგავს, ყურძენიც რიპარიას ნიშნებს ატარებს. ვაზი ღონივრად იზრდება და გრძელ რქას ივითარებს; რქა ადვილად ფესვიანდება; ფესვთა სისტემა ღონივრად განვითარებული, კარგად დატოტვილი და საკმაოდ ხორციანია. ფილოქსერისადმი გამძლეობა უმცირდება ზეზეურ მშრალ ნიადაგებში. ამ ჰიბრიდის საძირედ გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საკმაოდ ღრმა და ნოყიერ ან ქვიშა ნიადაგებში. დაახლოებით 25% კირს იტანს.

რიპარია X ვინიფერა № 143 გამოყვანილია პროფ. მილარდეს და დეგრასეს მიერ, რიპარიის და არამონის შეჯვარებით. ეს ჰიბრიდი ფილოქსერისადმი უკეთ გამძლეა, ვიდრე № 142 E. M., მაგრამ იგი გაცილებით ნაკლებად გავრცელებულია, რადგან ვაზი შედარებით სუსტი ზრდა-განვითარებით ხასიათდება.


ვინიფერა - ჰიბრიდი

როგორც ვინიფერა, ისე ბერლანდიერი ნიადაგში კირის დიდ რაოდენობას სავეებით კარგად ეგუებიან; თუმცა ვინიფერას ყველა ფორმა კირის ქარბ რაოდენობას ეგუება, მაგრამ ყველა ჯიშის პროდუქტებზე იგი თანაბრად დადებით გავლენას არ ახდენს. ამ სახეობათა შეჯვარების ძირითადი მიზანი იყო ისეთი მალალხარისხოვანი საძირე ვაზების შექმნა, რომელნიც ერთის, მხრივ, კირის კარგი ამტანი იქნებოდნენ და მეორეს მხრივ, ბერლანდიერის ჭარყოფითი თვისებებს მეტად ძნელად დაფესვიანებდას—გამოასწორებდნენ. ამ სახეობათა ყველა ნაჯვარი ხელოვნური წარმოშობისაა, ამ სახეობაგან მალალ ხარისხოვან საძირე ვაზების შესაქმნელად თუმცა დიდი შრომა გასწიეს (ფოექსი, კუდერკი, მილარდე, მალგე, დეგრასე და სხ.), მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ რამდენიმე ჰიბრიდმა გაიმართლა იმედები; ბევრი ჰიბრიდი, ვინიფერა-ბერლანდიერის სისხლის მატარებელი, თუმცა კირის უხვი ამტანი აღმოჩნდა, მაგრამ დაფესვიანების

უნარიანობა მეტად ნაკლები ჰქონდათ. იმ ჰიბრიდთა წყებიდან, რომელთაც იმედები გაამართლეს, პირველ რიგში სდგას შასლა X ბერლანდიერი № 41 B.



შასლა X ბერლანდიერი № 41 B გამოყვანილია პროფ. მილარდეს და დეგრასეს მიერ, ცნობილ სუფრის ყურძნის ჯიშ შასლას (დედა) შეჯვარებით ბერლანდიერთან (მამა). ეს ჰიბრიდი შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: ზრდადამთავრებული ფოთოლი 5 ნაკეთიანია. ზედა ამონაკეთები ნაკლები სიღრმისაა, ქვედა ამონაკეთები ოდნავ შესამჩნევია. ფოთლის ფირფიტა მოვანიერო, სადა, მუქ-მწვანე, მობრჭყვიალოა. ნერვაცია ღია-მწვანე ფერისაა. ახალგაზრდა ზრდადამთავრებული ფოთოლი შებუსული და მობრჭყვიალოა; ახალგაზრდა ყლორტის წვეროები მოვარდისფრო და შებუსულია. ყლორტი შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით, დაკუთხული და მწვანე-მოიისფროა. მტევანი მომცრო, მზრიანი, ნაკლებ კუმსია. მარცვალი მრგვალი, შავი, წვრილია. საერთო ჰაბიტუსით ეს ჰიბრიდი ბერლანდიერს უფრო წააგავს, ვიდრე ვინიფერას.



სურ. 64. შასლა X ბერლანდიერი 41 B.

ვაზი ღონიერი ზრდა-განვითარებით ხასიათდება, მაგრამ ისევე, როგორც ბერლანდიერი, გაზარების პირველ წლებში ზედა ნაწილები ნელა იზრდება, მიწის ქვედა ნაწილები კი კარგად ვითარდება, შემდეგ წლებში მიწის ზედა ნაწილებიც ღონიერ განვითარებას იწყებენ. რქა რიგიანად ფესვიანდება (70%), ფესვთა სისტემას მრავალრიცხოვნად არ ივითარებს, მაგრამ ფესვები მძლავრ განვითარებას აღწევენ და სიღრმეში წასვლის ტენდენცია აქვთ. ნაბუყნს ძალიან კარგად ითვისებს და იოლი შეზორცების უნარი აქვს. კირისადმი მეტად დიდი გამძლეობა აქვს (60—65%). ამ მხრივ № 41-ს მეტოქე თითქმის არა ჰყავს და, კირით განსაკუთრებით მდიდარ ნიადაგებში, მხოლოდ ეს ჰიბრიდი იხმარება. შამპანის და კონიაკის კირით მეტად მდიდარ ნიადაგებში საძირედ ძირითადად № 41 B იხმარება. გვალვას და სიციხეს კარგად ეგუება, ამიტომ ალყირელი მევენახენიც ამ საძირეს სავსებით ემადრიელებიან. ფილოქტერას კარგად უძლებს. სადღეე ლერწის რიგიან მოსავალს იძლევა. შასზე



დამყნობილი ვაზი უხვ მოსავალს იძლევა და ყურძენი დროულად მწიფდება. ნიადაგებისადმი საკმაოდ ფართო ადაპტაციით ხასიათდება — უმჯობესად მწიფე თიხნარებს და ქვი-ქვიშნარებს მშრალ პირობებში და, როგორც აღვნიშნავთ, მწიფე, კირით მეტად მდიდარ ნიადაგებს.

მიუხედავად ამ საძირე ვაზის მთელი რიგი დადებითი მხარეებისა მისი გამოყენება ძირითადად მაინც კირით მეტად მდიდარ ნიადაგებში უნდა ხდებოდეს. სხვა პირობებში უმჯობესია სხვა ისეთი საძირე ჰიბრიდების ხმარება, რომლებიც უკეთესია ლერწის დაფესვიანებით, სადედიდან უფრო უხვი ლერწის მოსავლით და დარგვის პირველ წლებიდან უფრო ღონიერი ზრდით.

კაბერნე X ბერლინდიერი № 333 E. M. ეს ჰიბრიდი გამოყვანილია პროფ. ფოქსის მიერ კაბერნე-სოვინიონის (დედა) ბერლინდიერთან (მამა) შეჯვარებით. იგი შემდეგით ხასიათდება: ზრდადამთავრებული ფოთოლი ხუთნაკეთიანია, ზედა ამონაკეთები საშუალო სიღრმისაა, ქვიდა ამონაკეთები საკმაოდ შესამჩნევია. ფოთლის ყუნწის ამონაკეთი ფოქე მომხვეილია, ელიპსურ ნაპრალს ჰქმნის, დახურულია. ფოთლის ფირფიტა განიერია, მუქ-მწვანე, მობრწყვილი, სქელი, დანაოკებულია; ქვედა მხრიდან შებუსულია აბლაბუდისებრი ბუსუსით; ზედა მხრიდანაც შებუსულია, მაგრამ უფრო ნაკლებად. ფირფიტის კბილანები განიერ-სამკუთხედისებრია. ახალგაზრდა ყლორტის წვეროები მოწითალო და შებუსულია. ყლორტი მწყანე-მოწითალო, შებუსულია. ყვავილები მამრობითსქესიენია. ვაზი თავისი ჰაბიტუსით, მით უმეტეს ფოთლებით, კაბერნეს წააგავს.


№ 333 E. M. ძალიან ღონიერი ზრდის და ჩქარი განვითარების ვაზია. რქა ძალიან კარგად ფესვიანდება და კარგადაც უზორცდება სანამყნოს. კირის ჰარბ რაოდენობას ნიადაგში ჩინებულად ეგუება. სამწუხაროდ ფილოქსერისადმი ძალიან დიდი გამძლეობა არა აქვს: მეტად მშრალ ზეზეურ მიწებში მის ფესვებზე საკმაო სიღრმის ტუბეროსიტეტები ჩნდებიან. ნოყიერ ნიადაგებში და არამშრალ პირობებში № 333 E. M. ფილოქსერას კარგად იტანს; ასეთ პირობებში ამ ჰიბრიდის ხმარება წარმატებით შეიძლება.

ს ო ლ ო ნ ი ს ი

სოლონისი წარმოადგენს ბუნებრივ ჰიბრიდს, რომელიც სამი სახის შეჯვარებით წარმოიშვა, საბელდობრ რიპარიასი, რუპესტრისისა და კანდიკანისისა. ეს ჰიბრიდი პირველად შემჩნეულ იყო ბერლინის ბოტანიკურ ბაღში; შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგი ველურად იზრდება არკანზასში (ამერიკა). ვაზი საერთო ჰაბიტუსით რიპარიას უფრო წააგავს, ოღონდ უხვადაა

შებუსული თეთრი, მოგრძო ბუსუსებით. ფრანგ მკვლევართა აწრით სო-
ლონისი წარმოიშვა რუპესტრისის შეჯვარებით კანდიკანსთან და შემდეგ
ეს ნაჯვარი რიპარიასთან შეჯვარდა.

სოლონისის ზრდა-განვითარება რიპარიასას ემსგავსება; ივითარებს
გრძელს, შედარებით წვრილ რქას; მოთეთროა, ლერწი საშუალო დაფეს-
ვიანების უნარიანია. მეტად მშრალ და ზეზეურ მიწებში ფილოქსერისადმი
გამძლეობა უსუსტდება. სამაგიეროდ არა მშრალ, ნოყიერ, ქვიშნარ ნიადა-
გებში ფილოქსერის სავსებით გამძლე ითვლება. კირს 15—20% იტანს.
სანამყენოსთან შეხორცების უნარი საშუალო აქვს. შეხორცებული ნამყე-
ნების შემდგომი ზრდა-განვითარება დაუბრკოლებლად მიმდინარეობს, თუ,
რასაკვირველია, საძირე მისთვის ხელსაყრელ პირობებშია დარგული.



სურ. 65. სოლონის X რიპარია 1616.

დღევანდელი მევენახეობის ფართო პრაქტიკაში სოლონისი, როგორც
საძირე ვაზი, შედარებით იშვიათად გამოიყენება; ვაცოლებით მეტი მნიშ-
ვნელობა აქვს ამ ვაზის ჰიბრიდს რიპარიასთან, რომელიც ცნობილია
რიპარია X სოლონის № 1616 სახელწოდებით. ეს ჰიბრიდი გამო-
ყვანილია კულდერკის მიერ სოლონისის და რიპარიის შეჯვარებით. იგი
შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: ზრდადამთავრებული ფოთოლი საკმაოდ
დიდი, საშნაკეთიანია; ამონაკვთები ზეზეურია; ფოთლის ფირფიტა მუქი-
მწვანე, მობრწყვიალო, ორივე მხრიდან შებუსულია თეთრი, მოგრძო ბუ-
სუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვთი ღია, ბრტყელფუძიანია. კბილანები
ვიწრო, მეტად წვეტიანია. ახალგაზრდა ზრდამოუთავებელი ფოთოლი
ღია-მწვანეა. ახალგაზრდა ყლორტის წვეროები თეთრადაა შებუსული.

ყლორტი მწვანე მოწითალოა და დაფენილია აბლაბუდისებრი ზუსტსი-
მტევანი წვრილი, მოკლე, საკმაოდ კუმსია. მარცვლი წვრილი, მრგვალი,
შავი; წვენი უხვადაა შეფერილი.

სოლონის X რიპარია № 1616 ლერწიმ უხვ მოსავალს იძლევა; რქა
საკმაოდ ადვილად ფესვიანდება და სანამყენოსაც კარგად უზორცდება;
Kober-ის მიხედვით ამ საძირეზე შეიძლება 89,2% ნამყენის გაზარება.
არა მეტად მშრალ, მწირ ნიადაგებში ფილოქსერისადმი სავსებით კარგი
გამძლეობა ახასიათებს—15—20%-ს კირს იტანს. ეს ჰიბრიდი საძირედ
იხმარება ნოყიერ, ფხვიერ ნიადაგებში, მაგრამ ასეთი ნიადაგებისათვის
გამოსადეგი სხვა საძირეები მოიპოება; ამიტომ სოლონის X რიპარია № 1616
მნიშვნელოვან საძირე ასორტიმენტთან გამოვარდებოდა კიდევ, რომ მას
არ ახასიათებდეს მომლაშო ნიადაგებისადმი შეგუება. იგი იტანს ბიცი ნია-
დაგში არსებულ ვაზისათვის მავნე მლაშე მარილებს (0,5%-ამდე), მაშინ
როდესაც სხვა საძირეები ასეთ ნიადაგებზე „მლაშე“ ქლოროზით ავაღ-
დებიან; სწორედ ამიტომ ამ საძირის გამოყენება ხდება მხოლოდ ასეთ,
მაგრამ არა მეტად მწირ ნიადაგში.

VI. პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები

პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები წარმოადგენენ ევროპული და
და ამერიკული ვაზების ისეთ ნაჯვარს, რომელთა დანიშნულებაა არა სა-
ძირედ გამოყენება, არამედ უშუალოდ მოსავლის მოცემა, ასეთი სახის
ვაზების შექმნა დიდ პერსპექტივებს შლიდა მევენახეთა წინაშე; ისინი
დაიმედებული იყვნენ, რომ ასეთი მშობლებიდან წარმოშობილი ნაჯვარი
ვაზები ფილოქსერას და სოკოვან ავადმყოფობებს გაუძლებდნენ (ამ გამძლე-
ობას ამერიკული ვაზებიდან მემკვიდრეობით მიიღებდნენ) და ამავე დროს
ხარისხოვან პროდუქტს მისცემდნენ (ამ თვისებას კი ევროპული ვაზიდან
მემკვიდრეობით მიიღებდნენ).

პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდების — *Hibrides producteurs directs*
(ფრანგ.), *Die Directträger*—(გერმ.), ანუ როგორც მათ საერთაშორისო
მევენახეობის ტერმინოლოგიაში შემოკლებით უწოდებენ P. D.-ს—შექმნის
იდეა პროფ. Millardet-ს ეკუთვნის. ვაზის საძირე ჰიბრიდების გამოყვანის
დროს (1870 წლები) იგი დარწმუნდა, რომ შეიძლება პირდაპირმწარ-
მოებლის გამოყვანა, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ამერიკული ვაზის ბუ-
ნებრივი ნაჯვარი მოსავლიანი იყო (ტაილორი, ნოა, კლინტონი, ცინციანი
და სხ.). ამ იდეას გამოეხმაურნენ და მუშაობა გაცხოველდა. მეტად დიდი
ენერჯია და ენტუზიაზმი გამოიჩინეს პირველ რიგში ფრანგმა მევენახე-
აგრონომებმა; მათ შორის აღსანიშნავი არიან: Castel, Foex, Malègue,
Baco, Gaillard, Bertill, Seyve და განსაკუთრებით კი Couderc-ი და Seibel-ი;
ამ უკანასკნელებმა მთელი თავისი სიცოცხლე ამ საკითხის დამუშავებას
შესწირეს. შემდეგში სხვა ქვეყნების მკვლევარებმაც (იტალიაში—Grimaldi,

Terci, Cecarelli, Pirovano, გერმანაში—Willig, Ziegler, Steingruber, Scholl, ჩეხოსლოვაკიაში—Stummer, Frimmel და სხ.) ამ საკითხის დამუშავების ფართო მონაწილეობა მიიღეს.

Castel-ის განმარტებით პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდი უნდა ხასიათდებოდეს არა მარტო ფილოქსერისადმი გამძლეობით, არამედ აგრეთვე: 1) სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობით; 2) ფართო აღაბტაციით; 3) უხვმოსავლიანობით (მრავალრიცხოვანი და მსხვილმარცვალა მტევნებით; 4) პროდუქტის მაღალი ღირსებით; 5) ყურძნის დიდი შაქრიანობით; 6) ნაადრევი დამწიფებით; 7) კარგი გემოვნებით; 8) ყურძნის სათანადო შეფერვით (მით უმეტეს წითელი ჯიშების); 9) კარგი სამეურნეო თვისებებით (კვირტების მოგვიანებით გამოფურჩქვნა, ყინვის ამტანიანობა, რქის კარგი და დროული დამწიფება, ლონიერი ზრდა-განვითარება, კარგი და ადვილი დაფესვიანების უნარი და სხ.).

პირველ ხანებში და პირველ რიგში უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ ისეთი პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდების გამოყვანას, რომელნიც ფილოქსერისადმი გამძლენი იქნებოდნენ; ამ მხრივ Couderc-მა საკმაოდ წაშქვებელი შედეგები მიიღო. მის მიერ მიღებული ჰიბრიდი № 226—58, წარმოადგენდა (კარინიან X რუბესტრის) X არამონის ნაჯვარს და ამჯვარად თითქოს $\frac{3}{4}$ ვინიფერას სისხლს შეიცავდა. წინააღმდეგობის დათესვის შედეგად მან მიიღო 000,5%—ისეთი ჰიბრიდები, რომელნიც უხვმოსავლიანი, რიგიანზარისხიანი და ამავე დროს ფილოქსერისადმი კარგი გამძლენი აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ ბევრი დრო არ გასულა, რომ საფრანგეთის ვენახებს ახალი სენი—ჰრაჟი მოედო; ეს ჰიბრიდები კი ჰრაჟისადმი მეტად მგრანობიარე აღმოჩნდნენ... ამან და სხვა მრავალმა მსგავსმა მაგალითმა დაარწმუნა Couderc'-ი, რომ ჰიბრიდში $\frac{3}{8}$ ვინიფერას სისხლი ჰრაჟისადმი გამძლეობას საგრძნობლად ამცირებს; ამიტომ მან ამჯობინა ისეთი პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდების გამოყვანა, რომლებშიაც $\frac{3}{8}$ ვინიფერას სისხლი იქნებოდა. ამ მიზნით დაიწყო $\frac{3}{4}$ ვინიფერას სისხლის მატარებელი ჰიბრიდების შეჯვარება ფრანგულ-ამერიკულ ჰიბრიდებთან, ე. ი. $\frac{1}{2}$ ვინიფერას სისხლის მატარებლებთან. ასეთი ნაჯვარი თუმცა ჰრაჟისადმი უფრო გამძლენი აღმოჩნდნენ, მაგრამ მაინც იღვალს მეტად დაშორებული იყვნენ. შემდეგ დაიწყეს ვინიფერას $\frac{1}{2}$ სისხლის მატარებელ, მაგრამ რთული ჰიბრიდების გამოყვანა. მაგ. (Lincecum-Berlandieri)—vinifera; (Labrusca-Berlandieri)—vinifera და სხ. ვინიფერა სისხლის ნახევრად მატარებელი ასეთი ჰიბრიდები თუმცა სოკოვან ავადმყოფობისადმი საკმაოდ გამძლე, მაგრამ ფილოქსერისადმი დამაკმაყოფილებელ გამძლეობას კი მოკლებული აღმოჩნდნენ.

მიუხედავად ვაჭრული დიდი შრომისა, ასეთ საქმიანობას დადებითი შედეგები არ მოჰყვა; და ეს ადვილი გასაგებია, თუ შეხედვლობაში მივიღებთ, რომ ამ მუშაობის დროს მემკვიდრეობითი კანონები საერთოდ,

და მით უმეტეს ვაზისა, შესწავლილი ჯერ არ იყო. არ იცოდნენ, რომ სახეთა ან ჯიშების შეჯვარების შედეგად მიღებული ჰიბრიდები არ წარმოადგენენ $\frac{1}{2}$, $\frac{2}{4}$, $\frac{1}{2}$, $\frac{1}{2}$ და სხ. სისხლის უბრალოდ მატარებელ მცენარეების შთამომავლობას, რომ შეჯვარების შედეგად ჰიბრიდის შემკვიდრობითი თვისებები დამოკიდებულია გენების სხვადასხვა დაჯგუფების და განვითარების შედეგზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვაზი კომპლექსური ჰეტეროზიგოტია და ამიტომ, თვითოეული წიპწა, მიღებული შეჯვარების თუ შეუჯვარებლობის შედეგად, სხვადასხვა მოდგმის მატარებელია; ამას ამტკიცებს წიპწების დათესვის შედეგად პოპულიაციათა მრავალად წარმოშობა. სწორედ ამიტომ შეჯვარების შედეგად ნათესების პირველი თაობის (F_1 -ს) წარმოშობის დროს კომბინაციათა ისეთი რაოდენობა მოსალოდნელი არ არის, როგორც მეორე თაობაში (F_2); წარმოშობილ კომბინაციათა სწორედ დიდი რაოდენობიდან არის მოსალოდნელი სათანადო სასურველი მცენარის მიღება, შერჩევა; ამიტომ, ცნობილ გენეტიკოს E. Bauer-ის (+) მიხედვით, რამდენიმე ასიათას წიპწის დათესვა და აქედან სასურველი მცენარეების შერჩევა უნდა ხდებოდეს. იგივე E. Bauer-ი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ყველა დადებითი ნიშანთვისების მატარებელი ვაზის შერჩევა.

ყველა ეს მეტად მნიშვნელოვანი და სხვა ძირითადი საკითხები მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი. თუ შედეგობაში მივიღებთ, რომ ვაზი მრავალწლოვანი მცენარეა, რომ F_2 და მათ შორის დადებითი ნიშანთვისების მატარებელი ვაზების შერჩევა 10 და მეტი წლის განმავლობაში შეუწყვეტელ მუშაობას მოითხოვს, რომ საჭიროა დაკვირვება რამდენიმე ასიათას ინდივიდზე (პროფ. Erv. Bauer-ის მიხედვით სასურველია არა ნაკლებ $\frac{1}{2}$ მილიონისა), რომ მთელი ეს მუშაობა უცხოეთში ტარდებოდა ძირითადად კერძო ინიციატივით და სრულიად არასაკმარის მატერიალურ შესაძლებლობათა პირობებში,—ჩვენთვის ცხადი იქნება ბურჟუაზიულ ქვეყნებში ამ საკითხის გადაჭრის სირთულე და სიძნელე.

ამ საქმის ენტუზიასტები, კერძოდ მომუშავე კეთილსინდისიერი მკვლევარი-მევენახენი მატერიალურად მეტად გაჭირვებულნი იყვნენ. ისინი ხშირად იძულებული გამხდარან ახლადგადმოყვანილი ჰიბრიდები ჩარჩ-სპეკულიანტებისათვის დაეთმოთ. ეს უკანასკნელნი კი ფართო რეკლამით (პრესის, აგენტების და სხვათა დახმარებით) ხოტბას ასხამდნენ ახლად გამოყვანილ, ხშირად ნაკლები ღირსების ჰიბრიდს, დასარგავ მასალას მევენახეებს კარგ ფასებში აჩეჩებდნენ და ამგვარად მრავალი მევენახე შეცდომაში შეჭყაყდათ; ამიტომ უცხოეთში ბევრი ვენახი უღირსი ჯიშებით აივსო და ბაზარზე უმსგავსო, ღვინო გაჩნდა. სპეკულიანტების მიერ გამოწვეული აეიოტაჟი იქამდის მივიდა, და ამის შედეგად ბევრგან ყურძნის და ღვინის ხარისხი იმდენად შეილახა, რომ მთელი რიგი ბურჟუაზიული ქვეყნების მთავრობა იძულებული გახდა ამ საქმეში ჩარეულიყო და სათანადო

კანონმდებლობით აეკრძალა ანდა შეეზღუდა ვაზის პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდების შეუფერხებლად გავრცელება.

ყველა ამის შედეგად პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდებს¹ საზღვარს გაუტყდა და, დიდი და საღი იდეა, უხეში სპეკულიაციის შედეგად² შექმნილი ლაბა.

პრესბუტლ პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდთა თაზისეზუბანანი (წოგადალ)

ამეამად არსებულ პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდთა რიცხვი მეტად დიდიე; მათი რაოდენობა თუმცა მრავალ ათასს აღემატება, მაგრამ შედარებით ფართო გავრცელება რამდენიმე ათეულმა პოვე. ჰიბრიდთა საკმაო ნარგავები გვხვდება საფრანგეთის ცენტრალურ დასავლეთ ნაწილში, ელზას-ლოტარინგიაში, რუმინეთში, სამხრეთ სლავიაში და ნაწილობრივ ავსტრიაში, შვეიცარიაში, ჩეხოსლავაკიაში; საბჭოთა კავშირში კი უკრაინაში და მოლდავიაში¹. ვენახების საერთო მსოფლიო ფართობიდან პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდებს უკავია დაახლოვებით 3%². ეს პროცენტი უფრო დიდი იქნებოდა, რომ ამ ბოლო წლებში სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს არ გამოეცქვეყნებიათ მთელი რიგი შემზღუდველი კანონები ამ სახის ვაზების ნარგავთა შესახებ.

რამდენიმე ასეულ გავრცელებულ პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდთაგან დამაკმაყოფილებელ შედეგებს იძლევა მხოლოდ რამდენიმე ათეული; დანარჩენები კი შედარებით ნაკლები ღირებულებისა არიან და მეტწილად სპეკულანტური რეკლამის შედეგად შეცდომაში შეყვანილ მივენახეთა მეურნეობაში ხშირად საკმაოდ მძიმე ტვირთს წარმოადგენენ.

ის პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდებიც, რომლებიც შედარებით ხარისხოვან პროდუქტს იძლევიან, მეტწილად ფილოქსერისადმი საკმაო პრაქტიკული გამძლეობით არ ხასიათდებიან და მათი კულტურა დაუმყნობლად შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვაზი ღონიერ ზრდა-განვითარებას აღწევს, თან ფილოქსერის მასობრივი გავრცელებისათვის შედარებით ნაკლები პირობებია (ლიოსისებრი ნიადაგები, ქვიშა მიწები და სხ.), პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდთა მეტად დიდი ასორტიმენტიდან არც ერთი არაა ისეთი, რომელსაც ფილოქსერისადმი იმგვარი გამძლეობა ჰქონდეს, როგორსაც იჩენს რიპარია, რუპესტრისი, ბერლანდიერი, კორდიფოლია და ფილოქსერის გამძლე სხვა სახეობანი და მათი მოდგმის საძირედ გამოყენებული ჰიბრიდები. ამ მიზეზის გამო პირდაპირმწარმოებელი

¹ როგორც გამოიჩვენა უკრაინის და მოლდავიის ვენახები საერთო ფართობიდან პ. მ. ჰიბრიდებს 80%-ამდე უკავია და მათგან მრავალი უფარგინია. მიღებულია ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

² ამერიკის შეერთებულ შტატებში ადგილობრივი წარმოშობის პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები იზარება და მეტწილად იგი ლაბრუსკას მოდგმა.

ჰიბრიდების დაუმუშავებლად გაშენება შეიძლება მხოლოდ ზოგიერთი ეკოლოგიური პირობის არსებობისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ვაზები, ფილოქსერით დაავადების შედეგად სუსტდებიან და ნაადრევად იხრქებიან. ამიტომ ამჯობინებენ პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდების კულტურის დროს საძირების ისე შერჩევას, როგორც ამას *vinifera*-ს ჯიშების გაშენებისას აკეთებენ. შემჩნეულია, რომ საერთოდ მათ საძირედ ნაკლებ გამოსადევია რუმესტრისი და აგრეთვე ის ჰიბრიდები, რომლებშიაც რუმესტრისი დომინანტობს.

ამგვარად პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდთა შექმნის გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მისწრაფება, — ფილოქსერისადმი გამძლეობა — ჯერჯერობით მიღწეული არ არის.

ცნობილი ფრანგი მეცნიერი Max Cornu ჯერ კიდევ 1873 წ. მიუთითებდა მევენახეებს ამერიკულ ვაზთან ერთად ვაზის დამლუბველ სოკოვან ავადმყოფობათა შემოტანის შესაძლებლობაზე. ამის შემდეგ სულ ხუთი-ოდე წელი გავიდა და საფრანგეთში ჭრაქმა იჩინა თავი. მოკლე ხანში ვაზის ეს საშინელი სნეულება ისე მძაფრად მოედო ჯერ საფრანგეთს და შემდეგ მთელ ევროპას, რომ მისგან გამომწვეულმა ზარალმა ფილოქსერით მიყენებული ზარალი დაჩრდილა. ამჟამად ჭრაქი და მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი თუმცა შესწავლილია, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ირკვევა, რომ ფილოქსერა იმდენ ზიანს არ აყენებს მსოფლიო მევენახეობას, რამდენსაც ჭრაქი. ფილოქსერის წინააღმდეგ იზმარება ფილოქსერის გამძლე საძირე ვაზები; კარგად შერჩეული საძირე და მასზე დამყნობილი ვაზი 35—40 წლის განმავლობაში გვემსახურება; ნამყენ ვაზზე გაწეული ხარჯი 35—40-ზე რომ გავყოთ, დავრწმუნდებით, რომ დახარჯული ძირითადი თანხის აღსადგენად ყოველწლიური საამორტიზაციო თანხა შედარებით არც თუ ისე დიდი იქნება. სულ სხვა მდგომარეობას ჰქმნის ჭრაქი: ყოველწლიურად 3—4-ჯერ და ზოგჯერ უფრო ხშირად საჭიროა ვენახის შეწამვლა სპილენძის მარილების ხსნარით (სპილენძის შაბიამანი). თვით სპილენძი მეტად ძვირფას ლითონს წარმოადგენს. ყოველწლიურად ჰექტარზე საჭიროა დაახლოებით 50 კგრ. შაბიამანი. ერთი ჰექტრის შეწამვლისათვის წლიურად საჭიროა აგრეთვე დაახლოებით 20 მუშა ხელი; მაგრამ, მიუხედავად ამ ხარჯისა, ხშირად, და ძალიან ხშირადაც მოსავლის მთლიანად გადარჩენა არ ხერხდება და დაავადებული ვაზების მოსავლის ხარისხიც საგრძნობლად ილახება. ამგვარად, ჭრაქთან ყოველწლიური ბრძოლა გაცილებით უფრო მეტი ჯდება და მოსავლის მთლიანად გადარჩენაც ხშირად არ ხერხდება.

თუ შედეგობაში მივიღებთ, რომ ვენახების ფართობი მსოფლიოში 10 მილ. ჰექტარს უდრის, ჭრაქი კი თითქმის მევენახეობის ყველა რაიონში თავმოხელებულია (გამონაკლისს შეადგენს შუა აზიის რესპუბლიკები და სამხრეთის ზოგიერთი მშრალი რაიონი), ყოველწლიურად თუნდაც მხოლოდ

9 მილ. ჰექტარის წამლობაც რომ ტარდებოდეს, მარტო მევენახეობას დასჭირდებოდა 450.000 ტონა სპილენძის შაბიამანი!... წლით-წლობით ამდენი სპილენძის პრეპარატის ხარჯვა კი, როგორც Couderc-ი სპეციალურად ანად აღნიშნავს, ერთ მშვენიერ დღეს სპილენძის მსოფლიო მარაგს ამარაგებს. წურვის ფაქტის წინ დაგეგმვებდა, თუ ჭრაქის წინააღმდეგ რაიმე სხვა საშუალება არ იქნებოდა გამოყენებული. ასეთ საშუალებად პირდაპირ-მწარმოებელი ჰიბრიდების შექმნა ზიანდათ; ლამობდნენ მათი გამოყენებით ჭრაქი ისევე დაეთრგუნად, როგორც გამძლე საძირე ვაზების შერჩევა-გამოყენებით ფილოქსერა დათრგუნეს.

იმის გამო რომ ჭრაქს შედარებით მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე ფილოქსერას, უკანასკნელ ხანში პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდების ფილოქსერისადმი გამძლეობას შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. თუ ჰიბრიდი ჭრაქისადმი გამძლეა და რიგიან პროდუქტს იძლევა, ეს უფრო მეტ მიღწევად ითვლება ვიდრე პირიქით.

ჭრაქისადმი გამძლეობის მიხედვით პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები მეტად ყრულ სურათს იძლევიან: ზოგი ჭრაქისადმი მეტად მგრძობიარეა და ამ მხრივ ღირებულებას არ წარმოადგენს; ზოგი საკმაოდ გამძლეა, მაგრამ პროდუქტის ხარისში არადამაკმაყოფილებელია და მათ პრაქტიკული ღირებულება არა აქვთ; ზოგის ფოთოლი ჭრაქისადმი საკმაოდ გამძლეა, ყურძენი კი მგრძობიარეა, ზოგისა კი დღე ყურძენი გამძლეა, ფოთოლი კი ზიანდება. არის ისეთი პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდებიც, რომლებიც შედარებით რიგიან პროდუქტს და საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევიან და თუმცა ჭრაქისადმი დიდ გამძლეობას არ იჩენს, მაგრამ *v. vinifera*-ს ვაზებთან შედარებით ნაკლებ ზიანდებიან, — მშრალ წლებში ჭრაქი არ ვნებს, ტენიან წლებში კი 1—2 წამლობა საკმარისია მოსავლის გადასარჩენად. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდი შაბიამნის შესხურებას კარგად ვერ იტანს და წამლობა საგრძობლად ვნებს (ზეიბელის ჰიბრიდები №№ 4762, 4681, 4986, 1000, 4964, კულდერკისა 7120, 272—60).

ნაცართან ბრძოლა ისეთ სიძნელეს არ წარმოადგენს, როგორც ჭრაქთან. გარდა ამისა, ნაცარი ისე მასობრივად არ ეღება ვაზს, როგორც ჭრაქი; ზოგიერთ რაიონებში ნაცრის მიერ მიყენებული ზარალიც უმნიშვნელოა. რასაკვირველია, სასურველია თუ პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები ნაცრისადმიც გამძლე იქნებან; ამ მხრივ უფრო დამაკმაყოფილებელი შედეგებიც გვაქვს, თუმცა ყველა ჰიბრიდი როდია ნაცრისადმი გამძლე. ზოგიერთი ჰიბრიდი (და ეს მეტად საინტერესოა) ნაცრის წინააღმდეგ ხმარებული გოგორდით ძალიან ზიანდება, ფოთოლი ეხრუკება (ზეიბელის №№ 2666, 4638, 156, 4762,2, კულდერკი №№ 503, 28—112, კასტელი №№ 1028, 1370 და სხვ.).

თუ არსებულ პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდებს მოსავლიანობის თვალსაზრისით შევადარებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგი მათგანი უხვ-მოსავლიანია და ამ მხრივ მიღწევები საკმაოდ დიდია; მაგრამ თუ მხარე მოსავლიანობის თვალსაზრისით მივუღებთ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთი პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდი ისეთ განსაკუთრებით დიდ მოსავალს არ იძლევა, როგორც *v. vinifera*-ს ზოგიერთი ჯიში (მაგ. არა-მონი, კარინიანი, ბარბერა, განაყოფიერებული თავკერი, ბაიანი და სხვ.), მაგრამ ხარისხით ისინი ამ უხვმოსავლიან *vinifera*-ს წარმომადგენლებს ჩამორჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსავლიანი ჯიშები მხოლოდ მასობრივი ხასიათის პროდუქტს იძლევიან.

პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდების ზოგადი შეფასების ამოწურვისთვის საჭიროა მათ სხვა თავისებურებებსაც შევხვით. მათ დადებით თვისებებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ზამთრის ყინვებისადმი გაცილებით უფრო მეტი გამძლეობის უნარიანობა, ვიდრე *v. vinifera*-ს წარმომადგენლებს აქვთ, რაც იძლევა შეგნახეობის თანამედროვე საზღვრების გადალახვის შესაძლებლობას. მთელი რიგი ფრანგული პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები, აგრეთვე ი. ვ. მიჩურინის ჰიბრიდები და ამერიკაში გამოყვანილი მრავალრიცხოვანი ამერიკულ-ამერიკული პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები იძლევიან ახლო მომავალში ამ შესაძლებლობის რეალიზაციის საშუალებას. ყინვაგამძლე ჰიბრიდების პროდუქტის ხარისხი თუმცა სანაქებო არ არის, რადგან ამ ჰიბრიდებში ხშირად ამერიკული სახეობანი დომინანტობენ, მაგრამ ჩრდილო ქვეყნებში, სადაც მოცხარის და სხ. მსგავსი ხილით კმაყოფილდებიან, არა პირველხარისხოვანი ყურძენი ცვირფას ხილს წარმოადგენს. გარდა ზამთრის ყინვებისადმი გამძლეობისა, პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდთა დიდ უმრავლესობას ახასიათებს ვაზის შავი (ძველი) ნაწილებიდან, აგრეთვე სათადარიგო კვირტებიდან ამოხეტილი ყლორტების მოსავლიანობა. ისეთ რაიონებში, სადაც გაზაფხულის ყინვები ხშირია (ყინვები კი მეტად აზიანებს), ხსენებული თავისებურება მოსავლის უზრუნველყოფის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი უმნიშვნელო არ არის აგრეთვე შედარებით ნაადრევი სეტყვით და ზამთრის ყინვებით დაზარალების შემთხვევაში: თუ შავი ნაწილიდან ახლად ამოხეტილი ყურძნიანი ყლორტები სრულ მოსავალს არ მოგვცემენ, ხარაღს მაინც საგრძნობლად შეამცირებენ.

დადებით თვისებებთან ერთად მათ მთელი რიგი უარყოფითი თვისებებიც ახასიათებთ: პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდების უმეტესობა ადვილად ავადდება ანტრაქნოზით, აგრეთვე დამწიფების დროს ხშირად ყურძენი ლპება. ისინი ხასიათდებიან ძალიან ხშირად შაქრის შედარებით ნაკლები შემცველობით ($12-16\%$) და საერთო მცავეების სიუხვით ($8\%/_{\text{ცხ}}-17\%/_{\text{ცხ}}$); ნაკლები სხეულიანობით; თუმცა უხვი დაფერვით, მაგრამ საფერი ბიგმენტის ნაკლები სიმყარით; მარცვლის ხორცის ხშირი ლორწოიანობით და,

რაც აგრეთვე მეტად ხშირია, — ყურძნის და შემდეგ ღვინის სპეციფური სუნით და გემოთი, რომელსაც *v. vinifera*-ს ღვინის მომზადებელი ვერ ენახება. ზოგი მკვლევარის დასკვნით ამერიკულ ვაზის *v. Labrusca*-ს ჯიშების ყურძნის წვენის დუღილის პროცესში უმადლესი ალკოჰოლები (cubylal) წარმოიშობა ხოლმე; ეს უკანასკნელი კი მანვე გავლენას ახდენს ადამიანის სხეულზე: თავის ტკივილს იწვევს და მხედველობაზეც უარყოფითად მოქმედებს. ამ ჯიშების ყურძნის სრულნი სიმწიფის დროს გლიუკოზის და ფრუქტოზის შეფარდება უდრის 1 : 0,6 და არა 1 : 1, როგორც *v. vinifera*-ს ჯიშებში, მაგრამ არ შეიძლება ეს მანვე თავისებურება ყველა ჰიბრიდის ღვინოზე განზოგადდეს. ეს თავისებურება უფრო იმ ჰიბრიდის პროდუქტშია მოსალოდნელი, რომლის ყურძენშიც ამერიკული სახეობა *v. Labrusca* დომინანტობს.

ამგვარად, თუმცა უკვე მოიპოება ჰერაქისადმი საკმაოდ გამძლე, შედარებით რიგიანი პროდუქტის მომცემი და სხვა დადებითი თვისების მატარებელი პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები, მაგრამ მათ შორის პირველხარისხოვანი არც ერთი არ არის, რადგან არა თუ მაღალხარისხოვანი, არამედ *v. vinifera*-ს რიგიანი ჯიშებზე ნაკლები ღირსების პროდუქტს იძლევიან; გარდა ამისა მათ რაიმე ზადიც ახასიათებთ. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იტყვას, რომ მრავალმა დაბარჯულ შრომამ და მატერიალურმა სახსრებმა უნაყოფოდ ჩაიარა. მიღწევები მაინც საკმაოდ საგრძნობია; უკანასკნელ ხანებში გამოყვანილი პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები გაცილებით მეტ შედეგებს იძლევიან, ვიდრე პირველ ხანებში გამოყვანილნი.

პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდთა კულტურა მკიდროდ უკავშირდება ეკონომიურ საკითხებს. ამ ვაზების კულტურა გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე *v. vinifera*-ს წარმომადგენლებისა; ხშირად ნამყენის მაგივრად რქას რგავენ, რადგან ვაზი უკეთი ფილოქსერის გამძლეა და ეს გამძლეობა მით უფრო მეტია, რამდენადაც ჰიბრიდში ამერიკული ვაზი დომინანტობს (თუმცა, ამასთან დაკავშირებით, იგი პროდუქტსაც დაბალი ხარისხისას იძლევა). სოკოვანი ავადმყოფობათა მიმართ მეტი გამძლეობის გამო ისინი წამლობას ან არ საჭიროებენ, ან და გაცილებით ნაკლებად. უხე მოსავალს იძლევიან და გაზაფხულის და ზამთრის ყინვები მოსავალს ნაკლებად აზიანებს. ყველა ამის გამო ამ ვაზების პროდუქტი გაცილებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე *v. vinifera*-ს. ასეთი პროდუქტი იაფად იყიდება და კონკურენტის უწევს რიგიან ხარისხის ღვინოებს. მართალია ეს იაფი პროდუქტი დაბალი ხარისხისაა, მაგრამ რიგიან ღვინოებთან გარკვეული რაოდენობით მათი შეკუპაება ღვინით მოვაკრეებს საშუალებას აძლევს ეს დაბალი პროდუქტიც გაასაღონ... ყველა ამის შედეგად უცხოეთში ხარისხოვანი ვაზების მწარმოებელი ზარალობს. ეს ზარალი უცხოეთის მევენახეობის მთელ რიგ რაიონებში იმდენათ საგრძნობი იყო, რომ როგორც

თავის როზე აღენიშნეთ, მრავალი ბურჟუაზიული სახელმწიფოთა მთავრებათ იძულებული იყო ამ კულტურის გაფართოებისა და ასეთი ღვინოების აღიარების მიცემობის შესახებ შემზღუდავი კანონები გამოქვეყნებია.

საქართველოს მევენახეობის ძირითად რაიონებში პირდაპირ მწარმოებელ პიბრიდებს თითქმის სრულიად ვერ ვხვდებით; მაგრამ მევენახეობის არა საწარმოო რაიონებში კი (ხაშურის, გორის, ტყიბულის კიანთურის ჩრდილო ნაწილში და ზემო რაჭაშიც) ამ სახის ვაზებს დააბლოგებით 2000 ჰექტარამდის უკავიათ. აქ არსებული პიბრიდები ნარევე, ძველად გამოყვანილ, უფარვის, ფრანგულ-ამერიკულ პირდაპირმწარმოებელი პიბრიდების წყებას ეკუთვნიან და რაიონის მიხედვით სხვადასხვა ადგილობრივ სახელებს ატარებენ (მაგ. ფრანგულა, ქიწნულა, იმერულა და სხ.). ეს ვაზები, სამწუხაროდ, წარმოადგენს ჩვენში ძველად სპეკულანტ-ვაჭრების თარეშის შედეგს. მათ ჩვენს მევენახეებს ეს დაბალი ღირსების ვაზები რეკლამით შეაპარეს. მათი მომრავლება ჩვენს ვენახებში, მომავალში, რასაკვირველია, ნაგულისხმები არ არის.

ქვემოთ ვათავსებთ რამდენიმე ამჟამად არსებულ, საუკეთესო პირდაპირმწარმოებელ პიბრიდის ზოგად აღწერას.

თითარაჟანანი პირდაპირმწარმოებელი პიბრიდები

ზეიბელი № 2653 (Seibel № 2653—Flot d'or)

ზეიბელი № 2653 წარმოშობილია კულტურა № 28—112 შეჯვარებით ბაიარუთულთან (კულტურა № 28—112=ემილი X რუბეტრის). ეს პიბრიდი ხასიათდება საშუალო ზრდა-ლონით, მტკვანი მოვრძო, ცილინდრული მოყვანილობის, საშუალო სიკუმისისაა. მარცვალი საშუალო სისხოსი და მრგვალია. სრული სიმწიფის დროს ყვითელ-ქარვისფერია. ყურძენს ლამაზი შეხედულება აქვს. ვაზი საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა. ყურძენი პირველი პერიოდის მიწურულს მწიფდება და როგორც გარეგნული შეხედულებით, ისე გემოთი შეიძლება სუფრის ყურძენის წყებას მიეკუთვნოს. კვირტი მოგვიანებით იფურჩქნება. ფილოქსერისადმი ნაკლებ გამძლეობას იჩენს; აგრეთვე ნაკლებ გამძლეობას იჩენს სოკოვან ავადმყოფობისადმი. საჭიროა მისი დამცობა და ქრაქის და ნაცრის წინააღმდეგ ერთხელ ან ორჯერ, ტენიან წლებში კი ორჯერ წამლობა.

ზეიბელი № 2653 ნაკლებსხეულიან, ნაკლები სიმაგრის, მომეაგო ღვინოებს იძლევა. გარეშე სუნი და გემო გარკვეულად შესამჩნევი არა აქვს. ამ პიბრიდს მეტსახელად ოქროს ტალა (Flot b'or) ეწოდება; ეს სახელი საკმაოდ უხვი მოსავლისა და ლაზათიანი მტკენების მეოხებით უწოდეს.

სოკოვან ავადმყოფობათაადმი შედარებით სუსტი გამძლეობა, ფილოქსერისადმი ნაკლები გამძლეობა და მარცვლების ლაზათისაქენ მიდრეკილება ამ პიბრიდის გამრავლების ასპარეზს ზღუდავს.



ეს პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდი ვარდისფერ-ყურძნისფერი ჯიშის წარმომადგენელია ტერრა № 20-ის ზეიბელ № 2003-თან შეჯვარების შედეგად ლონიერი ზრდა-განვითარებისაა. ფოთოლი გლუვი, მობრწყვიალოა. მტევანი საშუალო სიდიდის და საშუალო სიკუმისაა. მარცვლი მომცრო ან საშუალო სისხოსი, მრგვალი და უხე წვნიანია. მოსავალს საკმაოდ უხვს იძლევა. ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდის დასაწყისს. დამწიფებული ყურძენი ადვილად ღებება. ფილოქსერისადმი საკმაო გამძლეობას მხოლოდ ლონიერ ნიადაგებში იჩენს. ქრაქისადმი ოჟმცა საკმაო გამძლეობას იჩენს, მაგრამ წვიმიან წლებში 1-2-ჯერ შაბიამით წამლობა საველდებულაა. ნაცრისადმი მეტი გამძლეობა აქვს.

ზეიბელი № 2859 იძლევა მჩატე, მომკაეო სუფრის ღვინოს, რომელსაც ოდნავ სპეციფური გემო გადაჰკრავს. გამოსადეგია აგრეთვე როგორც სუფრის ყურძენი; მაგრამ იგი ვერ ჩაითვლება ვერც ხარისხოვანი ღვინის და ვერც ხარისხოვანი სუფრის ყურძნის ჯიშად.

ზეიბელი № 4986 (Seibel № 4986=Rayon d'or)

ეს ჰიბრიდი წარმომადგენელია ზეიბელ № 405 X ზეიბელ № 2007-თან. ვაზი საკმაოდ ლონიერი ზრდა-განვითარებისაა. ფოთოლი მობრწყვიალოა, ძაბრისებრი მოყვანილობის. ახალგაზრდა ყლორტების წვერი ოდნავ შებუსული და მომწვანოა. ყლორტები მოწითალოა. მტევანი საშუალო სიდიდის, საკმაოდ კუმისი, ლაზათიანი შეხედულებისაა. მარცვლი საშუალო სისხოსი ან მომსხო, მომრგვალო, სრული სიმწიფის დროს ქარვისფერია და გადამწიფებისას სპეციფური სუნი და გემო დაჰკრავს. მოსავალს საკმაოდ უხვს იძლევა. ყურძენი პირველ პერიოდში მწიფდება. რქა დროულად შემოდის. ფილოქსერისადმი საკმარისი გამძლეობით არ ხასიათდება; უმჯობესია მისი მყნობა. ტენიან პირობებში ქრაქისადმი გამძლეობა საკმარისი არ აქვს, 1-2-ჯერ შაბიამით წამლობას საჭიროებს. ნაცრის, ბლტკოტის და ანტრაქნოზის მიმართ საკმაო გამძლეობით ხასიათდება.

ზეიბელი № 4986 იძლევა საშუალო სიმკვრივის, მომჩატო და მომკაეო სუფრის თეთრ ღვინოებს. ყურძნის გვიან დაკრეფის შემთხვევაში უფრო მაგარ და ნორმალურ მკაეიანობის ღვინოს იძლევა, მაგრამ სპეციფური სუნი და გემო მაინც მკაფიოდ ეტყობა. ყურძნის ნაადრევი დაკრეფის შემთხვევაში თუმცა სპეციფური სუნი და გემო შესამჩნევი არაა, მაგრამ ნაკლები სიმკვრივის (8-9%) და მომკაეო (10-12%) ღვინოები ღებება. თეთრ-ყურძნიან ზეიბელის პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდთა შორის № 4986 ერთი საუკეთესოთაგანია და ზოგჯერ მას სუფრის ყურძნისთვისაც იყენებენ.



ზეიბელი № 5279 წარმოშობილია ზეიბელ № 788 X ზეიბელ № 5279-ის თან. ვაზი ღონიერი ზრდა-განვითარებისაა. ფოთოლი გულის მოყვანილობის უახლოვდება. მტევანი მსხვილი ხნ მომსხო, მეჩხერი აგებულებისაა. მარცვალი საშუალო სისხოსი ან მომცრო, მომრგვალო მოყვანილობის, თხელკანიანია. სრული სიმწიფის დროს მოოქროსფეროა, უხვწვნიანია. გადაწიფების დროს ოდნავ სპეციფური სუნი აქვს. მოსავალს საკმაოდ უხვს იძლევა. ვაზის შავი ნაწილიდან ამოსული ყლორტები მოსავლიანია. ყურძენი პირველ პერიოდში და ზოგჯერ უფრო ადრეც მწიფდება. დამწიფებულ ყურძენს ნაწილობრივ მარცვლის ცვენა ახასიათებს. ფილოქსერისადმი საკმაოდ გამძლეა. ღონიერ ნიადაგებიან არამშრალ პირობებში მის გაშენებას ამჯობინებენ საკუთარ ფესვებზე. ფოთოლი ფილოქსერით ნაწილობრივ ზიანდება. კრაქისადმი სრული გამძლეობა არა აქვს და 1—2-ჯერ წამლობა ესაჭიროება. ნაცრის და ბლეკროტისადმი საკმაოდ გამძლეობას იჩენს.

ზეიბელ № 5279 ნაკლებსხეულიან, საკმაოდ მკაფე, საშუალო სიმაგრის სუფრის ღვინოს იძლევა. ეს ჰიბრიდი უფრო სუფრის ყურძენს სახით გამოდგება, მით უმეტეს, რომ ადრეულა დამწიფებით ხასიათდება; მაგრამ მარცვლის მეტად თხელკანიანობის გამო ტრანსპორტს სრულიად ვერ იტანს და ამიტომ მხოლოდ ადგილობრივი მოხმარებისთვის გამოდგება.

ზეიბელი № 5409 (Seibel № 5409)

ზეიბელი № 5409 წარმოშობილია (ზეიბელ № 867 X ალიკანტ გან-ზენ) ზეიბელ № 1 X შედეგად. ეს ჰიბრიდი მრავალრიცხოვან, მაგრამ მომცრო მტევანს ივითარებს. მარცვალი მომცრო, მრგვალი მოყვანილობის, მწვანე-მოყვითალოა. მოსავალს საკმაოდ უხვს იძლევა. კვირტი ადრეულად იფურჩქნება და ზოგჯერ გაზაფხულის ყინვებისაგან ზიანდება. ყურძენი პირველი პერიოდის ბოლოს მწიფდება. ფილოქსერისადმი საკმაოდ გამძლეობას ვერ იჩენს, თუ არა ღრმა ღონიერ ნიადაგებში; კრაქიც ნაწილობრივ აზიანებს. ნაცრის და ანტრაქნოზისადმი საკმაოდ გამძლეობა აქვს.

ბევრი მევენახის აზრით № 5409 თეთრყურძნიან პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდთა შორის ერთი საუკეთესოთაგანია; მისი გავრცელება მიზანშეწონილად მიაჩნიათ მასობრივი თეთრი სუფრის ღვინოების მწარმოებელ რაიონებში.

ეს ჰიბრიდი რიგიან მომჩატო, საშუალო სიმაგრისა და თითქმის ნეიტრალური გემოს ღვინოს იძლევა; გამოსადეგია აგრეთვე სუფრის ყურძნად. ზოგიერთი ცნობის მიხედვით შამპანურისათვის გამოსადეგ მასალასაც იძლევა.

ბ ა კ ო № 22 A (Baco № 22 A)

ეს ჰიბრიდი წარმოშობილია ფოლ ბლანშის და ნოას შეჯვარებით. საკმაოდ მახვილ და კუმს მტევნებს ივითარებს; მარცვალი საშუალო ან მომსხოა და მომრგვალოა. გადამწიფებულ ყურძენს სპეციფური სუნი და გემო უვითარდება. მოსავალს უხვს იძლევა და ერთ რქაზე ხშირად 3—4 მტევანი აქვს. ყურძენი საკმაო გამოსავლიანია. ფილოქსერისადმი საკმაო გამძლეობა არ ახასიათებს—დაზუნას საჭიროებს. გვალვას კარგად ვერ ეგვება, გადამეტებულ ტენიან შემოდგომაზე კი ყურძენი ლპება. კვირტი თუმცა ნაადრევად იფურჩქნება, მაგრამ შავი ნაწილიდან წარმოშობილი ყლორტებიც მოსავლიანია და გაზაფხულის ყინვები მოსავალს ვერ ღუპავს. ამ ჰიბრიდის მტევნებს ყურძენის ქია აღვილად აზიანებს, დაზიანებული მარცვლები კი Botrytis ზეგავლენით ლპებიან. კრაქისადმი სრული გამძლეობა არა აქვს და ზოგიერთ წელიწადს ორჯერ წამლობა ესაჭიროება, ყურძენი მეორე პერიოდში მწიფდება.

ბაკო № 22 A მზატე, მომეყო, ნაკლებ არომატულ საშუალო სიმაგრის სუფრის თეთრ ღვინოს იძლევა. ზოგიერთი წლის ღვინოში შესამჩნევია სპეციფური სუნი, რაც ყურძენის გვიან დაკრეფით უნდა აიხსნას.

ბ ა კ ო № 58—15 (Baco № 58—15).

ბაკო № 58—15 წარმოშობილია შემდეგი შეჯვარების შედეგად: (კიკებულ X ზეიბელ № 1) X ნოა. ამ ჰიბრიდის ვაზი ღონიერი ზრდა-განვითარებით ხასიათდება. მტევანი მომსხო, საკმაოდ კუმსია. მარცვალი საშუალო ან მომსხო, თითქმის მომრგვალო და საკმაოდ წვნიანია; მოსავალს უხვს იძლევა და მსხმოიარობაში ადრე შედის. კვირტი გვიან იფურჩქნება; სათადარიგო კვირტებიდან წარმოშობილი ყლორტები მსხმოიარეა. ურძენი მეორე პერიოდში მწიფდება. ფილოქსერისადმი საკმაო პრაქტიკული გამძლეობა არა აქვს და, თუ არ ქვიშა ნიადაგებში, საკუთარ ფესვებზე ილუპება. კრაქისა და ნაცრისადმი საკმაო პრაქტიკული გამძლეობა არა აქვს, მოითხოვს 1—2-ჯერ შაბიამნის შესხურებას და გოკირდის შეფრქვევას.

ბაკო № 58—15 ნაკლები სიმაგრის, ნაკლებ სხეულიან, მაგრამ მისალეზ თეთრ, მსუბუქ სუფრის ღვინოს იძლევა.

ბერტილ სეივი № 450 (Bertille Seyve № 450)

ბერტილ სეივის თეთრყურძნიან ჰიბრიდთა შორის, ყველაზე უკეთესი თითქოს 450-ი უნდა იყოს. იგი შექმნილია ზეიბელ № 2003 ნოასთან შეჯვარებით. ამ ჰიბრიდის ფოთლები და ჰაბიტუსი ნოასას წააგავს; ახალგაზრდა განუვითარებელი ფოთლები ღია-წითელია. მტევანი საშუალო სიდიდის ან მომსხო, აგებულებით საკმაოდ მეჩხერია. მარცვლი

პრგვალი, მომსბო, ზოგჯერ საკმაოდ მსხვილი, საკმაოდ ხორციანია. მწიფე ყურძენში შესამჩნევია ოდნავი სპეციფური გემო. მოსავალს უხვს, მაგრამ არა თანაბარს იძლევა. ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდის მიწურულს ფილოქსერისადმი საკმაო გამძლეობას მხოლოდ ღრმა ღონიერ ნიადაგებში იჩენს. ქრაქისადმი საკმაო გამძლეობა აქვს, მაგრამ ერთხელ წამლობას მაინც მოითხოვს, მით უმეტეს ტენიან წლებში. ნაცრისადმი დიდი გამძლეობით არ ხასიათდება და ხანდახან 1—2-ჯერ გოგირდის შეფრქვევას საჭიროებს. სხვა სოკოვან ავადმყოფობისადმი საკმაო გამძლეობით ხასიათდება.

ბერტილ სეივ № 450 მომჩატო, საშუალო სიმავრის, საკმაოდ ცოცხალ სუფრის ღვინოებს იძლევა, მაგრამ ღვინოს დაჭრავს სპეციფური გემო და სუნი. ყურძნის მოგვიანებით მომწიფების გამო მევენახეობის ჩრდილოეთ რაიონებისათვის ნაკლებ გამოსადეგი ჰიბოილია.

კ უ ღ მ რ კ ი № 12 (Couderc № 12).

კულდერკი № 12 ლინცეკუმის ჰიბრიდს წარმოადგენს და თეთრ-ყურძნიან კულდერკის ჰიბრიდთა შორის ერთი საუკეთესოთაგანია. მტევანი მომსბო, კონუსური მოყვანილობის, საკმაოდ კლსი აგებულებისაა. მარცვალი საშუალო სისხოსი ან მომსბო, მომრგვალო მოყვანილობის, გემოთი მეტად ტკბილია. ვაზი საკმაო ზრდა-განვითარებას აღწევს და უხეზოსავლიანია, ყლორტზე 2—3 მტევანი გვხვდება. ყურძენი პირველ პერიოდში მწიფდება. ფილოქსერისადმი საკმაო გამძლეობით ხასიათდება და ვაზის ზრდა-განვითარების ზოგიერთ ხელშემწყობ პირობის არსებობისას შესაძლებელია ამ ჰიბრიდის საკუთარ ფესვებზე გაშენებაც. ქრაქისადმი და ნაცრისადმი ოითქმის სრული გამძლეობა აქვს. დამწიფებულ ყურძენს ცოტაოდენი მიდრეკილება აქვს ლპობისაკენ. მტევანში გვხვდება პართენოკარბული მარცვლები.

კულდერკი № 12 საკმელად საკმაოდ სასიამოვნოა და სუფრის ყურძნადაც გამოდგება. ეს ჰიბრიდი იძლევა რიგიან თეთრ სუფრის ღვინოს, რომელსაც მარწყვის გემო და სუნი გარკვეულად ემჩნევა.

გ ა ი ბ რ ე ი № 157 (Gaillard № 157)

სინონიმი: Madame Girerd, Séducteur, Roi de blancs.

თეთრყურძნიან ჰიბრიდთა შორის თითქმის ყველაზე ფართო გავრცელება გაიარდის № 157 ჰიბრიდმა ჰპოვა. ეს ჰიბრიდი წარმოშობილია (ტრიუმფ X ეუმელან) X ზეიბელ № 1-თან. რადგან თითოეული ეს კომპონენტი რამდენიმე მოდგმას შეიცავს, ამიტომ ეს ჰიბრიდი მეტად რთული შემადგენლობისაა. ვაზი საშუალო ზრდა-ღონით ხასიათდება. მტევანი საშუალო სისხოსი, პირამიდალური მოყვანილობის, საშუალო სიკუმსისაა. მარცვალი საშუალო სისხოსი, მრგვალი, თხელკანიანი, საკმაოდ წენი-

ანია. უმჯობესია მისი მოკლედ სხვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უფრო მოსავლიანობის გამო, ვაზი მალე იღუპება. გაიარდი № 157 ყოველწლიურად უხვ და თანაბარ მოსავალს იძლევა; მაგრამ იგი მოითხოვს საკმაოდ ცილ ნიერ და ფხვიერ ნიადაგებს. ყურძენი მწიფდება პირველ პერიოდში მიწურულს. ფილოქსერისადმი ნაკლები გამძლეობა აქვს და ღონიერ საძირეზე დამყნობას მოითხოვს. ჭრაქის და ნაცრისადმიც საკმაოდ მგრძობიარეა და წამლობას თიუქმის ისეთსავე მოითხოვს, როგორც ვერძული ვაზები. ანტრაკონიზიც ვნებს.

გაიარდი № 157 გამოსადეგია როგორც სუფრის ყურძენი, მაგრამ ძირითადად ღვინის ჯიშია—იძლევა ხალისიან, საკმაოდ თხელ, 10—10,5% ალკოჰოლის შემცველ ღვინოს. ეს ჰიბრიდი საინტერესოა როგორც უხვ-მოსავლიანი; მიუხედავად წამლობის საჭიროებისა, მან მაინც საკმაოდ ფართო გავრცელება ჰპოვა.

წითელუხრქინანი პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები

ჯიშბელი № 1 (Seibel № 1)

ჯიშბელი № 1 წარმოშობილია (რუპესტრის X ლინცეკუმი) X სანსოსთან. შავყურძინანი ჰიბრიდია. ფოთოლი ღია-მწვანე, მოყვითალო წერტილებიანია. მტევანი საშუალო ან მომსხოა. მარცვლი მომსხო, წვენი მოწითალოა, ყურძნის გემო ნეიტრალურია. ვაზი ღონიერად იზრდება, საკმაოდ უხვ, მაგრამ არათანაბარ მოსავალს იძლევა. ზამთრის ყინვებს კარგად ეგუება. ყურძენი პირველ პერიოდში მწიფდება. ფილოქსერისადმი საკმაოდ გამძლეობა არა აქვს და დამყნობა ესაჭიროება. ჭრაქისადმი საკმაოდ გამძლეა, თუმცა შეწავლას ერთხელ მაინც; საჭიროებს. ანტაგონისადმი და ბლექროტისადმი საკმაოდ მგრძობიარეა.

ამ ჰიბრიდის ღვინო ხასიათდება კარგი დაფერვით, ნაკლები ალკოჰოლიანობით და გარეშე ბალახისებრი გემოთი. დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს.

ჯიშბელი № 1000 (Seibel № 1000)

ჯიშბელი № 1000 შავყურძინანი პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდია. იგი წარმოადგენს (რუპესტრის-ლინცეკუმი) — (არამონ-რუპესტრის განზ. № 1) ნაჯვარს. ვაზი ღონიერი ზრდა-განვითარებისაა, საერთო ჰაბიტუსით რუპესტრისს უფრო წააგავს. მტევანი საშუალო სიდიდის, საკმაოდ კუმსია; მარცვლი საშუალო სისხოსი, თეთრწვენიანია. გარეშე გემო ოდნავ შესამჩნევია. საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა, მაგრამ გამოსავალი შედარებით დიდი არა აქვს. კვირტი თუმცა ნაადრევად იღვიძებს, მაგრამ შავი ნაწილებიდან წიროშოილი ყლორტებიც მოსავლიანია. ფილოქსერისადმი საკმაოდ გამძლეობას იჩენს, მაგრამ რიგიანი ზრდის უზრუნველ-

საყოფად მცნობას იმუშობინებენ. კრაქისადმი საკმაო გამძლეობას იჩენს და მხოლოდ ნესტიან პირობებში ან გამუდმებული წვიმების შემთხვევაში მოითხოვს შაბიამნის შესხურებას. ანტაკროზისადმი ნაკლები გამძლეობით ხასიათდება. ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდის დასაწყისში. რქა დროულად შემოდის.

ზეიბელის ეს ჰიბრიდი სუფრის მისაღებ, წითელ სახარჯო ღვინოებს იძლევა. თუმცა იგი გამოყვანილია ამ ორმოციოდე წლის წინ, მაგრამ შავყურძნიან ჰიბრიდთა შორის დღესაც ერთ-ერთ საუკეთესო პირდაპირ-მწარმოებლად ითვლება.

ზეიბელი № 1020 (Seibel № 1020)

ეს ჰიბრიდი წარმოშობილია (რუპესტრის-ლინცეკუმი) არამონთან შეჯვარებით. ამგვარად მასში საკმაო ვინიფერა მოიპოება. ფოთოლი მტკ-მწვანე და ძაბრისმავარია. მტევანი ცილინდრული, გრძელი, საშუალო სიდიდის, საკმაოდ კუმსია. მარცვალი საშუალო სიდიდის, წვენფერილია. ხორცი საკმაოდ ლორწოიანია და მშრალ პირობებში გარეშე გემო გადაჰკრავს. მოსავალს რიგიანს იძლევა, რქა დროულად შემოდის. ყურძენი მეორე პერიოდში მწიფდება. ფილოქსერისადმი სრული პრაქტიკული გამძლეობა არა აქვს. უხვ ნალექებიან რაიონებში კრაქი ვნებს და ამ შემთხვევაში შაბიამნის შესხურებას მოითხოვს.

ზეიბელი № 1020 იძლევა მჩატე, საკმაოდ მომწავო, მაგრამ კარგად დაფერილ სუფრის წითელ ღვინოს. გემოთი ნაკლებ პარამონულია და გარეშე გემო შესამწნევია.

ზეიბელი № 2007 (Seibel № 2007)

ზეიბელი № 2007 აგრეთვე წარმოშობილია (რუპესტრის-ლინცეკუმის) არამონთან შეჯვარებით. ფოთოლი მტკ-მწვანეა და საერთო შეხედულებით არამონს წაავაგს. ყლორტი გრძელი უფითარდება, მაგრამ მუხლშორისები შედარებით მოკლეა. მტევანი მომსხო, საკმაოდ კუმსია. მარცვალი მომსხო, საკმაოდ წვნიანია. მოსავალს საკმაოდ უხვს იძლევა. კვირტი ნაადრევად იფურჩქნება, მაგრამ გაზაფხულის ყინვები ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენენ, რადგან შეენაწილებიდან წარმოშობილი თითქმის ყველა ყლორტი მოსავლიანია. ყურძენი პირველ პერიოდში მწიფდება, რქა კი მოგვიანებით შემოდის. ფილოქსერისადმი გამძლეობას ღრმა ღონიერ ნიადაგებში იჩენს. კრაქისადმი სრული გამძლეობა არა აქვს; არამშრალ პირობებში მოსავლის უზრუნველსაყოფად შაბიამნით ორჯერ წამლობა სავალდებულოა. ანტრაქნოზისადმი საკმაოდ მგრძობიარეა.

ამ ჰიბრიდის ღვინო საკმაოდ მჩატე, საშუალო სიმადრის და საკმაოდ მომწავოა. წვენი მეტად უხვადაა დაფერილი და გამოსადეგია საკუბაეოდ.

№ 4643 (Seibel № 4643=Rois bes noirs)

ამ ჰიბრიდის წარმოშობაში მონაწილეობა მიუღია ზეიბელ № 29-ის დანუგს. ვაზი ლონიერი ზრდით ხასიათდება. მტევანი საკმაოდ მსხვილი, მარცვლი მსხვილი ან მომსხოა. საკმაოდ უხვს და ზოგჯერ უხვ მოსავალსაც იძლევა. ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდში. ფილოქსერას ნაკლებად უძლებს,—მცნობას საჭიროებს. ნაცრისადმი საკმაო გამძლეობა აქვს, კრაქისადმი თუმცა რიგიანი გამძლეობა აქვს, მაგრამ შაბიამანის 1—2-ჯერ შესხურებას მაინც საჭიროებს. ანტრაქნოზი შედარებით ნაკლებ აზიანებს. ეს ჰიბრიდი საშუალო სიმაგრის, მაგრამ მომთავო ღვინოს იძლევა, წვენი უხვად არის შეფერილი. ღვინოს გარეშე გემო დაჰკრავს.

№ 5437 (Seibel № 5437)

ზეიბელ № 5437 საკმაოდ რთული ჰიბრიდია, იგი წარმოშობილია შემდეგი მშობლების შეჯვარებით: (ზეიბელ № 867 X ალიკატ განზენი) X პიკტულ; № 867 სამი მშობლის და ალიკატ განზენი ორი მშობლის ურთიერთ შეჯვარების შედეგია; ამგვარად ამ ჰიბრიდში ექვსი ვაზის ჯიშია ჩართული. მტევანი მომსხოა, მარცვლი საშუალო სიხოსია, მარცვლის წვენი უხვად შეფერილია. საკმაოდ უხვ მოსავალს იძლევა; ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდის დასაწყისს. ფილოქსერისადმი საკმაო გამძლეობით ხასიათდება, კრაქისადმი ნაკლები გამძლეობა აქვს, საჭიროებს შაბიამნით ორჯერ წამლობას.

ეს ჰიბრიდი იძლევა უხვად შეფერილ მომატო და საკმაოდ მომთავო სუფრის ღვინოს. გარეშე გემო შესაძინევი. ამ ჰიბრიდის პროდუქტს მეტ შემთხვევაში საკუპაყედ იყენებენ უფერულ ან ღია-წითელი ღვინოების დამზადების დროს.

№ 5455 (Seibel № 5455)

ზეიბელი № 5455 წარმოშობილია შემდეგი შეჯვარების შედეგად: ზეიბელ № 867 X ზეიბელი № 2524. ამ ჰიბრიდის ჰაბიტუსი ვინიფერას წააგავს. ვაზი ლონიერი ზრდა-განვითარებით ხასიათდება. მტევანი საკმაოდ მსხვილი, საშუალო სიკუმისს. მარცვლი საშუალო სიდიდის, საკმაოდ წვნიანი და ოდნავ გარეშე გემო დაჰკრავს. მოსავალს უხვს იძლევა. ყურძენი პირველი პერიოდის გასულს მწიფდება. ვაზის შავი ნაწილებიდან ამოსული ყლორტები უფრო ხშირად მოსავლიანია. ფილოქსერას საკმაოდ უძლებს,—ლონიერ ნიადაგებში შეიძლება საკუთარ ფესვებზე გაშენება; კრაქისადმი კი შედარებით ნაკლებად გამძლეა და 1—2-ჯერ შაბიამნით წამლობას მოითხოვს. ნაცარი ნაწილობრივ აზიანებს და 1—2-ჯერ გოვირდით წამლობას საჭიროებს.

ზეიბელი № 5455 საშუალო სიმაგრის, რიგიან დაფერილ, მომეცით, ოდნავ გარეშე გემოიან ღვინოს იძლევა. პირდაპირმწარმოებელთა წითელ-ყურძნიან ჰიბრიდთა შორის № 5455 თუმცა ერთი საუკეთესოა, მაგრამ მაგრამ ამ ჰიბრიდსაც დიდი სამეურნეო ღირებულება არა აქვს.

ზეიბელი № 6905 (Seibel № 6905)

ამ ჰიბრიდის მაგალითით შეიძლება დავარწმუნდეთ, თუ რამდენად რთულ კომბინაციებს მიმართავენ ხარისხოვანი პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდების მისაღებად. ამ ჰიბრიდის მისაღებად შეეჯარებულ იყო ზეიბელი № 4595 × ზეიბელი № 4199; თავის მხრივ ზეიბელ № 4595 = ზეიბელ № 451 × ზეიბელ № 405; ზეიბელ № 4199 = ზეიბელ № 85 × კუდერკ № 132; ზეიბელ № 451 = ალიკანტ განზენ × ზეიბელ № 1; ზეიბელ № 405 = ზეიბელ № 14 × არამონ რუპესტრის განზენ № 1; ზეიბელ № 85 = ზეიბელ № 2 × არამონ რუპესტრის განზენ № 1 და სხვ.

ამ ჰიბრიდის მტევანი ხასიათდება საკმაოდ მსხვილი, მოგრძო მოყვანილობის, მაგრამ მეჩხერი მტევნებით; საშუალო ან მომცრო სისხოს შავ-წვნიანი მარცვლებით; ვაზს საკმაოდ ღონიერი ზრდაგანვითარება აქვს და უხვად მსხმოიარება — ხშირად მოსავალს მეორე წლიდან იძლევა. ყურძენი მწიფდება მეორე პერიოდში. რქა დროულად შემოდის. ფილოქსერისადმი ნაკლები გამძლეობა აქვს და მყნობას საჭიროებს. კრაქისადმი სრული გამძლეობა არ ახასიათებს, განსაკუთრებით მარცვლებს; წვიმიან წლებში საჭიროა 1—2-ჯერ შაბიამინის შესხურება. ნაკარი არ ვნებს, ანტრაქნოზისადმი საკმაოდ მგრძობიარება. ზეიბელი № 6905 იძლევა რიგიან, კარგად შეფერილ საშუალო სიმაგრის სუფრის ღვინოს, მაგრამ გარეშე გემო საკმაოდ შესამჩნევია.

თუმცა ზეიბელი № 6905 წითელყურძნიან ზეიბელის ჰიბრიდთა შორის თითქმის ყველაზე უკეთესია, მაგრამ ამ ჰიბრიდსაც დადებით მხარეებთან ერთად (საკმაოდ უხვი მოსავალი, კრაქისადმი უკეთესი გამძლეობა, ნაკრისადმი კარგი გამძლეობა და სხ.) ახასიათებს აგრეთვე მთელი რიგი უარყოფითი მხარეები (მტევნის სიმეჩხრე, ღვინის გარეშე გემო, ანტრაქნოზისადმი დიდი მგრძობიარობა და სხ.).

ბაკო № 1 (Baco № 1 = 24—23)

ბაკო № 1 წარმოადგენს მარტივ ნაჯვარს (ფოლ ბლანში × რიპარი) და საერთო ჰაბიტუსით რიპარიას წაავაგს. ვაზი მეტად ღონიერი ზრდაგანვითარებისაა. მტევანი წვრილი ან მომცროა, საკმაოდ კუმსია. მარცვალი წვრილი, მრგვალი, მუქ-შავია. საშუალო მოსავალს იძლევა, გამოსავალი დიდი არა აქვს. შავი ნაწილებიდან ამოსული ყლორტები უმოსავლოა. კვირტი ნადრეგად იფურჩქნება და ხშირად გაზაფხულის ყინვების გავლენას განიცდის. ყურძენი პირველ პერიოდში მწიფდება. ღრმა ღონიერ ნია-

დაგებში ფილოქსერიისადმი საკმაო გამძლეობას იჩენს. კრაქისადმი საკმაო გამძლეობით ხასიათდება და, თუ არა მეტად ტენიან პირობებში, წამ-ლობა არ სჭირდება. ნაცრისა, ბლევროტისა და ანტრაქნოზისადმი კარგი გამძლეობა აქვს.

ბაკო № 1 საშუალო სიმაგრის, კარგად დაფერილ, მომწაფო წითელ ლენიოებს იძლევა. ლენის ერთგვარი თავისებური გემოთი ხასიათდება, რაც გვალვიან პირობებში უფრო შესამჩნევია.

წვრილი მტევნების და მარცვლების გამო ბარაქიან მოსავალს არ იძლევა, მაგრამ სხვა დადებითი თვისებებით, ამ ჰიბრიდმა ზოგან ყურადღება მიიპყრო.

კუდერკი № 7120 (Суд.тс № 7120)

კუდერკის მიერ გამოყვანილ მრავალ შავყურძნიან ჰიბრიდთა შორის № 7120 თითქმის ყველაზე უკეთესია. იგი წარმოშობილია რუპესტრის-ლინცეკუმის არაპონთან შეჯვარებით. ვაზი საერთო ზრდა-განვითარებით საკმაო ღონისაა, თუმცა პირველ ორ წელიწადს სუსტად ვითარდება. მტევანი მომცრო, ცილინდრული მოყვანილობის, საკმაოდ კუმსია. მარცვლი საშუალო სისხოსი, მომრგვალოა. მოსავალს თუმცა რიგიანს, მაგრამ არათანაბარს იძლევა. კვირტი გვიან იფურჩქნება და შავი ნაწილებიდან წარმოშობილი ყლორტები მოსავლიანია. ყურძენი მესამე პერიოდში მწიფდება და ამგვარად საკმაოდ მოგვიანო ჯიშია. ფილოქსერიისადმი საკმაოდ გამძლეა, მაგრამ ამჯობინებენ მის დაზიანებას. სოკოვან ავადმყოფობათაადმი რიგიანი გამძლეობით ხასიათდება და წამლობა თითქმის სრულებით არ სჭირდება.

კუდერკი № 7120 სუფრის რიგიან წითელ ლენიოებს იძლევა, რომლებსაც გარეშე უსიამოვნო სუნი და გემო თითქმის არ ემჩნევა. საშუალო სიმაგრესთან ერთად ცოტა გადაქარბებულ მკვებიანობას შეიცავს და ისეთ რაიონებში, სადაც ყურძენი დროულად არ მწიფდება, ამ ჰიბრიდის კულტურა არ გამოდგება.

კუდერკის პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდი № 7120 უახლოვდება იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდებს უყენებენ: სოკოვან ავადმყოფობებისადმი პრაქტიკული კარგი გამძლეობა, ყურძენში უსიამოვნო გარეშე სუნის და გემოს თითქმის არ არსებობა და სხ. ეს ჰიბრიდი იძლევა უბრალო, მაგრამ რიგიან სახარჯო წითელ ლენოს; თუმცა იგი ფილოქსერიისადმი საკმაო გამძლეობით არ ხასიათდება, მაგრამ ამიტომ მისი სავსებით დაწუნება შეცდომა იქნებოდა. უბრალო ლენის მომცემ ჯიშს აუცილებლად უხვი მოსავლიანობა უნდა ახასიათებდეს; ამ მხრივ კი № 7120 მოისუსტებს; ყურძენის მოგვიანებით მომწიფებაც აგრეთვე ზღუდავს ამ პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდის გავრცელების არეს.

ზართალია კუდერკის ჰიბრიდი № 7120 დასმულ ამოცანებს ამოწმებდა რავედ ვერ წყვეტს, მაგრამ იმედს გვაძლევს, რომ მომავალში მისგან ისეთი პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები მივიღოთ, რომელნიც მასთანაა ლეინობის წარმოების რაიონებში საკმაო გასაქანს ჰპოვებენ.

დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ Conegliano-ში შემდგარ მევენახეთა და შეღვინეთა ინტერნაციონალური კონგრესის დადგენილება. ამ კონგრესზე ფართოდ იყო განხილული პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდებთან დაკავშირებული საკითხები; ამ განხილვის შედეგად კონგრესმა აღნიშნა:

„1) რომ მევენახეობის მწარმოებელი ყველა ქვეყნისათვის ეს პრობლემა უდაოდ განსაკუთრებით საინტერესოა. ეს ინტერესი შემდეგშიც უფრო გაიზრდება;

2) რომ ამჟამად არსებული ის პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები, რომელნიც მასობრივ სუფრის ლეინობეს იძლევიან, სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობით ხასიათდებიან, (ათუ ავადმყოფობა მეტად მძაფრად არ ვითარდება), ამავე დროს ფილოქსერისადმი ნაკლებ გამძლენი არიან;

3) რომ ასეთი ჰიბრიდების კულტურა შეიძლება მიზანშეწონილად იყოს მიჩნეული ისეთ ადგილებში, რომლებიც მასობრივ ლეინობეს იძლევიან; და მათი კულტურა არავითარ შემთხვევაში დასაშვები არ არის იმ რაიონებში, რომლებიც ნახ ანდა მაღალხარისხოვან ლეინობეს იძლევიან. ასეთ რაიონებში ამჟამად მხოლოდ ძველი გამოცდილი ევროპული ვაშების ჯიშების კულტურა უნდა ვითარდებოდეს.

ამის მიხედვით კონგრესი ადგენს:

1) პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდთა შესწავლა უნდა ხდებოდეს მთელი სერიოზულობით და ყოველმხრივ, განსაკუთრებით კი მევენახეობის იმ რაიონებში, სადაც მათი მოშენება უფრო შედეგიანია;

2) მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს როგორც ახალ, უფრო სრულქმნილ პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდთა ტიპების შექმნისა და გამოჩახვისათვის, აგრეთვე ევროპული ვაშების საღვინე და სუფრის ყურძნის ძველი ჯიშების გაუმჯობესებისათვის; საჭიროა გამოყენებულ იქნას საშუალებანი, რათა გაფართოვდეს და გაღრმავდეს ჩვენი ცოდნა მემკვიდრეობით საკითხებთან დაკავშირებით;

3) ამ მიზნების განსახორციელებლად საჭიროა მევენახეობის ინსტიტუტების უზრუნველყოფა სათანადო თანხებით და მომუშავე პერსონალით, რათა ისინი უფრო მომზადებული შეხვდნენ მომავალ მევენახეობას და ამ დარგს უკეთესი მომსახურება გაუწიონ“.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში, მიზანშეწონილ მეცნიერულ საფუძველზე შესრულებულ ჰიბრიდიზაციისა და სელექციიდან, უფრო დამაკმაყოფილებელ შედეგებს მივიღებთ. საიქვეო კია, რომ ახლო მომავალში

გამოყვანილმა პირდაპირმწარმოებელმა ჰიბრიდებმა შესძლონ ყველა რაიონის ასორტიმენტის შეცვლა და მევენახეობაში ისეთივე ადგილის დაკავება, როგორც vinifera-ს უკავია. ამჟამად შეუწყნარებელია პირდაპირმწარმოებელ ჰიბრიდთა გაშენება მევენახეობის ისეთ რაიონებში, რომელნიც მაღალი ხარისხის პროდუქტს იძლევიან სუფრის ყურძნის ან ღვინის სახით.

Vinifera-ს არსებულ ჯიშთა შორის მოგვეპოება მეტად უხვმოსავლიანი ჯიშები, ამიტომ პირდაპირმწარმოებელთა ხმარება დიდი მოსავლის მიღების თვალსაზრისითაც უაზრობა იქნებოდა; იმ რაიონებში, სადაც ხარისხს ან რაოდენობას ეტანებიან, ამჟამად არსებულ პირდაპირმწარმოებელთა კულტურას არ უნდა გამოეყიდონ. გამონაკლისის სახით, მათი კულტურა დასაშვებია ისეთ რაიონებში, რომელთაც ნალექების დიდი რაოდენობა ახასიათებს; ასეთ რაიონებში სოკოვანმა ავადმყოფობებმა ისე გაძლიერება იცის, რომ vinifera-ს ჯიშების მოსავლის გადარჩენა თითქმის შეუძლებელი ხდება. ამ რაიონებში წამლობა ბევრად უფრო ძვირი ჯდება, ხანდახან უშედეგოცაა, რადგან ახლად ნაწამლ ვენახს წვიმა იოლად ჩამორეცხავს ხოლმე; პირდაპირმწარმოებელნი კი ამ მხრივ უფრო დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევიან, რადგან მათ სოკოვან ავადმყოფობათა უკეთესი გამძლეობა ახასიათებთ. მათი კულტურა დასაშვებია აგრეთვე საქართველოს ისეთ ადგილებში, სადაც გაზაფხულის ყინვების შედეგად გამოფურჩქნილი პირველი ყლორტები სისტემატურად ზიანდება. დასახელებულ კლიმატურ პირობებში, რასაკვირველია, მაღალი ხარისხის პროდუქტის მიღება შეუძლებელია; ამ რაიონებში პირდაპირმწარმოებელნი „საშინაო“ პროდუქტს მოგვცემენ, რაც საკმარისად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ თუ გამონაკლისის სახით, ზოგიერთ რაიონში, საშინაო ღვინის მოსამზადებლად დასაშვებია ასეთი ჯიშების გაშენება, სამაგიეროდ უნდა აიკრძალოს მათგან დამზადებულ ღვინის ვაჭრობა. ზოგ შემთხვევაში მათ ხმაოობენ საკუბაჟოდ და შემდეგ გასაყიდად, რაც აგრეთვე დაუშვებელია.

ვაზის ხელშეწყობის საფუძვლები

ამპელოგრაფიის ცნების სრულ შესატყვისობასთან მკიდროდ არის დაკავშირებული ვაზის სელექცია, ანუ ჯიშის გამოჩენვა, შერჩევა (selectio).

ცნობილია ორგვარი შერჩევა: ბუნებრივი და ხელოვნური. ბუნებრივი შერჩევა ევოლუციის პროცესების შედეგია, ცოცხალ ბუნების ყველა საფეხურზე ხდება და ადამიანის ჩაურევლადაც მიმდინარეობს. ხელოვნური შერჩევა კი ადამიანის ზეგავლენით ხდება; აკად. ვავილოვის სხარტი ფორმულირების მიხედვით იგი წარმოადგენს „ადამიანის ნებით მიმართულ ევოლუციას“.



ამემაღ არსებული ვაზის სახეობანი და აგრეთვე მრავალი ჯიშის ბუნებრივი შერჩევის შედეგია; ამგვარი შერჩევის შედეგია აგრეთვე ამერიკულ სახეობათა გამძლეობა ფილოქსერისადმი, სოკოვან აფხვანობათა მიმართ და სხ. უძველესი დროიდან ადამიანიც აწარმოებდა თავისი მიზნების განსახორციელებლად ბუნების წილიდან მცენარეების ხელოვნურ შერჩევას; ასეთი საქმიანობის შესახებ დოკუმენტალური მასალაც მოგვეპოვება (ძველი ბერძნული—თეოფრასტი, ძველი რომაული—კოლუმელა, პალადი და სხ.). საფიქრებელია, რომ ასეთივე საქმიანობა სწარმოებდა გაცილებით უფრო ადრეც—ადამიანის დაბინადრების საწყისიდან: ტყეში გაბნეული კრიკინა ვაზებიდან საუკეთესოები ადამიანს ბინადრობის ადგილას გადაქონდა და ასეთი ვაზებით შენდებოდა პირველი საკარმიდამო ნარგავები.

ვაზის ხელოვნური შერჩევა ანუ სელექცია ამემაღ უფრო ფართო გაგებით გვესმის; იგი შესდგება გენერატული და ვეგეტაციური სელექციისაგან.

1) გენერატული სელექცია გულისხმობს: ა) ახალი ჯიშების გამორჩევას წარმოშობილ სახეობათა ან ჯიშების ბუნებრივი შეჯვარების შედეგად; ბ) სახეობათა ან ჯიშების ხელოვნური შეჯვარების შედეგად ახალი ჯიშების გამოყვანას და გამორჩევას და მათ მომრავლებას.

2) ვეგეტაციური სელექცია გულისხმობს არსებული ჯიშის ცალკეულ ინდივიდებიდან ვეგეტაციური ნაწილების შერჩევას და მათ მომრავლებას.

1. შეჯვარებით წარმოშობილ ჰიბრიდების სელექცია

ვაზი ანემოფილ მცენარედ ითვლება, ჯიშების და სახეობათა ურთიერთშეჯვარება ადვილად ხდება და, ამასთან დაკავშირებით, წინწყებიდან წარმოშობილი მცენარეები მეტად კრელ პოპულაციას წარმოადგენენ. ხშირად თვით ბუნებაში, ბუნებრივი შეჯვარების შედეგად, წარმოიშობიან ხოლმე ინდივიდები, რომელნიც მთელი რიგი ძვირფასი სამეურნეო ღირსების მატარებელნი არიან. ასეთი ვაზების შერჩევა-აღნიშვნა და შემდეგ მათი მომრავლება ადამიანის შეგნებაზე და მზრუნველობაზე დამოკიდებული. ისტორიულ წარსულში სწორედ ასეთი წესით არის წარმოშობილი ამემაღ არსებული და დღესაც საუკეთესოდ მიჩნეული მრავალი ვაზის ჯიში. არა თუ ისტორიული წარსულის, არამედ ახალი დროის მსგავსი მაგალითებიც მრავალი მოგვეპოვება: ჩვენში ფართოდ გავრცელებული ჯიში იზაბელა ანუ ადესა (შავი ზღვის სანაპირო) ნაპოვნი იყო ამერიკის ტყეებში იზაბელა ჯიფსის მიერ; ასურეთის ვენახებში (აღბულალის რაიონი) გავრცელებული შავყურნიანი ჯიში—ასურეთული შავი—ნაპოვნი იყო ამ რამდენიმე წლის წინ, ასურეთის მეზობელ ტყეში კოლონისტ შაალის

მიერ; კახეთში „ტყის ვაზის“ სახელწოდებით ცნობილი თეთრფუდნიანი საინტერესო ჯიში ტყიდანაა მოტანილი ამ ცოტა ხნის წინ. კახეთ-დასავლეთში (თურქმენეთი) ტყეში ნაპოვნ ვაზის ჯიშებს (ალი-შაითან, დავ-შაქედონ და სხ.) ხალისიანად ამრავლებენ და სხვ. მაგრამ ყველა ეს ჯიში მშობლების შემთხვევით შეუღლების შედეგად წარმოიშვა და მათ წარმოშობაში იდამიანს მონაწილეობა არ მიუღია.

გარეულად მოზარდი ვაზი უძველესია ისევე განიცდის ბუტანტურ მოვლენებს, როგორც კულტურული; გამოირცხული არაა ამნაირად წარმოშობილ ვაზებში დადებითი სამეურნეო ნიშანთვისებების მიღებისა და მევენახეობის პრაქტიკაში მათი გამოყენების შესაძლებლობა.

ბუნებრივი განაყოფიერების შედეგად ჩასახული წიპების დათესვა და აღმოცენებულ მცენარეთა შერჩევა, ხშირად ავრთვე საკმაოდ ძვირფას მასალას იძლევა; მთელი რიგი ვაზის ჯიშები ასეთი წესითაა მიღებული. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია მალენჯრის, სალამონის, ვან-მონის, კურტილიეს და სხვათა მიერ ბუნებრივად განაყოფიერების შედეგად წიპებიდან მიღებული და შემდეგ ამ ნათესებიდან შერჩეული ვაზის ჯიშები.

ასეთი შემთხვევითი შეუღლების შედეგად წარმოშობილი შთამომავლობა თუმცა მევენახეობის პრაქტიკისათვის ხშირად ფრიად მნიშვნელოვანია, მაგრამ რადგან მშობლები შემთხვევით შეუღლდნენ, ამიტომ შთამომავლობაც შეიძლება მევენახის მიზანდასახულებას შემთხვევითაც უპასუხებდეს. სწორედ ამიტომ, ახალ ჯიშთა გამოყვანისას ამჯობინებენ არა შემთხვევითი შეუღლების შედეგად წარმოშობილი ნაჯვარის წიპის დათესვას და აქედან სასურველების შერჩევას, არამედ გარკვეულ ნიშანთვისებათა მატარებელი მშობლების წინასწარ შერჩევას და მათ ბელოვნურ შეჯვარებას. მეგვიდრობითი კანონების ცოდნა და ასეთი სახის საქმიანობის მიზანშეწონილად შესრულება, თავისთავად ცხადია, მეტი ეფექტიანობის საწინდარია.

მიუხედავად იმისა, რომ მევენახეობაში მოგვეპოება მრავალი ათასი ვაზის ჯიში, რომელნიც ურთიერთისაგან განსხვავდებიან ნაყოფის სიმსხოთი, მოყვანილობით, გემოთი, ფერით, სილამაზით, დამწიფების ვადით, შაქრიანობით და სხვა მრავალი თვისებით, მაინც ეს მეტად დიდი ასორტიმენტიც ვერ სწურავს ცალკე მოთხოვნილებებს. როგორც თავის დროზე აღვნიშნეთ, საძირე ვაზების შესაქმნელად დიდი მუშაობა ჩატარდა (მილარდე, კუდერკი, დე-გრასე, ფოექსი და სხ.); დიდი მუშაობა ჩატარდა ავრთვე დამაკმაყოფილებელი პირდაპირწარმოებლების შექმნისათვის (კუდერკი, ზეიბელი, ბაკო, ობერლინი და სხ.); მევენახეობაში სხვა ბევრი მსგავსი მაგალითი მოგვეპოვება.

ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანა უნდა ხდებოდეს სახელმწიფო დაკვეთის რეალიზაციისათვის და ადგილობრივი წარმოების მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად ვაზის ჯიშთა მეტად მდიდარი ასორტი-

მენტის არსებობისა, ამჟამად არ გავგაჩნია ვაზის არცერთი ისეთი ჯიშის, რომელიც უხვ მოსავლიანობასა და ხარისხოვან პროდუქტის მოცემასთან ერთად, ავადმყოფობათა და მავნებლებთან წინააღმდეგ სრულყოფილ გამძლეობას იჩენდეს; არ გავგაჩნია არც ერთი მაღალი ხარისხის პროდუქტის მომცემი ჯიშის, რომელიც მიწაში დაუმარხავად ზამთრის დიდი ყინვების ამტანიანობით ხასიათდებოდეს; მრავალი ჯიშისა, რომელიც ადრეულად მწიფდება და რიგიან პროდუქტსაც იძლევა, მაგრამ ტრანსპორტს ვერ იტანს (მადლენი, ასკერი); უხვ მოსავალს იძლევა, მაგრამ პროდუქტის ხარისხი დაბალია (მელრია, ქვაპა, ბუერვაზი); უხვი მსხმოიარობა აქვს, მაგრამ ხელოვნური განაყოფიერების გარეშე მარცვალს უწლიოკდება (თავკერი, ნიმრანგი, ჩაუში); ლამაზ, მაგრამ შედარებით უგემურ ყურძენს იძლევა (ხარისთვალა, ავადაი) და ა. შ.

Euvitis-ის წარმომადგენელთა (სახეობათა, ვარიაციათა, ჯიშთა) ურთიერთშეჯვარება, როგორც აღვნიშნეთ, ტექნიკურად დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს; ოღონდ საჭიროა, რომ შესაფერებლად აღებულ მშობლებს სქესობრივი ორგანოები ნორმალური აგებულებისა ჰქონდეს--მორფოლოგიურად და სქესობრივად სტერილი არ იყვნენ.

ჰერმაფროდიტულ ყვავილებიანი ვაზის ჯიშები (და როგორც ვიცით ასეთებს ეკუთვნის კულტურული ვაზების უმრავლესობა) ხასიათდებიან როგორც თვითგანაყოფიერების, ისე ჯვარედინგანაყოფიერების უნარიანობით, ამგვარად ისინი ფაქტულტატურად სხვით განაყოფიერების უნარიანი არიან; ეს იქიდანაც ჩანს, რომ თვითგანაყოფიერება მთელ რიგ ჯიშებში იმდენად კარგად მიმდინარეობს, რომ ასეთი განაყოფიერების შედეგად მტევანი უფრო მეტ მარცვალს ივითარებს, ვიდრე ჯვარედინი განაყოფიერების შედეგად. ზოგიერთი ჯიშის განაყოფიერება ჩაჩის ქვეშე ხდება, ჩაჩის სრულ მოცლამდე (კლეისტოგამია). ყველა ეს გარემოება ზემომოხსენებულ მოსაზრებას ასაბუთებს. ვაზის განაყოფიერებაში მწერები არავითარ როლს არა თამაშობენ, ნიავე (ჰაერის მოძრაობა) კი ამ პროცესს საგრძნობლად უწყობს ხელს.

ფუნქციონალურად დედრობით სქესიანი ვაზის ჯიშების ყვავილებში თავისი მორფოლოგიური აგებულებით საკმაოდ მკაფიოდ განსხვავდებიან ჰერმაფროდიტული ყვავილებისაგან: პირველებს ბუტკო კარგად აქვთ განვითარებული, მტვრიანები კი გადაკავილი აქვთ; მეორეებს კი ბუტკოს კარგად განვითარებასთან ერთად, ზემდგომი მტვრიანები აქვთ. ფუნქციონალურად დედრობით სქესიან გადაკავილ მტვრიანებში არსებული მტვერი მეტწილად სტერილია, თუმცა ზოგჯერ განაყოფიერების უნარიც აქვს. ასეთი ყვავილების მქონე ჯიშების მოსავლის უზრუნველსაყოფად საჭიროა მათი ჯვარედინგანაყოფიერება. ამგვარად, ასეთ ყვავილებიანი ფორმები ობლიგატური, სხვით განაყოფიერების უნარიანი არიან. აღსანიშნავია, რომ ვაზის ჯვარედინგანაყოფიერების შემთხვევაში

ფიზიოლოგიური სტერილობა არც ერთი მკვლევარის მიერ შემჩნეული არ არის, მაშინ როდესაც მეხილეობაში (მსხალი, ვაშლი, ქლიავი, ბალი და სხვ.), როგორც ცნობილია, ფიზიოლოგიური სტერილობა მოვლენაა¹.

ვაზის ყვავილის მტვერის სტერილობა დამოკიდებულია ამინდზე (ტემპერატურა, სიმშრალე) და მათ შინაგან აგებულებაზე; სახელდობრ, როდესაც დაყოფის დროს მიკროსპორებში ტეტრაიდეზის (ვეგეტატიურ და გენერატიულ ბირთვების) ანორმალური განვითარება ხდება—მტვერი სტერილი რჩება.

განაყოფიერება აგრეთვე არ ხდება, როცა ბუტკო განაყოფიერების უნარს მოკლებულია.

ვაზის ყვავილის მდგრადობითი სქესის გამეტოფიტს ორგვარი სტერილობა ახასიათებს: ა) ობლიგატური, ასეთსა ვხვდებით ქიშიშის ჯიშებში (კორინთული, თეთრი ქიშიში, მარმარი და სხ.) და ბ) ფაკულტატური, რომელიც მეტნაკლებად თითქმის ყველა ჯიშში შესაძენეია.

Euvtis-ის ყველა სახეობაში სხვადასხვა მკვლევარის მიხედვით ქრომოსომთა რიცხვი უდრის $2n=38$; გამოწკლის შეადგენს რამდენიმე ფორმა (სულთანინა გივას, მუსკატი გივას, მუსკატი კენონხოლი), რომელნიც ტეტრაპლოიდებს წარმოადგენენ; მათ ქრომოსომთა რიცხვი უდრის $2n=76$.

თუმცა ჯიშური მემკვიდრეობითი თვისებები, მშობლებიდან ნაჯვარს (ჰიბრიდზე) გადაეცემა, მაგრამ ყველა ჯიშური ნიშანთვისება თანაბრად როდი იჩენს მემკვიდრეობით უნარს. საჭიროა ზოგიერთ ცალკე შემთხვევას ზოგადად გავეცნოთ.

ა. ფილოქსერისადმი გამძლეობის მემკვიდრეობის გადახვევა

როგორც მრავალრიცხოვან დაკვირვებიდან ჩანს, ვაზის ფილოქსერისადმი გამძლეობა მშობლებიდან მემკვიდრეობით გადაეცემა შთამომავლობას. თავის დროზე მოხსენებული იყო, რომ ვაზის ეს თვისებურება დამოკიდებულია ფაქტორთა კომპლექსზე (ქსოვილების ანატომიური აგებულება, ნიადაგის და კლიმატის პირობები და სხ.); მათგან მემკვიდრეობითი თვისებები საგრძნობ ვავლენას ახდენენ; ვიცით აგრეთვე, რომ სხვადასხვა ვაზის ფორმა ფილოქსერისადმი სხვადასხვა გამძლეობით ხასიათდება; თვით ჩვენ ჯიშთაგანაც ზოგი მეტ გამძლეობას იჩენს (ჩინური, ალექსანდროული, რაქაითელი), ზოგი კი ნაკლებს (საფერავი, ბუდეშური და სხ.).

პირველად პროფ. Millardet-მ აღნიშნა ამ სამოცი წლის წინ, რომ

¹ მხედველობაში არ ეღებოთ სტერილობას *vinifera*-ს შეჯვარების შემთხვევაში *rotundifolia*-სთან, რადგან ამ ორ ქვეგვარს მეტად შორეული ნათესაობა აქვთ: *vinifera* ეკუთვნის *euvtis*-ის ქვეგვარს, *rotundifolia*-კი *muscadinias*-ს ქვეგვარს და მათი ნაჯვარიც სატყეოა მდგანია; მათ ნაჯვარს ფრანგები „კრუნაჯვარს“ უწოდებენ.



როდესაც ფილოქსერაგამძლე ვაზის ორ ფორმას ვაჯვარებთ, მათი შთამომავლობაც ფილოქსერაგამძლე გამოდის (*Riparia-rupestris*, *riparia-Berlandieri*); როდესაც ვაჯვარებთ ორ ისეთ ფორმას, რომელთაც ფილოქსერის გამძლეობა არ ახასიათებთ, ისეთ ნაჯვართა შთამომავლობა ფილოქსერისაა და არაგამძლეა (*vinifera-labrusca*, *vinifera-vinifera*); როდესაც ვაჯვარებთ ისეთ ფორმებს, რომლისგან ერთი ფილოქსერის გამძლეობით ხასიათდება (*Berlandieri*), მეორე კი არა (*vinifera*),—მათი შთამომავლობა ფილოქსერისაა და სხვადასხვა გამძლეობას იჩენს—ზოგი საკმაოდ გამძლეა (*Chasselas* × *Berlandieri* № 41 B), ზოგი კი არა (*Chasselas* × *rupestris* № 4401)¹. ეს უკანასკნელი და სხვა მისი მსგავსი მაგალითები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ვაზის ჯიშის ფილოქსერისადაც გამძლეობა, პოლიმერულია, მთელ რიგ შინაგან და გარეგან ფაქტორთა წყებაზე და მოკიდებული და, იმის მიხედვით, თუ ნაჯვარში რომელი თვისებები განმტკიცდებიან, ნაჯვარიც ფილოქსერისადაც მეტი ან ნაკლები გამძლეობის იქნება.

როდგან ვაზი ჰეტეროზიგოტური მცენარეა, ე. ი. გარკვეულ გენთა კომპლექსს წარმოადგენს, ამიტომ ერთიდაიგივე შთომბლების ნაჯვართა შთამომავლობის პირველი თაობა საკმაოდ ჭრულ დათიშვის ვარიაციულობას იძლევა. შემჩნეულია აგრეთვე, რომ როდესაც ფილოქსერის გამძლე ფორმა შეჯვარებულია ფილოქსერის არგამძლე ფორმასთან, შემდეგ თაობებში ცვალებადობა უფრო ჭრულია და წარმოშობილ ინდივიდთა შორის მეტი რაოდენობით ვლენულობთ საშუალო გამძლეობის ვაზებს, ნაკლები რაოდენობით კი როგორც ფილოქსერის გამძლე, ისე ფილოქსერის გამძლეობის უნარმოკლებულ ჰიბრიდებს.

სახეობათა ურთიერთშორისი შეჯვარების შემთხვევაში ნაჯვარის შთამომავლობა უფრო მეტი ღონით ხასიათდება, ვიდრე თვით ღონიერი მშობელი. იტალიელ მკვლევარ Pirovano-ს დაკვირვებათა მიხედვით სხვადასხვა რაიონის შეჯვარებული ვაზის ჯიშები უფრო მეტი ზრდის ღონის შთამომავლობას იძლევიან; და რამდენათაც ჯიშები ერთიმეორისგან დაშორებულ რაიონს ეკუთვნიან, იმდენათ ღონეც მეტი აქვთ. როდესაც Pirovano ერთი რაიონის ორი ჯიშის შეჯვარებას აწარმოებდა,—სუსტი ზრდის შთამომავლობას იღებდა. მისივე დაკვირვებით დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ნიადაგის თვისებებს. ერთიდაიმავე რაიონის, მაგრამ სხვადასხვა ნიადაგზე ნაზარდი ჯიშების შეჯვარების შემთხვევაში უფრო ღონიერ შთამომავლობას იღებდა; ეს თავისებურება Pirovano-მ ჰეტეროზიგოზისს მიაკუთვნა.

¹ Chasselas=0, Berlandieri=18:2—9,0; ამ ჰიბრიდის ფილოქსერისადაც ფაქტური გამძლეობა 17 უდრის. Chasselas=0 rupestris=19:2—9,5; ამ ჰიბრიდის ფილოქსერისადაც ფაქტური გამძლეობა კი 5 უდრის.

ივ. ვ. შინტორინის მიხედვით, რამდენადაც შეჯვარებულ მცენარეთა სამშობლო მეტი მანძილით არის დაშორებული და მათი ზრდაგანვითარების პირობები მეტად განსხვავდებიან, იმდენად ჰიბრიდები უფრო უკეთეს და ადვილად ეჭვებიან ახალ ვარემო პირობებს.

შეჯვარების შედეგად მიღებულ ჰიბრიდების ფილოქსერისადმი გამძლეობას ირკვევენ ფილოქსერით მათი ხელოვნურად დაავადებით (პროვოკაციული მეთოდი). ამისთვის Börner-ი (Naumburg) ამჯობინებს ხელოვნურად შექმნილ ოპტიმალურ პირობებში ჩააყენოს როგორც გამოსაცდელი ჰიბრიდი, ისე მასზე ხელოვნურად მოთავსებული ფილოქსერა; შემდეგ ის იკვლევს ფილოქსერით მიყენებული ზიანის რაოდენობას: ა) ფილოქსერისადმი გამძლეობის უნარმოკლებულ ჰიბრიდებს წუნი ედებათ და ცდიდან გამოითიშებიან, ან და, ბ) იმ ჰიბრიდებზე, რომლებიც ფილოქსერაგამძლე აღმოჩნდებიან—დაკვირვებებს აგრძელებენ, მათი სხვა სამეურნეო ღირებულებათა მაჩვენებლების გამოსარკვევად (დაფესვიანების უნარიანობა, რქის შემოსვლა, ადაბტაცია, აფინეტეტი, ლერწის გამოსავლიანობა, სოკოვან ავადმყოფობათა გამძლეობა და სხ.); შემდეგ კი საბოლოო დასკვნა გამოაქვთ.

ბ. ზრახისადმი გამძლეობის მემკვიდრეობა

პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდების განხილვის დროს აღნიშნული იყო ჭრაქისადმი გამძლე ვაზის ჯიშების მნიშვნელობა. Vinifera-ს ზოგი ჯიშში შედარებით მეტი გამძლეობით ხასიათდება (კოლიკაური, მალვაზია და სხ.), მაგრამ საკმაო პრაქტიკული გამძლეობა კი არც ერთ მათგანს არა აქვს. დანამდვილებით ვიცით, რომ ჭრაქისადმი მგრძობიარობა-გამძლეობაც ვაზის მემკვიდრეობითი თვისებაა, რომ ამერიკული ვაზის ზოგი სახე ჭრაქისადმი სავსებით პრაქტიკული გამძლეობით ხასიათდება, რომ ფრონულ-ამერიკული ვაზების ნაჯვარების მეტი წილი გაცილებით უკეთესი გამძლეობით ხასიათდებიან, ვიდრე vinifera-ს ჭრაქისადმი „გამძლე“ ჯიშები.

Seeliger-ს მიხედვით ევროპულ-ამერიკული ჰიბრიდების პირველი თაობის (F_1) ყველა ნათესი ჭრაქისადმი ნაკლები გამძლეობით ხასიათდება, მეორე თაობა კი (F_2) იძლევა როგორც არა საკმაოდ გამძლე, ისე საკმაოდ გამძლე ჰიბრიდებს. რამდენად რთული და შრომატევადია ამ პრობლემის გადაწყვეტა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ Husfeld-მა მურფედერ X რუპესტრის № 1202-ს მეორე თაობის ერთ მილიონ ნათესებიდან (F_2) შესძლო მხოლოდ 50 ცალი ჭრაქისგამძლე ვაზი მიეღო, რაც 0,05% შეადგენს... მაგრამ ამით ხომ საკითხი არ ამოიწურება. საჭიროა ჭრაქისადმი გამძლეობის გარდა ჰიბრიდი მთელი რიგი სხვა დადებითი სამეურნეო ნიშან-თვისებებით ხასიათდებოდეს.

რადგან vinifera-ს ჯიშები ჭრაქისადმი გამძლეობით არ ხასიათდებიან, ამავე დროს აუცილებლივ გვესაჭიროება ჭრაქისადმი გამძლე, ხარის-



ხოვანი პროდუქტის მომცემი ვაზები, ზოგი ამერიკული სახეობა კი ამ ავადმყოფობის გამძლეა, ამიტომ კრაქის გამძლე ვაზების მიღება უნდა იქნას რეზერვად, შეიძლება *vinifera*-ს ამერიკულ ვაზებთან შეჯვარებით მოხდეს რიცხოვანი ცდებიდან ვიციტ, რომ F_1 ამ მიზანდასახულებას ნაკლებ ამართლებს; ამიტომ უკანასკნელ ხანებში ყურადღება გამახვილებულია F_2 -ზე. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა ფართო მატერიალური შესაძლებლობანი და ფრიად მუყაითი, შეგნებითი მუშაობა; მხოლოდ ამ შემთხვევაშია მოსალოდნელი ამ ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემის წარმატებით გადაჭრა.

8. მთავნის და მარცვლის სისხოს მემკვიდრეობითი გადასვლა

მევენახის მიზანდასახულებაა—ხარისხოვანი და გამოსავლიანი ყურძნის უხვი მოსავლის მიღება. ყველა ეს დაკავშირებულია ჯიშის მსხმოიარობასა, მტევნის და მარცვლის სისხოსა და მათ აგებულებასთან. ზოგი ჯიშში ნაკლები მსხმოიარობით ხასიათდება, მაგრამ ბარაქიან მტევანს იძლევა (პალესტინური, ასურეთული შავი); ზოგი ჯიშის მარცვალი მეტად წვრილია (კორინთული, ჩიტისთვალა); ზოგისა მეტად მკვრივი აგებულებისაა და ამიტომ ნაკლებწვნიანია (ჯიბის ყურძენი, ჯანი, ალადასტური); ზოგი ჯიშის მარცვალში წიპწების რიცხვი დიდია და წიპწებიც მსხვილია, ამის შედეგად კი მარცვალი ცოტა წვეს შეიცავს და სხ. ვაზის დიდ ასორტიმენტში მოგვეპოება ფორმები, რომელთა მტევნის წონა 15 გრამიდან (კრიკინა),—1500 გრამამდე (ხუსენიე) მერყეობს, მარცვლის სისხო კი 0,4—4 სანტიმეტრამდე; სათანადო აგროტექნიკის გამოყენებით კი ცალკეული ჯიშებიდან უფრო მსხვილი მტევნის და მარცვლის მიღებაც შესაძლებელია. მტევნის რაოდენობა, სისხო, აგებულება, მარცვლის სისხო, ფერი, აგებულება საკმაოდ მკვიდროდაა დაკავშირებული ჯიშის მემკვიდრეობით თვისებებთან; ხოლო რადგან მევენახეობის პრაქტიკისათვის ეს თვისებები ფრიად მნიშვნელოვანია, საჭიროა გავეცნოთ მათი მემკვიდრეობის ხასიათს.

ურთიერთშორის შეჯვარებული წვრილმტევნიანი და წვრილმარცვლიანი სახეობანი როგორც პირველ თაობაში (F_1), ისე მეორე თაობაში (F_2) იძლევიან წვრილმტევნიან და წვრილმარცვლიან ყურძენს. წვრილმტევნიან სახეობათა ან ჯიშების მსხვილმტევნიანებთან შეჯვარების შემთხვევაში პირველ თაობაში (F_1) მეტწილად ორივე მშობლისთვის დამახასიათებელ საშუალო სისხოს მტევნებს ვღებულობთ, ზოგჯერ მომცროსაც, საერთოდ კი მტევნებს მიღრეკილება სიწვრილესკენ აქვთ; მეორე თაობაში (F_2) ზოგი ინდივიდი წვრილმარცვლიანი გამოდის, ზოგი კი საკმაოდ მომსხო ყურძნიანია. ზოგიერთი ასეთი ნაჯვარი პირველ თაობაშივე იძლევა მშობლებს როგორც მტევნის ისე მარცვლის ყველა გარდამავალ საფეხურს, რაც Snyder-ის ცდებიდანაც ჩანს. მის მიერ აღექსანდრიფულ მუსკატთან შეჯვა-

რებულმა კორინთულმა პირველ თაობაშივე მისცა მარცვლის ყველა გარდა-
 დამავალი საფეხური—კორინთულის მარცვლის სიმსხოდან დაწყებული
 ალექსანდრიული მუსკატის მარცვლის სიმსხომდე.

ეროვნული
 ზიზღით

**დ. მარცვლის ფერის, არომატის და აგებულების
 მემკვიდრეობითი გადაცემა**

არსებული ჯიშების ყურძნის მარცვლის შეფერვა მეტად მრავალნაი-
 რია: გვხვდება შავ-მოლურჯო ფერიდან ყველა გარდამავალი საფეხურებით
 მოთეთრო-რძის ფერამდე. Vinifera ფერების უფრო ძლიერ გამმას იძლევა,
 ვიდრე vitis-ის სხვა სახეობანი. აღსანიშნავია, რომ ზოგი სახე მხოლოდ
 შავყურძნიანია, მაგ. v. riparia, v. rupestris, v. Berlandieri, v. cordifolia
 და სხ., არა თუ სახეობანი, არამედ ზოგიერთი ჯიშის კი მოითვლის ყურ-
 ძნის ფერის მთელ გამმას; მაგ. ცნობილია პინოს ვარიაციები: შავი, წითელი,
 ნაცრისფერი, თეთრი; ცნობილია შასლას ვარიაციები: ყვითელი, წითელი,
 თეთრი, ალისფერი; ცნობილია გამმეს ვარიაციები: შავი, წითელი, თეთრი,
 მწვანე და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ წითელ წვნიანი ჯიშები მხოლოდ
 ყურძნის შავფერა ვარიაციებს შეიცავენ.

შავყურძნიანი ვაზის ჯიშების წიპწის ოესვის შედეგად მიღებულია:
 ა) მხოლოდ შავმარცვლიანი მცენარეები; ბ) შავმარცვლიანი და თეთრმარ-
 ცვლიანი მცენარეები, ამათგან მეტი შავმარცვლიანი და მცირე რიცხვი
 თეთრმარცვლიანია; გ) შავი და წითელმარცვლიანი მცენარეები; დ) შავი,
 წითელი და თეთრმარცვლიანი მცენარეები. ამ მასალის მიხედვით Rasmu-
 sen-მა შემდეგი ჰიპოტეზა წამოაყენა: ყურძნის მარცვლის ფერი ორი
 კომპლემენტალური ფაქტორისაგან შეესდგება, სახელდობრ C—წითელი ფე-
 რის ფაქტორი და D—რომელიც თვითონ ფერს არ იძლევა, მაგრამ C-თან
 ერთად ლურჯ ფერს იძლევა. ამ ჰიპოტეზიდან გამოიძინარე მას შესაძლოდ
 მიაჩნია ყურძნის ფერების შემდეგი კომბინაციები:

შავყურძნიანი ჯიშებში:

- 1) CCDD იძლევა მხოლოდ შავიფერის შთამომავლობას
- 2) CCdd ითიშება და იძლევა ლურჯს და წითელს, შეფარდებით 3:1
- 3) CcDD " " ლურჯს და თეთრს, შეფარდებით 2:1
- 4) CcDd " " ყველა 9 ლურჯზე 3 წითელს და 4 თეთრს.

წითლებში:

- 5) CCdd იძლევა მხოლოდ წითელმარცვლიან ყურძენს.
- 6) Ccdd ითიშება და იძლევა წითელს და თეთრს, შეფარდებით 3:1.

თეთრები:

- 7) ccDD იძლევა მხოლოდ თეთრმარცვლიან თაობას.
- 8) ccDd " " " "
- 9) ccdd " " " "

რასმუსენის მიერ წამოყენებულ ჰიპოტეზას ზოგი მკვლევარი იზიარებს, უნდა აღენიშნოთ, რომ Rasmusen-ის ეს ჰიპოტეზა ემყარება ფორმალურ გენეტიკას, ამიტომ სათანადო შესწორებას მოითხოვს.

ყურძნის შეფერვასთან დაკავშირებით აგრეთვე აღსანიშნავია (დას. 1923) ვაზზე მომუშავე ყველა გენეტიკოსის მიერ უდაოდ აღიარებულია, რომ ვაზის ჯიშების ყურძენში შედარებით ყველა სხვა ფერთან შავი ფერი უფრო ხშირად გამოიშვადრება ხოლმე.

ზოგიერთი სახე. ხასიათდება ყურძნის მეტად თავისებური არომატით (v. Labrusca), ზოგი სახის მხოლოდ ცალკეული ჯიშები ხასიათდებიან გარკვეული სპეციფიკური არომატით (vinifera—მუსკატები, კაბერნე, რისლინგი და სხ.). ჯიშთა შესწავლისას მოხსენებული იყო სეილის გამოკვლევა, საიდანაც ჩანს, რომ v. Labrusca-ს ყურძნის სპეციფიკური გემო დამოკიდებულია ანტროლინის მეთვას ეთერისა და სხვა მქროლავ ეთერებისაგან და რომ vinifera-ს ჯიშებში ანტროლინის ეთერი აღმოჩენილი არ არის.

თუ რამდენად მემკვიდროებითია სახეობათა დამახასიათებელი სპეციფური არომატი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ნეიტრალურ გემოიან ჯიშებთან ლაბრუსკას¹ ნაჯვარი გარკვეული სპეციფური არომატით ხასიათდება. ეს სპეციფური არომატი თვალსაჩინოა არა მარტო მარტივ ჰიბრიდებში (ნოა, კლინტონი და სხ.), არამედ რთულ ჰიბრიდებშიაც, სადაც ერთ-ერთ კომპონენტად შედის ლაბრუსკა (კასტელისი, კუდერკისი და სხ. მთელი რიგი პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები).

Vinifera-ს წარმომადგენელთა შორის ყველაზე მეტი და გარკვეული სპეციფური არომატი მუსკატებს აქვთ (თეთრი მუსკატი, ჰუნგრეთის მუსკატი, ალექსანდრიული მუსკატი, და სხ.). ამავე დროს მოიპოვებიან ჯიშები, რომელთაც მუსკატისებრი გემო მხოლოდ დაჰკრავს (ჩაუში, მისკიეტა, კახური ობაყლური). მუსკატის სპეციფური არომატი იმდენად თავისებურია, რომ ზოგი მკვლევარის აზრით მუსკატები თითქოს vitis-ის ცალკეულ სახეობას წარმოადგენენ (პოპოვი), რაც როგორც შემდეგში დავინახავთ, ფრიად საიქვოა.

მეტად თვალსაჩინოა Pirovano-ს დაკვირვებანი მუსკატის არომატის მემკვიდრეობაზე¹. საბოლოოდ იგი იმ დასკვნამდის მივიდა, რომ მუსკატის არომატი მემკვიდრეობითია და მისი გაზორკვევა შეიძლება ფორმულით

$\frac{A+B}{2}$. მისი ცდების მიხედვით სხვა ჯიშებთან, მუსკატის შეჯვარებით მიღებული ჰიბრიდები ზოგჯერ უარომატო, მაგრამ მწარე გემოსია (მაგ. დოდრელაბი² × ჰამბურგის მუსკატი, აგოსტენგო × ჰამბურგის მუსკატი)

¹ Pirovano, Porf. sintetico to mosca to in ibridi di v. Labrusca. Riv. de Ampelogr. № 6, 1921 წ.

² დოდრელაბი ქართული ვაზის ჯიშის ხარისთვალაა იგი კარგადაა დაცული რაჭაში.

და ამ თავისებურ მოვლენასთან ერთად ზოგჯერ მუსკატური არომატისაც არიან; მაგ. მუსკატი ჰამბურგული X შასლა ვარდისფერი. მისივე ცლებიდან ჩანს, რომ v. labrusca-ს „მელის სუნის“ შეიძლება მუსკატის სუნად გარდაქმნას; მისი რთული ჰიბრიდი (შასლა თეთრი X იზაბელა) X (ფერდინანდ ლესკის X მეფის მადლეენი) ამის დამამტკიცებელია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაჯვარში მუსკატი სრულებით არ ურევია, ამ შეჯვარების შედეგად მიღებულია დასახელებული ჰიბრიდი № 7 (Primus), რომელიც მუსკატის გარკვეულ გემოს ატარებს.

ზემოხსენებულის მიხედვით უფლება გვეძლევა დავასკვნათ, რომ ჯიშობრივი არომატი მემკვიდრეობითი უნდა იყოს და რამდენადაც ჯიშინტენსურ-არომატულია, იმდენად ჰიბრიდში იგი უფრო გარკვეულად იხსება. არომატის სპეციფიკის გარდაქმნა მიგვიჩვენებს იმაზე, რომ იგი მარტივი არ უნდა იყოს, — ამის დამადასტურებელია ჰიბრიდი № 7 Primus-ი.

უნდა აღინიშნოს, რომ მუსკატთა შორის ტეტრაპლოიდები უფრო მეტი რაოდენობითაა აღმოჩენილი, ვიდრე სხვა ჯიშებში (Muscat Gigas, Muscat canon Hall, მათი ქრომოსომთა რიცხვია $2n=76$).

მ. მემკვიდრეობითი პართენოკარპია

ყურძნის საესებით განვითარებულ მარცვლების გარდა, მტევანში გვხვდება გაწლიოკებული, პართენოკარპული მარცვლებიც. პართენოკარპულ მარცვლებში მხოლოდ წიპწის ჩანასახები მოიპოვებიან. ხშირად ერთსადიმივე მარცვალში გვხვდება როგორც ნორმალურად განვითარებული წიპწა, ისე ჩანასახიც. ზოგი ჯიშის მტევანში პართენოკარპული მარცვლები დიდი რაოდენობით მოიპოვებიან; მოიპოვებიან ჯიშებიც, რომლებშიაც ნორმალურად განვითარებული წიპწიანი მარცვლები იშვიათი მოვლენაა; ასეთი მარცვლები გამონაკლისს წარმოადგენენ, მხოლოდ მარცვლის დანარჩენი 99% და მეტიც პართენოკარპულია. ასეთი თვისების მატარებელი ჯიშები ცნობილია როგორც ჭიშმისის ჯიშები. პართენოკარპული მარცვლები, როგორც წესი, წვრილებია; საერთოდ ასეთი მარცვლები უფრო მეტი სიწვრილით ხასიათდებიან, ვიდრე წიპწიანი, ნორმალური აგებულების მარცვლები.

მტევანში მარცვლის ნაწილობრივი გაწლიოკება უარყოფითი მოვლენაა; როგორც საღვინე, ისე სუფრის ყურძნის მტევნების ღირებულება ამ მოვლენის შედეგად მცირდება. ასეთ მარცვლებიანი მტევნები სიწვრილის გამო უბარაქო მოსავალს იძლევიან, ერთდროული დამწიფებითაც არ ხასიათდებიან და შაქრის სიმკაცის შემადგენლობაც მათში თანაბარი არ არის.

ჯიშები, რომელნიც მხოლოდ პართენოკარპულ მარცვლიან ყურძენს იძლევიან, ან და პართენოკარპულ მარცვლებს მეტად დიდ რაოდენობით შეიცავენ, ჭიშმისის წარმოებისათვის უდაოდ კარგი ღირებულებებისა არიან.

პართენოკარპული მარცვლების წარმოშობის მიზეზი ბევრგვარად: ა) ყვავილობის დროს არახელშემწყობი ამინდის შედეგად ყვავილთა დიდი რაოდენობის განაყოფიერება ვერ ხდება, ამ შემთხვევაში გაუწყობიერებელი ყვავილები ცვივა, ან და პართენოკარპულ მარცვლებს იძლევიან; ბ) პართენოკარპული მარცვლები ისახებიან იმ შემთხვევაშიაც როდესაც, ან მტვერს განაყოფიერების უნარი არა აქვს, ანდა თესლკვირტი ანორმალური აგებულებისაა; იმ შემთხვევაში თუ მტვერის კვების ბალანსი მარცვლების დიდი რაოდენობის გამოკვების საშუალებას არ იძლევა, — წარმოიშობა პართენოკარპული მარცვლები; ყველა ჯიშს პართენოკარპული მარცვლების დიდი რაოდენობით წარმოშობის ერთნაირი უნარი როდი აქვს; გ) მტვერის ან ყვავილთაანის ანორმალური კვების შემთხვევაში პართენოკარპული მარცვლების წარმოშობა ხშირი მოვლენაა; ე) გვხვდება ვეგეტატიური ანუ ობლივატური პართენოკარპია; ასეთებს მიეკუთვნება ჭიშმისის (უწიპწო) ჯიშები, როგორებიცაა სულთანინი, კორინთული, თეთრი და შავი ჭიშმიში, ასკერი, მარმარი და სხ. საერთოდ მათი რიცხვი დიდი არ არის. ყველა ამ ჯიშს მორფოლოგიურად პერმატროდიტული ყვავილები აქვთ, მათ მტვერს ხშირად განაყოფიერების უნარი აქვს, მაგრამ დედრობითი სასქესო ორგანო ანორმალური აგებულებისაა, რაც კორინთულის და სულთანინის სქესობრივი აპარატის შესწავლის შედეგად ცხადყო პირსონმა (Hel. Pearson)¹. ამ მიზეზის გამო, განაყოფიერების შედეგად წიპწის სრული განვითარება ვერ ხდება.

პართენოკარპულმარცვლიანი ყურძნის ჯიშები, როგორც აღვნიშნეთ, წერილმარცვლიანები, ჭიშმისის წარმოებისათვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს უწიპწობას და მსხვილმარცვლიანობას. ასეთი ჯიშების მისაღებად ამ ბოლო დროს მეტად დიდი მუშაობა ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრეთვე იტალიაში და ამ ბოლო ხანებში საბჭოთა კავშირში (უზბეკეთი)—მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ხაზით. ამერიკაში ამ მიზანს მიაღწიეს ნაკლებწიპწიანი ჰიბრიდის შეჯვარებით ვარდისფერ სულთანინთან. ასეთი შეჯვარების შედეგად მიღებულია სხვადასხვა სისხოსი და სხვადასხვა ფერის პართენოკარპულმარცვლიანი ჰიბრიდების გარკვეული პროცენტი. იტალიაში Pirovano-მ დადებითი შედეგები მიიღო ალექსანდრიული მუსკატის შეჯვარებით სულთანინთან. ამ ნაჯვარების გარკვეული პროცენტი უწიპწო, მსხვილმარცვლიანი აღმოჩნდა; მათი ყურძენი პირველ პერიოდში მწიფდება. უზბეკეთში ჩატარებულმა შეჯვარებებმა ცხადყო, რომ ისეთი ჯიშების შეჯვარება, რომელთაც პართენოკარპულმარცვლიანობა არ ახასიათებთ, — წიპწიან შთამომავლობას იძლევა; უწიპწომარცვლიანების წიპწიანებთან შეჯვარება კი უწიპწომარცვლიანი შთამომავლობის გარკვეულ პროცენტს იძლევა.

¹ Hel. Pearson. Parthenocarpy and abortion in v. vinifera. Am. soc. Hort. Sci. 1962 წ.

ზემოხსენებულიდან ჩანს, რომ ქიშმიშის ჯიშების უწიპწობა (რბილიგატური პართენოკარპია) მემკვიდრეობითი ჯიშობრივი თვისებაა. A. Негруль-ის აზრით უწიპწიან და უწიპწო ფორმათა შორის გენეტიკური სხვაობა საკმაოდ დიდი უნდა იყოს და ამის მიხედვით ისაზღვრებენ პართენოკარპული მოვლენების ყველა გარდამავალი საფეხურები; მისი აზრით ზოგი გენი ხელს უწყობს თესლკვირტის განვითარებას, ზოგი კი არა; ზოგი გენი კვერცხ-უჯრედის დეგენარაციას უწყობს ხელს და სხ. ასეთ ცალმხრივი განმარტებით ამ საკითხის ამოწურვა არ შეიძლება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, პართენოკარპია მთელ რიგ მიზეზებზეა დამოკიდებული. A. Негруль-ის ასეთი განმარტება მექანიკურია და ემყარება ფორმალ გენეტიკას.

3. უნიფერა-სხვადასხვა ფორმების მემკვიდრეობით გადასვლა

მევენახეობის არსებული საზღვრების გადალახვის საკითხი მკიდროდა დაკავშირებული ვაზის ყინვაამტანიანობასთან: ერთის მხრივ საჭიროა ზამთრის ყინვების უფრო მეტი ამტანიის უნარიანი ჯიშები და მეორეს მხრივ ჯიშები, რომელთაც მთელი ვეგეტატური ციკლის მოთავეებისთვის სითბოს მცირე რაოდენობა ესაჭიროებათ. ზამთრის ყინვების ამტანიანობა სხვადასხვა ჯიშს სხვადასხვაგვარი აქვს; მაგ. კახური საფერავი ყინვებისადმი მეტად მგრძობიარეა, რქაწითელი კი გაცილებით ამტანიანია. ეს თავისებურება აგრეთვე დამოკიდებულია მთელ რივ პირობებზე, მაგ. ვაზის ხნოვანობაზე, მერქნის შემოსევაზე და სხ. რამდენადაც მერქანი ნაკლებ შემოსულია, იმდენად დაბალია t° -ის ზეგავლენისადმი უფრო მგრძობიარეა. ყოველშემთხვევაში *vinifera*-ს ჯიშთა შორის არ მოგვეპოვება არც ერთი, რომელიც საგრძობლად დაუზიანებლად იტანდეს -20° -ს. ზოგი ამერიკული (*v. labrusca*, *v. riparia*) და აზიური სახე (*v. amurensis*) ყინვების დიდი ამტანიანობით ხასიათდებიან და -30° და ზოგი 35° -საც დაუზიანებლად იტანენ.

მევენახეობის სუსხიან ზამთრის რაიონებში მიღებულია ვაზის შემოდგომიდან მიწაში დაფვლა, რაც საკმაოდ დიდ ხარჯს იწვევს; გარდა ამისა, ხშირად ხდება კვირტების ჩაღობაც.

მთელი რიგი დაკვირვებებიდან ჩანს, რომ გარდა გარემო პირობებისა, ყინვების ამტანიანობა დაკავშირებულია აგრეთვე ჯიშის მემკვიდრეობით თვისებებთან: *v. riparia*, *v. labrusca*, *v. amurensis* ყინვების ამტან შთამომავლობას იძლევა; *v. vinifera*, *v. aestivalis*, *v. Lincecumii* კი ყინვების ნაკლებამტან შთამომავლობას იძლევიან. ნაჯვარნი *labrusca-vinifera*, *vinifera-amurensis* კი ზამთრის ყინვების გაცილებით მეტი ამტანიანობით ხასიათდებიან.

Cobeli-ის დაკვირვებათა მიხედვით ყინვაგამძლე ამერიკულ სახეებთან *v. vinifera*-ს შეჯვარებით მიღებული ჰიბრიდების პირველი თაობა (F_1)

იჩენს ორივე მშობლის შეუალედ ამტანიანობას, მეორე თაობაში კი გათიშვა ხდება და მცენარეთა საერთო რაოდენობიდან ნახევარზე მეტი ყინვაგამძლეობით ხასიათდება. ამერიკაში გამოყვანილი *vinifera-labrusca* ზოგ ჰიბრიდს—35—37 გრად. გამძლეობის უნარი აქვს. ივ. ვლ. ჰიბრიდები *vinifera-labrusca* აგრეთვე საკმაოდ დიდი ყინვების გამძლე აღმოჩნდნენ; მისივე ჰიბრიდები *vinifera-amurensis* აგრეთვე ყინვის გამძლე აღმოჩნდნენ, მაგრამ—30 გრად. მეტს ვერ იტანენ. აქვე საჭიროა აღვნიშნათ, რომ არსებული ყინვაგამტანი ჰიბრიდები შედარებით ნაკლებდამაკმაყოფილებელი გემოს პროდუქტით ხასიათდებიან. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ნაკლის გამოსასწორებლად სელექციონერთა შემდეგი მუშაობა დამაკმაყოფილებელ შედეგს მოგვცემს.

უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებიდან ჩანს, რომ სინათლის ხანგრძლივობისადმი ვაზი საკმაოდ მგრძობიარეა: გრძელი დღის პირობებში (ასეთებს კი მევენახეობის ჩრდილოეთის ზონები ეკუთვნის) სამზრეთი ქვეყნების ვაზის ჯიშები უხე ნაზარდს იძლევიან, ვეგეტატური პერიოდი უგრძელდებათ, რქა ნაკლებად შემოდის; ყველა ამის შედეგად ზამთრის ყინვებისადმი გამძლეობა უმცირდებათ. შემჩნეულია აგრეთვე, რომ ჩრდილოეთის მევენახეობის ჯიშები (რისლინგი, სილვანერი) უკეთ გვუბიან გრძელ დღეს, ვიდრე სამხრეთის ჯიშები (არამონი, ალექსანდრიული მუსკატი). ამ მიზეზების გამო მევენახეობის ჩრდილოეთ ზონისათვის ვაზის ჯიშების შერჩევის დროს საჭიროა ამ თავისებურებას სათანადო ანგარიში გაეწიოს.

შეჯავარების ტექნიკა

დაყვავილების წინ, ე. ი. 1—3 დღით ადრე ვიდრე ვაზის ყვავილს ჩაჩი მოცილდება, საჭიროა ფრთხილად, ბუტკოს დაუზიანებლად, თვითოეულ ყვავილზე მტერიანების მოსპობა. სავალდებულოა ყვავილების დაკოდვა ყვავილობამდე 3 დღით ადრე, რომ შემთხვევით ჩაჩქვეშ თვითგანაყოფიერება არ მოხდეს¹. ეს პინცეტით ხდება, თუმცა ზოგი მომუშავე შეუიარაღებელი ხელით ამჯობინებს როგორც ჩაჩის მოცლას, ისე ყვავილის დაკოდვას. უკანასკნელი მეთოდით ოპერაციის წარმოება ჩქარდება, მაგრამ მუშაობა ზუსტი არ არის. აგრ. შ. სიბაშვილის საკმაოდ დიდი გამოცდილებიდან ირკვევა, რომ ვაზის ყვავილების დაკოდვის დროს ყვავილედის შემცირება ეფექტურ არ იძლევა, რადგან მილიანად დატოვებული ყვავილელი დაკოდვის შემდეგ სავსებით კარგ განვითარებას აღწევს, თუ ყვავილის დამტვერვა დროზე და სათანადო ღირსების მტვერით მოხდა. ამ მკვლევარის მიხედვით შეიძლება ყვავილედში ყვავილების უფრო მეტი რაოდენობის განაყოფიერება და ამგვარად თვითოეული მტვენიდან ჰიბრიდული წიბის უფრო

¹ აგრ. შ. სიბაშვილი ყვავილობის დასაწყისს ამჯობინებს ყვავილის დაკოდვას; მისი დაკვირვებით ამ პერიოდში თვითგანაყოფიერება 2—3% გამოიხატება.

მეტი რაოდენობის მიღება. ეს ოპერაცია სწრაფად უნდა მიმდინარეობდეს; ყვავილების დაკოდვის უმალ ყვავილედს უკეთდება საიზოლიაციო პარკუჭანა, რისთვისაც უმჯობესია პერგამენტის ქაღალდის ხმარება. მათ ლატორჩაშოცნული ყვავილი ხელუხლებელი რჩება იმ დრომდე, ვიდრე ბუტკო განაყოფიერების უნარს არ გამოიჩენს, რაც შესაძინევი ხდება ბუტკოს დინგზე ლორწოიანი სითხის წარმოშობისას. იმ შემთხვევაში, თუ დაკოდვა ყვავილობის პროცესში ხდება, საჭიროა დაკოდვის უმალ განაყოფიერებაც.

გასანაყოფიერებლად იხმარება წინასწარ შერჩეული ჯიშის გამანაყოფიერებელი მტვერი. გამანაყოფიერებლად შერჩეული ვაზი გასანაყოფიერებელ ვაზის ბუტკოს დინგზე ლორწოიანი სითხის წარმოშობისას ყვავილობის პროცესში უნდა იყოს, ე. ი. მომწიფებული მტვრიანები გამანაყოფიერებელ მტვერს უნდა აფრქვედნენ. გამანაყოფიერებელი მტვერი გროვდება სუფთა ქაღალდზე ან მინის სუფთა ლამბაქზე და დაკოდვით ყვავილების გასანაყოფიერებლად იხმარება, ე. ი. ბუტკოს ეყრება. თუ დაკოდვით ყვავილი და გამანაყოფიერებელი მტვერი ერთდროულად არ შწიფდება და მტვერის მომწიფება უფრო ნაადრევად ხდება, საჭიროა ამ უკანასკნელის შეგროვება და გრილ და მშრალ პირობებში ექსიკატორში შენახვა. ექსიკატორში უწყლო ქლორკალციუმი უნდა იყოს მოთავსებული. მინის ლამბაქს, რომელზედაც დაგროვილია გამანაყოფიერებელი მტვერი, აფარებენ იმავე სიდიდის მეორე მინის ლამბაქს, ორივეს შვიდროდ ჰკრავენ და ექსიკატორში ათავსებენ. თუ, პირიქით, მტვერის მომწიფება გვიანდება, საჭიროა წინასწარი ზომების მიღება, რათა დაყვავილება დამჩარდეს და მტვერი დროულად დამწიფდეს. ამას აღწევენ ყვავილედის მოთავსებით მინის ქურქელში და სხვა ისეთი ხერხით, რომ ყვავილედი მომეტებულ სითბოს პირობებში იყოს და ამით ყვავილობა დაუჩარდეს. დასაშვებია გამანაყოფიერებელი მტვერის მოსამზადებლად მოყვავილე ყვავილედის დაკრეფა და არაცხელ ადგილას ქაღალდზე თხლად გაშლა; ასეთ პირობებში ხდება მტვრიანების პარკუჭანების მასობრივი გახსნა და ყვავილედების შერბევის შედეგად მის ქვეშ შეფენილ ქაღალდზე გამანაყოფიერებელი მტვერი გროვდება. ქაღალდზე დატოვებულ ნაშთს სცრიან ხშირ საცერში, რომ გამანაყოფიერებელი მტვერი სხვა მექანიკურ ნაწილებს დააშორონ, განაცერს კი გასანაყოფიერებლად ხმარობენ. ვიდრე ბუტკო განაყოფიერებისუნარიანი არ გახდება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მომარაგებულ გამანაყოფიერებელ მტვერს ექსიკატორებში ინახავენ. სათანადო პირობებში შენახული მტვერი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ჰკარავს განაყოფიერების უნარს. ამგვარად ჩვენ კარგად ვიცით, რომ ვალფიებისუნარიანი მტვერი გასანაყოფიერებლად ყოველთვის არ გამოდგება; საჭიროა ბუტკოს ჰქონდეს გამანაყოფიერებელი მტვერის შეთვისების უნარი, წინააღმდეგ შემთხვევაში განაყოფიერება არ მოხდება.

როდესაც ბუტკო მზადაა გასანაყოფიერებლად, მომარაგებულ მტვერს
პატარა ჩოთქებით აფრქვევენ ბუტკოს დინგზე; ამისათვის ყველილედს
იზოლატორს აცლიან, განაყოფიერებას სწრაფად აწარმოებენ და ოპერა-
ციის მოთავეების უმაღ ყველილედს ისევ საიზოლაციო პარკში ვთავსებენ.

დიდი ყურადღების ღირსია აგრონომ შ. სიბაშვილის მიერ გამოიმუშავე-
ბული განაყოფიერების მეთოდი; იგი შემდეგში მდგომარეობს: პერგამენტის
პარკუჭანაში თავსდება გამანაყოფიერებელი მტვერი, დაკოდილ ყველილედს
ეცლება იზოლატორი და მის მაგიერ უკეთდება მტვერით მომარაგებული
იზოლატორი, რომლის ღია მხარე მჭიდროდ უკავშირდება დაკოდილი
ყველილედის ყუნწს და ხდება პარკუჭანის რამდენიმეჯერ შერხევა. ასეთი
მოძრაობის შედეგად პარკუჭანაში მყოფი მტვერი უხვად ეფინება ყვეი-
ლედს. ეს ოპერაცია გრძელდება სულ რამდენიმე წამი. დამტვერვის უმაღ
მტვრიანით მომარაგებული პარკუჭანა ეცლება ყველილედს და მას ხელახ-
ლა უკეთდება იზოლატორი, მტვრიანიანი პარკუჭანა კი იხმარება დანარ-
ჩენ დაკოდილ ყველილედების გასანაყოფიერებლად; როდესაც პარკუჭანაში
მტვერი შემცირდება, პარკს ხელახლა ემატება საჭირო მტვერის რაოდენ-
ობა. ასეთი მუშაობის შედეგად, ყველილედის დამტვერვის პროცესი ძა-
ლიან მოკლე ხანში მთავრდება; ამ დროს განმავლობაში მოსალოდნელი
არ არის ყველილედის გარეშე მტვერით დამტვერვა, მით უმეტეს, რომ
დამტვერვის პროცესი პარკუჭანაში ხდება; გარდა ამისა, ყველილედს უხვად
ეკვრის მტვერი; ამიტომ შეიძლება გარანტირებული ვიყოთ, რომ კარგი
დამტვერვიანება მოხდება. უმჯობესია ამ ოპერაციის განმეორება მეორე-
მესამე დღეს, რათა შემთხვევით გადარჩენილი, დროულად მოუშვებე-
ბელი ყველილედის ბუტკოს განაყოფიერებაც მოხდეს. ასეთი განაყოფიერე-
ბის შედეგად ვლემულობთ უხეშოსავლიან დიდ მტევანს და ამგვარად ნაჯ-
ვარ დასათეს მასალას უხვად ვიმარაგებთ. განაყოფიერების ეს წესი იმა-
ვე მკვლევარმა უფრო დააზუსტა და გააუმჯობესა: იგი დაკოდილ ყვეი-
ლედზე ფრთხილად უსვამს ბამბას, ბამბის ბეწვები მექანიკურად რჩება
ყველილედზე. ამის შემდეგ იგი ახდენს დაკოდილი ყველილედის დამტვერვას
ზემოსხენებული წესით. ბამბაზე მოხვედრილი მტვერი ხანგრძლივი დროის
განმავლობაში მარაგად რჩება ყველილედზე და ბუტკოს მოწვევის უმაღ
ხდება მისი დაუბრკოლებლად განაყოფიერება. ამ შემთხვევაში მეორე და
მესამე განაყოფიერება ზედმეტია და განაყოფიერების % და მუშაობის
სიზუსტე გაცილებით უკეთესია.

შეჯვარებულ ყველილედზე იზოლატორი რჩება სრული დაყველილედის
მოთავებამდე; ამის შემდეგ ყველილედს იზოლატორი ეცლება, რომ მტევ-
ნის განვითარება ნორმალურ პირობებში ჩატარდეს.

შეჯვარებული ვაზი და მტევანი უნდა აღინიშოს დავთარში და რო-
გორც ვაზზე, ისე ყლორტზე ნიშანი უნდა დაედოს; დავთარშივე იწერება
შეჯვარების როგორც დედრობითი, ისე მამრობითი კომპონენტი. განა-

ყოფიერების წელი, დღე, საათი; პირველად იწერება დედრობითი სქესი, მას შემდეგ X ნიშანი, ამის შემდეგ მამრობითი სქესი და შეჯვარების შემთხვევაში სრულდება.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

ყოფიერების ფიზიოლოგიური სიმწიფის დადგომისას შეჯვარებული მტენები იკრიფება, წიბა ეცლება და დათესვამდე გრილ მომზრადო ადგილას ინახება. დათესვის და მოვლის წესები განხილულ იქნება ამ შრომის მესამე წიგნში.

2. ვეგეტატური სელექცია

ვეგეტატურ სელექციას მევენახეობის პრაქტიკაში ფრიად საპატიო ადგილი უკავია. ასეთ მუშაობას ძველი კულტურული ერებიც ეწეოდნენ, რაც რომელი აგრონომი მწერლების ჩვენამდე მოღწეულ შრომებიდანაც ჩანს (პლინიუსი); მაგრამ ამ საქმიანობას უფრო ფართო მასშტაბით ეწევიან ამ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე; მიზეზი ადვილი გასაგებია: ვენახის მოვლა-მოწენება ამჟამად ისე ძვირი ჯდება სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გავრცელების გამო, რომ თუ ვახში თუხვ მოსავალს არ იძლევიან და სხვა დადებითი სამეურნეო მხარეებით არ ხასიათდებიან, გაწეულ ხარჯებს ვერ ამართლებენ.

ვეგეტატური სელექციის მიზანდასახულება არსებული ჯიშებიდან ისეთი ინდივიდების გამოყოფა, რომელნიც ოპტიმალურად დააკმაყოფილებენ მევენახის მოთხოვნებს. ასე გადარჩეულ-გამოყოფილი მცენარეებიდან იღებენ გასამრავლებელ მასალას მათი ვეგეტატური წესით მომრავლების მიზნით.


ვახის გამრავლება უძველეს დროიდან ვეგეტატური წესით სწარმოებ. ვეგეტატური წესით გამრავლებულ მცენარეებს კი, როგორც ცნობილია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მეკვიდროებითი ნიშანთვისებების შენარჩუნების უნარი აქვთ. უნებლიედ ისმება საკითხი, რათ ესაქიროება კულტურაში მყოფ ნაცად ჯიშს სელექცია?

ბუნებაში მუდმივი და უცვლელი არაფერია. ვახის კულტურა ათასეულ წლებს ითვლის და, თუმცა ვაზი ვეგეტატური წესით (რქით, გადაწვენით) მრავლდებოდა, მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძველმა ჯიშებმა მთელი რიგი ცვლილებანი განიცადეს. დანამდვილებით ვიცით, რომ საუკუნეთა განმავლობაში კულტურაში მყოფი ძველი ჯიშები, მრავალ ვარიაციას ითვლიან; ასეთებია: პინო, შასლა, გამე, მუსკატი და სხ. შეჯვარებით გამოყვანილ და ვეგეტატურად გამრავლებულ ახალ ჯიშებს რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ასეთი ვარიაციები იშვიათად მოეპოვებათ: თავის ხანმოკლე არსებობის პერიოდში ისინი ხშირად კონსტანტური რჩებიან.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებული ჯიშები სხვადასხვა ხასიათის ვარიაციებს წარმოშობენ ხოლმე; ზოგი ვარიაცია განირჩევა უფ-

რო ღონიერი ზრდა-განვითარებით, ზოგი ნაკლები მოსაელიანობით, მარ-
ცვლების ვაწლიოცებით, ყურძნის ფერის შეცვლით, მტევნის სისხლით ან
სიწვრილით, ფოთლის მეტ-ნაკლები დანაცვით, ყურძნის ადრეულად მო-
მოგვიანებით დაწიფებით, ყვავილების, კვირტების დაგვიანებით ან ნაად-
რევი გაშლით, ავადმყოფობათაღმი მეტი ან ნაკლები გამძლეობით, ყვავი-
ლის ცვენით და ა. შ. ასეთი ვარიაციების ვეგეტატური წესით გამრავლე-
ბის შემთხვევაში მათთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებანი შემკვიდრეო-
ბით გადადიან; სწორედ ამ წესით გამრავლებული ვარიაციები დღევანდელ
მევენახეობაში ბლომად გვხვდება (პინო თეთრი, პინო ნაცრისფერი, პინო
მენიე და სხ. მრავალი); ასეთი მაგალითები მევენახეობის პრაქტიკაში მრავ-
ალია.

ჯიშის ხსენებულ ცვლილებათა მიზეზი შეიძლება სხვადასხვა გვარი
იყოს; იგი ზოგჯერ კვირტის მუტაციით უნდა აიხსნას, ზოგჯერ შედეგია
უჯრედთა არათანაბარი ვეგეტატური დაყოფისა, რაც წარმოადგენს ან
ფაქტორალურ ანდა აბერაცულ ცვლილებებს. მცენარის ზრდა-განვითარების
პროცესში უჯრედთა დაყოფა ხდება. უჯრედთა დაყოფის დროს, ახალ
უჯრედს გადაეცემა დამახასიათებელი ნიშანთვისებები, მაგრამ უჯრედთა
დაყოფის პროცესში ზოგჯერ მოსალოდნელია, რომ ახლად შექმნილი უჯ-
რედი რაიმე მიზეზის გამო დედა უჯრედის შინაარსიდან განსხვავდება.
ასეთი განსხვავებითი შინაარსის უჯრედი თავის შემდეგი დაყოფის პრო-
ცესში აგრეთვე თავის მსგავს განსხვავებით შინაარსის უჯრედს წარმო-
შობს; ამგვარად თანდათანობით წარმოიშობა ახალი თვისებების მატარე-
ბელი უჯრედების ჯგუფი. თუ ასეთი შინაარსის უჯრედები კვირტის წარ-
მოშობნი არიან,—ასეთი კვირტიდან წარმოიშობილი ყლორტიც დედა-
მცენარიდან განსხვავებული იქნება. ამით აიხსნება, რომ ზოგჯერ ვაზზე
ერთი ყლორტი გამოერევა ხოლმე, რომელიც როგორც ამ ვაზიდან, ისე
ამ ჯიშის ვაზებიდან განსხვავდება; ასეთ ყლორტს კვირტის მუტაცი-
ტი ეწოდება. მუტანტურად წარმოიშობილი ვაზის ამ ნაწილის ვეგეტატუ-
რად გამრავლების შემთხვევაში ახლად მომრავლებული ინდივიდი თავისი
„მშობლის“ მუტანტის ყველა ნიშანთვისებით ხასიათდება. მევენახეობის
პრაქტიკაში მოიპოება ასეთი წესით წარმოშობილი, მევენახის მიერ შეჭ-
ნულ-აღნიშნული და შემდეგ მომრავლებული მრავალი „ახალი“ ჯიში;
ასეთებია ზემოდდასახელებული პინოს ვარიაციები, შასლას (ოქროსფერი,
მსხვილმარცვალი და სხ.), არამონის, ტერეს-ის და მრავალი სხვა ვარიაციები.
ხშირად მუტანტურად წარმოიშობილი ვაზის ნაწილი გარეგნული შეხედულე-
ბით ნაკლებ განსხვავდება წარმოშობ მცენარის სხვა ნაწილებიდან, მაგ-
რამ განსხვავებული თვისებების მატარებელია; მაგ. ყვავილის მეტნაკლები
ცვენით ან ყინვის მეტი ან ნაკლები ამტანიანობით ხასიათდება და სხ.
გამრავლების მიზნით ლერწის აქრის დროს ასეთი მუტანტური ნაწილების
აქრის შემთხვევაში მათი გამრავლება-გახარების შედეგად ახლად მო-



სურ. 86. გაწლიოკებულ მარცვლიანი რქაწითლის მტევანი.

რავლებულ მცენარეებში ხდება მუტანტურ თვისებათა ფიქსაცია. იმ შემთხვევაში, თუ მუტანტი სამეურნეო თვალსაზრისით სასურველი მემკვიდრეობითი თვისებების პატარებელია (ლაზათიანი მტევნები, მსხვილი მწიკცვანი ანუ მტევანი, ავადმყოფობათა გამძლეობა და სხ.), ასეთი ვაზები ვენახში კარგ შედეგს მოიტანს; მაგრამ თუ მუტანტი უარყოფითი თვისებებით ხასიათდება (მარცვლის გაწლიოკება, კვირტების ნაიდრევად გაფურჩქვნა, კრაქისადმი მეტად დიდი მგრძობარობა და სხ.), თავისთავად ცხადია, ასეთი ვაზებით შემდგარი ვენახი ნაკლებ და ზოგ შემთხვევაში უარყოფით სამეურნეო ეფექტს მოგვცემს. რამდენადაც ასეთი უარყოფით-თვისებიანი ვაზები ვენახს დიდი რაოდენობით გამოერევიან, — თავისთავად ცხადია, შედეგებიც იმდენად არასასურველი იქნება.

ამგვარად, ხსენებული ცვლილებები მემკვიდრეობითია.

გარემო (ეკოლოგიურ) პირობების ზეგავლენით ჯიშში სხვადასხვა თავისებურება გამოიწვევება ხოლმე. მაგ. ოპტიმალურ პირობებში ნაზარდი ვაზი ივითარებს გრძელ მუხლშორისებს, დიდ ფოთლებს, კუმს მტევანს, ლალად მოზარდია და სხ., მწირ პირობებში კი საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ. მიუხედავად ასეთი გარეგნული განსხვავებისა, შეიძლება მცენარეები გენოტიპურად იდენტური იყვნენ. საფაქტრებელია, რომ ეკოლოგიური პირობების მძაფრი ზეგავლენით გენოტიპური გარდაქმნა უფრო ხშირი მოვლენაა. საერთოდ მუტანტური მოვლენები დროთა მანძილზე საკმაოდ დიდი რაოდენობით გროვდება.

გარემო პირობათა ზეგავლენით ვაზის ჯიშობრივი თავისებურების შეცვლა შესაძლებელია. ამ გარეგნულ ცვლილებათა ცვალებადობის ამპლიტუდა შეიძლება მეტად დიდი იყოს; მაგ. კარგად დამუშავებულ, განაყოფიერებულ ნიადაგზე, მიზანშეწონილი სხვლით და სხვა აგროტექნიკური ზეგავლენით, ვაზი გაცილებით უფრო ლალად გაიზარდება, ფოთოლი და მტევანი უფრო მსხვილი იქნება და სხ. ეს სხვაობა მოდიფიკაცია იქნება.

მოდიფიკაციის მოვლენები გვხვდება როგორც მემკვიდრეობითი ხასიათის, ისე არა მემკვიდრეობითი ხასიათის. მოდიფიკაცია შეიძლება დროებითი, სწრაფ წარმავალი ხასიათისა იყოს; ასეთ დროებით ცვლილებას უბრალო მოდიფიკაცია ეწოდება. უბრალო მოდიფიკაცია შთამომავლობაზე მემკვიდრეობით არ გადადის; და არაოპტიმალური ზრდა-განვითარების, არამედ ჩვეულებრივ პირობებში ჩაყენებული მცენარე თავის პირვანდელ ჯიშობრივ სპეციფურ თავისებურებას უბრუნდება. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ დროებითი მოდიფიკაციის გარდა მცენარეები ხასიათდებიან აგრეთვე ე. წ. ხანგრძლივი მოდიფიკაციით, რაც ძირითადად ეკოლოგიური პირობების ზეგავლენით ხდება; მაგრამ ამ შემთხვევაში მოდიფიკაცია იმდენად ღრმად ეხება მცენარის არსს, რომ ითვისებულ თავისებურებას მცენარე, ამ შემთხვევაში ვაზი, ვეგეტატურ-თაობაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ჰკარგავს; შეიძლება კი-

დეც ათვისებული თავისებურებანი რამდენიმე თაობის მანძილზე შეინარჩუნოს.

ვაზის ჯიშების დიდი რაოდენობა თესლიდან არის წარმოებული თესლიდან წარმოშობილი ვაზები, თუნდაც ერთი მტევნის წიპწიდან იყვნენ წარმოშობილნი, თუმცა ერთმანეთს გარეგნულად ხშირად ემსგავსებიან, მაგრამ ამავე დროს გენოტიპურად განსხვავდებიან. ეს თავისებურება აიხსნება ვაზის ჰეტეროზიგოტური ბუნებით. ასეთ წიპწებიდან წარმოშობილ ვაზების გადმონერგვის დროს მსგავს ინდივიდებს ხშირად ერთი სახელწოდება ეძლევათ, მაგრამ ჯიშის მსგავსობა ჯიშის იდენტივობას არ ნიშნავს; ამიტომ დასაშვებია, რომ მთელმა რიგმა ჯიშის მსგავსმა ინდივიდებმა იმ ჯიშის სახელწოდება მიიღეს, რომელსაც ემსგავსებიან. ამიტომ ხშირად ერთი ჯიშის სახელწოდების მქონე ვაზები, გარეგნულად თითქმის იდენტიურნი, სხვადასხვაგვარი თვისებისა არიან. ეს გარემოებაც მხედველობაში მისაღებია, როდესაც „ერთი ჯიშით“ ნარგავ ვენახებს ვიხილავთ.

ყველა შემოხსენებულიდან ნათლად ჩანს, რომ ერთი „ჯიშით“ ნარგავი ვენახი ხშირად სხვადასხვა მოდგმის და ხასიათის ვაზებიდან შესდგება, თუმცა გარეგნულად ისინი ზოგჯერ შედარებით ძნელი გასარჩევიაკი არიან.

ამგვარად, ტერმინი „ჯიში“ არ მოასწავებს ზუსტ, ჩამოყალიბებულ ცნებას, იგი უფრო ზოგადი ცნებაა; მის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ისეთ ინდივიდთა კრებული, რომლებიც გარეგნულად საკმაოდ წააგავენ ერთმანეთს.

როდესაც ვაზი ვეგეტატური წესით მრავლდება და მთელი გასამრავლებელი მასალა ერთი ინდივიდიდან არის აღებული, ამ შემთხვევაში ჯიშის სიწმინდის დაცვა ხდება. ასეთნაირი წესით მიღებულ ინდივიდებს კლონები ეწოდებათ¹. კლონი თუმცა ჯიშის სიწმინდის საწინდარია, ხსენებული გამრავლების წესით მიღების გამო, მაგრამ კლონით შემდგარი ვენახის ცალკეული ვაზებიც დროის და გარემო პირობების ზეგავლენით თავის მდგრადობას ჰკარგავენ, რადგან მათ შორისაც კვრტის მუტაციით წარმოიშობიან ხოლმე ახალი გენოტიპები; გარდა ამისა, როგორც სხვა ვაზები, ესენიც ხანგრძლივ მოდიფიკაციას განიცდიან. ამგვარად, კლონებით შექმნილი ვენახიც კი დროთა განმავლობაში მუდმივ „სუფთა“, „წმინდა ჯიშს“ არ შეიცავს; და მით უმეტეს, არა კლონებით გაშენებული ვენახი ხომ, უკეთეს შემთხვევაში, კლონთა ნარევის წარმოადგენს. ეს ნარევი გაცხრილვა-გადარჩევას—უვარგისების მოსპობას და ვარგისიანების დატოვებას მოითხოვს.

კლონით გაშენებული ვაზებიც (ე. ი. ერთი გენოტიპური მოდგმის ვაზები) ზოგჯერ კრელ მოსაფალს იძლევა: ზოგი ვაზი შედარებით უფრო

¹ კლონურ ვეგეტატურ მოდგმას—„კლონური ხაზი“ ეწოდება.

უხეზოსავლიანია, ზოგი კი—ნაკლები. ასეთ მოსავლიან და ნაკლებმოსავლიან ვაზების შემდგომ მოდგმათა შესახებ ფრიალ საინტერესო შედეგებზე გამოაქვეყნა 1926 წ. ამერიკის შ. შ. (კალიფორნია) Bioleti-იმანმა^{1926 წ.} გერმანიაში Sartorius-მა. ამერიკაში დაყენებული ცდების მიხედვით ასეთმა ვაზებმა ახალ თაობაზე (ეგვიკატური წესით გამრავლებულზე) არავითარი გავლენა არ მოახდინა—ვაზები თანაბარ მოსავლიანი აღმოჩნდნენ; გერმანიაში კი მსხმოიარე ვაზების ახალი თაობა ისევ მსხმოიარე აღმოჩნდა, ნაკლებ მსხმოიარენი კი ისევ ნაკლები მსხმოიარობით ხასიათდებოდნენ. ამგვარად, ხსენებულმა ორმა მკვლევარმა სრულიად საწინააღმდეგო შედეგები მიიღეს. Sartorius-ი ამ საწინააღმდეგო შედეგებს შემდეგით ხსნის: „კალიფორნიაში ვაზის ზრდა-განვითარება ოპტიმალურ პირობებში ხდება, მზე უხვია, ვაზი ღონივრად ვითარდება; ღონივრად გაზრდილი ვაზი კი უხვ მოსავალს იძლევა; გერმანიაში, როგორც მევენახეობის ჩრდილო რაიონში, ვაზის ზრდა-განვითარებისათვის ნაკლებ ხელშემწყობი ბუნებრივი პირობებია და ამიტომ უკეთეს მოსავალს იძლევა მხოლოდ უკეთ განვითარებული ვაზი, რომელიც თავის არსს სავსებით ამჟღავნებს. რადგან ვაზის ღონე ახალ თაობაშიც იჩენს თავს, ამიტომ გერმანიის მევენახეობის მწიკრ პირობებში უკეთესი შედეგი მოგვეცა მხოლოდ უფრო უკეთესი განვითარების უნარიანმა ვაზებმა, მაშინ როდესაც კალიფორნიაში ვაზის ეს თვისება (ღონე) ისედაც უზრუნველყოფილია და ვაზი საერთოდ ამ მხრივ დაკნინებას არ განიცდის“. ეს მაგალითი მოვიყვანეთ იმიტომ, რომ ცხად-გვეყო, თუ რა მნიშვნელობა აქვს გარკვეული კლიმატური ხაზის ვენახიდან გასამრავლებელი ლერწის აქრისას ლერწის აღებას მხოლოდ რიგიანად მსხმოიარე ვაზებიდან, მით უმეტეს ისეთ რაიონებში, სადაც ვაზის ზრდა-განვითარების ოპტიმალური პირობები არ მოიპოვება.

უმნიშვნელო არ არის ვაზის ხნოვანებაც. ყველა ქვეყანის მევენახეობის ფართო პრაქტიკაში ამჯობინებენ გასამრავლებელი ლერწის აქრას ახალგაზრდა, ან შუა-ხნის ვაზებიდან. ყოველშემთხვევაში მხარს უჭერენ როგორც გადაბერებულ, ისე მეტად ახალგაზრდა (6 წელზე ნაკლები) ვაზებიდან ლერწის გასამრავლებლად აღებას.

სწეულეზბათა მემკვიდრეობით გადასვლა

ვაზის სწეულეზბათა მემკვიდრეობით გადასვლის შესახებ ამომწურავი მასალა თუმცა არ მოგვეპოვება, მაგრამ იმ მასალის მიხედვითაც, რომელიც არსებობს, უფლება გვძლევს ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი სწეულეზა ახალ ინდივიდებზე მემკვიდრეობით უნდა გადადიოდეს.

ქესენის (რეინზე) ვენახებში Scheu-ს შიერ შემწნეული იყო ვაზები, რომელთაც ფოთლის ფირფიტის ნაპირები ქვედა მხრისკენ ლულისნაირად ჰქონდათ გადაკაკვლილი; ასეთი ფოთლები უფრო ბაცი ფერისა არიან და შემოდგომობით უფრო ნაადრევი ფოთოლუცენით ხასიათდებიან. ასეთი

ვაზების მოსავლიანობა საგრძობლად კლებულობს. ასე, მაგალითად, სილ-
ვანერის სალი ვაზების საშუალო მოსავალი უდრიდა 960 გრ., შაქრის რაოდენ-
ობა 67 გრად. ექსლეთი, დაავადებულებისა კი 296 გრ. და შაქრის რაოდენ-
ობა 64 გრ. ექსლეთი. თუმცა ექსლეთი 3 გრად. შაქრის რაოდენობა
საგრძობლად რაოდენობას არ წარმოადგენს, მაგრამ როდესაც მოსავლიანობა
სამჯერ სკარბობს, ასეთი ვანსხვაება შაქრის რაოდენობაში უკვე ყურად-
ღების ღირსია. მის მიერვე აღნიშნულია, რომ სრულიად სალი ვაზები ზე-
მოაღნიშნულ გარეგნულ თავისებურებას ერთბაშად იღებენ. ასეთი ვაზები
შემდეგ წლებში საგრძობლად ნაკლებ მოსავალს იძლევიან და ერთსადა-
იმევე ვაზებზე მოხსენებული გარეგნული ნიშნები წლიდან-წლამდე მეორ-
დება. ასეთი ვაზებიდან აღებული გასამრავლებელი მასალიდან, როგორც
ნაწყენით, ისე რქით ნამრავლ ინდივიდებში ეს სნეულება მემკვიდრეობით
უცვლელად გადავიდა. ჰენის ზოგ ვენაში ასეთი ვაზები 50%-ამდე იყო.
ვაზის ამ სნეულების შესახებ Scheu-ს უხვი მასალა მოეპოება, მაგრამ სნე-
ულების გამომწვევი ორგანიზმი ნაპოვნი არ არის. Sartorius-ის აზრით ეს
სნეულება ვირუსული უნდა იყოს.

ვაზის გამრავლების დროს დაავადებული ნაწილების ხმარების შემთ-
ხვევაში (ფუხარიოზი მუხლშორისების სიმოკლე და სხ.), იგივე სნეულება
თუმცა ახალ ინდივიდებში იჩენს ხოლმე თავს და შეიძლება დაავადებული
ვაზი დაიღუბოს კადეც, მაგრამ ასეთ მოვლენებს ვაზის მემკვიდრეობით
სნეულებად ვერ ჩავთვლით.

რადგან ვაზის მთელი რიგი თვისებები მემკვიდრეობითია და ვეგეტა-
ტური წესით გამრავლების შემთხვევაში მშობლებიდან შთამომავლობაზე
გადადის, ამიტომ უფლება გვეძლევა შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ:

ა) ძველი ვაზის ჯიშების უმრავლესობა სხვადასხვა მემკვიდრეობითი
ნიშნების მქონე მოდგმებისაგან შესდგება; მოდგმების წარმოშობა უნდა
მიეწეროს როგორც წიპიდან აღმოცენებულ მსგავს ინდივიდების ერთ
ჯიშად მიჩნეას, ისე კვირტების მუტაციას.

ბ) კლონურ ნარგავთა არსებობის შემთხვევაშიც მუტაციით წარმო-
იშობიან ხოლმე ახალი ნიშნების მატარებელი ნაწილები; ასეთი ნაწილების
აქრით და მომრავლებით შეიძლება მათი მემკვიდრეობითი ნიშანთვისე-
ბების ფიქსაცია.

გ) ხანგრძლივი მოდიფიკაციის მატარებელ ვაზების მომრავლების
შემთხვევაში ახალი თაობა მშობლების ნიშანთვისებას ინარჩუნებს.

დ) რადგან საქართველოში მევენახეობას უძველესი დროიდან ეწე-
ვიან, ექვს გარეშეა, რომ ჩვენი ჯიშები კლონთა და ხანგრძლივ მოდიფი-
კანტთა საკმაოდ დიდ ნარეეს წარმოადგენენ.

ვენახეობის სელექციის საპრობლემა

ჩვენ ვენახების საკმაოდ დიდი ფართობი მოგვეპოება. თანახმად სა-
ლირექტივო ორგანიზების დადგენილებიდან, საქართველოს ვენახების არსე-

ბული ფართობი საგრძნობლად უნდა გადიდდეს და 1942 წლისათვის აყვანილ უნდა იქნას 60 ათას ჰექტარამდე. ჩვენი მშრომელი კოლმეურნენი ამ დადგენილებას ენტუზიაზმით ასრულებენ. რომ არსებულია და საპროსპექტივო ვენახების ფართობმა სრული სამეურნეო ეფექტი მოგვეცეს, საეკონომიკურადაც არა მარტო ვენახებში სათანადო ჯიშების გაშენება და ყველა აგროტექნიკური ოპერაციის ზუსტად შესრულება, არამედ თვით ჯიშის უფრო ეფექტურ მოდგმათა გამოყენება. როგორც თავის დროზე აღვნიშნეთ, ჩვენი ძვირფასი ჯიშები ერთი მოდგმისგან არ შესდგებიან; და თუ ეს ასეა, საჭიროა: ა) არსებული ნარგავების გამოჯანსაღება და მხოლოდ სამეურნეო თვალსაზრისით ეფექტიანი მოდგმის შენარჩუნება; ბ) გასაშენებელი ვაზებისათვის ისეთი გასამრავლებელი მასალის ხმარება, რომელიც აქრილია მხოლოდ კარგი ნიშანთვისებების მატარებელ ვაზებიდან.

არსებული „ერთი ჯიშით“ გაშენებული ვენახები თუ რამდენად ნარევი მოდგმის ინდივიდუბისაგან შესდგება, ამის შესახებ ამჟამად მეტად დიდი სანდო ფაქტიური მასალა მოგვეპოება. საჭიროდ მიგვაჩნია, როგორც საბჭოთა კავშირის ისე სხვა ქვეყნების პრაქტიკიდან ორიოდვე მაგალითის მოყვანა.

ლივადიის (ყირიში) ზვრებში ერთერთ ნაკვეთზე გაშენებული იყო უხვმოსავლიანი ჯიშის მურვედერი. მიუხედავად ზვრების მოვლა-პატრონობის კარგი პირობებისა, ეს ნაკვეთი სისტემატურად მცირე მოსავალს იძლეოდა და მტკვანშიც მარცვალი წლიოკდებოდა. ამის მიზეზების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ნარგავების დიდი % მდებრობითსქესიან ყვავილებს იფითარებდა. როგორცა ჩანს, ლერწის მომარაგების დროს ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა სარგავი მასალის აქრას და, ჰერმაფროდიტულ ყვავილებიანი მურვედერის გარდა, მდებრობითყვავილებიანი მურვედერის მოდგმაც ყოფილა აღებული გასამრავლებლად; როგორც ცნობილია, ხელოვნურ განაყოფიერების გარეშე უხვ მოსავალს იძლევა მხოლოდ ჰერმაფროდიტულ ყვავილებიანი მურვედერი.

მერლენმა (Mährlein) ოთხი წლის განმავლობაში ზუსტი დაკვირვება მოახდინა ვაზის 5 ჯიშის მოსავლიანობაზე. მოგვყავს მის მიერ მიღებული შედეგების ცხრილი (იხ. 453 გვ. თავში მოთავსებული ცხრილი).

მოხსენებული ტაბულიდან ნათლად ჩანს, რა ღირებულების ვაზებს შეიცავდა ცალკეული ნაკვეთები და რომელ ნაკვეთში რა რაოდენობის სამეურნეო ეფექტიანი და საზარალო ვაზი მოიპოებოდა.

ინტერესს მოკლებული არ არის ჰესენში (რეინზე) მიღებული შედეგები 19 სასელექციო მუშაობისათვის გამოყოფილ ვენახში; დაკვირვებანი მოახდინა Scheu-მ 10 წლის განმავლობაში. ამ მკვლევარის მიხედვით ხსენებულ ვენახებში „მართლმოსავლიან“ ვაზთა რიცხვი, ჯიშების მიხედვით, შემდეგ რაოდენობას შეადგენდა (იხ. გვ. 453 ცხრილის მომდევნო მასალა):



მოსავლიანობის შედეგები

ნაკვეთის №№	ჯიშის დასახელება	მოსავლიანობის შედეგები				
		უხეშმოსავლიანი ვაზების %/o	კარგმოსავ- ლიანი ვაზე- ბის %/o	დამაკმაყო- ფილებელ მოსავლიანი ვაზების %/o	არადამაკმა- ყოფილებელ მოსავლიანი ვაზების %/o	სრულყოფილ მოსავლად ვაზების %/o
1	რისლინგი	1	34	47	12	6
2	"	3	40	42	10	4
3	"	7	54	27	6	6
4	"	17	51	19	2	1
5	სიღვანერი	1	24	58	16	1
6	შასლა თეთრი	4	40	37	15	4
7	ტროლინგერი	4	45	37	13	1
8	ლიმბურგელი	10	51	36	3	—
9	"	1	30	57	10	2

რისლინგი 0,29—1,70% (4 ვენახში).
 პინო 4,49% (1 ვენახში).
 სიღვანერი 0,80—7,38% (11 ვენახში)
 პორტუგეზური 3,04—8,75% (3 ვენახში).

იგივე მკვლევარი აღნიშნავს, რომ 6 წლის განმავლობაში დაკვირვების კვეთს მყოფმა რისლინგის 440 ვაზმა შემდეგი მოსავალი მისცა:
 13% 0—0,9 კგრ. საშ. მოსავალი ერთ ვაზზე
 64% 1—2,4 " " " " " "
 19% 2,5—3,4 " " " " " "
 4% 3,4 კილოგრამზე მეტი.

ამგვარად ვაზების 13% ნაკლებლირებული მოდგმისა ყოფილა და ასეთების ვენახში არსებობა მეურნეობას ბევრს არაფერს მატებს.

აგრეთვე ინტერესს მოკლებული არ არის პროფ. მუთის (Muth) მიერ 7 წლის მანძილზე 500 ვაზზე წარმოებული დაკვირვებანი ფეალცში—ბავარიის (ჯიში—შავი პინო). 454 გვ. ვათავსებთ ამ მეცნიერის მიერ გამოქვეყნებულ ცხრილს.

შემომოყვანილი ცხრილი ცხადყოფს, რომ ხსენებული ნაკვეთის მხოლოდ 73 ვაზს, ე. ი. საერთო რიცხვის 14,6% ახასიათებს მუდმივი მოსავლიანობა. შეიდი წლის განმავლობაში 5 ვაზი მოსავალს სისტემატიურად არ იძლეოდა, 8 ვაზმა მხოლოდ ერთხელ მოიხსა, 31 ვაზმა მხოლოდ ორჯერ და 43 ვაზმა მხოლოდ სამჯერ მოიხსა. ვაზების ეს უკანასკნელი ოთხი ჯგუფი შეადგენს ნარკავთა 17,2%; ამგვარად, ნაკვეთის თითქმის ერთი მეხუთედი უდაოდ სახარალო ვაზებიდან ყოფილა შიშვარა.



ვაზები 7 წლის განმავლობაში	ვაზების რიცხვი	რაოდენობა %
მოსავლიანი იყო მთელი 7 წლის გან-ში	73	14,6%
" " " 6 " "	143	28,0%
" " " 5 " "	114	22,8%
" " " 4 " "	83	16,6%
" " " 3 " "	43	8,6%
" " " 2 " "	31	6,9%
" " " 1 " "	8	1,6%
7 წლის განმავლობაში სრულიად უმოსავლო იყო .	5	1%

